


მიხაილ ბულგაკოვი

თეთრი გვარდია

ნაწილი პირველი

ჯერ წვრილი თოვლი წამოაყარა, მერე მსხვილ-მსხვილი ფანტელები წამოუშინა. ქარი აღმუვლდა: ატყდა ქარბუქი. ქუფრი ცა მეყსეულად თოვლის ზღვას შეერია.



ყოველივე გაქრა.

- ეჰე, ბატონო, - შესძახა მეეტლემ, - ვერ არის კარგი ამბავი: ქარბუქია.

„კაპიტნის ქალიშვილი“.

და განისაჯნეს მკუდარნი წერილთა მათგან წიგნთა მათ შინა საქმეთაებრ მათთა...

1

დიადი და შემზარავი იყო წელი 1918 ქრისტეს შობიდან, ხოლო რევოლუციის დაწყებიდან წელი მეორე. ზაფხულს არ აკლდა სიუხვე მზისა, ზამთარს - თოვლისა, ცაზე კი უჩვეულოდ მაღლა იდგა ორი ვარსკვლავი: მწყემსთა მნათობი - ვენერა და მეწამული, მთრთოლარე მარსი.

მაგრამ დღეები მშვიდობიანსა და სისხლიან წლებშიც ისრებივით მიისწრაფიან და ახალგაზრდა ტურბინებმა ვერც შეამჩნიეს, თოშითა და სუსხით როგორ შემოდგა თეთრქურქიანი დეკემბერი. ო, ჩვენო თოვლის პაპავ, ფიფქებითა და ბედნიერებით გაბრწყინებულო! დედაჩემო, სხივნათელო დედოფალო, ნეტავ სადა ხარ?

როცა ერთი წელი მიიწურა, რაც ელენე ტურბინა კაპიტან სერგეი ივანოვიჩ ტალბერგზე დაქორწინდა, მას შემდეგ კი, რაც უფროსი ვაჟი ალექსეი ვასილიევიჩ ტურბინი ლაშქრობებსა და სამსახურში გადატანილი ჭირ-ვარამის შემდეგ უკრაინაში, თავის ქალაქს, მშობლიურ ბუდეს დაუბრუნდა, ჯერ ერთი კვირაც არ იყო გასული, თეთრ კუბოში ჩასვენებული დედა ალექსეევის ციცაბო დაღმართზე ჩაატარეს და პოდოლის ნიკოლოზ კეთილის პატარა ეკლესიაში დაასვენეს, ვზვოზზე რომაა.

როცა დედას წესს უგებდნენ, მაისი იდგა, ისრისებრი სარკმლები ერთიანად ალუბლებსა და აკაციებს დაეხურა. დამწუხრებული და შეცბუნებული მამა ალექსანდრე ბორძიკობდა, მისი სამოსელი ოქროსფერ შუქზე ბრწყინავდა და ლივლივებდა, ჭრაჭუნა ჩექმის წვინტებამდე მოოქრულ-მოოჭვილი, თავ-კისერგალურჯებული დიაკონი კი შვილებს განშორებული დედის თავთან კუმტად, ბუბუნით წარმოთქვამდა სულთათნას.

ძველი, ყავისფერი წმინდა ნიკოლოზის ფეხებთან იდგნენ ალექსეი, ელენა, ტალბერგი, ტურბინების ოჯახში გაზრდილი ანიუტა და დედის სიკვდილით გაოგნებული, მარჯვენა წარბზე ქოჩორჩამოშლილი ნიკოლკა. მისი გრძელი, ნისკარტივით ცხვირის აქეთ-იქით ჩამსხდარი ცისფერი თვალებიდან დაბნეულობა და გულმოკლულობა გამოსჭვიოდა. ხანდახან თვალების ხამხამით კანკელსა და ბინდბუნდში ჩაძირული საკურთხევლის თაღს მიაჩერდებოდა, საიდანაც მწუხარე, იდუმალეებით მოცული მოხუცი ღმერთი იცქირებოდა. ასე რატომ უნდა დაიჩაგრონ? რა უსამართლობაა? რატომ წაართვეს დედა, როცა ყველამ თავი მოიყარა, როცა ცოტა შვება იგრძნეს?

შავი, დაბზარული ცისკენ გაფრენილი ღმერთი პასუხს არ იძლეოდა, თავად ნიკოლკამ კი ჯერ არ იცოდა, რომ რაც ხდება, ყველაფერი ისე ხდება, როგორც საჭირო და უმჯობესია.

წესის აგება დასრულდა, კარიბჭის მოგუგუნე ფილაქანი გაიარეს, დედა მთელ უზარმაზარ ქალაქზე გაატარეს და სასაფლაოზე მიაცილეს, სადაც შავი მარმარილოს ჯვრის ქვეშ, რა ხანია, მამა განისვენებდა. დედაც დამარხეს.

ეჰ... ეჰ...

*

დედის სიკვდილამდე მრავალ წელს ალექსეევის დაღმართზე №13 სახლში შორენკეცებიანი ღუმელი ათბობდა პატარა ელენკას, უფროს ალექსეისა და ციცქნა ნიკოლკას. გავარვარებულ შორენკეცებიან ღუმელთან ხშირად კითხულობდნენ „საარდამელ დურგალს“, საათი გავოტს უკრავდა, ხოლო დეკემბრის მიწურულს მუდამ წიწვის სუნი იდგა და მწვანე შტოებზე ნაირფერი პარაფინის სანთლები ენთო. როცა დედის ამჟამად კი ელენას საწოლ ოთახში ბრინჯაოს საათი გავოტს უკრავდა, სასადილო ოთახიდან კედლის შავი საათი კომპისებური რეკვით ბანს აძლევდა. ეს საათები მამამ დიდი ხნის წინ იყიდა, როცა ქალები სასაცილო, მხრებთან აბუშტულ სახელოებს ატარებდნენ. ასეთი სახელოები გაქრა, დრომ ნაპერწკალივით გაიელვა. პროფესორი მამა გარდაიცვალა, ყველანი დაიზარდნენ, საათი კი ისეთივე დარჩა და ისევ კომპისებურად რეკავდა. საათს ისე მიეჩვივნენ, რაღაც სასწაულით კედლიდან რომ გამქრალიყო, ყველა დაღონდებოდა, თითქოს მშობლიური ხმა გაქრა და ცარიელ ადგილს ვერაფერი შეავსებსო. მაგრამ, საბედნიეროდ, საათი უკვდავია, უკვდავია საარდამელო დურგალიცა და ჰოლანდიური შორენკეციც, ბრძენ კლდესავით გაჭირვების ჟამს მაცოცხლებელი და მხურვალე.

აი, ეს შორენკეცი, წითელ ხავერდგადაკრული ძველი ავეჯი, მოელვარე ბუნიკებიანი საწოლები, ჭრელი და ჟოლოსფერი გაცრეცილი ხალიჩები, ერთზე ალექსეი მიხაილოვიჩი რომ იყო გამოსახული ხელზე დასმული შავარდნით, მეორეზე

სამოთხის ბაღში ხავერდოვანი ტბის პირას მონებივრე ლუი XIV, თურქული ნოხები აღმოსავლურ ფონზე საოცარი ხვეულებით, პატარა ნიკოლკას რომ ეზმანებოდა, როცა ქუნთრუშაშეყრილი აბოდებდა, აბაჟურიანი ბრინჯაოს ლამპა, ამქვეყნად საუკეთესო წიგნებიანი კარადები, ძველებური შოკოლადის იდუმალი სურნელი რომ ასდიოდა, წიგნები ნატამა როსტოვზე და კაპიტნის ქალიშვილზე, მოოქრული ფინჯნები, ვერცხლეული, სურათები, ფარდები - ახალგაზრდა ტურბინების გამომზრდელი, მტვრიანი და ავეჯით გამოტენილი შვიდი ოთახი. - ყოველივე ეს ყველაზე ძნელ ჟამს დედამ შვილებს დაუტოვა. უკვე სულშეხუთულმა და ძალამილეულმა, ატირებულ ელენას მკლავს ჩაჭიდებულმა, ძლივსლა ამოთქვა: - მეგობრულად... იცხოვრეთ.

*

მაგრამ როგორ, როგორ იცხოვრონ?

ალექსეი ტურბინს - ახალგაზრდა ექიმს - ოცდარვა წელი შეუსრულდა, ელენა ოცდაოთხისაა, მისი ქმარი კაპიტანი ტალბერი ოცდათერთმეტის, ხოლო ნიკოლკა - ჩვიდმეტ-ნახევრისა. ცხოვრებამ სწორედ გარიჟრაჟზე უმუხთლათ. რა ხანია, ჩრდილოეთიდან ქარიშხალმა დაჰქროლა, ქრის, ქრის, აღარ ჩერდება და, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძალას იკრებს. უფროსი ტურბინი მშობლიურ ქალაქში მას მერე დაბრუნდა, რაც პირველმა ზათქმა დნეპრისპირა მთები შეძრა. ფიქრობდა, ქვეყნიერება დაწყნარდება და ის ცხოვრება დაიწყება, შოკოლადისსურნელიან წიგნებში რომ არის აღწერილიო, მაგრამ იმგვარი ცხოვრება არა თუ არ იწყებოდა, ირგვლივ ყოველივე სულ უფრო შემზარავი ხდებოდა. ჩრდილოეთში ქარიშხალი ბობოქრობდა და ბობოქრობდა, აქ კი ფეხქვეშ ყრუდ გუგუნებდა და ბუზუნებდა დედამიწის შემფოთებული წიაღი. თვრამეტი წელი დასასრულისაკენ მიექანებოდა, დღითიდღე უფრო შმაგდებოდა და იეკლებოდა.

*

დაემხო კედლები, დამფრთხალი შავარდენი თეთრ ხელთათმანს მოსწყდება და გაფრინდება, ბრინჯაოს ლამპის შუქი ჩაქრება, ხოლო „კაპიტნის ქალიშვილს“ ღუმელში ჩაწვავენ.

დედამ შვილებს უთხრა, იცხოვრეთო...

ისინი კი უნდა იტანჯონ და დაიხოცონ.

ერთხელ შებინდებისას, დედის დასაფლავებიდან ორიოდე დღის შემდეგ, ალექსეი ტურბინი მამა ალექსანდრესთან მივიდა და უთხრა - გულმოკლული ვარ, მამაო ალექსანდრე, დედის დავიწყება არ ძალგვიძს, თანაც ასეთი საშინელი დროა... რაც მთავარია, ახლახან დავბრუნდი, ვფიქრობდი, ცხოვრებას ავაწყობთ-მეთქი და ხედავთ...

იგი დადუმდა და ჩაფიქრდა მაგიდასთან მჯდარი. ბინდბუნდში სადღაც შორს იცქირებოდა. ხეთა ტოტები ეკლესიის ეზოში მდგარ მღვდლის პატარა სახლს ჩამოფარებოდა. გეგონებოდათ, რომ წიგნებით გამოტენილი, ვიწრო კაბინეტის კედლის მიღმა გაზაფხულზე რტოაყრილი, იდუმალებით მოცული დაბურული ტყე იწყებოდა... ქალაქი სადამოსებურად ყრუდ გუგუნებდა, ირგვლივ იასამნის სურნელება იფრქვეოდა.

- რას იზამ, რას იზამ, - დარცხვენით ჩაიბუტბუტა მღვდელმა (მას ყოველთვის სიმორცხვე ეუფლებოდა, როცა ვინმეს ესაუბრებოდა) - ღვთის ნებაა.

- იქნებ ყოველივე როდისმე დამთავრდეს? იქნებ მერე უკეთესობა იყოს? - თავისთვის ჩაილაპარაკა ტურბინმა.

მღვდელი სავარძელში შეირხა.

- ძნელი, ძნელი დრო დაგვიდგა, რაღა სათქმელია, - ჩაიბუტბუტა მან, - მაგრამ სასოწარკვეთას არ უნდა მივცეთ...

მერე ანაზღად ანაფორის შავი სახელოდან თეთრი ხელი გამოსწია, წიგნების დასტას დააყრდნო და ზედა წიგნი იმ გვერდზე გადაშალა, სადაც ფერადი, ნაქარგი სანიშნი იყო ჩადებული.

- სასოწარკვეთის უფლება თავს არ უნდა მივცეთ - დარცხვენით, მაგრამ როგორღაც ძალზე დამაჯერებლად ჩაილაპარაკა მან. - სასოწარკვეთა დიდი ცოდვია... თუმცა მგონია, რომ განსაცდელი კიდევ მოგველის. უთუოდ, უთუოდ დიდი განსაცდელი, - იგი სულ უფრო დამაჯერებლად ლაპარაკობდა, - იცი რა, ამ ბოლო ხანს წიგნებს ვუზივარ, რა თქმა უნდა, უმეტესად საღვთო წიგნებს...

მან წიგნი ისე ასწია, სარკმლიდან შემოჭრილი უკანასკნელი შუქი გადაშლილ გვერდს რომ დასცემოდა, და წაიკითხა: - „და მესამემან ანგელოზმან ლანკნაი თვისი დასთხია მდინარეთა ზედა და წყაროთა ზედა წყალთასა, და გარდაიქცეს სისხლად“.

2

მამ ასე, იდგა თეთრქურქიანი დეკემბერი. შუა თვე სწრაფად ახლოვდებოდა. დათოვლილ ქუჩებში უკვე იგრძნობოდა შობის ანარეკლი. თვრამეტი წელი მალე დასრულდებოდა.

საუცხოოდ ნაგები № 13 ორსართულიანი სახლის ზემოთ (ტურბინების ბინა ქუჩიდან მეორე სართულზე იყო, ხოლო პატარა დაფერდებული წყნარი ქუჩის მხრიდან - პირველ სართულზე), ციცაბო მთის ძირას მიყუჟულ ბაღში, ხეებს შტოები თათებივით ჩამოემვათ, მთა მიინამქრა, ეზოში მდგარი ფარდულები ჩამოიბარდნა და უზარმაზარ შაქრის თავებს დაემსგავსა. სახლს თეთრი გენერლის ქუდი ჩამოეფხატა, ქვედა სართულში (ქუჩის მხრიდან პირველში, ეზოს მხრიდან, ტურბინების აივნის ქვეშ - სარდაფში) მოყვითალო, სუსტი შუქი ააბჟუტა ინჟინერმა და ლაჩარმა, ბურჟუამ და უსიამოვნო კაცმა, ვასილი ივანოვიჩ ლისოვიჩმა, ზედა სართულზე კი მძლავრად და მხიარულად გაჩახჩახდა ტურბინების ფანჯრები.

შებინდებისას ალექსეი და ნიკოლკა ფარდულიდან შეშის გამოსატანად წავიდნენ.

- ეჰ, ეჰ, რა ცოტა შეშა გვაქვს. დღესაც მოუპარავთ, შეხედე.

ნიკოლკას ელექტროფარნიდან ცისფერი კონუსი გამოიჭრა და ამ კონუსში გამოჩნდა, რომ კედლიდან ფიცრები აშკარად აეგლიჯათ და გარედან სახელდახელოდ მიეკრათ.

- ახი არ იქნება, რომ მივახვრიტოთ ის ეშმაკის კერძები! ღმერთმანი! იცი რა? მოდი, ამაღამ ჩავუსაფრდეთ! ვიცი, მეწაღეები არიან თერთმეტი ნომრიდან. ოჰ, ეს არამზადები! არადა, ჩვენზე მეტი შეშა აქვთ.

- ერთი იმათი, წამოდი, წავიდეთ.

ჩაქანგული ბოქლომი აღრჭიალდა, ძმებს მტვერი დაეყარა. შეშა გაათრიეს. ღამის ცხრა საათზე საარდამულ შორენკეცებს ხელს ვეღარ მიაკარებდი.

მშვენიერი ღუმლის თვალისმომჭრელ ზედაპირს ამშვენებდა შემდეგი ისტორიული ჩანაწერები და ნახატები, ნიკოლკას ხელით თვრამეტი წლის სხვადასხვა დროის ტუშით შესრულებული, ღრმაზე ღრმა აზრითა და მნიშვნელობით აღსავსე: თუ გითხრეს, რომ მოკავშირეები ჩვენს სახსნელად მოისწრაფვიან, - არ დაიჯერო. მოკავშირეები ნაძირალები არიან.

ვაჟბატონი ბოლშევიკებს თანაუგრძნობს.

ნახატი: მომუსის სიფათი.

წარწერა: „ულანი ლეონიდ იურევიჩი“.

დაირხა მრისხანე, საზარი ხმები, შემოგვესევინა წითელი ბანდები!

საღებავებით ნახატი: ლურჯფოჩა ფაფახიანი თავი, ჩამოყრილი უღვაშები.

წარწერა: „დასცხე პეტლიურას!“

ტურბინთა ძველი, გულითადი, ბავშვების მეგობრებისა და ელენას ხელით ზოგან საღებავით, ზოგან ტუშით, მელნითა თუ ალუბლის წვენიტ წაწერილია: ელენა ვასილიევნას ძალიან ვუყვარვართ.

ვინ - კი, ვინ - არა.

ლენოჩკა, აიდაზე ბილეთი ავიღე, ბელეტაჟი №8, მარჯვენა მხარე.

1918 წლის 12 მაისიდან შეყვარებული ვარ.

თქვენ მსუქანი და ულამაზო ხართ.

ეგ სიტყვები თავს მომაკვლევინებს.

დახატულია ბრაუნინგი, ძალზე მიმგვანებული.

გაუმარჯოს რუსეთს!

გაუმარჯოს თვითმპყრობელობას!

ივნისი. ბარკაროლა.

და ბოროდინოს დღე საკვირველი

მთელ რუსეთს მარად ემახსოვრება!

ნიკოლას ხელით, ბეჭდური ასოებით: მე მაინც ვბრძანებ, ყოველი ამხანაგის დახვრეტისა და უფლებათა ჩამორთმევის მუქართ, ღუმელზე გარეშე რაღაცეების წარწერა აიკრძალოს. პოდოლის რაიკომის კომისარი. მანდილოსნების, მამაკაცებისა და ქალების თერძი აბრამ პრუჟინერი.

Owelly Library

1918 წელი, 30 იანვარი.

მოხატული შორენკეები ვარვარებს. შავი საათი ისევ ტაკტაკებს, როგორც ოცდაათი წლის წინათ: ტაკ-ტუკ. ქერათმიანი, წვერგაპარსული, 1917 წლის 25 ოქტომბრის მერე მოხერხებული და მოღუმული უფროსი ტურბინი სავარძელში ჩვეულებისამებრ ფეხბაკცილი მოკალათებულა, უზარმაზარჯიბეებიანი ფრენჩი, ლურჯი რეიტუზი და ახალი, რბილი ფეხსაცმელი აცვია. მის ფეხებთან პატარა სკამზე პატარა ნიკოლკა ზის, ფეხები თითქმის ბუფეტამდე გაუწვდენია - სასადილო ოთახი პატარაა. ფეხზე აბზინდებიანი ჩექმა აცვია. ნიკოლკას მეგობარი გიტარა ნაზად და ყრუდ ჟღერს: ტამ... გაურკვევლად: ტამ... რადგან ჯერჯერობით ხომ რიგიანად არაფერია ცნობილი. ქალაქს ბუნდოვანი, ავის მომასწავებელი წინათგრძნობა დაუფლებია.

ნიკოლკას მხრებზე უნტერ-ოფიცრის თეთრზოლიანი სამხრეები აკერია, მარცხენა სახელოზე კი მახვილკუთხა სამფეროვანი შევრონი (პირველი ქვეითი ლაშქარი, მესამე განყოფილება. წარმოქმნილ ვითარებათა გამო მეოთხე დღეა ყალიბდება).

მაგრამ ამ ვითარებათა მიუხედავად სასადილო ოთახში ყოფნა, მართალი რომ ითქვას, საამოა. ცხელა, სიმყუდროვეა, კრემისფერი ფარდები ჩამოფარებულია. ძმებს ღუმლის სიმხურვალე ათბობს და თენთავს.

უფროსმა ძმამ წიგნი დააგდო, გააზმორა.

- აბა, „აგეგმვა“ დაუკარი...

ტამ-ტა-ტამ... ტამ-ტა-ტამ...

ჩექმა ფასონური, ქუდიც ფასონური, იუნკერ ინჟინრები მოდიან!

უფროსმა ძმამ ხმა ააყოლა. კუმტად იმზირება, მაგრამ თვალებში უკვე ცეცხლი უკრთის, მარღვებში სისხლი უდუღს. თუმცა ხმადაბლა, ბატონებო, ხმადაბლა, ხმადაბლა.

სალამი აგარაკებს...

სალამი აგარაკებს...

ჟღერს გიტარის მარში. სიმებიდან ასეული მოისწრაფვის. ინჟინრები მოდიან - ერთი, ერთი! ნიკოლკას თვალები იხსენებენ.

ალექსანდრეს სასწავლებლის ჩამოღადრული სვეტები, ქვემეხები. იუნკრები ერთი ფანჯრიდან მეორეზე მუცელზე გაწოლილნი მიხობხვენ, მომხდურებს სროლით იგერიებენ. ფანჯრებში ტყვიამფრქვევებია.

სასწავლებელს ჯარისკაცთა ალყა ღრუბელივით, მართლაც ღრუბელივით შემოგრაგნია. რას იზამ, შეშინდა გენერალი ბოგოროდიცკი და დანებდა, იუნკრებიანად დანებდა. ვაი, სირხცვილო...

სალამი აგარაკებს, სალამი აგარაკებს, აგეგმვა, რა ხანია, დავიწყეთ.

ნიკოლკას თავლები ენისლება.

უკრაინის ოქროსფერ ველებს ალმური სვეტ-სვეტად ასდის. მტვერში მიაბიჯებენ იუნკერთა დამტვერილი ასეულები. იყო ყოველივე ეს, იყო და აღარ არის. რა თავის მოჭრაა! რა უაზრობაა!

ელენამ ფარდა გადასწია და შავ ჭრილში მისი ოქროსფერი თმა გამოჩნდა. ძმებს ალერსიანი, საათს კი შეშფოთებული, ძალზე შეშფოთებული მზერა მიაპყრო. გასაგებიცაა. მართლაცდა, სად არის ტალბერგი? ელენა ღელავს.

დააპირა, ძმებისთვის ხმა აეყოლებინა, რათა მღელვარება დაემალა. მაგრამ უცებ შეჩერდა და თითი მალა ასწია.

- მოიცათ, გესმით?

ასეულმა ნაბიჯი შვიდივე სიმზე შეაჩერა: სდე-ექ! სამივემ ყური მიუგდო. დარწმუნდნენ - ქვემეხებია! მძიმედ, შორს და ყრუდ ისვრიან. აი, კიდეც - ბუ-უჰ... ნიკოლკამ გიტარა დადო და სწრაფად წამოდგა, ხვნეშით წამოიძარა ალექსეიც.

სასტუმრო-მისაღებში სრულიად ბნელა. ნიკოლკა სკამს დაეჯახა. ფანჯრებში ჭეშმარიტად ოპერა „შობა ღამეა“ - თოვლი და მოცახცახე, მოციმციმე შუქი. ნიკოლკა ფანჯარას მიეკრა. თვალთაგან გაქრა ალმურის სვეტები და სასწავლებელი... ყურთასმენად იქცა. საიდან ისმის? უნტერ-ოფიცრული მხრები შეარხია.

- ეშმაკმა უწყის, ასე მგონია, თითქოს სვიატომინოსთან ისვრიან. საკვირველია, ასე ახლოს არ უნდა ისროდნენ.

ალექსეი სიბნელეშია, ელენა კი ფანჯარასთან ახლოს დგას და ჩანს, რომ თვალეში შიშისაგან ჩამუქებია. ეს რას ნიშნავს, ტალბერგი აქამდე რომ არ მოდის? უფროსი ძმა მის მღელვარებას გრძნობს და ამიტომ არაფერს ამბობს, თუმცა ძალიან კი უნდა, რაღაც თქვას. სროლის ხმა სვიატომინოდან მოდის. საეჭვოც არ არის, რომ ასეა. ქალაქიდან არა უმეტეს თორმეტ ვერსზე ისვრიან. რა ხდება?

ნიკოლკამ ცალი ხელი შპინგალეტს ჩასჭიდა, ცალით კი მინას ისე მიაწვა, თითქოს უნდა გაამტვრიოს და გარეთ გავარდესო. ცხვირიც ზედ მიაჭყლიტა.

- ერთი იქ მიმიყვანა და გამაგებინა, რა ხდება...

- ჰო, შენდა აკლიხარ... - უთხრა ნიკოლკას ელენამ.

ხმაზე შეშფოთება ეტყობა. ეს რა უბედურებაა. მისი ქმარი ყველაზე გვიან, გესმით, - ყველაზე გვიან დღეს სამ საათზე უნდა დაბრუნებულიყო. ახლა კი უკვე ათი საათია.

სასადილო ოთახში მდუმარედ დაბრუნდნენ. გიტარა კუმტად დუმს. ნიკოლკას სამზარეულოდან სამოვარი შემოაქვს. სამოვარი ავბედიტად წივის, იფურთხება.

მაგიდაზე ჩამორიგებული, მოჩუქურთმებული სვეტის მოყვანილობის ფინჯნები გარედან ნაზი ყვავილებითაა მოხატული, შიგნიდან კი ოქროთია დაფერილი. დედის, ანა ვლადიმროვნას სიცოცხლეში ეს ოჯახის სადღესასწაულო სერვიზი იყო, ახლა კი შვილებმა საყოველღეოდ აქციეს. თუმცა ქვემეხები გრუხუნებს, თუმცა უილაჯობა, მშფოთვარება და არეულობა სუფევს, სუფრა მაინც გაქათქათებული და გახამებულია. ეს ელენას წყალობითაა, სხვაგვარად მოქცევა რომ არ შეუძლია, ეს ტურბინების ოჯახში გაზრდილი ანიუტას წყალობითაა. იატაკი პრიალებს და ახლაც, დეკემბერში, მაგიდაზე მქრქალი ფერის ასვეტილ ლარნაკში ცისფერი ჰორტენზიები და ორი უკარება, ელვარე ვარდი აწყვია სილამაზისა და სიცოცხლის ურყეობის დასტურად, თუმცა ქალაქის მისადგომებთან მზაკვარი მტერია, რომელსაც ძალუძს, დათოვლილი მშვენიერი ქალაქი დააქციოს და სიმშვიდის ნამსხვრევები ფეხით გათელოს. ყვავილები ელენას ერთგული თაყვანისმცემლის, გვარდიის პორუჩიკ ლეონიდ იურიევიჩ შერვინსკის მორთმეულია - სახელგანთქმულ საკანფეტე „მარკიზასა“ და მყუდრო საყვავილე მაღაზია „ნიცას ფლორის“ გამყიდველი ქალების მეგობრისა. ჰორტენზიის ჩრდილქვეშ ლურჯნაყმიან თეფშზე ძეხვის რამდენიმე ნაჭერი აწყვია, გამჭირვალე საკარაქეში კარაქია, სანამცხვრეში პილა-ფრაჟე და მოგრძო თეთრი პური. გემრიელად წაიხემსებდნენ და ჩაის დალევდნენ, ეს უკუღმართი ვითარება რომ არ ყოფილიყო... ეჰ...ეჰ...

ჩაიდანზე ღაზლის ჭრელი მამალი ამხედრებულა, ხოლო სამოვრის მოელვარე ფერდზე ტურბინების სამი დამახინჯებული სახე ირეკლებოდა და ამ ანარეკლში ნიკოლკას ლოყები მომუსს მიუგავს.

ელენას თვალებში სევდა ჩასდგომია, ოქროსფერი კულულები მჭმუნვარედ ჩამოშლია.

ტალბერგი სადღაც ჩარჩა ჰეტმანის მატარებელთან და ფულთან ერთად და სადამო ჩაუმწარა. ეშმაკმა უწყის, ხიფათს ხომ არ გადაეყარა?.. ძმები უხალისოდ ღეჭავენ ბუტერბროდებს. ელენას წინ ფინჯანი და „სანფრანცისკოელი ბატონი“ უდევს, ჩაი უცივდება. დანისლული თვალები ვერაფერს ხედავენ, ისე დასცქერენ სიტყვებს: უკუნეთი, ოკეანე, ქარიშხალი.

ელენა არ კითხულობს.

ნიკოლკამ თავი ველარ შეიკავა; - ნეტა ვიცოდე, ასე ახლოს რატომ ისვრიან? ხომ შეუძლებელია, რომ...

სიტყვა თვითონვე გაწყვიტა, შეირხა და სამოვარზე მისი ანარეკლი დამახინჯდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ისარი მეთე წუთს გადასცდა. ტაკ-ტუკ - თერთმეტის თხუთმეტ წუთს უახლოვდება.

- იმიტომ ისვრიან, რომ გერმანელები არამზადები არიან, - მოულოდნელად ჩაიბუზღუნა უფროსმა ძმამ.

ელენამ თავი ასწია, საათს შეხედა და იკითხა: - ნუთუ ბედის ანაბარას მიგვატოვებენ?

ხმა ნაღვლიანი აქვს.

ძმებმა თავი ერთდროულად ისე შეატრიალეს, თითქოს ბრძანება ესმათო, დის მოტყუებას მოჰყვნენ.

- არავინ არაფერი უწყის, - თქვა ნიკოლკამ და ბუტერბროდი მოკბიჩა.

- ეს ისე ვთქვი, ჰმ... სავარაუდოდ. ჭორია.

- არა, ჭორი არ არის, - ჯიუტად უპასუხა ელენამ, - ჭორი კი არა, სიმართლეა. დღეს შჩეგლოვა შემხვდა და მითხრა, ბოროდიანკიდან გერმანელების ორი პოლკი დააბრუნესო.

- სისულელეა.

- აბა, თავად დაფიქრდი, - წამოიწყო უფროსმა ძმამ, - განა შესაძლებელია, გერმანელებმა ის ნაძირალა ქალაქთან მოუშვან? ჰო, დაფიქრდი. მე თავად ვერც წარმომიდგენია, რომ ეგენი იმას ერთი წუთით მაინც შეეგუონ. რა სისულელეა, გერმანელები და პეტლიურა. თვითონაც ხომ ყაჩაღს ეძახიან. სასაცილოა.

- ეჰ, რას ამბობ. ახლა კი ვიცი, გერმანელები რაინც არიან. საკუთარი თვალით ვნახე რამდენიმე, წითელი ბაფთა რომ ეკეთათ, მთვრალი უნტერ-ოფიცერი კი ვიღაც ქალთან ერთად მოდიოდა. ქალიც მთვრალი იყო.

- რა მოხდა მერე? გახრწნის ცალკეული შემთხვევები, შესაძლებელია, გერმანელების ჯარშიაც კი იყოს.

- მაშ, თქვენი აზრით, პეტლიურა ქალაქში ვერ შემოვა?

- ჰმ... მე მგონი, ეს შეუძლებელია.

- აპსოლმან[1], გეთაყვა, ერთი ჭიქა ჩაი კიდევ დამისხი. ნუ ღელავ, როგორც იტყვიან, გული საგულეს იქონიე.

- ღმერთო ჩემო, მაშ სერგეი რა იქნა? ნამდვილად იმათ მატარებელს თავს დაესხნენ და...

- აბა რას ამბობ? რაღას არ მოიგონებ! რკინიგზა ხომ სრულიად თავისუფალია.

- მაშ რატომ არა ჩანს?

- ღმერთო ჩემო! ხომ იცი, მატარებელი როგორ დადის? ყოველ სადგურზე ალბათ ოთხ-ოთხი საათი დგანან.

- რევოლუციურად დადიან. ერთ საათს ივლიან, ორ საათს დგანან.

ელენამ მძიმედ ამოიოხრა, საათს შეხედა, ცოტახანს ჩუმად იჯდა და მერე თქვა: - ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! გერმანელები უსინდისოდ რომ არ მოქცეულიყვნენ, ყველაფერი საუცხოოდ იქნებოდა. იმათი ორი პოლკიც იკმარებდა, რომ ეგ თქვენი პეტლიურა ბუზივით გაესრისათ. არა, ვგრძნობ, რომ გერმანელები მზაკვრულად ორპირობენ. სად არიან ნაქებ-ნადიდები მოკავშირეები? უჰ-უჰ, ის არამზადები, გვპირდებოდნენ, გვპირდებოდნენ და...

სამოვარი, აქამდე რომ დუმდა, მოულოდნელად ამღერდა. დანავლებული ნაკვერცხლები ლანგარზე გადმოცვივდა. ძმებმა უნებურად ღუმელს გახედეს. აი პასუხი. ინებეთ: მოკავშირეები ნაძირლები არიან.

ისარი თხუთმეტ წუთზე შეჩერდა, საათმა დაიგრიხინა და ერთხელ ჩამოჰკრა. იმავე წამს საათს შემოსასვლელში, ჭერქვემოთ, გაბმული წკრიალი აჰყვა.

- მადლობა ღმერთს, სერგეიც მოვიდა, - თქვა გახარებულმა უფროსმა ძმამ.

- ტალბერგია, - დაუმოწმა ნიკოლკამ და კარის გასაღებად გაიქცა. ელენა წამოწითლდა, წამოდგა.

თურმე ტალბერგი არ ყოფილიყო. სამი კარი გაჯახუნდა და კიბეზე ყრუდ გაისმა განცვიფრებული ნიკოლკას ხმა. შემდეგ ვიღაცის ხმა. ამ ხმებს მოჰყვა კიბეზე დანალული ჩექმებისა და კონდახის ბრაგუნის. წინკარში სიცივე შემოიჭრა და ალექსეისა და ელენას წინაშე მაღალი, მხარბეჭიანი, კოჭებამდე ჩაშვებული მაზარით შემოსილი კაცი წარსდგა. ხაკისფერ სამხრეებზე ქიმიური ფანქრით პორუჩიკის სამი ვარსკვლავი ეხატა, ყაბალახი შეჭირხლოდა, ყავისფერხიშტიანი მძიმე შაშხანა მთელ შემოსასვლელში გახიროლიყო.

- გამარჯობათ, - ჩახრინწული ტენორით წაიმღერა მოსულმა და გაფიჩხებული თითები ყაბალახს ჩასჭიდა.

- ვიტია!

ნიკოლკა სტუმარს ნასკვის გახსნაში მიეხმარა. ყაბალახი ჩასრიალდა, ყაბალახს ოფიცრის ჩასუქებულკოკარდიანი მრგვალი ქუდი მიჰყვა და უზარმაზარი მხარბეჭის ზემოთ პორუჩიკ ვიქტორ ვიქტოროვიჩ მიშლავესკის თავი გამოიკვეთა - ძალიან ლამაზი, უცნაური, სევდიანი და მიმზიდველი სილამაზის თავი, მაწიყებელი ძველი, წმინდა ჯიშისა, გადაგვარება რომ უწერია. ლამაზი იყო მისი სხვადასხვაფერი, სიმამაცით აღსავსე თვალები და გრძელი წამწამები. ცხვირი კეხიანი, ტუჩები გორგოზი, შუბლი თეთრი და გადატკეცილი, განსაკუთრებული ნიშნების უქონელი. ტუჩების ერთი კუთხე ნაღვლიანად ჰქონდა ჩამოწეული, ხოლო ნიკაპი ირიზად წაკვეთილი, თითქოს მოქანდაკეს ამ კეთილშობილი თავის გამოძერწვისას შლეგური ფანტაზია აღძვრია, თიხის ფენა წაუთლია და ვაჟკაცური სახისთვის პატარა, ქალური ნიკაპი დაუტოვებიაო.

- საიდან მოდიხარ?

- საიდან?

- ნელა, - სუსტი ხმით უპასუხა მიშლავესკიმ, - არ გატეხო. მანდ არაყის ბოთლია.

ნიკოლკამ ფრთხილად ჩამოკიდა მძიმე მაზარა, რომლის ჯიბიდან გაზეთის ნაგლეჯში შეხვეული ბოთლის ყელი მოჩანდა. მერე ხისბუდიანი მძიმე მაუზერი ჩამოკიდა, რამაც ირმისრქიანი საკიდი შეარყია. მიშლავესკი ელენას ახლალა მიუბრუნდა, ხელზე აკოცა და უთხრა: - წითელ დუქანთან ვიყავით. ლენა, ღამე გამათევინე. შინამდე მისვლის თავი აღარ მაქვს.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა.

მიშლაევსკიმ უცებ დაიკვნესა, შეეცადა ხელებზე დაეორთქლებინა, მაგრამ ტუჩები არ დაემორჩილა. თეთრმა წარბებმა და ჭირხლით გაჭალარავებულმა შეკრეჭილი ულვაშების ხავერდოვანმა ყაითანმა დნობა იწყო და სახე დაუსველა. უფროსმა ტურბინმა ფრენი გაუხსნა, ნაკერზე თითი ჩაატარა და ჭუჭყიანი პერანგი ამოუჩაჩა.

- რა თქმა უნდა... სავსეა, ფუთფუთებენ.

- აბა, ჩქარა! - შეშინებული ელენა დაფაცურდა, ტალბერგი წამით გადაავიწყდა. - ნიკოლკა, სამზარეულოში შემა ყრია. გაიქეცი, ქურა შეანთე. ნეტავი, ანიუტა არ გამეშვა. ალექსეი, სწრაფად ფრენი გახადე.

სასადილო ოთახში, შორენკეცებთან, მიშლაევსკი სკამზე დაეგდო და კვნესით გული მოიოხა. ელენა აქეთ-იქით დარბოდა და გასაღებებს აჩხაკუნებდა. ტურბინმა და ნიკოლკამ ჩაიჩოქეს და მიშლაევსკის წვივებზე აბზინდით დამაგრებული ვიწრო, კოხტა ჩექმები გაადრეს.

- მომეშვა... უჰ, მომეშვა...

მოხსნეს მყრალი, დალაქავებული ფეხსახვევები, გამოჩნდა სოსანი აბრეშუმის წინდები. ნიკოლკამ ფრენი უმალ გაყინულ აივანზე გაიტანა, რომ ტილები დახოცილიყვნენ. ძალზე ჭუჭყიანი ბატისტის პერანგის, გადაჯვარედინებული შავი აჭიმებისა და პაჭანაკიანი ლურჯი ბრიჯისამარა დარჩენილი მიშლაევსკი თითქოს დაპატარავდა. ავადმყოფური და შესაბრალისი შესახედაობა მიეცა. გალურჯებული ხელები შორენკეცებზე ატყაპუნდა და ათამაშდა.

...დაირხ. მრისხ...

შემოგვ... ბანდა...

შეყვარებული... მაისიდან...

- რა უნამუსობაა! - დაიყვირა ტურბინმა. - ნუთუ არ შეეძლოთ, თექის ჩექმები და ჯუბაჩები მოეცათ?

- თექის ჩექ... მები, - ტირილის ხმაზე გამოაჯავრა მიშლაევსკიმ, - თექის ჩექ...

სითბოზე ხელ-ფეხში აუტანელმა ტკივილმა დაუარა. როცა გაიგონა, ელენას ფეხის ხმა სამზარეულოში მიწყდაო, გაალმასებულმა ცრემლნარევი ხმით შეჰყვირა: - დუქანია!

ხმა ჩაეხრინწა, სკამზე მოკრუნჩხული მიეგდო, თითი წინდებისკენ გაიშვირა და დაიკვნესა: - გამხადეთ, გამხადეთ, გამხადეთ...

დენატურატის საძაგელი სუნი დადგა, ტაშტში თოვლის გორა დნებოდა, პორუჩიკმა მიშლაევსკიმ არაყი ღვინის ჭიქით გადაჰკრა და უცაბედად დათვრა, თვალები აემღვრა.

- ნუთუ მოსაკვეთია? ღმერთო ჩემო... - სავარძელში გამწარებით შეტოკდა.

- მოიცა, რას ამბობ. არაფერია... მაშ ასე. ცერა თითი ცოტა მოგყინვია. ჰო... გაგივლის. ეს თითიც მოგიჩეხა.

ნიკოლკა ჩაცუცქდა და მიშლაევსკის სუფთა შავი წინდები ჩააცვა. მიშლაევსკიმ კი გაშემებული ხელები ხაოიანი საბანაო ხალათის სახელოებში შეაცურა. შემთბარს ლოყები ალისფრად აუფორეჯდა. გაყინული პორუჩიკი მიშლაევსკი სუფთა საცვლებსა და ხალათში მოიბღუნდა, შეთბა და გამოცოცხლდა. მრისხანე, უწმაწური სიტყვები ოთახში ისე აგრიალდა, როგორც სეტყვა ფანჯრის რაფაზე. თვალეზდაელმებული მიშლაევსკი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა პირველი კლასის ვაგონებში მოკალათებულ შტაბს, ვიღაც პოლკოვნიკ შჩოტკინს, ყინვას, პეტლიურას, გერმანელებს, ქარბუქს, ბოლოს თვით სრულიად უკრაინის ჰეტმანიც უბინძურესი ქუჩური სიტყვებით შეამკო.

ალექსეი და ნიკოლკა უცქეროდნენ, შემთბარი პორუჩიკი კბილებს როგორ აკრაჭუნებდა, და დროდადრო შესმახებდნენ: - ო-ო-ჰო!

- ჰეტმანი, ჰა? უჰ, იმისი დედა! - ღმუოდა მიშლაევსკი. - კავალერგარდი? სასახლეში? ჰა? ჩვენ კი, როგორც გვეცვა, ისე გაგვრეკეს. ჰა? ერთი დღე და ღამე თოვლსა და ყინვაში გვამყოფეს... ღმერთო ჩემო!.. მეგონა, ყველანი გავწყდებოდით... უჰ, იმათი დედა! ას-ას საყენზე თითო ოფიცერი დაგვაყენეს... განა ამას მწკრივი ჰქვია? კინაღამ ქათმებივით გავგჟუჟეს!

- მოიცა, - უთხრა ამ ლანძღვა-გინებით გაოგნებულმა ტურბინმა, - მითხარ, წითელ დუქანთან ვინ არიან?

- უ-უჰ! - მიშლაევსკიმ ხელი ჩაიქნია. - რას გაიგებ! იცი, რამდენი ვიყავით წითელ დუქანთან? ორ-მო-ცი კაცი. მობრძანდა ის რეგენი - პოლკოვნიკი შჩოტკინი და გვითხრა (მიშლაევსკიმ სახე მოღრიცა, რომ საძულველ პოლკოვნიკ შჩოტკინისთვის მიებადა და სამაგელი, წვრილი ხმით აჩიფრიფდა): „ბატონო ოფიცრებო, მთელი ქალაქი თქვენს იმედზეა. გაამართლეთ რუსეთის ქალაქთა დედის, დასაღუპად განწირული დედის ნდობა. თუ მტერი გამოჩნდა, შეტევაზე გადადით! ღმერთია ჩვენი შემწე! ექვსი საათის შემდეგ ცვლას გამოგიგზავნით. მაგრამ გთხოვთ, ვაზნები დაზოგოთ...“ (მიშლაევსკიმ საკუთარი ხმით განაგრძო) - ჰოდა მანქანით გაიძურწა თავის ადიუტანტთან ერთად. როგორც პ...ში, ისე ბნელოდა! ციოდა! ყინვა ნემსებივით გვჩხვლევდა.

- ვინ არიან იქ, ღმერთო ჩემო! ხომ შეუძლებელია, პეტლიურა წითელ დუქანთან იყოს?

- ეშმაკმა უწყის! დამიჯერე გათენებამდე ლამის ჭკუაზე შევცდით. ვდგავართ შუაღამისას, ცვლას ვუცდით. ხელი ჩვენი აღარ არის და ფეხი. ცვლა კი არსად ჩანს. რაღა თქმა უნდა, ვერც კოცონს ვანთებთ, სოფელი ორ ვერსზეა, დუქანი . ერთ ვერსზე. ღამით გვეჩვენება, მინდორი ტოკავს. თითქოს მოცოცავენ... ვფიქრობთ, რა ვქნათ? რა? შამხანას მოიძარჯვებ და აღარ იცი, ესროლო თუ არა? გაცდუნებს კაცს. ვიდექით, მგლებივით ვყმუოდით. დაიყვირებ, მწკრივში ვიღაც გამოგეპასუხება. ბოლოს თოვლში ჩავძვერი, კონდახით კუბო გავითხარე, ვზივარ და ვცდილობ, არ დავიძინო: დაიძინებ და ფეხებს გაფშეკ კიდეც. გათენებისას ვეღარ გავუძელ, ვგრძნობ, თვლემამ მერევა. იცი, რამ გადამარჩინა? ტყვიამფრქვევებმა. ალიონზე ჩამესმა, სამიოდე ვერსის იქით ააკაკანეს. მაგრამ, წარმოიდგინე, წამოდგომა აღარ მინდოდა. ახლა ქვემეხმაც დაიქუხა. წამოვდექე, ფეხები თითქოს თითო ფუტი გამხდომია. ვფიქრობ: „მომილოცავს, პეტლიურა მობრძანებულა“. მწკრივი შევამჭიდროვეთ, ერთმანეთს

გადავძახეთ. გადავწყვიტეთ: თუ გაგვიჭირდა, შევქუჩდეთ და სროლა-სროლით ქალაქისკენ დავიხიოთ, დაგვხოცავენ და დაგვხოცონ, ერთად მაინც ვიქნებითო. ჰოდა, წარმოიდგინე, სროლა მიწყდა. დილით სამ-სამი კაცი წითელ დუქანში გავრბოდით გასათბობად. თუ იცი, ცვლა როდის მოვიდა, დღეს ორ საათზე. პირველი ლაშქრის ორასი იუნკერი. ჰოდა, ბატონი ბრძანდებით, მშვენივრად იყვნენ ჩაცმულნი - ფაფახები ეხურათ, თექის ჩექმები ეცვათ, მეტყვიამფრქვევეთა რაზმი ახლდათ, პოლკოვნიკმა ნაი-ტურსმა მოიყვანა.

- ოჰო! ჩვენია, ჩვენი! - შესძახა ნიკოლკამ.

- მოიცა, ბელგრადელი ჰუსარი ხომ არ არის? - ჰკითხა ტურბინმა.

- ჰო, ჰო, ჰუსარია... გესმის, ჩვენს დანახვაზე ელდა ეცათ. გვითხრეს, ჩვენ გვეგონა აქ ორი ასეული იყავით, ტყვიამფრქვევები გქონდათ, ნეტა როგორ გაძელითო?

თურმე ტყვიამფრქვევების ხმა რომ გვესმოდა, სერებრიანკას გათენებისას თავს დასხმიან. ათასკაციანი ბანდა ყოფილა. შეტევაზე გადმოსულან. საბედნიეროდ, არ იცოდნენ, რომ იქაც ჩვენნაირი მწკრივი იყო, თორემ, ხომ წარმოგიდგენია, მთელი ის ხროვა, შესაძლოა, ქალაქსაც სწვეოდა. ბედი, რომ იმათ პოსტ-ვოლინსკთან კავშირი ჰქონდათ და შეატყობინეს. იქიდან რომელიღაცა ბატარეამ შრაპნელი დაუშინა. ჰოდა, იმ ხროვას ბრძოლის ჟინი გაუწელდა, გესმის, შეტევას თავი ანებეს და სადღაც ჯანდაბას გადაიკარგნენ.

- მაინც ვინ იყვნენ? ნუთუ პეტლიურა? შეუძლებელია.

- ეშმაკმა უწყის იმათი თავი. მე მგონი, იქაური გლეხუჭები იყვნენ - დოსტოევსკის ღვთისმტკირთველნი! უ-უჰ...იმათი დედა!

- ღმერთო ჩემო!

- ჰო-ო, - ხრიალებდა მიშლაევსკი და თან ჰაპიროსს ექაჩებოდა, - ღვთის მადლით, როგორც იქნა, შეგვცვალეს. დავითვალეთ: ოცდათვრამეტნი ვართ. მომილოცავს, ორნი გაყინულან, უჰ, იმათი!.. ორნი კი წამოვიყვანეთ, ფეხებს მოჰკვეთენ...

- როგორ! მთლიანად?

- მაშ რა გგონია? ერთი იუნკერია, ერთიც - ოფიცერი. პოპელიუხაში კი, წითელ დუქანთან უფრო კარგ ამბავს გადავეყარეთ. მე და პოტპორუჩიკი კრასინი იქ მარხილისთვის მივედით, რომ ფეხმოყინულები წამოგვეყვანა. თითქოს სოფელი ერთიანად ამოწყვეტილაო, ძეხორციელი არსად ჩანდა. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი ტყაპუჭიანი, ყავარჯნიანი ბერიკაცი გამოჩლახუნდა. წარმოგიდგენია, ჩვენი დანახვა გაუხარდა. მაშინვე ვიგრძენი, სასიკეთო არაფერი იქნებოდა. „ბიჭებო, ბიჭებო...“ - მხიარულად გამოგვძახა. ვიფიქრე, რა ამბავია, ამ გადაღრმეებულ ღვთისმტკირთველს რა უხარია-მეთქი. დაყვავებით ვეუბნები: „გამარჯობა პაპილო. ჩქარა მარხილი მოგვეცი“. იმან კი მიპასუხა; „სადა გვაქვს, ოფიცრებმა ყველა მარხილი პოსტისკენ გარეკეს“. მე კრასინს თვალი ჩავუკარი და ბერიკაცს ვკითხე: ოფიცრებმა? ჰოო. თქვენი ბიჭები სადღა არიან?“ „ყველანი პეტლიურასთან გაიქცნენ“, - წამოაყრანტალა ბერიკაცმა. ჰა? როგორ მოგწონს? ეტყობა, თვალი არ უჭრიდა, ვერ დაინახა, რომ ყაბალახების ქვეშ სამხრეები გვეკეთა და პეტლიურელები ვეგონეთ.

ახლა კი, ხომ იცი, ველარ მოვითმინე... ყინავდა... ცოფი მომერია. ბერიკაცს გულისპირში ისე ვწვდი, კინაღამ სული გააცხო და დაფუყვირე: „მაშ პეტლიურასთან გაიქცენ? ამ წუთას მიგახვრეტ და მაშინ გაიგებ, პეტლიურასთან გაქცევა როგორ უნდა! ახლავე საიქიოს გაგაქცევ, შე მძორო!“ მაშინ კი, მოგეხსენებათ, უმაღ გონს მოეგო წმინდა მიწისმხვნიელი, მთესველი და ქვეყნის მარჩენალი (მიშლაევსკიმ საშინელი ლანძღვა-გინება ზვაავით ჩამოაგრიალა), რა თქმა უნდა, ფეხებში ჩამივარდა და აღრიალდა; „ო, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მაპატიეთ, ერთი გამოთაყვანებული, ბრუტიანი ბერიკაცი ვარ, სიბრიყვით მომივიდა. ცხენებს მოგართმევთ, ახლავე მოგართმევთ, ოღონდ არ მომკლათ!“ ცხენებიც გამოინახა და მარხილიც.

- ჰოდა, პოსტზე დაბინდებისას მივედით. იქ რა ხდება, კაცი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს. ლიანდაგზე ოთხი ბატარეა დავითვალე, ბრეზენტგადაუხდელნი დგანან. თურმე ჭურვები არ ჰქონიათ შტაბებს კი სათვალავი არა აქვს. მოგეხსენებათ, არავინ არაფერი უწყის. რაც მთავარია, არ ვიცით, მკვდრებს რა ვუყოთ! ბოლოს, როგორც იქნა, მოძრავი ლაზარეთი ვიპოვეთ. მკვდრები ძალით მივაჩეჩეთ, არ იბარებდნენ; ქალაქში წაასვენეთო. მაშინ კი გავცოფდით. კრასინმა ვიღაც შტაბელი კინაღამ მიახვრიტა. იმან უთხრა, ეგ პეტლიურასეული ფანდებიაო და გაიძურწა. შროტკინის ვაგონს საღამოსღა მივაგენით. პირველი კლასის ვაგონი იყო, ელექტროშუქით გაჩირალდებული. ჰოდა, რა გგონია? დგას ერთი ტუტუცი, დენშჩიკი თუ ვიღაცა, და შიგ არ გვიშვებს. ჰა? მის მაღალკეთილშობილებას სძინავს, ნაბრძანები მაქვს, არავინ შევეშვაო. ვაგონის კედელს კონდახი დავცხე, ჩვენები ყველანი ამყვნენ და ერთი ბაგაბუგი ატეხეს. ყველა კუპედან მუხუდოს მარცვლებივით გამოცვივდნენ. შროტკინიც გამოვიდა და ქლესაობას მოჰყვა: ოჰ, ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა. ახლავე. ჰეი, შიკრიკებო, ავახშმეთ, კონიაკი დაალევინეთ, ახლავე ყველას დაგაბინავებთ. რიგიანად დაისვენეთ. ეს ხომ გმირობაა. ეჰ, რა ბიჭები დავკარგეთ. რას იზამ - მსხვერპლი უნდა გავიღოთ, ოჰ, როგორ გავწამდიო... კონიაკის სუნს კი ერთ ვერსზე აფრქვევს. ა-ა-ა! - მიშლაევსკიმ უცებ დაამთქნარა და თავი ჩაჰკიდა. ისე აბუტბუტდა, თითქოს აბოდებსო.

რაზმს თბილანა ვაგონი და ღუმელი მისცეს... ოო! მე კი აქ წამოსვლა მომიწია. როგორც ჩანს იმ ბაგაბუგის გამო, შროტკინმა გადაწყვიტა, თავიდან მოვემორებინე: პორუჩიკო, ქალაქში უნდა მიგავლინოთ გენერალ კარტუზოვის შტაბში, ყველაფერი იქ მოახსენეთო. ე-ე-ე! ორთქმავლით წამოვედი... გავითოშე... თამარის კოშკი... არაყი...

მიშლაევსკის პაპიროსი პირიდან გაუვარდა, სავარძელზე გადაწვა და უმაღ ხვრინვა ამოუშვა.

- კარგი ამბავია, ხომ იცი! - თქვა დაბნეულმა ნიკოლკამ.

- ელენა სად არის? - იკითხა შეწუხებულმა უფროსმა ტურბინმა. - ზეწარი გამოუტანოს. შენ საბანაოდ წაიყვანე.

ელენა კი ამ დროს სამზარეულოს გვერდითა ოთახში ტიროდა, სადაც ჩითის ფარდის იქით, თუთიის აბაზანის გვერდით, ქურაში არყის ხმელი შეშის ალი ბრიალებდა. სამზარეულოს ხრინწიანმა საათმა თერთმეტჯერ ჩამორეკა. ელენას თვალწინ მოკლული ტალბერგი წარმოუდგა. რა თქმა უნდა, მატარებელს თავს დაესხნენ, ბადრაგი გაჟლიტეს და თოვლზე სისხლი და ტვინია დანთხეული. ელენა

ჩაბნელებულ ოთახში იჯდა, ჩამოშლილი თმის გვირგვინს ცეცხლის ალი უნათებდა, ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. მოკლეს, მოკლეს...

უცებ ზარის წკრიალი მთელ ბინას მოეფინა. ელენამ სამზარეულოსა და ჩაბნელებულ წიგნების ოთახში ქარივით ჩაიქროლა და სასადილო ოთახში შევარდა. შუქმა იმატა, შავმა საათმა ჩამორეკა და მერე ისევ ტაკატუკი განაგრძო.

ნიკოლკას და უფროს ტურბინს მალე გაუწეღდა პირველი სიხარული, თანაც ელენას გამო უფრო გაუხარდათ. ტალბერგის მხრებზე დაკერებული ჰეტმანის სამხედრო სამინისტროს სოლისებური სამხრეები ძმებს გუნებას უფუჭებდა, თუმცა სამხრეებამდეც, ელენას ქორწინების თითქმის პირველივე დღიდან, ტურბინთა ცხოვრების თასს ბზარი გაუჩნდა და ამ ბზარიდან მაცოცხლებელი წყალი შეუმჩნევლად იპარებოდა. თასი დაშრა. იქნებ ეს უფრო გენერალური შტაბის კაპიტან ტალბერგის ორფენოვანი თვალების ბრალი იყო.

ეჰ... ეჰ... ასე თუ ისე, პირველი ფენის ამოკითხვა ახლა ცხადად შეიძლებოდა. ზედა ფენიდან გამოსჭვიოდა უბრალო ადამიანური სიხარული, რასაც სითბო, სინათლე და უშიშროება ბადებდა. უფრო ღრმად კი აშკარა შემფოთება ჩაბუდებულიყო, ტალბერგმა ამჟამად თან რომ მოიყოლა. ყველაზე ღრმად რაც იყო ჩამალული, როგორც ყოველთვის, რა თქმა უნდა, არ ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, სერგეი ივანოვიჩს გარეგნულად არაფერი ეტყობოდა. ბრტყელი ქამარი მაგრად შემოერთყა, ორივე ნიშანი - აკადემიისა და უნივერსიტეტისა - თეთრად უკრიალებდა, ხმელ-ხმელ ტანს შავი საათის ქვემოთ ავტომატივით ატრიალებდა. ტალბერგი თუმცა ძალზე გათოშილი იყო, ყველას მაინც გულმოწყალედ უღიმოდა. მაგრამ შემფოთება ამ გულმოწყალეობაშიც იგრძნობოდა. ეს პირველად ნიკოლკამ შეამჩნია და გრძელი ცხვირი აასრუტუნა. ტალბერგი ტკეპნა-ტკეპნით, მხიარულად ჰყვებოდა, რაც თავს გადახდა. მატარებელს, რომლითაც პროვინციაში ფული მიჰქონდათ და რომლის ბადრაგსაც ტალბერგი მეთაურობდა, ბოროდიანკასთან, ქალაქიდან ორმოც ვერსზე თავს დაესხნენ. არავინ იცის, ვინ იყვნენ! შეძრწუნებული ელენა თვალებს ჭუტავდა, თეთრ ნიშნებს ეკვროდა, ძმები ისევ ო-ჰო-ჰოო! - იძახდნენ, მიშლაევსკის კი მკვდარივით ეძინა, ხვრინავდა და სამი ოქროს კბილი მოუჩანდა.

- მაინც ვინ იყვნენ? პეტლიურა?

- ეჰ, პეტლიურა რომ ყოფილიყო, - თან მოწყალედ, თანაც შემფოთებით გაიღიმა და ისე წარმოთქვა ტალბერგმა, - არა მგონია, ახლა აქ... ე... თქვენთან მესაუბრა. რა ვიცი, ვინ იყვნენ: შესაძლოა, დაქსაქსული სერდიუკების ხროვა იყო. ვაგონებში შემოცვივდნენ, შაშხანებს იქნევდნენ და ყვიროდნენ, ბადრაგი ვისიაო? მე ვუპასუხე, სერდიუკები ვართ-მეთქი. ერთხანს იტრიალეს, მერე კი ბრძანება გავიგონე; „წავიდეთ, ბიჭებო!“ და ყველანი გაუჩინარდნენ. მე მგონი, ოფიცრებს დაეძებდნენ, ალბათ ეგონათ, ბადრაგი უკრაინელებისა კი არა, ოფიცრებისა იყო, - ტალბერგმა მრავლისმეტყველად გადახედა ნიკოლკას შევრონს, საათს შეხედა და მოულოდნელად დაუმატა: - ელენა, წამოდი, რაღაც უნდა გითხრა...

ელენა სწრაფად გაჰყვა უკან. ისინი ტალბერგების სამყოფელში, საწოლ ოთახში გავიდნენ, სადაც კედელზე, საწოლის ზემოთ, თეთრ ხელთათმანზე შავარდენი იჯდა, ელენას საწერ მაგიდაზე მყუდროდ ენთო მწვანე ლამპა, ხოლო წითელი ხის ტუმბაზე

საათი იდგა, ფრონტონს ბრინჯაოს მწყემსები რომ უმშვენებდა და სამ საათში ერთხელ გავოტს უკრავდა.

ნიკოლკამ მიშლაევსკი რის ვაივაგლახით გააღვიძა. იგი სააბაზანოსკენ ბარბაციტ წავიდა, ორჯერ კარს გამოედო და ააჯახუნა, მერე კი აბაზანაში ჩაეძინა. ნიკოლკა გვერდით ეჯდა, უდარაჯებდა, არ დაიხრჩოსო. უფროსი ტურბინი კი ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში გავიდა, თავადაც არ იცოდა, ფანჯარას რატომ მიეყრდნო და ყური მიუგდო: შორს კვლავ ყრუდ, თითქმის ბამბაში, უწყინრად ბუხუნებდნენ ქვემეხები. ბუხუნებდნენ შორს და იშვიათად.

ოქროსთმიანი ელენა უცებ მობერდა და დაუშნოვდა. თავლები ჩასწითლებოდა, ხელები ჩამოეშვა და ტალბერგს დაღვრემილი უსმენდა. ის კი, თითქოს შტაბშიაო, ისე გაჯგიმული, თავს დასდგომოდა და უმოწყალოდ ეუბნებოდა: - ელენა, სხვაგვარად მოქცევა არ შემიძლია.

ელენასაც სხვა გზა აღარ ჰქონდა, გარდაუვალობას დანებდა და ტალბერგს უთხრა: - ჰო, გასაგებია, რა თქმა უნდა, მართალი ხარ. მაშ ხუთი-ექვსი დღის შემდეგ, ხომ? იქნებ მდგომარეობა კიდევ გამოსწორდეს?

ახლა კი გასაჭირში ჩავარდა ტალბერგი. მუდმივი, პატენტოვანი ღიმილიც კი მოიშალა, თითქოს მობერდა. მისი სახის ყოველი წერტილი ურყევ გადაწყვეტილებას გამოხატავდა. ელენა... ელენა... ეჰ, მცდარი, უმწეო იმედი... ხუთი-ექვსი დღე...

ტალბერგმა თქვა: - ახლავე უნდა წავიდე. მატარებელი ღამის პირველ საათზე გადის...

ნახევარი საათის შემდეგ შავარდნიან ოთახში ყველაფერი ყირაზე დადგა. ჩემოდანი იატაკზე იდო; მისი შიდა მეზღვაურული სახურავი ყალყზე შემდგარიყო. გამხდარი, შუბლშეკრული, ტუჩებთან ნაოჭგაჩენილი ელენა ჩემოდანში მდუმარედ ალაგებდა პერანგებს ქვედა საცვლებს, ზეწრებს... კარადასთან დაჩოქილ ტალბერგს ქვედა უჯრის გაღება უნდოდა და გასაღების მორგებას ცდილობდა. მერე კი... მერე ოთახი ისეთი ამაზრზენი სანახავი შეიქნა, როგორც ყველა ოთახი, სადაც ბარგის ჩალაგების რია-რიაა; კიდევ უარესი, თუ ლამპასაც აბაჟური მოაძვრეს. ლამპას აბაჟური არასოდეს, არასოდეს მოაძროთ! აბაჟური წმიდათაწმიდაა. საფრთხეს უგზო-უკვლოდ ნურასოდეს გაექცევით ვირთხასავით. აბაჟურთან ჩათვლიმეთ, წიგნი იკითხეთ, - დაე, იღმუვლოს ქარბუქმა- უცადეთ, სანამ კარზე თავად მოგადგებოდნენ.

ტალბერგი კი გარბოდა. იგი ჩაკეტილ, მძიმე ჩემოდანთან ასვეტილიყო, ქალაქის ნახევებს ფეხით სრესდა, გრძელკალთებიან მაზარაზე ხმალი ჰქონდა შემორტყმული, პეწიან, ყურებიან ქუდზე ჰეტმანის ოფიცრის მორუხო-მოცისფრო კოკარდა ეკეთა.

ქალაქის I სამგზავრო ვაგზლის განაპირა ლიანდაგზე უკვე დგას მატარებელი - ჯერ ორთქმავალმიუბმელი, უთავო მუხლების მსგავსი. იგი თვალისმომჭრელი თეთრი ელექტრომუქით გაჩირადდებული ცხრა ვაგონისაგან შედგებოდა. ამ მატარებლით გენერალ ფონ ბუსოვის შტაბი ღამის პირველ საათზე გერმანიაში მიემგზავრება. ტალბერგი მიჰყავთ - შტაბში ნაცნობები გამოძებნა... ჰეტმანის სამინისტრო სულელური და უხამსი ოპერეტაა (ტალბერგს გაცვეთილი, მაგრამ მაგარი გამოთქმები უყვარდა), ისევე როგორც თავად ჰეტმანი. მით უფრო უხამსი, რადგან...

- გავიგე (ჩურჩულით), გერმანელები ჰეტმანს ბედის ანაბარას ტოვებენ, და სულ, სულ იოლი შესაძლებელია, ქალაქში პეტლიურა შემოვიდეს... ეს კი, ხომ იცი...

ო, ელენამ იცოდა! ელენამ კარგად იცოდა. 1917 წლის მარტში ტალბერგი პირველი, - გესმით, პირველი, - მივიდა სამხედრო სასწავლებელში მკლავზე ფართო, წითელი ლენტით. ეს იყო მარტის პირველ რიცხვებში, როცა ქალაქში მყოფ ოფიცრებს პეტერბურგიდან მოსული ამბების გაგონებაზე მიწისფერი ედებოდათ და სადღაც, ბნელი დერეფნებისკენ მიიჩქაროდნენ, რომ აღარაფერი მოესმინათ. სხვა ვინმემ კი არა, სწორედ ტალბერგმა, როგორც სამხედრო რევოლუციური კომიტეტის წევრმა, დააპატიმრა სახელგანთქმული გენერალი პეტროვი. ხოლო როცა სახელოვანი წლის მიწურულს ქალაქში ბევრი საოცარი და უცნაური ამბავი დატრიალდა, როცა გამოჩნდნენ ვიღაც უჩექმონი, ჯარისკაცული რუხი მაზარების ქვემოდან ფარფარა შარვლები რომ მოუჩანდათ და განაცხადეს, ქალაქიდან ფრონტზე არაფრის დიდებით არ წავალთ, რადგან ფრონტზე არაფერი გვესაქმება და აქ, ქალაქში დავრჩებითო, ტალბერგი გაღიზიანდა და ცივად თქვა, ეს ის არ არის, რაც საჭიროა, ეს უხამსი ოპერეტააო. ჰოდა, ერთგვარად მართალიც აღმოჩნდა: მართლაც, ოპერეტა გამოდგა. მაგრამ უბრალო კი არა, დიდი სისხლისღვრა რომ ახლდა. ფარფარაშარვლებიანები ქალაქიდან თვალის დახამხამებაში განდევნეს რუსებმა, დაქსაქსულმა პოლკებმა, რომელნიც საიდანღაც, მოსკოვის მხარეს გაჭიმული ტყე-ველებიდან მოვიდნენ. ტალბერგმა თქვა, ფარფარა შარვლიანები ავანტიურისტები არიან, მათ ფესვები მოსკოვში აქვთ და ეს ფესვები ბოლშევიკურიაო.

მაგრამ ერთხელ, მარტში, ქალაქში გერმანელთა რუხი მწკრივები შემოლაგდა. მოსულებს თავზე ჟღალი ფერის ტაშტები ჩამოეფხატათ შრაპნელის ტყვიებისაგან დასაცავად, ხოლო ჰუსარებს ისეთი ფაფახები ეხურათ და ისეთ ცხენებზე ისხდნენ, მათ დანახვაზე ტალბერგი უმალ მიხვდა, ფესვები სადაც იყო. ქალაქის მისადგომებთან გერმანული ქვემეხების რამდენიმე მძლავრი ბათქის შემდეგ მოსკოველები სადღაც იისფერი ტყეების მიღმა მძორის საჭმელად გადაიხვეწნენ, ხოლო ფარფარაშარვლიანები უკანვე შემობარგდნენ გერმანელთა კვალდაკვალ. ეს დიდი სიურპრიზი გახლდათ. ტალბერგი დაბნეული ილიმებოდა, მაგრამ აღარ კი ემინოდა, რადგან გერმანელთა იქ ყოფნისას ფარფარა შარვლიანები ძალზე თვინიერნი შეიქნენ. ვერავის მოკვლას ვერ ბედავდნენ, ის კი არა, თავადაც ქუჩაში, ცოტა არ იყოს, დაფეთებული დადიოდნენ და ისეთი იერი ჰქონდათ, თითქოს მოკრძალებული სტუმრები არიანო. ტალბერგმა თქვა, ამათ ფესვები არა აქვთო, და ორ თვეს არსად უმსახურია. ნიკოლკა ტურბინს ერთხელ გაეღიმა, როცა ტალბერგის ოთახში შევიდა. იგი იჯდა და ქალაქის დიდ ფურცელზე რაღაც გრამატიკულ სავარჯიშოებს წერდა, ხოლო წინ იაფფასიან ნაცრისფერ ქალაქზე დაბეჭდილი თხელი წიგნი ედო.

„იგნატი პერპილო - უკრაინული გრამატიკა“.

თვრამეტი წლის აპრილში, აღდგომა დღეს, ცირკში მხიარულად ზუზუნებდა მქრქალი ელექტრობურთები, ხოლო დარბაზი ხალხს გუმბათამდე გადაეშავებინა; არენაზე მხიარული, მხედრულად შემართული ტალბერგი იდგა და აწეულ ხელებს ითვლიდა - ფარფარაშარვლიანებს ბოლო მოეღოთ, იქნება უკრაინა, მაგრამ „ჰეტმანის“ უკრაინა, - ირჩევდნენ „სრულიად უკრაინის ჰეტმანს“.

- ჩვენ მოსკოვის სისხლიანი ოპერეტიდან გამიჯნულნი ვართ, - ამბობდა ტალბერგი და შინ, ძველი, თვალმიჩვეული შპალერის ფონზე ჰეტმანის ოფიცრის უცნაურ სამოსს აელვარებდა. საათი ზიზღით ხიხინებდა. ტაკ-ტუკ... ჰოდა, წყალი თასიდან გადმოიქცა. ნიკოლკას და ალექსეის ტალბერგთან სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ. თუნდაც ჰქონოდათ, ლაპარაკი ძალზე გაუძნელდებოდათ, რადგან ტალბერგი პოლიტიკაზე საუბრისას ძალიან ბრაზდებოდა, მეტადრე მაშინ, როცა ნიკოლკა სრულიად უტაქტოდ წამოიწყებდა: „სერიოჟა, მარტში რას ამბობდი?...“ ტალბერგი უმაღლესად გამოაჩენდა ზედა მეჩხერ, მაგრამ მსხვილ და თეთრ კბილებს, თვალელებში მოყვითალო ნაპერწკლები გაუელვებდა და მღელვარება ეუფლებოდა. ისე რომ საუბარი მოდიდან თავისთავად გამოვიდა.

დიახ, ოპერეტა... ელენამ იცოდა, შემუშებულ ბალტიისპირულ ბაგეთაგან წარმოთქმული ეს სიტყვა რასაც ნიშნავდა. მაგრამ ოპერეტა ახლა ფარფარაშარვლიანებს, მოსკოველებს, ვიღაც ივან ივანოვიჩს კი არ უგებდა მახეს, თვით სერგეი ივანოვიჩ ტალბერგს ემუქრებოდა. ყოველ ადამიანს თავისი ბედის ვარსკვლავი აქვს. შუა საუკუნეებში სამეფო კარის ვარსკვლავთმისნები ტყუილად კი არ ადგენდნენ ჰოროსკოპებს და მომავალს წინასწარმეტყველებდნენ. ჰოი, რა ბრძენი ხალხი იყო მაშინ! ჰოდა, ტალბერგი, სერგეი ივანოვიჩი, შეუფერებელ, ცუდ ვარსკვლავზე იყო დაბადებული. ტალბერგი კარგად იქნებოდა, ყველაფერი სწორი, ერთი განსაზღვრული ხაზით რომ წარმართულიყო. მაგრამ ამ დროს ქალაქში ამბები სწორი ხაზით კი არ ვითარდებოდა, უცნაურ ზიგზაგებს ხლართავდა და სერგეი ივანოვიჩი ამაოდ ცდილობდა, გამოეცნო, მერე რა მოხდებოდა. ვერც გამოიცნო. ჯერ შორს, ქალაქიდან ას ორმოცდაათ, შესაძლოა, ორას ვერსზე თეთრი შუქით გაჩირაღდნებულ ლიანდაგზე დგას სალონ-ვაგონი. ვაგონში, როგორც პარკში მუხუდო, ისე დახტის წვერგაპარსული კაცი და თავის გადამწერლებსა და ადიუტანტებს რაღაცას უკარნახებს. ვაი, ტალბერგს, თუ ეს კაცი ქალაქში შემოვიდა. ის კი, შესაძლოა, შემოვიდეს! ვაი მის დღეს! გაზეთ „ცნობების“ ნომერი ყველასათვის ცნობილია, ჰეტმანის ამომრჩევი კაპიტანი ტალბერგის სახელიც აგრეთვე ყველამ იცის. გაზეთში სტატიაა, სერგეი ივანოვიჩის კალამს რომ ეკუთვნის, სტატიაში კი სიტყვებია: ავანტიურისტი პეტლიურა თავისი ოპერეტით ქვეყანას

დაღუპვას უქადის...

- ელენა, თავადაც ხომ იცი, შენი წაყვანა არ შემოიძლია, ვინ იცის, სად მომიხდება ხეტიალი. ხომ ასეა?

ელენას კრინტიც არ დაუძრავს, რადგან ამაყი იყო.

- მე მგონი, რუმინეთიდან დაუბრკოლებლად ჩავადწევ ყირიმში და დონზე. ფონ ბუსოვი მხარდაჭერას შემპირდა. მე მაფასებენ. გერმანელთა ოკუპაცია ოპერეტად გადაიქცა. გერმანელები უკვე მიდიან. (ჩურჩულით) პეტლიურაც ჩემი ანგარიშით, მალე დაემხობა. ნამდვილი ძალა დონიდან მოემართება. ხომ იცი, რომ შეუძლებელია, მე იქ არ ვიყო, სადაც სამართლიანობისა და წესრიგის დამამყარებელი ჯარი ყალიბდება. იქ თუ არ ვიქნები, ეს კარიერის დაღუპვას ნიშნავს. ხომ იცი, რომ დენიკინი ჩემი დივიზიის მეთაური იყო. მე მწამს, რომ სამი თვეც არ გავა, ყველაზე უგვიანეს, მაისში მაინც, ქალაქში შემოვალთ. ნურაფრისა გეშინია. არაფრის დიდებით

ხელს არ გახლებენ. უკიდურეს შემთხვევაში, პასპორტი ქალიშვილობის გვარზე ხომა გაქვს. ალექსეის ვთხოვ, შენი თავი არავის დააჩაგვრინოს.

ელენა გამოფხიზლდა.

- მოიცა, - უთხრა ტალბერგს, - ჩემი ძმები ხომ ახლავე უნდა გავაფრთხილოთ, გერმანელები რომ გვღალატობენ?

ტალბერგს სახე ერთიანად წამოუწითლდა.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, უსათუოდ... თუმცა შენ თვითონ უთხარი. ეს კია, ამით არაფერი შეიცვლება.

ელენას უცნაურმა გრძნობამ გაჰკრა, მაგრამ დაფიქრების დრო ახლა არ ჰქონდა; ტალბერგი ცოლს უკვე ჰკოცნიდა და ერთ წამს მისი ორსართულიანი თვალებიდან მხოლოდ ერთი რამ - სინათლე გამოსჴვიოდა. ელენამ თავი ვეღარ შეიკავა და წამოიტირა, მაგრამ ხმადაბლა, ხმადაბლა, - ძლიერი ქალი იყო, ანა ვლადიმეროვნას შვილი ტყუილად კი არ გახლდათ. მერე სასადილო ოთახში ძმებთან გამომშვიდობების ჟამიც დადგა. ბრინჯაოს ლამპაში ვარდისფერმა შუქმა იფეთქა და მთელი კუთხე გააჩირადდნა. პიანინომ მყუდროების ამღვრეული თეთრი კბილები და ფაუსტის პარტიტურა გამოაჩინა იქ, სადაც შავი სანოტო კაუჭები შავ, მჭიდრო რიგებად მიჴყვება ერთმანეთს და მრავალფერი ჟღალწვერა ვალენტინი მღერის: გემუდარები, დაი ჩემი

რომ არ გაწირო, არ გაწირო!

ო, დაიფარე დაი ჩემი.

ტალბერგსაც კი, ვისთვისაც ყოველგვარი სანტიმენტალური გრძნობა უცხო იყო, იმ წუთას დაამახსოვრდა შავი აკორდებიც და უკვდავი ფაუსტის დაძენილი ფურცლებიც. ეჰ, ეჰ... ტალბერგი ვეღარ მოისმენს კავატინას ყოვლისშემძლე ღმერთზე, ვეღარ მოისმენს შერვინსკის სიმღერას და ელენას აკომპანიმენტს! თუმცა გავა ჟამი, ამქვეყნად აღარ იქნებიან აღარც ტურბინები და აღარც ტალბერგი, კლავიშები კი ისევ აჟღერდება, რამპასთან მრავალფერი ვალენტინი გამოვა, ლოჟებში სუნამოს სურნელება დაიფრქვევა, შუქით გასხივოსნებული ქალები შინ აკომპანიმენტს შეასრულებენ, რადგან ფაუსტი საარდამელი დურგალივით უკვდავია.

ტალბერგმა იქვე, პიანინოსთან ყველაფერი თქვა. ძმები თავაზიანად დუმდნენ, ცდილობდნენ, წარბიც არ შეეხარათ, უმცროსი სიამაყის გამო, უფროსი კი იმიტომ, რომ დუნე იყო. ტალბერგს ხმა გაეზარა.

- ელენას გაუფრთხილდით, - ტალბერგის თვალთა პირველი ფენა მუდარას და შემფოთებას გამოხატავდა. იგი შეიშმუშნა, ჯიბის საათს დაბნეულად დახედა და სწრაფად თქვა; - დროა.

ელენამ ქმარს ხელები კისერზე მოხვია და მიიზიდა, ჯვარი აჩქარებით, მრუდედ გადასახა და აკოცა. ტალბერგმა ორივე ძმა შავი, შეკრეჭილი ულვაშების ნემსებით დაჩხვლიტა. საფულეში ჩაიხედა, საბუთების დასტა ხელდახელ შეამოწმა, თხელ უბეში ჩაწყობილი უკრაინული ფული და გერმანული მარკები გადათვალა, ღიმილით, დამაბული ღიმილით შეტრიალდა და კარისკენ გაემართა. ძინ.. ძინ...

შემოსასვლელში შუქი ზემოდან დაეფრქვია, მერე კიბეზე ჩემოდნის ბრაგუნი გაისმა. ელენა მოაჯირს გადაეკიდა და წოწოლა ყაბალახის წვეტი უკანასკნელად დაინახა.

ღამის პირველ საათზე წყვილიაღში ჩაძირული მეხუთე ლიანდაგიდან ცარიელ სატვირთო ვაგონთა სასაფლაოს დიდი სისწრაფით, რახრახით, ჰაერიდან წითელი ალის გიზგიზით მოწყდა ჯოჯოსავით რუხი ჯავშნოსანი და ველურად შეჰყმუვლა. რვა ვერსი შვიდ წუთში გაირბინა, ღრიალით, ჭახანით, რახრახით, ფარანთა გრიალით შეგრიალდა პოსტ-ვოლინსკში, მოთახთახე ისრებთან შეუჩერებლად მთავარი გზიდან განზე გაუხვია, თბილანა ვაგონში თავშეფარებულ თუ იქვე პოსტთან მწკრივებად მდგარ, გათოშილ, აბუზულ იუნკრებსა და ოფიცრებს გულში ბუნდოვანი იმედი და სიამაყე აღუძრა და მედგრად, უშიშრად გასწია გერმანიის საზღვრისკენ. მის კვალდაკვალ ათი წუთის შემდეგ პოსტზე ჩაიარა უზარმაზარ ორთქმავალზე გამობმულმა, ფანჯრებგაჩირადდებულმა სამგზავრო მატარებელმა. ბაქნებზე გაიელვეს ტუმბებივით დაყუდებულმა, ჩასკვნილმა, თვალეზამდე შეფუთულმა გერმანელმა გუშაგებმა, გაიელვა მათმა შავმა, ფართოპირიანმა ხიშტებმა. ყინვისგან სულშეხუთული მეისრეები ხედავდნენ, პირაპირებთან როგორ ირყეოდა გრძელი პულმანები; ფანჯრებიდან მეისრეებს ბლუჯა-ბლუჯა შუქი ეფრქვეოდა. მერე ყოველივე გაქრა და იუნკრებს გული შურით, ბრაზითა და შემფოთებით აღევსოთ.

- უჰ... არამზადები! - გაისმა სადღაც ისართან და თბილანა ვაგონებს მსუბუქი ქარბუქი ემგერა. იმ ღამით პოსტი ნამქერში გაეხვია.

ხოლო ტალბერგი ორთქმავლის მომდევნო მესამე ვაგონში, ზოლიანი შალითებით დაფარულ კუპეში გერმანელი ლეიტენანტის პირდაპირ იჯდა, თავაზიანად, პირფერულად უღიმოდა და გერმანულად ელაპარაკებოდა.

- O, ja - დროდადრო გაწელავდა ჩასუქებული ლეიტენანტი და სიგარას ღეჭავდა.

როცა ლეიტენანტმა დაიძინა, ყველას კუპეს კარი ჩაიკეტა და თბილმა კრიალა ვაგონმა ერთფეროვანი, სამგზავრო დუდუნი გააბა, ტალბერგი დერეფანში გავიდა და გახუნებული ფარდა გადასწია, რომელსაც გამჭირვალე ასოები „ს-დ. რკ. გ.“ ეწერა. წყვილად დიდხანს გასცქეროდა. იქ უწესრიგოდ ხტოდა ნაპერწკლები, ირეოდა თოვლის ფანტელები, წინ კი ორთქმავალი მიჰქროდა და ისე შემზარავად, ისე უსიამოვნოდ გაჰკიოდა, ტალბერგსაც კი გული აემღვრა.

3

იმ ღამეს, ქვედა სართულზე, სახლის მეპატრონის, ინჟინერ ვასილი ივანოვიჩ ლისოვიჩის ბინაში სრული სიჩუმე სუფევდა. მყუდროებას დროდადრო მხოლოდ თაგვი არღვევდა პატარა სასადილო ოთახში. იგი ბუფეტში ღრღნიდა ყველის გამხმარ ქერქს, ღრღნიდა ჯიუტად და საქმიანად, თან ინჟინრის მეუღლის ვანდა მიხაილოვანას სიძუნწეს წყევლიდა. თაგვისაგან დაწყევლილ, გამვალტყავებულ, ეჭვიან ვანდას კი ღრმა ძილით ეძინა გრილი და ნესტიანი ბინის პატარა, ბნელ საწოლ ოთახში. თვით ინჟინერს არ ეძინა. იგი ავეჯით ჩახერგილ, ფარდაჩამოფარებულ, წიგნებით გამოტენილ და ამიტომაც, ფრიად მყუდრო, პატარა კაბინეტში იმყოფებოდა. ყვავილებით მოჩითული მწვანე ქოლგით მოჩრდილული დასადგმელი ლამპა, ეგვიპტის დედოფალს რომ გამოსახავდა, მთელ ოთახს ნაზად და იდუმალად

აფერადებდა. ტყავის ღრმა სავარძელში მჯდარი ინჟინერი თავადაც იდუმალეობით იყო მოცული. არეულ-დარეული დროის იდუმალეობასა და ორჭოფობას, უწინარეს ყოვლისა, ისიც გამოხატავდა, რომ სავარძელში მჯდარი კაცი ვასილი ივანოვიჩ ლისოვი კი არა, ვასილისა გახლდათ... არა, თავად ის საკუთარ თავს ლისოვიჩს უწოდებდა; ვისთანაც საქმე ჰქონდა, ვისაც ხვდებოდა, ისინიც ვასილი ივანოვიჩს უძახდნენ, მაგრამ მხოლოდ პირში. პირს უკან კი, მესამე პირში, ყველა ვასილისას უძახდა, სხვაგვარად არავინ იხსენიებდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ 1918 წლის იანვრიდან, როცა ქალაქში უკვე სრულიად აშკარა სასწაულები დაიწყო, სახლის მეპატრონემ გამართული ხელწერა შეიცვალა და გარკვეული „ვ. ლისოვიჩის“ ნაცვლად მომავალი პასუხისმგებლობის შიშით, ანკეტებში, ცნობებში, მოწმობებში, ორდერებსა და ბარათებში ხელს ასე აწერდა: „ვას. ლის“.

ვასილი ივანოვიჩის მიცემული ბარათით შაქრის ასაღებად წასულ ნიკოლკას თვრამეტი წლის თვრამეტ იანვარს კრემჩატიკზე შაქრის ნაცვლად ზურგში საშინელი ძალით გამონასროლი ქვა მოხვდა და ორი დღე სისხლს აფურთხებდა (ჭურვი სწორედ შაქრის რიგში მდგარ უშიშარ ადამიანთა თავს ზემოთ გასკდა). შინ დაბრუნებული, გაფითრებული ნიკოლკა თავის შესამაგრებლად კედელს ეჭიდებოდა, მაგრამ მაინც ილიმებოდა, ელენა არ შევაშინოო, მთელი ტაშტი სისხლიანი ფურთხით გაავსო და, როცა ელენამ შეჰკვივლა; - ღმერთო ჩემო! ეს რა არის?

უპასუხა: - ვასილისას შაქარია, ეშმაკსაც წაუღია! - მერე ფერი მთლად დაკარგა და გვერდზე დაენარცხა. ნიკოლკა ორი დღის მერე წამოდგა, ვასილი ივანოვიჩ ლისოვიჩი კი აღარ არსებობდა. ინჟინერს ჯერ ცამეტ ნომერ სახლის ეზოში, ხოლო შემდეგ მთელ ქალაქშიც ვასილისა შეერქვა. ქალის სახელის მქონე მარტო თავად ამბობდა, საბინაო კომიტეტის თავმჯდომარე ლისოვიჩი გახლავართო.

როცა დარწმუნდა, რომ ქუჩა მთლად მიყუჩდა, იშვიათად ჩავლილ მარხილთა ღრჭიალიც მიწყდა, როცა საწოლ ოთახში ცოლის ფშვინვას მიაყურადა, ვასილისა დერეფანში მაშინღა გავიდა, გულდასმით შეამოწმა ურდულები, ჭანჭიკი, ჯაჭვი, კაკვი და კაბინეტშივე დაბრუნდა. თავისი დიდი მაგიდის უჯრიდან ოთხი პრიალა ინგლისური ქინძისთავი ამოიღო, მერე სიბნელეში ფეხაკრეფით სადღაც გავიდა და ზეწარი და პლედი შემოიტანა. კიდეც მიაყურადა, ტუჩებზე თითიც კი მიიღო, პიჯაკი გაიხადა, სახელოები დაიკაპიწა, თაროდან წებოს ქილა, ფაქიზად დახვეული შპალერის ნაჭერი და მაკრატელი ჩამოიღო. მერე ფანჯარას მიეკრა, ხელისგული მოიფარა და ქუჩას დააკვირდა. მარცხენა ფანჯარას სანახევროდ ზეწარი ჩამოაფარა, მარჯვენას პლედი და ინგლისური ქინძისთავებით დაამაგრა. გულდასმით გაასწორა, რომ ღრიჭოები არ დარჩენილიყო. სკამი დადგა, ზედ შედგა, ზედა თაროზე ჩარიგებული წიგნების ზემოთ ხელით რაღაც მოსინჯა, შპალერს ზემოდან ქვემოთ, ვერტიკალურად დანა ჩამოუსვა, მერე მართკუთხად გვერდზე გაუსვა, ჭრილში დანის წვერი შეეყო და პატარა, ფაქიზად გამოჭრილი ორი აგურისხელა სამალავი გამოაჩინა, წინა ღამეს თვითონვე რომ გაამზადა. სამალავის კარი, თუთის თხელი ფირფიტა - განზე გასწია, სკამიდან ჩამოვიდა, ფანჯარას შეშინებულმა შეხედა, ზეწარი ხელით მოსინჯა. მერე გასაღები ჩხარუნით ორჯერ გადაატრიალა, მაგიდის ქვედა უჯრა გამოაღო და მისი სიღრმიდან გაზეთის ქაღალდში გახვეული, ზონრით გარდიგარდმო კოხტად შეკრული დაბეჭდილი პაკეტი ამოაძვრინა. ვასილისამ ეს პაკეტი სამალავში შეინახა და კარი დახურა. წითელმანუდგადაკრულ მაგიდაზე

დიდხანს ზომავდა და ჭრიდა შპალერის ზომებს, სანამ ისე მიუყენებდა, როგორც საჭირო იყო. ბუბკოჩასმული ზოლები ჭრილს ისე მოარგო, უკეთესს ვერ ინატრებდა: ნახევარი თაიგული ნახევარ თაიგულს, კვადრატს კვადრატს მიუყენა. როცა ინჟინერი სკამიდან ჩამოვიდა და დარწმუნდა, რომ კედელს სამალავის ოდნავი კვალიც არ ეტყობოდა, ხელები აღფრთოვანებით მოიფშვნიტა, შპალერის ნარჩენები უმაღლ მოჭმუჭნა, ღუმელში დაწვა, ფერფლი გაფანტა და წებო შეინახა.

ჩაშავებულ, უკაცრიელ ქუჩაში მგლისებური, დაძონძილი, რუხი ლანდი უხმაუროდ ჩამოხტა აკაციის ტოტიდან, სადაც ნახევარი საათი იჯდა და ყინვაში იტანჯებოდა, მაგრამ ზეწრის ზედა კუთხესთან დარჩენილი მუხანათი ჭრილიდან ხარბად ადევნებდა თვალს ინჟინერის საქმიანობას, ვინც უბედურებას სწორედ ამ ზეწრის გამო, მწვანედ შეღებილ ფანჯარაზე ჩამოფარებული ზეწრის გამო გადაეყარა. ლანდი ნამქერში მარჯვედ ჩახტა, ქუჩას ზემოთ აუყვა, მერე მგლური ძუნძულით შესახვევებს შეერია და სადღაც გაუჩინარდა. ქარბუქმა, წყვდიადმა, ნამქერმა ისიც ჩაყლაპა და მისი ნაკვალევიც ერთიანად წაშალა.

ღამეა. ვასილისა სავარძელში ზის. მწვანე ჩრდილში ნაღდი ტარას ბულბაა. გაფანჩული უღვაშები ჩამოშვია - ეშმაკმა დალახვროს, სადაური ვასილისაა! - ეს ხომ ვაჟკაცია. ყუთში ნაზი შარიშური გაისმა და ვასილისას წინ, წითელ მაუღზე მწვანედ დაწინწკლული ბანქოს ქალაღდისნაირი მოგრძო დასტები გაჩნდა: Знак державної скарбниці 50 карбованців

Ходит нарівні з кредитовими білетами[2].

ქალაღდზე უღვაშჩამოშვებული, ნიჩაბმომარჯვებული სოფლეღია გამოსახული, აგრეთვე ნამგღიანი სოფლეღი ქალი. უკანა მხარეზე, ოვალურ ჩარჩოში, იმავე სოფლეღი კაცისა და ქალის გადიღებული, ღაჟღაჟა სახეები. აქაც უკრაინულად ჩამოშვებული უღვაშები. ზემოდან გამაფრთხილებელი წარწერა გასღევს: За фальшування карається турьмою[3].

ღამაჯერებელი ხელმოწერა: Директор державної скарбниці Лебідь-Юрчик.[4]

სპიღენძის ცხენზე ამხედრებული, თუჯის აწეწიღი ბაკენბარღებით სახეშემობურული აღექსანდრე II ლებიდ-იურჩიკის მხატვრულ ქმნიღებას ცერად, ბრაზიანად, ხოლო ლამპა-ღედოფალს აღერსიანად დასცქეროდა. კეღლიღან ქალაღღებს შეძრწუნებული დაჰყურებდა სტანისღავით მკერდღამშვენებული მოხეღე - ვასიღისას ზეთით დახატული წინაპარი.

მწვანე შუქზე სათუთად ეღვარებდა გონჩაროვის და დოსტოვესკის ყუთები და ბროკჰაუზ-ევერონის ოქროსფერ-შავი მხედრულ-გვარდიული მძღავრი მწკრივი. სიმყუღროვე სუფევდა.

ხუთპროცენტიანი საგულღაგუღოღაა დამაღული შპალერის ქვეშ სამალავში. იქვე თხუთმეტი „კატერინკა“, ცხრა „პეტრე“, ათი „ნიკოლოზ პირვეღი“, სამი ბრიღიანტისთვღიანი ბეჭედი, გუღის ქინძისთავი, ანა და ორი სტანისღავი.

№ 2 სამალავში ოცი „კატერინკა“, ათი „პეტრე“, ოცღახუთი ვერცხღის კოვზი, მეწკვიანი ოქროს საათი, სამი პორტსიგარი („მვირფას თანამშრომელს“, თუმცა ვასიღისა არ ეწეოღა), ორმოცღაათი ოქროს თუმნიანი, სამარიღეები, კოლოფში

ჩაწყობილი ექვსი წყვილი ვერცხლის დანა-ჩანგალი, ვერცხლისავე საწური (დიდი სამალავი შემის ფარდულშია, კარიდან ორი ნაბიჯი პირდაპირ, მერე ერთი ნაბიჯი მარცხნივ, კიდევ ერთი ნაბიჯი ცარცით ნიშანდასმული კედლის ძელიდან. ყველაფერი ეინემის ნამცხვრის ყუთებშია ჩაწყობილი, მუშამბაშია შეხვეული, ხოლო ნაკერები ფისითაა ამოგლესილი, ორი არშინის სიღრმეზე ჩაფლული).

მესამე სამალავი სხვენზეა: საკვამური მილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ორ ჩარეწზე, კოჭის ქვეშ, თიხაში. იქ არის შაქრის მაშა, ას ოთხმოცდასამი ოქროს თუმნიანი, ოცდახუთი ათასის პროცენტისანი ქალაღები.

ლებიდ-იურჩიკი ყოველდღიური ხარჯებისთვისაა გადაღებული.

ვასილისამ მიმოიხედა, როგორც ყოველთვის იცოდა, როცა ფულს ითვლიდა და ნერწყვით ქალაღი დაასველა, სახე ზემთაგონებული გაუხდა. მერე უცაბედად გაფითრდა.

- ყალბია, ყალბია, - ბრაზით ჩაიბუზღუნდა და თავი გააქნია, - ეს რა უბედურებაა, ჰა?

ვასილისას ცისფერი თვალები სასიკვდილოდ განწირულივით დაუნაღვლიანდა. მესამე ათეულში ერთი, მეოთხე ათეულში ორი, მეექვსეში ორი, მეცხრეში კი ზედიზედ სამი ფული აღმოჩნდა ნამდვილად ისეთი, რაზედაც ლებიდ-იურჩიკი დაპატიმრებით იმუქრებოდა. ას ცამეტ ცალში, ბატონი ბრძანდებით, რვა აშკარად ყალბია. სოფლელი, ცოტა არ იყოს, დაღვრემილია, მხიარული კი უნდა იყოს, ძნასთან არ ჩანს საიდუმლო, უტყუარი, გადაბრუნებული მძიმე და ორი წერტილი, ქალაღიც ლებიდის ქალაღზე უკეთესია. ვასილისამ სინათლეზე გახედა. ლებიდს სიყალბე უკანა მხრიდან აშკარად ეტყობოდა.

- ერთს ხვალ სადამოს მეეტლეს მივცემ, - უთხრა საკუთარ თავს ვასილისამ - ისედაც უნდა დამეჭირავენინა. დანარჩენს, რა თქმა უნდა, ბაზარზე გავასაღებ.

მეეტლისა და ბაზრისთვის განკუთვნილი ყალბი ფულები ცალკე გადააწყო, დასტა კი უჯრაში შეინახა და ჩხაკუნა გასაღებით ჩაკეტა. შეკრთა. თავს ზემოთ, ჭერზე ვიღაცამ გაირბინა და სამარისებული სიჩუმე სიცილმა და გაურკვეველმა ხმებმა გაკვეთა.

- ხომ ხედავთ, მოსვენება სულ დაკარგული გვაქვს... - უთხრა ვასილისამ ალექსანდრე მეორეს.

ზემოთ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ვასილისამ დაამთქნარა, ნეჭივით უღვაშზე ხელი ჩამოისვა, ფანჯრებიდან პლედი და ზეწარი ჩამოხსნა და სასტუმრო ოთახში, სადაც გრამოფონის რუპორი მქრქალად ბზინავდა, პატარა ლამპა აანთო. ათი წუთის შემდეგ ბინას სრული სიბნელე დაეუფლა. ვასილისას ნესტიან საწოლ ოთახში ცოლის გერდით ეძინა. იდგა თავისა და ობის სუნი, გამეფებული ძილი და მოწყენილობა. და, აი, ვასილისას სიზმარში გამოეცხადა ამხედრებული ლებიდ-იურჩიკი და ვიღაც ტუმინოელმა ქურდებმა სამალავი გააღეს. გულის ვალეტი სკამზე შეხტა, ვასილისას უღვაშზე დააფურთხა და ტყვია დაახალა. ცივ ოფლში გაღვარულმა ვასილისამ ყვირილით გაიღვიძა. ჯერ სასადილო ოთახიდან ხრამუნის გაიგონა: თავგების მთელი ოჯახი ორცხობილას პარკს მისდგომოდა და ილხენდა. მერე კი ზემოდან, ჭერსა და ხალიჩებში გიტარის ნაზმა ჟღერამ და სიცილმა ჩამოატანა.

ჭერს ზემოთ საოცრად მძლავრი და მგზნებარე ხმა დაირხა და ამ ხმას გიტარაც აჰყვა.

- მეტი გზა არა მაქვს, ბინის მიქირავებაზე უარი უნდა ვუთხრა, - ზეწრებში აცახცახდა ვასილისა, - რა ჯანდაბაა, არც დღე და არც ღამე მოსვენება არა გვაქვს.

მოდიან, მოიმღერიან

გვარდიელი იუნკრები...

- თუმცა, რა იცი, რა მოხდება... მართლაცდა საშინელი დროა, სხვას რომ მივაქირავო ბინა, ვინ იცის, რა ხალხი გამოდგეს, ესენი კი, რაც არ უნდა იყოს, ოფიცრები არიან... რამე რომ მოხდეს, გამოგესარჩლებიან... აცხა! - დაუყვირა ვასილისამ გამმაგებულ თავგს...

გიტარა.. გიტარა... გიტარა...

*

სასადილო ოთახის ჭადში ორი ალი ბრიალებს. ლურჯი კვამლი აღმებევით ირხევა. შემინულ აივანს ერთიანად კრემისფერი ფარდები ფარავს. საათის ხმა არ ისმის. გაქათქათებულ სუფრაზე მოჩანს სათბურის ვარდების ახალთახალი თაიგული, სამი ბოთლი არაყი, თეთრი ღვინის გერმანული ვიწრო ბოთლები, ღვინის ჭიქები, წახნაგებმოელვარე ვაზეზში ჩაწყობილი ვაშლები, ლიმონის პატარ-პატარა ნაჭრები, ჩაი...

სავარძელზე იუმორისტული გაზეთის „ემმაკის ტიკინის“ დაჭმუჭნული ფურცელი გდია. სუფრასთან მსხდომთა თავებში ბურუსი ირხევა, ხან უმიზეზო სიხარულის ოქროს კუნძულისკენ მიაქანებს, ხან შემფოთების მღვრიე ტალღაზე შეაგდებს. ბურუსს კვეთს უწმაწური სიტყვები: შიშველი პროფილით ზღარბს ვერ დააჯდები!

- აი, ჭკუამხიარული არამზადები... ქვემეხები კი დადუმდა. რა მოსწრებულადაა ნათქვამი, ეშმაკმა დალახვროს! არაყი, არაყი და ბურუსი. არ-რა-ტა-ტამ! გიტარა.

საზამთრო საპნად არ იხარშება, ამერიკელები გაიმარჯვებენ.

სადღაც კვამლის ფარდის მიღმა მიშლაევსკიმ გაიცინა. იგი მთვრალია.

ბრეიტმანს ნეტა რა ეხუმრება

მითხარით ერთი, რა დამართია!

სენეგალელთა ასეულები

საით წასვლია, სად დაჰკარგვია?

- სად არიან, მართლა სად არიან? სად? - ბუტბუტებს გონებაშიბინდული მიშლაევსკი.

ცხვრები ბატკნებს აჩენენ, რომიანკოს პრეზიდენტად ირჩევენ.

- ნიჭიერები არიან ეს არამზადები, ვერაფერს იტყვი!

ტალბერგის წასვლის მერე ელენას გონს მოსვლა აღარ აცალეს... თეთრი ღვინო ტკივილს განა აქრობს, მხოლოდ აყუჩებს. ელენა სათამადო ადგილას ზის. მაგიდის

ვიწრო მხარეს, სავარძელში, მოპირდაპირე მხარეს, მიშლაევსკია. თეთრი, ხაოიანი ხალათი აცვია, სმისა და საშინელი დაღლილობისაგან სახე აფორეჯებია. თვალეზზე წითელი რკალები შემორტყმია - ყინვის, განცდილი შიშის, არაყის, გაანჩხლების შედეგად. მაგიდის გრძელ კიდეზე ერთი მხრიდან ალექსეი და ნიკოლკა უსხედან, მეორიდან - ლეონიდ იურიევიჩ შერვინსკი ზის, ყოფილ ულანთა ლეიბ-გვარდიული პოლკის პორუჩიკი, ამჟამად თავად ბელორუკოვის შტაბის ადიუტანტი, ხოლო მის გვერდით პოდპორუჩიკი ფიოდორ ნიკოლაევიჩ სტეპანოვი, არტილერისტი, იგივე კარჩხანა, ალექსანდრეს გიმნაზიიდან მეტსახელად რომ გამოჰყვა.

პატარა, ტანსრული, მართლაც პირწავარდნილი კარჩხანა ტალბერგის წასვლიდან ოცი წუთის შემდეგ ტურბინების სადარბაზოსთან შერვინსკის შეეფეთა. ორივეს ბოთლები მოჰქონდა. შერვინსკის ოთხი ბოთლი თეთრი ღვინო, კარჩხანას - ორი ბოთლი არაყი. ამას გარდა, შერვინსკის ქალაქში სამპირად საგულდაგულოდ შეფუთული უზარმაზარი თაიგულიც ეჭირა, - რაღა თქმა უნდა, ელენა ვასილიევნასთვის მისართმევი ვარდები. კარჩხანამ შერვინსკის იქვე, სადარბაზოსთან აუწყა ახალი ამბავი: სამხრეებზე ოქროსფერი ქვემეხები უკეთია, - მეტის მოთმინება აღარ შეიძლება. ყველა საომრად უნდა წავიდეს, უნივერსიტეტში მეცადინეობას აზრი არა აქვს, ხოლო თუ პეტლიურა ქალაქში შემოდვრა - მით უმეტეს არ ექნება. ყველანი უნდა წავიდნენ, არტილერისტები კი უსათუოდ - სამორტირო დივიზიონში. მეთაურია პოლკოვნიკი მალიშევი, დივიზიონი საუცხოოა, ასედაც ჰქვია - სტუდენტური. კარჩხანა სასოწარკვეთილია, მიშლაევსკი იმ ბრიყვულ რაზმში რომ ჩაეწერა. რა სისულელე ქნა. გმირობა მოინდომა, აჩქარდა. ეშმაკმა უწყის, ახლა სად არის. იქნებ მოკლეს კიდეც ქალაქის მისადგომებთან...

არადა, მიშლაევსკი თურმე აქ, ზემოთ ყოფილა! ოქროსფერმა ელენამ ჩაბნელებულ საწოლ ოთახში, ვერცხლისფოთლებიანი, ოვალური ჩარჩოს წინ სახე საჩქაროდ შეიპუდრა და ვარდების გამოსართმევად გამოვიდა. ვა-შა! ყველანი აქ არიან. კარჩხანას დასრესილ სამხრეებზე დამაგრებული ოქროსფერი ქვემეხები შერვინსკის მკრთალ კავალერიულ სამხრეებსა და დაუთოებულ ბრიჯთან შედარებით სწორედ რომ არარაობა გახლდათ. ტალბერგის გაუჩინარების ამბავი რომ შეიტყო, ტანმორჩილ შერვინსკის თავხედურ თვალეზში სიხარული ბურთებივით აუთამაშდა. პატარა ულანმა უმაღ იგრძნო, რომ მის ხმას ასეთი ძალა არასოდეს ჰქონია, და ვარდისფერი სასტუმრო ოთახი მართლაც ბგერათა ქარტეხილმა გაავსო; შერვინსკი ჰიმენე ღმერთს ეპითალამას უმღეროდა და მერე როგორ უმღეროდა! დიახაც, ამქვეყნად ყოველივე უაზრობაა ისეთი ხმის გარდა, შერვინსკის რომ აქვს. რა თქმა უნდა, ახლა შტაბებია, ეს სულელური ომი, ბოლშევიკები, პეტლიურა, მოვალეობა, მაგრამ მერე, როცა ყველაფერი მოწესრიგდება, სამხედრო სამსახურს მიატოვებს, თუმცა პეტერბურგში ისეთი ნაცნობობა ჰყავს, ხომ იცი, რა ნაცნობობაც ჰყავს... ო-ჰო-ჰო... და სცენას მიაშურებს, ლა სკალაში და მოსკოვის დიდ თეატრში იმღერებს, როცა მოსკოვში ბოლშევიკებს თეატრალური მოედნის ფარნებზე ჩამოახრჩობენ. ჟმერინკაში იგი გრაფინია ლენდრიკოვას შეუყვარდა, იმიტომ რომ, როცა ეპითალამას მღეროდა, Fa-ს მაგიერ La აიღო და ხუთი ტაქტი გაჭიმა. ხუთიო, თქვა შერვინსკიმ, თავი ოდნავ დახარა და ირგვლივ ისე დაბნეულმა მიმოიხედა, თითქოს ამ ამბავს სხვა ჰყვებოდა, თავად კი უსმენდა.

- მაშ, მაშ, ხუთი. ჰო, კარგი, ახლა ვივანშმოთ.

კვამლის ალმები კვლავ დაირხა...

- რა იქნა სენეგალელთა ასეულები? გვიპასუხე, შტაბელო, გვიპასუხე. ლენოჩკა, ღვინო დალიე, მარგალიტო, დალიე. ყველაფერი კარგად იქნება. ძალიან კარგადაც მოიქცა, რომ წავიდა. დონზე გააღწევს და იქიდან დენიკინის ჯარს შემოჰყვება.

- მოვლენ! - დაიქუხა შერვინსკიმ, - მოვლენ! ნება მიბოძეთ, საყურადღებო რამ გაუწყობთ: დღეს კრემიატიკზე საკუთარი თვალთ ვნახე სერბი კვარტირეები და ზეგ, დიდი-დიდი ორი დღის შემდეგ, ქალაქში სერბთა ორი პოლკი შემოვა.

- მოიცა, ეს მართალია?

შერვინსკის სახე წამოუჭარხლდა.

- ჰმ, უცნაურია. რაკი ვამბობ, საკუთარი თვალთ ვნახე-მეთქი, ეს შეკითხვა უადგილოდ მიმაჩნია.

- ორი პოლკი... ორი პოლკი რა ბედენაა..

- კარგი, მაშ კეთილი ინებეთ და მომისმინეთ. დღეს თვითონ თავადმა მითხრა, ოდესის ნავსადგურში სატრანსპორტო გემების გადმოტვირთვას შეუდგნენო. ბერძნები ჩამოვიდნენ. სენეგალელთა ორი დივიზიაც ჩამოსულა. ერთი კვირაც თუ გავუძელით - მიგვიფურთხებია გერმანელებისთვის.

- მოღალატეები!

- თუ ეს მართალია, მაშინ პეტლიურა უნდა დაიჭირონ და ჩამოახრჩონ! უნდა ჩამოახრჩონ!

- საკუთარი ხელით დავცხრილავ.

- აბა, თითოც გადავკრათ. თქვენი სადღეგრძელო იყოს, ბატონო ოფიცრებო!

თითოც და ყოველივე საბოლოოდ მიინისლა! მიინისლა, ბატონებო. ნიკოლკამ სამი ჭიქა დალია, თავისი ოთახისკენ ცხვირსახოცისთვის გაიქცა და შემოსასვლელში (როცა არავინ გიყურებს, შეგიძლია თავი აღარ შეიკავო) საკიდს მიეკრა. შერვინსკის მოკაკული ხმლის სახელური ოქროსფრად ელავდა. სპარსელი პრინცის ნაჩუქარია. დამასკური ფოლადია. თუმცა არც პრინცის ნაჩუქარია და არც დამასკური ფოლადია, მაგრამ რაც მართალია, მართალია - ლამაზი და ძვირფასია. ღვედებიან ბუდეში ჩადებულ პირქუმ მაუზერს, კარჩხანას „სტეიერს“ - ყორნისფერი ლულა აქვს. ნიკოლკა ცივ ხის ბუდეს მიეკრა, მაუზერის მრისხანე ცხვირს თითები მოუთათუნა და მღელვარებისაგან კინაღამ ატირდა. მოუნდა, მაშინვე, იმწუთასვე წასულიყო საომრად, იქ, პოსტ-ვოლინსკის იქით, დათოვლილ ველზე. რა სირცხვილია! აქ არაყია და სითბო, იქ კი წყვდიადი, ქარაშოტი, ქარბუქი, იუნკრები ითოშებიან. იქ, შტაბში, ნეტა რას ფიქრობენ? ეჰ, რაზმი ჯერ მზად არ არის, სტუდენტები გაუწვრთვნელნი არიან, სენეგალელები კი არა და არ ჩანან; ალბათ ჩექმებივით შავები იქნებიან... აქ ხომ გაითომებიან და სული ამოძვრებათ? ისინი ხომ ცხელ ჰავას არიან მიჩვეულნი?

- მე თქვენს ჰეტმანს, - ყვიროდა უფროსი ტურბინი, - ყველაზე უწინ ჩამოვახრჩობდი! ნახევარი წელია ყველას სასაცილოდ გვიგდებს. რუსული ჯარის ჩამოყალიბება ვინ

აკრძალა? ჰეტმანმა. ახლა კი, როცა კუდი აეწვათ, ხომ დაიწყეს რუსული ჯარის ჩამოყალიბება? მტერი ორ ნაბიჯზეა, ესენი კი ლაშქრებიო, შტაბებიო! თვალი გაახილეთ, გაახილეთ!

- ხალხს ნუ აფრთხობ, - ცივად უთხრა კარჩხანამ.

ტურბინი გაცეცხლდა.

- მე ვაფრთხობ? თქვენ ჩემი ნათქვამი არ გინდათ გაიგოთ. კი არ ვაფრთხობ, რაც გულში მაქვს დაგუბებული ყველაფერი მინდა გადმოვანთხო. ვაფრთხობ? ფიქრი ნუ გაქვთ, უკვე გადავწყვიტე. ხვალ სწორედ იმ დივიზიონში მივდივარ და, თუ თქვენი მალიშევი ექიმად არ მიმიღებს, რიგით ჯარისკაცად ჩავირიცხები. უკვე მომზეზრდა! ვაფრთხობ კი არა, - ტურბინს ყელში კიტრის ნაგლეჯი გაეჩხირა, ხველა აუტყდა და სული შეუფუჭდა. ნიკოლკამ ზურგზე ხელის ტყაპუნი დაუწყო.

- სწორია! - კვერი დაუკრა კარჩხანამ და მაგიდას მუშტი დაჰკრა. - რიგითი ჯარისკაცობა რა ეშმაკად გინდა, ექიმად მოგაწყობთ.

- ხვალ ყველანი ერთად წავალთ, - ბუტბუტებდა მთვრალი მიშლავესკი, - ყველანი ერთად, იმპერატორ ალექსანდრეს მთელი გიმნაზია. ვაშა!

- ნამძირალაა, - განაგრძობდა ტურბინი, - ამ ენაზე ხომ თავადაც არ ლაპარაკობს! ჰა? გუშინწინ იმ მუდრეგს, ექიმ კურიცკის ვეკითხებოდი - გასული წლის ნოემბრის მერე, წარმოგიდგენიათ, რუსული გადაავიწყდა! კურიცკი იყო, ახლა კურიცკი გახლავთ... ჰოდა, ვეკითხები: უკრაინულად კატას რა ჰქვია-მეთქი? კიტო, მეუბნება. მამ ვეშაპს რაღა ჰქვია-მეთქი? შეჩერდა, თვალეზი დაჰყიტა და კრინტი არ დაძრა. ახლა კი აღარ მესალმება.

ნიკოლკა გულიანად ახარხარდა და თქვა: - სიტყვა „ვეშაპი“ მაგათ არც შეიძლება ჰქონდეთ, რადგან უკრაინაში ვეშაპები არ არიან. რუსეთში კი ყველაფერი ბევრია. თეთრ ზღვაში ვეშაპები არიან...

- მობილიზაცია, - გესლიანად განაგრძობდა ტურბინი, - ვაი, რომ არ გინახავთ, გუშინ უბნებში რა ხდებოდა. მობილიზაციის ამბავი ბრძანების გამოცხადებამდე სამი დღით ადრე ყველა მევალუტემ იცოდა. როგორ მოგწონთ? ჰოდა, ყველას თიაქარი, ყველას მარჯვენა ფილტვის დაჩრდილვა აღმოაჩნდა, ხოლო ვისაც არაფერი სჭირდა, საერთოდ სადღაც გაქრა, თითქოს მიწამ პირი უყო. ეს კი, ჩემო ძმაო, ავის მომასწავებელია. თუ მობილიზაციის წინ ყავახანებში ჩურჩულებენ და არც ერთი არ ცხადდება - წასულია საქმე! ოჰ, ის გაიძვერა, ის გაიძვერა! აპრილში რომ დაეწყო ოფიცერთა კორპუსების ჩამოყალიბება, ახლა მოსკოვს ავიღებდით. გარწმუნებთ, აქ ქალაქში, ორმოცდაათათასიან ჯარს შეკრებდა, თანაც როგორ ჯარს! რჩეულს, საუკეთესოს, იმიტომ რომ ყველა იუნკერი, ყველა სტუდენტი, გიმნაზისტისტი და ოფიცერი, ისინი კი ქალაქში ათასობით არიან, ყველა სიხარულით წავიდოდა. უკრაინაში ხომ პეტლიურა სახსენებელი აღარ იქნებოდა და ტროცკისაც მოსკოვში ბუზივით გავსრესდით. სწორედ შესაფერი დროა: ამბობენ, იქ კატებს ჰამენო. ეს მამაძაღლი რუსეთს იხსნიდა.

ტურბინს სახე აუფორეჯდა, სიტყვებთან ერთად პირიდან ნერწყვის წვრილ-წვრილი მხეფები სცვიოდა, თავლები უელავდა.

- შენ... შენ... იცი რა, შენ ექიმი კი არა თავდაცვის მინისტრი უნდა იყო ნამდვილად, - უთხრა ტურბინს კარჩხანამ. იგი დამცინავად ილიმებოდა, თუმცა ტურბინის ნათქვამი მოსწონდა და მასაც ცეცხლს უგზნებდა.

- ალექსეის მიტინგზე ბადალი არ ეყოლება, ორატორია, - თქვა ნიკოლკამ.

- ნიკოლკა, უკვე ორჯერ გითხარი, ოხუნჯობა არ შეგიძლია-მეთქი, - უპასუხა ტურბინმა, - გირჩევნია, ღვინო დალიო.

- ნუთუ არ გესმის, - წამოიწყო კარჩხანამ, - რომ გერმანელები ჯარის ჩამოყალიბების ნებას არ მოგცემდნენ. მათ ჩვენი ჯარისა ეშინიათ.

- ტყუილია, - წვრილი ხმით შეჰყვირა ტურბინმა, - მხრებზე თავი რომ ჰბმოდათ, ჰეტმანთან მორიგებას ყოველთვის შეძლებდნენ. გერმანელებისთვის უნდა აეხსნათ, რომ ჩვენ მათთვის საშიში არა ვართ. რა თქმა უნდა, ომი წავაგეთ! ახლა ჩვენ სხვა რამ, უფრო საშინელი, ომზე გერმანელებზე, ამქვეყნად ყველაფერზე უფრო საშინელი რამ გვემუქრება. ეს ტროცკი გახლავთ! აი, გერმანელებისთვის რა უნდა ეთქვათ: შაქარი გინდათ? პური გინდათ? წაიღეთ, მოხვეტეთ, ჩაახეთქეთ თქვენს ჯარისკაცებს, მუცელი ამოუყორეთ, ოღონდაც დაგვეხმარეთ. ჯარი ჩამოგვაყალიბებინეთ, ეს ხომ თქვენთვისაც უმჯობესი იქნება. ჩვენ უკრაინაში წესრიგის დამყარებაში დაგვეხმარეთ, რათა ჩვენს ღვთისმტვირთველ გლეხებს მოსკოვური სენი არ შეეყაროთ. ახლა ქალაქში რუსული ჯარი რომ იდგეს, მოსკოვს რკინის კედლით გავემიჯნებოდით. პეტლიურას კი.. კ-ხ... - ტურბინს საშინელი ხველა აუტყდა.

- მოიცა, - წამოდგა შერვინსკი. - მოიცა. ჰეტმანის დასაცავად რაღაც უნდა ვთქვა. მართალია ზოგ რამეში ცდებოდა, მაგრამ სწორი გეგმა ჰქონდა. ოო, ის დიპლომატია. ეს მხარე უკრაინულია... ხოლო შემდგომში ჰეტმანიც იმას იზამდა, რასაც შენ ამბობ: რუსული ჯარი, მორჩა და გათავდა. სხვა რაღა გნებავთ? - შერვინსკიმ ხელი საზეიმოდ საითღაც გაიშვირა. - ვლადიმირის ქუჩაზე უკვე სამფეროვანი დროშები ფრიალებს.

- დროშების ფრიალი გვიანდაა!

- ჰმ. ჰო, ეს მართალია. ცოტა გვიანაა, მაგრამ თავადს სწამს, რომ შეცდომის გამოსწორება შეიძლება.

- ღმერთმა ინებოს, გულწრფელად მსურს, - ტურბინმა კუთხეში მდგარ ღვთისმშობლის ხატისკენ გაიხედა და პირჯვარი გადაისახა.

- გეგმა კი ასეთი იყო, - მჭექარე ხმით, საზეიმოდ თქვა შერვინსკიმ, - როცა ომი დამთავრდებოდა, გერმანელები ძალას მოიკრებდნენ და ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაგვეხმარებოდნენ. მოსკოვის დაკავების შემდეგ ჰეტმანი უკრაინას ფეხით გაუშლიდა მის იმპერატორულ უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატორს, ნიკოლაი ალექსანდროვიჩს.

ამ განცხადების შემდეგ სასადილო ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ნიკოლკა სიმწრისაგან გაფითრდა.

- იმპერატორი მოკლეს, - ჩაიჩურჩულა მან.

- რომელ ნიკოლაი ალექსანდროვიჩს? - ჰკითხა შერვინსკის გაოგნებულმა ტურბინმა. მიშლაევსკი კი შეტოკდა და მეზობლის ჭიქას ცერად გადახედა. აშკარაა: თავს იმაგრებდა, იმაგრებდა და ბოლოს უგონოდ დათვრა.

ხელისგულელებზე თავჩამოდებულმა ელენამ ულანს შიშნარევი მზერა მიაპყრო.

მაგრამ შერვინსკი არც ისე მთვრალი იყო. მან ხელი აღმართა და მძლავრი ხმით თქვა:

- ნუ აჩქარდებით, მისმინეთ. მაგრამ ბატონ ოფიცრებს ვთხოვ (ნიკოლკა ჯერ გაწითლდა, მერე გაფითრდა), არსად თქვან, რასაც გაცნობებთ. ჰოო, იცით თუ არა, რა მოხდა იმპერატორის სასახლეში, როცა მას ჰეტმანის ამალა წარუდგინეს?

- წარმოდგენაც არა გვაქვს, - ცნობისმოყვარედ თქვა კარჩხანამ.

- ჰო-ო, მე კი ვიცი.

- ოო, ამან ყველაფერი იცის, - გაიოცა მიშლაევსკიმ, - შენ ხომ იქ არ ყოფილ...

- ბატონებო, აცალეთ, თქვას.

- იმპერატორი ვილჰელმი ამალას მოწყალედ ესაუბრა და მერე თქვა: „ახლა მე დაგემშვიდობებით, ბატონებო, ხოლო შემდგომ ამბებზე გესაუბრებათ...“ ფარდა გაიწია და დარბაზში თურმე ჩვენი ხელმწიფე შემოვიდა. მან თქვა: ბატონო ოფიცრებო, უკრაინაში გაემგზავრეთ და თქვენი ნაწილები ჩამოაყალიბეთ. როცა დრო დადგება, ჯარს სათავეში თავად მე ჩავუდგები და რუსეთის გულისკენ - მოსკოვისკენ წავუძღვებიო, - და ცრემლი მოერია.

შერვინსკიმ გაბრწყინებული თვალები მთელ საზოგადოებას მოავლო, ღვინით სავსე ჭიქა ერთბაშად გამოცალა და მერე თვალები მოჭკუტა. მას ათი თვალი მიაჩერდა და ვიდრე დაჯდებოდა და ღვინოს შაშხს მიაყოლებდა, ოთახში სიჩუმე მეფობდა.

- იცი რა... ეს ლეგენდაა, - უთხრა შერვინსკის მწუხარედ შუბლშეჭმუხნულმა ტურბინმა. - ეგ მე აქამდეც მქონდა გაგონილი.

- ყველანი დახოცეს, - თქვა მიშლაევსკიმ, - ხელმწიფეც, დედოფალიც და ტახტის მემკვიდრეც.

შერვინსკიმ ღუმელს ცერად გახედა, ჰაერი ღრმად შეისუნთქა და წარმოთქვა: - ტყუილად არ იჯერებთ. მისი იმპერატორული უდიდებულესობის სიკვდილის ამბავი...

- რამდენადმე გაზვიადებულია, - იოხუნჯა შემთვრალმა მიშლაევსკიმ.

ელენა აღშფოთებით შეირხა და ბურუსიდან გამოკრთა.

- ვიტია, გრცხვენოდეს. ოფიცერი ხარ.

მიშლაევსკი ბურუსში ჩაიძირა.

- ...თავად ბოლშევიკების შეთხზულია. ხელმწიფემ თავს უშველა თავისი ერთგული გუვერნიორის... უკაცრავად, ტახტის მემკვიდრის გუვერნიორის, მოსიე ჟილიარის და რამდენიმე ოფიცრის დახმარებით, რომელთაც იგი გაიყვანეს... ე-ე... აზიაში; იქიდან

ისინი სინგაპურში გადავიდნენ და მერე ზღვით ევროპაში ჩავიდნენ. ჰოდა, ჩვენი ხელმწიფე ამჟამად იმპერატორ ვილჰელმის სტუმარი გახლავთ.

- კი მაგრამ ვილჰელმიც რომ ჩამოაგდეს? - წამოიწყო კარჩხანამ.

- ორივენი დანიაში არიან სტუმრად, მათთანვეა ხელმწიფის უავგუსტოესი დედა, მარია ფიოდოროვნა. თუ ჩემი არ გჯერათ, მოგახსენებთ: ეს ყოველივე თვით თავადმა მაცნობა.

ნიკოლკას აჩქროლებული გული უკვნესოდა. სურდა, რომ დაეჯერებინა.

- თუ ეს ასეა, - უცებ აღფრთოვანებით წამოიძახა მან და წამოხტა, თან შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, - მაშ, სადღეგრძელოს გთავაზობთ: გაუმარჯოს მის იმპერატორულ უდიდებულესობას! - ჭიქა მაღლა ასწია და წახნაგოვანმა ოქროსფერმა ისრებმა გერმანული თეთრი ღვინო გამსჭვალა. დეზები სკამზე აწკარუნდა. მიშლავესკი ქანაობით წამოიმართა და მაგიდას მოეჭიდა. ელენა წამოდგა, ოქროსფერი ნამგალი გაეშალა და კულულები საფეთქლებზე ჩამოეყარა.

- დაე! დაე, თუნდაც მოკლული იყოს, - გაბზარული, ჩახლეჩილი ხმით შესძახა მან. - სულ ერთია. მაინც შევსვამ. მაინც შევსვამ.

- მას არასოდეს, არასოდეს ეპატიება, დნოს სადგურზე ტახტიდან რომ გადადგა. არასოდეს. მაგრამ სულ ერთია. ჩვენ ახლა მწარე გამოცდილებით ჭკუა ნასწავლი გვაქვს და ვიცით, რომ რუსეთს მხოლოდ მონარქია იხსნის. ამიტომ, თუ იმპერატორი მკვდარია, გაუმარჯოს იმპერატორს! - ტურბინმა შეჰყვირა და ჭიქა ასწია.

- ვა-შა! ვა-შა! ვა-შა! - სამჯერ იქუხა სასადილო ოთახში.

ქვემოთ ვასილისა წამოხტა და ცივმა ოფლმა დასხა. ნამმინარევმა შემზარავი ხმით შეჰბლავლა და ვანდა მიხაილოვნა გააღვიძა.

- ღმერთო ჩემო... ღმერ.. ღმერ... - ბუტბუტებდა ვანდა და ვასილისას პერანგზე ებლაუჭებოდა.

- რა ამბავია? ღამის სამი საათია! - ცრემლნარევი ხმით შეჰყვირა ვასილისამ და შავ ჭერს მიაშტერდა, - ბოლოს და ბოლოს ვიჩვილებ!

ვანდა აფშლუკუნდა. უეცრად ორივე გაშეშდა. ჭერიდან მკაფიოდ ჩამოიღვარა ხმების სქელი ტალღა და ამ ტალღის ქეროზე აზვირთებული მძლავრი, ზარივით მოგუგუნე ბარიტონი: ...ძლი-ერო, მპყრობელო, განაგე დიდებით.

ვასილისას გული გაუჩერდა და ლოგინში ფეხებიც კი ოფლმა დაუსველა. იგი ენას ძლივს ატრიალებდა და ბუტბუტებდა: - არა... ნამდვილად სულით ავადმყოფები არიან... მაგრამ ხომ შეუძლიათ ისეთ უბედურებაში გაგვხვიონ, თავი ველარ დავაღწიოთ. ჰიმნი ხომ აკრძალულია! ღმერთო, ჩემო, რას სჩადიან? ქუჩაში, ქუჩაში ხომ ისმის!!

მაგრამ ვანდა კუნძივით მიეგდო და კვლავ ჩაიძინა. ვასილისა კი მაშინდა დაწვა, როცა ზემოთ უკანასკნელი აკორდი განიბნა ბუნდოვან ბრაგაბრუგსა და შეძახილებში.

- რუსეთში მხოლოდ ერთი რამ შეიძლება: მართლმადიდებლური რწმენა და თვითმპყრობელური ძალაუფლება! - აქეთ-იქით ქანაობდა და ისე ყვიროდა მიშლაევსკი.

- მართალია!

- მე... „პავლე პირველზე“ ვიყავი... ერთი კვირის წინ... - ენის ბორძიკით ბუტბუტებდა მიშლაევსკი, - და როცა მსახიობმა ეს სიტყვები წარმოთქვა, თავი ველარ შევიკავე და შევძახე; „მართალია!“ - ჰოდა, რა გგონიათ, ირგვლივ ტაში დასცხეს. მხოლოდ ვიღაც რეგენმა იარუსიდან დაიყვირა, იდიოტიო!

- ურიები! - კუმტად შესძახა სიმთვრალემორეულმა კარჩხანამ. აღარა აქვს აზრი, აზრი აღარა აქვს ღვინის სმასაც, ჩადის სულში და უკანვე ბრუნდება. ხევივით ვიწრო პატარა საპირფარეოში, სადაც ჭერზე ლამპა მოჯადოებულებით ხტუნავს და ცეკვავს, ყველაფერი ინჯღრეოდა და ზანზარებდა. გაფითრებული, განაწამები მიშლაევსკი საშინლად არწყევდა. თავადაც მთვრალ, საზარელ შესახედავ, ლოყებაცახცახებულ, შუბლზე თმამიწეპებულ უფროს ტურბინს მიშლაევსკი ხელით ეკავა.

- აა...

მიშლაევსკი კვნესით აშორდა ნიჟარას, სხივმიძქრალი თვალები ტანჯულად გადაატრიალა და ტურბინს მკლავებზე დაბერტყილ ტომარასავით ჩამოეკიდა.

- ნი-კოლკა, - კვამლის შავ ზოლებში გაისმა ვიღაცის ხმა და ტურბინი მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ მიხვდა, რომ ეს მისი საკუთარი ხმა იყო. - ნი-კოლკა! - გაიმეორა მან. საპირფარეოს თეთრი კედელი შექანდა და გამწვანდა. - ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა საზიზღრობაა, რა სამაგლობაა. ვფიცავ, არაყსა და ღვინოს არასოდეს ავურევ. ნიკოლ...

- აა, - დაიხრიალა მიშლაევსკიმ და იატაკზე ჩაიკეცა.

შავი ჭრილი გაფართოვდა და ნიკოლკას თავი და შევრონი გამოჩნდა.

- ნიკოლ... მომეხმარე. წაიყვანე. ხელი, აი, ასე, ილლიაში ამოსდე.

- ც... ც... ც... ეჰ, ეჰ, - ბუტბუტებდა ნიკოლკა, თავს შებრალებით აქნევდა და იძაბებოდა. ცოცხალმკვდარი მიშლაევსკი ყანყალებდა, ათრეული ფეხები აქეთ-იქით ევარჩხებოდა, უსიცოცხლო თავი თითქოს ძაფზე დაჰკიდებოდა. ტაკ-ტუკ! საათი კედლიდან ქვემოთ მოცოცავდა და თავის ადგილასვე ბრუნდებოდა. ფინჯნებზე ყვავილები თაიგულებად აცეკვდა. ელენას სახე ალაგ-ალაგ წამოწებოდა. ერთი კულული მარჯვენა წარბს ზემოთ უთამაშებდა.

- ასე დააწვინე.

- ხალათი მაინც გადააფარე. უხერხულია, მე აქა ვარ. უჰ, თქვე ეშმაკის კერძებო. სმის შნო არა გაქვთ. ვიტკა! ვიტკა! რა დაგემართა? ვიტკა...

- მოეშვი. ეგ არ უშველის. ნიკოლკა, მისმინე, ჩემს კაბინეტში... თაროზე შუშაა; ზედ აწერია Liquor ammonia, კუთხე მოხეული აქვს, გესმის... ნიშადურის სპირტის სუნი აქვს.

- ახლავე... ახლავე... ეჰ-ეჰ.

- შენც კარგადა ხარ, ექიმო...

- ჰო, კარგი, კარგი.

- რა? მაჯა არ უცემს.

- არაფერია, გაუვლის.

- ტაშტი! ტაშტი!

- ტაშტი ინებეთ.

- ა-ა-ა...

- უჰ, თქვე...

ნიშადურის სპირტის სუნი მძაფრად სცემს. კარჩხანამ და ელენამ მიშლაევსკის პირი გაუღეს. ნიკოლკამ თავი დაუჭირა, ტურბინმა კი ამღვრეული თეთრი წყალი პირში ორჯერ ჩაასხა.

- ა... ხრ... უ-უხ... ტფ... ფე...

- თოვლი, თოვლი.

- ღმერთო ჩემო, ესღა გვაკლდა.

მიშლაევსკის შუბლზე სველი ტილო აფენია, ზეწარზე წყალი ჩამოწვეთილა, ტილოს ქვემოთ შემუშპებული ქუთუთოები და გადატრიალებულ თვალთა აწითლებული გარსი მოჩანს, ხოლო გათხელებულ ცხვირთან მოლურჯო ჩრდილები გაწოლილა.

დამარცხებულ ოფიცერს თხუთმეტი წუთი თავს დასტრიალებდნენ, ერთმანეთს იდაყვებს ჰკრავდნენ, ფაცურობდნენ, სანამ მან თვალი არ გაახილა და არ ამოიხრიალა: - უ... გამიშვით...

- ასე-ე, კმარა, აქვე დაიძინოს.

ყველა ოთახში შუქი აინთო, გადი-გამოდოდნენ, ლოგინებს შლიდნენ.

- ლეონიდ იურიევიჩ, აქ დაწექით, ნიკოლკასთან.

- თქვენი ნებაა.

შერვინსკის სახე სპილენძისფრად ალანძოდა, მაგრამ ცდილობდა, მხნეობა არ დაეკარგა, დეზები ააწკარუნა, თავი დახარა და შუაზე გაყოფილი თმა გამოაჩინა. ელენამ დივანზე დაწყობილი ბალიშები თეთრი ხელებით ააბურთავა.

- ნუ შეწუხდებით... მე თვითონ.

- იქით გაიწით, ბალიში ყურით რას დაითრიეთ? თქვენი დახმარება არ მჭირდება.
- ნება მომეცით, ხელზე გაკოცოთ...
- რა მიზეზით?
- მზრუნველობისთვის.
- უკოცნელადაც არა მიშავს... ნიკოლკა, შენ შენს საწოლზე დაწევი. როგორ არის?
- არა უშავს, გაუარა, გამოიძინებს.

ნიკოლკას ოთახის წინა ოთახშიც ორ საწოლს თეთრი ზეწრები გადააფარეს ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული, წიგნებით გამოტენილი ორი კარადის უკან. პროფესორის ბინაში ამ ოთახს ასედაც ეძახდნენ - წიგნების ოთახს.

*

ჩაქრა ნათურები. ჩაქრა წიგნების ოთახშიც, ნიკოლკასთანაც, სასადილო ოთახშიც. ფარდის კალთებს შუა დარჩენილ ვიწრო ჭრილში ელენას საწოლი ოთახიდან სასადილო ოთახისკენ მუქი წითელი ზოლი გამოსხლტა. ელენას შუქი აწუხებდა, ამიტომ საწოლის გვერდით ტუმბაზე მდგარ ნათურას მუქი წითელი სათეატრო კაპორი ჩამოაფარა. ოდესღაც ელენა სადამოობით ამ კაპორს იხურავდა და თეატრში მიდიოდა. მაშინ ხელებს, ბეწვეულს, ბაგეს სუნამოს სუნი ასდიოდა. სახეც თხლად, ნაზად ჰქონდა შეპუდრული, ხოლო კოლოფისნაირი კაპორიდან ელენა „პიკის ქალის“ ლიზასავით იყურებოდა. მაგრამ კაპორი ამ უკანასკნელ ერთ წელიწადში უცნაურად და სწრაფად დაძველდა, ნაოჭები გაუხუნდა და დაერღვა, ლენტები გაეცრიცა... ხალათმემოცმული ოქროსთმიანი ელენა „პიკის ქალის“ ლიზასავით მუხლებზე ხელებჩამოშვებული იჯდა გაშლილ ლოგინზე, შიშველი ფეხები დაძველებულ, გაფხეკილ დათვის ტყავზე ედგა, შეთრობამ მთლად გაუარა, შავი, უკიდევანო ნაღველი კაპორივით ჩამოეზურა. მეზობელი ოთახის კარადამიდგმულ კარს მიღმა ნიკოლკას წყნარი ფშვინვა და შერვინსკის მხნე ხვრინვა ყრუდ გაისმოდა, ხოლო წიგნების ოთახში, სადაც მიმკვდარებული მიშლაევსკი და კარჩხანა იწვნენ, მდუმარება სუფევდა. ელენა მარტო იყო და ამიტომ თავს არ იკავებდა, შუქით გავსილ კაპორსა და ფანჯრების ორ შავ ლაქას ხან ხმადაბლა, ხან უხმოდ, ტუჩების ოდნავი ცმაცუნით ებაასებოდა.

- წავიდა...

ჩაიბუტბუტა, გამშრალი თვალები მოჭუტა და ჩაფიქრდა. საკუთარ ფიქრთა ასავალ-დასავალი თავადაც ვერ გაეგო. წავიდა, თანაც ასეთ დროს. რა ბრძანებაა, ძალიან მოსაზრებელი კაცია და კარგადაც მოიქცა, რომ წავიდა... ეს უკეთესიცაა...

- მაგრამ ასეთ დროს... - ბუტბუტებდა ელენა და ხმამაღლა ოხრავდა.

- მაინც რა კაცია? - ელენას თითქოს შეუყვარდა, თითქოს შეეთვისა კიდეც. ახლა კი სიმარტოვის უზარმაზარი სევდა ეუფლებს ამ ოთახში, ამ ფანჯრებთან, დღეს თითქოს კუბოს რომ დამსგავსებია. მაგრამ არც ახლა, არც მთელი წელიწად-ნახევრის მანძილზე, რაც ამ კაცთან გაატარა, მის სულს არ დაუფლებია ის, რაც უმთავრესია, ურომლისოდაც ვერ იარსებებს ისეთი ბრწყინვალე ქორწინებაც კი, როგორც ლამაზი,

ქერათმიანი, ოქროსფერი ელენას და გენერალური შტაბის კარიერისტის ქორწინება იყო. კაპორებიანი, სუნამოიანი, დეზებიანი, შვილის უყოლობით შემსუბუქებული ქორწინება გენერალურ შტაბში მომუშავე, ფრთხილ, ბალტიისპირელ კაცთან. მაინც რა კაცია? რა არის ის მთავარი, ურომლისოდაც სული გამოცარიელებული გაქვს?

- ვიცი, ვიცი, - უთხრა საკუთარ თავს ელენამ, - პატივისცემა არა მაქვს. იცი რა, სერიოჟა, შენი პატივისცემა არა მაქვს, - დიდმნიშვნელოვნად უთხრა წითელ კაპორს და თითი აღმართა. მერე თვითონვე შეეშინდა თავისი ნათქვამისა, შეეშინდა მარტოობისა და მოესურვა, რომ იგი ამ წუთსვე მასთან ყოფილიყო. პატივისცემის გარეშე, იმ უმთავრესის გარეშე, მაგრამ ამ ძნელ წამს მასთან ყოფილიყო. წავიდა, მძებმა აკოცეს. ნუთუ ასეა საჭირო? თუმცა მოიცა, რას ვამბობ? მაშ რა უნდა ექნათ? არ უნდა გაეშვათ? არაფრის გულისთვის. უმჯობესია, ასეთ ძნელ ჟამს აქ არ იყოს. არ არის საჭირო, ოღონდაც ნუ შეაჩერებდნენ. არაფრის გულისთვის, დაე, წავიდეს, კოცნით კი აკოცეს, მაგრამ გულის სიღრმეში ხომ სძულთ. ღმერთმანი, ასეა, თავს სულ იტყუებ, მაგრამ დაფიქრდები და ყოველივე აშკარა ხდება - სძულთ. ნიკოლკა გულკეთილი მაინცაა, უფროსი კი... თუმცა არა. ალიოშაც კეთილია, მაგრამ რატომღაც იმას უფრო სძულს. ღმერთო ჩემო, რაებს ვფიქრობ? სერიოჟა ეს რაებს ვფიქრობ შენზე? ვაითუ, ერთმანეთს მოგვწყვიტონ... ის იქ დარჩეს, მე კი აქ...

- ჩემი ქმარი, - ოხვრით თქვა ელენამ და ხალათის ღილების გახსნა დაიწყო. - ჩემი ქმარი...

კაპორი გულისყურით უსმენდა, ლოყები მსუყე წითელი შუქით გაჩირაღდნებოდა და ელენას ეკითხებოდა...

- რა კაცია შენი ქმარი?

*

- არამზადაა და მეტი არაფერი! - უთხრა საკუთარ თავს ელენასგან ერთი ოთახითა და წინკართი დაშორებულმა მარტოდ მყოფმა ტურბინმა. ელენას ფიქრები მას გადაეცა და, რამდენიმე წუთია, გულ-გონებას უმდღურავდა. - არამზადაა, მე კი მართლა მჩვარი ვარ. რაკილა არ გავაგდე, ის მაინც ხომ შეიძლებოდა, ჩუმად წასულიყო, ჯანდაბამდე გზა ჰქონია. არამზადა მაინდამაინც იმიტომ კი არ არის, რომ ელენა ასეთ დროს მიატოვა; ეს, ბოლოს და ბოლოს წვრილმანია, სისულელეა. სულ სხვა რამის გამოა არამზადა. რატომაა? ეშმაკსაც წაუღია, თავით ტერფამდე ვიცი, რაც ბრძანდება. ოჰ, ის ჯოჯოხეთის მაშხალა! იმას ხომ ნამცვეცი ღირსება არ გააჩნია! რასაც არ უნდა ამბობდეს, უსიმო ბალალაიკასავით ჩამოარიკრიკებს. თანაც რუსეთის სამხედრო აკადემიის ოფიცერია, ყველაზე უკეთესი რომ უნდა იყოს მთელ რუსეთში.

ბინა დუმდა. ელენას საწოლი ოთახიდან გამოსული სინათლის ზოლი ჩაქრა. ელენას ეძინა, ეძინა მის ფიქრებსაც. ტურბინი კი თავის პატარა ოთახში, მომცრო საწერ მაგიდასთან იჯდა და კიდეც დიდხანს იტანჯებოდა. არაყმა და გერმანულმა ღვინომ ცუდი სამსახური გაუწია. იგი ჩაწითლებული თვალებით ჩასცქეროდა გადაშლილ წიგნს, რაც ხელში პირველად მოხვდა, კითხულობდა და ერთსა და იმავეს უაზროდ უბრუნდებოდა; რუსი კაცისთვის ღირსება ზედმეტი ბარგია...

მხოლოდ განთიადისას გაიხადა ტანთ და დაიძინა. სიზმარში ტანმორჩილი, მსხვილუჯრებიანი შარვლით შემოსილი კომმარო გამოეცხადა და დამცინავად

უთხრა; - შიშველი პროფილით ზღარბს ვერ დააჯდები!.. წმინდა რუსეთი ციფრული, დატაკი, და... საშიში ქვეყანაა, რუსი კაცისთვის კი ღირსება ზედმეტი ბარგია.

- უჰ, შენი! - ძილში შეჰყვირა ტურბინმა, - შე მურდალო, მე შენ გიჩვენებ. - მძინარე ტურბინმა მაგიდის უჯრაში ხელი მოაფათურა ბრაუნინგის მოსაძებნად, ძილ-ბურანში ამოიღო, უნდოდა კომმარისთვის ესროლა, გაედევნა... და კომმარი გაქრა..

მღვრიე, ქუფრმა, უსიზმრო ძილმა ორ საათს გასტანა. ხოლო როცა შემინულ აივანზე გამავალ ფანჯრებს მიღმა მქრქალად და ნაზად ინათა, ტურბინს ქალაქი ესიზმრა.

4

ქალაქი მრავალსართულიან ფიჭასავით ბოლავდა, გუგუნებდა და ცხოვრობდა, მშვენიერი ყინვასა და ბურუსში, დნეპრის პირას გორაკებზე შეფენილი. უამრავი საკვამურიდან კვამლი მთელ დღეს ცისკენ მიიკლავებოდა. ქუჩებს ნისლი ასდიოდა და გატკეპნილ თოვლს ხრამუნი გაუდიოდა. ხუთსართულიანი, ექვსსართულიანი, შვიდსართულიანი სახლები ერთმანეთს მისჯდომოდა. დღისით მათი ფანჯრები შავად იმზირებოდა, ღამით კი მუქლურჯ წყვდიადში მწკრივ-მწკრივად ენთო. სადამდეც თვალი მისწვდებოდა, მეწკვებზე ასხმული პატიოსანი თვლებივით ელავდა აწოწილი, რუხი ბოძების კაკვებზე ჩამოკიდებული ელექტრობურთები. დღისით საამო, ნარნარი გუგუნით დაქროდნენ უცხოურ ყაიდაზე ყვითელი, რბილი ჩალის სკამებით გაწყობილი ტრამვაის ვაგონები, დაღმართიდან დაღმართზე კიჟინით მიქროდნენ მეეტლეები, ხოლო ვერცხლისფერი და შავი ბეწვეულის საყელოები ქალებს იდუმალ იერს აძლევდა და მშვენებას მატებდა.

მდუმარება და სიმშვიდე დაუფლებოდა თეთრი, სპეტაკი თოვლით დამძიმებულ ბაღებს. ამდენი ბაღი მსოფლიოს არც ერთ ქალაქში არ იქნებოდა. ყოველ მხარეს, როგორც ვეება ლაქები, ისე გაშლილიყო თავისი ხეივნებით, წაბლებით, ხრამებით, ნეკერჩხლებითა და ცაცხვებით.

ბაღები ამშვენებდა დნეპრის პირას აღმართულ თვალწარმტაც გორებს, საფეხურებად მიემართებოდა მაღლა, მხრებს შლიდა, ხან მილიონობით მზის სხივთა ათინათებით აჭრელბული, ხან ნაზ ბინდბუნდში ჩაძირული, ყოველივეზე გაბატონებული, უკვდავი სამეფო ბაღი. მოაჯირის ძველისძველი, დაყანდებული შავი ძელები გზას აღარავის უღობავდა ხახადაღებული ხრამებისკენ. ქარბუქით მინამქრული ფრიალო კლდეები შორს, ქვედა ტერასებზე ეშვებოდა. ხოლო ეს ტერასები კიდევ უფრო შორს, უფრო განივრად იშლებოდა და წყლისპირა ჭალებს უერთდებოდა დიადი მდინარის გასწვრივ გაკლაკნილ გზასთან, ბურუსში გახვეული, მუქი, შებორკილი წყლის ზოლი კი იქით მიემართებოდა, სადაც კაცის თვალი ქალაქის მაღლობებიდანაც ვერ მიაწვდენდა, სადაც ჭაღარა მეჩქრებია, ზაპოროჟიეს სეჩი, ხერსონესი და შორეული ზღვა.

ზამთრობით, ისე როგორც მსოფლიოს არც ერთ ქალაქში, მყუდროება დაეუფლებოდა ქუჩებსა და შესახვევებს გორაკებზე შეფენილ ზემო ქალაქშიაც და გაყინული დნეპრის მოსახვევებთან გაშლილ ქვემო ქალაქშიც, მანქანის გუგუნი ქვიტკირის შენობების შიგნით ინთქმებოდა და ყრუდღა მოისმოდა. ქალაქის მთელი ენერგია, დაგროვილი მზიან და ჭექა-ქუხილიან ზაფხულში, შუქად იფრქვეოდა. შუქი უკვე დღის ოთხი

საათიდან ბრდღვიალებდა სახლების სარკმლებში, მრგვალ ელექტრობურთებში, გაზის ლამპრებში, ცეცხლოვანი ნომრებით მოკიაფე სახლების ფარნებში, კაცობრიობის შემზარავ, შფოთიან, ელექტრულ მომავალზე ფიქრის აღმძვრელი ელექტროსადგურების მთლიანი მინით შემინულ ფანჯრებში. ამ ფართო ფანჯრებში მოჩანდა მანქანები, მოუღალავად რომ ატრიალებდა თავდაუზოგავ ბორბლებს და ძირით-ძირამდე არყევდა თვით ფუძეს დედამიწისას. ქალაქში მთელ ღამეს გათენებამდე შუქი თამაშობდა, ბზინავდა, ბრწყინავდა, ცეკვავდა, ციმციმებდა, დილას კი ქრებოდა და ქალაქი კვამლითა და ბურუსით იმოსებოდა.

მაგრამ ყველაზე უფრო მეტად ბრწყინავდა ელექტროშუქით გაჩირაღდებული თეთრი ჯვარი ვლადიმირის გორაზე მდგარი უზარმაზარი ვლადიმირის ხელში. იგი შორიდანვე ჩანდა. ზაფხულობით, კუნაპეტ ბურუსში, ბებერი მდინარის დახლართული ყურეებისა და მოსახვევების ტირიფნარებში გზააბნეული ნავებიდან ამ ჯვარს ხედავდნენ და მისი შუქის ციაგზე იგნებდნენ ხოლმე გზას ქალაქისა და მისი ნავმისადგომებისკენ. ზამთრობით ჯვარი შავად ჩამობურული ცის წიაღში ბრწყინავდა და ცივად, მშვიდად დასცქეროდა მოსკოვის სანაპიროს თაღს, დამრეც სივრცეებს, საიდანაც ორი უზარმაზარი ხიდი იყო გადმოტყორცნილი, ერთი ჯაჭვისა, მძიმე, ნიკოლოზის ხიდი, ქალაქს წყალგაღმა დაბასთან რომ აერთებდა, მეორე, - მაღალზე მაღალი, ისრისებური. ამ ხიდზე მოქროდნენ მატარებლები იქიდან, სადაც ძალზე, ძალზე შორს გადაჭიმულიყო იდუმალი, ჭრელბოხოხა მოსკოვი.

*

1918 წლის ზამთარში ქალაქი უცნაური, არაბუნებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, რაც, შესაძლოა, მეოცე საუკუნეში აღარც განმეორდეს. ქვიტკირის კედლებს შიგნით არც ერთ ბინაში ტევა არ იყო. ამ ბინების ისედაც შევიწროვებული ძველი ბინადარნი ძალაუნებურად თავს უფრო და უფრო ივიწროვებდნენ, რათა შეესახლებინათ ახალ-ახალი სტუმრები, ქალაქისკენ რომ მოისწრაფოდნენ. სტუმრები სწორედ იმ ისრისებური ხიდით მოდიოდნენ იქიდან, სადაც იდუმალებით მოცული, იისფერი კვამლი იბოლქვებოდა.

გამორბოდნენ ჭალარა ბანკირები ცოლებთან ერთად, გამორბოდნენ ნიჭიერი საქმოსნები, მოსკოვში სანდო თანაშემწეები რომ დაეტოვებინათ, რომელთაც დავალებული ჰქონდათ, კავშირი არ გაეწყვიტათ მოსკოვის სამეფოში ჩასახულ ახალ სამყაროსთან, ბინათმფლობელები, რომელთაც ბინები ერთგული, საიდუმლო ზედამხედველებისთვის ჩაებარებინათ, მრეწველები, ვაჭრები, ვექილები, საზოგადო მოღვაწენი. გამორბოდნენ ჟურნალისტები, მოსკოველნი და პეტერბურგელნი, ვერაგები, ხარბები, მხდალები. გამორბოდნენ კახპები, დიდგვაროვანი პატიოსანი ქალები, მათი ნაზი ქალიშვილები, ჭიაფრად ტუჩებშეღებილი, ფერმკრთალი პეტერბურგელი მრუშები. გამორბოდნენ დეპარტამენტების დირექტორთა მდივნები, ნორჩი პასიური პედერასტები. გამორბოდნენ თავადიშვილები და მექრთამეები, პოეტები და მევახშეები, ჟანდარმები და საიმპერატორო თეატრის მსახიობი ქალები. ამოდენა ნიაღვარი ხვრელებში მოძვრებოდა და ქალაქისკენ მოემართებოდა.

მთელი გაზაფხული, მას შემდეგ, რაც ჰეტმანი აირჩიეს, ქალაქი ხიზნებით ივსებოდა და ივსებოდა. ბინებში ტახტებზე და სკამებზე ეძინათ. მდიდართა ოჯახებში სუფრასთან თავს იყრიდა მრავალრიცხოვანი საზოგადოება. გაიხსნა ურიცხვი სასაუზმე-საპაშტეტე დუქნები, გვიან ღამემდე რომ არ იკეტებოდა, კაფეები, სადაც

ყავას შეექცეოდნენ და ქალებით ვაჭრობდნენ, მინიატურების ახალი თეატრები, რომელთა სცენას ავსებდნენ და მანჭვა-გრეხით ხალხს აცინებდნენ ორი დედაქალაქიდან გადმოხვეწილი, ყველაზე უფრო ცნობილი მსახიობები. გაიხსნა სახელგანთქმული თეატრი „ლილისფერი ზანგი“ და დიდებული კლუბი „ფერფლი“ (პოეტები - რეჟისორები - მსახიობები - მხატვრები) ნიკოლოზის ქუჩაზე, სადაც გათენებამდე გაისმოდა თეფშების წკრიალი. უმაღლესი გამოვიდა ახალი გაზეთები და რუსეთის სახელგანთქმულმა კალმოსნებმა ამ გაზეთში ფელეტონების ბეჭდვა იწყეს, სადაც ბოლშევიკებს თათხავდნენ. მეეტლეებს მგზავრები მთელ დღეს რესტორანიდან რესტორანში გადაჰყავდათ. კაბარეებში დამით სიმებიანი ორკესტრი უკრავდა და თამბაქოს კვამლში არამიწიერი სილამაზით ელვარებდა თეთრი, ქანცმილეული, კოკაინით გაბრუებული კახპების სახეები.

ქალაქი იბერებოდა, ფართოვდებოდა, ნაპირებიდან გადმოსვლას ლამობდა, როგორც საფუარი ქოთნიდან. ბანქოს სათამაშო კლუბებში გათენებამდე ბანქოს შრიალი გაისმოდა, თამაშობდნენ პეტერბურგელი და კიეველი პატიოსანი გვამები, თამაშობდნენ მედიდური, გოროზი გერმანელი ლეიტენანტები და მაიორები, ვისიც რუსებს ეშინოდათ და რიდი ჰქონდათ. თამაშობდნენ მოსკოვის კლუბებში გამოქეცილი თაღლითები და უკრაინელ-რუსი მემამულეები, რომელთა ბედიც უკვე ბეწვზე ეკიდა. კაფე „მაქსიმში“ ვიოლინოს ბულბულივით აკვნესებდა მომხიბლავი, ფუნჩულა რუმინელი, მშვენიერი, სევდიანი, მოლურჯო გარსიანი მუქი თვალები და ხავერდით თმა რომ ჰქონდა. ბოშური შალით შემოგრაგნილი ლამპები ორნაირ შუქს აფრქვევდა - ქვემოთ თეთრ ელექტროშუქს, გარშემო და ზემოთ - ნარინჯისფერს. ჭერი ცისფერი მტვრიანი აბრეშუმის ვარსკვლავად გადაშლილიყო, ცისფერ ლოჭებში მსხვილი ბრილიანტები ბრწყინავდა და ციმბირული ჟღალი ბეწვეული ბზინავდა. იდგა მოხალული ყავის, ოფლის სპირტისა და ფრანგული სუნამოების სუნი. თვრამეტი წლის მთელ ზაფხულს ნიკოლოზის ქუჩაზე დაშლიგინობდნენ გაპოხილხიფთანიათი, გაფუყული მეეტლეები და ალიონამდე მიჯრით ენთო მანქანათა კონუსები. მაღაზიების ფანჯრებში მოჩანდა ყვავილთა ტევრი, მორებივით ეკიდა ოქროსფერი ქონით გაბზინებული ზურგიელები, არწივებსა და ბეჭდებს მქრქალად აელვარებდა საუცხოო შამპანური ღვინის, „აბრაუს“ ბოთლები.

მთელი ზაფხული, მთელი ზაფხული მოედინებოდნენ და მოედინებოდნენ ახალ-ახალი ხიზნები. გამოჩნდნენ პრიალა ლაქის შტიბლეტებიანი, თავხედურად მომზირალი, ხვინჭისფერ-თეთრგვრემანი ტენორი სოლისტები, გაპარსულ ლოყებზე ნაცრისფერი რომ გადაჰკრავდათ, სახელმწიფო სათათბიროს პენსნიანი წევრები, ცნობილი გვარების მქონე ბ... ბილიარდის მოთამაშენი... კახპები მაღაზიაში შეჰყავდათ ტუჩების საღებავების, გვერდებზე ფართოდ დაჭრილი ბატისტის ქვედა საცვლებისა და ლაქის საყიდლად.

წერილებს აგზავნიდნენ ერთადერთ სულისმოსათქმელ ადგილას, მშფოთვარე პოლონეთის გზით (თუმცაღა ეშმაკმა არ უწყოდა, იქ რა ხდებოდა, ანდა რა იყო ეს ახალი ქვეყანა - პოლონეთი). გერმანიაში პატიოსანი ტევტონების დიად ქვეყანაში. ვიზებს ითხოვდნენ, ფულს გზავნიდნენ, ალლოთი გრძნობდნენ, რომ შესაძლოა, სულ უფრო და უფრო შორს წასვლა დასჭირვებოდათ, იქით, სადაც ვერაფრის დიდებით ვერ მიაღწევდა საზარელი ზათქი და გრგვინვა ბოლშევიკთა მეზრძოლი პოლკებისა. ოცნებობდნენ საფრანგეთზე, პარიზზე, გული უწუხდათ იმის გაფიქრებაზე, რომ იქ წასვლა ძალზე ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო. უფრო მეტი გულისწუხილი

ეუფლებოდათ, როცა სხვის დივანზე ღამეს ათევდნენ და ძილგამფრთხალებს უცებ შემზარავი, არცთუ ისე ცხადი ფიქრები ეწვეოდათ.

- ვაითუ? ვაითუ? ვაითუ? გაირღვეს ეს რკინის კორდონი... და რუხფარაჯიანები შემოზავდნენ. ოჰ, რა საშინელებაა.

ასეთი ფიქრები მაშინ ეწვეოდათ ხოლმე, როცა შორს, შორს ქვემეხები რბილად დაიქუხებდნენ - ქალაქის მისადგომებთან რატომღაც მთელი ბრწყინვალე, მცხუნვარე ზაფხულის მანძილზე ისროდნენ, როცა ყველგან სიმშვიდეს იცავდნენ თავჩაჩქნიანი გერმანელები, თავად ქალაქის გარეუბნებში კი გამუდმებით გაისმოდა სროლის ყრუ ხმა; პა-პა-პა.

ვინ ვის ესროდა, არავინ იცოდა. ეს ღამლამობით იყო. დღისით კი მშვიდდებოდნენ, როცა დროდადრო კრემჩატიკზე, მთავარ ქუჩაზე, ანა ვლადიმირის ქუჩაზე გერმანელ ჰუსართა პოლკი ჩაივლიდა. მერე და რა პოლკი! ფაფახებს ქვემოთ მოჩანდა მედიდური სახეები, ქიცვოვანი ღვედები შემოსალტოდა ქვისაგან ნათალ ნიკაპებს, ჟღალი ულვაშები ისრებივით აღმართულიყო. ესკადრონებში ერთიმეორეს მიჰყვებოდნენ ზორბა, თაფლა ცხენები, მორუხო-მოცისფრო ფრენჩები კი ექვსას მხედარს ტანზე ისე შემოტმასნოდა, როგორც ბრინჯაოს მუნდირები მათ ზორზოხა გერმანელ ბელადთა ქანდაკებებს ქალაქ ბერლინში.

მათი დანახვით გახარებულნი და დამშვიდებულნი ბოლშევიკებს იმ სიშორეზე, სასაზღვრო ეკლიან მავთულხლართს მიღმა, კბილთა ღრჭენითა და ნიშნის მოგებით გასძახოდნენ: - აბა, ერთი ცხვირი შემოყავით!

ბოლშევიკები სძულდათ. მაგრამ არა ჯიქური სიძულვილით, როცა მოძულეს ბრძოლაში ჩაბმა და მტრის ხოცვა სწყურია, არამედ ლაჩრულად, როცა სიბნელეში მიმალულს, სისინის გარდა არაფერი შეუძლია. სძულდათ ღამით, როცა ბუნდოვანი შიშით გულგათანგულებს ჩაემინებოდათ, სძულდათ დღისით, როცა რესტორნებში გაზეთებს კითხულობდნენ, სადაც ეწერა, ბოლშევიკები მაუზერს კეფაში როგორ ახლიდნენ ოფიცრებსა და ბანკირებს და მოსკოვში მედუქნეები ქოტაოშეყრილი ცხენის ხორცს როგორ ყიდდნენ. სძულდათ ყველას - ვაჭრებს, ბანკირებს, მრეწველებს, ვექილებს, მსახიობებს, მიწათმფლობელებს, კახპებს, სახელმწიფო სათათბიროს წევრებს, ინჟინრებს, ექიმებს და მწერლებს...

*

იყვნენ ოფიცრები, ჩრდილოეთიდან რომ გამორბოდნენ. გამორბოდნენ დასავლეთიდანაც - ყოფილი ფრონტიდან. ყველანი ქალაქისკენ მოემართებოდნენ; უამრავნი იყვნენ, სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ. მეტწილად ჯიბეგაფხევილებს ყალბი საბუთების შოვნა და საზღვარზე გადმოსვლა ყველაზე მეტად უჭირდათ, რადგან თავიანთი ხელობის უცილობელი დაღი ესვათ, მაგრამ თავი მაინც გაწირეს, თვალდაფეთებულებმა, ტილიანებმა, წვერგაუპარსავებმა, სამხრეებმორღვეულებმა ქალაქში ჩამოაღწიეს და ახლა ცდილობდნენ, აქაურობას შეჰკუებოდნენ, რათა საზრდო ეშოვათ და ეცხოვრა. მათ შორის ამ ქალაქის ძველი მკვიდრნიც ერივნენ, ომიდან თავიანთ ბუდეს ალექსეი ტურბინივით რომ დაუბრუნდნენ იმ განზრახვით, დავისვენოთ, სული მოვითქვათ და ხელახლა, მხედრული კი არა, ჩვეულებრივი, ადამიანური ცხოვრება მოვიწყოთო. მაგრამ იყვნენ

ასობით და ათასობით უცხონი, რომელნიც ვერ დარჩებოდნენ ვერც პეტერბურგსა და ვერც მოსკოვში. მათი ერთი ნაწილი - კირასირები, კავალერგარდები, ცხენოსანი გვარდიელები და გვარდიელი ჰუსარები - შიშმორეული ქალაქის მღვრიე ქაფში იოლად ამოტივტივდნენ. ჰეტმანის ბადრაგს ფანტასტიკური სამხრეები ეკეთა, ხოლო ჰეტმანის სუფრას ორასამდე პრიალა, თმაგაყოფილი კაცი უჯდა, ოქროსპლომბიან, ჩაყვითლებულ, ჭიან კბილებს რომ აჩენდნენ. ვინც ბადრაგმა ვერ დაიტია, თახვისსახელოიან ძვირფასმა ქურქებმა და სანახევროდ ჩაბნელებულმა, მოჩუქურთმებული მუხით მოპირკეთებულმა ბინებმა დაიტია ქალაქის საუკეთესო უბანში - ლიპკაში, დაიტია რესტორანებმა და სასტუმროს ნომრებმა...

სხვებს - ჯარის შტაბს-კაპიტნებს დაშლილ-განადგურებული პოლკებისა, მეზომოლი ჯარების ჰუსარებს, პოლკოვნიკ ნაი-ტურსისნაირთ, ასობით პროპორშჩიკებსა და პოტპორუჩიკებს, სტეპანოვ-კარჩხანასავით ყოფილ სტუდენტებს, ომისა და რევოლუციისაგან ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილთ, პორუჩიკებს, ვიქტორ მიშლავესკივით აგრეთვე ყოფილ სტუდენტებს, უნივერსიტეტს სამუდამოდ რომ გამოსთხოვებოდნენ, გაცვეთილი რუხი მაზარები ეცვათ, ჭრილობები ჯერ არ მოშუმებოდათ, მხრებზე მოძრობილი სამხრეების ნაკვალევი ეტყობოდათ. ისინი ქალაქში ან საკუთარ ოჯახებს უბრუნდებოდნენ, ან სხვის ოჯახებში სტუმრად მიდიოდნენ, სკამებზე მაზარაწახურებულეებს ეძინათ. არაყს სვამდნენ, დარბოდნენ, დაფუსფუსებდნენ და ბოდმისაგან ლამის გული გასკდომოდათ. აი, ამათ კი ბოლშევიკები მძაფრი, ჯიქური სიძულვილით სძულდათ, იმ სიძულვილით, მოძულეს ბრძოლის წყურვილს რომ აღუძრავს.

იყვნენ იუნკრები. რევოლუციის დაწყებისას ქალაქში იუნკერთა ოთხი სასწავლებელი იყო - საინჟინრო, საარტილერიო და ორიც ქვეითი. ოთხივე სასწავლებელი ჯარისკაცთა შაშხანების ბათქაბუთქმა დაშალა, გაანადგურა და ქუჩაში გამოყარა ბედგამრუდებული, ახლახან სასწავლებელდასრულებული გიმნაზიელები, ახლახან გასტუდენტებული ყმაწვილები, ადარც ბავშვები, არც ვაჟკაცები, არც სამხედროები და არც სამოქალაქოები, არამედ ისეთნი, როგორიც ჩვიდმეტი წლის ნიკოლკა ტურბინი იყო...

*

- ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, ჰეტმანია ყოვლისა და ყოველივეს მზრძანებელი, მაგრამ, ღმერთმანი, აქამდე არ ვიცი, და ალბათ ისე მოვკვდები, ვერც გავიგებ, რას წარმოადგენს ეს არნახული მზრძანებელი, ვისი წოდებაც მეჩვიდმეტე საუკუნეს უფრო შეეფერება, ვიდრე მეოცეს.

- მართლაც ვინ არის ალექსეი ვასილიევიჩ?

- კავალერგარდი, გენერალი, თავად მდიდარი, მსხვილი მემამულე, პაველ პეტროვიჩი ჰქვია...

იმ ღირსსახსოვარი წლის აპრილში მისი არჩევა ბედისა და ისტორიის უცნაური დაცინვით ცირკში მოხდა. მომავალ ისტორიკოსებს ამის გამო ალბათ დაცინვისთვის მასალა არ გამოეღევათ, მაგრამ მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი ქალაქში დამკვიდრებულებს, ვინც ძმათა შორის სისხლისღვრის პირველი აფეთქება უკვე გამოცადა, დაცინვისთვის კი არა, საერთოდ არაფერზე ფიქრისთვის არა სცხელოდათ.

არჩევა თავბრუდამხვევი სისწრაფით მოხდა - და მადლობა ღმერთს, რომ ასე მოხდა. ჰეტმანი ტახტზე ავიდა - ჰოდა, ძალიანაც კარგი, ოღონდ ბაზარზე ხორცი და პური იყოს, ქუჩაში აღარ ისროდნენ, ღვთის წყალობით, ბოლშევიკები ნუ შემოვლენ და მდაბიო ხალხმაც მძარცველობას თავი ანებოს. ჰოდა, ასე თუ ისე, ჰეტმანის ხელში ეს ყოველივე მეტად თუ ნაკლებად, უნდა ითქვას, მნიშვნელოვან წილადაც კი აღსრულდა. ყოველ შემთხვევაში, შემოხიზნული მოსკოველები, პეტერბურგელები და მოქალაქეთა უმრავლესობა ჰეტმანის ამ უცნაურ საგამგებლო ქვეყანას თუმცა დასცინოდნენ, კაპიტან ტალბერგის მსგავსად ოპერეტას, თოჯინების სამეფოს ემახდნენ, მაგრამ ჰეტმანს გულწრფელად ასხამდნენ ხოტბას... და... ღმერთს ემუდარებოდნენ, ყველაფერი სამუდამოდ ასე დარჩესო.

მაგრამ ყველაფერი სამუდამოდ ასე დარჩებოდა თუ არა, ამის თქმა არავის შეეძლო, თვით ჰეტმანსაც კი. დიახ.

საქმე ის არის, რომ ქალაქი ქალაქია: იქ პოლიციაც იყო - ვარტა, სამინისტროც, ჯარიც კი, მრავალგვარი სახელწოდების გაზეთებიც, მაგრამ ის კი არავინ იცოდა, რა ხდებოდა ირგვლივ, ნამდვილ უკრაინაში, სიდიდით საფრანგეთს რომ აღემატებოდა და სადაც ათეულობით მილიონი ხალხი ცხოვრობდა. ეს კი არავინ იცოდა. არ იცოდნენ, არაფერი იცოდნენ, რა ხდებოდა არა მარტო შორეულ მხარეებში, არამედ - სასაცილოც კია - იმ სოფლებშიც, ქალაქებს სულ ორმოცდაათიოდე ვერსით რომ იყვნენ დაშორებული. არ იცოდნენ, მაგრამ მთელი სულითა და გულით კი სძულდათ. და როცა იმ იდუმალი ბურუსით მოცული კუთხეებიდან, სოფელი რომ ჰქვია, ბუნდოვანი ხმები მოდიოდა, გერმანელები გლეხებს მარცვავენ და უმოწყალოდ სჯიან, ტყიამფრქვევებით ცხრილავენო, უკრაინელი გლეხების დასაცავად არათუ კაციშვილს ხმა არ დაუძრავს აღშფოთების გამოსახატავად, არამედ სასტუმრო ოთახებში, აბრეშუმის აბაჟურის ქვეშ კბილები მგლურად არაერთხელ გაუკრაჭუნებიათ და ჩაუბურტყუნებიათ: - ახია მაგათზე! ახია! ეგეც ცოტაა! მე უარეს დღეში ჩავყრიდი. კარგად დაამახსოვრდებათ რევოლუცია! გერმანელები ასწავლიან ჭკუას - საკუთარი პატრონი არ ინდომეს, ახლა სხვის წკეპლას გაუსინჯონ გემო!

- ოჰ, რა უგუნურად ლაპარაკობთ, რა უგუნურად ლაპარაკობთ.

- რას ამბობთ, ალექსეი ვასილიევიჩ!.. ის არამზადები ხომ ნამდვილი ტყის ნადირები არიან. მაგრამ არა უშავს, გერმანელები აჩვენებენ სეირს.

გერმანელები!!

გერმანელები!!

ყველგან

გერმანელები!!!

გერმანელები!!!

დიახ! აქ გერმანელები არიან, იქ კი, შორეულ კორდონს იქით, სადაც იისფერი ტყეებია, ბოლშევიკები. მხოლოდ ორი ძალაა.

და აი, ჭადრაკის უზარმაზარ დაფაზე მოულოდნელად მესამე ძალა გამოჩნდა. ასე იქცევა ცუდი და უჭკუო მოთამაშე, საშიშ მეტოქეს პაიკთა წყობით რომ გაემიჯნა (სიტყვამ მოიტანა და პაიკები ძალიან ჰგვანან თავზე ტამტჩამომხობილ გერმანელებს) და თავის ოფიცრებს სათამაშო მეფის ირგვლივ აჯგუფებენ. მაგრამ მეტოქის მზაკვარი ლაზიერი უეცრად, სადღაც გვერდიდან გზას იპოვის, ზურგში შემოიჭრება და პაიკებისა და მხედრების განადგურებას და საშიში ქიშების გამოცხადებას იწყებს; ლაზიერს კვალდაკვალ მოჰყვება ფიცხი, მსუბუქი კუ - ოფიცერი, მზაკვრული ზიგზაგებით მოისწრაფვიან მხედრები. ჰოდა, იღუპება სუსტი და უხეირო მოთამაშე - მის ხისგან გამოთლილ მეფეს შამათს უცხადებენ.

ეს ყველაფერი უცბად მოხდა, მაგრამ არცთუ მოულოდნელად, რადგან წინ უსწრებდა ზოგიერთი მაუწყებელი ნიშანი.

ერთხელ, მასში, როცა ქალაქმა გაიღვიძა, ფირუზში ჩასმული მარგალიტივით მოელვარემ, მზე ამოგორდა და ჰეტმანის სამფლობელო გაანათა, როცა მოქალაქეები ჭიანჭველებივით აფუსფუსდნენ და თავ-თავიანთ საქმეებზე გაემშურნენ, ნამძინარევემა ნოქრებმა კი მაღაზიებში ხმაურით იწყეს ფარდების გაწევ-გამოწევა, ქალაქში შემზარავმა, ავის მომასწავებელმა ხმამ გადაიგრგვინა. ხმა უჩვეულო იყო - არც ქვემეხისა, არც ქუხილისა, - მაგრამ ისეთი ძლიერი, რომ ბევრი სარკმელი თავისით გაიღო და ყველა მინა აზრიალდა. მერე ხმა განმეორდა, ხელახლა გადაუარა მთელ ზემო ქალაქს, ტალღებად ჩაგორდა ქვემო ქალაქში - პოდოლში, მშვენიერ ცისფერ დნეპრს გაუყვა და მოსკოვის შორეულ სივრცეებისკენ გაემართა. მოქალაქეებმა გაიღვიძეს, ქუჩებში ჩოჩქოლი ატყდა. ჩოჩქოლმა უცებ იმატა, როცა ნახეს, რომ ზემო ქალაქიდან - პეჩორსკიდან ყვირილითა და ბღავილით გამორბოდა ტანსაცმელშემოფლეთილი, დასისხლიანებული ხალხი. ამასობაში ხმამ მესამედაც დაიგრგვინა, თანაც ისეთი ძალით, რომ პეჩორსკის სახლების მინებმა ზრიალით იწყო ჩამომსხვრევა, ხოლო ფეხქვეშ ნიადაგი შეირყა.

ბევრმა ნახა ქალები, პერანგისამარა რომ გამორბოდნენ და საშინელი ხმით გაჰკიოდნენ. მალე შეიტყვეს, ეს ხმა საიდანაც მოდიოდა. იჭექა ქალაქგარეთ, ქაჩალ გორაზე, დნეპრის პირას, სადაც ჭურვებისა და თოფის წამლის უზარმაზარი საწყობები იყო განლაგებული. ქაჩალ გორაზე აფეთქება მომხდარიყო.

ამის შემდეგ ხუთ დღეს ქალაქი შიშისაგან ძრწოდა, ქაჩალ გორიდან შხამიანი გაზები წამოვარდა. მაგრამ გრგვინვა შეწყდა, გაზები არ წამოსულა, გასისხლიანებული ხალხი გაქრა და ქალაქის ყველა მხარემ მშვიდობიანი იერი მიიღო პეჩორსკის პატარა კუთხის გარდა, სადაც რამდენიმე სახლი დაინგრა. თქმა არ უნდა, რომ გერმანელთა სარდლობამ მკაცრი გამოძიება ჩაატარა და, თქმა არ უნდა, რომ ქალაქმა აფეთქების მიზეზების თაობაზე ვერაფერი შეიტყო. ხან რას ამბობდნენ და ხან რას.

- აფეთქება ფრანგმა ჯაშუშებმა მოაწყვეს.

- არა, აფეთქება ბოლშევიკების ჯაშუშებმა მოაწყვეს.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ აფეთქება საერთოდ მიავიწყდათ.

მეორე მაუწყებელი ნიშანი ზაფხულში მოევლინა სიმწვანეში ჩაფლულ, დამტვერილ, მოგუგუნე, მოზიმიში ქალაქს, როცა გერმანელი ლეიტენანტები ზღვა სოდიან წყალს სვამდნენ. მეორე ნიშანი მართლაც რომ შემზარავი გახლდათ!

დღისით, მზისით, ნიკოლოზის ქუჩაზე, სწორედ იქ, სადაც მეეტლეები იდგნენ, სხვა ვინმე კი არა, თავად ფელდმარშალი ეიხგორნი მოკლეს, უკრაინაში გერმანიის არმიის მთავარსარდალი, ხელშეუხებელი და ამაყი გენერალი, ფრიად უფლებამოსილი, თვით იმპერატორ ვილჰელმის მოადგილე, ვისი სახელიც ყველას შიშის ზარს სცემდა. რაღა თქმა უნდა, იგი მუშამ და, რაღა თქმა უნდა, სოციალისტმა მოკლა. გერმანელი გენერლის მოკვლიდან ოცდაათი საათის შემდეგ გერმანელებმა მარტო მკვლელი კი არა, ის მეეტლეც ჩამოახრჩვეს, ვინც იგი დანაშაულის ადგილას მიიყვანა. თუმცა ამან სახელგანთქმული გენერალი მკვდრეთით მაინც ვერ აღადგინა. სამაგიეროდ, ჭკვიან ხალხს მომხდარი ამბების თაობაზე განსაცვიფრებელი აზრები აღუძრა.

ასე, მაგალითად, გამოღებულ ფანჯარასთან საღამო ხანს მჯდარი, სიცხისაგან სულშეხუთული ვასილისა ჩესუჩის პერანგის დილებს იხსნიდა, ლიმონიან ჩაის შეექცეოდა და ალექსეი ტურბინს საიდუმლოდ ეჩურჩულებოდა: - როცა ამ ამბებს ერთმანეთს ვუფარდებ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩვენი ცხოვრება სიმყარეს მოკლებულია. მე მგონი, გერმანელების ფეხქვეშ რაღაც (ვასილისამ მოკლე თითები ჰაერში შეათამაშა) ირყევა. თავად განსაჯეთ... ეიხგორნი... თანაც სად? ჰა? (ვასილისამ თვალები შიშით დააცეცა).

ტურბინმა პირქუშად მოუსმინა, ყბა მოღრცა და წავიდა.

კიდევ ერთი ავის მომასწავებელი ნიშანი მეორე დილასვე უშუალოდ თვით ვასილისას მოევლინა. დილაადრიაანად, როცა მზემ მხიარული სხივი მრუმე მიწისქვეშეთში ჩაუშვა, ეზოდან ვასილისას ბინისაკენ რომ მიემართებოდა, ვასილისამ გარეთ გაიხედა და ამ სხივში ციური ნიშანი იხილა. ეს იყო ოცდაათი წლის, უბადლოდ ლამაზი, ფეხშიშველი, კანჭმალალი მოჩვენება, ეკატერინე დედოფლისებურ ყელზე მანიაკი რომ უკიაფებდა, მკვრივი მკერდი უთიმთიმებდა, კბილები ბროლივით უელავდა, ხოლო ლოყებზე წამწამთა ლილისფერი ჩრდილი ეფინა.

- დღეს ორმოცდაათი უნდა, - სირინოზის ხმაზე თქვა მოჩვენებამ და რძის ბიდონზე მიუთითა.

- რას ამბობ, იავდოხა? - შესაბრალისად შესძახა ვასილისამ, - ღმერთისა მაინც არ გეშინია? გუშინწინ ორმოცი გამოგვართვი, გუშინ ორმოცდახუთი, დღეს ორმოცდაათს ითხოვ. ასე როგორ შეიძლება?

- მე რა ვქნა? ყველაფერი ძვირია, - უპასუხა სირინოზმა, - ბაზარში ამბობენ, ასიც გახდებო.

მისმა კბილებმა ისე იელვა, ვასილისას წამით მიავიწყდა ორმოცდაათიც, ასიც, მიავიწყდა ყველაფერი და მუცელში ტკბილმა, უტიფარმა ჟრჟოლამ დაუარა, იმ ტკბილმა ჟრჟოლამ, ვასილისას ყოველთვის რომ დაუვლიდა ხოლმე, როცა მზის სხივებში გახვეული მოჩვენება მოევლინებოდა (ვასილისა თავის მეუღლეზე ადრე დგებოდა). ყველაფერი მიავიწყდა და რატომღაც თვალწინ ტყის მდელო წარმოუდგა, წიწვის სუნიც კი ეფრქვია. ეჰ, ეჰ...

- ფრთხილად, იავდოხა, - უთხრა ვასილისამ მოჩვენებას, ტუჩები გაილოკა და გვერდზე ცერად გაიხედა (ცოლი არ გამოვიდესო), - ამ რევოლუციის მერე თავს ძალიან გაგივიდათ, მოიცათ, გერმანელები ჭკუას გასწავლიან.

„მხარზე ხელი მოვუთათუნო თუ არა?“ - ეს ფიქრი აწამებდა ვასილისას, მაგრამ ვერ კი გაბედა.

ალეხასტრისფერი რძის ფართო ნაკადი ქოთანში ჩასრილდა და აქაფდა.

- ან ისინი გვასწავლიან ან ჩვენ ვასწავლით, - უცებ უპასუხა მოჩვენებამ, ერთხელაც შეაფრქვია ელვარება, ბიდონი ააჯახუნა, მხრეული შეარხია და, როგორც სხივმა სხივში, მიწისქვეშეთიდან მზით გაბრწყინებულ ეზოში ააბიჯა. „რა ფეხები აქვს... ო-ოჰ!!“ - კვნესასავით გაურბინა გონებაში ვასილისას.

ამ დროს მეუღლის ხმა შემოესმა, შეტრიალდა და ცოლს შეეფეთა.

- ვის ელაპარაკებოდი? - ჰკითხა მეუღლემ და თვალეები ზემოთ სწრაფად მიატარ-მოატარა.

- იავდობხას, - გულგრილად უპასუხა ვასილისამ, - წარმოგიდგენია, დღეს რძეში ორმოცდაათი გამომართვა.

- რაო? - შეჰყვირა ვანდა მიხაილოვნამ, - რა უმსგავსობაა! რა თავხედობაა! გლეხები მთლად გაცოფდნენ... იავდობხა! იავდობხა! - დაიყვირა მან და თავი ფანჯარაში გაყო - იავდობხა!

მაგრამ მოჩვენება გაქრა და აღარ დაბრუნებულა.

ვასილისამ ცოლის დაგრეხილი ტანი, ყვითელი თმა, გამვალტყავებული იდაყვები, ჩამომხმარი ფეხები შეათვალიერა და ამქვეყნად ყოფნა უცებ ისე შესძულდა, ვანდას კინალამ კაბის კალთაზე მიაფურთხა, მაგრამ თავი შეიკავა, ამოიოხრა და გრილი ოთახების სიბნელეს შეეფარა. თავადაც არ იცოდა, გული ასე მაინც რამ დაუმძიმა. ან ვანდამ - უცებ თვალწინ დაუდგა ცოლი, მისი შეკრული ხელნასავით გამოჩხერილი ყვითელი ლავიწები, - ანდა ტკბილი მოჩვენების უმწოდ ნათქვამმა რაღაც სიტყვამ.

- ვასწავლითო? ჰა? როგორ მოგწონთ? - თავისთვის ბუტბუტებდა ვასილისა. - ოჰ, ამ ბაზრებმა თავი მომადულა! არა, ამაზე რას იტყვით? თუ ამათ გერმანელების შიში გაუქრათ... წასულა საქმე და ესაა. ვასწავლითო? ჰა? კბილები კი მარგალიტებივითა აქვს...

უცებ სიბნელეში იავდობხა მთაზე გადმომდგარი ალქაჯივით შიშველი წარმოუდგა თვალწინ.

- რა თავხედობაა... ვასწავლითო!... მკერდი კი...

ეს ისეთი ჭკუისშემარყვეველი რაღაც იყო, რომ ვასილისა ცუდად შეიქნა და პირზე ცივი წყლის შესასხმელად წავიდა.

შემოდგომა, როგორც ყოველთვის, შეუმჩნევლად შემოიპარა. მკერდსავსე, ოქროსფერ აგვისტოს ნათელი და მტვრიანი სექტემბერი მოჰყვა. ხოლო სექტემბერში ავის მაუწყებელი ნიშანი კი არა, უკვე ამბავიც მოხდა, თუმცა, ერთი შეხედვით, ეს ამბავი სრულიად უმნიშვნელო გახლდათ.

დიახ, სექტემბრის ერთ ნათელ საღამოს ქალაქის ციხეში მოვიდა ჰეტმანის სათანადო ხელისუფალთა მიერ ხელმოწერილი ქაღალდი, სადაც ნაბრძანები იყო, № 666 საკნიდან გამოეშვათ აღნიშნულ საკანში მყოფდი პატიმარი. ეს იყო და ეს.

დიახ, ეს იყო და ეს! მაგრამ ამ ქაღალდის გამო, - ნამდვილად მის გამო! - იმდენი უბედურება და დავიდარაბა მოხდა, ამას ისეთი ბრძოლები და სისხლისღვრა, ხანძარი და დარბევა, სასოწარკვეთა და საშინელება მოჰყვა... ოჰ, ოჰ, ოჰ!

ციხიდან გათავისუფლებულ პატიმარს ყოვლად უბრალო და უმნიშვნელო სახელი და გვარი ჰქონდა - სემიონ ვასილიევიჩ პეტლიურა. თავად იგი საკუთარ თავს, აგრეთვე ქალაქის ზოგიერთი გაზეთის 1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის თებერვლამდე, ფრანგულ ყაიდაზე სიმონს უწოდებდა. სიმონის წარსული წყვდიადით იყო მოცული, ამბობდნენ, თითქოს ბუღალტერი ყოფილიყო.

- არა, მოანგარიშე.

- არა, სტუდენტი.

კრემლბატისა და ნიკოლოზის ქუჩის კუთხეში თამბაქოს ნაწარმის დიდი და კოხტა მაღაზია იყო. მაღაზიის მოგრძო ფირნიშზე ლამაზად დაეხატათ ყავისფერი, ფესკიანი, პირში ყალიონგაჩრილი თურქი. თურქს ფეხზე წვინტიანი ყვითელი წულები ეცვა.

ჰოდა აღმოჩნდა ისეთი ხალხი, ვინც ფიცულობდა. სულ ცოტა ხნის წინ სიმონი სწორედ ამ მაღაზიაში გამოწვეპილი იდგა დახლთან და სოლომონ კოგენის ფაბრიკის გამოშვებულ თამბაქოს ნაწარმს ყიდდაო. მაგრამ იყვნენ ისეთნიც, იქვე რომ ამბობდნენ; - როგორ გეკადრებათ, ის ქალაქთა კავშირის რწმუნებული იყო.

- ქალაქთა კავშირისა კი არა, საერობო კავშირისა, - ამბობდნენ მესამენი, - ნამდვილი საერობო ჰუსარია.

მეოთხენი (ჩამოსულნი) თვალებს მოხუჭავდნენ, რომ უკეთ გაეხსენებინათ და ბუტბუტებდნენ: - მოიცათ... მოიცათ...

და მოჰყვებოდნენ, თითქოს ათი წლის წინათ... უკაცრავად... თერთმეტი წლის წინათ... სიმონი მოსკოვში ენახათ, მაღლაია ბრონნაიას ქუჩაზე საღამოთი რომ მოდიოდა, თანაც შავ კოლენკორში გახვეული გიტარა ილლიაში ამოეჩრა. იმასაც უმატებდნენ, თანამემამულეებთან წვეულებაზე მიდიოდა და შავ კოლენკორში გახვეული გიტარა ამიტომ მიჰქონდაო. ამბობდნენ, დიდებულ, საინტერესო წვეულებაზე მიდიოდა, სადაც იქნებოდნენ მისი თანამემამულე, მხიარული, ლოყებლაჟღაჟა კურსისტი გოგონები, იქნებოდა ბარაქიანი უკრაინიდან ჩამოტანილი ქლიავის ნაყენი, სიმღერა და იქნებოდა საკვირველი გრიცი...

... ოჰ, ნუ წახვალ...

მერე დაბნეულად აღწერდნენ მის გარეგნობას, ურევდნენ თარიღებს, ადგილ-სამყოფელს...

- მაშ ამბობთ, წვერგაპარსულიაო?

- არა, მგონი... მგონი... მოკლედ შეკრეპილი წვერი აქვს...

- მოიცათ... განა მოსკოველია?

- არა, იქ სტუდენტობისას იყო...

- რასა ბრძანებთ, ივან ივანოვიჩი იცნობს, ტარაშჩაში სახალხო მასწავლებლად მუშაობდა...

ფუი, ეშმაკმა დალახვროს... იქნებ ბრონნაიაზე არც მიდიოდა. მოსკოვი დიდი ქალაქია, ბრონნაიაზე ბურუსია, ჭირხლი, ჩრდილები. რაღაც გიტარაო... თურქი მზეზეო... ყალიონიო... გიტარა - ტა-ტამ... გაუგებარია, ბუნდოვანია... ოჰ, რა ბუნდოვანი და შემზარავია ირგვლივ ყველაფერი...

... სიმღერით მოდიან იუნკრები...

მოდინ და მოდიან სისხლით მოსვრილი აჩრდილები, მორბიან მოჩვენებები, თმაგაწეწილი ქალიშვილები... საპატომროები, სროლა, ყინვა და შუალამისას ვლადიმირის ჯვარი.

მოდინ, მოიმღერინ, გვარდიელი იუნკრები.

გუგუნებენ საყვირები, თეფშები და დაფდაფები!

ჭექენ ტორბანები, უსტვენს ბულბული ფოლადის ხმაზე, ზუმბების ცემით ხალხს სულსა ხდიან, მოდის, მოქრის ცხენოსანთა რაზმი, შავბოხიანი მხედრები ფიცხ ბედაურს მოაგელვებენ.

გრგვინავს გულთმისნური სიზმარი, მოგორავს ალექსეი ტურბინის საწოლისკენ. ფერმიხდილ ტურბინს სძინავს. სითბოში თმის ბლუჯა დასცვარვია. ვარდისფერი ლამპა ანთია. სძინავს მთელ სახლს. წიგნების ოთახიდან კარჩხანას ხვრინვა მოისმის, ნიკოლკას ოთახიდან შერვინსკის ფშვინვა... ბურუსი... ღამე... ალექსეის საწოლთან, იატაკზე, ჩაუკითხავი დოსტოევსკი გდია, „ეშმაკნი“ დამცინავად გაიძახიან საზარელ სიტყვებს... წყნარად სძინავს ელენას.

...იცით რას გეტყვით, არაფერიც არ ყოფილა. არ ყოფილა! ის სიმონი ამ ქვეყნად საერთოდ არ ყოფილა. არც თურქი, არც გიტარა ყოფილა ჩუქურთმიანი ფარნის ქვეშ ბრონნაიაზე, არც საერობო კავშირი... არაფერი. უბრალოდ, იყო მითი, უკრაინაში რომ წარმოიშვა საშინელი თვრამეტი წლის ბურუსში.

... და იყო სხვა რამ - მძვინვარე სიძულვილი. იყო ოთხასი ათასი გერმანელი, ხოლო მათ ირგვლივ დაუოკებელი სიძულვილით გულანთებული ორმოცჯერ ოთხასი ათასი გლეხი. ო, ბევრი ბევრი რამ დაგუბდა ამ გულებში: თავ-პირზე აწითლებული ლეიტენანტის მათრახიც, ურჩი სოფლებისთვის დაშენილი შრაპნელიც, ჰეტმანის სერდიუკებისაგან ზუმბებით აჭრელებული ზურგებიც, გერმანელთა ჯარის მაიორებისა და ლეიტენანტების ხელით ქალაქის ნაგლეჯებზე ნაჯღაბნი ხელწერილებიც.

„მიეცეს რუს ღორს მისგან ნაყიდი ღორის საფასური, 25 მარკა“.

დამცინავი ხორხოცი იმათ მიმართ, ვისაც ასეთი ხელწერილები ქალაქში, გერმანელთა შტაბში მიჰქონდა.

რეკვიზირებული ცხენებიც, ჩამორთმეული პურიც, ჰეტმანის დროს თავის მამულებში დაბრუნებული, სახედამრგვალებული მემამულებიც, სიძულვილის კანკალიც სიტყვა „ოფიცრების“ გაგონებაზე.

აი, რა იყო.

ამას გარდა ხმები მიწის რეფორმაზე, რომლის ჩატარებასაც პან ჰეტმანი აპირებდა.

ვაგლახ, ვაგლახ! ჭკვიანი ხალხი, მათ შორის ვასილისაც, მხოლოდ თვრამეტი წლის ნოემბერში მიხვდა, როცა ქალაქის მისადგომებთან ქვემეხის გრიალი გაისმა, რომ გლეხებს სწორედ ეს პან ჰეტმანი ცოფიანი ძალღივიტ სძულდათ. მაშინღა მიხვდნენ გლეხთა გულისნადებს, რომ მათ სულაც არ სჭირდებოდათ პანების არამზადდული რეფორმა, არამედ უნდოდათ სამარადჟამო, სანუკვარი გლეხური რეფორმა: - მთელი მიწა გლეხებს.

- თითოეულს ასი დესეტინა.

- მემამულეთა სახსენებელიც აღარ უნდა იყოს არსად.

- ყოველ ას დესეტინა მიწაზე უნდა გაიცეს საიმედო, ღერბიანი, ბეჭედდასმული ქალაქი - დამადასტურებელი სამუდამო, სამემკვიდრეო მფლობელობისა, პაპიდან მამაზე, მამიდან შვილზე, შვილიშვილზე და ასე შემდეგ.

- ქალაქიდან სოფელში პურის მოსათხოვად ფეხი არ უნდა ჩამოდგას არც ერთმა ნაძირალამ. მთელი პური გლეხობისაა, არავის მისცემენ, რასაც ვერ შეჭამენ, მიწაში ჩაფლავენ.

- ქალაქიდან ნავით უნდა მოჰქონდეთ.

- არა, ასეთ რეფორმას სათაყვანებელი ჰეტმანი ვერ გამოსცემდა. ვერც ჰეტმანი და ვერც ვერავითარი ეშმაკი.

გაისმოდა ნაღვლიანი ხმები, ჰეტმანისა და გერმანელების ჭირსა და უბედურებას მარტო ბოლშევიკები თუ მოუვლიანო. მაგრამ ბოლშევიკებსაც თავისი ჭირი და უბედურება ჰქონდათ: - ურიები და კომისრები.

- ვაი, უკრაინელი გლეხების უბედურ თავს!

საშველი არსაიდანაა!

იყო ათასობით ომიდან დაბრუნებული, ვისაც სროლა შეეძლო...

- მათ ხომ სროლა თვით ოფიცრებმა ასწავლეს უფროსთა ბრძანებით!

თუმცა გერმანელთა სახელდახელო სამხედრო-საველე სასამართლოებს, ზუმბებით გაწკეპვლას და შრაპნელის დაშენას ბოლო არ უჩანდა, მიწაში ჩაფლული, ფარდულეებსა და საბძლებში გადამალული ასიათასობით შაშხანა მაინც ჩაუბარებელი რჩებოდა, მიწაშივე იყო ჩაფლული მილიონობითვე ვაზნა, ყოველ მეხუთე სოფელში სამდუიმიანი ქვემეხები იდგა, ყოველ მეორე სოფელში ტყვიამფრქვევი, ყოველ პატარა ქალაქში ჭურვების საწყობი, მაზარებითა და ფაფახებით სავსე ცეიხჰაუზები.

ამავე ქალაქებში იყვნენ სახალხო მასწავლებლები, ფერშლები, ცალმოგვი აზნაურები, უკრაინელი სემინარიელები, ბედის განგებით პრაპორშიკებად რომ ქცეულიყვნენ, მეფუტკრეების ზორბა ვაჟიშვილები, უკრაინული გვარის მქონე შტაბს-კაპიტნები... ყველა უკრაინულად ლაპარაკობდა, ყველას უყვარდა მომაჯადოებელი, ოცნებით წარმოსახული უკრაინა, პანებისა და მოსკოველი ოფიცრების გარეშე. ამათ გარდა, ათასობით იყვნენ გალიციიდან დაბრუნებული, ნატყვევარი უკრაინელები.

აბა, ესეც მიუმატეთ იმ ათი ათასობით გლეხს! ო-ჰო-ჰო!

აი, ეს იყო. ხოლო პ-ატიმარი... გიტარა...

დაირხა მრისხანე, საზარი ხმები...

შემოგვესევინან...

ტამ-ტა-ტამ... ეჰ, ეჰ, ნიკოლკა.

თურქი საერობო ჰუსარი, სიმონი. არა, არ ყოფილა. არ ყოფილა. დიახ, სისულელეა, ლეგენდა, მირაჟი.

ბრძენი ვასილისა იმ ღირსსახსოვარ ნოემბერში თავზე ხელს ამოდ, სულ ამოდ იტაცებდა ხოლმე და შესძახებდა: „Quos vult perdere dementat“ [5], - ამოდ წყევლიდა ჰეტმანს იმის გამო, რომ მან პეტლიურა ქალაქის ბინძური საპატიმროდან გამოუშვა.

სისულელეა ეს ყველაფერი. ის თუ არა, მეორე იქნებოდა, მეორე თუ არა - მესამე.

ასე რომ დასრულდა ავის მომასწავებელ ნიშანთა რიგი და დაიწყო ამბები... მეორე ამბავი ისეთი უმნიშვნელო აღარ გახლდათ, როგორც საპატიმროდან ვიღაც მეთაური კაცის გამოშვება, - ო, არა! ეს ისეთი დიდებული რამ იყო, რომ კაცობრიობა უსათუოდ ას წელს მაინც კიდევ ილაპარაკებდა ამ ამბავზე... წითელშარვლიანი გალელი მამლები ევროპის შორეულ დასავლეთში ჩასქელებულ შეჯავშნულ გერმანელებს მომაკვდინებლად კორტნიდნენ. ეს იყო შემზარავი სანახაობა: ფრიგიულჩაჩქნიანი მამლები ღაღანით მიესივნენ შეჯავშნულ ტევტონებს და ხორცს ჯავშანთან ერთად აგლეჯდნენ. გერმანელები თავგანწირვით იბრძოდნენ, ფართო ხიშტებს შებუმბლულ მკერდში უყრიდნენ, კბილებით ღრღნიდნენ, მაგრამ ვერ გაუძლეს, - და გერმანელებმა! დიახ, გერმანელებმა! - მოწყალება ითხოვეს.

შემდგომი ამბავი ამასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და მისგან გამომდინარეობდა, როგორც შედეგი მიზეზისგან. შეძრწუნებულმა და თავზარდაცემულმა ქვეყნიერებამ შეიტყო, რომ ის კაცი, ვისი სახელიცა და დაგრეხილი, ექვსდუმიანი ლურსმანისებური უღვაშებიც ცნობილი გახლდათ მთელი მსოფლიოსთვის, ვინც თავად, უეჭველია, ერთიანად ლითონისა იყო და ხისა ნატამალიც არ ერია, ახლა დაემხო, დაემხო და გაცამტვერდა - იმპერატორობას გამოეთხოვა. მერე შავზნელმა შიშმა ქალაქში ყველას გონებას ქარიშხალივით გადაურბინა: ნახეს, საკუთარი თვალით ნახეს, ნელ-ნელა როგორ გაიქუცნენ გერმანელი ლეიტენანტები და მათი მორუხო-მოცისფრო მუნდირების ხაო უსახურ, გაცრეცილ ნეჭად როგორ გადაიქცა. და ეს ხდებოდა იქვე, თვალდათვალ. რამდენიმე საათში ლეიტენანტებს თვალები გაუხუნდათ, მონოკლის სარკმელთა მიღმა ჩაქრა

ცხოველი შუქი და მინის ფართო დისკოებიდან ახლა ძალამილეული სილატაკე იცქირებოდა.

აი, მაშინ კი თავში დაჰკრა ყველაზე ჭკვიანებს მათ შორის, ვინც ყვითელი, მკვიდრი ჩემოდნებისა და ფუნჩულა ქალების თანხლებით ბოლშევიკთა ეკლიან ბანაკს დაუსხლტა და ქალაქში შემოაღწია. მიხვდნენ, რომ ბედმა ისინი დამარცხებულებთან დააკავშირა. მიხვდნენ ამას და გული შიშისგან გაელიათ.

- გერმანელები დამარცხდნენ, - თქვეს ნადირალებმა.

- ჩვენ დავმარცხდით, - თქვეს ჭკვიანმა ნადირალებმა.

ამასვე მიხვდნენ ქალაქელებიც.

ოჰ, ვინც თავად დამარცხებულა, მხოლოდ იმან იცის, რასაც ნიშნავს ეს სიტყვა! ის ჰგავს საღამოს იმ სახლში, სადაც ელექტრო განათება გამოირთო. ჰგავს ოთახს, სადაც შპალერს სნების მწვანე ობი მოსდებია. ჰგავს ბავშვთა რაქიტთან დემონებს, ამძალებულ ზეთს, სიბნელეში ქალის ხმით წარმოთქმულ დედის გინებას. მოკლედ, იგი ჰგავს სიკვდილს.

დასრულდა. გერმანელები უკრაინიდან მიდიან. მაშასადამე, ერთნი უნდა გაიქცნენ, მეორენი კი ქალაქში დახვდნენ ახალ, საკვირველ დაუპატიჟებელ სტუმრებს. მაშასადამე, ვიღაცას სიკვდილი მოელის. ვინც გარბის, ისინი არ დაიხოცებიან. მაშ ვის მოელის სიკვდილი?

- სიკვდილი თვალხუჭობანას თამაში აღ აღის, - უცებ ენის ბორძიკით თქვა მძინარე ალექსეი ტურბინის წინაშე საიდანღაც მოვლენილმა პოლკოვნიკმა ნაი-ტურსმა.

მას უცნაური ფორმა ეცვა: თავზე გასხვივოსნებული მუზარადი ეხურა, აბჯარი ემოსა და იმსიგრძე მახვილზე იყო დაყრდნობილი, ჯვაროსნულ ლაშქრობათა შემდგომ არც ერთ ჯარში რომ აღარ ჰქონიათ. სამოთხის შარავანდედი ღრუბელივით თან დაჰყვებოდა.

- პოლკოვნიკო, სამოთხეში ხართ? - ჰკითხა მას ტურბინმა და ისეთმა საამო თრთოლვამ დაუარა, კაცი ცხადში ვერასოდეს რომ ვერ იგრძნობს.

- სამოთხეში ვად, - უპასუხა ნაი-ტურსმა ქალაქის ტყეებში მომდინარე ნაკადულივით კამკამა, წკრიალა ხმით.

- რა საოცარია, რა საოცარია, - თქვა ტურბინმა, - მე კი სამოთხე მხოლოდ... ადამიანის ნაოცნებარი მეგონა. თანაც რა უცნაური ფორმა გაცვიათ. პოლკოვნიკო, ნება მიბოძეთ, გკითხოთ, სამოთხეშიც ოფიცერი ხართ?

- ახლა ჯვაროსნების ბრიგადაში ბრძანდება, - უპასუხა ვახმისტრმა ჟილინმა, 1916 წელს ვილნოს მისადგომებთან ტყვიამფრქვევის ცეცხლით ნამდვილად რომ მოცელეს ბელგრადელ ჰუსართა ესკადრონთან ერთად.

ბუმბერაზი რაინდივით აღმართული ვახმისტრის აბჯარი შუქს აფრქვევდა. ექიმმა ტურბინმა ჟილინს სასიკვდილო ჭრილობა მაშინ საკუთარი ხელით შეუხვია და მისი სახის უხეში ნაკვთები კარგად ახსოვდა, მაგრამ ვეღარ სცნობდა, ხოლო თვალები

ვახმისტრს ახლა სულ ნაი-ტურსისნაირი ჰქონდა - კრიალა, უძირო, შიგნიდან განათებული.

ალექსეი ტურბინის მჭმუნვარე სული ამქვეყნად ყველაზე მეტად ქალის თვალებს ელტვოდა. ქალის თვალები - ეს რა საოცრება შექმნა განგებამ!.. მაგრამ ქალის თვალები ვახმისტრის თვალებთან რას მოვიდოდა!

- ეგ როგორაა? - ჰკითხა ვახმისტრს ცნობისმოყვარეობითა და შეუცნობელი სიხარულით აღსავსე ექიმმა ტურბინმა, - ჩექმიანები, დეზებიანები სამოთხეში რანაირად ხართ? თქვენ ხომ ცხენები გყავთ, რაც უნდა იყოს, ალალი, შუბები?

- დამიჯერე, ბატონო ექიმო, - ვილონჩელივით დაიგუგუნა ვახმისტრმა ჟილინმა. იგი ტურბინს თვალებში ჩასცქეროდა და ეს ცისფერი მზერა ექიმს გულს უთბობდა, - სამოთხეს მთელი ესკადრონი ისევე ამხედრებული მივადექით, თანაც გარმონიკა უკრავდა. მართლა უხერხული კი იყო... იქ, მოგეხსენებათ, სისუფთავა, ისეთი იატაკებია, როგორც ტამარში.

- მართლა? - შეეკითხა გოცბეული ტურბინი.

- ჰოდა, პეტრე მოციქული გამოჩნდა. სამოქალაქო ბერიკაცია, მაგრამ დარბაისელი, თავაზიანი. მე, რა თქმა უნდა, მოვახსენე: ასე და ასე, ბელგრადელ ჰუსართა მეორე ესკადრონმა სამოთხეს მშვიდობიანად მოაღწია, სად გვიბრძანებთ, რომ დავდგეთ-მეთქი. მოხსენებით კი მოვახსენე, მაგრამ, - ვახმისტრმა მუჭაში მორიდებით ჩაახველა, - თან ვფიქრობ, ნეტა პეტრე მოციქული რას გვიბრძანებს, იქნებ გვიბრძანოს, გასწით აქედან, ჯანდაბამდე გზა გქონიათო... იმიტომ, რომ თავადაც მოგეხსენებათ, მივადექით ცხენებით და... (ვახმისტრმა ქეჩო მორცხვად მოიქექა) დედაკაცებით. საიდუმლოდ გეტყვით, გზაში ვიღაც ქალები აგვეკიდნენ. მოციქულს თან ამას ვეუბნები, თანაც ოცეულს თვალით ვანიშნებ, დედაკაცები ცოტა ხნით აქაურობას მოაშორეთ, მერე გამოჩნდება, როგორ მოვიქცეთ, სანამ ყველაფერი გაირკვეოდეს, ღრუბლებს მიეფარონ-მეთქი. პეტრე მოციქული კი, თუმცა თავისინება კაცია, მაგრამ, რომ იცოდეთ, დინჯი და დარბაისელია. თვალი ერთი კი გააპარა და შევატყვე, რომ ოთხთვალაზე მსხდარი დედაკაცები დაინახა. ხომ იცით, თავზე ჭრელი ხილაბანდები აქვთ წაკრული, ერთ ვერსზე მოჩანს. ვიფიქრე, მორჩა ჩვენი საქმე, მთელი ესკადრონი ხათაბალაში გაეხვია-მეთქი...

- ეჰე, რაო, დედაკაცები მოგიყვანიათო? - მითხრა და თავი გააქნია.

- დიახ-მეთქი, - ვუთხარი. მაგრამ თან ვეუბნები, - ფიქრი ნუ გაქვთ, ბატონო მოციქულო, მაგათ ახლა სულ კისრისტეხით გავყრით-მეთქი.

- აბა, აბაო, - მეუბნება, - აქ მაგ თქვენებურ მუშტი-კრივს თავი ანებეთო.

ჰო? რა ვქნათ ახლა, როგორ მოვიქცეთ? გულკეთილი ბერიკაცია. თავადაც ხომ მოგეხსენება, ბატონო ექიმო, ესკადრონი ლაშქრობაში უდედაკაცებოდ არ ვარგა.

და ვახმისტრმა ტურბინს თვალი ემმაკურად ჩაუკრა.

- ეს კი მართალია, - იძულებული იყო დათანხმებოდა ალექსეი ტურბინი და თვალები დახარა. სიზმრის წყვილიადმი ბუნდოვნად იელვა ვილაცის შავზე უშავესმა თვალებმა და მარჯვენა ფერმკრთალ ლოყაზე ხალებმა. ტურბინმა დარცხვენით ამოიოხრა,

ვახმისტრმა კი განაგრძო: - მეუბნება, მოიცა, ამ ამბავს ახლავე მოვახსენებო. წავიდა, დაბრუნდა და მითხრა: კარგი, მოგაწყობთო. ისეთი სიხარული შეგვიდგა, ვერ აგიწერთ. ოღონდ ცოტა კი შევფერხდით. პეტრე მოციქულმა გვითხრა, ცოტა ხანს მოცდა მოგიწევთო. მაგრამ ერთ წუთზე მეტი არ გვიცდია. ვხედავ, - ვახმისტრმა მდუმარე ნაი-ტურსზე მიუთითა, სიზმრიდან შეუცნობელი წყვდიადისკენ მედიდურად რომ მიემართებოდა და უჩინარდებოდა, - ბატონმა ესკადრონის მეთაურმა ტუშინოელი ქურდი მოაჭენა. ცოტა ხნის მერე კი მეთაურს ვიღაც ქვეითი ყმაწვილი იუნკერი მოჰყვა, - ვახმისტრმა ტურბინს ირიბად გადახედა და წამით თვალები დახარა, თითქოს ექიმს რაღაც უნდა დაუმალოს, მაგრამ სამწუხარო კი არა, პირიქით, სასიხარულო, დიდებული საიდუმლო. მერე თავი ასწია და განაგრძო: - პეტრემ ხელი თვალებთან მიიტანა, მოსულეებს გადახედა და თქვა: აბა, ახლა კი მორჩაო! უმაღვე ჭიშკარი ფართოდ გააღო და, მარჯვნივ სამ-სამნი შემოდითო, გვითხრა.

დუნკა, დუნკა, დუნკა მე!

დუნია, შენი ჭირიმე! -

უცებ, როგორც სიზმარში, იჭექა გუნდმა და მჭახე ხმებს იტალიური გარმონიკაც აჰყვა.

- ფეხებთან! - სხვადასხვა ხმაზე შეჰყვირეს ოცმეთაურებმა.

ე-ეჰ, დუნია, დუნია, დუნია!

შემიყვარე, დუნია, დუნია, -

გუნდის ხმა შორს მიწყდა.

- ასევე ქალებიანად შეხვედით? - გაიკვირვა ტურბინმა.

ვახმისტრმა გულიანად გაიცინა და ხელები მხიარულად გაშალა.

- ღმერთო ჩემო, ბატონო ექიმო, იქ ხომ იმოდენა, იმოდენა ადგილია, თვალი ვერ გასწვდება. იქაურობა დაკრიალებულია... თვალის ერთი შევლებით ხუთი კორპუსი კიდევ დაეტევა, სათადარიგო ესკადრონებიანად, ხუთი რა არის - ათიც დაეტევა! იქვე სასახლეები დგას, ღმერთო დიდებულო, ჭერს თვალი ვერ შესწვდება! პეტრე მოციქულს ვეუბნები: ნება მიბოძეთ გვითხოთ, ეს სასახლეები ვისთვის არის-მეთქი? რადგან ორიგინალური რამ გახლავთ: წითელი ვარსკვლავები, წითელი ღრუბლები ჩვენი შარვლებისფრად ელვარებს. ეს ბოლშევიკებისთვის არისო, - მითხრა პეტრე მოციქულმა - პერეკოპიდან მოსულეებისთვისო.

- რომელი პერეკოპიდან? - ჰკითხრა ტურბინმა და სუსტი მიწიერი გონება დაძაბა.

- რომლიდან და, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, იმათ ხომ ყველაფერი წინასწარ იციან. ოც წელში, პერეკოპის ალებისას, ბოლშევიკები ხომ უთვალავზე უთვალავი მიაწვინეს. ჰოდა, იმათ მისაღებად შენობებიც გაამზადეს.

- ბოლშევიკები? - გული აუფორიაქდა ტურბინს. - რაღაცას ურევთ, ჟილინო, ეს შეუძლებელია. იმათ იქ არ შეუშვებენ.

- ბატონო ექიმო, მეც ასე მეგონა. დიახ... შევცდი და ღმერთს ვეკითხები...

- ღმერთს? ოჰ, ჟილინო!

- ნუ გეეჭვებათ, ბატონო ექიმო, მართალს გეუბნებით. მოსატყუარი რა მაქვს, ღმერთთან რამდენჯერ მილაპარაკია.

- ღმერთი როგორია?

ჟილინის თვალებიდან სხივები გამოკრთა, სახის ნაკვთები ამაყად დაეხვეწა.

- თუნდაც მომკალით, ვერ აგისხნით. სახე გასხივოსნებული აქვს, მაგრამ როგორია, ვერ მიხვდები... ზოგჯერ შეხედავ და სისხლი გაგეყინება. გეგონება, რომ თავად შენა გგავს. ისეთი შიში აგიტანს, იფიქრებ, ეს რა მემართებაო. მაგრამ მერე არაფერი, გაგივლის. სხვადასხვასახოვანია... მაგრამ როცა ლაპარაკობს, ისეთი სიხარული გეუფლება, ისეთი სიხარული... გარემოს უმაღლესი ცისფერი შუქი მოეფინება... ჰმ, არა, ცისფერი კი არა (ვახმისტრი ჩაფიქრდა), არ ვიცი. ათას ვერსზე ანათებს და შენც გაგჭოლავს. ჰოდა, მოვახსენე. ეგ როგორ არის-მეთქი, ვეუბნები, უფალო, შენი ხუცები რომ ამბობენ, ბოლშევიკები ჯოჯოხეთში ჩაცვივიანო? ეს როგორი ამბავია? იმათ შენ არ სწამხარ, შენ კი, ნახე, მათთვის როგორი ყაზარმები გაგიმართავს-მეთქი.

- მაშ არ ვწამვარო? - მეკითხება.

ჭეშმარიტ ღმერთს გეფიცები! - ვეუბნები, მაგრამ გულში, რომ იცოდეთ, მეშინია. გაგონილა, ღმერთს ასე ელაპარაკო! მაგრამ ვხედავ, ილიმება. ვფიქრობ, განა სულელი არა ვარ, ამას რომ მოვახსენებ, როცა ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის-მეთქი. მაგრამ საინტერესოა, ერთი რას იტყვის. ის კი მეუბნება: - თუ არ ვწამვარ, რა გაეწყობა, ნება იმათია. ამით ხომ მე არც არაფერი მაკლდება და არც არაფერი მემატება? ასევე შენცა და იმათაც, რომ იცოდე. იმიტომ რომ თქვენი რწმენა მე არც არას მარგებს და არც არას მავენებს. ერთს ვწამვარ, მეორეს არ ვწამვარ, ყველანი კი ერთნაირად იქცევიან. ერთმანეთს უმაღლესი ყელში სწვდებით. ამ ყაზარმების ამბავი კი, ჟილინო, აი, ასე უნდა გაიგო: თქვენ, ყველანი, ჟილინო, ჩემთვის ერთნი ხართ - ბრძოლის ველზე დახოცილნი. ამას, ჟილინო, მიხვედრა უნდა, ყველა კი ვერ მიხვდება! შენ კი, საერთოდ, ჟილინო, - მეუბნება, - ამეებით თავს ნუ შეიწუხებ, იყავი შენთვის, დრო ატარეო.

კარგად განმიმარტა, ბატონო ექიმო, არა? ხუცები-მეთქი, - ვეუბნები... ამაზე ხელი ჩაიქნია: - ჟილინო, ჯობს, ხუცები აღარ გამახსენო. აღარ ვიცი, რა ვუყო. თქვენი ხუცებისთანა ბრიყვი ამ ქვეყნად არავინ იქნება. საიდუმლოდ გეტყვი, ჟილინო, ხუცები კი არა, თავლაფდასხმულნი არიანო.

შენც ყველანი უკლებლივ დაითხოვე, უფალო! რა ძალა გაქვს, იმ უქნარებს პურს რომ აჭმევ-მეთქი.

- მეცოდებიან, ჟილინო, და რა ვუყო, - მითხრა.

ჟილინის ირგვლივ შარავანდედი გაცისფერდა და მძინარესაც გული შეუცნობელი სიხარულით აევსო. მან შუქმფენი ვახმისტრისკენ ხელები გაიწვდინა და ძილში დაიკვნესა; - ჟილინო, ჟილინო, არ შეიძლება, თქვენს ბრიგადაში როგორმე ექიმად მოვეწყო?

ქილინმა გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია და დასტურის ნიშნად თავი ალერსიანად დახარა. მერე უკან-უკან დაიხია და ალექსეი ტურბინს განშორდა. ტურბინმა გაიღვიძა და ნახა, რომ მის წინ ქილინის ნაცვლად რიჟრაჟზე ოდნავ გაფერმკრთალებული ფანჯრის კვადრატი მოჩანდა. ექიმმა სახეზე ხელი მოისვა და იგრძნო, რომ ლოყები ცრემლებით დასველებოდა. იგი დილის ბინდბუნდში დიდხანს ოხრავდა, მაგრამ მალე ისევ ჩაეძინა. ახლა უკვე ძმვიდად ეძინა და არაფერი ეზმანებოდა...

დიახ, სიკვდილს არ დაუხანებია. შემოდგომაზე, შემდეგ კი, ზამთარში, როცა მშრალი თოვლის ფანტელები წამოაყარა, უკრაინის გზებს გაუყვა. წარაფებში ტყვიამფრქვევებს აკაკანებდა. თავად არ ჩანდა, მაგრამ წინ თვალნათლივ მიუძღოდა გლეხობის დაკოჟრილი მძვინვარება. ქალამნებშემოცვეთილი, გაბურძმგნული, თავშიშველა, თმაში ბზეგაჩრილი გარბოდა ქარბუქსა და ყინვაში და ღმუოდა. ხელში უზარმაზარი კეტი ეჭირა, ურომლისოდაც რუსეთში არაფერი არ დაწყებულა. აფრთქილდნენ ფრთამალი წითელი მამლები - ალის ენები. მერე მეწამულ, ჩამავალ მზეზე გამოჩნდა სასქესო ორგანოთი ჩამოკიდებული მიკიტანი ებრაელი. ხოლო პოლონეთის მშვენიერ დედაქალაქში, ვარშავაში აჩრდილი გამოჩნდა: ჰენრიკ სენკევიჩი ღრუბლებში იდგა და გესლიანად იცინოდა. მერე კი ყველაფერი დომხალივით აირია, აქაფდა და აიბუშტა. ხუცები ზარებს აგუგუნებდნენ მწვანეგუმბათიან, აფორიაქებულ საყდრებში, ხოლო გვერდით, შაშხანის ტყვიებით ფანჯრებჩალეწილი სკოლის შენობები რევოლუციურ სიმღერებს მღეროდნენ.

არა, ასეთ ქვეყანაში, ასეთ დროს სული ამოგხდება. ეშმაკსაც წაულია!! მითია, მითი პეტლიურა. საერთოდ არ არსებულა. ისეთივე საუცხოო მითი გახლავთ, როგორცაა მითი არასდროს არ არსებულ ნაპოლეონზე, თუმცა გაცილებით ულამაზო. მოხდა სხვა რამ. საჭირო იყო სწორედ ეს მრისხანება გლეხობისა ერთ რომელიმე გზაზე გაეტყუებინათ, რადგან ამქვეყნად ყოველივე ისე ჯადოსნურად არის მოწყობილი, რომ ამ მრისხანებამ რამდენიც არ უნდა ირბინოს, ყოველთვის გარდაუვლად ერთსა და იმავე გზაჯვარედინზე აღმოჩნდება.

ეს ძალზე უბრალოდ ხდება. ალიაქოთი იყოს თორემ, ხალხი გამოჩნდება.

ჰოდა, საიდანღაც გამოჩნდა პოლკოვნიკი ტოროპეცი. თურმე იგი, არც მეტი, არც ნაკლები, ავსტრიის ჯარიდან იყო მოსული...

- აბა, რას ბრძანებთ?

- მერწმუნეთ.

მერე გამოჩნდა მწერალი ვინინჩენკო, რომელმაც სახელი ორი რამით გაითქვა - თავისი რომანებითა და იმით, რომ თვრამეტი წლის დასაწყისშივე, როგორც კი ჯადოსნურმა ტალღამ იგი უკრაინის ბობოქარი ზღვის ზედაპირზე ამოაგდო, ქალაქ სანკტ-პეტერბურგის სატირულმა ჟურნალებმა წამიც არ დააყოვნეს და მოღალატედ მონათლეს.

- ახიცაა...

- ეგ მე არ ვიცი.

მერე ის იდუმალი პატიმარიც გამოჩნდა, ქალაქის ციხიდან რომ გამოუშვეს.

ჯერ კიდევ სექტემბერში მთელ ქალაქში წარმოდგენაც არ ჰქონდა არავის, რის გაკეთებას შეძლებდა სამი კაცი, ვისაც უნარი აქვს თავის დროზე გამოჩნდეს თუნდაც ისეთ უმნიშვნელო ადგილას, როგორც ბელაია ცერკოვია. ოქტომბერში კი ამ ამბავს უკვე საკმაოდ კარგად მიხვდნენ და ქალაქის I სამგზავრო ვაგზიდან ახალმოვლენილი პოლონეთისა და გერმანიისკენ ახალი, ჯერ კიდევ ფართო გასასვლელით დაიდრა ასობით ნათურით გაჩირაღდებული მატარებლები. გაფრინდა დეპეშები, ბრილიანტები, ფულები. მიიჩქაროდნენ თვალებდაცეცებულნი, თმაგაყოფილნი. მიეშურებოდნენ აგრეთვე სამხრეთისკენ, ზღვისპირა ქალაქ ოდესისკენ. ნოემბერში, ეჰ! ყველამ უკვე საკმაოდ გარკვევით იცოდა სიტყვა

- პეტლიურა!

- პეტლიურა!!

- პეტლიურა! -

აცეკვდა, ათამაშდა კედელზე რუხი ფერის სატელეგრაფო ცნობებში. დილით გაზეთის ფურცლებიდან ყავაში წვეთავდა და ღვთიურ ტროპიკულ სასმელს პირში უმაღ უგემურზე უგემურ ნარეცხად აქცევდა. ეს სახელი ყველას ენაზე ეკერა, მორზეს აპარატებში კაკუნობდა ტელეგრაფისტთა თითებქვეშ. ქალაქში სასწაული სასწაულს მოჰყვა ამ იდუმალ სიტყვებთან დაკავშირებით, გერმანელები თავისებურად რომ წარმოთქვამდნენ: - პეტურა.

ღამდამობით იკარგებოდა ზოგიერთი გერმანელი ჯარისკაცი, ვისაც ქალაქის გარეუბნებში ხეტიალის უხეირო ჩვევა დასჩემებოდა. ღამით იკარგებოდნენ, დღისით კი გამოირკვეოდა, თურმე დაეხოცათ. ამიტომ ღამდამობით თავზე დალაქის ტაშტჩამომხობილ გერმანელთა პატრულები დადიოდნენ. დადიოდნენ და ფანრებს აელვარებდნენ - ჭკუით იყავითო! მაგრამ ვერავითარი ფარანი ვერ გაფანტავდა ადამიანთა თავებში აზავებულ მღვრიე დომხალს.

ვილჰელმი, ვილჰელმი. გუშინ სამი გერმანელი მოუკლავთ. ღმერთო ჩემო, გერმანელები მოდიან, გაიგეთ? მოსკოვში მუშებს ტროცკი დაუპატიმრებიათ!! ვიღაც მამაძაღლებს ბოროდიანკასთან მატარებელი გაუჩერებიათ და მთლიანად გაუძარცვავთ. პეტლიურას პარიზში დესპანები გაუგზავნია. ისევ ვილჰელმი. შავი სენეგალელები ოდესაში ჩამოსულან... უცნობი, იდუმალებით მოცული სახელი - კონსული ენო. ოდესა, ოდესა. გენერალი დენიკინი. ისევ ვილჰელმი. გერმანელები წავლენ, ფრანგები მოვლენ.

- ბოლშევიკები მოვლენ, ძამიკო!

- ენა მოგტყდეს, ბიძიკო!

გერმანელებს ერთნაირი ისრიანი ხელსაწყო ჰქონიათ, - მიწაზე დადგამენ და ისარი აჩვენებს, იარაღი სად არის ჩაფლული. მაგარი რამეა. პეტლიურას ბოლშევიკებთან დესპანი გაუგზავნია. ეს უფრო მაგარი რამეა. პეტლიურა. პეტლიურა. პეტლიურა. პეტლიურა. პეტლიურა. პეტურა.

*

კაციშვილმა არ იცოდა, მაინც რას აპირებდა ეს პეტურრა, რის გაკეთება ჰქონდა განზრახული უკრაინაში, მაგრამ უკლებლივ ყველამ უკვე იცოდა, რომ მას იდუმალებით მოცულსა და უსახოს

(თუმცა გაზეთები დროდადრო აქვეყნებდნენ კათოლიკე პრელატის პირველივე სურათს, რაც რედაქციაში მოხვდებოდა, ოღონდ ყოველთვის სხვადასხვას და ქვემოთ წააწერდნენ - სიმონ პეტლიურა).

სურდა, უკრაინას დაუფლებოდა და, რათა დაუფლებოდა, ქალაქის ასაღებად მოდიოდა.

6

მადამ ანჟუს მაღაზიას „პარიზულ პეწს“ ქალაქის ცენტრში, ოპერის თეატრის უკან, თეატრალურ ქუჩაზე აღმართული უზარმაზარი, მრავალსართულიანი სახლის პირველი სართული ეჭირა. ქუჩიდან მაღაზიის მინის კარამდე სამსაფეხურიანი კიბე ადიოდა, ხოლო მინის კარის აქეთ-იქით ორ ფანჯარას ტიულის მტვრიანი ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული. არავინ იცოდა, სად გაქრა თავად მადამ ანჟუ, ანდა მის მაღაზიას ისეთი მიზნებისათვის რატომ იყენებდნენ, რასაც ვაჭრობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მარცხენა ფანჯარაზე ქალის ფერადი ქუდი ეხატა და ზედ ოქროს ასოებით ეწერა: „შიკ პარიზიენ“, ხოლო მარჯვენა ფანჯრის უკან ყვითელი მუყაოს უზარმაზარი პლაკატი მოჩანდა. ზედ ეხატა ორი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული სევასტოპოლური ქვემეხი, ისე როგორც არტილერიისტებს აქვთ სამხრეებზე, ზემოთ კი ეწერა: „გმირი თუ ვერ იქნები, მოხალისე მაინც უნდა იყო, მოვალე ხარ“.

ქვემეხების ქვემოთ ეწერა: „მოხალისეების ჩაწერა სარდლის სახელობის სამორტირო დივიზიონში“.

მაღაზიის შესასვლელთან გამურული, დანჯღრეული, ნავიანი მოტოციკლეტი იდგა. ზამბარიანი კარი წამდაუწუმ ჯახუნობდა და ყოველ გაღებაზე კარის თავზე ზარი საამურად წვრიალეზდა - ძინ, ძინ... და მისი ხმა მადამ ანჟუს ცოტა ხნის წინანდელ, ბედნიერ დროებას გაგახსენებდათ.

ნამთვრალევი ტურბინი, მიშლაევსკი და კარჩხანა თითქმის ერთდროულად ადგნენ, თავისდა გასაოცრად, სრულიად გამოფხიზლებულნი, მაგრამ საკმაოდ გვიან კი - ასე შუადღისას. ნიკოლკა და შერვინსკი შინ აღარ ჩანდნენ. ნიკოლკამ დილაადრიან რაღაც წითელი ბოხჩა ოხვრით გამოკრა და თავისი ლაშქრისაკენ გასწია, ხოლო შერვინსკი სულ ცოტა ხნის წინ წასულიყო სამსახურში, სარდლის შტაბში.

მიშლაევსკი წელამდე გაშიშვლდა ანიუტას სანუკვარ ოთახში, სამზარეულოს გვერდით, სადაც ფარდის იქით ქურა და აზაზანა იდგა, ყინულივით ცივი წყლის ჭავლს კისერი, ზურგი და თავი შეუშვირა, თანაც შიშითა და აღფრთოვანებით ყვიროდა: - უჰ! უჰ! რა კარგია - ირველივ ორ არშინზე ყველაფერი გაწუწა, მერე ხაოიანი ზეწრით ტანი გაიმშრალა, ჩაიცვა, თავზე ბრიოლინი წაისვა, თმა დაივარცხნა და ტურბინს უთხრა: - ალიოშა, ჰმმ... თუ ძმა ხარ, შენი დეზები მათხოვე. შინ აღარ შევივლი, უდეზებოდ მისვლა კი არ მინდა.

- აილე, კაბინეტშია, მაგიდის მარჯვენა უჯრაში.

მიშლაევსკი კაბინეტში შევიდა, უჯრაში ხელები მოაფათურა და დეზების წკარუნით გამოვიდა. დეიდამისთან სტუმრად წასული შავთვალა ანიუტა დილას დაბრუნებულყო და მამლის ბუმბულების ცოცხით სავარძლებს წმენდდა. მიშლაევსკიმ ჩაახველა, კარს ცერად გახედა, სავარძლებს შემოუარა, ანიუტას წინ დაუდგა და უთხრა: - გამარჯობა ანიუტოჩკა...

- ელენა ვასილიევნას ვეტყვი, - უმალ, მექანიკურად, დაუფიქრებლად წაიჩურჩულა ანიუტამ და თვალები დახუჭა, როგორც სასიკვდილოდ განწირულმა, ვისაც ჯალათმა დანა უკვე მოუღერა.

- სულელო...

მოულოდნელად კარიდან ტურბინმა შემოიხედა და სახეზე გესლიანი გამომეტყველება აესახა.

- ვიტია, ცოცხს ათვალაიერებ? ჰო, ლამაზია. იქნებ ჯობდა, შენი გზით წასულიყავ. ჰა? შენ კი, ანიუტა, იცოდე, თუ მაგან გითხრას, ცოლად შეგირთავო, ნუ დაუჯერებ, არ შეგირთავს.

- რა მოხდა, ღმერთო ჩემო, ადამიანს რომ მივესალმო, არ შეიძლება?

მიშლაევსკი დაუმსახურებელი წყენისაგან წამოჭარხლდა, გაიჯგინა და სასტუმრო ოთახიდან დეზების წკარუნით გავიდა, სასადილო ოთახში ოქროსთმიან მედიდურ ელენასთან მივიდა. თვალებს მოუსვენრად აცეცებდა.

- გამარჯობა, ლენა, ჩემო სინათლე, დილა მშვიდობისა, ჰმ... (მიშლაევსკის ყელიდან მჟღერი ტენორის ნაცვლად ჩახლეჩილი, დაბალი ბარიტონი ამოსდიოდა) ლენა, ჩემო სინათლე, - შესძახა გრძნობამორეულმა, - ნუ გამირისხდები. მიყვარხარ და შენც გიყვარდე. გუშინ ცოტა მივქარე, მაგრამ გულთან ნუ მიიტან. ლენა, ვილაც არამზადა ხომ არ გგონივარ?

თქვა ეს, ელენას მოეხვია და ორივე ლოყა დაუკოცნა. სასტუმრო ოთახში მამლის ბუმბულის ცოცხი რბილი ბრაგუნით დაეცა. როგორც კი ტურბინების ბინაში პორუჩიკი მიშლაევსკი გამოჩნდებოდა, ანიუტას უცნაური რაღაც ემართებოდა. ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა. თუ სამზარეულოში იყო, დანები იატაკზე ცვიოდა, ბუფეტის თაროდან თეფშები მოზრიალებდა. დაბნეული ანუშკა დერეფანში უსაქმოდ დარბოდა, კალოშებს აიღებდა და ჩვრით იქამდე აპრიალებდა, სანამ მოკლე, ქუსლებამდე დაშვებული დეზების წკარუნს არ გაიგონებდა და წაკვეთილი ნიკაპი, კვადრატული ბეჭები და ლურჯი ბრიჯი არ გამოჩნდებოდა. მაშინ ანუშკა თვალებს დახუჭავდა და ვიწრო, მზაკვარი დერეფნიდან გვერდულად გასხლტებოდა. ახლაც სასტუმრო ოთახში ცოცხი ხელიდან გაუვარდა, ჩაფიქრებული ერთ ადგილას გაშემდა და სადღაც შორს, ნაყმიანი ფარდების მიღმა, ნაცრისფერ, მოღრუბლულ ცას მიაჩერდა.

- ვიტკა, ვიტკა, - ეუბნებოდა ელენა მიშლაევსკის და თავს აქნევდა, ელვარე თეატრალურ გვირგვინს რომ მოგაგონებდათ, - კაცმა რომ შეგხედოს, ჯანიანი ბიჭი ხარ, რა მოგივიდა, გუშინ რანაირად მოეშვი, დაჯექი, ჩაი დალიე, იქნებ გიშველოს.

- შენ კი ლენოჩკა, ღმერთმანი, დღეს ისეთი მშვენიერი ხარ. კაპოტიც გიხდება, სინდისს გეფიცები, - ელაციცებოდა მიშლავესკი და თან სარკეებიანი ბუფეტის წიაღისაკენ მზერას მალიმალ აპარებდა, - კარჩხანა, შეხედე ერთი, რა კაპოტია. მთლად მწვანე. არა, მართლა რა ლამაზია.

- ელენა ვასილიევნა ძალიან ლამაზია, - დარბაისლურად, გულწრფელად უპასუხა კარჩხანამ.

- მწვანე კი არა, ღია ლურჯია, - განმარტა ელენამ, - შენ კი, ვიტენკა, ბარემ პირდაპირ თქვი, რა გინდა.

- იცი, რა, ელენა, ჩემო სინათლევ, გუშინდელი დავიდარაბის მერე, შეიძლება შაკიკმა წამომიაროს და მერე ვეღარაფერს ვუშველი...

- ჰო, კარგი, ბუფეტშია.

- ასე, ასე... მხოლოდ ერთ ჭიქას დავლევ... ყოველგვარ პირამიდონს სჯობია.

მიშლავესკიმ სახე დამანჭა, ორი ჭიქა არაყი ზედიზედ გადაჰკრა და გუშინდელი დარბილებული კიტრი დააყოლა. მერე განაცხადა, ასე მგონია, ხელახლა დავიბადეო, და სურვილი გამოთქვა, ლიმონიან ჩაისაც დავლევო.

- ლენოჩკა, - ამბობდა ხმაჩახლეჩილი ტურბინი, - ნუ იღელვებ და ლოდინით გულს ნუ გაიწყალებ. მივალ, ჩავეწერები, და შინ დავბრუნდები. საომარ მოქმედებას რაც შეეხება, დარდი ნუ გექნება, ჩვენ ქალაქში ვისხდებით და საყვარელ პრეზიდენტს მოვიგერიებთ, იმ არამზადას.

- ვაითუ სადმე გაგზავნონ?

კარჩხანამ ხელი დამამშვიდებლად ჩაიქნია.

- ნუ იდარდებთ, ელენა ვასილიევნა. ჯერ ერთი, უნდა მოგახსენოთ, რომ დივიზიონი ორ კვირაზე ადრე ვერანაირად ვერ მოემზადება, არც ცხენები ჩანს და არც ჭურვები. ხოლო როცა მოემზადება, მაშინაც უეჭველად ქალაქში დავრჩებით. მთელი ჯარი, რომელიც ახლა ყალიბდება, უსათუოდ ქალაქის გარნიზონი იქნება. მხოლოდ შემდგომში, თუკი მოსკოვისკენ გავილაშქრებთ...

- ეჰ, ეგ როდის იქნება... ჰმ...

- მანამდე დენიკინს უნდა შევუერთდეთ...

- ბატონებო, ტყუილად ნუ ირჯებით, ნუ მამშვიდებთ, მე არაფრისა მეშინია, პირიქით, თქვენი განზრახვა მომწონს.

ელენა მართლაც ყოჩაღად ლაპარაკობდა და თვალებში უკვე ყოველდღიურ საზრუნავზე ფიქრი უჩანდა. „კმა არს დღესა მისთვის სიბოროტე თვისი“.

- ანიუტა, - გასძახა მან ანუშკას, - ძვირფასო, გარეთ, აივანზე, ვიქტორ ვიქტოროვიჩის საცვლებია. აიღე, გენაცვალე, ჯერ ჯაგრისით კარგად გაწმინდე და მერე სასწრაფოდ გარეცხე.

ყველაზე უფრო დამამშვიდებლად ელენაზე პატარა, ტანსრული ცისფერთვალა კარჩხანა მოქმედებდა. საკუთარ თავში დარწმუნებული, ჟღალფრენჩიანი კარჩხანა თამბაქოს ეწეოდა და თვალებს გულგრილად ჭუტავდა.

წინკარში ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

- ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, - გოროზად თქვა ელენამ და ტურბინს ჯვარი გადასახა. ასევე გადასახა ჯვარი მიშლაევსკისაც და კარჩხანასაც, მაზარის გარედან მსხვილ წელზე ქამარი მჭიდროდ რომ შემოეჭირა. მიშლაევსკი ელენას გადაეხვია, ხოლო კარჩხანა წამოწითლდა და ორივე ხელი ნაზად დაუკოცნა.

*

ბატონო პოლკოვნიკო, - თქვა კარჩხანამ, დეზები მსუბუქად ააწკარუნა და ხელი ქუდთან მიიტანა, - ნებას მომცემთ, მოგახსენოთ?

ბატონი პოლკოვნიკი მაღაზიის მარჯვენა მხარეს, ესტრადასავით შემადლებულ ადგილას, პატარა საწერ მაგიდასთან ბუდუარის დაბალ მომწვანო სავარძელში იჯდა. ნაყმიანი ტიულის ფარდებჩამოფარებული, დამტვერილი ფანჯრებიდან მომავალ შუქს ცოტათი ამკრთალებდა მის უკან ზვინებად მდგარი მუყაოს მოცისფრო ყუთები, რომელსაც ეწერა „მადამ ანჟუ, ქალის ქუდები“. ბატონ პოლკოვნიკს ხელში კალამი ეჭირა და ნამდვილად პოლკოვნიკი კი არა, პოდპოლკოვნიკი გახლდათ, ოქროსფერ ფართო სამხრეებზე ორი ზოლი გასდევდა, ზედ სამი ვარსკვლავი და გადაჯვარედინებული, ოქროსფერი ქვემეხები ჰქონდა დამაგრებული. ბატონი პოლკოვნიკი ტურბინზე ცოტათი უფროსი თუ იქნებოდა - ასე ოცდაათი წლის, ბევრი-ბევრი ოცდათორმეტისა. ნაპატივებ და სუფთად გაპარსულ სახეს ამერიკულ ყაიდაზე შეკრეჭილი შავი ულვაში უმშვენებდა. მალზე ცოცხალი და აზრიანი თვალეები აშკარად მოქანცულად, მაგრამ დაკვირვებით იმზირებოდნენ.

პოლკოვნიკის ირგვლივ ნამდვილი ქაოსი სუფევდა. მისგან ორ ნაბიჯზე პატარა შავ ღუმელში ცეცხლი გუზგუზებდა, მუხლებიანი მილებიდან, ტიხარს იქით რომ გადიოდა და მაღაზიის წიაღში იკარგებოდა, ხანგამომშვებით შავი წუნწუხი წვეთავდა. აქა-იქ ჩაღრმავებული იატაკი როგორც ესტრადაზე, ასევე მთელ მაღაზიაში წითელი და მწვანე ქსოვილის ნაკუწებით და დაფხრეწილი ქაღალდებით იყო მოფენილი. მალლა, ზედ პოლკოვნიკის თავთან საწერ მანქანას მოუსვენარი ჩიტივით კაკუნით გაჰქონდა. ტურბინმა თავი ასწია და დაინახა, რომ მანქანა თითქმის ჰერთან დაკიდული მოაჯირის მიღმა კაკუნებდა. მოაჯირს იქით ვიღაცის ლურჯრეიტუზიანი ფეხები და უკანალი გახიდულიყო, თავი კი არ ჩანდა, რადგან ჰერს წაეკვეთა. მეორე მანქანა მაღაზიის მარცხენა მხარეს, იატაკქვემოთა ქვაბულში კაკუნობდა, სადაც მოხალისე ჯარისკაცის ბრჭყვიალა სამხრეები და თეთრი თავი მოჩანდა, ხელეები და ფეხები კი არსად იყო.

პოლკოვნიკის ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა, ელავდა სამხრეების ოქროსფერი ქვემეხები, იდგა ყვითელი ყუთი, ზედ აჩხორილი ტელეფონის ყურმილებითა და მავრთულებით, მუყაოს ყუთების გვერდით კი გროვა-გროვა ეყარა ხისსახელურიანი, კონსერვის ქილების მსგავსი ხელყუმბარები და ტყვიამფრქვევის ლენტების რამდენიმე რგოლი. ბატონი პოლკოვნიკის მარცხენა იდაყვთან ფეხის საკერავი მანქანა იდგა, ხოლო მარჯვენა ფეხთან დრუნჩი გამოეყო ტყვიამფრქვევს, სადღაც

სიღრმეში ბრჭყვიალა ლითონის წნელზე ჩამოკიდებული ფარდის იქით, სადაც ბნელოდა, ვიღაც, ალბათ ტელეფონში ხმის ჩახლეჩამდე ჩასძახოდა: „დიახ... დიახ... მისმინეთ, მისმინეთ, დიახ, დიახ, მისმინეთ“. ძინ-ძინ, - დაიწვრიალა ზარმა... პი-უ, - წაიმღერა ხმაწვრიალა ჩიტმა სადღაც ქვაბულში და იქ ახალგაზრდა კაცის ბანმა ჩაიბუბუნა.

- დივიზიონია... გისმენთ... დიახ... დიახ.

- გისმენთ, - უთხრა კარჩხანას პოლკოვნიკმა.

- ბატონო პოლკოვნიკო, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ პორუჩიკი ვიქტორ მიშლაევსკი და ექიმი ტურბინი. პორუჩიკი მიშლაევსკი ამჟამად რიგით ჯარისკაცადაა მეორე ქვეით ლაშქარში და სურს, რომ თქვენდამი მინდობილ დივიზიონში გადმოვიდეს თავის სპეციალობაზე. ექიმი ტურბინი დივიზიონის ექიმად დანიშვნას ითხოვს.

თქვა ეს კარჩხანამ და ხელი ძირს დაუშვა, ხოლო მიშლაევსკიმ ხელი ქუდთან მიიტანა და პოლკოვნიკს მიესალმა. „ფუ ეშმაკს... ფორმა მალე უნდა ჩავიცვა“, - სინანულით გაიფიქრა ტურბინმა, უქუდოდ თავს უხერხულად გრძნობდა. გულში გაჰკრა, კრაველის საყელოიანი შავი პალტო ალბათ ვიღაც ყეყეხს მამგვანებსო. პოლკოვნიკმა ექიმს თვალი სწრაფად შეავლო და მზერა მიშლაევსკის მაზარასა და სახეზე გადაიტანა.

- ასე, - თქვა მან, - კარგი იქნება. პორუჩიკო, სად ხართ ნამსახური?

- მძიმე № დივიზიონში, ბატონო პოლკოვნიკო, - უპასუხა მიშლაევსკიმ. ამგვარად ამცნო, გერმანიასთან ომის დროს რას საქმიანობდა.

- მძიმეში? ეს ძალიან კარგია. ეშმაკმა უწყის რას სჩადიან: არტილერიის ოფიცრებს ქვეით ჯარში თავი უკრეს. რა დომხალია!

- სრულიადაც არა, ბატონო პოლკოვნიკო, - უპასუხა მიშლაევსკიმ და ოდნავ ჩაახველა, რომ ხმა ჩაეწმინდა, - ჩემი ნება-სურვილით ვითხოვე, რადგან პოსტ-ვოლინსკისკენ სასწრაფოდ იყო საჭირო რაზმის გაგზავნა. მაგრამ ახლა, როცა ლაშქარი თითქმის ჩამოყალიბებულია...

- უაღრესად მომწონს თქვენი განზრახვა... - კეთილი, - უთხრა პოლკოვნიკმა მიშლაევსკის და თვალეებში მართლაც დიდი მოწონებით ჩააცქერდა, - მოხარული ვარ, რომ გაგიცანით... მაშ ასე... ჰო, ექიმო? თქვენც გასურთ ჩვენთან სამსახური? ჰმ...

ტურბინმა თავი მდუმარედ დახარა, რათა კრაველის საყელოსთვის შეუფერებელი „ასე გახლავთ“ არ წარმოეთქვა.

- ჰო... - პოლკოვნიკმა ფანჯრისკენ გაიხედა, - იცით რა, ეს აზრი, რა თქმა უნდა, კარგია. მით უმეტეს, რომ დღე-დღეზე შესაძლოა... დიახ... - იგი უცებ შეყოვნდა, თვალეები ოდნავ მოჭუტა და ხმა დაიდაბლა: - ოღონდ... არ ვიცი, როგორ გითხრათ... იცით, ექიმო, აქ ერთი საკითხია... სოციალური თეორიები და... ჰმ... თქვენ სოციალისტი ხართ? ხომ ასეა? ისევე, როგორც ყველა ინტელიგენტი? - პოლკოვნიკმა თვალეები გვერდზე გასხლიტა, ხოლო მთელი მისი აღნაგობა, ტუჩები და ტკბილი ხმა უდიდეს სურვილს გამოხატავდა, ექიმი ტურბინი უსათუოდ სოციალისტი

გამომდგარიყო და არა სხვა ვინმე. - ჩვენს დივიზიონს სახელიც ასეთი ჰქვია - სტუდენტური, - პოლკოვნიკმა გულითადად გაიღიმა, მაგრამ ტურბინისთვის არ შეუხედავს, - რა თქმა უნდა, ცოტა სანტიმენტალურია, მაგრამ თავად მეც, რომ იცოდეთ, უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული.

„დალაზვროს ეშმაკმა... აბა კარჩხანა რას ამბობდა?... - გაიფიქრა უაღრესად იმედგაცრუებულმა და განცვიფრებულმა ტურბინმა. იმავე წამს იგრძნო, რომ კარჩხანა სადღაც უკან, მის მარჯვენა მხარესთან შეტოკდა. ტურბინს იქით არც გაუხედავს, მაგრამ მიხვდა, რა დამაბულად ცდილობდა იგი, მისთვის რაღაც ენიშნებინა. თუმცა რას ანიშნებდა, ამას კი ვეღარ მიუხვდა.

- მე, - უცებ მიახალა პოლკოვნიკს ტურბინმა და ლოყა აუთრთოლდა, - სამწუხაროდ სოციალისტი კი არა... მონარქისტი გახლავართ. ის კი არა, უნდა მოგახსენოთ, რომ თვით სიტყვა „სოციალისტიც“ მძაგს. ხოლო სოციალისტებს შორის ყველაზე მეტად ალექსანდრ ფიოდოროვიჩ კერენსკი მძულს.

ტურბინის უკან მდგარ კარჩხანას რაღაც ხმა აღმოხდა. „აფსუს, კარჩხანას და ვიტისას რომ უნდა ჩამოვცილდე, - გაიფიქრა ტურბინმა, - მაგრამ ეშმაკსაც წაუღია ეს სოციალური დივიზიონი“.

პოლკოვნიკს სახეზე თვალები უმაღლ ამოუტივტივდა და შიგ რაღაც ნაპერწკლებმა იელვა. მან ხელი აღმართა, თითქოს უნდა, ტურბინს პირზე ხელი ზრდილობიანად დააფაროსო, და წარმოთქვა: - სამწუხაროა. ჰმ... ძალზე სამწუხარო... რევოლუციის მონაპოვარი და ასე შემდეგ... მე ზემოდან ნაბრძანები მაქვს, დივიზიონში მონარქისტული ელემენტების მიღებას მოვერიდო, რადგან მოსახლეობა... ხომ გესმით, თავშეკავებაა საჭირო. ამას გარდა, ჰეტმანი, ვისთანაც ჩვენ უშუალო და მჭიდრო კავშირი გვაქვს, როგორც მოგეხსენებათ... სამწუხაროა... სამწუხაროა...

ამ სიტყვების წარმოთქმისას პოლკოვნიკის ხმა მწუხარებას სულაც არ გამოხატავდა! პირიქით, ძალზე მხიარულად ჟღერდა, ხოლო თვალთა გამომეტყველება სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც ამბობდა.

„ჰოო! - მრავალმნიშვნელოვნად გაიფიქრა ტურბინმა, - რა ბრიყვი ვარ... ეს პოლკოვნიკი კი სულელი არ ყოფილა. იერზე ეტყობა, კარიერისტია, მაგრამ ეს არაფერია“.

- არ ვიცი, როგორ მოვიქცე... ამჟამად ხომ, - პოლკოვნიკმა „ამჟამად“ განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა, - დიახ, ამჟამად უნდა გითხრათ, ჩვენი უშუალო ამოცანა ქალაქისა და ჰეტმანის დაცვაა პეტლიურას ბანდებისაგან და, შესაძლოა, ბოლშევიკებისაგან. მერე კი, მერე საქმე გამოაჩენს... ექიმო, ნება მიბოძეთ გკითხოთ, აქამდე სად მსახურობდით?

- ათას ცხრაას თხუთმეტ წელს, უნივერსიტეტის ექსტერნად დამთავრების შემდეგ, ვენეროლოგიურ კლინიკაში, მერე ბელგრადელ ჰუსართა პოლკში უმცროს ექიმად, შემდეგ კი მძიმე, სამჯერად ჰოსპიტალში ორდინატორად. ამაჟამად დემობილიზირებული გახლავართ და კერძო პრაქტიკას ვეწევი.

- იუნკერო! - გასძახა პოლკოვნიკმა, - უფროს ოფიცერს სთხოვეთ ჩემთან მოვიდეს.

ვიღაცის თავი ქვაბულში გაუჩინარდა, შემდეგ კი პოლკოვნიკის წინაშე ახალგაზრდა, შავგვრემანი, მკვირცხლი ოფიცერი წარსდგა. ოფიცერს კრაველის მრგვალი, ჟოლოსფერციანი, ყაითანგადაჯვარედინებული ქუდი ეხურა, რუხ, გრძელკალთებიან, მიშლაევსკისთანა მაზარაზე ქამარი მაგრად შემოეჭირა და ზედ რევოლვერი ეკიდა. დასრესილი, ოქროსფერი სამხრეები იტყობინებოდა, რომ შტაბის კაპიტანი გახლდათ.

- კაპიტანო სტუპინსკი, - მიმართა მას პოლკოვნიკმა, - გეთაყვა, სარდლის შტაბში მიმართვა გაგზავნეთ, რომ დაუყოვნებლივ ჩემთან გადმოიყვანონ პორუჩიკი... ე-ე...

- მიშლაევსკი, - თქვა მიშლაევსკიმ და ხელი ქუდთან მიიტანა.

- ...მიშლაევსკი, თავის სპეციალობაზე, მეორე ლაშქრიდან. იქვე გაგზავნეთ მიმართვა, რომ ექიმი... ე-ე?

- ტურბინი...

- ტურბინი აუცილებლად მესაჭიროება დივიზიონის ექიმად. ვითხოვ, დაუყოვნებლივ დანიშნონ.

- არის, ბატონო პოლკოვნიკო, - უთხრა ოფიცერმა და ხელი ქუდთან მიიტანა. გამოთქმაზე ეტყობოდა, რუსი არ უნდა ყოფილიყო.

„პოლონელია“, - გაიფიქრა ტურბინმა.

- პორუჩიკო, შეგიძლიათ, ლაშქარში აღარ დაბრუნდეთ (ეს მიშლაევსკის). პორუჩიკი მეოთხე ოცეულს ჩაიბარებს (ოფიცერს).

- არის, ბატონო პოლკოვნიკო.

- არის, ბატონო პოლკოვნიკო.

- თქვენ კი, ექიმო, ამ წუთიდან სამსახურში ითვლებით. გთხოვთ, დღეს, ერთი საათის შემდეგ, ალექსანდრეს გიმნაზიის მოედანზე გამოცხადდეთ.

- არის, ბატონო პოლკოვნიკო.

- ექიმს დაუყოვნებლივ მიეცით ტანსაცმელი.

- არის.

- გისმენთ, გისმენთ! - გაიძახოდა ბანი ქვაბულში.

- მისმენთ? არა. გეუბნებით: არა... არა-მეთქი, - ყვიროდა ვიღაც ტიხარს მიღმა.

ძინ-ძინ... პი... პი-უ - მღეროდა ჩიტი ქვაბულში.

მისმენთ?

*

„თავისუფალი ცნობები“! „თავისუფალი ცნობები“! ახალი ყოველდღიური გაზეთი „თავისუფალი ცნობები“! - ყვიროდა გაზეთის გამყიდველი ბიჭი, ქუდს ზემოდან

ქალის თავშალი რომ წაეკრა - პეტლიურას ბანდა გაიხრწნა. ოდესაში შავი ჯარები ჩამოვიდნენ, „თავისუფალი ცნობები“!

ტურბინმა ერთ საათში შინ შერბენა მოასწრო. სასტუმრო ოთახის მომიჯნავე პატარა კაბინეტში მდგარი საწერი მაგიდის უჯრიდან ამოღებული ვერცხლისფერი სამხრეები დღის სინათლეზე აბზინდა. ტურბინის კაბინეტიდან აივანზე შემინული კარი გადიოდა. კარს თეთრი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. საწერ მაგიდაზე წიგნები და საწერი მოწყობილობა ეწყო, თაროებზე - წამლის შუშები და ხელსაწყოები. ტახტზე სუფთა ზეწარი იყო გადაფარებული. ღარიბულად მოწყობილ კაბინეტს სიხალვათე აკლდა, მაგრამ მყუდრო კი იყო.

- ლენოჩკა, თუ რაიმე მიზეზით დავიგვიანე და ვინმე მოვიდა, უთხარი, დღეს ვერავის მიიღებს-თქო. მუდმივი ავადმყოფები არა მყავს... ცოტა დაუჩქარე, გენაცვალე.

ელენამ გიმნასტურის საყელო გადასწია და სამხრეები ფაცაფუცით მიაკერა... მერე წყვილი, ხაკისფერი, შავზოლებიანი სამხრეები კი მაზარას დააკერა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ტურბინი სადარბაზო შესასვლელიდან სირბილით გამოვიდა და თეთრ დაფას შეხედა; ექიმი ა. ვ. ტურბინი.

ვენერიული სნეულებანი და სიფილისი.

606-91

მიღება ს-დან 6 ს-მდე.

ზემოდან დააწება „5 ს-დან 7 ს-მდე“ და ალექსეევის აღმართს სირბილით აუყვავა.

„თავისუფალი ცნობები“!

ტურბინი შეჩერდა, ბიჭისგან გაზეთი იყიდა და გზადაგზა გაშალა: უპარტიო დემოკრატიული გაზეთი.

გამოდის ყოველდღიურად.

1918 წლის 13 დეკემბერი.

საგარეო ვაჭრობისა და, კერძოდ, გერმანიასთან ვაჭრობის საკითხები გვაიძულებს...

- მოიცა, სად წერია?... ხელები დამაზრა.

როგორც ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ, ოდესაში მიმდინარეობს მოლაპარაკება შავი კოლონიური ჯარების ორი დივიზიის გადმოსხმის თაობაზე. კონსულ ენოს შეუძლებლად მიაჩნია, რომ პეტლიურა...

- ოჰ, ის ლაწირაკი მამაძაღლი!

გუშინ პოსტ-ვოლინსკში, ჩვენი სარდლობის შტაბში გამოქცეული პეტლიურელები მოვიდნენ და გვაცნობეს, რომ პეტლიურას ბანდები სულ უფრო და უფრო იხრწნება. სამი დღის წინ კოროსტენის რაონში ცხენოსანთა პოლკმა ცეცხლი დაუშინა სეჩელ მსროლელთა ქვეით პოლკს. პეტლიურას ბანდებში დაზავებისკენ დიდი მისწრაფება შეიმჩნევა... როგორც ჩანს, პეტლიურას ავანტიურის კრაზი ახლოვდება. იმავე

გამოქცეულმა გვაცნობა, რომ პეტლიურას წინააღმდეგ ამბოხებული პოლკოვნიკი ბოლბოტუნი გაურკვეველი მიმართულებით წავიდა თავის პოლკთან ერთად და ოთხი ქვემეხიც გაიყოლა. ბოლბოტუნი ჰეტმანის ორიენტაციისკენ იხრება.

გლებებს პეტლიურა სძულთ რეკვიზიციის გამო. მის მიერ სოფელში გამოცხადებულ მობილიზაციას არავითარი წარმატება არა აქვს. მასობრივად თავს არიდებენ მობილიზაციას და ტყეში იმალებიან.

- ვთქვათ, ეს ასეა... უჰ, როგორ ყინავს... ბოდიში.

- გეთაყვა, ზედ ნუ შემდექით! გაზეთები შინ უნდა იკითხოთ...

- ბოდიში...

ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ პეტლიურას ავანტიურა...

- უჰ, შე არამზადა! უჰ, თქვე არამზადებო...

თუ ხარ ვაჟკაცი, არ ხარ ნადირი, მოხალისედაც წახვალ ნამდვილად...

- ივან ივანოვიჩ, დღეს რაღაც ვერა ხართ გუნებაზე!

- ეჰ, ცოლმა საქმე გამიპეტლიურა. დილას აქეთ აბოლბოტუნებს...

ტურბინს ამ ხუმრობაზე სახეც კი დაემანჭა, გაზეთი ბრაზიანად დაჭმუჭნა და ტროტუარზე დააგდო. მერე გუგუნს ყური მიუგდო.

ბუ-უჰ, - მღეროდნენ ქვემეხები. უ-უჰ, - თითქოს მიწის გული გმინავდა სადღაც, ქალაქგარეთ.

- ეს რა ჯანდაბაა?

ტურბინი სწრაფად შეტრიალდა, დაჭმუჭნული გაზეთი აიღო, გაასწორა და პირველ გვერდზე ხელახლა, დაკვირვებით წაიკითხა

ირპენის რაიონში ჩვენი მზვერავების შეტაკებები პეტლიურას ბანდიტთა ცალკეულ ჯგუფებთან.

სერებრიანკას მიმართულებით სიმშვიდეა.

წითელ დუქანში ცვლილებები არ მომხდარა.

ბოიარსკის მიმართულებით ჰეტმანის სერდიუკთა პოლკმა მძლავრი შეტევით გაფანტა ათასხუთასკაციანი ბანდა. ორი კაცი ტყვედ წამოიყვანეს.

გუ... გუ... გუ... ბუჰ... ბუჰ... ბუჰ... - გუგუნებდა ზამთარმოდებული ლეგა სივრცე სადღაც სამხრეთ-დასავლეთით. ტურბინმა უცებ პირი დაალო და გაფითრდა. გაზეთი ჯიბეში უნებურად ჩაიტენა. ბულვარიდან ვლადიმირის ქუჩაზე ხალხის შავი ნაკადი მოედინებოდა. პირდაპირ ქვაფენილზე უამრავი შავპალტოიანი კაცი მოდიოდა... ტროტუარზე აქა-იქ ქალებიც მოჩანდნენ. სახელმწიფო ვარტის რაზმელი მხედარი წინამძღოლივით მოემართებოდა. ზორბა ცხენი ყურებს აქნევდა, თვალებს აცეცებდა, გვერდულად მოაბიჯებდა. მხედარს სიფათზე დაბნეულობა ეტყობოდა, ხანდახან

რალაცას წამოიყვრებდა, წესრიგის დასაცავად მათრახს იქნევდა, მაგრამ მის ყვირილს ყურს არავინ უგდებდა. მომავალი ხალხის წინა რიგებში აქა-იქ მღვდლების ოქრომკერდით ნაქარგი შესამოსელი და გრძელი წვერი მოჩანდა. აფრიალდა დროშა. ყოველი მხრიდან ბიჭები გამორბოდნენ.

- „ამბები“! - შეჰყვირა გაზეთის გამყიდველმა და ხალხისკენ გაეშურა.

თეთრი ჩაჩებით თავშებურული მზარეული ბიჭები რესტორან „მეტროპოლის“ ჯურღმულიდან ამოცვივდნენ. ბრბო თოვლზე ისე გაიდღაბნა, როგორც მელანი ქალაღდზე.

ხალხის თავზე გრძელი, ყვითელი ყუთები ირხეოდა. როცა პირველი ყუთი მოახლოვდა, ტურბინმა ფერდზე თვალი მოჰკრა ნახშირით ოკრობოკრო მინაწერს: „პრაპორშჩიკი იურცევიჩი“.

მეორე ყუთზე: „პრაპორშჩიკი ივანოვი“.

მესამეზე: „პრაპორშჩიკი ორლოვი“.

უცებ ხალხში კივილი გაისმა. ჭადარა ქალს ქუდი კეფაზე დაუვარდა, წაბორძიკდა, ქალაღდში შეხვეული რალაცები მიწაზე დაუცვივდა, ტროტუარიდან გაექანა და ხალხში შეიჭრა: - რა ამბავია ჩემს თავს? ვანია?! - აკივლდა იგი. ვიღაც გაფითრდა, განზე გავარდა. ვიღაც ქალი აწივლდა, მას მეორეც აჰყვა.

- უფალო იესო ქრისტე! - აბუტბუტდნენ ტურბინის უკან, ვიღაც ზურგში აწვებოდა და კისერში ასუნთქავდა.

- ღმერთო ჩემო... ქვეყნის აღსასრული დადგა... ხალხს როგორ ჟლეტენ?... რა ამბავია...

- ნეტავი თვალეზი დამევესებოდეს და ეს არ მეხილა!

- რა? რა? რა? რა მოხდა? ვის მარხავენ?

- ვანია! - ისმოდა კივილის ხმა.

- პოპელიუხაში დახოცილ ოფიცრებს, - სწრაფად ალაქლაქდა ვიღაცა. სულის მოსათქმელად ვეღარ იცლიდა, ისე სურდა, ყველასთვის დაესწრო, - პოპელიუხაში ჩასული რაზმი დასაძინებლად დაწოლილა, ღამით კი გლეხებს პეტლიურელებთან ერთად ალყა შემოურტყამთ და ერთიანად ამოუჟლეტიათ, ერთიანად... თვალეზი დაუთხრიათ, მხრებზე სამხრეები ამოუკვეთავთ, საშინლად დაუსახიჩრებიათ.

- რას ამბობთ? ოჰ, ოჰ, ოჰ...

„პრაპორშჩიკი კოროვინი“, -

„პრაპორშჩიკი გერდტი“, -

მიცურავდა ყვითელი კუბოები.

- რას მოვესწარით... ხედავთ...

- ძმათა სისხლისღვრაა.

- მაშ რა არის?..

- ამბობენ, სძინებიათო...

- ახია მაგათზე... - წაიფშუტუნა ვიღაცამ ავი ხმით ხალხში, ტურბინის ზურგს უკან. ტურბინს თვალებზე სიმწვანე გადაეკრა, სახეები და ქუდები ერთ წამში შეათვალიერა, მერე ხელი ორ კისერს შუა გაყო და იმ ხმის პატრონს შავი პალტოს სახელოზე თითები ჭანგებივით ჩასჭიდა. ის შემოტრიალდა და შიშის ზარი დაეცა.

- რა თქვით? - სისინით ჰკითხა ტურბინმა და უმაღლ მოლბა.

- რას ბრძანებთ, ბატონო ოფიცერო, - უპასუხა შიშით აკანკალებულმა კაცმა, - მე არაფერი მითქვამს. ხმაც არ ამომიღია. რას ამბობთ? - იგი კანკალებდა.

იხვისებურ ცხვირს მიწისფერი დაედო და ტურბინი მიხვდა, რომ შეცდა, ის არ დაუჭერია, ვინც უნდა დაეჭირა. იხვისებურ-კრავისებური ცხვირის ქვემოდან უსაზღვროდ კეთილგანწყობილი დრუნჩი წამოშვერილიყო. მას არაფრის თქმა არ შეეძლო, მრგვალი თვალები შიშისგან გადმოკარკლოდა.

ტურბინმა სახელოს ხელი უშვა და გაშმაგებულმა იწყო თვალების ცეცება. ირგვლივ მოზღვავებულ ქუდებს, კისრებსა და საყელოებს ათვალიერებდა. მარცხენა ხელი მზად იყო, ვინმეს წასწვდომოდა, მარჯვენა კი ჯიბეში ბრაუნინგის ტარს ჩასჭიდებოდა. წინ მღვდლების მჭმუნვარე გალობა მიცურავდა, გვერდით თავსაფრიანი დედაკაცი ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდა. არა, აქ ვერავის სწვდებოდა, ამ ხმის პატრონი სადღაც გაქრა, თითქოს მიწამ პირი უყო. გაცურდა უკანასკნელი კუბო.

პრაპორშჩიკი მორსკოი“, -

გაიქროლა რომელიღაც მარხილმა.

- „ცნობები“! - უცებ ტურბინის ყურთან აწივლდა ხრინწიანი ხმა. ტურბინმა ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, თავი ველარ შეიკავა და ბიჭს ცხვირ-პირში მიაჭმუჭნა, თან კბილების კრაჭუნით დააყოლა: - აი შენი ცნობები. აი შენა! აი შენი ცნობები, შე არამზადავ!

ამით ჯავრიც იყარა და სიშმაგემაც გაუარა. ბიჭს გაზეთები ხელიდან გაუცვივდა, ფეხი აუსხლტა და ნამქერში ჩაჯდა. სახე უმაღლ დაემანჭა ნამალადევი ტირილისაგან, ხოლო თვალები ნამალადევი კი არა, უსაზღვრო სიძულვილით აევსო.

- მე რა... მე რა... რატო... რატო? - ადუდლუნდა იგი, უკვე აღრიალებას აპირებდა, ხელებს თოვლში აფათურებდა. ვიღაცა გაოცებით მიაშტერდა ტურბინს, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ გაუბედა. ტურბინს ამ სულელური, უაზრო საქციელისა შერცხვა, თავი მხრებში ჩარგო, სწრაფად შეტრიალდა, ჩაუარა გაზის ფარანს, მუზეუმის ვეებერთელა მრგვალი შენობის თეთრ კედელს, აჩიჩქნილ ორმოებს, თოვლით წაფერფლილ აგურებს და ალექსანდრეს გიმნაზიის ბაღის ნაცნობ, უზარმაზარ მოედანზე სირბილით გავიდა.

- „ცნობები“! „ყოველდღიური დემოკრატიული გაზეთი“! - მოისმა ქუჩიდან.

*

მოედანს გარს ერტყა ტურბინის მშობლიური გიმნაზიის ასოთხმოცფანჯრიანი, ოთხსართულიანი უზარმაზარი შენობა. აქ გაატარა ტურბინმა რვა წელი. რვა წლის განმავლობაში გაზაფხულობით შესვენებაზე, ამ მოედანზე დარბოდა, ხოლო ზამთრობით, როცა მოედანზე მთელი ზამთრის სასწავლო წლის მანძილზე მედიდურად იდო ცივი თოვლი, ამ მოედანს ჩამტვერილი, ჩახუთული კლასის ფანჯრიდან გასცქეროდა. აგურის პალატები რვა წლის განმავლობაში ზრდიდა და წრთვნიდა ტურბინსა და მის უმცროს მეგობრებს - კარჩხანასა და მიშლავესკის.

ზუსტად რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ტურბინმა გიმნაზიის ბაღი უკანასკნელად ნახა. გული რატომღაც შიშით შეეკუმშა. უცებ მოეჩვენა, რომ ცაზე შავი ღრუბელი წამოიგრაგნა. გრიგალი მოვარდა და მთელი ცხოვრება წაღეკა, როგორც საშინელი ტალღა ნავმისადგომს წაღეკავს ხოლმე. ო, მოწაფეობის რვა წელი! რამდენი უაზრო მწუხარება და სასოწარკვეთილება განაცდევინა ბიჭის სულს ამ რვა წელმა, მაგრამ რამდენი იყო სიხარულიც. ნაცრისფერი დღე, ნაცრისფერი დღე, ნაცრისფერი დღე უტ კონსეკუტივუმ, გაიუს იულიუს კეისარი, ერთიანი კოსმოგრაფიაში და ასტრონომიის სამუდამო სიძულვილი ამ ერთიანის შემდეგ, სამაგიეროდ - გაზაფხული, გაზაფხული და მოგუგუნე დარბაზები, ბულვარებში მწვანეწინსაფრიანი გიმნაზიელი გოგოები, წაბლები და მაისი... და თავისთავად წინ, ვით მუდმივი შუქურა - უნივერსიტეტი, ესე იგი თავისუფალი ცხოვრება. იცით კი, რა არის უნივერსიტეტი? ჩამავალი მზის ცქერა დნეპრზე, თავისუფლება, ფული, ძალა, სახელი.

და, აი, ყოველივე ეს უკან დარჩა. მუდამ ამოუცნობი მზერა მასწავლებლებისა, შემზარავი აუზები, საიდანაც წყალი სულ გადის, მაგრამ არა და არ იცვლება ტვინის ჭყლეტა იმაზე თუ ლენსკი რით განსხვავდება ონეგინისაგან: რა მახინჯია სოკრატე, როდის დაარსდა იეზუიტთა ორდენი, როდის ილაშქრა პომპეუსმა, როდის ილაშქრეს კიდევ სხვებმა, ილაშქრეს და ლაშქრობდნენ ორი ათასი წლის მანძილზე...

ამას გარდა, გიმნაზიაში გატარებული რვა წლის შემდეგ, ყოველგვარი აუზების გარეშე, ანატომიური თეატრის გვამები, თეთრი პალატები, შემინული საოპერაციოების მდუმარება, მერე კი სამი წელი უნაგირზე ყანყალი, სხვათა ჭრილობები, დამცირება და ტანჯვა, - ო, წყეულო ომის აუზო..... და აი, აქვე დაბრუნდა, ამ მოედანზე, ამავე ბაღში. მოედანზე საკმაოდ ჯანმორყეული და ნერვებმომლილი გარბოდა, ბრაუნინგის ტარს ჯიბეში ხელს უჭერდა. ეშმაკმა უწყის, სად და რატომ გარბოდა. შესაძლოა, მომავალი ცხოვრების დასაცავად, იმ მომავალი ცხოვრებისა, რისთვისაც თავი გააწამებინა აუზებსა და წყეულ მგზავრებს, რომელთაგან ერთი „ა“ სადგურიდან გადიოდა, მეორე კი მის შესახვედრად „ბ“ სადგურიდან მოემართებოდა.

შავ ფანჯრებს სრული და უჟმური სიმშვიდე დაუფლებოდა. ერთი შეხედვითვე აშკარა იყო, რომ ეს მკვდარი სიმშვიდე გახლდათ. უცნაურია, ქალაქის ცენტრში, ამ რღვევა-ნგრევასა, ალიაქოთსა და ორომტრიალში უსიცოცხლოდ რომ იდგა ეს ოთხიარუსიანი მკვდარი ხომალდი, რომელსაც ოდესღაც ღია ზღვაში ათი ათასობით არსება გადაჰყავდა; ეტყობოდა, რომ მას ახლა აღარავინ იცავდა. არც რაიმე ხმა, არც მოძრაობა არ იმჩნეოდა არც ფანჯრებში და არც ნიკოლოზისდროინდელი ყვითელი საღებავით დაფარულ კედლებთან. სპეტაკი თოვლი ხელუხლებლად იდო სახურავებზე, ქუდებივით ჩამოფხატოდა წაბლის ხეებს, თანაბრად ეფინა მოედანს,

მხოლოდ რამდენიმე ბილიკი სერავდა თოვლს და ნაკვალევზე ეტყობოდა, რომ ახლახან გაეტკეპნათ.

რაც მთავარია: არათუ არავინ იცოდა, არც არავის აინტერესებდა, სად გაქრა ყოველივე, ვინ სწავლობდა ახლა ამ ხომალდში? თუ არ სწავლობდა, რატომ არ სწავლობდა? რა იქნენ დარაჯები? საზარელი, ბლაგვდრუნჩა მორტირები რატომ გაჯგიმულიყვნენ წაბლების ხეივანში, მესერთან, რომელიც შიდა ბაღის მიჯნაზე გადიოდა შიდა სადარბაზო შესასვლელთან? გიმნაზიაში ცეიხჰაუზს რა უნდოდა? ვისია? ვინ? რატომ?

ეს არავინ იცოდა, ისევე, როგორც არავინ იცოდა, რა იქნა მადამ ანჟუ, ანდა მაღაზიაში მუყაოს ცარიელი ყუთების გვერდით ხელყუმბარები რატომ ელაგა...

*

- გააგორე-ეთ! - გაისმა შეძახილი. მორტირები შეირხნენ და გაცოცხლდნენ. ორასიოდე კაცი უზარმაზარ ნაჭედ ბორბლებთან ტრიალებდა: გარბი-გამორბოდა, ხან ჩაცუცქდებოდნენ და ხან წამოხტებოდნენ. ბუნდად გაკრთებოდა ყვითელი ჯუბაჩები, რუხი მაზარები და ფაფახები, მხედრული - ხაკისფერი, ხოლო ლურჯი - სტუდენტური ქუდეები.

როცა ტურბინმა უზარმაზარი მოედანი გადასერა, ოთხი მორტირი ერთ რიგზე ჩამწკრივდა და მისკენ ხახა შემოაბრუნა. მორტირებთან სახელდახელო მეცადინეობა დასრულდა და ახალწვეულთა დივიზიონის ჭრელი მწყობრი ორ მწკრივად მოეწყო.

- ბატონო კა-პი-ტა-ნო, - წამოიძახა მიშლაევსკიმ, - ოცეული მზადაა.

სტუდინსკი მწკრივების წინ გამოვიდა, ნაბიჯით უკან დაიხია და შესძახა: - მარცხენა მხარით წინ, ნაბიჯით იარ!

მწყობრი შეირხა და ფეხშეუწყობლად, თოვლის ხრამუნითა და ტკეპნით დაიძრა.

ტურბინის თვალწინ ბევრმა ნაცნობმა, ტიპურმა სტუდენტურმა სახემ გაიელვა. მესამე ოცეულს წინ კარჩხანა მიუძლოდა. ტურბინი ოცეულს თოვლის ხრამუნით აედევნა, თუმცა ჯერ არ იცოდა, სად და რისთვის მიდიოდა.

კარჩხანა მწყობრიდან გამოსხლტა, შეწუხებული იერით ოცეულს ახლა ზურგუკულმა გაუძღვა და თან ითვლიდა: - მარცხენა. მარცხენა. ერთი. ერთი.

მწყობრი გველივით შეცურდა გიმნაზიის სარდაფის შესასვლელის შავ ხახაში, რომელიც რიგს რიგზე ყლაპავდა.

გიმნაზიის შიგნით ყოველივე კიდევ უფრო უსიცოცხლო და პირქუში იყო, ვიდრე გარეთ. მხედრულმა ნაბიჯებმა მიტოვებული შენობის გაქვავებული სიჩუმე და ბინდბუნდი ხელახლა გამოაღვიძა. თაღებქვეშ ისეთი ხმები გაისმა, თითქოს დემონებმა გაიღვიძესო. მძიმე ნაბიჯებს შარიშური და წრიპინი აჰყვა - დამფრთხალი ვირთხები ბნელი კუნჭულებისკენ გარბოდნენ. მწყობრმა სარდაფის უსასრულო, ჩაშავებული, აგურის ფილებით მოკირწყლული დერეფნები გაიარა და უზარმაზარ დარბაზში შევიდა, სადაც მკვდარი აბლაბუდით გაბლანდული გისოსებიანი ფანჯრების ვიწრო ჭრილებიდან შუქი ძუნწად იპარებოდა.

სიჩუმე ჩაქუჩების ჯოჯოხეთურმა ბრაგუნმა დაამსხვრია. ვაზნებით სავსე ფიცრის ყუთებს რკინის სალტეებს აგლეჯდნენ და სახურავებს ხდიდნენ. იღებდნენ გრძელ-გრძელ ლენტებს და ტორტივით მრგვალ დისკოებს ლუისის ტყვიამფრქვევებისათვის. გამოაგორეს შავი და ნაცრისფერი ტყვიამფრქვევები, გაავებულ კოლოებს რომ ჰგავდნენ. აჩხაკუნდა ქანჩები, მარწუხები ლურსმნებს გლეჯდა. კუთხეში ხერხი რაღაცას სტვენით ჭრიდა. იუნკრებმა ამოალაგეს დიდი ხნის ხელმიუკარები, გათოშილ-გაფშეკილი ფაფახების დასტები, ნაკეცებზე გაშემებული მაზარები, გახევებული ქამრები, ჩანთები და მაუდისბუდიანი მათარები.

- ცო-ო-ცხლად, - გაისმა სტუძინსკის ხმა.

ექვსი ოფიცერი, გაცრეცილი, ოქროსფერი სამხრეები რომ ეკეთათ, ისე დატრიალდა, წყალზე კატიათათა რომ დატრიალდება ხოლმე, მიშლავესკი გამოჯანსაღებული ტენორით რაღაცას გაიმახობდა.

- ბატონო ექიმო! - სიბნელიდან დაიყვირა სტუძინსკიმ, - გეთაყვა ფერშლების რაზმი ჩაიბარეთ და ინსტრუმენტები მიეცით.

ტურბინთან უმაღვე გაჩნდა ორი სტუდენტი. ერთ მათგანს, ტანდაბალსა და ადეღვებულს, სტუდენტური მაზარის სახელოზე წითელი ჯვარი ეკერა, მეორეს, რუხმაზარიანს, ფაფახი თვალეზე ეფარებოდა, ამიტომ მალიმალ თითებით ისწორებდა.

- იქ წამლების ყუთებია, - უთხრა მათ ტურბინმა, - ამოიღე მხარზე გადასაკიდი ჩანთები, მე კი ექიმის ჩანთა მომიტანეთ. ყოველ არტილერისტს ორ-ორი ინდივიდუალური პაკეტი ჩამოურიგეთ და ახლავე აუხსენით, როგორ გახსნან, როცა დასჭირდებათ.

მოფუსფუსე რუხი საკრებულოს ზემოთ მიშლავესკის თავი ამოიზიდა. იგი ყუთზე შედგა, შაშხანა მოიმარჯვა, საკეტი გააჩხაკუნა, მჭიდვ ტკაცანით ჩადო, მერე ფანჯარას დაუმიზნა. უმიზნებდა და აჩხაკუნებდა. აჩხაკუნებდა და უმიზნებდა. იუნკრებს თავზე ჰილზები აცვიოდათ. ამის შემდეგ სარდაფში ისეთი ჩხაკუნი ატყდა, როგორც ფაბრიკაში. იუნკრები შაშხანებს ჩხაკაჩხუკით ტენიდნენ.

- ვინც არ იცის, იფრთხილოს, იუნკრებ-ბო, - მღეროდა მიშლავესკი, - სტუდენტებს აუხსენით.

ყველამ თავზემოდან ჩამოიცივა ჩანთაჩამოკიდებული ქამრები და მათარები.

მოხდა სასწაული. სხვადასხვა ჯგუფის ხალხი ერთგვაროვან ფენად იქცა, რომლის ზემოთ არეულ-დარეული ხიშტები აჯაგრულიყო.

- ბატონ ოფიცრებს ვთხოვ, ჩემთან მოვიდნენ, - საიდანღაც დაიმახა სტუძინსკიმ.

დერეფნის სიბნელეში დეზების საამური წკარუნი გაისმა და სტუძინსკიმ ხმადაბლა თქვა; - აბა, რას იტყვით?

დეზებმა გაიწკარუნა, მიშლავესკიმ თითის წვერები ქუდის არშიასთან დაუდევრად და მარჯვედ მიიტანა, შტაბს-კაპიტანს მიუახლოვდა და უთხრა: - ჩემს ოცეულში თხუთმეტ კაცს შაშხანაზე წარმოდგენაც არა აქვს. საქმე გაჭირდება.

სტუმინსკიმ შთაგონებით აიხედა სადღაც ზემოთ, სარკმლისაკენ, საიდანაც მორცხვად იჭრებოდა უკანასკნელი მორუხო სუსტი შუქი და თქვა: - განწყობილება?

ისევ მიშლაევსკიმ წამოიწყო; - ჰმ... ჰმ...კუბოებმა საქმე წაახდინა. სტუდენტები შეცბუნდნენ. იმათზე ცუდად იმოქმედა, გისოსიდან დაინახეს.

სტუმინსკიმ შავი გამჭრიახი თვალები მიაპყრო.

- შეეცადეთ განწყობილება გამოუკეთოთ.

ოფიცრები დეზების წკარუნით გაიფანტნენ.

- იუნკერო პავლოვსკი! - დაიგრგვინა ცეიხჰაუსში მიშლაევსკიმ, როგორც რადამესმა „აიდაში“.

- პავლოვსკი... კი!.. კი!.. კი!! - გაისმა პასუხად ცეიხჰაუსის ქვის თაღთა ექო და იუნკრების ხმათა გუგუნი.

- ვარ!

- ალექსეის სასწავლებლიდან ხარ?

- გახლავართ, ბატონო პორუჩიკო.

- აბა, ერთი სიმღერა ჭექე, ისე რომ პეტლიურას სული გასძვრეს, იმისი დედის სულიც...

ქვის თაღებქვეშ მაღალი წკრიალა ხმა დაირხა: არტილერისტად დავიბადე...

ტენორები საიდანღაც, ხიშტთა ტევრიდან აჰყვნენ: ფინდიხის სეტყვაში მონათლული.

სუდენტთა მთელი კრებული უმაღ შეირხა, ჰანგი ერთი ყურმოკვრით აიტაცეს და უცებ ბანების სტიქიურმა ქორალმა მთელი ცეიხჰაუსი ააგუგუნა. ექო ქვემეხთა ზათქივით ჭექდა: ბრი-გა-დის ოჯახში გავიზარდე

ცეცხლის ხავერდით მო-კაზ-მუ-უ-უ-ლი.

ბრი-გა-ა-ა-დის...

ზრიალმა შეძრა ყურები, ვაზნის ყუთები, ჩაჟამებული მინები. ფანჯრის დაფერდებულ რაფებზე ოდესღაც შეწყობილი და მივიწყებული მტვრიანი ჭიქები ერთმანეთს ეხებოდა და წკარუნი გაჰქონდა...

სტუმინსკიმ მაზარების, ხიშტებისა და ტყვიამფრქვევების ტევრიდან ორი ვარდისფერი პრაპორშჩიკი გამოიყვანა და სწრაფი ჩურჩულით უბრძანა: - ვესტიბულისკენ გასწიეთ... მარმაში ჩამოგლიჯეთ... ცოცხლად...

პრაპორშჩიკები უმაღ გაცვივდნენ: მოდიან, მოიმღერიან

გვარდიელი იუნკრები...

გუგუნებენ საყვირები, თეფშები და დაფდაფები!!

გიმნაზიის ცარიელი ქვის ყუთი ახლა მარშის ხმაზე გუგუნებდა და გრიალებდა. დაფეთებული ვირთხები ღრმა სოროებში მიყუჟულიყვნენ.

- ერთი... ერთი!.. - კვეთდა ამ გუგუნს კარჩხანას გამკვივანი ხმა.

- მხიარულად!.. - ჩაწმენდილი ხმით ყვიროდა მიშლაევსკი. - ალექსეელებო, ვისა მარხავთ?

დერეფანში გაწელებილი რუხი მუხლუხი კი არა, იუნკრებს თვალებს აყოლებენ

მზარეული გოგოები, მსახურები, გადიები, თერძები და მრეცხავები!

წვეტიანი ხიშტებით აჯაგრული მწკრივი მიექანებოდა. ფეხთა ქვეშ იატაკი იზნიქებოდა. მუხლუხმა უსასრულო დერეფანი გაიარა, მეორე სართულზე ავიდა და მინის გუმბათიდან ჩამომავალი შუქით გაბრწყინებულ, უზარმაზარ ვესტიბიულში ჯიქურ შეიჭრა. შეიჭრა და წინა რიგები ლამის გადაირივნენ.

არტილერიისტებს შემოეგება ვენზელებიანი სამეფო ასალით მორთულ, ყალყზე შემდგარ წმინდა სისხლის ბედაურზე ამხედრებული, ღიმილით სახეგაბრწყინებული, სხივმფინარე ალექსანდრე. შემელოტებულ თავზე ფარფლებჩატეხილი, თეთრი ჯილით დამშვენებული სამკუთხა ქუდი ეხურა, იუნკრებს მზაკვრული მომხიბვლელობით აღსავსე ღიმილს ღიმილზე უგზავნიდა, მახვილს იქნევდა და მისი წვერით ბოროდინოს პოლკებისკენ უთითებდა. ორსაჟენიან ტილოზე ბოროდინოს ველი ჭურვებიდან ავარდნილი კვამლის ბოლქვებით იმოსებოდა და შორეთს ხიშტთა შავი ღრუბელი ფარავდა.

...ხომ იყო მაშინ

ბრძოლა ფიცხელი?!

- რომლის სადარი... - რეკდა პავლოვსკი.

რომლის სადარი არ იპოვება!! -

გუგუნებდნენ ბანები.

და ბოროდინოს დღე საკვირველი

მთელ რუსეთს მარად ემახსოვრება!!

თვალისმომჭრელი ალექსანდრე ცისკენ მიილტვოდა, ჩამოგლეჯილი მარმაში კი, რომელიც მთელ წელიწადს ფარავდა, მისი ცხენის ფეხებთან ტალღასავით გართხმულიყო.

- კურთხეული იმპერატორი ალექსანდრე არ გინახავთ თუ რა არის? გამართულად, გამართულად! ერთი, ერთი, მარცხენა, მარცხენა! - ყვიროდა მიშლაევსკი და მუხლუხი კიბეზე ალექსანდრესეულ ქვეითთა მძიმე ნაბიჯით ადიოდა. დივიზიონმა ნაპოლეონის მძლეველს მარცხენა მხრიდან ჩაუარა და უშველებელ სააქტო დარბაზში შევიდა, რომელსაც ფანჯრების ორი რიგი გასდევდა. იუნკრებმა სიმღერა შეწყვიტეს და ხიშტების რხევით მჭიდრო მწკრივებად დადგნენ. დარბაზს უფერული, ბუნდოვანი შუქი ეფინა და იაქათალებზე სულმიხდილ, მკრთალ ლაქებად მოჩანდა

უკანასკნელ მეფეთა უზარმაზარი, თავით ბოლომდე ფარდაჩამოფარებული სურათები.

სტუმინსკიმ უკან დაიხია და მაჯის საათს დახედა. ამ დროს იუნკერმა შემოირბინა და რაღაც ჩასჩურჩულა.

- დივიზიონის მეთაური, - გაიგონეს ახლოს მდგომებმა.

სტუმინსკიმ ოფიცრებს ხელი აუქნია. მათ მწკრივებს შორის ჩაირბინეს და რიგი რიგს გაუსწორეს. სტუმინსკი დერეფანში გავიდა მეთაურის შესახვედრად.

პოლკოვნიკი მალიშევი კიბეზე დეზების წკარუნით ამოდიოდა, შეტრიალდებოდა, ალექსანდრეს ცერად გახედავდა და კვლავ დარბაზის შესასვლელისკენ გასწევდა. ალუბლისფერფუნჯიანი, მოღუნული კავკასიური ხმალი მარცხენა თეძოზე ეხებოდა. თავზე გრძელბუსუსებიანი შავი ხავერდის ქუდი ეხურა, უკან ღრმად ჩაჭრილი გრძელი მაზარა ეცვა, სახეზე შეშფოთება ეხატებოდა. სტუმინსკი პოლკოვნიკთან სწრაფად მივიდა, შეჩერდა და მხედრულად მიესალმა.

მალიშევა ჰკითხა: - ჩააცვით?

- დიახ. ყველა ბრძანება შესრულებულია.

- განწყობილება როგორია?

- იბრძობენ. მაგრამ ძალზე გამოუცდელნი არიან, ას ოც იუნკერზე ოთხმოცი სტუდენტია; ხელში შაშხანის დაჭერაც არ იციან.

მალიშევის სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. დადუმდა.

- ბედი, რომ კარგი ოფიცრები გამოგვადგა, - განაგრძობდა სტუმინსკი, - განსაკუთრებით ეს ახალი, მიშლაევსკი. როგორმე ყველაფერს მოვაგვარებთ.

- ასე. ახლა მისმინეთ: მას შემდეგ, როცა დივიზიონს დავათვალიერებ, აქ დატოვებთ მხოლოდ ოფიცრებს და სამოც იუნკერს, ყველაზე საუკეთესოებსა და გამოცდილებს. იუნკრებს ქვემეხების, ცეიხჰაუზისა და შენობის მცველებად დააყენებთ. დანარჩენებს შინ გაუშვებთ და უბრძანებთ, რომ დილას უკანვე დაბრუნდნენ. დილის შვიდ საათზე მთელი დივიზიონი თავმოყრილი უნდა იყოს.

სტუმინსკის უსაზღვრო გაოცება დაეუფლა, ბატონ პოლკოვნიკს თვალები მოურიდებლად შეაჭყიტა და პირი დაადო.

- ბატონო პოლკოვნიკო... - სტუმინსკი აღელვებისაგან ყველა მახვილს ბოლოსწინა მარცვალზე სვამდა; - ნება მომეცით, მოგახსენოთ, ეს შეუძლებელია. თუ გვინდა, დივიზიონის ბრძოლისუნარიანობა რამდენადმე შევინარჩუნოთ, ამისთვის ერთადერთი საშუალება ის გახლავთ, ამაღამ აქ დავტოვოთ.

ბატონმა პოლკოვნიკმა მაშინვე, თანაც ძალზე სწრაფად, ახალი თვისება გამოავლინა. თურმე გაბრაზება დიდებულად სცოდნოდა. კისერი და ლოყები წამოუჭარხლდა, თვალები აენტო.

- კაპიტანო, წამოიწყო მან არასასიამოვნო ხმით, - ვუბრძანებ უწყისში ხელფასი გამოგიწერონ არა როგორც უფროს ოფიცერს, არამედ როგორც ლექტორს, დივიზიონის მეთაურებს ლექციებს რომ უკითხავს. ეს კი სიამოვნებას არ მომანიჭებს, რადგან მეგონა, რომ თქვენი სახით გამოცდილი უფროსი ოფიცერი მეყოლებოდა და არა მოქალაქე პროფესორი. ისე, რომ იცოდეთ, მე ლექციები არ მჭირდება, გთხოვთ, რჩევას ნუღარ მომცემთ! მისმინეთ, დაიხსომეთ და როცა დაიხსომებთ, შეასრულეთ!

ისინი ერთმანეთს მიაჩერდნენ.

სტუმინსკის კისერსა და ლოყებზე ალმური აპკრა, ტუჩები აუთრთოლდა. ყელში როგორღაც ჩაიწრიპინა და წარმოთქვა: - გისმენთ, ბატონო პოლკოვნიკო.

- დიახ, მისმინეთ. შინ გაუშვით. უბრძანეთ, გამოიძინონ. თანაც უიარალოდ გაუშვით. ხვალ კი შვიდ საათზე გამოცხადნენ. თანაც გაუშვით პატარ-პატარა ჯგუფებად და არა მთელ ოცეულებად. სამხრეები მოახსენევენეთ, რომ თავიანთი დიდებულებით უქნარების ყურადღება არ მიიპყრონ.

სტუმინსკის თვალებზე დაეტყო, რომ პოლკოვნიკს მიუხვდა, და წყენამაც გაუარა.

- არის, ბატონო პოლკოვნიკო.

ბატონი პოლკოვნიკი უმალ სრულიად შეიცვალა.

- ალექსანდ ბრონისლავოვიჩ, დღეს ხომ არ გაგიცანით. ვიცი, რომ გამოცდილი მებრძოლი ოფიცერი ხართ. მაგრამ თქვენც ხომ მიცნობთ? მაშასადამე, ნაწყენი არ იქნებით. ახლა რა დროს განაწყენება! უსიამოვნოდ რაც გითხარით, დაივიწყეთ. თავად თქვენც ხომ...

სტუმინსკის სახე ძალზე წამოუწითლდა.

- მართალს ბრძანებთ, ბატონო პოლკოვნიკო, დამნაშავე ვარ.

- ჰოდა, ძალიან კარგი. დროს ნუ დავკარგავთ, რომ იუნკრებს ცეცხლი არ გავუნელოთ. მოკლედ, ყველაფერი ხვალისთვის გადავდოთ. ხვალ უკეთ გამოჩნდება. ყოველ შემთხვევაში, წინასწარ გეტყვით: ქვემეხებზე ხელი უნდა ჩავიქნიოთ - იცოდეთ, არც ცხენები გვეყოლება და არც ჭურვები გვექნება. მაშასადამე, ხვალ დილიდანვე, შაშხანის სროლა, სროლა და სროლა ისე უნდა იმარჯვოთ, რომ ხვალ შუადღისას დივიზიონი საპრიზო პოლკივით ისროდეს. ყველა გამოცდილ იუნკერს ხელყუმბარები დაურიგეთ. გასაგებია?

სტუმინსკის სახე მოექუშა. იგი მალიშევს დაძაბულად უსმენდა.

- ბატონო პოლკოვნიკო, ნებას მომცემთ შეგეკითხოთ?

- ვიცი, რაც უნდა მკითხოთ. შეგიძლიათ, არ შემეკითხოთ. თავად გიპასუხებთ - საქმე საძაგლადაა. უარესიც ხდება, მაგრამ იშვიათად. ახლა გასაგებია?

- გასაგებია!

- მაშასადამე, - მალიშევმა ხმა ძალზე დაიდაბლა, - გასაგებია, რომ არ მინდა, ასეთ საეჭვო ღამეს ამ ქვის ტომარაში დავრჩეთ. ვაითუ, ეს ორასი ყმაწვილი აქ დაგველუპოს, თანაც ას ოცმა სროლაც არ იცის!

სტუმინსკი დუმდა.

- ჰოდა, ასე. დანარჩენი კი ამ საღამოსთვის გადავდოთ. ყველაფერს მოვასწრებთ. წავიდეთ დივიზიონისკენ.

ისინი დარბაზში შევიდნენ.

- სმ-ე-ნა ბატონო ოფიცერებო! - შესძახა სტუმინსკიმ.

- გამარჯობათ, არტილერისტებო!

სტუმინსკიმ მალიშევის ზურგს უკან ხელი მოუსვენარი რეჟისორივით აიქნია და რუხმა, აჯაგრულმა კედელმა ისე იჭექა, ფანჯრის მინები აზრიალდა.

- ჯანმრთ-გისრ-ბატნ... პოლკოვნიკო...

მალიშევმა მწკრივებს მხიარულად გადახედა, ქუდიდან ხელი ჩამოიღო და წამოიწყო.

- დიდებულია... არტილერისტებო! ბევრ ლაილას არ მოყვები, ლაპარაკი არ შემძლია, რადგან მიტინგებზე არ გამოვდიოდი, ამიტომ მოკლედ გეტყვით. პეტლიურას დავცხებთ, იმ მამადალს, და არხეინად იყავით, გავანადგურებთ კიდევაც. თქვენ შორის არიან ვლადიმირელები, კონსტანტინელები, ალექსეელები. მათ არწივებს ჯერ სირცხვილი არ უჭამიათ. ბევრი თქვენგანი კი ამ სახელოვანი გიმნაზიის აღზრდილია. მისი ბებერი კედლები თქვენ შემოგცქერიათ. და იმედი მაქვს, რომ თქვენ გამო გაწითლება არ მოუწვეთ. სამორტირო დივიზიონის არტილერისტებო! დავიცვათ დიადი ქალაქი ბანდიტთა ალყის ჟამს. თუ ჩვენ იმ ძვირფას პრეზიდენტს ექვსდუიმიანით დავცხებთ, ცა საკუთარ ნიფხვად მოეჩვენება, იმისი დედ-მამის სულიც!!

- ჰა-ა-ა... ჰა-ა... - უპასუხა ბატონი პოლკოვნიკის გულიანი შეკურთხებით გაოგნებულმა აჯაგრულმა ტევრმა.

- აბა, თქვენ იცით, არტილერისტებო!

სტუმინსკიმ, როგორც რეჟისორმა კულისებიდან, ხელი კვლავ შემინებულმა აიქნია და ტევრმა მტვერი კვლავ ფენა-ფენა აშალა მქუხარე ექოთი გამეორებული შემახილით: - ვეც... დებ... ით!!!

*

ათი წლის შემდეგ სააქტო დარბაზში, როგორც ბოროდინოს ველზე, ათასობით შაშხანა ჯოჯგინებდა იდგა. მტვრიანი პარკეტის ველზე აჯაგრულ ხიშტთა ტევრის თავსა და ბოლოში ორი მცველი შავად აისვეტა. სადღაც შორს, ქვემოთ, აჩქარებული ფეხის ხმა გაისმოდა. ახლადმოვლენილი არტილერისტები ბრძანების მიხედვით სასწრაფოდ იშლებოდნენ. დერეფნებში ისეთი ბრაგუნ-კაკუნის ხმა იდგა, თითქოს რაღაცას ჭედავენო. გაისმოდა ოფიცერთა შემახილები - სტუმინსკი გუშაგებს თვითონ გზავნიდა. მერე დერეფანში უეცრად საყვირის ხმა გაისმა. ჟღრიალა, დიდი ხნის

ნაგუბარი ხმა მთელ გიმნაზიას მოედო, მაგრამ ამ ხმას რისხვა დაჰკარგოდა და მის ჟღერს ამკარა შემფოთება და სიყალბე ემჩნეოდა. ზემოთა დერეფანში, ვესტიბულისკენ მიმავალი ორი კიბე ჩარჩოებივით რომ შემოვლებოდა, იუნკერი იდგა და ლოყებს ბერავდა. ჩამავებულ სპილენძის საყვირზე გაცვეთილი გიორგისეული ლენტები ეკიდა. ფარგალივით ფეხებგაფარჩხული მიშლაევსკი მესაყვირეს წინ იდგა, თან ასწავლიდა და თან ავარჯიშებდა.

- ბოლომდე არ მიგაქვთ... ახლა ასე, ასე, ჩაბერეთ, ჩაბერეთ, დიდხანს გდებულა უქმად. აბა, ახლა განგაში.

„ტა-ტა-ტამ-ტა-ტამ“, - ამღერდა მესაყვირე და დამფრთხალ ვირთხებს გულს უღონებდა.

ფანჯრების ორი რიგიდან დარბაზში საღამოს ბინდი სწრაფად იჭრებოდა. ჯოჯგინებით დაფარული ველის კიდესთან მალიშევი და ტურბინი დარჩნენ. მალიშევმა ექიმს ჯერ მოღუშვით შეხედა, მაგრამ სახეზე უმალ თავაზიანი ღიმილი გამოსახა.

- აბა, ექიმო, საქმე როგორ გაქვთ? სანიტარული ნაწილი მოაწესრიგეთ?

- დიახ, ბატონო პოლკოვნიკო.

- ექიმო, თქვენ შეგიძლიათ, შინ წახვიდეთ, ფერშლებიც გაუშვათ. ასე მოიქცით: ფერშლები ხვალ დილის შვიდ საათზე მოვიდნენ, სხვებთან ერთად... თქვენ კი... (მალიშევი დაფიქრდა, თვალები მოჭყუტა.) თქვენ გთხოვთ, ხვალ აქ მოხვიდეთ დღის ორ საათზე. მანამდე თავისუფალი ხართ. (მალიშევი ისევ დაფიქრდა.) ჰო, კიდეც, აი, რა: შეგიძლიათ, სამხრეები ჯერ არ გაიკეთოთ. (მალიშევი შეიშმუშნა.) ჩვენ ხელს არ გვაძლევს, განსაკუთრებული ყურადღება რომ მივიქციოთ. ერთი სიტყვით, გთხოვთ, ხვალ ორ საათზე აქ მოხვიდეთ.

- არის, ბატონო პოლკოვნიკო.

ტურბინმა ფეხი მოინაცვლა. მალიშევმა პორტსიგარი ამოიღო და პაპიროსი შესთავაზა ტურბინმა ასანთი გაჰკრა. ორი წითელი ვარსკვლავი აკიაფდა და უმალ ამკარა შეიქნა, რომ საკმაოდ ჩაბნელებულიყო. მალიშევმა მოუსვენრად აიხედა მალლა, სადაც მკრთალად ქათქათებდა რკალულური ბურთები, და მერე დერეფანში გავიდა.

- პორუჩიკო, მიშლაევსკი, აქ მობრძანდით. აი, რა: შენობის ელექტრო განათებას მთლიანად თქვენ გაბარებთ. შეეცადეთ, უმოკლეს დროში შუქის საქმე მოაგვაროთ. გთხოვთ, ისე გაიწაფოთ, რომ შეგეძლოთ, რა წამსაც საჭირო იქნება, ყველგან არა მარტო ანთოთ, არამედ ჩააქროთ კიდეც. განათებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად თქვენ გეკისრებათ.

მიშლაევსკიმ ქუდთან ხელი მიიტანა და სწრაფად შეტრიალდა. მესაყვირემ საყვირი დააწრიპინა და დაკვრა შეწყვიტა. მიშლაევსკი დეზების წკარუნით ისე სწრაფად დაექანა სადარბაზო კიბეზე, თითქოს ციგურებით მისრიალებსო. ერთი წუთის შემდეგ სადაც ქვემოთ გაისმა მისი მუშტების ბრაგუნის და მბრძანებლური ყვირილი. პასუხად სადარბაზო შესასვლელში, სადაც ვრცელი ორფერდა ვესტიბული

გადიოდა, შუქმა იელვა და ალექსანდრეს სურათზე სუსტად აირეკლა. მალიშევმა სიამოვნებისაგან პირიც კი დაალო და ტურბინს მიუბრუნდა: - არა... ეშმაკმა დალაზხროს... ნამდვილი ოფიცერია. ნახეთ? - ქვემოთ კიბეზე ვიღაცა გამოჩნდა და საფეხურებს ნელა ამოუყვა. როცა პირველ ბაქანზე შემოუხვია, მალიშევიც და ტურბინიც მოაჯირს გადაეკიდნენ და დააცქერდნენ. ის ვიღაცა დაუძღურებულ ფეხებს გან-გან მოათრევდა, ჭადრა თავი უცახცახებდა, ვერცხლისლილებიანი და ფერადი, მწვანეკილოებიანი განიერი ქურთუკი ეცვა, აცახცახებულ ხელებში უზარმაზარი გასაღები ეჭირა. უკან მიშლაევსკი მოჰყვებოდა და დროგამოშვებით შეუყვირებდა: - ცოცხლად, ცოცხლად, ბებრუხანავ, ტილივით რას მოლოდავ?

- თქვენო... თქვენო... - ჩიფჩიფებდა და ფეხებს მოაფრატუნებდა ბერიკაცი. წყვილიდან ბაქანზე კარჩხანამ ამოყვინთა, მას მეორე, მაღალი ოფიცერი მოჰყვა, მერე ორი იუნკერი გამოჩნდა და ბოლოს წვრილდრუნჩა ტყვიამფრქვევი გამოგორდა. შეშინებული ბერიკაცი დაბარბაცებდა, მოიკაკვა, მოიკუზა და ტყვიამფრქვევის წინაშე თავი წელამდე დახარა.

- თქვენო მაღალკეთილშობილებავ, - ბუტბუტებდა იგი.

ზემოთ ბერიკაცმა სიბნელეში აკანკალებული ხელების ფათურით გაალო კედელზე მიმაგრებული მოგრძო ყუთი. შიგნით თეთრი ლაქა გამოჩნდა. ბერიკაცმა ხელი სადღაც შეყო, რაღაც გააჩხაკუნა და ვესტიბიულის ზემოთა ბაქანი, სააქტო დარბაზის შესასვლელი და დერეფანი უმაღლესად გაჩირაღდნდა.

წყვილიანი მოიბლუნმა და დერეფნის ბოლოსკენ გაიძურწა. მიშლაევსკი გასაღებს მყისვე დაეუფლა, ყუთში ხელი შეჰყო და სახელურები ააჩხაკუნა. თვალისმომჭრელი, ლამის ვარდისფერი შუქი ხან ინთებოდა, ხან ქრებოდა. დარბაზში ელექტრობურთები გაანათა და ისევ ჩაქრა. დერეფნის თავსა და ბოლოში ანაზდად ორი ბურთი გაჩახჩახდა, წყვილიანი კი ყირა-ყირა გასხლტა და ერთიანად გაქრა.

- როგორაა? ჰეი? - ყვიროდა მიშლაევსკი.

- ჩაქრა, - მოისმოდა ხმები დაბლიდან, ვესტიბიულის სიღრმიდან.

- არის, ანთია! - ყვიროდნენ ქვემოდან.

მიშლაევსკიმ თამაშით გული იჯერა, დარბაზი და დერეფანი საბოლოოდ გაანათა, ალექსანდრეს ზემოთ რეფლექტორი გაჩახჩახდა, ყუთი ჩაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიღო.

- ბებრუხანავ, გასწი, დაიძინე. - თქვა მან ლმობიერად. - ყველაფერი რიგზეა.

ბერიკაცმა ჩინმილეული თვალეხი დამნაშავესავით აახამხამა: - გასაღები? გასაღები... თქვენომაღალკეთილშობილებავ... ეგ როგორ? თქვენ გექნებათ?

- გასაღები მე მექნება. დიახ.

ბერიკაცი ცოტა ხანს კიდევ იდგა და ცახცახებდა. მერე ნელა წავიდა.

- იუნკერო!

სახელდაჟდაჟა, ჩასუქებულმა იუნკერმა ყუთთან შაშხანის კონდახი დააბრაგუნა და ერთ ადგილას გაშეშდა.

- ყუთთან დაუბრკოლებლად მიგვიშვებთ დივიზიონის მეთაურს, უფროს ოფიცერს და მე. სხვას არავის. თუ საჭირო იქნება, ერთ-ერთი ჩვენგანის ბრძანებით ყუთს გატეხავთ, მაგრამ ფრთხილად, იცოდეთ, დაფა არ უნდა დააზიანოთ.

- არის, ბატონო პორუჩიკო.

მიშლაევსკი ტურბინს მიუახლოვდა და წასჩურჩულა; - მაქსიმი იყო... ნახე?

- ღმერთო ჩემო, ვნახე, ვნახე, - ჩაიჩურჩულა ტურბინმა.

დივიზიონის მეთაური სააქტო დარბაზის შესასვლელთან შეჩერდა. მისი ხმლის მოვერცხლილი ქარქაშის ჩუქურთმას სხივები დასთამაშებდა. მან მიშლაევსკი მიიხმო და უთხრა: - პორუჩიკო, კმაყოფილი ვარ, ჩვენ დივიზიონში რომ მოხვედით. ყოჩაღ!

- მოხარული ვარ, ბატონო პოლკოვნიკო.

- ახლა ამ დარბაზის გათბობაც მოაგვარეთ, რომ იუნკრები მორიგეობის შემდეგ გათბნენ ხოლმე. დანარჩენზე თავდ მე ვიზრუნებ. გაჭმევთ და ცოტაოდენ არაყსაც გიშოვით, იმდენს მაინც, შესახურებლად კმაროდეს.

მიშლაევსკიმ ბატონ პოლკოვნიკს საამოდ გაუღიმა და მრავლისმეტყველად ჩაახველა:

- ჰმ... ჰმ...

ტურბინი აღარ უსმენდა. იგი მოაჯირზე გადახრილიყო და თეთრთავა ლანდს მანამდე ჩაჰყურებდა, სანამ იგი ქვემოთ არ გაუჩინარდა. ტურბინის გულს სევდა დაეუფლა. იქვე, იმ ცივ მოაჯირთან, თვალწინ არაჩვეულებრივი სიციხადით გაუელვა წარსულის სურათმა.

...უმცროს და უფროს გიმნაზიელთა გუნდი უსაზღვრო აღტაცებით მოთოხარიკობდა სწორედ ამ დერეფანში. უფროსი ზედამხედველი, ჩაფსკვნილი მაქსიმი ორ შავტანსაცმლიან ბიჭს ფიცხლად მიათრევდა და ამ უცნაურ პროცესიას წინ მიუძღოდა.

- კარგია, კარგია, კარგია, კარგია, - ბუტბუტებდა იგი, - ბატონი მზრუნველის სასიხარულო სტუმრობის აღნიშვნაც ასე უნდა. დაე, ბატონი ინსპექტორი დატკბეს ბატონი ტურბინისა და ბატონი მიშლაევსკის ცქერით, ძალიან ისიამოვნებს. გულით გაიხარებს, თქვენ რომ შეგხედავთ!

უნდა ვიფიქროთ, რომ მაქსიმმა ბოლო სიტყვები უმწარესი დაცინვით თქვა. ბატონი ტურბინისა და ბატონი მიშლაევსკის დანახვა სიამოვნებას მხოლოდ წამხდარი გემოვნების მქონე კაცს მიანიჭებდა, თანაც მზრუნველის მობრძანების სასიხარულო წუთებში.

მაქსიმის მარცხენა ხელში მომწყვდეულ ბატონ მიშლაევსკის ზედა ტუჩი ირიბად ჰქონდა გახეთქილი, მარცხენა საყელო კი ძაფზე ეკიდა. ბატონ ტურბინს, მაქსიმი მარჯვენა ხელით რომ მოათრევდა, ქამარი არ ეკეთა, ხოლო ღილები არა მარტო

ხალათზე, არამედ შარვალზეც ასწყვეტოდა და ბატონი ტურბინის სხეული და საცვალი მნახველთა წინაშე სამარცხვინოდ გამოეჩინა.

- გაგვიშვით რა, საყვარელო მაქსიმ, გაგვიშვით რა, ძვირფასო მაქსიმ, - ემუდარებოდნენ მაქსიმს ტურბინი და მიშლავესკი, თან ხან ერთი მიაპყრობდა დასისხლიანებულ სახეს და მიმქრალ მზერას, ხან მეორე.

- ვაშა! წაათრიე ეგენი, ღირსეულო მაქს! - უკანიდან მოჰკვიჟინებდნენ აღელვებული გიმნაზიელები. - რომელ კანონში წერია, რომ მეორე კლასელები დაუსჯელად დაასახიჩრონ!

ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! მაშინ მზე ანათებდა, ხმაური და ჟრიაშილი იდგა. არც მაქსიმი იყო ასეთი, როგორც ახლათ, - მთლად გაჭაღარავებული, გასაცოდავებული და დამშეული. მაშინ მაქსიმს თმა მეწალის შავ ჯაგრისს უგავდა, მხოლოდ აქა-იქ გამორეოდა ჭაღარა, ხელების ნაცვლად რკინის წანგები ჰქონდა, გულზე კი ეტლის ბორბლის ოდენა მედალი ეკიდა... ეჰ, ბორბალი... ბორბალი..., ერთთავად სოფელ „ბ“-დან მოდიოდა, № ბრუნვას ასრულებდა, და, აი, ამ ქვის სიცარიელეში მოხვედი. ღმერთო, რა სიცივეა. ახლა უნდა დაიცვან... კი მაგრამ რა დაიცვან, სიცარიელე? ნაბიჯების გუგუნი?... იქნებ შენ, შენ უშველო, ალექსანდრე, ბოროდინოს პოლკებით უშველო დასაღუპავად განწირულ სახლს? გააცოცხლე ეგ პოლკები, ტილოდან ჩამოიყვანე! ეგენი დაამარცხებენ პეტლიურას.

ტურბინი ფეხებმა ქვემოთ თავისით წაიყვანა. „მაქსიმ!“ - უნდოდა დაეყვირა, მერე ნაბიჯი შეანელა და ბოლოს სულ შეჩერდა. წარმოიდგინა მაქსიმი დაბლა, სარდაფის სადგომში, სადაც დარაჯები ცხოვრობდნენ. ალბათ აკანკალებული ზის ახლა ღუმელთან, აღარაფერი აღარ ახსოვს და იქნებ ატირდეს კიდეც. ეჰ, დარდი ისედაც ყელამდეა. ჯობია, ყველაფერს მიაფურთხოს, კმარა მგრძნობიარობა. მთელი ცხოვრება მგრძნობიარედ გაატარა. კმარა, კმარა...

*

და მაინც ფერშლების გასტუმრების მერე ტურბინი ცარიელ, ჩაბნელებულ კლასში შევიდა. კედლებიდან დაფები ნახშირის ლაქებივით იცქირებოდა. მერხებიც მწკრივად იდგა. ტურბინმა თავი ველარ შეიკავა, მერხის კალთა ასწია და ჩამოჯდა. იქ ყოფნა უჭირდა, უმძიმდა, ეუხერხულებოდა. რა ახლოს იყო შავი დაფა. დიახ, ვიღაც, ვფიცავ, ნამდვილად ის კლასია, ანდა მეზობელი კლასი, რადგან ფანჯრიდან ქალაქი ისეთნაირადვე მოჩანს. აგერ უზარმაზარი, ჩაშვებული, ჩამკვდარი შენობა უნივერსიტეტისა, ბულვარის თეთრად განათებული ისარი, კოლოფებივით ჩამწკრივებული სახლები, წყვდიადში ჩაფლული ადგილები, კედლები, ზეცის თაღი...

ფანჯრებში კი ნამდვილი ოპერა „შობა ღამეა“, თოვლი და მოცახცახე, მოციმციმე შუქები... „ნეტავი ვიცოდე, სვიატომინოში რატომ ისვრიან?! უწყინრად და შორს, თითქოს ბამბაში, ისე ბუხუნებდნენ ქვემეხები: ბუ-უჰ... ბუ-უჰ...

- კამარა.

ტურბინმა მერხის კალთა ჩამოუშვა, დერეფანში გუშაგებს ჩაუარა და ვესტიბიულიდან ქუჩაში გავიდა. სადარბაზო შესასვლელში ტყვიამფრქვევი იდგა.

ქუჩაში ხალხი კანტი-კუნტად მიმოდოდა და მსხვილ-მსხვილი თოვლის ფანტელები ცვიოდა.

*

ბატონმა პოლკოვნიკმა მთელი ღამე გაწამაწიაში გაატარა. გიმნაზიასა და მადამ ანჟუს მაღაზიას შორის ორიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა, მაგრამ ეს მანძილი მრავალგზის გაიარა. შუადამისას მანქანა უკვე კარგად, მთელი სისწრაფით მუშაობდა. გიმნაზიაში ფარნების ვარვარა ბურთები ხმადაბლა ზუზუნებდა და ვარდისფერ შუქს აფრქვევდა. დარბაზში საკმაოდ დათბა, რადგან დარბაზის ჩაყოლებზე, ბიბლიოთეკის ეკვდერთა ძველებურ ღუმლებში მთელი საღამო და მერე მთელი ღამე ცეცხლი გუზგუზებდა.

იუნკრებმა მიშლაევსკის წინამძღოლობით თეთრი ღუმლები „ოტეჩესტვენნი ზაპისკისა“ და „საკითხავი ბიბლიოთეკის“ 1863 წლის გამოშვებით გააჩადეს, მერე მთელი ღამე განუწყვეტლივ ნაჯახებს აბაგუნებდნენ, ძველ მერხებს ჩებდნენ და ღუმელში უკეთებდნენ. სტუპინსკიმ და მიშლაევსკიმ ორ-ორი ჭიქა სპირტი გადახუხეს (ბატონმა პოლკოვნიკმა დაპირება შეასრულა და შესახურებლად საკმარისი სპირტი იშოვა, სწორედ ნახევარი ვედრო), შენაცვლებით მორიგეობდნენ, ორ-ორი საათი ეძინათ ღუმელთან, მაზარებზე მიყრილ იუნკრებთან ერთად, და სახეზე მეწამული შუქი და ჩრდილები დასთამაშებდათ. მერე წამოდგებოდნენ და საგუშაგოებს ჩამოუვლიდნენ. ასე დადიოდნენ მთელ ღამეს საგუშაგოდან საგუშაგომდე. კარჩხანაც მეტყვიამფრქვევე იუნკრებთან ერთად ბაღში გასასვლელთან მორიგეობდა, მსხვილდრუნჩიან მორტირებთანაც ყოველ საათში ახალი ცვლა, ტყაპუჭიანი ოთხი იუნკერი დგებოდა.

მადამ ანჟუსთან ღუმელი ჯოჯოხეთურად ვარვარებდა, საკვამლე მილებს ზრიალი გაჰქონდა... ერთი იუნკერი კართან იდგა გუშაგად და სადარბაზო შესასვლელთან მდგარ მოტოციკლეს თვალს არ აცილებდა. მაღაზიის იატაკზე დაფენილ მაზარებზე გამოტილ ხუთ იუნკერს მკვდარივით ეძინა. ღამის პირველ საათზე ბატონი პოლკოვნიკი მადამ ანჟუს მაღაზიაში საბოლოოდ დამკვიდრდა, ამთქნარებდა, მაგრამ დასაძინებლად არ წვებოდა, ვიღაცას ერთთავად ტელეფონით ელაპარაკებოდა. ღამის ორ საათზე მაღაზიასთან სტვენით მოგრიალდა მოტოციკლეტი და იქიდან რუხმაზარიანი სამხედრო კაცი გადმოვიდა.

- შემოუშვით, ჩემთანაა.

მოსულმა პოლკოვნიკს ზეწარში გახვეული და ჯვარედინადთოკგადაჭერილი მოზრდილი ფუთა მოუტანა. ბატონმა პოლკოვნიკმა ფუთა საკუთარი ხელით შეინახა მაღაზიის ეკვდერში მოთავსებულ პატარა საკანში და საკნის კარს კლიტე დაადო. რუხმაზარიანი კაცი მოტოციკლეტით უკანვე გაბრუნდა, ხოლო ბატონი პოლკოვნიკი გალერეაში გავიდა, მაზარა დაიფინა, თავქვეშ ბოხჩად შეკრული ნაკუწები ამოიღო, მორიგე იუნკერს უბრძანა, ზუსტად შვიდის ნახევარზე გამაღვიძეო, დაწვა და დაიძინა.

ამქვეყნად ყველაზე დიდებული ადგილის - ვლადიმირის გორის ტერასები შუადამის კუპრისფერ წყვდიადში ჩაინთქა. აგურით მოხრეშილი ბილიკები და ხეივნები ფეხდაუკარებელი ფაფუკი თოვლის უსასრულო საბურველს დაეფარა.

მრავალსართულიან გორაზე ქალაქიდან ზამთარში ძეხორციელი არ ადიოდა, იქაურობას ფეხს არავინ აკარებდა. ანდა გორაზე ასვლა ღამით, თანაც ასეთ ღროს ვის მოეპრიანებოდა? მართლაც და საშიშია! გულადი კაციც არ ავა. ან რისთვის უნდა ავიდეს? მხოლოდ ერთი ადგილია განათებული: შემზარავ, მძიმე კვარცხლბეკზე, უკვე ასი წელია, სამსაყენიანი ჯვრით ხელში დგას თუჯის შავი ვლადიმირი. ყოველ საღამოს, როგორც კი ნამზღვლევეებს, ფერდობებსა და ტერასებს ბინდი გადაეფარება, ჯვარი გაჩირაღდნდება და მთელ ღამეს ანთია. შორიდანვე მოჩანს, ორმოცი ვერსიდანაც კი მოჩანს, მოსკოვისკენ გადაჭიმული, ჩაშავებული სივრცეებიდან... აქ კი ერთი ბეწო ადგილს ანათებს, კვარცხლბეკის მომწვანო-მოშავო კუთხეზე ასხლეტილი მკრთალი ელექტრო შუქი ძირს ეშვება და ბნელეთიდან იტაცებს მოაჯირისა და შუა ტერასის ირგვლივ შემორტყმულ მესრის ნაწილს, მეტს არაფერს. იმას იქით კი, იქით კი!.. სრული წყვდიადია. წყვდიადში დგანან ხეები, უცნაურნი, როგორც მარმაშემოხვეული ჭაღები. თოვლის ქუდები ახურავთ. ირგვლივ კი ნამქერია. ნამქერია ყელამდე. კაცს შიშის ზარს მოჰგვრის.

რალა თქმა უნდა, იქ კაციშვილი ფეხს არ ამოადგამს. ყველაზე მამაციც კი. რაც მთავარია, არც არაფერი ესაქმება ვინმეს. სულ სხვა ამბავია ქალაქში. იქ ღამე შფოთიანია, ომიანობის ჟამის მედიდური ღამე. ფარნები მძივებივით ანთია. გერმანელებს სძინავთ, მაგრამ ძილფხიზლობენ. ყველაზე ჩაბნელებულ ჩიხში უცებ საიდანღაც გაკრთება ცისფერი კონუსი.

- Halt!

ხრამ... ხრამ... შუა ქუჩაში მილოდავენ ტამტჩამოფარებული პაიკები. შავი საყურისები უკეთიათ... ხრამ... შამხანები მხარზე კი არ ჰკიდიათ, ხელში უჭირავთ. გერმანელებთან ხუმრობა არ შეიძლება. ჯერჯერობით... რაც უნდა იყოს, გერმანელები არიან. ნეხვის ჭიებსა ჰგვანან.

- საბუთები!

- Halt!

ფარნის კონუსი. ეჭვი!

აგერ მძიმე, შავი, გალაქული მანქანა გამოჩნდა, წინ ოთხი თვალი უელავს. უბრალო მანქანა არ უნდა იყოს, რადგან გასარკულ კარეტას ნელი ჩორთით კვალდაკვალ ბადრაგი - რვა მხედარი მოჰყვება. მაგრამ გერმანელებისთვის ეს სულ ერთია. მანქანასაც დაუძახეს: - halt!

- საით? ვინ? რატომ?

- სარდალი გახლავთ, კავალერიის გენერალი ბელორუკოვი.

ეს რა თქმა უნდა სხვა ამბავია. შეუძლია, მიზრძანდეს. კარეტის მინებს იქით, სიღრმეში, ფერმკრთალი სახე და ულვაში მოჩანს. გენერლის მაზარის სამხრეები მქრქალად ელავს და გერმანული ტამტებიც ესალმებიან. თუმცა გულის სიღრმეში

მათთვის სულ ერთია, ამ უბადრუკ ქვეყანაში გინდ მთავარსარდალი ბელორუკოვი ყოფილა, გინდ პეტლიურა და გინდაც ზულუსების ბელადი. მაგრამ მაინც... სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო... მიესალმნენ გერმანული ტაშტები. საერთაშორისო ზრდილობა გახლავთ, როგორც იტყვიან.

*

ომიანობის ჟამის მედიდური ღამეა. მადამ ანჟუს ფანჯრებიდან შუქი გამოკრთის. შუქში მოჩანს ქალის ქუდეები, კორსეტები, საცვლები და სევასტოპოლური ქვემეხები. ქანქარასავით მიდი-მოდის იუნკერი, ითოშება, ხიშტით ხაზავს იმპერატორის ვენზელს. იქაც, ალექსანდრეს გიმნაზიაში, ბურთები ისეა გაჩახჩახებული, როგორც მეჯლისში. არაყით საკმაოდ შეხურებული მიშლავესკი ერთ ადგილას ვერ ისვენებს, ხან კურთხეულ ალექსანდრეს შეხედავს, ხან ამომრთველების ყუთს ათვალიერებს... გიმნაზიაში მხიარულებაა და საქმეც არ არის ურიგოდ საგუშაგოზე. ასეა თუ ისე, რვა ტყვიამფრქვევია და თანაც იუნკერები დგანან - სტუდენტები კი არ გახლავან!.. ისინი, რომ იცოდეთ, იბრძოლებენ. მიშლავესკის თვლები ბოცვერს მიუგავს - ჩასწითლებია... რამდენი ღამის უძინარია, არაყს ბევრსა სვამს და მღელვარებაც არ აკლია. თუმცა ქალაქში მღელვარებას ჯერჯერობით იოლად მოევლება. თუ მართალი კაცი ხარ, ისეირნე, როგორც მოგესურვება. თუმცა, ერთი ხუთჯერ მაინც გაგაჩერებენ, მაგრამ საბუთები თუ რიგზე გაქვს, წადი, იარე შენს გზაზე. საკვირველი კია, ღამით რომ დახეტილობ. მაგრამ წადი... იარე...

გორაზე კი ვინ აზობლდება? აბა, რა სისულელეა. თანაც იქ წვეროებზე ქარი ქრის... მინამქრულ ხეივანებში რომ დაიქროლებს, ავსულის ხმა მოგელანდება. თუ მაინც ავიდა ვინმე, მაშ სრულიად ბედკრული ყოფილა, ვინც მთელი ქვეყნიერების ყოველგვარი ხელისუფლების ხელში ადამიანთა შორის თავს ისე გრძნობს, როგორც მგელი ძაღლების ხროვაში... ყოველგნით განკიცხული, ჰიუგო რომ აღწერს ხოლმე, ისეთი. ვინც ქალაქში გამოჩენას ვერ გაბედავს და, თუ გაბედავს, მერე საკუთარ თავს დააბრალოს. თუ პატრულებს შორის გასხლტება, ღმერთმა ხელი მოუმართოს, თუ ვერ გასხლტება, ნურავის დაემდურება. ასეთი კაცი გორაზე თუნდაც იყოს, გულწრფელად უნდა შეგებრალოს, თუ ადამიანის შვილი ხარ....

იქ გასაგდებად ძაღლსაც ვერ გაიმეტებ. სუსხიანი ქარი ქრის. ხუთ წუთსაც ვერ გაუძლებ და შინ გაქცევა მოგიხდება.

- ალბათ ხუთი საათი იქნება? ეჰ... ეჰ... გავიყინებით!

რაც მთავარია, ზემო ქალაქში გასასხლტომიც არსად არის პანორამასა და წყალსაწნავ კომპლს შორის. იქ, მოგეხსენებათ, მიხეილის შესახვევებში, მონასტრის შენობაში, თავად ბელორუკოვის შტაბია. ყოველ წუთს ხან ბადრაგიანი მანქანა გამოჩნდება, ხან ტყვიამფრქვევებიანი მანქანები, ხანაც...

- ოფიცრებო, უჰ, თქვენი სულიც არ იყოს, ჭირსაც წაუღიხართ!

პატრულები, პატრულები, პატრულები.

ხოლო ტერასებიდან ქვემო ქალაქში, - პოდოლში ჩასვლაზე ფიქრიც შეუძლებელია, რადგან ალექსანდრეს ქუჩაზე, გორის ძირას რომ მიიკლაკნება, ჯერ ერთი, ფარნების მწკრივია, და მეორეც, გერმანელები არიან, ჯანდაბას იმათი თავი! პატრული

პატრულს მიჰყვება! გათენებისას თუ მოახერხებ რამეს. მაგრამ გათენებამდე ხომ გაიყინები. გამყინავი ქარია - უ-უ... - ხეივანში ჩაიქროლებს და გეჩვენება, რომ მესერთან, ნამქერში ვიღაცები ჩურჩულებენ.

- გავიყინებით, კირპატი!

- გაუმელ, ნემოლიაკა, გაუმელ. პატრულები დილამდე ივლიან და დაიძინებენ. ვზვოზზე გავსხლტებით, სიჩიხასთან გავთბებით.

მესრის გასწვრივ წყვილია და მოგეჩვენება, რომ პარაპეტს შავზე შავი ლანდი აჰკვრია, წინ გადახრილან, ქვემოთ იცქირებიან, სადაც ხელისგულივით მოჩანს ალექსანდრეს ქუჩა. დუმს ქუჩა, ცარიელია, მაგრამ უცებ ორი მოცისფრო კონუსი გაირბენს - გერმანული მანქანები ჩაიქროლებენ, ანდა ლავაშივით ბრტყელი შავი ტაშტები და მათი მოკლე, წამახვილებული ჩრდილები გამოჩნდება... და ისე ჩანს, როგორ ხელისგულზე...

გორაზე ერთი ლანდი განცალკევდება და ჩახლეჩილი, მგლისებური, მწახე ხმა გაისმის: - ეჰ...ნემოლიაკა... გავბედოთ! წავიდეთ. იქნებ გავსხლტეთ... ცუდ დღეში არიან გორაზე.

*

მაგრამ, წარმოიდგინეთ, არც სასახლეში არიან კარგ დღეში. რაღაც უცნაური, ღამისთვის შეუფერებელი უსიამო ფუსფუსია. დარბაზში, სადაც მოოქრული, უხეში და ულამაზო სკამები იდგა, პრიალა პარკეტზე თავივით გაირბინა ბაკენბარდიანმა მოხუცმა ლაქიამ. სადღაც შორს ელექტროზარის წყვეტილი ხმა გაისმა და ვიღაც დეზების წკარუნით შემოვიდა. საწოლი ოთახის მქრქალჩარჩოიან, გვირგვინებიან სარკეებში არაბუნებრივი სურათი ირეკლებოდა. ხმელ-ხმელი, შეჭადარავებული, ულვაშმეკრეჭილი, წვერგაპარსული კაცი, მელიისნაირ სახეზე პერგამენტივით ყვითელი ფერი რომ ედო და ვერცხლისმასრებიანი ძვირფასი ჩოხა ეცვა, სარკეებთან წრიალებდა. მის ირგვლივ სამი გერმანელი და ორი რუსი ოფიცერი ფუსფუსებდა. ერთ მათგანს ჩოხა ეცვა, როგორც თვით მთავარ კაცს. მეორე ფრენჩსა და რეიტუზში იყო გამოწყობილი. ჩაცმულობაზე ეტყობოდათ, კავალერგარდები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ორივეს ჰეტმანისეული სოლისებური სამხრეები ეკეთა. ისინი მელიისსახიან კაცს ტანსაცმლის გამოცვლაში ეხმარებოდნენ. გახადეს ჩოხა, ფარფარა შარვალი, გალაქული ჩექმები, გერმანელი მაიორის ფორმაში გამოაწყვეს და იგი ახლა ასობით სხვა მაიორისთანა შეიქნა, მათზე არც უკეთესი იყო და არც უარესი. მერე კარი გაიღო, მტვრიანი ფარდები გადაიწია და დარბაზში კიდევ ერთი კაცი შემოვიდა, გერმანული ჯარის სამხედრო ექიმის ფორმა რომ ეცვა. ექიმმა პაკეტების მთელი დასტა შემოიტანა, გახსნა და ახალშობილ გერმანელ მაიორს გაწაფული ხელით თავი ისე შეუბანდა, რომ მას მხოლოდ მარჯვენა, მელიისნაირი თვალი, თხელი ტუჩები და ოდნავ გაღებულ პირში მოელვარე ოქროს და პლატინის კბილები მოუჩანდა.

სასახლეში ღამისთვის შეუფერებელმა ფუსფუსმა ერთხანს კიდევ გასტანა. საწოლი ოთახიდან გამოსულმა გერმანელმა ულაზათო სკამებიან დარბაზსა და მის მეზობელ დარბაზში თავმოყრილ ვიღაც ოფიცრებს გერმანულად უამბო, მაიორი ფონ შრატი რევოლვერიდან ვაზნას იღებდა, შემთხვევით კისერში ტყვია მოიხვედრა და ახლავე სასწრაფოდ გერმანულ ჰოსპიტალში უნდა გაიგზავნოსო. სადღაც ტელეფონი რეკდა,

სადღაც ჩიტი უსტვენდა - პიუ! მერე ისრისებურ, მოჩუქურთმებულ ჭიშკარში შემოვიდა და სასახლის გვერდითა შესასვლელს მიადგა წითელჯვრიანი უხმაურო გერმანული მანქანა. მარლით თავმეხვეული, მაზარაში შეფუთული, იღუმალეებით მოცული მაიორი ფონ შრატი საკაცით გამოიყვანეს, საგანგებო მანქანის გვერდი გადახსნეს და საკაცე შიგ შედგეს. მანქანა დაიძრა და როცა ჭიშკრიდან გადიოდა, მოსახვევში ერთხელ დაიღმუვლა.

სასახლეში კი დილამდე გრძელდებოდა ფუსფუსი და ალიაქოთი, შუქი ენთო სურათებით მორთულ და მოქრულ დარბაზებშიც. ხშირ-ხშირად რეკდა ტელეფონი, ლაქიებს სახეზე თითქოს თავხედური გამომეტყველება ეხატებოდათ, ხოლო თვალებში მხიარული ნაპერწკლები უელავდათ...

სასახლის პირველ სართულზე, პატარა, ვიწრო ოთახში, ტელეფონის აპარატთან არტილერიის პოლკოვნიკის ფორმიანი კაცი მივიდა, ფრთხილად მიხურა კარი პატარა, შეთეთრებული სააპარატე ოთახისა, სასახლისას ოდნავადაც რომ არ ჰგავდა, და ყურმილს ხელი მერედა მოჰკიდა. სადგურში მყოფ უძინარ ქალიშვილს სთხოვა, 212 ნომერი მომეციო. „მერსი“, - უთხრა თავაზიანად, მერე წარბები მკაცრად და შემფოთებით შეიკრა და ყურმილში ყრუ ხმით, შინაურულად ჩასძახა: - სამორტირო დივიზიონის შტაბია?

*

ვაგლახ, ვაგლახ! პოლკოვნიკ მალიშევს შვიდის ნახევრამდე ძილი არ დასცალდა, როგორც აპირებდა. ღამის ოთხ საათზე მაღამ ანჟუს მაღაზიაში ჩიტმა მეტისმეტი დაჟინებით გააბა სტვენა და მორიგე იუნკერი იძულებული შეიქნა, ბატონი პოლკოვნიკი გაეღვიძებინა. ბატონმა პოლკოვნიკმა შესაშური სისწრაფით გაიღვიძა და გონება მყის ისე გამალებით აამუშავა, თითქოს სულაც არ სძინებიაო... თანაც არ ეტყობოდა, რომ იუნკერზე განაწყენებული ყოფილიყო, ძილი რად გამიფრთხოო. ღამის ოთხ საათზე მოტოციკლეტმა იგი სადღაც გააქანა, ხოლო ხუთი საათისთვის უკანვე, მაღამ ანჟუსთან დააბრუნა. მოქუშულსა და ჩაფიქრებულს წარბები ახლა ისე შემფოთებით და მკაცრად ჰქონდა შეკრული, როგორც იმ პოლკოვნიკს, რომელმაც სასახლის სააპარატოდან სამორტირო დივიზიონი გამოიძახა.

*

შვიდ საათზე ვარდისფერი ბურთებით განათებულ ბოროდინოს ველზე ალიონის სიცივისგან აბუზული იდგა იგივე გაწელილი მუხლუხი, გუშინ კიბეზე რომ ადიოდა ალექსანდრეს სურათთან. იუნკრებსა და სტუდენტებს ისეთი ლაპარაკი გაებათ, დარბაზში ბუბუნ-ზუზუნს გაისმოდა. შტაბს-კაპიტანი სტუძინსკი მოშორებით იდგა ოფიცერთა ჯგუფში და დუმდა. საოცარი კია და მასაც თვალებში შემფოთების ისეთივე ალმაცერი ანარეკლი უელავდა, როგორც პოლკოვნიკ მალიშევს ღამის ოთხი საათის შემდეგ. მაგრამ ყველა, ვინც კი იმ ღირსსახსოვარ ღამეს პოლკოვნიკსა და შტაბს-კაპიტანს ნახავდა, უმალ და დაბეჯითებით იტყოდა, რაშიც იყო განსხვავება: სტუძინსკის თვალებს წინათგრძნობით გამოწვეული შემფოთება ეტყობოდა, მალიშევს კი ეჭვგაუწვევლი შემფოთება, როცა ყველაფერი უკვე სრულიად აშკარა და გარკვეულია, როცა ყველაფერი საძაგლადაა. სტუძინსკის მაზარის ყოშიდან დივიზიონის არტილერისტთა გრძელი სია მოუჩანდა. მან ეს სია ახლახან ამოიკითხა

და ნახა, რომ ოცი კაცი აკლდა. ამიტომ სიას შტაბს-კაპიტნის თითთა მოუსვენარი მოძრაობის ნაკვალევი აჩნდა: ფურცელი დაჭმუჭნული გახლდათ.

გათომილ დარბაზში კვამლი მიიკლავნებოდა - ოფიცერთა ჯგუფში თამბაქოს ეწეოდნენ.

პოლკოვნიკ მალიშევს ერთი წუთიც არ დაუგვიანია, ზუსტად შვიდ საათზე მწყობრის წინ აღიმართა და, როგორც წინა დღეს, დარბაზში ახლაც მისალმების შეძახილმა იქუხა. ბატონ პოლკოვნიკს გუშინდელივით მოვერცხლილი ხმალი ჰქონდა შემორტყმული, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო ვერცხლის ჩუქურთმას სხივები აღარ დასთამაშებდა. პოლკოვნიკს მარჯვენა თეძოზე ბუდეში ჩადებული რევოლვერი ეკიდა, მაგრამ, ალბათ, გულმავიწყობის გამო, რაც პოლკოვნიკ მალიშევს არ სჩვეოდა, ბუდე გახსნილი ჰქონდა.

პოლკოვნიკი დივიზიონის წინაშე წარსდგა, მარცხენა ხელთათმანიანი ხელი ხმლის ვადას დააყრდნო, მარჯვენა, უხელთათმანო ხელი კი რევოლვერის ბუდეს ნაზად დაადო და ეს სიტყვები წარმოთქვა: - სამორტირო დივიზიონის ბატონ ოფიცრებსა და არტილერისტებს ვუბრძანებ, ყურადღებით მოისმინონ, რასაც ვეტყვი! წუხელ ჩვენი მდგომარეობა, ჯარის მდგომარეობა და, მე ვიტყვოდი, სახელმწიფო მდგომარეობა უკრაინაში უცებ მკვეთრად შეიცვალა. ამიტომ გიცხადებთ, რომ დივიზიონი დაშლილია! ყოველ თქვენგანს მოგმართავთ, ყოველგვარი წარჩინების ნიშანი მოიხსნათ, ცეიხჰაუზიდან წაიღოთ ვინც რას მოისურვებთ და რასაც შეძლებთ, შინ წახვიდეთ, იქ დაიმალოთ, თავი არ გაამჟღავნოთ და ელოდოთ, ხელახლა როდის მოგიხმობთ.

იგი გაჩერდა და ამან თითქოს უფრო მეტად წარმოაჩინა დარბაზში გამეფებული სამარისებური სიჩუმე. ფანჯრების ზუზუნიც კი მიწყდა. ოფიცერთა ჯგუფისა და ყოველი არტილერისტის მზერა მთელ დარბაზში ახლა ერთი წერტილისკენ, ბატონი პოლკოვნიკის შეკრეჭილი უღვაშისკენ იყო მიპყრობილი.

მან კვლავ წამოიწყა: - ხოლო მე დაუყოვნებლივ მოგიხმობთ, როგორც კი რაიმე ცვლილება მოხდება. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამის იმედი ნაკლებად უნდა გვექონდეს. ამჟამად თავად მეც არ ვიცი, რა ვითარება შეიქმნება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველაზე უკეთესი, რის იმედიც შეიძლება იქონიოს თქვენს შორის ყოველმა... ეე... (პოლკოვნიკმა უცებ წამოიყვირა შემდეგი სიტყვა) საუკეთესო! - ეს დონზე წასვლა იქნება. მაშ ასე: ვუბრძანებ მთელ დივიზიონს, ბატონი ოფიცრებისა და იმ იუნკრების გამოკლებით, ვინც წუხელ გუშაგად იდგა, დაუყოვნებლივ დაიშალოს და შინ წავიდეს!

- ჰა?! ა! ა-ა-ა! - გაიშრიალა მთელ მწკრივში და ხიშტები თითქოს დადაბლდა. არტილერისტებს სახეზე დაბნეულობა აღებეჭდათ, აქა-იქ მწკრივებში კი თითქოს რამდენიმე გახარებული მზერაც გამოკრთა...

ოფიცერთა ჯგუფს თვალებდაელმებული გამოეყო ძალზე გაფითრებული შტაბს-კაპიტანი სტუძინსკი, პოლკოვნიკ მიშლავესკისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მერე ოფიცრებისკენ მიიხედა. მიშლავესკის სტუძინსკისთვის არ შეუხედავს. იგი კვლავ პოლკოვნიკ მალიშევს უღვაშებს აკვირდებოდა, თანაც ისეთი გამომეტყველებით, თითქოს თავისებურ უწმაწურ შეგინებას აპირებო. კარჩხანას

დოინჯი უაზროდ შემოეყარა და თვალებს ახამხამებდა. ახლგაზრდა პრაპორშჩიკთა განცალკევებულ ჯგუფში კი უცებ ჩაშრიალდა უმართებულო, გულის გამგმირავი სიტყვა „დაპატიმრება“!..

- რაო? რაო? - სადღაც იუნკერთა მწკრივში ჩაიბუბუნა ვიღაცამ.

- დაპატიმრება!..!

- ლალატი!!

სტუპინსკიმ მოულოდნელად თავი მაღლა ასწია, გაჩირადდებულ ბურთს თვალები შთაგონებით მიაპყრო, მერე რევოლვერის ბუდეს ცერად დახედა და შესძახა: - ჰეი, პირველი ოცეული!

წინა რიგი გვერდიდან გაიპო, რუხმაზარიანები გამოცალკევდნენ და უცნაურად აწრიალდნენ.

- ბატონო პოლკოვნიკო! - მთლად ჩახრინწული ხმით წარმოთქვა სტუპინსკიმ. - თქვენ დაპატიმრებული ხართ.

დავაპატიმროთ!! - უცებ ისტერიკულად, მჭახედ შეჰკვივლა ერთმა პრაპორშჩიკმა და პოლკოვნიკისკენ დაიძრა.

- შესდექით, ბატონებო! - შესძახა კარჩხანამ. იგი მძიმედ, მაგრამ დალაგებით აზროვნებდა.

მიშლაევსკი ოფიცერთა ჯგუფიდან სხარტად გამოსხლტა, გულფიცხ პრაპორშჩიკს მაზარის სახელოზე სწვდა და უკან დაახევინა.

- გამიშვით, ბატონო პორუჩიკო! - შეჰყვირა პრაპორშჩიკმა და ტუჩები ავად დაბრიცა.

- წყნარად! - ძალზე მტკიცე ხმით შესძახა ბატონმა პოლკოვნიკმა, თუმცა ტუჩები პრაპორშჩიკზე ნაკლებად არ დაბრეცოდა და სახეც წითლად აფორეჯებოდა, მაგრამ თვალებში უფრო მეტი სიმტკიცე ეხატებოდა, ვიდრე ოფიცერთა მთელ ჯგუფს. ყველა გაჩერდა.

- წყნარად! - გაიმეორა პოლკოვნიკმა - გიბრძანებთ, თქვენს ადგილებზე დადგეთ და მისმინოთ!

სიჩუმე ჩამოვარდა, მიშლაევსკის მზერა დაეძაბა. ეტყობოდა, თავში რაღაც აზრმა უკვე გაურბინა და ბატონი პოლკოვნიკისგან ამაზე უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო ამბების გაგონებას მოელოდა, რაც მანამდე მისგან უკვე მოისმინეს.

- დიახ, დიახ, - ყბის კანკალით წამოიწყო პოლკოვნიკმა, - დიახ, დიახ... კარგი სანახავი ვიქნებოდი, საბრძოლველად ასეთი მეომრებით თუ წავიდოდი, უფალმა ღმერთმა რომ მარგუნა. ძალიან კარგი სანახავი ვიქნებოდი! მაგრამ რაც მოხალისე სტუდენტს, ყმაწვილ იუნკერს, უკიდურეს შემთხვევაში, პრაპორშჩიკს ეპატიება, თქვენ არაფრის დიდებით არ გეპატიებათ, ბატონო შტაბს-კაპიტანო!

ამ სიტყვებთან ერთად ბატონმა პოლკოვნიკმა სტუმინსკის გააღმასებული მზერა მიაპყრო. ბატონი პოლკოვნიკის თვალები აშკარა სიბრაზის ნაპერწკლებს აფრქვევდა. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

- მაშ ასე, - განაგრძო პოლკოვნიკმა, - ჩემს სიცოცხლეში მიტინგობანაში არ გავრეულვარ, მაგრამ ეტყობა, ახლა უნდა გავერიო. კარგი, დავიწყეთ მიტინგობანა! მაშ ასე, თუმცა თქვენი ცდა საკუთარი მეთაურის დაპატიმრებისა გვამცნობს, რომ კარგი მამულიშვილები ყოფილხართ, მაგრამ იგივე ცდა აშკარას ხდის, რომ ეე... - როგორ გამოვთქვა? - გამოუცდელი ოფიცრები აღმოჩნდით! მოკლედ გეტყვით: მე დრო არა მაქვს, და, გარწმუნებთ, - ავის მომასწავლებლად და მრავლისმეტყველად თქვა პოლკოვნიკმა, - არც თქვენა გაქვთ, გეკითხებით: ვინ გინდათ დაიცვათ?

სიჩუმე არავის დაურღვევია.

- ვინ გინდათ დაიცვათ-მეთქი, გეკითხებით? - მრისხანედ გაიმეორა პოლკოვნიკმა

მიშლაევსკის თვალებში ცხოველი ინტერესი გამოეხატა, ოფიცერთა ჯგუფიდან წინ წამოდგა, ქუდთან ხელი მიიტანა და წარმოთქვა: - ჩვენი ვალია, პეტმანი დავიცვათ, ბატონო პოლკოვნიკო.

- პეტმანი? - ჰკითხა პოლკოვნიკმა. - დიდებულია. დივიზიონო სმენა! - უცებ ისე დასჭექა, რომ დივიზიონი უნებლიედ შეკრთა. - მისმინეთ! პეტმანმა დღეს, დაახლოებით დილის ოთხ საათზე, ყველანი სამარცხვინოდ მიგვატოვა ბედის ანაბარას და გაიქცა! გაიქცა, როგორც უკანასკნელი გაიძვერა და ლაჩარი! დღესვე, პეტმანის გაქცევიდან ერთი საათის შემდეგ პეტმანის მსგავსად, ესე იგი გერმანული მატარებლით, გაიქცა ჩვენი ჯარის სარდალი, კავალერიის გენერალი ბელორუკოვი. არა უგვიანეს რამდენიმე საათისა ჩვენ კატასტროფის მოწმენი შევიქნებით, როცა თქვენსავით მოტყუებულ და ავანტიურაში ჩათრეულ ხალხს ძალღებვივით ამოჟლეტენ. მისმინეთ: პეტლიურას ქალაქთან ასი ათასზე მეტი მებრძოლი ჰყავს მოყვანილი და ხვალ... რას ვამბობ, ხვალ კი არა, დღეს, - პოლკოვნიკმა ხელი გაიშვირა ფანჯრისკენ, საიდანაც მოჩანდა, რომ ცას უკვე ალიონის მოლურჯო ფერი შეჰპარვოდა - შტაბელი არამზადებისა და ჩამოხრჩობის ღირსი ორი გაიძვერისაგან მიტოვებული, დაქსაქსული, დაშლილი ნაწილები ოფიცრებისა და იუნკრებისა შეეხებებიან პეტლიურას საუცხოოდ შეიარაღებულ და მათზე ოცჯერ მეტი რაოდენობის ჯარს... მისმინეთ, შვილნო ჩემნო! - უცაბედად ჩამწყდარი ხმით შესძახა პოლკოვნიკმა მალიშევმა, რომელიც ხიშტოსანთა მწკრივებში მდგომებს ასაკით მამად კი არა, უფროს მამად უფრო შეეფერებოდა, - მისმინეთ! მე კადრის ოფიცერი ვარ, გამოვლილი მაქვს გერმანელებთან ომი, რის მოწმეც შტაბს-კაპიტანი სტუმინსკია, და მთელს პასუხისმგებლობას ჩემს სინდისზე ვიღებ!.. მთელს პასუხისმგებლობას!! თქვენ კი გაფრთხილებთ და შინ გიშვებთ!! გასაგებია? - შეჰყვირა მან.

- დი...ა...ახ...ახ, - გაისმა პასუხად და ხიშტები გადაქანდ-გადმოქანდა. მერე კი მეორე მწკრივში მდგარი ვიღაც იუნკერი ხმამაღლა აქვითინდა.

შტაბს-კაპიტანი სტუმინსკი მთელი დივიზიონისა და ალბათ საკუთარი თავისთვისაც სრულიად მოულოდნელად უცნაურად მოიქცა, ხელთათმანიანი ხელები თვალებზე აიფარა, რაც ოფიცერს სულაც არ შეეფერებოდა, და ატირდა. დივიზიონის სია იატაკზე დავარდა.

მის შემხედვარე იუნკრებსაც ცრემლი მოერიათ და ბევრი მათგანი აქვითინდა. მწკრივები უმაღ დაიშლა. მაშინ რადამეს-მიშლაევსკის ხმამ არეულ-დარეული გნიასი დაფარა.

- იუნკერი პავლოვსკი! გასაყარი ნაღარა დაუკარი! - დასჭექა მან მესაყვირეს.

*

- ბატონო პოლკოვნიკო, ნებას მომცემთ, გიმნაზიის შენობას ცეცხლი წავუკიდო? - უთხრა მიშლაევსკიმ პოლკოვნიკს და ნათელი მზერა მიაპყრო.

- ნებას არ გამძღვეთ, - თავაზიანად და მშვიდად უპასუხა მალიშევმა.

- ბატონო პოლკოვნიკო, - გულითადად უთხრა მიშლაევსკიმ, - პეტლიურას ხელში ჩაუვარდება ცეიხჰაუზი, ქვემეხები, და, რაც მთავარია... - მიშლაევსკიმ ხელი გაიშვირა კარისკენ, სადაც ვესტიბიულში, კიბის ზემოთ ალექსანდრეს თავი მოჩანდა.

- ჩაუვარდება, - თავაზიანად დაუმოწმა პოლკოვნიკმა.

- ეს როგორ შეიძლება, ბატონო პოლკოვნიკო?..

მალიშევი მიშლაევსკისკენ შემოტრიალდა, დაკვირვებით დააცქერდა და უთხრა; - ბატონო პორუჩიკო, სამი საათის შემდეგ პეტლიურას ხელში ჩაუვარდება ასობით ადამიანთა სიცოცხლე და ერთადერთი რამ, რაც მაწუხებს, ის გახლავთ, რომ ჩემი სიცოცხლისა და თქვენი სიცოცხლის ფასადაც კი, რაც, რა თქმა უნდა, უფრო ძვირფასია, დაღუპვისაგან მათი ხსნა არ ძალმიძს. სურათებზე, ქვემეხებზე და შაშხანებზე კი, გთხოვთ, ნურაფერს მეტყვიეთ.

ამ დროს მალიშევს სტუძინსკი მიუახლოვდა, მის წინ შეჩერდა და უთხრა: - ბატონო პოლკოვნიკო, ჩემი სახელით და იმ ოფიცრების სახელით, ვისაც უმსგავსი მოქმედების ჩასადენად ვუბიძგე, ბოდიშს გიხდით და გთხოვთ, მოგვიტევოთ.

- მომიტევებია, - თავაზიანად უპასუხა პოლკოვნიკმა.

*

როცა ქალაქის თავზე დილის ნისლმა ნელ-ნელა იწყო აშლა, ალექსანდრეს მოედანთან ბლაგვცხვირა მორტირები უსაკეტებოდ იდგა, დაშლილი და დამსხვრეული შაშხანები და ტყვიამფრქვევები სხვენის სამალავებში იყო მიმოფანტული. თოვლში, თხრილებში და სარდაფების სამალავებში გროვა-გროვად ეყარა ვაზნები, ხოლო დარბაზსა და დერეფნებში ბურთები შუქს აღარ აფრქვევდა. ამომრთველებიანი თეთრი დაფა მიშლაევსკიმ და მისმა იუნკრებმა ხიშტებით დალეწეს.

*

ფანჯრებს მოლურჯო ფერი გადაჰკრავდა. ლურჯ ბინდბუნდში, მოედანზე, ორნილა იდგნენ, ყველაზე ბოლოს მიმავალნი, - მიშლაევსკი და კარჩხანა.

- ნეტა მეთაურმა ალექსეი გააფრთხილა? - შემფოთებით ჰკითხა მიშლაევსკიმ კარჩხანას.

- რა თქმა უნდა, გააფრთხილებდა. ხომ ნახე, რომ არ მოვიდა. - უპასუხა კარჩხანამ.

- დღეს ტურბინებთან არ შევიაროთ?

- არა, დღისით შეუძლებელია. ყველაფერი უნდა მივმალ-მოვმალოთ... ჯერ შინ წავიდეთ და რაც მოსაგვარებელი გვაქვს, მოვაგვაროთ.

ფანჯრები ლურჯად ჩაბინდულიყო. გარეთ კი გარემო რძისფრად იღებებოდა. დილის ნისლი მაღლა მიიწვდა და იფანტებოდა.

ნაწილი მეორე

8

დიახ, გარემოს ნისლი ებურა. ეკალაშლილი, თათებზანჯგვლიანი ყინვა იდგა. უმთვარო ღამეში შავი, შემდეგ კი ალიონზე რძისფერი თოვლი ბარდნიდა. ქალაქის მიღმა, შორეთში, მოვარაყებულ ვარსკვლავებით მოჩითული ლურჯი ეკლესიების გუმბათები აღმართულიყო. ქალაქის ზემოთ, ცის უკიდეგანო სივრცეში კი გაჩახჩახებული ვლადიმირის ჯვარი მოჩანდა, მანამდე რომ არ ქრებოდა, ვიდრე დნეპრის სანაპიროს მოსკოვის მხრიდან ალიონის ნათელი არ შეეპარებოდა.

დილას ჯვარი ჩაქრა. ყველა შუქი ჩაქრა დედამიწაზე. მაგრამ დილა მაინც და მაინც არ გაბრწყინებულა, ეტყობოდა, უწყური დღე დადგებოდა, უკრაინის ცას დაბალი, სხივგაუღწეველი საბურველი ექნებოდა გადაკრული.

პოლკოვნიკმა კოზირ-ლემკომ ქალაქიდან თხუთმეტი ვერსის დაშორებით, სოფელ პოპელიუხაში სწორედ ალიონზე გაიღვიძა, როცა უძღვრის, მღვრიე შუქი ქოხის ბრუტიანი სარკმლიდან შეიჭრა. კოზირის გაღვიძება დაემთხვა სიტყვას: - დისპოზიცია.

- თავდაპირველად მოეჩვენა, რომ იგი სიზმრის თბილ ბურანში ნახა, რა ცივი სიტყვააო, გაიფიქრა, და ისიც კი უნდოდა, რომ ხელით მოეშორებინა, მაგრამ სიტყვა გაიბერა და ქოხში შემოზობდა საზიზღარი წითელი ძიძიბებით სახედაწინწკლულ შიკრიკთან და დაჭმუჭნულ კონვერტთან ერთად. კოზირი სარკმელთან მივიდა, ქარსიანი და ბადიანი ჩანთიდან რუკა ამოიღო, მოძებნა სოფელი ბორხუნი, ბორხუნის იქით სოფელი ბელი გაი, ფრჩხილი გააყოლა დაკლაკნილ გზას, რომლის აქეთ-იქით ბუჩქნარის აღმნიშვნელი წერტილები ისე მოფენილიყო, თითქოს ბუხები ასხედანო, და უზარმაზარ შავ ლაქას - ქალაქს მიადგა. წითელძიძიბებიანი წეკო სუნით ყარდა, რადგან მიაჩნდა, რომ მოწვევა კოზირთანაც შეიძლებოდა და ეს ომს იოტის ოდენადაც არაფერს ავნებდა. იდგა აგრეთვე მეორეხარისხოვანი მაგარი თამბაქოს სუნი, რომელსაც თავად კოზირი ეწეოდა.

კოზირი წუთი წუთზე ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო. იგი ამ ამბავს მხნედ შეხვდა. გულიანად დაამთქნარა, ღვედები მხრებზე გადაიჭიმა და დახლართული აკაზმულობა ააჩხარუნა. წუხელ მაზარიანს ეძინა, დეუბიც კი არ მოუხსნია. დედაკაცმა კოჭობით რძე შემოუტანა, კოზირს რძისთვის პირი არასოდეს დაუკარებია და არც ახლა დალია. საიდანლაც ბავშვები გამოზობდნენ. ერთი მათგანი, ყველაზე

უმცროსი, სკამლოგინზე მთლად შიშველი უკანალით მოჩოჩავდა, თან ცდილობდა, კოზირის მაუზერს მისწვდომოდა, მაგრამ ვერ მისწვდა, რადგან კოზირმა მაუზერი ქამარზე თვითონ ჩამოიკიდა.

მთელი სიცოცხლე, 1914 წლამდე, კოზირი სოფლის მასწავლებელი იყო. ცხრაას თოთხმეტ წელს, როცა ომი დაიწყო, დრაგუნთა პოლკში მოხვდა და 1917 წელს ოფიცრობა მიიღო, ხოლო ცხრაას თვრამეტი წლის თოთხმეტი დეკემბრის ალიონს ქოხის სარკმელთან პეტლიურას ჯარის პოლკოვნიკის ჩინით შეხვდა და ამქვეყნად ვერავინ (ყველაზე ნაკლებად კი თვით კოზირი) ვერ შეძლებდა იმის თქმას, ეს როგორ მოხდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ომი კოზირისთვის მოწოდება გახლდათ, ხოლო მასწავლებლობა მხოლოდ დიდი შეცდომა, რასაც თავი დიდხანს ვერ დააღწია. თუმცა ჩვენს ცხოვრებაში უმეტესად ასე ხდება. მთელი ოცი წელი კაცი რაღაცას საქმიანობს, მაგალითად, რომის სამართალს კითხულობს, ოცდამეერთე წელს კი უცებ აღმოჩნდება, რომ რომის სამართალი არაფერ შუაშია. მისი არც გაეგება რამე და არც არასოდეს ჰყვარებია, სინამდვილეში თურმე გვარიანი მებაღე ყოფილა და გულში ყვავილების უსაზღვრო სიყვარული ჰქონია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჩვენი სოციალური წყობის ნაკლოვანების გამო ხდება, როცა ადამიანი თავის ადგილს მეტწილად სიცოცხლის მიწურულს პოულობს. კოზირმა თავის ადგილს ორმოცდახუთი წლისამ მიაგნო, ხოლო მანამდე უხეირო, სასტიკი და მოსაწყენი მასწავლებელი გახლდათ.

- აბა, ბიჭებს უთხარით, რომ ქოხებიდან გამოვიდნენ და ცხენებზე შესხდნენ. - თქვა კოზირმა და ქამარი წელზე მაგრად შემოიჭირა.

სოფელ პოპელიუხას თეთრი ქოხებიდან ბოლი ცისკენ მიიკლაკნებოდა. პოლკოვნიკ კოზირის ოთხასკაციანი რაზმი ცხენებს მიაგელვებდა, მწკრივებში წეკოს კვამლი ბოლქვა-ბოლქვად ადიოდა, ფიცხად მიცეკვავდა კოზირის ზორბა ქურანი ულაცი. ნახევარ ვერსზე გაჭიმული არალი პოლკს მარხილების ჭრიალით მიჰყვებოდა. პოლკი უნაგირებზე მიირხეოდა. პოპელიუხას გასცდნენ თუ არა, მხედართა რაზმის თავში ორფეროვანი ალამი - ტარზე გამობმული ცისფერი და ყვითელი ხელმანდილი აფრიალდა.

კოზირს ჩაი სძულდა და დილას ერთი ყლოუპი არაყი ამქვეყნად ყველაფერს ერჩია. სამეფო არაყი უყვარდა. ოთხ წელიწადს სამეფო არაყი გამქრალი იყო, ჰეტმანშჩინის დროს კი მთელ უკრაინაში გამოჩნდა. კოზირმა ნაცრისფერი მათარა მოიყუდა და არაყმა მარღვებში მხიარული ცეცხლივით დაურბინა. მწკრივებშიც მოიყუდეს ბელაია ცერკოვის საწყობიდან წამოღებული არაყით სავსე მათარები. მოიყუდეს თუ არა, რაზმის თავში სამმწკრივიანმა იტალიურმა გარმონიკამ დასჭექა და წვრილმა, გამყივანმა ხმამ წამოიწყო: Гай, за гаемн, гаем, Гаем зелененьким...

მეხუთე რიგში კი ბანებმა დაიგუგუნეს: Там орала дивчиненька

Воликом черненьким...

Орала... орала, Не вміла гукаты.

Тай наняла казаченька

На серипочке граты.

- ფიუ... ჭახ! ჭახ, ჭახ, ჭახ!.. - ბულბულივით მხიარული სტვენა და ჭახჭახი ააყოლა ალმის გვერდით მიმავალმა მხედარმა. შეირხა შუბები, ათამაშდა შავყაითნიანი და შავფუნჯიანი შავი ბოხობები. ათასი დაჭედილი ფლოქვის ქვეშ თოვლი ხრამუნებდა. დასცხო მხიარულმა ტორბანმა.

- ასე! ნუ მოიწყენთ, ბიჭებო, - მოწონებით თქვა კოზირმა და ბულბულის სტვენა-რაკრაკმა უკრაინის დათოვლილ ველებს გადაუარა.

გაიარეს ბელი გაი... ნისლის ფარდა გაიპო და ყველა გზა გადაშავდა, გამოცოცხლდა და ახრამუნდა. გაისტან, გზაჯვარედინზე წინ გაუშვეს ათასხუთას კაციანი ქვეითი რაზმი. ამ რაზმის წინა რიგებში მიმავალთ გამძლე გერმანული მაუდისგან შეკერილი ერთნაირი ლურჯი ჟუპანები ემოსათ, პირთხელებსა და მარდებს შამხანები მარჯვედ ეჭირათ. ესენი გალიციელები იყვნენ. უკანა რიგებში მყოფი გრძელი, კოჭებამდე ჩაფართხუნებული საავადმყოფოს ხალათები ეცვათ და ზედ მოუქნელი ტყავის ყვითელი ქამრები ჰქონდათ შემორტყმული. ხოლო თავზე ყველას ფაფახს ზემოდან ჩამოფხატული ბრტყელი გერმანული მუზარადი უელავდა.. დანალული ბოტები თოვლს ზელდა.

ქალაქისკენ მიმავალი თეთრი გზები ხალხის ზღვამ გადააშავა.

- დიდება! - გაისმა ქვეითთა შემახილი, როცა ცისფერ-ყვითელ ალამს ჩაუარეს.

- დიდება! - გუგუნებდა გაის ჭალები.

ამ ხმას ბანი მისცეს ქვემეხებმა უკან და ხელმარცხნივ. საალყო კორპუსის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ტოროპეცმა ქალაქის ტყეში ორი ბატარეა ჯერ კიდევ გუშინ გაგზავნა. ქვემეხები თოვლის ზღვაში ნახევარწრედ დადგნენ და სროლა განთიადისთანავე დაიწყეს. დათოვლილი სახომალდე ფიჭვები ექვსდუმიანთა გრგვინვის ტალღამ გამოაღვიძა. უზარმაზარი სოფელი პუშჩა-ვოდიცა ბათქმა ორჯერ შეაზანზარა და ოთხ განაკაფზე თოვლში ჩაფლულ სახლებს მინები ერთბაშად ჩამოემსხვრა.. რამდენიმე ფიჭვი დანაფოტდა და თოვლის მაღალსაყენიანი შადრევანი აისროლა. მერე კი პუშჩა-ვოდიცა ჩაწყნარდა. ტყე ძილ-ბურანში ჩაიძირა. მხოლოდ დამფრთხალი ციყვები ფხაჭუნით დამლიგინებდნენ ასწლოვან ფიჭვთა ტოტებზე. ამის შემდეგ ორმა ბატარეამ პუშჩა-ვოდიციდან მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა. მათ გადაჭრეს თვალუწვდენელი სახნავ-სათესი მიწები, ტყიანი მიჯნები, ვიწრო გზაზე შეუხვიეს, გზის გასაყართან გადავიდნენ და იქ უკვე ქალაქის პირისპირ განლაგდნენ. დილაადრიან პოდგორნიას, სავსკაიას და ქალაქის გარეუბან კურენევკის თავზე ფინდიხმა იწყო სკდომა.

ჩამოდაბლებულ თოვლიან ცაში ვიდაცა თითქოს სატკაცუნებლების ჭახუნით თავს იქცევდა. პატარ-პატარა სახლების მცხოვრებნი დილიდანვე სარდაფებში ისხდნენ. ალიონის ბინდბუნდში მოჩანდა, გათომილ იუნკერთა მწკრივი როგორ იხევდა უკან, სადღაც ქალაქის შუაგულისკენ. თუმცა ქვემეხთა ბუხუნი მალე მიყუჩდა და მას შეენაცვლა სროლის მხიარული ჭახაჭუხი რომელიღაც გარეუბანში, ჩრდილოეთის მხარეს. მერე კი ეს ჭახაჭუხიც მიწყდა.

*

სააღყო კორპუსის მეთაურის, ტოროპეცის მატარებელი თოვლით მინამქრულ, გრუხუნ-გუგუნით გაყრუებულ, თითქოს ჩამკვდარ სოფელ სვიატომინოდან ხუთი ვერსის მოშორებით, უზარმაზარ ტყეში, რკინიგზის ასაქცევზე იდგა. ექვს ვაგონში მთელ ღამეს არ ჩამქრალა ელექტროშუქი, მთელ ღამეს რეკდა ტელეფონი რკინიგზის ასაქცევზე და პოლკოვნიკ ტოროპეცის ერთიანად გატალახიანებულ სალონშიც საველე ტელეფონები წრიპინებდა. როცა თოვლიანმა დღემ იქაურობა მთლიანად გაანათა, წინ, სვიატომინოდან პოსტ-ვოლინსკისკენ მიმავალ რკინიგზის ხაზზე ქვემეხებმა დაიქუხა, ყვითელ ყუთებში ჩიტები ამღერდნენ და გამხდარმა, გულფიცხმა ტოროპეცმა თავის ადიუტანტს, ხუდიაკოვსკის უთხრა: - სვიატომინო აიღეს. ბატონო ადიუტანტო, გეთაყვა, სთხოვეთ სვიატომინოში ბრძანება გადასცენ.

ტოროპეცის მატარებელი ნელა გაემართა კედლებივით აღმართულ დათოვლილ ხეთა რიგებს შუა და რკინიგზის ხაზისა და ქალაქში ისარივით შეჭრილი უზარმაზარი შარაგზის გადაკვეთაზე შეჩერდა. და აქ, სალონში, პოლკოვნიკმა ტოროპეცმა იწყო თავისი გეგმის განხორციელება, რომელიც ორი უძილო ღამის განმავლობაში იმან 173 ბაღლინჯოებიან ვაგონში შეიმუშავა.

ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული ქალაქი ნისლიდან ნელ-ნელა გამოიკვეთა. ქალაქის განაპირა ტყისა და სახნავ-სათესი მიწების ჩრდილოეთით, აღებული სვიატომინოს დასავლეთით, ბედუკუღმართი პოსტ-ვოლინსკის სამხრეთ დასავლეთით, რკინიგზით შემორკალული ჭალების, სასაფლაოების, სამოვრებისა და სასროლეთის სამხრეთით, ყველა ბილიკსა და გზას, ანდა პირდაპირ დათოვლილ ველებს შავად მოსდებოდა და ჩხარაჩხურით წინ მიიწევდა მხედრობა. ჭრიალებდა მძიმე ქვემეხები მიაბიჯებდნენ და თოვლში ეფლობოდნენ ერთი თვის ალყით დაქანცული პეტლიურას ჯარის ქვეითი რაზმები.

ვაგონ-სალონში, ჩექმის ქუსლებით დათითხნილი მაუდის იატაკი, ტელეფონები ყოველ წუთას მამლაყინწებივით ხმადაბლა, ნაზად ყიოდნენ. მთელი ღამის უძინარი ტელეფონისტები, ფრანკო და გარასი ღამის გამოლენჩებულიყვნენ.

- ტი-უ... პი-უ... გისმენთ! პი-უ... ტი-უ...

ტოროპეცის გეგმა ეშმაკური გახლდათ. ეშმაკი იყო შავწარბა, წვერგაპარსული, გულფიცხი პოლკოვნიკი ტოროპეცი. ქალაქის ტყეში ამაოდ არ გაუგზავნია ორი ბატარეა, სუსხიან ჰაერში ამაოდ არ გრუხუნებდნენ ქვემეხები, ამაოდ არ დაუმსხვრევიათ ტრამვაის ხაზი დათოვლილ პუშჩა-ვოდიცაში, მერე სახნავ-სათესი მიწების მხრიდან ტყვიამფრქვევები ამაოდ არ დაძრეს და მარცხენა ფლანგს მიუახლოვეს. ტოროპეცს სურდა ქალაქის დამცველები შეეცდინა, თითქოს იგი ქალაქის აღებას მარცხენა ფლანგიდან (ჩრდილოეთიდან), გარეუბან კურენევკის მხრიდან აპირებდა, რათა ქალაქის ჯარი იქით გადაეყვანათ, თავად კი ქალაქისთვის პირდაპირ სვიატომინოდან, ბრესტ-ლიტოვსკის შარაგზიდან, აგრეთვე განაპირა მარჯვენა ფლანგიდან, სამხრეთიდან, სოფელ დემიევკის მხრიდან დაერტყა.

და, აი, ტოროპეცის გეგმის შესასრულებლად მარცხენა ფლანგიდან მარჯვენა ფლანგისკენ მიმავალ გზაზე დაიდრნენ პეტლიურას ჯარის ნაწილები. სტვენისა და გარმონიკის ხმაზე ზემდეგების წინამძღოლობით მიემართებოდა კოზირ-ლეშოს შავბოხიან მხედართა პოლკი.

- დიდება! - გუგუნებდა გაის ჭალები. - დიდება!

გაის გაუსწორდნენ, გვერდზე ჩამოიტოვეს და, როცა ძელურ ხიდზე რკინიგზის ლიანდაგი გადაკვეთეს, ქალაქიც დაინახეს. ქალაქი ძილის თბილი ბურანიდან ჯერაც არ გამოფხიზლებულიყო. ბურუსი თუ კვამლი სვეტ-სვეტად ასდიოდა. უზანგებზე შემართული კოზირი ცეისის მინებიდან იცქირებოდა იქით, სადაც ერთმანეთს მისჯროდა მრავალსართულიან შენობათა სახურავები და ძველი სოფლის ტაძრის გუმბათები.

კოზირის ხელმარჯვნივ ბრძოლა უკვე დაწყებულიყო. ორი ვერსის იქით ქვემეხები მძლავრად გრუხუნებდნენ და ტყვიამფრქვევები კაკანებდნენ. იქ პეტლიურელი ქვეითნი მწკრივ-მწკრივად გარბოდნენ პოსტ-ვოლინსკისკენ, პოსტიდან კი უკან იხევდა ხშირი ცეცხლით საკმაოდ დაფეთებული თეთრგვარდიელ ქვეითთა შეთხელებული ჭრელი მწკრივები.

*

ქალაქი. დაბლა ჩამოწოლილი შედედებული ცა. ქუჩის კუთხე. პატარა სახლები გარეუბანში. აქა-იქ მაზარები.

- ახლა გადმოსცეს, თითქოს პეტლიურას შეთანხმებიან, რომ რუსული ჯარის ყველა ნაწილი იარაღიანად გაუშვან დონზე, დენიკინთან...

- ნუთუ მართალია?..

ქვემეხები... ქვემეხები... ბუჰ... ბუ-ბუ-ბუ; ახლა ტყვიამფრქვევი აწივლდა.

იუნკრის ხმაში სასოწარკვეთილება და შეშფოთება იგრძნობა.

- კი მაგრამ, მაშინ ხომ წინააღმდეგობა უნდ შევწყვიტოთ?..

იუნკერს ხმა სევდიანი აქვს: - ეშმაკმა იცის იმათი თავი!

*

პოლკოვნიკი შროტკინი შტაბში დილიდანვე არ იყო. არ იყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავად შტაბი აღარ არსებობდა. ჯერ კიდევ თოთხმეტი დეკემბრის წინა ღამეს შროტკინის შტაბმა უკან დაიხია ქალაქის I ვაგზლისკენ და ეს ღამე ტელეგრაფის გვერდით სასტუმრო „სტამბოლის ვარდში“ გაატარა. იმ ღამეს შროტკინთან ტელეფონის ჩიტი დროდადრო ამღერდებოდა ხოლმე, მაგრამ გათენებისას ჩაჩუმდა. დილით კი პოლკოვნიკ შროტკინის ორი ადიუტანტი უკვალოდ გაქრა. ერთი საათის შემდეგ თვით შროტკინმა უჯრები რატომღაც ამოქექა, რაღაც ქალაქლები ნაკუწ-ნაკუწ დაფხრიწა, დანაგვიანებული „ვარდიდან“ გამოვიდა, მაგრამ ახლა სამხრეებიანი რუხი მაზარა კი არა, სამოქალაქო ბურძგლიანი პალტო ეცვა და ლავაშივით ბრტყელი ქუდი ეხურა. არავინ უწყის ან პალტო ან ქუდი საიდან გაჩნდა.

სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა შროტკინმა „ვარდიდან“ ერთი კვარტლის იქით ეტლი დაიქირავა, ლიპკიში ჩავიდა, ჩინებული ავეჯით გაწყობილი პატარა ბინის კარზე ზარი დარეკა, ფუნჩულა, ოქროსფერთმიან ქალს აკოცა და მყუდრო საწოლ ოთახში შეჰყვა.

- ყველაფერი დასრულდა! ო, როგორ გავწამდი... - ჩასჩურჩულა შიშისაგან თვალეზამრგვალებულ ქერა ქალს, მისი მომზადებული შავი ყავა დალია და წალოში შედგმულ საწოლზე დაიძინა.

*

ამის თაობაზე არაფერი იცოდნენ პირველი ლაშქრის იუნკრებმა. სამწუხარო კია! რომ სცოდნოდათ, იქნებ შთაგონება სწვეოდათ და პოსტ-ვოლინსკის შრაპნელის დაცხრილული ცის ქვეშ კი არ ეწრიალათ, ლიპკიში მყუდრო ბინას სწვეოდნენ, იქიდან ნამძინარევი პოლკოვნიკი შჩოტკინი გამოეთრიათ და იქვე, ოქროსფერთმიანი ქალბატონის ბინის პირდაპირ ფარანზე ჩამოეხრჩოთ.

*

კარგი კი იქნებოდა ასე მოქცეულიყვნენ. მაგრამ ასე არ მოქცეულან, რადგან არაფერი იცოდნენ და არც რამე გაეგებოდათ.

არც ქალაქში გაეგებოდა ვინმეს რაიმე და ალბათ ვერც მალე გაიგებდნენ. ქალაქში ხომ რკინისგან ნაჭედი, თუმცა უკვე ცოტა ფხამოცვეთილი გერმანელები არიან, ქალაქში ხომ ულვაშმეკრეჭილი, ტანწვრილი მელაკუდა ჰეტმანია (იდუმალეებით მოცული მაიორის ფონ შრატის კისერში დაჭრის ამბავი დილით ძალზე ცოტა ვინმემ თუ იცოდა). ქალაქში ხომ მისი ბრწყინვალეობა თავადი ბელორუკოვია, ქალაქშია გენერალი კარტუზოვიც. რუსეთის ქალაქთა დედის დასაცავად ლაშქრებს რომ აყალიბებს, ქალაქში, ასე თუ ისე, შტაბების ტელეფონები რეკავს და მღერის (ჯერ არავინ იცოდა, რომ შტაბებმა დილასვე იწყო დაქსაქსვა), ქალაქში სამხრეების ტევრია. სიტყვა „პეტლიურა“ ქალაქში სიმამაცს ბადებს, მას გაზეთ „ცნობების“ დღევანდელ ნომერშიც კი დასცინიან უხამსი პეტერბურგელი ჟურნალისტები, ქალაქში კადეტები მიდი-მოდიან, იქ კი, კარავაევის აგარაკებთან უკვე სტვენით მოქრის ჭრელაჭრულა ბოხოხიანი მხედრობა, მარცხენა ფლანგიდან მარჯვენა ფლანგისკენ კი მსუბუქი ჩორთით მოემართებიან მკვირცხლი ჰაიდამაკები. თუ ისინი ხუთი ვერსის იქით უსტვენენ, მაშინ საკითხავია, ჰეტმანს რისი იმედილა უნდა ჰქონდეს? ეს ხომ მისი სულის მოსახსენებელს უსტვენენ! ოჰ, უსტვენენ... იქნებ გერმანელები გამოესარჩლონ? მაშ სადგურ ფასტოვში ტუმბა-გერმანელები გულგრილად რატომ ილიმებიან გერმანულად შეკრეჭილ ულვაშებში, როცა მათ თვალწინ ქალაქისკენ გეზაღებული პეტლიურას ჯარის ნაწილების ეშელონები ეშელონებს მოჰყვება? იქნებ პეტლიურას შეუთანხმდნენ, რომ ქალაქში მშვიდობიანად შეუშვან? მაშ თეთრი ოფიცრების ქვემეხები პეტლიურას რა ეშმაკადლა ესვრიან?

არა, ვერავინ გაიგებს, თოთხმეტ დეკემბერს ქალაქში რა ხდებოდა.

შტაბის ტელეფონები რეკავდა, მაგრამ სულ უფრო იშვიათად, იშვიათად, იშვიათად...

იშვიათად!

იშვიათად!

დრრრრ!

დრრრრ!

- ტიუ...
- ვაზნები გაუგზავნეთ პოლკოვნიკ...
- სტეპანოვს...
- ივანოვს.
- ანტონოვს.
- სტრატონოვს!..
- დონისკენ... დონისკენ წასვლა გვერჩია, ძმებო... აქ ვერაფერს გავმხდარვართ.
- ტი-უ...
- უჰ, იმ შტაბელი არამზადების დედა!
- დონისკენ!..

სულ უფრო და უფრო იშვიათად, შუადღისკენ კი უკვე ძალზე იშვიათად რეკდა ტელეფონი.

ქალაქის ირგვლივ, ხან აქ ხან იქ, გრგვინვა აზავთდებოდა, მერე კი შეწყდებოდა... მაგრამ ამ გრგვინვის მიუხედავად ქალაქი შუადღემდე ჯერ კიდევ ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. მაღაზიები ღია იყო და ვაჭრობდა, ტროტუარებზე ხალხი მრავლად მიდი-მოდიოდა, გაისმოდა კართა ჯახუნი, ზარის წკრიალით მიხრიგინებდა ტრამვაი.

და, აი, შუადღისას პეჩორის მხრიდან მხიარულად ამღერდა ტყვიამფრქვევი. წყვეტილი კაკანი პეჩორსკის გორებზე ასხლტა და ქალაქის შუაგულისკენ გაფრინდა. მოიცათ, ეს ხომ სულ ახლოსაა!.. რა ხდება? გამვლელები ჩერდებოდნენ და ჰაერს ყნოსავდნენ. აქა-იქ ტროტუარებზე ხალხი უცებ შეთხელდა.

- რა ხდება? ვინ არიან?
- არრრრრრრრრ-პა-პა-პა-პა-პა! პა! პა! რრრრრ!!
- ვინ არიან?
- როგორ თუ ვინ? ბატონო ჩემო. ეგ როგორ არ იცით? პოლკოვნიკი ბოლბოტუნი გახლავთ.

*

ოჰო, აკი ბოლბოტუნი პეტლიურას აუჯანყდაო!

პოლკოვნიკ ბოლბოტუნს მობეზრდა პოლკოვნიკ ტოროპეცის თავსატეხი გენერალურ-შტაბური ნააზრევის აღსრულება და გადაწყვიტა, ამბავთა განვითარება ცოტა დაეჩქარებინა. ბოლბოტუნის მხედრები გაითოშნენ სამხრეთით მდებარე სასაფლაოს გადაღმა, საიდანაც დათოვლილ ბრძენ დნეპრამდე ორიოდე ნაბიჯიღა იყო. თვით ბოლბოტუნიც გაითოშა. ჰოდა, ბოლბოტუნმა მათრახი შემართა, მისი ცხენოსანთა პოლკი მარჯვნიდან სამ რიგად დაიძრა, გზაზე გაიჭრა და ლიანდაგს

მიადგა, ქალაქის გარეუბანს მჭიდროდ რომ შემორკალოდა. პოლკოვნიკ ბოლბოტუნს იქ არავინ შეხვედრია. მისი ექვსი ტყვიამფრქვევი ისე აგრიალდა, რომ ჭექამ ნიჟნაია ტელიჩკას მთელ სანახებს გადაურბინა. ბოლბოტუნმა რკინიგზის ხაზი თვალის დახამხამებაში გადაჭრა და სამგზავრო მატარებელი გააჩერა, რომელმაც რკინიგზის ხიდის ისარი ის-ის იყო გაიარა და ქალაქში ჩამოიყვანა ახალი წყება მოსკოველებისა და პეტერბურგელებისა, რომელთაც თან ახლდათ ჩაფუნთუშებული ქალები და ბანჯგვლიანი ფინიები. მგზავრებს თავზარი დაეცათ, მაგრამ ბოლბოტუნს იმჟამად ფინიებისთვის აღარ სცხელოდა. ცარიელი სატვირთო ვაგონებისგან შემდგარი მატარებელი ქალაქის II სატვირთო სადგურიდან ქალაქის I სამგზავრო სადგურისკენ განგაშით გაემართა, დასტვინეს სამანევრო ორთქმავლებმა, ხოლო წმინდა სამების ქუჩის სახლთა სახურავებზე ბოლბოტუნის ტყვიები უცბად სეტყვასავით არაკუნდა. ბოლბოტუნი ქალაქში შევიდა და ქუჩას გაუყვა. ყველა შესახვევში ცხენოსან მზვერავებს აგზავნიდა და სამხედრო სასწავლებელს შეუფერხებლად მიაღწია. დაბრკოლებას ბოლბოტუნი მხოლოდ ნიკოლოზის სასწავლებლის ბათქაშჩამონგრეულ სვეტებიან შენობასთან შეეფეთა. აქ მას ტყვიამფრქვევისა და რომელიღაც მწკრივის კანტიკუნტი ცეცხლი შემოეგება. ბოლბოტუნის პირველი ასეულის დაწინაურებულ ოცეულში კაზაკი ბუცენკო მოკლეს, ხუთი კაცი დაჭრეს, ორ ცხენს კი ფეხები მოსტეხეს. ბოლბოტუნი ერთხანს შეყოვნდა. რატომღაც მოეჩვენა, წინ აურაცხელი მტერია. ნამდვილად კი, ლურჯბოხობიან პოლკოვნიკს ოცდაათი იუნკერი და ოთხი ოფიცერი ესალმებოდა ერთი ტყვიამფრქვევით.

გაისმა ბრძანება და ბოლბოტუნის მხედრები ჩამოქვეითდნენ, გაწვნენ და იუკნკრებს საფრებიდან სროლა გაუმართეს. პეჩორსკი ჭახაჭუხმა გააყრუა, კედლებიდან ექო ავარდა და მილიონის ქუჩა ჩაიდანივით ათუხთუხდა.

ბოლბოტუნის მოქმედებამ ქალაქს უმაღლესი კვალი დაამჩნია. ელისავეტინსკაიას, ვინოგრადნაიას და ლევაშოვის ქუჩებზე რკინის ფარდები არახრახდა, მხიარული მაღაზიები დაბრმავდა, ტროტუარები მყის დაცარიელდა და ყოველ ჩქამს უსიამო გრიალი გაჰქონდა. მეუზოვეებმა ჭიშკრები ფიცხლად დაკეტეს.

კვალი ქალაქის შუაგულსაც დაეტყო. შტაბის ტელეფონებში მამლები მიყურდნენ.

დივიზიონის შტაბში წრიპინი გაისმა. ბატარეიდან რეკავენ. რა ჯანდაბაა, ყურმილს არავინ იღებს! წრიპინი გაისმის სარდლის შტაბშიც. რაზმიდან რაღაცას მოითხოვენ, პასუხად კი უაზრო სიტყვები მოისმის.

- თქვენს ოფიცრებს სამხრეები უკეთიათ?
- რა? რა თქვით?
- ტი-უ...
- ტუ-უ...
- პეჩორსკისკენ რაზმი დაუყოვნებლივ გაგზავნეთ!
- რა, რა თქვით?
- ტი-უ...

ქუჩებში ჩაიშრიალა; ბოლბოტუნი, ბოლბოტუნი, ბოლბოტუნი, ბოლბოტუნი...

საიდან შეიტყვეს, რომ ეს ნამდვილად ბოლბოტუნი იყო და არა სხვა ვინმე? არავინ იცის, მაგრამ შეიტყვეს. შესაძლოა, აი, რატომ: შუადღისას გამვლელებსა და ქალაქის ჩვეულებრივ უსაქმურთა შორის ვიღაც-ვიღაცეები გამოჩნდნენ, კრაველისსაყელოიანი პალტოები რომ ეცვათ. მიდი-მოდიოდნენ, დაძვრებოდნენ, იუნკრებს, კადეტებს, ოქროსსამხრეებიან ოფიცრებს თვალს აყოლებდნენ, დიდხანს ჩაცვივებით აცქერდებოდნენ. ჩურჩულებდნენ: - ბოლბოტუნი გარეუბანში შემოვიდა.

ჩურჩულებდნენ ბრაზისა და ბოღმის გარეშე. პირიქით, მათ თვალეში აშკარად იკითხებოდა - „დიდება!“

- დი-დე-ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა... - გუგუნებდნენ პეჩორსკის გორები.

ათასნაირმა ჭორმა და აბდაუბდამ ფრთები გამოისხა: - ბოლბოტუნი დიდი მთავრი მიხაილ ალექსანდროვიჩია.

- პირიქით: ბოლბოტუნი დიდი მთავრი ნიკოლაი ნიკოლაევიჩია.

- ბოლბოტუნი უბრალოდ ბოლბოტუნია.

- ებრაელთა დარბევა დაიწყება.

- პირიქით: ისინი წითელბანტიანები არიან.

- გირჩევთ, შინისკენ მოკურცხლოთ.

- ბოლბოტუნი პეტლიურას წინააღმდეგაა.

- პირიქით: ბოლშევიკების მომხრეა.

- სულაც არა: მეფის მომხრეა, ოღონდ უოფიცრებო მეფისა.

- ჰეტმანი გაიქცა?

- ნუთუ? ნუთუ? ნუთუ? ნუთუ? ნუთუ? ნუთუ?

- ტი-უ. ტი-უ. ტი-უ.

*

ბოლბოტუნის მზვერავები ასისტავ გალანბას წინამძღოლობით მილიონის ქუჩას გაუყვნენ. მთელ ქუჩაზე კაციშვილი არ ჩანდა, და, უცებ, თქვენ წამოიდგინეთ, სადარბაზოს კარი გაიღო და მზვერავთა რაზმის ბოლოში მიმავალი ხუთი ცხენოსანი ფოჩიანი ჰაიდამაკის პირისპირ სახელგანთქმული მოიჯარე იაკობ გრიგორიევიჩ ფელდმანი გამოიჭრა. ხომ არ შეიშალებთ, იაკობ გრიგორიევიჩ, ახლა რა დროს სირბილია, ვერ ხედავთ, რა ამბავი ტრიალებს? დიახ, იაკობ გრიგორიევიჩი მართლა შემლილსა ჰგავდა. ზღვის კატის ბეწვის ქუდი კეფაზე გადავარდნოდა, პალტო გაღებოდა, თვალეებს აცეცებდა.

დაფეთების მიზეზი კი ჰქონდა იაკობ გრიგორიევიჩ ფელდმანს. რაწამს სამხედრო სასწავლებელთან ჭახაჭუხი ატყდა, იაკობ გრიგორიევიჩის ცოლის ნათელ საწოლ ოთახში კვნესა გაისმა. კვნესა განმეორდა და მიწყდა.

- ვაი, - თქვა კვნესის პასუხად იაკობ გრიგორიევიჩმა, ფანჯრიდან გაიხედა და დარწმუნდა, რომ გარეთ ძალზე ცუდად იყო საქმე. ირგვლივ გრგვინვასა და სიცარიელეს დაესადგურებინა.

კვნესამ კი იმატა და იაკობ გრიგორიევიჩს გული ისე დაუსერა, თითქოს დანა დაარტყესო. წელში მოკუზულმა დედაბერმა, იაკობ გრიგორიევიჩის დედამ საწოლი ოთახიდან გამოიხედა და შვილს გამოსძახა

- იაშა? გესმის? დაეწყო!

იაკობ გრიგორიევიჩის ფიქრები მყის იმ მხარეს გაფრინდა, სადაც მილიონის ქუჩის კუთხეში, უშენი ადგილის განაპირას, კუთხის სახლის კარზე მშვიდად ეკიდა დაქანგული დაფა, რომელზედაც ოქროსფერი ასოებით ეწერა: ბებიაქალი

ე. ტ. შადურსკაია.

მილიონის ქუჩაზე გასვლა საკმაოდ სახიფათოა, თუმცა ეს ქუჩა განივად გადის, პეჩორსკის მოედნიდან კიევის დაღმართისკენ კი სიგრძივ ისვრიან.

ოღონდაც გადარბენა მოასწროს. ოღონდაც... იაკობ გრიგორიევიჩს ბეწვის ქუდი კეფაზე გადავარდნია, თვალეში შიშის ზარი ჩასდგომია და კედელ-კედელ მიიპარება.

- სდექ! სად მიდიხარ?

გალანბა უნაგირიდან გადმოიხარა. ფელდმანს შავი ფერი დაედო, თვალეები აცაბაცად წაუვიდა, თვალეებში ჰაიდამაკების ყაითნიანი მწვანე ფოჩები აუთამამდა.

- ბატონებო, მე მშვიდობიანი მცხოვრები ვარ, ცოლი მშობიარობს. ბებიაქალი უნდა მიეყვანო.

- ბაბიაქალი? მამ კედელ-კედელ რას მიძვრები? ჰა? შე ურიავ?

- მე, ბატონებო...

მათრახმა ზღვის კატის ბეწვის საყელოზე და კისერზე გველივით გადაიშხივლა. ფელდმანმა ჯოჯოხეთური ტკივილი იგრძნო და წამოიკივლა. ჩამავებულ სახეზე ახლა მიტკლისფერი გადაეკრა, ფოჩებს შორის ცოლის სახე მოელანდა.

- საბუთები!

ფელდმანმა საფულე ამოიღო, სადაც საბუთები ეწყო, გაშალა, პირველი ფურცელი ამოიღო და უცებ აკანკალდა. მაშინლა გაახსენდა... ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ეს რა ჩაიდინა? იაკობ გრიგორიევიჩ ეს რა ამოიღეთ? განა ასეთი წვრილმანი გაგახსენდება, როცა ცოლის საწოლ ოთახში პირველი კვნესა გაისმის და სახლიდან გამორბიხარ? ვაი შენს თავს, ფელდმანო! გალანბამ საბუთი ხელში სწრაფად მოიგდო,

სულ ერთი ბეწო, სიფრიფანა, ბეჭედდასმული ქალაქია, - მაგრამ ამ ქალაქში ფელდმანის სიკვდილია დაბუდებული.

ამის წარმოდგენ იაკობ გრიგორიევიჩ ფელდმანს ქალაქში

თავისუფლად შესვლა-გასვლის ნება ეძლევა ქალაქის გარნიზონის ჯავშნოსანი ნაწილების მოსამარაგებლად, აგრეთვე ნებადართული აქვს ღამის 12 საათის შემდეგ ქალაქში სიარული.

მომარაგების უფროსი გენერალ-მაიორი ილარიონოვი.

ადიუტანტი - პორუჩიკი ლეშჩინსკი.

ფელდმანი გერმანულ კარტუზოვს ქვემეხების საპოხი ქონითა და ვაზელინით ამარაგებდა.

ღმერთო, სასწაული მოახდინე!

- ბატონო ასისტავო, ეგ ის საბუთი არ არის!.. თუ შეიძლება...

- არა, ის არის, - თქვა გალანბამ და მზაკვრულად ჩაიცინა. - ნუ დარდობთ, კითხვა ვიცით და თვითონ წავიკითხავთ.

ღმერთო, სასწაული მოახდინე! თერთმეტი ათასი მანეთი... სულ წაიღონ, ოღონდ სიცოცხლე შეუნარჩუნონ! ოღონდ შეუნარჩუნონ! შმა-ისროელ!

არ შეუნარჩუნეს.

კიდევ კარგი, ღმერთმა ფელდმანს იოლი სიკვდილი არგუნა. ასისტავ გალანბას არ ეცალა. ამიტომ უბრალოდ ხმალი იშიშვლა და ფელდმანს თავზე გადაჰკრა.

9

პოლკოვნიკმა ბოლბოტუნმა შვიდი მოკლული, ცხრა დაჭრილი კაზაკი და შვიდი ცხენი დაკარგა, პეჩორსკის მოედნიდან რეზნიკოვის ქუჩამდე ნახევარი ვერსი გაიარა და კვლავ შეჩერდა. იქ იუნკერთა უკანდახეულ მწკრივს დამხმარე ძალა შეემატა. მოვიდა ერთი ჯავშნოსანი მანქანაც. კოშკებიანი მოუქნელი, რუხი კუ მოსკოვის ქუჩაზე გამობობლდა და პეჩორსკისკენ სამჯერ გაგზავნა კომეტისკუდიანი ბათქი, რომლის ხმა ხმელი ფოთლების სრიალს წააგავდა (სამდუმიანი გახლდათ). ბოლბოტუნი უმალ ჩამოქვეითდა. მეჯინიბეებმა ცხენები შესახვევში შერეკეს, ბოლბოტუნის პოლკმა ოდნავ უკან დაიხია პეჩორსკის მოედნისკენ, ქუჩაში მწკრივებად გაწვა და უღიმღამო დუელი დაიწყო. კუმ მოსკოვის ქუჩა გადაკეტა და დროდადრო ბუხუნებდა. სუვოროვის ქუჩის ბოლოდან ამ ხმას ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მეჩხერი ტკაცა-ტკუცი აჰყვა. იქ, თოვლში, ბოლბოტუნელთა სროლის გამო უკუქცეულ მწკრივთან ერთად გაწოლილიყო დამხმარე რაზმი, რომელიც ასეთნაირად წარმოიქმნა: - დრ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ...

- პირველი ლაშქარია?

- დიახ, გისმენთ.

- პეჩორსკისკენ დაუყოვნებლივ გაგზავნეთ ოფიცერთა ორი ასეული.

- არის. ღრრრრ... ტი... ტი... ტი... ტი...

ჰოდა პეჩორსკზე მოვიდა თოთხმეტი ოფიცერი, სამი იუნკერი, ერთი სტუდენტი, ერთი კადეტი და ერთი მინიატურების თეატრის მსახიობი.

*

ვაი რომ, ერთი მეჩხერი მწკრივი ვერაფერს გახდებოდა, თუნდაც ერთი კუ დამხმარედ ჰყოლოდა. ერთის მაგივრად კი ოთხი კუ უნდა მოსულიყო. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ოთხივე კუ თუ მოვიდოდა, პოლკოვნიკი ბოლბოტუნი იძულებული შეიქნებოდა, პეჩორსკს გასცლოდა. მაგრამ ისინი არ მოსულან.

ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ჰეტმანის ჯავშნოსან დივიზიონში, რომელიც ოთხი ჩინებული მანქანისგან შედგებოდა, მეორე მანქანის მეთაური გახლდათ სახელგანთქმული პრაპორშჩიკი მიხაილ სემიონოვიჩ შპოლიანსკი, 1917 წლის მაისში გიორგის ჯვარი პირადად ალექსანდრ ფიოდოროვიჩ კერენსკისგან რომ ჰქონდა მიღებული.

შავგვრემანი და წვერ--ულვაშგაპარსული, ხავერდის ბაკენბარდებიანი მიხაილ სემიონოვიჩი ძალიან წააგავდა ევგენი ონეგინს. იგი უმაღლესი მთელმა ქალაქმა, როგორც კი ქალაქ სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოვიდა. მიხაილ სემიონოვიჩმა სახელი გაითქვა, ვითარცა კლუბ „ფერფლში“ საკუთარი ლექსების „სატურნის წვეთების“ დიდებულმა მკითხველმა, პოეტების საუცხოო ორგანიზატორმა და პოეტთა სამოქალაქო ორდენის „მაგნიტური ტრიოლეტის“ თავმჯდომარემ. ამას გარდა, ბადალი არ ჰყავდა, როგორც ორატორს, თანაც სამხედრო თუ სამოქალაქო ტიპის მანქანების მართვაც შეეძლო. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მის ხარჯზე ცხოვრობდნენ ოპერის თეატრის ბალერინა მუსია ფორდი და ერთი ქალი, ვის ვინაობასაც როგორც ჯენტლმენი, არავის უმხელდა, ჰქონდა ძალიან ბევრი ფული და „მაგნიტური ტრიოლეტის“ წევრებს სესხად ხელგაშლით ურიგებდა.

სვამდა თეთრ ღვინოს, თამაშობდა ცხრიანს, იყიდა სურათი, მობანავე ვენეციელი ქალი“, ღამით კრემჩატიკზე ცხოვრობდა, დილით კაფე „ბილბოკეში“, დღისით - ყველაზე საუკეთესო სასტუმრო „კონტინენტალში“, თავის მყუდრო ნომერში.

საღამოთი - „ფერფლში“, გათენებისას წერდა მეცნიერულ ნაშრომს „ინტუიციური გოგოლის შემოქმედებაში“.

ჰეტმანის ქალაქი სამი საათით იმაზე ადრე რომ დაემხო, ვიდრე უნდა დამხობილიყო, ეს სწორედ იმიტომ მოხდა, რომ მიხაილ სემიონოვიჩმა 1918 წლის ორ დეკემბერს საღამოთი „ფერფლში“ სტეპანოვს, შეიერს, სლონიხს და ჩერიომშინს („მაგნიტური ტრიოლეტის“ მოთავეებს) განუცხადა: - ყველანი არამზადები არიან. ჰეტმანიც და პეტლიურაც. მაგრამ პეტლიურა, ამას გარდა, დამრბევიცაა. თუმცა მთავარი ეს არ გახლავთ. დიდი ხანია, ბომბები აღარ მისროლია და ამის გამო მოვიწყინე.

„ფერფლში“ ვახშმის დამთავრების შემდეგ, რომლის საფასური მიხაილ სემიონოვიჩმა გადაიხადა, იგი - ცილინდრსა და თახვისსაყელოიან ძვირფას ქურქში გამოწყობილი -

გაცილა მთელმა „მაგნიტურმა ტრიოლექტმა“ და მეხუთემ - მთვრალმა და თხის ტყავის პალტოიანმა. ამ კაცზე შპოლიანსკიმ ცოტა რამ იცოდა: პირველი ის, რომ სიფილისი სჭირდა, მეორე, ღვთისმგმობი ლექსები ჰქონდა დაწერილი, რომელიც ლიტერატურულ წრეებში დიდი ნაცნობობის მქონე მიხაილ სემიონოვიჩმა მოსკოვში გამოცემულ ერთ კრებულში მოათავსებინა და მესამეც - გვარად რუსაკოვი და ბიბლიოთეკარის შვილი იყო.

კრემლში, ელექტროფარნის ქვეშ მდგარი სიფილისიანი კაცი ტიროდა, ცრემლები თხის ბეწვზე ჩამოსდიოდა, შპოლიანსკის თახვის ბეწვის სამაჯუზე ჩაჰფრენოდა და ეუბნებოდა: - შპოლიანსკი, შენ ყველაზე ძლიერი კაცი ხარ ამ ქალაქში, რომელიც ჩემსავით ლპება. შენ ისეთი კარგი ხარ, რომ ონეგინთან შემადრწუნებელი მსგავსებაც კი შეიძლება გეპატიოს! მისმინე, შპოლიანსკი... უმსგავსობაა, ონეგინს ასე რომ გავხარ! ძალიან ჯანმრთელი ხარ... შენ არ გჭამს ის კეთილშობილი ჭია, რაც ჩვენი დროის მართლაცდა გამოჩენილ კაცად გაქცევდა... აი, მე ვლპები და ამით ვამაყოფ... შენ მეტისმეტად ჯანმრთელი ხარ, მაგრამ ხრახნივით მძლავრიც ხარ, ამიტომ მაღლა აიჭერ!.. მაღლა აიჭერ!.. აი, ასე...

ჰოდა, სიფილისტიკმა აჩვენა, ეს როგორ უნდა ექნა: ფარანს ხელები შემოაჭდო, ხრახნივით შემოესალტა, ჭიაყელასავით დაიგრიხა, დაწვრილდა და დაგრძელდა.

გვერდით კახპებმა ჩაიარეს. ზოგს მწვანე, ზოგს წითელი და ზოგსაც თეთრი ქუდი ეხურა. თოჯინებივით ლამაზები იყვნენ, ხრახნს მხიარულად გამოსძახეს: - ჩახეთქე, უჰ, შენი დედა...

ძალზე შორს ქვემეხების ბუხუნი გაისმოდა, ხოლო ელექტროშუქზე ფრენა-ფრენით მომავალ თოვლის ფანტელთა ქვეშ მდგარი მიხაილ სემიონოვიჩი მართლაც ონეგინს ჰგავდა.

- წადი, დაიძინე, - ეუბნებოდა იგი სიფილისიან ხრახნს და თან პირს არიდებდა, რომ მას ზედ არ მიეხველებინა, - წადი-მეთქი, - და თხის ტყავის პალტოიანს მკერდში თითის წვერს უბიძგებდა. ლაიკის შავი ხელთათმანები გაქუცულ შევიოტს ეხებოდა. თხისტყავიანს თვალები გაჰყინოდა. ერთმანეთს დაშორდნენ. მიხაილ სემიონოვიჩმა მეეტლეს მოუხმო, დაუყვირა: „მალო-პროვალნაია“, - ეტლით წავიდა. თხისტყავიანი კი პოდოლისკენ, თავის ბინისკენ, ქუჩას ბარბაცით გაუყვა.

*

დამით პოდოლზე, ბიბლიოთეკარის ბინაში, თხის ტყავის მფლობელი სარკის წინ წელამდე გაშიშვლებული იდგა და ხელში ანთებული სანთელი ეჭირა. თვალებში შიში ჭინკასავით უხტოდა, ხელები უკანკალებდა.. სიფილისიანი ლაპარაკობდა და ტურჩები ბავშვივით უთრთოდა.

- ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... რა საშინელებაა, რა საშინელება, რა საშინელება... ოჰ, ის დამე! მე ბედუკუღმართი ვარ. შეიერიც ხომ იყო ჩემთან ერთად, მაგრამ ჯანმრთელია, იმას არ გადასდებია, იმიტომ რომ ბედი აქვს. იქნებ წავიდე და ლელკა მოვკლა? მაგრამ რა აზრი აქვს? ვინ მეტყვის, რა აზრი აქვს? ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... მე ოცდაოთხი წლისა ვარ და შემემლო, შემემლო... გავა თხუთმეტი წელი, იქნებ ნაკლებიც, ჰოდა, თვალის გუგები სხვადასხვანაირი გამიხდება, ფეხები

მომეკვანტება, უაზრო, სულელურ ლაპარაკს დავიწყებ, მერე კი დამპალ,
დაწყლულულულ გვამად ვიქცევი.

დამტვერილ სარკეში წელამდე შიშველი, გამხდარი სხეული ირეკლებოდა, მაღალ
შემართულ ხელში სანთელი ბრიალებდა, მკერდი ნაზ, წვრილ-წვრილ,
ვარსკვლავისებურ სხურპლს დაეფარა. სნეულს ცრემლები ლოყებზე ღვარად
ჩამოსდიოდა და მთელი სხეული უცახცახებდა.

- ჯობია თავი მოვიკლა, მაგრამ საამისოდ ძალა არა მყოფნის. შენ წინაშე ხომ ვერ
ვიცრუებ, ღმერთო? შენ წინაშე ხომ ვერ ვიცრუებ, ჩემო ანარეკლო?

მან პატარა საწერი მაგიდის უჯრიდან ყოვლად უხეირო ნაცრისფერ ქაღალდზე
დაბეჭდილი თხელი წიგნი ამოიღო, რომლის გარეკანზე წითელი ასოებით იყო
გამოყვანილი: ფანტომისტები

ფუტურისტები

ლექსები: მ. შპოლიანსკისა.

ბ. ფრიდმანისა.

პ. შარკეივიჩისა.

ი. რუსაკოვისა.

მოსკოვი, 1918

საბრალო სნეულმა წიგნი მეცამეტე გვერდზე გადაშალა და ნაცნობი სტრიქონები
დაინახა: ივ. რუსაკოვი

ღმერთის ბუნაგი

ზეცის თალის მიღმა, სად ვერ აღწევს

უდაბნოთა ხვატი, კვამლიანი ხეობაა ერთი, ნადირივით თათს იწუნის

ბანჯგვლიანი დათვი, ზენა არსი

ღმერთი.

რალა სჯობს ამას, ბუნაგში დასცხეთ

ზეციერ მამას.

ღმერთთან ბრძოლის ხმა

შემოსილა

ცეცხლოვან ძოწით, ზეცის დამხობას

ვეგებები

უშვერი ლოცვით.

- ოპ, ოპ, ოპ, ოპ, - კბილი, კბილს დააჭირა და გულის წუხილით ამოიკვნესა სნეულმა,
- ოპ, - გაიმეორა მან მოუნელებელი ტანჯვით.

უცებ სახე მოედრიცა, დააფურთხა იმ გვერდზე, სადაც მისი ლექსი მიყო დაბეჭდილი, წიგნი იატაკზე დააგდო, მუხლებზე დაემხო და აკანკალებული ხელით პირჯვრის წერას მოჰყვა, თანაც თავს დაბლა ხრიდა და გაყინული შუბლით მტვრიან იატაკს ეხებოდა. მერე ჩაშავებულ უჟმურად მომზირალ ფანჯრისკენ თვალები აღაპყრო და ლოცვას მოჰყვა: - უფალო მომიტევე და შემიწყალე, ეს ბილწი სიტყვები რომ დავწერე. მაგრამ ასე სასტიკად რატომ მეპყრობი? რატომ? ვიცი, რომ სასჯელი მომივლინე! აბა, ერთი ჩემს კანს დახედე. გეფიცები ყველა წმინდანს, ყოველივეს, რაც ამქვეყნად ძვირფასია, გარდაცვლილი დედის ხსოვნას, რომ საკმარისად დავისაჯე. მე მწამხარ! მწამხარ მთელი სულით და ხორციით, ტვინის ყოველი ძაფით. მწამხარ და მხოლოდ შენ გევედრები, რადგან ქვეყნიერებაზე არავინაა, ვინც ჩემს შველას შეძლებს. მხოლოდ შენი იმედი მაქვს, სხვა არავისი. მომიტევე და წამალს შეაძლებინე, რომ მიშველოს! მომიტევე, რომ ვფიქრობდი, თითქოს არ არსებობდი: შენ რომ არ არსებობდე, ახლა უიმედო, საცოდავი, ქეციანი ძალღივი ვიქნებოდი. მაგრამ მე ადამიანი ვარ და ძალა მხოლოდ იმიტომ მაქვს შერჩენილი, რომ შენ არსებობ და ყოველ წუთს შემიდლია, შეგვედრო, შემწეობა გთხოვო. და მწამს, რომ ჩემს ვედრებას შეისმენ, მომიტევე და განმკურნავ. განმკურნე, ო, ღმერთო, დაივიწყე ის სიბილწე, უგუნურების, სიმთვრალის ჟამს რომ დავწერე კონიაკით გაბრუნებულმა. გახრწნა განმარდიე და გეფიცები, რომ კვლავ ადამიანად ვიქცევი. განამტკიცე ძალნი ჩემნი, განმარდიე კოკაინი, განმარდიე სულის სიძაბუნე, განმარდიე მიხაილ სემიონოვიჩ შპოლიანსკი.

სანთელმა ჩამოდვენთა იწყო, ოთახში აცივდა, გათენებისას სნეულს კანი წითლად აებორკლა და გულიდან კაემანი გადაეყარა.

*

მიხაილ სემიონოვიჩ შპოლიანსკიმ კი ღამის დარჩენილი ნაწილი ძალიან ბრონნაიას ქუჩაზე დაბალჭერიან დიდ ოთახში გაატარა, სადაც კედელზე ჩამოკიდებული ძველი სურათიდან მქრქალად იმზირებოდა დრო-ჟამისგან გახუნებული ორმოციანი წლების ეპოლეტები. მიხაილ სემიონოვიჩს პიჯაკი გაეხადა, ზეფირის თეთრი პერანგის ზემოდან ღრმად ამოჭრილი შავი ჟილეტი ეცვა, ვიწრო კოზეტზე იჯდა და ფერმკრთალ ქალს ეუბნებოდა: - იცი რა, იულია, მე საბოლოოდ გადავწყვიტე, სამსახური დავიწყო ამ არამზადა ჰეტმანის ჯავშნოსან დივიზიონში.

თივთიკის ნაცრისფერ შალში გახვეულმა, ნახევარი საათის წინ ვნებიანი ონეგინის ხვევნა-კოცნით გატანჯულმა და მოთენთილმა ქალმა ასე უპასუხა: - ძალიან ვწუხვარ, რომ შენი გეგმებისა არასოდეს არაფერი გამეგებოდა და არც ახლა შემიდლია გავიგო.

მიხაილ სემიონოვიჩმა კოზეტის წინ მდგარი პატარა მაგიდიდან წელში გამოყვანილი ჭიქა აიღო, სურნელოვანი კონიაკი გადაჰკრა და ქალს უთხრა: - არც არის საჭირო.

*

ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგ მიხაილ შპოლიანსკი მთლად შეიცვალა. ცილინდრის მაგივრად ოფიცრის კოკარდიანი, ლავაშივით მრგვალი ქუდი ეხურა, სამოქალაქო ტანსაცმლის ნაცვლად მოკლე ჯუბაჩა ემოსა, მუხლებამდე რომ

სწვდებოდა, და ზედ დასრესილი, ხაკისფერი სამხრეები ეკეთა. ხელებზე ფართომაჯებიანი ხელთათმანები ეცვა, როგორც მარსელს აცვია „ჰუგენოტებში“, ფეხებზე კი - გეტრები. მიხაილ სემიონოვიჩი თავით ფეხამდე მანქანის ზეთში იყო ამოსვრილი (სახეზეც კი ეცხო) და რატომღაც მური ესვა. ერთხელ, სახელდობრ ცხრა დეკემბერს, ორი მანქანა ქალაქიდან საბრძოლველად გავიდა და, უნდა ითქვას, რომ ამ მანქანებმა ჩინებული წარმატებაც მოიპოვეს. შარაგზას გაუყვნენ, ოცი ვერსის მანძილზე გალოდნენ და მათი სამდუმიანი ქვემეხების პირველივე დაქუხებისა და ტყვიამფრქვევების აწივლებისთანავე პეტლიურელთა მწკრივებმა მოკურცხლეს. მეოთხე მანქანის მეთაური, პრაპორშჩიკი სტრაშკევიჩი, სახელაჟღაჟა ენთუზიასტი, მიხაილ სემიონოვიჩს არწმუნებდა, ოთხივე მანქანა ერთად რომ გავიდეს, ქალაქის დასაცავად ესეც იკმარებსო. ეს საუბარი სტრაშკევიჩისა და შპოლიანსკის ცხრაში საღამოს ჰქონდათ, ხოლო თერთმეტ დეკემბერს, შებინდებისას, დივიზიონის მორიგე შპოლიანსკი შჩურის, კოპილოვისა და სხვების (მემიზნეების, ორი შოფრისა და მექანიკოსის) ჯგუფში აი, რას ამბობდა: - იცით, რა მეგობრებო, სიმართლეს თუ ვიტყვით, საკითხავია, სწორედ ვიქცევით თუ არა, ჰეტმანს რომ ვიცავთ. ჩვენ მის ხელში ძვირფასი და სახიფათო სათამაშო ვართ, რის მეოხებითაც იგი ყველაზე შავ რეაქციას ნერგავს. ვინ იცის, იქნებ პეტლიურას შეტაკება ჰეტმანთან ისტორიულადაა განპირობებული და ამ შეტაკების შედეგად მესამე ისტორიული ძალა უნდა წარმოიშვას, რომელიც, შესაძლოა, ერთადერთი სწორი ძალა იყოს.

მსმენელები მიხაილ სემიონოვიჩს იმის გამო აღმერთებდნენ, რის გამოც კლუბ „ფერფლში“ მოიხვეჭა სახელი, - გასაოცარი მჭევრმეტყველებისათვის.

- ეგ რომელი ძალაა - გაზეთის ნახევში გახვეული პაპიროსის ბოლებით იკითხა კოპილოვმა.

ჭკვიანმა, ჩასკვნილმა, ქერა შჩურმა ქუთუთოები ეშმაკურად მოჭუტა და თვალის ჩაკვრით სადღაც ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ ანიშნა. ჯგუფმა კიდევ ცოტა ხანს ისაუბრა და მერე დაიშალა. თორმეტ დეკემბერს საღამოთი იმავე ვიწრო წრეში მიხაილ სემიონოვიჩმა ავტომობილების ფარდულის უკან მეორე საუბარი გამართა. საგანი ამ საუბრისა უცნობი დარჩა, სამაგიეროდ, კარგადაა ცნობილი, რომ თოთხმეტი დეკემბრის წინა საღამოს, როცა დივიზიონის ფარდულებში შჩური, კოპილოვი და ცხვირპაჭუა პეტრუხინი მორიგეობდნენ, მიხაილ შპოლიანსკი ფარდულებთან მივიდა, ხელში შესაფუთ ქაღალდში გახვეული დიდი პაკეტი ეჭირა. გუშაგმა შჩურმა იგი ფარდულში შეუშვა, სადაც სადაგელი ნათურა წითლად ბჟუტავდა, ხოლო კოპილოვმა ტომარაზე თვალით საკმაოდ მოურიდეblად ანიშნა და ჰკითხა: - მაქარია?

- ჰო, - უპასუხა მიხაილ სემიონოვიჩმა.

ფარდულში ფარანი მანქანებთან ხან აქ და ხან იქ ციმციმებდა. შეფიქრიანებული მიხაილ სემიონოვიჩი მექანიკოსთან ერთად ფუსფუსებდა და მანქანებს სახვალიოდ ამზადებდა.

ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ დივიზიონის მეთაურმა, კაპიტანმა პლემჰომ შემდეგი შინაარსის ქაღალდი მიიღო: „თორმეტ დეკემბერს, დილის რვა საათზე პეჩორსკზე ოთხივე მანქანა გაიყვანეთ“.

მიხაილ შპოლიანსკისა და მექანიკოსის ერთობლივმა მეცადინეობამ, რათა მანქანები საბრძოლველად მოემზადებინათ, უცნაური შედეგი გამოიღო. ჯერ კიდევ წინა დღეს სრულიად ჯანსაღი სამი მანქანა (მეოთხე საბრძოლველად იყო ასული სტრაშკევიჩის მეთაურობით) თოთხმეტი დეკემბრის დილას ადგილიდან ვეღარ იძვროდა, თითქოს დამბლა დასცემიათო. რა დაემართა ამ მანქანებს, ვერავის გაეგო. ჟიკლიორებში რაღაც სისამაგლე დალექილიყო. რამდენს არ ეცადნენ მათ გამოქრევას საბურავების ტუმბოებით, მაინც ვერაფერს გახდნენ. დილის ბინდბუნდზე სამივე მანქანას შეწუხებული ხალხი ფარნების შუქზე დასტრიალებდა. ფერმიხდილი კაპიტანი პლემჰო თვალებს მგელივით აბრიალებდა და მოითხოვდა, მექანიკოსი მოიყვანეთო. აი, მაშინ დაიწყო უბედურებათა რიგი. მექანიკოსი გაქრა. გამოირკვა, რომ მისი მისამართი, ყოველგვარი წესის საწინააღმდეგოდ, მთელ დივიზიონში არავინ იცოდა. ხმა გავრცელდა, მექანიკოსს უცაბედად პარტახტიანი ტიფი შეჰყრიაო. ეს რვა საათზე მოხდა. ცხრის ნახევარზე კი კაპიტანმა პლემჰომ მეორე დარტყმა იგემა. პრაპორშჩიკი შპოლიანსკი მანქანებთან ჯახირის შემდეგ ღამის ოთხ საათზე თურმე პეჩორსკისკენ გაემართა. იგი იქ შჩურს მოტოციკლეტით წაეყვანა. შპოლიანსკი იქიდან აღარ დაბრუნებულა. დაბრუნდა მხოლოდ შჩური და სამწუხარო ამბავი მოიტანა. მოტოციკლეტით თურმე ვერხნაია ტელიჩკაში გავიდნენ. იქ შჩური ამაოდ ცდილა, პრაპორშჩიკ შპოლიანსკისთვის უგუნური განზრახვა გადაეთქმევინებინა. ხსენებულმა შპოლიანსკიმ, ვისი არაჩვეულებრივი სიმამაცის ამბავიც მთელმა დივიზიონმა იცოდა, შჩური მიატოვა, კარაბინი და ხელყუმბარა წაიღო და სიბნელეში რკინიგზის ლიანდაგის დასაზვერად მარტო გაემართა. შჩურმა სროლის ხმა გაიგონა. შჩური ნაღდად დარწმუნებულია, რომ ტელიჩკაში მტრის მოწინავე ცხენოსანმა პატრულმა ჩამოიქროლა, შპოლიანსკის წააწყდა და, რა თქმა უნდა, უთანასწორო ბრძოლაში მოკლა. შჩურმა პრაპორშჩიკს ორი საათი უცადა, თუმცა მისგან ნაბრძანები ქონდა, მხოლოდ ერთ საათს მოეცადა, შემდეგ კი დივიზიონში დაბრუნდა, რათა საკუთარი თავი და სახაზინო მოტოციკლეტი №8175 ხიფათში არ ჩაეგდო.

შჩურის ნაამბობის შემდეგ კაპიტანი პლემჰო უფრო მეტად გაფითრდა. ჰეტმანისა და გენერალ კარტუზოვის შტაბების ტელეფონთა ჩიტები მორიგეობით მღეროდნენ და მანქანების გამოსვლას მოითხოვდნენ. ცხრა საათზე სახელაჟღაჟა ენთუზიასტი სტრაშკევიჩი მეოთხე მანქანით ბრძოლიდან დაბრუნდა და თავისი სილაჟღაჟის ნაწილი დივიზიონის მეთაურის ლოყებსაც უწილადა. ენთუზიასტმა მანქანა პეჩორსკისკენ წაიყვანა და, როგორც უკვე ვთქვით, მოსკოვის ქუჩა გადაკეტა.

დილის ათი საათის შემდეგ პლემჰოს სახეზე ფერი აღარ მოსვლია. უკვალოდ გაქრა ორი მემიზნე, ორი შოფერი და ერთი მეტყვიამფრქვევე. მანქანების ადგილიდან დაძვრის ყოველი ცდა უშედეგო გამოდგა. აღარ დაბრუნებულა კაპიტან პლემჰოს ბრძანებით ბრძოლის ადგილას მოტოციკლეტით წასული შჩური. თავისთავად ცხადია, არც მოტოციკლეტი დაბრუნებულა, რადგან თავისით ვერ დაბრუნდებოდა. ტელეფონის ჩიტებმა მუქარა იწყეს. დღე რაც უფრო იკრებდა ძალას, დივიზიონში სულ უფრო მეტი სასწაული ხდებოდა. გაქრნენ არტილერისტები დუვანი და მალცევი და კიდევ მეტყვიამფრქვევეთა ერთი წყვილი. მანქანებს რაღაც უცნაური იერი მიეცა, თითქოს უპატრონოდ მიუგდიათო. მათ გვერდით არეულ-დარეულად ეყარა ქანჩები, გასაღებები და ვედროები.

შუადღისას კი, შუადღისას თვით დივიზიონის მეთაური კაპიტანი პლემჰოც გაუჩინარდა.

უცნაურ გადანაცვლებათა და გადასროლათა შედეგად, რასაც ხან სტიქიური საომარი ვითარება, ხან შიკრიკთა მოსვლა, ხანაც შტაბის ყუთთა წრიპინი იწვევდა, პოლკოვნიკ ნაი-ტურსის ნაწილი სამი დღე-ღამის განმავლობაში ქალაქგარეთ თოვლის შვავებსა და ნამქერებს შორის დაეხეტებოდა წითელი დუქნის სამხრეთით მდებარე სერებრიანკამდე და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პოსტ-ვოლინსკამდე. ცამეტი დეკემბრის საღამოს კი ნაწილი კვლავ ქალაქში დაბრუნდა იმ შესახვევში, სადაც მიტოვებული სანახევროდ ფანჯრებჩალეწილი ყაზარმები იდგა.

პოლკოვნიკ ნაი-ტურსის ნაწილი ძალზე უცნაური გახლდათ, მნახველებს აოცებდა ამ ნაწილის მებრძოლთა თექის ჩექმები. უკანასკნელი სამი დღე-ღამის დამდეგს ნაწილში ას ორმოცდაათამდე იუნკერი და სამი პრაპორშჩიკი ირიცხებოდა.

პირველი ლაშქრის მეთაურ გენერალ-მაიორ ბლოხინთან დეკემბრის პირველ რიცხვებში სამუალო ტანის, შავგვრემანი, სუფთად წვერგაპარსული, მწუხარეთვალეებიანი, ჰუსართა პოლკოვნიკის სამხრეებიანი კავალერისტი გამოცხადდა და გაეცნო, ბელგრადელ ჰუსართა ყოფილი პოლკის მეორე ესკადრონის ყოფილი მეთაური, პოლკოვნიკი ნაი-ტურსი გახლავართო. ნაი-ტურსს უბრალო ჯარისკაცური მაზარა ეცვა, მკერდს გიორგის ჯვრის გახუნებული ლენტი უმშვენებდა, ოდნავ კოჭლობდა, თვალები კი ისეთი მწუხარე ჰქონდა, ვისაც გამოელაპარაკებოდა, ყველა მის მზერას ემორჩილებოდა და უაღრესი ყურადღებით უსმენდა. გენერალ-მაიორმა ბლოხინმა ხანმოკლე საუბრის შემდეგ ნაი-ტურსს ლაშქრის მეორე განყოფილების ჩამოყალიბება დაავალა, თანაც სთხოვა, ეს საქმე ცამეტ დეკემბრამდე მოეგვარებინა. ყველასდა გასაოცრად განყოფილება ათი დეკემბრისთვის ჩამოყალიბდა და იმავე დღეს პოლკოვნიკმა ნაი-ტურსმა, რომელიც საერთოდ არაჩვეულებრივად ძუნწი მოლაპარაკე გახლდათ, შტაბის ჩიტებით ყოველი მხრიდან განაწამებ გენერალ-მაიორს ბლოხინს მოკლედ გამოუცხადა, რომ უკვე შეეძლო თავისი იუნკრებით გალაშქრება, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით: მისთვის უნდა მიეცათ ას ორმოცდაათი კაცისგან შემდგარი მთელი რაზმის საკმარი ფაფახები და თექის ჩექმები, ურომლისოდაც ნაი-ტურსს ომი ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა. გენერალმა ბლოხინმა ლაკონიურად მოლაპარაკე ენაბრჯგუ პოლკოვნიკს მოუსმინა, მომარაგების განყოფილებაში წარსადგენი მიმართვა ხალისით გამოუწერა, მაგრამ გააფრთხილა, ამ მიმართვით ალბათ ერთ კვირაზე ადრე ვერაფერს მიიღებ, რადგან მომარაგების განყოფილებებსა და შტაბებში წარმოუდგენელი დომხალი, ალიაქოთი და უწესრიგობააო. ენაბრჯგუ ნაი-ტურსმა მიმართვა გამოართვა, შეკრეჭილი უღვაში მარცხენა მხარეს ჩვეულებისამებრ შეატოკა და გენერალ-მაიორ ბლოხინის კაბინეტიდან ისე გავიდა, თავი არც მარჯვნივ მიუბრუნებია, არც მარცხნივ. თავის მობრუნება არც შეეძლო, რადგან ნაჭრილობევი კისერი გაშემებული ჰქონდა და, თუ გვერდზე გახედვა დასჭირდებოდა, მთელი ტანით უნდა შებრუნებულიყო. ნაი-ტურსი ლვოვის ქუჩისკენ გაემართა, ლაშქრის შენობიდან ათი იუნკერი (რატომღაც შაშხანებით შეიარაღებული) და ორი ორთვალა გაიყოლა და მომარაგების განყოფილებისკენ გაემურა.

მომარაგების განყოფილება ბულვარნო-კუდრიავსკაიას ქუჩაზე განცალკევებით მდგარ მშვენიერ შენობაში იყო მოთავსებული. იქ, პატარა მყუდრო კაბინეტში, რომლის კედელზე რუსეთის რუკა და ალექსანდრა ფიოდოროვნას სურათი ეკიდა,

წითელი ჯვრის დროიდან რომ შემორჩენილიყო, პოლკოვნიკ ნაი-ტურსს ტანმორჩილი, უცნაურად ლოყებალაჟღაჟებული გენერალ-ლეიტენანტი მაკუშინი დაუხვდა. გენერალ-ლეიტენანტს რუხი ქურთუკი ეცვა, რომლის ქვეშ ქათქათა პერანგი მოუჩანდა, რაც ძალიან ამსგავსებდა ალექსანდრე მეორის მინისტრს მილიუტინს.

გენერალმა ტელეფონს თავი ანება და ბავშვის ხმით, თიხის სასტვენის წრიპინს რომ წააგავდა, ნაი-ტურსს ჰკითხა; - რა გნებავთ, პოლკოვნიკო?

- ახლავე სალაშქროდ გავდივართ, - მოკლედ უპასუხა ნაიმ, - გთხოვთ სასწრაფოდ მომცეთ ფაფახები და თექის ჩექმები ოღასი კაცისთვის.

- ჰმ, - თქვა გენერალმა, ტუჩები გაღეჭა და ნაის მოთხოვნილება თითებით მოჭმუჭნა, - იცით რა, პოლკოვნიკო, ახლა ვერაფერს მოგცემთ. დღეს ნაწილების მომარაგების განრიგს შევადგენთ. გთხოვთ, ხალხი სამი დღის შემდეგ გამოგზავნოთ და წაიღოთ, მაგრამ ამდენს, სულ ერთია, მაინც ვერ მოგცემთ.

მან ნაი-ტურსის ქალღიმილი გამოსაჩენ ადგილას დადო და ზემოდან პრესპაპიე დაადო, შიშველ ქალს რომ გამოსახავდა.

- თექის ჩექმები, - აუჩქარებლად თქვა ნაიმ, თვალები ცხვირისკენ დაბრიცა და თავისი ჩექმების ცხვირებს დააცქერდა.

- რაო? - ვერ მიხვდა გენერალი და პოლკოვნიკს გაოცებული მიაცქერდა.

- ამ წუთას მომეცით თექის ჩექმები.

- ეს როგორ? როგორ? - გენერალმა თვალები, რაც კი შეეძლო, გადმოკარკლა.

ნაი კარისკენ შეტრიალდა, გამოალო და ჩათბუნებულ დერეფანში გასძახა: - ჰეი, ოცეულო!

გენერალს სახეზე ნაცრისფერი დაედო, ჯერ ნაის მიაჩერდა, მერე ტელეფონის ყურმილს, შემდეგ კუთხეში დაკიდებულ ღვთისმშობლის ხატს გახედა და კვლავ ნაის დააცქერდა სახეზე.

დერეფანში ბრაგუნი და ჩხარაჩხური გაისმა და კარებში ალექსეელი იუნკრები შემოლაგდნენ. გაიელვა უსაჩიხო ქუდების წითელმა არშიებმა და შავმა ხიშტებმა. გენერალი რბილი სავარძლიდან ნელ-ნელა წამოიმართა.

- ასეთი რამ პირველად მესმის... ეს ხომ ამბოხებაა...

- მოთხოვნილება დაწვდეთ, თქვენო აღმატებულებავ, - უთხრა მას ნაიმ, - ჩვენ აღ გვცალია, ნახევალი საათის მერე სალაშქროდ მივდივართ. ამბოხენ, მტელი უკვე ქალაქს მოადგაო.

- რა?.. რა თქვით?..

- აბა, ცოცხლად, - თქვა ნაიმ სამგლოვიარო ხმით.

გენერალმა თავი მხრებში ჩაიდვრინა. თვალები დაჭყიტა, ქალის ქვემოდან ქალადი გამოაძვრინა და აცახცახებული კალმით კუთხეში წააწერა; „გაეცით“, თანაც ზედ მელანი დააწინწკლა.

ნაიმ ქალადი გამოართვა, სახელოს ყოშში ჩაიდო და იუნკრებს მიუბრუნდა, რომელთაც ხალიჩა ტალახით დაესვარათ: - თექის ჩექმები დატვიდეთ. ცოცხლად.

იუნკრები ბრაგუნითა და ჩხარაჩხურით გავიდნენ, ნაი კი შეყოვნდა.

- მე ახლავე დავურეკავ შტაბში სარდალს და საქმეს აღვძრავ, რომ სამხედრო სასამართლოს გადაგცენ, - უთხრა მას სახეწამოჭარხლებულმა გენერალმა.

- სინჯეთ, - უპასუხა ნაიმ და ნერწყვი გადაყლაპა, - აბა, ელთი სინჯეთ, თუნდაც ცნობისმოყვარეობის გულისთვის სინჯეთ, - მან რევოლვერის გახსნილი ბუდიდან ამოშვერილ სახელურს ხელი მოჰკიდა. გენერალს სახე აუფორეჯდა და ენა მუცელში ჩაუვარდა.

- დაღეკე, ბრიყვო, ბებერო, - უცებ გულითადად უთხრა ნაიმ, - მე კი ამ კოლტს თავში გლეკავ და ფეხებს გაგაფშეკინებ.

გენერალი სავარძელში ჩაჯდა. კისერი ჭიაფრად აუნაოჭდა, სახეზე კი კვლავ ნაცრისფერი ედო. ნაი შეტრიალდა და კაბინეტიდან გავიდა.

გენერალი ტყავის სავარძელში რამდენიმე წუთს იჯდა, მერე ხატს შეხედა, პირჯვარი გადაიწერა, ტელეფონის ყურმილი აიღო და ყურთან მიიტანა. ყურმილიდან ყრუდ მოესმა უხალისო ხმა: „სადგური გისმენთ“... უცაბედად თვალწინ წარმოესახა ენაბრჯგუ ჰუსარის მწუხარე თვალეები, ყურმილი დადო და ფანჯარაში გაიხედა. ეზოში იუნკრები ფუსფუსებდნენ, ფარდულის შავი კარიდან თექის ჩექმების რუხი ნაკრაულები გამოჰქონდათ. შავ ფონზე მოჩანდა რეტდასხმული კაპტენარმუსის გამოლენჩებული სიფათი. მას ხელში ქალადი ეჭირა. ნაი ორთვალასთან ფეხებგაფარჩხული იდგა და დატვირთვას თვალს ადევნებდა. გენერალმა ძალაგამოლეული ხელით მაგიდიდან ახალი გაზეთი აიღო, გაშალა და პირველ გვერდზე წაიკითხა: მდინარე ირპენთან შეტაკებები მოხდა მტრის ცხენოსან პატრულებთან, რომელნიც სვიატოშინოში შეჭრას ცდილობდნენ... -

გაზეთი გადააგდო და ხმამაღლა თქვა: - წყეულიმც იყოს ის დღე და ის საათი, როცა ამ ამბავში ჩავერიე...

კარი გაიღო და კაპიტანი - მომარაგების უფროსის თანაშემწე შემოვიდა, უკუდო ქრცვინს რომ ჰგავდა. იგი გენერლის საყელოს ზემოთ აბურცულ ჭიაფერ ნაოჭებს მრავალმნიშვნელოვნად დააცქერდა და წარმოთქვა: - ბატონო გენერალო, ნება მომეცით, მოგახსენოთ.

- იცით რა, ვლადიმირ ფიოდოროვიჩ, - შეაწყვეტინა გენერალმა. სული ეხუთებოდა და თვალეებს სევდიანად აცეცებდა. - თავს რაღაც ცუდად ვგრძნობ... სისხლი თავში ამივარდა... ჰმ... ახლა შინ წავალ და, გეთაყვა, ამ საქმეს უჩემოდ მიხედეთ.

- არის, - უპასუხა ქრცვინმა, თან გენერალს ცნობისმოყვარედ დააცქერდა, - რას მიბრძანებთ, როგორ მოვიქცე? თექის ჩექმებს მეოთხე ლაშქარიც ითხოვს და სამთო ცხენოსანთა რაზმიც. ორას წყვილზე განკარგულებების გაცემა თქვენ ინებეთ?

- დიახ! დიახ! - გამკვივანი ხმით უპასუხა გენერალმა. - დიახ, განკარგულება მე გავეცი!
მე ვინებე! ეს გამონაკლისია! ისინი ახლავე სალაშქროდ მიდიან. დიახ, სალაშქროდ,
დიახ!!

ქრცვინს თვალეზში ცნობისმოყვარეობის ნაპერწკლებმა გაუელვა.

- სულ ოთხასი წყვილი გვაქვს...

- მერე, მე რა ვქნა? რა? - ხმა ჩაეხლიჩა გენერალს, - ხომ ვერა ვზობ?! თექის ჩექმებს ხომ
ვერა ვზობ? ხომ ვერა ვზობ? თუ ითხოვენ - მიეცით - მიეცით!!

ხუთი წუთის შემდეგ გენერალი მაკუშინი ეტლით შინ წაიყვანეს.

*

ბრესტ-ლიტოვსკის შესახვევში მდგარი ჩამკვდარებული ყაზარმები ცამეტი
დეკემბრის ღამეს გამოცოცხლდა. უზარმაზარი, ატალახებული დარბაზის კედელზე
ფანჯრებს შუა ელექტროლამპა აინთო (ფანჯრებსა და ბოძებზე ჩამოკონწიალებულმა
იუნკრებმა დღისით რაღაც მავთულები გაჭიმეს). ას ორმოცდაათი შაშხანა
ჯოჯგინებად იდგა, ბინძურ ფიცარნაგებზე კი ჭერეხივით მიყრილ იუნკრებს ეძინათ.
ფეხმორყეულ ხის მაგიდაზე პურის ქერქები, გაციებული, უგემური წვნიანის
ნარჩენებიანი ქვაბუნები, ჩანთები, ვაზნის მჭიდები იყო დახვავებული. მაგიდასთან
მჯდარ ნაი-ტურსს ქალაქის ჭრელი გეგმა გადაეშალა. სამზარეულოს პატარა ნათურას
მოხატულ ქალაღზე სხივთა კონა დაეფინა და ამ ქალაღზე დნებრი ხმელსა და
განტოტვილ ლურჯ ხეს წააგავდა.

დაახლოებით ღამის ორ საათზე ნაი-ტურსს რული მოეძალა. იგი ცხვირს
ასრუტუნებდა. ერთი-ორჯერ გეგმისკენ ისე დაიხარა, თითქოს რაღაცას აკვირდებო.
ბოლოს ხმადაბლა შესძახა: - იუნკელო?!

- გახლავართ, ბატონო პოლკოვნიკო, - უპასუხა კართან მდგარმა იუნკერმა და თექის
ჩექმების ფლაშუნით ღამპას მიუახლოვდა.

- მე ახლა დაწვები, - უთხრა მას ნაიმ, - სამი საათის მეღე გამაღვიძეთ. თუ
ტელეფონოგრამა მოვიდა, პრაპოშჩიკი ჟაღოვი გააღვიძეთ. იმის მიხედვით, ლა
შინააღსისა იქნება ტელეფონოგრამა, პრაპოშჩიკი ან გამაღვიძებს, ან ალა.

არავითარი ტელეფონოგრამა არ მოსულა... საერთოდ, იმ ღამით შტაბს ნაის რაზმი არ
შეუწუხებია. გათენებისას რაზმი ყაზარმიდან სამი ტყვიამფრქვევითა და სამი
ორთვალით გავიდა და გზას გაუყვა. გარეუბნის პატარა სახლებს სიცოცხლის
ნიშანწყალი არ ეტყობოდა, მაგრამ, როცა რაზმი ფართო პოლიტექნიკურ ქუჩაზე
გავიდა, იქ უკვე მოძრაობა შეიმჩნეოდა, ბინდბუნდში დროდადრო გაიელვებდნენ
ჯაყჯაყით მიმავალი ფურგონები, თითო-თითოდ მიღონლილობდნენ
რუხფაფახიანები. ყველანი უკან, ქალაქის შუაგულისკენ მიემართებოდნენ და ნაის
რაზმს, ცოტა არ იყოს, დაფეთებულნი უვლიდნენ გვერდს. დღის ნათელი ნელა,
ბეჯითად მატულობდა, სახაზინო აგარაკების, ბარებისა და გატკეპნილ-აჩიქნილი
გზის თავზე ბურუსი მაღლა მიიწევდა და იფანტებოდა.

ალიონიდან დილის სამ საათამდე ნაი პოლიტექნიკურ შარაგზას არ მოსცილებია, რადგან დღისით მისი მეკავშირე იუნკერი მაინც მოვიდა მეოთხე ორთვალათი და შტაბიდან გამოგზავნილი ფანქრით დაწერილი წერილი მოუტანა.

„დაიცავით პოლიტექნიკური შარაგზა და, თუ მტერი გამოჩნდა, შეებრძოლეთ“.

ეს მტერი ნაი-ტურსმა პირველად დღის სამ საათზე დაინახა, როცა ხელმარცხნივ, შორს, სამხედრო უწყების დათოვლილ მოედანზე უამრავი მხედარი გამოჩნდა. ეს გახლდათ პოლკოვნიკი კოზირ-ლემკო, რომელიც პოლკოვნიკ ტოროპეცის დისპოზიციის თანახმად პოლიტექნიკურ შარაგზას მიუყვებოდა, რათა ქალაქის შუაგულში შეჭრილიყო. პოლიტექნიკურ შარაგზამდე კოზირ-ლემკოს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, ისე რომ სინამდვილეში ქალაქს თავს კი არ ესხმოდა, არამედ შედიოდა მის სანახებში, ძლევამოსილად და ლაღად, ვინაიდან მშვენივრად იცოდა, რომ მის პოლკს კვალდაკვალ პოლკოვნიკ სოსნენკოს ცხენოსან ჰაიდამაკთა კურენი, ლურჯი დივიზიის ორი პოლკი, სეჩელ მსროლელთა პოლკი და ექვსი ბატარეა მოჰყვებოდა. როცა მოედანზე მხედრები წერტილებით გამოჩნდნენ, შრაპნელმა მოქუფრულ, სათოვლად გამზადებულ ცაში წეროებით გადმოიფრინა და მაღლა იწყო სკდომა. მერე მხედართა წერტილები შეერთდნენ, შარაგზა მთელ სიგრძეზე გაქედეს, თანდათან გაიბერნენ, ჩაშავდნენ, გაიზარდნენ და ნაი-ტურსისკენ გამოიქცნენ. იუნკერთა მწკრივებში საკეტების ჩხაკაჩხუკი ატყდა. ნაიმ სასტვენი ამოიღო, ყურისწამლებად დასტვინა და შეჰყვირა: - პილდაპილ კავალედიისკენ! ბათქებით... ცეცხლი!

მწკრივთა რუხ რიგებს ნეპერწკალმა ჩაურბინა და იუნკრებმა კოზირს პირველი ბათქი გაუგზავნეს. ამის შემდეგ ცის თალი პოლიტექნიკური ინსტიტუტის კედლებამდე სამჯერ გაიფხრიწა და ნაი-ტურსის ბატალიონმა მტრის მოსაგერიებლად ზრიალა ბათქი სამჯერ დააქუხეს. მხედართა შავი ზოლები შორს დაქუცმაცდა, გაიფანტა და შარაგზიდან გაქრა.

ამ დროს ნაის რაღაცა დაემართა. უნდა ითქვას, რომ მთელ რაზმში იგი შეშინებული არავის უნახავს, ახლა კი იუნკრებს მოეჩვენათ, თითქოს ნაიმ სადღაც ცაში რაღაც სახიფათო დაინახა, ანდა შორეთიდან საშიში ხმა შემოესმა... ერთი სიტყვით, ნაიმ იუნკრებს ქალაქისკენ წასვლა უბრძანა. ერთი ოცეული დარჩა და შარაგზას გრგვინვა-გრიალით აყრუებდა, უკანდახეულ ოფიცრებს იფარავდა. მერე ეს ოცეულიც გაქრა. ასე ირბინეს ორი ვერსი. ხან მიწაზე გაერთხმებოდნენ, დიდ გზას ექოთი აღვიძებდნენ და მერე კვლავ გარბოდნენ, ვიდრე შარაგზისა და ბრესტ-ლიტროვსკის შესახვევის გადაკვეთას არ მიაღწიეს. სწორედ ამ შესახვევში გაატარეს მათ წუხანდელი ღამე. გზაჯვარედინს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, კაციშვილი არსად ჩანდა.

აქ ნაიმ სამი იუნკერი გამოაცალკევა და უბრძანა: - პოლევაიაზე და ბოგშჩალოვსკაიაზე გაიქეცი, გაიგეთ, სად აღიან ჩვენი ნაწილები და ღა დაემართათ. თუ ფულგონები, ოღთვალეები, ანდა გადაადგილების რაიმე საშუალებანი შემოგხვდეთ, ღომლებიც ალაოლგანიზებულად იხევენ უკან, წამოიყვანეთ. თუ წინააღმდეგობა გაგიწიონ, იარაღით დაემუქრეთ, თუ დაგჭირდებათ, ესლოლეთ კიდეც.

იუნკრები უკან გაიქცნენ, მარცხნივ გაუხვიეს და უმაღლ გაუჩინარდნენ. წინიდან კი რაზმებს უცებ საიდანღაც ტყვია დაუშინეს. სახურავებზე ტყვიების რაკუნნი

თანდათან გახშირდა. ერთი იუნკერი თოვლში პირქვე ჩაემხო. თოვლი წითლად შეიღება. მერე კიდევ ერთმა ამოიგმინა და ტყვიამფრქვევის გვერდზე გაგორდა. ნაის მწკრივები გაიშალნენ და უწყვეტი ბათქაბუთქი ატეხეს შარაგზის გასწვრივ, სადაც მომხდურთა შავი მწკრივები მიწიდან თითქოს ჯადოსნური ძალით გაუთავებლივ მოძვრებოდნენ. დაჭრილი იუნკრები წამოკრიფეს, თეთრი მარლა გაიშალა. ნაის ყვრიმალეები კოპებივით დაასხდა. იგი მთელი ტანით სულ უფრო მალიმალ შეტრიალდებოდა ხოლმე ხან აქეთ, ხან იქით, რათა შორს ფლანგების მიღმა გაეხედა და დაენახა, იქ რა ხდებოდა. აშკარად ეტყობოდა, გაგზავნილ იუნკრებს რა მოუთმენლად მოელოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მათაც მოირბინეს. არაქათგამოლეული მწევრებივით ქაქანებდნენ, ძლივსლა ხიხინებდნენ. ნაი დაიძაბა, სახე მოექუფრა. პირველმა იუნკერმა ნაისთან მიირბინა, მის წინ შეჩერდა და აქოშინებულმა უთხრა: - ბატონო პოლკოვნიკო, ჩვენი ნაწილები შულიავკაზე კი არა, საერთოდ არსად ჩანან, - მერე სული მოითქვა და განაგრძო, - ჩვენს ზურგში ტყვიამფრქვევებს ისვრიან. მტრის ცხენოსანმა რაზმმა ახლა შორს, შულიავკაზე გაიარა. მგონი, ქალაქში შევიდნენ...

იუნკრის სიტყვები იმავე წამს ნაი-ტურსის ყურისწამლებმა სტვენამ დაფარა.

სამი ორთვალა ბრესტ-ლიტოვსკის შესახვევში გრიალით შეიჭრა, ჩაიგრიხინა, ფანარნაიაზე შეუხვია და ოღროზოდრო ქუჩას ჯაყჯაყით გაუყვა. ორთვალეებით ორი დაჭრილი იუნკერი წაიყვანეს. მათ თხუთმეტი შეიარაღებული ჯანმრთელი იუნკერიც გაჰყვა. წაიღეს სამივე ტყვიამფრქვევიც. ორთვალეებმა მეტი ვეღარ დაიტყეს. ხოლო ნაი-ტურსმა პირი მწკრივებისკენ მიაბრუნა და იუნკრებს ომახიანად გასძახა ისეთი უცნაური ბრძანება, რომლის მსგავსიც მათ არასოდეს გაეგონათ...

*

ლვოვის ქუჩაზე, ყოფილი ყაზარმების კედლებჩამოღადრულ, გვარიანად დათბუნებულ შენობაში ლოდინისგან გულგაწვრილებული იჯდა პირველი ქვეითი ლაშქრის მესამე განყოფილების ოცდარვა იუნკერი. ყველაზე საინტერესო ამ ამბავში ის გახვალთ, რომ გულგაწყალეებულთ მეთაურობა წილად ხვდა პირველად ნიკოლკა ტურბინს. განყოფილების მეთაური, შტაბს-კაპიტანი ბეზრუკოვი და მისი ორი თანაშემწე პრაპორშჩიკი დილას შტაბში წავიდნენ და უკან აღარ დაბრუნებულან. ეფრეიტორი ნიკოლკა, დარჩენილთა შორის წოდებით ყველაზე უფროსი, ყაზარმაში დაბორიალებდა, წარამარა ტელეფონთან მიდიოდა და აცქერდებოდა.

ასეთმა ყოფამ დღის სამ საათამდე გასტანა. იუნკრებს თანდათან მოწყენილობა დაეტყოთ. ეჰ... ეჰ...

სამ საათზე საველე ტელეფონი აწრიპინდა.

- ლაშქრის მესამე განყოფილებაა?

- დია.

- მეთაურს ტელეფონთან უხმეთ.

- საიდან რეკავთ?

- შტაბიდან...

- მეთაური არ დაბრუნებულა.
- თქვენ ვინ ხართ?
- უნტერ-ოფიცერი ტურბინი.
- თქვენ ხართ ყველაზე უფროსი?
- დიახ.
- რაზმი დაუყოვნებლივ მარშრუტის მიხედვით გაიყვანეთ!

ჰოდა, ნიკოლკამ ოცდარვა კაცი შენობიდან გაიყვანა. იუნკრები ქუჩას გაუყვანენ.

*

ალექსეი ტურბინს დღის ორ საათზე მკვდარივით ეძინა. მერე კი ისე უცებ გაეღვიძა, თითქოს წყალი გადაასხესო. სკამზე დადებულ საათს დახედა, ნახა, რომ ორს ათი წუთი აკლდა და აწრიალდა... სწრაფად ჩაიცვა თექის ჩექმები, ჯიბეებში ჩაიწყო ასანთი, პორტსიგარი, ცხვირსახოცი, ბრაუნინგი და ვაზნების ორი მჭიდვე. ჩქარობდა და ამიტომ, ხან რა ავიწყდებოდა და ხან რა... მაზარის ღილები ფაცაფუცით შეიბნია, რაღაც გაახსენდა, ჯერ შეეყოყმანდა, თავისი საქციელი სამარცხვინოდ და სიმხდალედ ეჩვენა, მერე მაგიდის უჯრიდან მაინც ამოიღო სამოქალაქო, ექიმობის დამადასტურებელი პასპორტი, ერთხანს ხელში ატრიალა, გადაწყვიტა, თან წავიღო, მაგრამ ამ დროს ელენას ძახილი შემოესმა და პასპორტი მაგიდაზე დარჩა.

- მისმინე, ელენა, - უთხრა დას ტურბინმა და თან ქამარი ნერვულად შემოიჭირა. ავი წინათგრძნობა გულს უკუმშავდა, ტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ ელენა ამ ვეებერთელა, ცარიელ ბინაში, ანიუტას ამარა რჩებოდა, - სხვა გზა არა მაქვს. ჩვენი წაუსვლელობა არ შეიძლება. უნდა ვიფიქროთ, რომ არაფერი დამემართება, დივიზიონი ქალაქის გარეუბნებს არ სცილდება, მე კი სადმე უხიფათო ადგილას ვიქნები. ღმერთმა იქნებ ნიკოლკაც გადაარჩინოს. დილას გავიგე, რომ მდგომარეობა ცოტა უფრო გართულდა, მაგრამ პეტლიურა ეგებ მოვიგერიოთ. აბა, მშვიდობით, მშვიდობით...

ელენა მარტოდმარტო მიდი-მოდოდა დაცარიელებულ სასტუმრო ოთახში პიანინოდან ალექსეის კაბინეტამდე. მის ფეხქვეშ პარკეტი წრიპინებდა. პიანინოზე ნოტები ისევ გადაშლილი იდო და მრავალფერი ვალენტინი მოჩანდა. ელენას სახეზე მწუხარება ეხატებოდა.

*

თავისი მრუდე ქუჩისა და ვლადიმირის ქუჩის კუთხეში ტურბინმა მარხილი გააჩერა. მეეტლე დაჰყაბულდა, წაგიყვანო, მაგრამ პირქუში ქშუტუნით შემზარავი ფასი მოითხოვა. თანაც ემჩნეოდა, რომ არ დაუკლებდა. ტურბინმა კბილები დააკრაჭუნა, მარხილში ჩაჯდა და მუზეუმის მხარეს გაემართა. ყინავდა...

ალექსეი ტურბინს გული ძალზე აფორიაქებული ჰქონდა. ტყვიამფრქვევების შორეულ კაკანს მიაყურადა, სადაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხარეს, თითქოს სადგურის მიმართულებით რომ გაისმოდა. ფიქრობდა, ნეტა ეს რას უნდა ნიშნავდესო (ბოლბოტუნის შუადღის ვიზიტი ძილში გამოეპარა), თავს აქეთ-იქით

ატრიალებდა და ტროტუარებს აკვირდებოდა. ტროტუარებზე უთავბოლო, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი მოძრაობა იყო.

- გააჩერე... გააჩ... - გაისმა მთვრალი კაცის ხმა

- რა ამბავია? - მრისხანედ იკითხა ტურბინმა.

მეეტლემ სადავეები ისე მოსწია, რომ ტურბინს კინაღამ კალთაში ჩაუვარდა. ხელნასთან ვიღაცა ბარბაცებდა, სახე წითლად ულიოდა. იგი სადავეს ჩასჭიდებოდა და მარხილისკენ მიბარბაცებდა, მოთრიმლულ ჯუბაჩაზე პრაპორშჩიკის დაჭმუჭნული სამხრეები უელავდა. ცალი ხელით შაშხანას იქნევდა. ტურბინს ერთი არშინიდან ეცა სპირტისა და ხახვის სუნნი.

- მოაბ... ბოაბ... მოაბრუნე, - თქვა სახეჩაწითლებულმა მთვრალმა, - გადმო... გადმოსვი ეგ მგზავრი... - სიტყვა „მგზავრი“ პირწითელს უცებ სასაცილოდ ეჩვენა და ჩაიხიბხითა.

- რა ამბავია? - მრისხანედ გაიმეორა ტურბინმა. - ვერ ხედავთ, მარხილში ვინ ზის? მე შესაკრებ პუნქტებში მივდივარ. მეეტლეს თავი გაანებეთ. დაიძარ!

- არა, არ დაიძრა... - მუქარით თქვა პირწითელმა. თვალები აახამხამა და ტურბინის სამხრეები მაშინლა შეამჩნია, - ოჰ, ექიმო, ერთად წავიდეთ... მეც ჩავჯდები...

- ჩვენ ერთი გზა არა გვაქვს... დაიძარ!

- ნება მი...ბოძეთ...

- დაიძარ!

მეეტლემ თავი კისერში ჩაიძვრინა, მარხილის დაძვრა დააპირა, მერე გადაიფიქრა, შემოტრიალდა და პირწითელს თან ბრაზით, თან შიშით დააცქერდა, მაგრამ მან უცებ თავი თვითონ მიანება, რადგან ცარიელი მარხილი დაინახა. ცარიელი მარხილის პატრონი გაცლას ცდილობდა, მაგრამ ვერ მოასწრო, პირწითელმა შაშხანა ორივე ხელით აღმართა და მეეტლეს დაემუქრა. მეეტლე ერთ ადგილას გაშეშდა და პირწითელი მისკენ ბორძიკითა და სლოკინით წაბანცალდა.

- ეს რომ მცოდნოდა, ხუთასადაც არ წამოვიდოდი, - ბუზღუნებდა გულმოსული მეეტლე და ჯაგლაგს გავაზე მათრახს უტყლაშუნებდა, - ზურგში ტყვიას მოგაკერებენ და მერე უყარე კაკალი.

ტურბინი პირქუშად დუმდა.

„უჰ, ეს ვიგინდარა... ამისთანები გვიტეხენ სახელს“, - ფიქრობდა გაგულისებული.

გზაჯვარედინზე, ოპერის თეატრთან დიდი ფაციფუცი და მოძრაობა იყო. შუა ტრამვაის ხაზზე ტყვიამფრქვევი გამოეგორებინათ, რომელსაც ტანმორჩილი, აბუზული შავმაზარიანი, ყურებშეფუთნული კადეტი და რუხმაზარიანი იუნკერი დარაჯობდნენ. ტროტუარზე ბუზებივით ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილი გამვლელები ტყვიამფრქვევს ცნობისმოყვარედ უცქერდნენ. აფთიაქთან, ქუჩის კუთხეში, საიდანაც უკვე მოჩანდა მუზეუმის შენობა, ტურბინმა მეეტლე გაუშვა.

- უნდა დამიმატოთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, - ბრაზით და დაჟინებით უთხრა მეეტლემ, - ეს რომ მცოდნოდა, სულაც არ წამოვიდოდი, ხომ ხედავთ, რა ამბავია.

- იკმარე, რაც მოგეცი.

- ბავშვები რატომღა გახვიეს ამ უბედურებაში... - გაისმა ქალის ხმა.

ტურბინმა შეიარაღებულთა გროვა მუზეუმთან ახლავდა დაინახა. გროვა აქეთ-იქით ირხეოდა და თანდათან იზრდებოდა. მაზარის კალთებს შორის, ტროტუარზე, ბუნდოვნად გაიელვა ტყვიამფრქვევმა. ამ დროს პეჩორსკზე ტყვიამფრქვევის გაცხარებული ჭახჭახი ატყდა.

ვრა... ვრა... ვრა... ვრა...ვრა... ვრა... ვრა... ვრა...

„მგონი რაღაც დომხალი დაიწყო“, - გაიფიქრა დაბნეულმა ტურბინმა და გზაჯვარედინიდან მუზეუმისკენ აჩქარებული ნაბიჯით გაემართა.

„ნუთუ დამაგვიანდა? რა სირცხვილია... ვაითუ იფიქრონ, გაიპარაო“.

პრაპორშჩიკები, იუნკრები, კადეტები, აქა-იქ ჯარისკაცები აღვზნებულნი მიმორბოდნენ მუზეუმის უზარმაზარ სადარბაზოსა და გვერდითა დამსხვრეულ ჭიშკართან, რომელიც ალექსანდრეს გიმნაზიის მოედანზე გადიოდა. კარის უშველებელი მინები წარამარა ზრიალებდა, კარი კვნესოდა და მუზეუმის მრგვალ თეთრ შენობაში, რომლის ფრონტონს ამშვენებდა ოქროსვარაყიანი წარწერა: „რუსი ხალხის სასიკეთოდ და განსანათლებლად“, -

შეიარაღებული, ტანსაცმელდაჭმუჭნული, აღელვებული იუნკრები შემორბოდნენ.

- ღმერთო ჩემო! - უნებურად შეჰყვირა ტურბინმა, - ისინი უკვე წასულან.

მორტირები ტურბინს მდუმარედ შესცქეროდნენ, გუშინდელ ადგილზე უპატრონოდ მიტოვებულნი ეულად იდგნენ, „ვერაფერი გამიგია... ეს რას უნდა ნიშნავდეს?“

ტურბინმა თავადაც არ იცოდა, მოედნის განაპირას, მესერთან მდგარი ქვემეხებისკენ რატომ გაიქცა. მესერს რაც უფრო უახლოვდებოდა, ქვემეხები მით უფრო იზრდებოდნენ და ტურბინს მრისხანედ უცქერდნენ. განაპირა მორტირთან მივიდა და უცებ ადგილზე გაშეშდა: მორტირი უსაკეტოდ იდგა. ტურბინი სწრაფად შეტრიალდა, მოედანი სირბილით უკანვე გადაჭრა და კვლავ ქუჩაზე გავარდა. იქ კიდევ უფრო მეტი ხალხი ირეოდა, ერთდროულად მრავალნი ყვიროდნენ, ხიშტები ხტოდა და ქანაობდა.

- კარტუზოვს მოვუცადოთ! აი, რა უნდა ვქნათ! - შეშფოთებული გაჰკიოდა ვიღაცა. ერთმა პრაპორშჩიკმა ტურბინს გზა გადაუჭრა. ზურგზე ყვითელი უნაგირი წამოეკიდა და უზანგები უკან მისთრევადა.

- პოლონურ ლეგიონს მიეცით.

- მერედა სად არის?

- ეშმაკმა უწყის.

- ყველანი მუზეუმში შევიდეთ! ყველანი მუზეუმში შევიდეთ!

- დონისკენ წავიდეთ!

პრაპორშჩიკი უცებ შეჩერდა და უნაგირი ტროტუარზე დააგდო.

- სად ჯანდაბას მივათრევ! ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი, - შეჰყვირა გააფთრებულმა, -
ოჰ, შტაბელებო, მე თქვენი...

იგი განზე გაიქცა, თან ვიღაცას მუშტით ემუქრებოდა.

„ყველაფერი დაიღუპა... ახლა გასაგებია... მაგრამ საშინელება ის არის, რომ ისინი
ალბათ ქვეითად წავიდნენ. დიახ, დიახ, დიახ... უეჭველად. პეტლიურამ ალბათ
მოულოდნელად შემოუტია. ცხენები არ ჰყავდათ და შაშხანების ამარა წავიდნენ,
უქვემეხებოდ...ოჰ, ღმერთო ჩემო... ანჟუსკენ უნდა გავიქცე... იქნებ იქ შევიტყო
რაიმე... უთუოდ შევიტყო, იქ მაინც ვინმე ხომ დარჩებოდა?“

ტურბინი იმ ორომტრიალიდან გამოსხლტა და ისე გაიქცა უკან, ოპერის თეატრისკენ,
ყურადღება არაფრისთვის მიუქცევია. მოასფალტებულ ბილიკზე, თეატრს გარშემო
რომ უვლიდა, უცებ ქარმა ჩაიქროლა და შავფანჯრიან გვერდითა შესასვლელთან,
თეატრის კედელზე სანახევროდ აგლეჯილი აფიშის კიდე ააფრიალა. კარმენი.
კარმენი.

აი, ანჟუც. ფანჯრებში აღარ ჩანს ქვემეხები, აღარც ოქროსფერი სამხრეები. ფანჯრებში
ცეცხლის ათინათი ცახცახებს და ლივლივებს. ხანძარია? ტურბინი კარის სახელურს
ჩაეჭიდა, კარმა გაიჩხაკუნა, მაგრამ არ გაიღო. ტურბინმა შეშფოთებით დააკაკუნა.
კიდეც დააკაკუნა. მინიან კარს იქით რუხი ლანდი გაკრთა; კარი გაიღო და ტურბინი
მაღაზიაში შევიდა. იგი უცნობს გაოგნებული დაამტერდა. მას შავი, სტუდენტური
მაზარა ეცვა, თავზე სამოქალაქო, ჩრჩილისაგან შეჭმული ყურებიანი ქუდი ეხურა.
ქუდის ყურები კეფაზე აეკეცა. სახე საოცრად ნაცნობი, მაგრამ თითქოს რაღაცით
დაუშნობელი და შეცვლილი ჰქონდა. ღუმელი გააფთრებით გუგუნებდა და
ქაღალდის ფურცელს ნთქავდა. იატაკიც ერთიანად ქაღალდებით იყო მოფენილი.
დამხვდურმა ტურბინი შიგნით შეუშვა, მაგრამ არაფერი განუმარტავს, უმალ
ღუმლისკენ გაეშურა და იქ ჩაცუცქდა. სახეზე მეწამული ათინათი აუთამაშდა.

„მალიშევია? დიახ, პოლკოვნიკი მალიშევია“. - იცნო ტურბინმა.

პოლკოვნიკს უღვაში აღარ ჰქონდა, სუფთად გაპარსული საულვაშე ლურჯად
მოუჩანდა.

მალიშევმა ხელები განივრად გაშალა, იატაკიდან ქაღალდის ფურცლები მოხვეტა და
ღუმელში შეტენა.

„ჰო...ო“.

- რა მოხდა? დასრულდა? - ყრუ ხმით ჰკითხა ტურბინმა.

- დასრულდა, - მოკლედ უპასუხა პოლკოვნიკმა, წამოხტა, მაგიდისკენ გაქანდა,
თვალი მიავლ-მოავლო, უჯრები რამდენჯერმე ჯახუნით გამოსწია და შესწია,
სწრაფად დაიხარა, იატაკზე დაგდებულ ქაღალდის უკანასკნელ დასტას ხელი

წამოავლო და ღუმელში შეჭუჭყნა. ტურბინისკენ მხოლოდ ამის შემდეგ შემოტრიალდა და დამცინავად, წყნარი ხმით დაუმატა: - რაც ვიომეთ ისიც გვეყოფა! - მერე უბეში ხელი ჩაიყო, საფულე სწრაფად ამოიღო, საბუთები შეამოწმა, რომელიღაც ორი ფურცელი ჯვარედინად გადაფხრიწა და ღუმელში შეაგდო. ტურბინმა ამასობაში იგი კარგად შეათვალიერა. მალიშევი პოლკოვნიკს აღარაფრით ჰგავდა. ტურბინის წინ ახლა საკმაოდ ჩამკვრივებული სტუდენტი იდგა, ჟოლოსფერი, შემუშპებული ტუჩები მოყვარულ მსახიობს რომ ამგვანებდა.

- ექიმო? ეგ რა არის? - მალიშევმა ტურბინს მხრებზე შემფოთებით მიუთითა. - სასწრაფოდ მოიხსენით. რას სჩადით? საიდან მოდიხართ? ნუთუ არაფერი იცით?

- მე დამაგვიანდა, პოლკოვნიკო, - წამოიწყო ტურბინმა.

მალიშევმა მხიარულად გაიღიმა. მერე ღიმილი სახიდან უცებ ჩამოიცილა, შემკრთალმა თავი დამნაშავესავით გააქნია და წარმოთქვა: - ოჰ, ღმერთო ჩემო, ჩემი ბრალია! მე ხომ ეს დრო დაგინიშნეთ... გეტყობათ, დღეს შინიდან არ გამოსულხართ. ჰო, კარგი. ახლა ამაზე ლაპარაკის დრო აღარ არის. ერთი სიტყვით: სამხრეები საჩქაროდ მოიძვრეთ და გაიქეცით, დაიმაღეთ.

- რა მოხდა? თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, რა მოხდა?..

- რა მოხდა? - დამცინავი სიმხიარულით კითხვა დაუბრუნა მალიშევმა, - ის მოხდა, რომ პეტლიურა ქალაქშია, პეჩორსკზეა, თუ უკვე კრემჩატიკზეც არ მოსულა. ქალაქი მის ხელშია. - მალიშევმა უცებ კბილები დაკრიჭა, თვალები დაბრიცა და მოულოდნელად მოყვარული მსახიობივით კი არა, კვლავ ადრინდელი მალიშევივით შესძახა: - შტაბებმა გვიღალატეს. დილასვე უნდა გავქცეულიყავით და თავისთვის გვეშველა. მე, საბედნიეროდ, კარგი ხალხის შემწეობით, ყველაფერი წუხელვე შევიტყვე და დივიზიონის გაფანტვა მოვასწარი. ექიმო, ფიქრის დრო აღარ არის, სამხრეები მოიძვრეთ!

- ... მერედა იქ მუზეუმში, მუზეუმში...

მალიშევს სახე მოექუშა.

- ეგ მე არ მეხება, - ბრაზიანად უპასუხა მან, - არ მეხება! ახლა უკვე აღარაფერი მეხება. ახლახან იქ ვიყავი, ვიყვირე, გავაფრთხილე, ვემუდარე, დაიშალეთ-მეთქი. მეტი არაფერი შემიძლია. ჩემიანები ყველანი გადავარჩინე. სასაკლაოზე არ გავგზავნე! - მალიშევი უცებ ისტერიკულად აყვირდა, ეტყობოდა, გულში რაც დაჰგროვებოდა, ამოხეთქვას ლამობდა და თავის შეკავება აღარ შეეძლო. - უჰ, გენერლებო! - მან მუშტები შეკუმშა და ვიღაცას დაემუქრა. სახე წამოუჭარხლდა.

ამ დროს ქუჩაში, სადღაც ზემოთ, ტყვიამფრქვევი აწივლდა და მეზობლად მდგარი დიდი სახლი შეაზანზარა.

მალიშევი შეკრთა და უმაღ ხმას დაუწია.

- აბა, ექიმო, მოვკურცხლოთ! მშვიდობით, გაიქეცით! მაგრამ ქუჩაზე კი არ გახვიდეთ, აი, აქედან, უკანა კარიდან გადით, მერე ეზო-ეზო გაიპარეთ. იქით ჯერ კიდევ არის გასასვლელი. იჩქარეთ.

მალიშვემა თავგზააბნეულ ტურბინს ხელი ჩამოართვა, სწრაფად შეტრიალდა და ტიხარს იქით, სიბნელეში გაუჩინარდა. მაღაზიაში უმაღლესი სიბნელე ჩამოვარდა. ქუჩაში კი ტყვიამფრქვევი დუმდა.

დადგა მარტოობის ჟამი. ღუმელში ქაღალდი იწვოდა.. თუმცა მალიშვევი ასე აჩქარებდა, ტურბინი კარისკენ დუნედ, ნელა გაემართა, საგდული მოსინჯა, კოჭაკში ჩაუყარა და ღუმელთან დაბრუნდა. თუმცა აჩქარებდნენ, იგი აუჩქარებლად მოძრაობდა, ფეხები თოთქოს მოძვარდობდა, გონება მოსდუნებოდა, ფიქრები აბლანდობდა. ცეცხლმა ქაღალდი ჩანთქა და ჩაბჟუტა. ღუმლის პირიდან მხიარული ალის ენების ნაცვლად მოწითალო წიაღილა მოჩანდა, მაღაზიაში უმაღლესი ჩამოხველდა. კედლებზე, რუხ ჩრდილებში თაროები ერთმანეთს ეკვროდა. ტურბინმა თაროები შეათვალიერა და დუნედ გაიფიქრა, მაღამ ანჟუსთან სუნამოს სუნი აქამდე კიდევ დგასო. ნაზი და სუსტი სურნელი ჯერაც იგრძნობოდა.

ტურბინს ფიქრები უფორმო გუნდად შეეკრა და იგი ერთხან სრულიად უაზროდ იცქირებოდა იქით, სადაც უღვაშაპარსული პოლკოვნიკი გაუჩინარდა. მერე სიჩუმეში გუნდა თანდათან დაიშალა. ამოტივტივდა უმთავრესი, ყველაზე მსჭვალავი ფიქრი - პეტლიურა აქ არის. „პეტურა, პეტურა“, - სუსტი ხმით გაიმეორა ტურბინმა და ჩაიციხა, თავადაც არ იცოდა, რატომ, მერე იაქათაღზე ჩამოდებულ სარკესთან მივიდა, რომელსაც მტვრის ფენა მერდინივით გადაჰკვროდა.

ქაღალდი დაწვა, უკანასკნელი მოწითალო ენა ერთხანს, თითქოს გასაღიზიანებლად იატაკზე ცახცახებდა და მერე გაქრა. იქაურობა ბინდებუნდმა მოიცვა.

- პეტლიურა, რა სიგიჟეა... ქვეყანა ნამდვილად დაღუპულია, - ჩაილაპარაკა ტურბინმა ბინდით მოცულ მაღაზიაში, და უცებ გამოერკვა: - რა დროს ამაზე ფიქრია, ხომ შეიძლება, აქ შემოიჭრან?

იგი ისევე აწრიალდა, როგორც მალიშვევი წრიალებდა წასვლისას, სამხრეები ჩამოიგლიჯა, ძაფები დაწყდა და ტურბინს ხელში შერჩა ორი დაბინდული, ვერცხლისფერი ზოლი გიმნასტიურისა და ორიც მწვანე - მაზარისა. ტურბინმა სამხრეებს დახედა, ხელში შეატრიალა, უნდოდა, ჯიბეში ჩაეწყო და სამახსოვროდ შეენახა, მაგრამ დაფიქრდა, სახიფათოდ მიიჩნია და გადაწყვიტა, დაეწვა. თუმცა მალიშვემა მთელი საბუთები დაწვა, საწვავის ნაკლებობა მაინც არ ყოფილა. ტურბინმა იატაკიდან აბრეშუმის ნაკუწების მთელი ხვავი წამოხვეტა, ღუმელში შეტენა და ცეცხლი წაუკიდა. კედლებზე და იატაკზე ისევ აცეკვდნენ მაჯლაჯუნები და მაღამ ანჟუს სამყოფელი ცოტა ხნით კიდევ გამოაცოცხლეს. ალში გახვეული ვერცხლისფერი ზოლები დაიბრიცა, ბუმტ-ბუმტად აიბურცა, ჩამუქდა და მერე დაიგრიხა.

ტურბინის გონებაში დიახაც მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა - კარისთვის რა უნდა ექნა? ჩარაზული დაეტოვებინა თუ გაეღო? ვთქვათ, ტურბინივით ჩამორჩენილმა რომელიმე მოხალისემ უცაბედად მოიბრინოს და თავის შესაფარებლად ადგილი ვერსად ნახოს? ტურბინმა საგდული კოჭაკიდან ამოაძრო. მერე გონება შანთივით დაუდალა ფიქრმა: პასპორტი თუ წამოიღო? ჯერ ერთ ჯიბეზე იტაცა ხელი, მერე მეორეზე, მაგრამ ამაოდ. დიახ! დავიწყებია. აი ხათაბალა! უცებ იმათ რომ გადააწყდეს? რუხი მაზარა აცვია. შეეკითხებინა ვინ ხარო? ეტყვის, ექიმო... მერედა, რით დაუმტკიცებს? ეშმაკმა დასწყევლოს ეს დაბნეულობა!

„იჩქარე“, - უკარნახა შინაგანმა ხმამ.

ტურბინის ბევრი აღარ უფიქრია, მაღაზია გაირბინა და იმავე გზით, რითაც მალიშვივი გაემშურა, პატარა კარიდან ჩაბნელებულ დერეფანში გასხლტა, იქიდან კი უკანა კარით ეზოში გაიჭრა.

11

უნტერ-ოფიცერი ნიკოლაი ტურბინი ტელეფონის ხმას დაემორჩილა, ოცდარვა იუნკერი ყაზარმის შენობიდან გაიყვანა და მარშრუტის მიხედვით მთელ ქალაქზე გაატარა. მარშრუტმა ტურბინი და იუნკრები სრულიად უცნაურ გზაჯვარედინზე მიიყვანა. იქაურობას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, ჭახაჭუხი კი გვარიანი იდგა. ირგვლივ - ცაში, სახურავებზე, კედლებზე ტყვიამფრქვევთა ზუზუნის გაისმოდა.

მტერი, ცხადია, აქ უნდა ყოფილიყო, რადგან ეს გახლდათ ტელეფონით ნაუწყები უკანასკნელი, საბოლოო პუნქტი, მაგრამ მომხდურნი ჯერჯერობით არსად ჩანდნენ და ნიკოლკა ცოტათი დაიბნა, აღარ იცოდა, შემდეგ რა ექნა. მისი იუნკრები, ოდნავ გაფითრებულნი, მაგრამ თავიანთი მეთაურივით მაინც გულადნი, დათოვლილ ქუჩაზე მწკრივად გაწვნენ, ხოლო მეტყვიამფრქვევე ივაშინი ტროტუარის პირას მდგარ ტყვიამფრქვევთან ჩაცუცქდა. იუნკრები თავს წამოსწევდნენ ხოლმე და თვალეგაფაციცებულნი შორს იყურებოდნენ, ელოდნენ, მაინც რა მოხდებოდა.

მათი წინამძღოლის გონება კი ისეთ მნიშვნელოვან, თავსამტკრევ ფიქრებს მოეცვა, რომ გაფითრებულიყო და ლოყები ჩასცვივნოდა. წინამძღოლს, ჯერ ერთი - ის ამბავი აოცებდა, რომ გზაჯვარედინზე იმის მსგავსიც ვერაფერი ნახა, რასაც ტელეფონით შეპირდნენ. აქ, გზაჯვარედინზე, ნიკოლკას მესამე ლაშქრის რაზმი უნდა დახვედროდა და მას თავისი იუნკრებით ამ რაზმის „მაშველობა“ გაეწია. მაგრამ რაზმი არ დახვედრიათ. დახვდათ კი არა, მისი კვალიც არსად ჩანდა.

მეორე, ის გარემოება აოცებდა, რომ ტყვიამფრქვევების საბრძოლო ჭახჭახი დროდადრო არამარტო წინიდან, არამედ მარცხნიდან და ზოგჯერ უკნიდანაც მოისმოდა. მესამე, ეშინოდა, ვაითუ შევშინდეო და ერთთავად საკუთარ თავს ამოწმებდა: „მეშინია?“ - „არა, არ მეშინია“, - მხნედ უპასუხებდა შინაგან ხმას და ნიკოლკაც, იმით გაამაყებული, მამაცი ვყოფილვარო, უფრო მეტად ფითრდებოდა. გაამაყებას ახლა ის ფიქრი მოსდევდა, თუ მომკლეს, მუსიკით დამმარხავენო. ეს ძალზე უბრალოდ მოხდება: ქუჩაში თეთრი ფარჩით მორთული კუბო მიცურავს. შიგ წევს ბრძოლაში დაღუპული უნტერ ოფიცერი ტურბინი. ცვილისფერი, კეთილშობილური სახე აქვს. სამწუხაროა, ახლა ჯვრებს რომ აღარ იძლევიან, თორემ მკერდი უსათუოდ გიორგის ჯვრითა და ლენტით ექნებოდა დამშვენებული. ჭიშკართან ქალები დგანან. „ვის მარხავენ, არ იცი?“ - „უნტერ-ოფიცერ ტურბინს...“ - ოჰ, რა ლამაზია...“ მუსიკის ხმაც გაისმის. ბრძოლაში სიკვდილი, რომ იცოდეთ, დიახაც საამოა. ოღონდაც არ იტანჯოს. მუსიკასა და ლენტებზე ფიქრმა ნიკოლკა ცოტა გაახალისა მტრის სათუო მოლოდინში, რომელიც, ცხადია, ტელეფონზე ნაბრძანებს არ ემორჩილებოდა და გამოჩენას არც აპირებდა.

- აქ მოვიცდით, - უთხრა ნიკოლკამ იუნკრებს. ცდილობდა, რაც შეიძლება, დამაჯერებელი ხმა ჰქონოდა, მაგრამ მისი ხმა არც ისე დამაჯერებლად ჟღერდა, რადგან ირგვლივ ყოველივე მაინც არ იყო ისე, როგორც უნდა ყოფილიყო.

ეს რა უაზრობაა? სად არის რაზმი? სად არის მტერი? უცნაურია ისიც, რომ თითქოს უკან, ზურგში ისვრიან.

*

წინამძღოლისა და მისი მხედრობის ლოდინს ამაოდ არ ჩაუვლია. განიცდის შესახვევზე, რომელიც გზაჯვარედინიდან ბრესტ-ლიტოვსკის შარაგზისკენ მიემართებოდა, უცაბედად სროლა ატყდა და შესახვევში რუხმაზარიანები შემოცვივდნენ. ისინი პირდაპირ ნიკოლკას იუნკრებისკენ მორბოდნენ. შაშხანა ზოგს საით გაეშვირა, ზოგს საით.

„შემოგვიარეს?“ - თავში დაჰკრა ნიკოლკას. იგი აწრიალდა, არ იცოდა იუნკრებისთვის რა ებრძანებინა, მაგრამ ერთი წამის შემდეგ სირბილით მომავალთა შორის ზოგიერთის მხრებზე ოქროსფერი ზოლები გაარჩია, და მიხვდა, ჩვენები არიანო.

ტანადი, მძიმე, სირბილისგან გახვითქული ფაფახიანი კონსტანტინელი იუნკრები უცებ შეჩერდნენ, ცალ მუხლზე ჩაიჩოქეს და ორი მკრთალად გაელვებული ბათქი გაგზავნეს იმ შესახვევისკენ, საიდანაც გამორბოდნენ. მერე წამოხტნენ, შაშხანები გადაყარეს და ნიკოლკას რაზმის წინ გზაჯვარედინი გადაირბინეს. გზადაგზა სამხრეებს იგლეჯდნენ, ჩანთებსა და ქამრებს იხსნიდნენ და აჩიჩქნილ თოვლზე ყრიდნენ. რუხმაზარიანი, ზორბა, ზორზოხი იუნკერი, ყველაზე ბოლოს რომ მორბოდა, ნიკოლკას გაუსწორდა, მისი რაზმისკენ თავი შემოაბრუნა და ქოშინით ხმამალა დაუყვირა: - გამოგყევით, ჩვენ გამოგყევით! თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ!

ნიკოლკას იუნკრები მწკრივებიდან დაფეთებულნი წამოცვივდნენ. ნიკოლკას მთლად აებნა თავგზა, მაგრამ იმავე წამს გონება მოიკრიბა, თავში ელვასავით გაურბინა ფიქრმა; „აი, ჟამი, როცა გმირობის ჩადენა შეიძლება,“ - და მჭახე ხმით შესძახა: - ადგომა არავინ გაბედოს! უსმინეთ ბრძანებას!!

„რას სჩადიან?“ - გაიფიქრა გაშმაგებულმა ნიკოლკამ.

კონსტანტინელები, - ისინი ასე ოციოდე იქნებოდნენ, - გზაჯვარედინიდან უიარაღოდ გაიჭრნენ, განივად გაჭიმულ ფანარნაიას შესახვევშივე გაიფანტნენ და ერთი ნაწილი პირველსავე უზარმაზარ ჭიშკარში შევარდა. რკინის ჭიშკარი ხრიგინით გაიღო და იუნკრები ჩექმების ბრავუნით შეცვივდნენ აზრიალებულ ჭრილში. მეორე ჯგუფი მომდევნო ჭიშკარში შევარდა. დარჩნენ მხოლოდ ხუთნი. მათ სირბილს უმატეს, პირდაპირ ფანარნაიას გაუყვნენ და შორს გაუჩინარდნენ.

ბოლოს გზაჯვარედინზე უკანასკნელმა ლტოლვილმაც შემოირბინა. მას მხრებზე მკრთალად უელავდა ოქროსფერი სამხრეები. ნიკოლკამ გამახვილებული მზერა მიაპყრო და უმაღლეს პირველი ლაშქრის მეორე განყოფილების მეთაური, პოლკოვნიკი ნაი-ტურსი.

- ბატონო პოლკოვნიკო! თქვენი იუნკრები დამფრთხალნი გარბიან! - თან შემფოთების, თან სიხარულის გამომხატველი ხმით შეაგება ნიკოლკამ.

იმავე წუთს საშინელი რაღაც მოხდა. ნაი-ტურსმა გადათქერილ გზაჯვარედინზე შემოირბინა. მაზარის კალთები ორივე მხარეს ფრანგი ქვეითი ჯარისკაცივით აეკეცა, დაჭმუჭნული ქუდი კეფაზე გადავარდნოდა და ნიკაპზე ამოდებული ღვედილა ამაგრებდა, მარჯვენა ხელში კოლტი ეჭირა, გახსნილი ბუდე კი თემოზე ეხლებოდა. დიდი ხნის გაუპარსავ შეჯაგრულ სახეზე მრისხანება ეხატებოდა, თვალები ცხვირისკენ დაბრეცოდა. ახლა, ახლოდან, მხრებზე გარკვევით მოუჩანდა ჰუსარული ტეხილი ხაზები. ნაი-ტურსმა ნიკოლკასთან სულ ახლოს მიირბინა, მარცხენა თავისუფალი ხელით წასწვდა და ჯერ მარცხენა სამხრე ააგლიჯა, მერე მარჯვენა. მაგარი, გასანთლული ძაფები ტკაცუნით დაწყდა, თანაც მარჯვენა სამხრემ მაზარის ნაგლეჯიც გაიყოლა. ნიკოლკამ იგრძნო, ნაი-ტურსს რა საოცრად ღონიერი ხელები ჰქონდა, დაბარბაცდა და მოწყვეტით დაასკდა რაღაც რბილს. ეს რაღაც მის ქვემოდან ჰყვირილით გამოსხლტა და მეტყვიამფრქვევე ივაშინი გამოდგა. მერე კი ნიკოლკას თვალეში აერია იუნკერთა დამანჭული სახეები და ყველაფერი ყირამალა დადგა. იმ წუთს ჰკუდიდან მხოლოდ იმიტომ არ შეიშალა, რომ ამის დრო არ ჰქონდა, ისე ელვისებურად მოქმედებდა პოლკოვნიკი ნაი-ტურსი. მან პირი მიიქცია დაშლილი ოცეულისკენ და ენის უჩვეულო, არნახული ბორძიკით ბრძანება დასწყვილა. ნიკოლკამ გაიფიქრა, ამ ხმას ალბათ ათ ვერსზე, ათი ვერსი რა არის, მთელ ქალაქშიაც გაიგონებენო.

- იუნკლებო! ისმინეთ ჩემი ბრძანება: მოიძლეთ სამხდეები, კოკარდები, მოიხსენით ჩანთები, გადაყალეთ იაღალი! ფანაღნაიას შესახვევიდან დაზეზჟაიაზე ეზო-ეზო გადით და პოდოლისკენ გასწიეთ! პოდოლისკენ! გზადაგზა საბუთები დახიეთ, მიიძალეთ, გაიფანტეთ, ვინც გზაზე შეგხვდებათ, თან გა-ი-ყო-ლეთ!

მერე ნაი-ტურსმა კოლტი მაღლა აღმართა და კავალერიის საყვირივით დასჭექა: - ფანაღნაიაზე! მხოლოდ ფანაღნაიაზე! შინისკენ გასწიეთ! ბლძოლა დამთავლდა! სიღბილით იაღ!

ოცეული რამდენიმე წამს გონს ვერ მოეგო. მერე იუნკრებს ერთიანად მიტკლისფერი დაედოთ. ივაშინმა სამხრეები პირდაპირ ნიკოლკას ცხვირწინ ჩამოიგლიჯა, თოვლზე დაცვივდა ჩანთები. შაშხანა ჩხარაჩხურით გასრიალდა ტროტუარის გაყინულ კუზზე. ნახევარი წუთის შემდეგ გზაჯვარედინზე ვაზნები, ჩანთები და ქამრები ეყარა. ეგდო ვიღაცის დაფხრეწილი ქუდი. იუნკრები ფანარნაიას შესახვევის ეზოებში შერბოდნენ რაზეზჟაიას ქუჩაზე გასასვლელად.

ნაი-ტურსმა კოლტი რევოლვერის ბუდეში ერთი მოქნევით ჩაიტენა, ტროტუარის პირას მდგარი ტყვიამფრქვევისკენ გაექანა, დაიხარა, ჩაცუცქდა, ტყვიამფრქვევს პირი იქით უქცია, საიდანაც მოირბინა, და ლენტი მარცხენა ხელით გაუსწორა. მერე ნიკოლკასკენ ისევე ჩაცუცქული შემოტრიალდა და გააფთრებით დაუღრიალა: - დაყლუვდი? გაიქეცი!

ნიკოლკას უცნაური ექსტაზი დაეუფლა, თითქოს დათვრაო. ეს გრძნობა საიდანღაც მუცლიდან დაეძრა და პირი უმაღლეს გაუმრა.

- არ მსურს, ბატონო პოლკოვნიკო, - უთხრა მან ნაი-ტურსს მოგუდული ხმით, ჩაცუცქდა, ლენტს ორივე ხელი ჩაავლო და ტყვიამფრქვევში შეტენა.

შორს, იქ საიდანაც ნაი-ტურსის იუნკრებმა მოირბინეს, უცაბედად რამდენიმე მხედარი გამოიჭრა. ბუნდოვნად ჩანდა, რომ მხედრებს ხელში რუხი, გამოშვლებული ხმლები ეჭირათ და მათი ცხენები ცეკვა-ცეკვით მოგელავდნენ. ნაი-ტურსმა სახელურები მოქაჩა და ტყვიამფრქვევმა წაიმღერა - არ-რა-პაა, შეჩერდა, კიდევ წაიმღერა და მერე გრძლად აჭახჭახდა. ყველგან, მარჯვნივაც და მარცხნივაც, სახლის სახურავები უმაღ აზრიალდა. მხედართა ჯგუფს რამდენიმე მხედარი კიდევ მიემატა, მერე ერთი მათგანი სადღაც გვერდზე, სახლის ფანჯარას მიენარცხა, მეორე ცხენი ყალყზე შედგა და ისე დაგრძელდა, ლამის მეორე სართულს მისწვდა, რამდენიმე მხედარი კი საერთოდ გაქრა. შემდეგ, თითქოს მიწამ პირი უყო, უცაბედად გაუჩინარდნენ დანარჩენი მხედრებიც.

ნაი-ტურსს თვალები თითქოს რაღაც შუქმა გაუნათა. მან ტყვიამფრქვევების სახელურები გადასწია, ცას მუშტით დაემუქრა და შეჰყვირა: - ბიჭები! ბიჭები!.. უჰ, შტაბელო მძოდებო...

მერე ნიკოლკასკენ შეტრიალდა და ისეთი ხმით დაუყვირა, რომ მას მოეჩვენა, კავალერიის ნაზმა საყვირმა დასჭექაო: - მოშოდდი აქაურობას, ბლიცვო ბიჭო, მოშოდდი-მეთქი!

როცა უკან გაიხედა და დარწმუნდა, ყველა იუნკერი მიიმალო, მზერა გზაჯვარედინიდან შორს, ბრესტ-ლიტოვსკის ისრის პარალელურ ქუჩას გააყოლა და გულჩამწყდარმა გამალებით შეჰყვირა: - უჰ, თქვე ეშმაკის კერძებო!

ნიკოლკა მის კვალდაკვალ შეტრიალდა და დაინახა, რომ შორს, ჯერ კიდევ კარგა შორს, კადეტსკაიას ქუჩაზე, გადამჭკნარ, დათოვლილ ბულვართან, შავი მწკრივები გამოჩნდა. მწკრივები მიწას განერთხნენ. მერე ფირნიშმა, იქვე ნაი-ტურსისა და ნიკოლკას თავს ზემოთ, ფანარნაიას შესახვევის კუთხეში: კბილის ექიმი

ბერტა იაკოვლევნა

პრინც-მეტალი -

ჭახანი მოიღო, სადღაც ჭიშკრის იქით კი მინები ჩამოიმსხვრა. ნიკოლკამ ტროტუარზე ბათქაშის ნატეხები დაინახა. ეს ნატეხები ქუჩაზე ხტუნვა-ხტუნვით გაქანდა. ნიკოლკამ ნაი-ტურსს გაკვირვებული მზერა მიაპყრო, თვალებით ეკითხებოდა, ეს მწკრივები და ბათქაში რას მოასწავებსო. ნაი-ტურსი კი ძალზე უცნაურად მოიქცა. იგი ცალ ფეხზე შეხტა, მეორე ფეხი ისე აიქნია, თითქოს მეჯლისზე და ვალსს ცეკვავსო. ტუჩებიც ყოვლად შეუფერებელმა ღიმილმა გაუპო. წამიც და პოლკოვნიკი ნაი-ტურსი ნიკოლკას ფეხებთან იწვა. ნიკოლკას გონებას შავი ბურუსი გადაეკრა. იგი ჩაცუცქდა და, თავისდა მოულოდნელად, უცრემლოდ აქვითინდა, თან პოლკოვნიკს მხრებზე ეჭიდებოდა და ცდილობდა, წამოეყენებინა. ამ დროს დაინახა, რომ ნაი-ტურსს მარცხენა სახელოდან სისხლმა უწყო გამოჟონვა, თვალები კი ცისკენ აპყრობილი დარჩა.

- ბატონო პოლკოვნიკო, ბატონო...

- უნტელ-ცელო, - წარმოთქვა ნაი-ტურსმა, თან სისხლი პირიდან ნიკაპზე ჩამოედვარა, ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოსდიოდა და ყოველ სიტყვაზე უსუსტდებოდა, - გმილობას მოეშვით, მე ვკვდები... მალე-პლავალნაია...

მან მეტის განმარტება აღარ ისურვა. ქვედა ყბა აუტოკდა, ზუსტად სამჯერ ისე აუტოკდა, თითქოს იხრჩობაო, მერე გაუჩერდა და პოლკოვნიკი ფქვილის ტომარასავით დამძიმდა.

„ასე კვდებიან? - გაიფიქრა ნიკოლკამ, - შეუძლებელია. წუთის წინ ხომ ცოცხალი იყო. ბრძოლაში სიკვდილი, ეტყობა, საშიში არ ყოფილა. მე კი რატომღაც ვერ მომახვედრეს...“

„კბილ...“

...ექიმი, -

მეორედაც გაისმა ჭახანი თავს ზემოთ და სადღაც მინები კიდევ ჩაიმსხვრა. „იქნებ მხოლოდ გონება აქვს დაკარგული?“ - უაზროდ გაიფიქრა შეძრწუნებულმა ნიკოლკამ და პოლკოვნიკს დაეჭიდა, მაგრამ მისი აწევა ვერ შეძლო. „არ მეშინია?“ - გაიფიქრა ნიკოლკამ და იგრძნო რომ შიშის ზარს აეტანა. „რატომ? რატომ? - ფიქრობდა ნიკოლკა და მაშინვე მიხვდა, რომ მწუხარება და მარტოობა აშინებდა. ახლა პოლკოვნიკი ნაი-ტურსი ფეხზე რომ იყოს, შიში ახლოსაც ვერ გაეკარებოდა... მაგრამ პოლკოვნიკი ნაი-ტურსი არ ინძრეოდა, არავითარ ბრძანებას აღარ იძლეოდა, არც იმას აქცევდა ყურადღებას, რომ მის სახელოსთან წითელი გუბე სულ უფრო იზრდებოდა და არც იმას, რომ ბათქაში კედელზე გაშმაგებით იმსხვრეოდა და ქუცმაცდებოდა. ნიკოლკას შიში იმიტომ დაეუფლა, რომ სრულიად მარტო დარჩა. გვერდიდან არც ერთი მხედარი აღარ გამოჩენილა, თავს არავინ ესხმოდა, მაგრამ ყველანი, ცხადია, მის სამტროდ იყვნენ პირშეკრულნი, ის კი უკანასკნელი დარჩა, მარტოდმარტო... ჰოდა, ნიკოლკა გზაჯვარედინიდან მარტოობას გაექცა. იგი მუცელზე მიხობავდა, ხელებს იშველიებდა, თანაც მარჯვენა ხელის იდაყვს, იმიტომ რომ, მარჯვენა ხელში ნაი-ტურსის კოლტი ჩაებლუჯა. ნამდვილი შიში მაშინ იგრძნო, როცა კუთხემდე ორი ნაბიჯილა დარჩა. აი, ახლა ფეხში მოარტყამენ და მერე ვეღარ გახობდება, პეტლიურელები მიესევინან და ხმლებით აჰკუწავენ. რა საშინელებაა, როცა წევხარ და ხმლებით გჩეხავენ... სროლით უნდა მოიგერიოს, თუ კოლტში ვაზნები დარჩა... სულ ერთნახევარი ნაბიჯილა... ცოტაც, ცოტაც... ერთიც... და ნიკოლკა კედლის იქით, ფანარნაიას შესახვევში აღმოჩნდა.

„საკვირველია, მართლაც საკვირველია, რომ ვერ მომახვედრეს. პირდაპირ სასწაულია. ეს სასწაული ღმერთმა მომივლინა, - გაიფიქრა ნიკოლკამ და თავი წამოსწია, - ნამდვილი სასწაულია... ახლა სასწაული საკუთარი თვალთ ვნახე პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი. ვიქტორ ჰიუგო. ნეტავი ელენა როგორ არის? ან ალექსეი? ცხადია, რაკილა სამხრეებს იგლეჯენ, მამ ყველაფერი დაღუპულია“.

თავით ფეხებამდე თოვლში ამოგანგლული ნიკოლკა წამოხტა, კოლტი მაზარის ჯიბეში ჩაიტენა და შესახვევში ისარივით გაექანა. ხელმარჯვნივ პირველივე ჭიშკარი ღია დახვდა. ნიკოლკამ აზრიალებულ ჭიშკარს ჩაურბინა და უღიმღამო, უჩემურ ეზოში შევიდა, რომლის მარჯვნივ წითელი აგურის ფარდულები მოჩანდა, მარცხნივ კი შეშის ზვინები იდგა, მოისაზრა, გასასვლელი შუაში იქნებაო, ფეხის სრიალით

იქითკენ გაქანდა და ჯუბაჩიან კაცს გადააწყდა. შეხედა და ცხადად დაინახა სიმულვილით მომზირალი ვიწრო თვალები, პაჭუა ცხვირი და ჟღალი წვერი - ცხვრის ტყავისქუდიანი წმინდა წყლის ნერონი. ჟღალწვერამ ნიკოლკას მარცხენა ხელი ისე შემოჰხვია, თითქოს ეთამაშებო, მარჯვენა კი მარცხენა ხელში ჩაავლო და ზურგს უკან გადაუგრინა. ნიკოლკა რამდენიმე წამს გაოგნებული იდგა. „ღმერთო ჩემო, - გაუელვა თავში, - დამიჭირა, ვძულვარ!.. პეტლიურელია...“

- უჰ, შე არამზადა! - ჩახლეჩილი ხმით შეჰყვირა ჟღალწვერამ და აქშუტუნდა., - სად გარბიხარ? გაჩერდი! მერე უცებ დაუღრიალა: - დაიჭირეთ, დაიჭირეთ, იუნკრები დაიჭირეთ. სამხრეები რომ მოიძრე არამზადავ, გგონია, ვეღარ გიცნობენ, დაიჭირეთ!

ნიკოლკა გააფთრდა, სიბრაზემ თავით ფეხამდე დაუარა. იგი ისე მოწყვეტით ჩაჯდა, რომ წელზე მაზარის სამაგრი ქამარი შემოასკდა, შეტრიალდა, არაბუნებრივი ძალით გაიწია და წითურს ხელიდან გაუსხლტა. ერთ წამს თავდამსხმელს ვეღარც ხედავდა, რადგან მისკენ ზურგი ჰქონდა მიქცეული, მაგრამ მერე შეტრიალდა და ისევ დაინახა. ჟღალწვერიანს ხელში იარაღი არ ეჭირა, საერთოდ სამხედროც არ გამოდგა, თურმე მეეზოვე ყოფილიყო. ნიკოლკას თვალთა წინ სიშმაგემ ჭიაფერ ფარდასავით გაიფრიალა და უზომო თავდაჯერება შეენაცვლა. კბილები მგლის ლეკვივით დაკრიჭა და გახურებულ პირში ქარმა და სუსხმა დაურბინა. ჯიბიდან კოლტი ამოიტაცა და გაიფიქრა; „მოგვლავ ამ მურდალს, ოღონდ შიგ ვაზნები იყოს“. საკუთარი ხმა ვეღარ იცნო, ისეთი უცხო, შემზარავი ხავილი ამოუშვა.

- მოგვლავ, შე წუნკალო! - ჩაისისინა ნიკოლკამ, კოლტი თითებით მოსინჯა და უმაღლ თავში გაუელვა, რომ აღარ ახსოვდა, როგორ უნდა გაესროლა. შეიარაღებული ნიკოლკას დანახვით თავზარდაცემული ჟღალ-ყვითელი მეეზოვე სასოწარკვეთილი დაეცა მუხლებზე და შეჰბლავლა. ნერონმა სასწაულებრივად იცვალა სახე და გველად გადაიქცა: - ოჰ, თქვენო კეთილშობილებავ! თქვენო...

ნიკოლკა, სულ ერთია, მაინც ესროდა, მაგრამ კოლტმა გასროლა არ მოისურვა. „ცარიელი ყოფილა. რა უბედურებაა!“ - ელვასავით გაჰკრა ნიკოლკას. მეეზოვე თავზე ხელებს იფარებდა, ჯერ დაჩოქილი მიჩოჩავდა, მერე ჩაცუცქდა და უკან ისე გაფორთხდა, თანაც ისეთი საშინელი ხმით ბლაოდა, ნიკოლკას ნაღდად დალუპავდა. რევოლვერის გაჯიუტებით სასოწარკვეთილმა ნიკოლკამ აღარ იცოდა, სპილენძისფერი წვერ-ულვაშით შემობარდული, აბღავლებული ხახა როგორ ჩაეჩუმებინა და მეეზოვეს მოჩხუბარი მამალივით დაახტა, ხელი მოუქნია და კოლტის ტარი კბილებში მთელი ძალით ჩასცხო, ამაზე კი აღარ უფიქრია, რომ შეიძლებოდა, ტყვიას თავად იგი გაეგმირა. ნიკოლკას სიშმაგემ უცებ გაუარა. მეეზოვე წამოხტა და იმ ჭიმკრისკენ გაიქცა, საიდანაც ნიკოლკამ ეზოში შემოიბრინა. შიშისგან ლამის ჭკუაზე შერყეული ჟღალწვერა აღარ ბლაოდა, გარბოდა, ყინულზე ფეხი უსხლტებოდა და მიბორძიკობდა, მხოლოდ ერთხელ მოიხედა და ნიკოლკამ დაინახა, რომ ნახევარი წვერი წითლად შეღებოდა. მერე მეეზოვე გაქრა... ნიკოლკა ქვემოთ გაიქცა, ფარდულს ჩაუქროლა და რაზეუჭაიაზე გამავალ ჭიმკართან მიიბრინა. აქ კი სასოწარკვეთილება დაეუფლა... მორჩა. გვიანდაა. არაფერი ეშველება. ღმერთო, კოლტიც რომ არ ისვრის... უზარმაზარ ჭანჭიკსა და ბოქლომს ამაოდ ეჯაჯგურებოდა, თავს ვეღარ გადაირჩენდა. ნაი-ტურსის იუნკრებს ეზო გაურბენიათ თუ არა, წითურ მეეზოვეს რაზეუჭაიაზე გამავალი ჭიმკარი ჩაუკეტავს და ახლა ნიკოლკას წინ გადაულახავი ზღუდე - ერთიანად გლუვი, რკინის ყრუ კედელია აღმართული.

ნიკოლკა შეტრიალდა, უჩვეულოდ ჩამოდაბლებული, ჩამობურული ცისკენ აიხედა და ბრანდმაუზერზე თვალი მოჰკრა მსუბუქ შავ კიბეს, რომელიც ოთხსართულიანი სახლის სახურავამდე აღიწვია. „ხომ არ ავიდე?“ - გაიფიქრა და უმაღლესი გაახსენდა ჭრელაჭრულა სურათი: ყვითელპიჯაკიან ნატ პირკენტონს სახეზე წითელი ნიღაბი ჩამოუფარებია და ზუსტად ასეთივე კიბეზე მიცოცავს. „ეჰ, ნატ პირკენტონი, ამერიკა... მე კი ავალ და მერე რაღას ვიზამ? სულელივით ვიჯდები სახურავზე. ამასობაში მეუბოვე პეტლიურელებს დაუძახებს. ეს ნერონი გამცემს... მე ხომ კბილები ჩავუმტვრიე... არ მაპატიებს!“

მართლაც ფანარნაიას შესახვევში გამავალი ჭიშკრის მხრიდან ნიკოლკას მეუბოვის გამწარებული ღრიალი შემოესმა: „აქეთ! აქეთ!“ მერე კი ფლოქვების თქარათქურცი გაიგონა: ნიკოლკა მიხვდა: პეტლიურას ცხენოსანი ჯარი ქალაქში ფლანგიდან შემოჭრილიყო და უკვე ფანარნაიას შესახვევში შემოდიოდა. სწორედ ამას ყვიროდა ნაი-ტურსი... ფანარნაიაზე დაბრუნება არ შეიძლებოდა.

ამ ფიქრებმა ნიკოლკას მეზობელი სახლის კედელთან მიშენებული ფარდულის გვერდით დაწყობილი შეშის გროვაზე გაუელვა. იქ როდის და როგორ აფოფხდა, თავადაც არ იცოდა. გაყინული შეშა ფეხქვეშ შეერყა, დაბორძიკდა, წაიქცა და შარვალი გაეფხრიწა, როგორც იქნა, კედლამდე მიაღწია, იქით გადაიხედა და ზუსტად ისეთივე ეზო დაინახა, იმდენად მსგავსი პირველი ეზოსი, რომ გაიფიქრა, აქაც საიდანმე ჯუბაჩიანი, წითური ნერონი გამოტყვრებო. მაგრამ არავინ გამომტყვრალა. ნიკოლკა მიწაზე ჩახტა, წელსა და მუცელში ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს რაღაც ჩასწყდაო, და იქვე ჩაჯდა, იმავე წამს კოლტი ხელში შეუხტა და გამაყრუებლად იქუხა. ნიკოლკა გაოცდა, მერე კი მოისაზრა: „დამცველი ჩაკეტილი იყო და ახლა გადავწიე. აი, შარი თუ გინდა“.

ფუი ეშმაკს!.. აქაც რაზეუჭაიაზე გამავალი ჭიშკარი გლუვი რკინისაა და ჩაკეტილია. მაშ ისევ კედელზე უნდა გადაძვრეს. მაგრამ აქ რომ შეშა აღარ აწყვია. ნიკოლკამ დამცველი გადაკეტა და რევოლვერი ჯიბეში ჩაიღო. დამტვრეული აგურების გროვაზე აბობლდა, მერე კი ციცაბო კედელზე ბუზივით აცოცდა, ფეხს ისეთ ნასვრეტებზე იკიდებდა, მშვიდობიან ჟამს კაპიკიანიც რომ ვერ შეეტეოდა. ფრჩხილები დაიგლიჯა, ხელები დაისისხლიანა, მაგრამ კედელს თავზე მაინც მოექცა, ზედ მუცლით გადაწვა და ამ დროს უკნიდან, პირველი ეზოდან გამაყრუებელი სტვენა და ნერონის ხმა მოესმა, აქ კი, მესამე ეზოში მდგარი სახლის მეორე სართულის ჩამავებული ფანჯრიდან ვიღაც ქალმა გადმოიხედა. ქალმა ნიკოლკა დაინახა, სახე შიშისგან დაემანჭა და მაშინვე მიიშალა. მეორე კედლიდან ნიკოლკა საკმაოდ მარჯვედ ჩახტა, ნამქერზე დაეცა, მაგრამ კისერში თითქოს რაღაც გაეკვანძა და თავის ქალაში რაღაც ჩაუწყდა. თუმცა თავი უზრიალებდა და თვალი უბნელდებოდა, ჭიშკრისკენ მაინც გაიქცა...

აი იღბალი! ეს ჭიშკარიც ჩაკეტილია, მაგრამ არაფერია! ჭიშკარი რიკულებიანი გამოდგა. ნიკოლკა ზედ მეხანძრესავით აცოცდა, გადაალაჯა, ქვემოთ ჩაცურდა და რაზეუჭაიას ქუჩაზე აღმოჩნდა. ქუჩა სრულიად ცარიელი იყო, ძეხორციელი არსად ჩანდა. „აქ ერთ წამს მაინც სულს მოვითქვამ, მეტს არა, თორემ გული გამისკდება“, - ფიქრობდა ნიკოლკა და გაფიცებულ ჰაერს ყლაპავდა. „ჰო... საბუთები...“ ნიკოლკამ ბლუზის ჯიბიდან გაზინთული საბუთების დასტა ამოიღო და დახია. ნახევები თოვლის ფიფქებით გაიფანტა. ამ დროს უკან, იმ გზაჯვარედინიდან, სადაც

ნიკოლკამ ნაი-ტურსი დატოვა, ტყვიამფრქვევი აკაკანდა, საპასუხოდ წინიდან, ქალაქის მხრიდან, ტყვიამფრქვევების ჭახჭახი და შაშხანების ბათქი გაისმა. გასაგებია, ქალაქი უკვე აიღეს, ქალაქში ბრძოლაა. ყველაფერი დასრულდა. ნიკოლკამ თოვლი ორივე ხელით ჩამოიფერთხა. სული რიგიანად ჯერაც ვერ მოეთქვა. კოლტი გადააგდოს? ნაი-ტურსის კოლტი? არა, არაფრის დიდებით. იქნებ როგორმე გასხლტეს? ყველგან ერთბაშად ხომ არ შემოვიდოდნენ?

ნიკოლკამ მძიმედ ამოიოხრა და უკაცრიელ რაზეზჟაიას სირბილით გაუყვა. იგრძნო, ფეხები როგორ დაღლოდა და მოსდუნებოდა. გზაჯვარედინამდე მშვიდობიანად მიაღწია. იქიდან ორი ქუჩა იწყებოდა: ერთი - ლუბოჩიცკის ქუჩა - პოდოლისკენ მიემართებოდა, მეორე - ლოვსკის ქუჩა კი ქალაქის ცენტრისკენ უხვევდა. იქვე, ტუმბასთან, სისხლის გუბე, ნეხვი, ორი გადაგდებული შაშხანა და ლურჯი, სტუდენტური ქუდი დაინახა. ნიკოლკამ თავისი ფაფახი გადააგდო და ეს ქუდი დაიხურა. ქუდი პატარა მოუვიდა, დააუშნოვა და თავქეიფა მაწანწალას, გამოგდებულ გიმნაზიელს დაამსგავსა. ნიკოლკამ ლოვსკაიას ქუჩის კუთხიდან ფრთხილად გაიხედა, ძალიან შორს, გოგმანით მიმავალი მხედრები დაინახა და მხედართა ფაფახებზე ლურჯი ზოლებიც გაარჩია. იქ რაღაც ფუსფუსი იყო და სროლის ხმა გაისმოდა. ნიკოლკამ ლუბოჩკაიაზე მოკურცხლა და ცოცხალი ადამიანი პირველად იქ დაინახა. ქუჩის მეორე მხარეს, ტროტუარზე ვიღაც ქალი გამორბოდა, შავფრთიანი ქუდი გვერდზე მოჰქცევოდა, ცალი ხელით ჩანთას მოათრევდა. ჩანთიდან თავამოყოფილი მამალი ამოხტომას ლამობდა და მთელ ქუჩას ყივილით აყრუებდა: „პეტურრა, პეტურრა“. ქალს მარცხენა ხელში გვერდგამოხეული პარკი ეჭირა და ტროტუარზე სტაფილო ეფანტებოდა. ქალი ყვიროდა, ტიროდა და კედელს აწყდებოდა. ქარივით ჩაიქროლა ვიღაც კაცმა, ყოველ მხარეს პირჯვარს ისახავდა და გაჰყვიროდა: - უფალო იესო ქრისტე! ვალოდკა, ვალოდკა! პეტლიურა მოდის!

ლუბოჩიცკაიას ბოლოში უკვე ბლომა ხალხი ირეოდა: ფუსფუსებდნენ, ჭიშკარში შერბოდნენ. ვიღაც შავპალტოიანი, შიშისგან გაოგნებული კაცი ჭიშკრისკენ გაექანა, ხელჯოხი ცხაურში შეტენა და გადატეხა.

დრო კი მიჰქროდა და მიჰქროდა, თურმე უკვე ბინდის ჟამიც ჩამომდგარიყო. როცა ნიკოლკამ ლუბოჩიცკაიადან ვოლსკის დაღმართზე ჩაუხვია, კუთხეში ელექტროფანარი სისინით აინთო. დუქანში ფარდა გრიალით ჩამოეშვა და საპნის ფხვნილის ჭრელაჭრულა კოლოფები უმაღ დაფარა... მეეტლემ ჯაგლაგს მათრახი გააფთრებით დაუშინა და ქუჩის კუთხეში ისე მკვეთრად შეახვევინა, მარხილი ლამის ნამქერში გადააბრუნა. ნიკოლკას უკან დარჩა სამსადარბაზოიანი, ოთხსართულიანი სახლი. სამივე სადარბაზოს კარები ყოველ წუთას ჯახუნობდა. ვიღაც ზღვის კატისსაყელოიანმა ნიკოლკას ჩაურბინა და ჭიშკართან ყვირილი მორთო; - პიოტრ! პიოტრ! ხომ არ შეიშალე? ჩაკეტე! ჭიშკარი ჩაკეტე!

სადარბაზოში კარის ბრაგუნი გაისმა და ნიკოლკამ გაიგონა, ჩაბნელებულ კიბეზე ქალმა როგორ ჩამოიკივლა: - პეტლიურა მოდის, პეტლიურა!

ნიკოლკა ნაი-ტურსის ნაკარნახევ, მხსნელ პოდოლს რაც უფრო უახლოვდებოდა, ქუჩაში მით უფრო მეტი ხალხი ირეოდა, ფუსფუსებდა და გარბი-გამორბოდა, მაგრამ აქ შიში ნაკლებ იგრძნობოდა. თანაც ყველანი იქით კი არ მიემუშრებოდნენ, საითაც ნიკოლკას ეჭირა გეზი, ზოგი მის საპირისპიროდაც გამორბოდა.

ზედ პოდოლის ჩასასვლელთან, რუხი ქვით ნაგები სახლის სადარბაზოდან დიდი ამბით გამოვიდა რუხ მაზარიანი, ტანმორჩილი კადეტი. თეთრ სამხრეებს ოქროსფერი ასო „ვ“ უმშვენებდა, ცხვირი ღილივით ჰქონდა დაკოსებული. კადეტი თვალებს აქეთ-იქით გულადად აჭყეტდა, მხრებზე დიდი შაშხანა თასმით გადაეკიდა. ქუჩაში გამვლელები ირეოდნენ, შეიარაღებულ კადეტს დაფეთებულნი შეხედავდნენ და გარბოდნენ... კადეტი კი ერთხანს იდგა ტროტუარზე, მერე ზემო ქალაქში სროლას ყური მედიდურად მიუგდო, თითქოს ზვერავესო, ჰაერი დაეცოდა და საითღაც წასვლა დააპირა. ნიკოლკამ მყის გეზი იცვალა, ტროტუარი სწრაფად გადაჭრა, კადეტს წინ აესვეტა, მკერდით მიაწვა და ჩურჩულით უთხრა: - შაშხანა გადააგდეთ და დაუყოვნებლივ მიიმაღეთ.

კადეტი შეკრთა, უკან დაიხია, მერე შაშხანას მუქარით წაეტანა. ნიკოლკამ კი კვლავ ნაცადი ხერხი იხმარა, მკერდით მიაწვა, სადარბაზოში შეაგდო და იქ, ორ კარს შუა, უკვე შეგონებით უთხრა: - გეუბნებით, თავს უშველეთ. მე იუნკერი ვარ. ყველაფერი დაიღუპა. პეტლიურამ ქალაქი აიღო.

- როგორ თუ აიღო? - ჰკითხა კადეტმა და პირი დააღო. მარცხენა მხარეს ერთი კბილი აკლდა.

- როგორ და ასე, - უპასუხა ნიკოლკამ, ხელი ზემო ქალაქისკენ გაიქნია და დაუმატა: - არ გესმით? ქუჩაში პეტლიურას ცხენოსანი ჯარია. მე თავი ძლივს დავაღწიე. შინ გასწით, შაშხანა დამალეთ და ყველა გააფრთხილეთ.

კადეტი გაშეშდა. ნიკოლკამ სადარბაზოში ასე გაშეშებული დატოვა. ანდა რაღა უნდა ეთქვა, როცა ასეთი მიუხვედრელი გამოდგა.

პოდოლზე ისეთი ძლიერი განგაში არ შეიმჩნეოდა, საკმაოდ დიდი ალიაქოთი კი იყო. გამვლელები ფეხს აჩქარებდნენ, თავს მაღლა ხშირ-ხშირად სწევდნენ და აყურადებდნენ, სადარბაზოებიდან და ჭიშკრებიდან მალიმალ გამოცვივდებოდნენ ხოლმე მზარეული ქალები, გზადაგზა ნაცრისფერ შალებს იხვევდნენ. ზემო ქალაქში ტყვიამფრქვევების კაკანი არ წყდებოდა. მაგრამ თოთხმეტი დეკემბრის დაბინდულ საღამოს აღარც შორიდან და აღარც ახლოდან ქვემეხების ხმა აღარ ისმოდა...

ნიკოლკას წინ გრძელი გზა ედო. სანამ პოდოლს გადასერავდა, გაყინული ქუჩები ერთიანად საღამოს ბინდში გაეხვია, ალიაქოთი და განგაში ფარანთა შუქზე აფარფატებულმა თოვლის ფაფუკმა ფანტელებმა შეანელა. თოვლის თხელი ბადის მიღმა შუქი ციმციმებდა, დუქნებსა და მაღაზიებში ნათურები მხიარულად ბრდღვიალებდა, მაგრამ ყველგან არა. ზოგი უკვე ჩაბნელებულიყო. ფიფქების კორიანტელი სულ უფრო ხშირდებოდა. როცა ნიკოლკამ თავის ქუჩას, ალექსევის ციცაბო აღმართს მიაღწია და აღმა აუყვა, № 7 სახლის ჭიშკრის წინ ასეთი სურათი დაინახა: ორი ბიჭუნა ნაცრისფერი ნაქსოვი ქურქები რომ ეცვათ და ისეთივე ნაქსოვი ქუდეები ეხურათ, დაღმართზე ციგებით ის-ის იყო ჩამოსრიალებულიყო. ერთი მათგანი, პატარა და ბურთივით ჩამრგვალებული, თოვლში ამოგანგლული იჯდა და ხარხარებდა. მეორე, ცოტა უფროსი და ტანწვრილი და დინჯი, გაკვანძულ თოვს ხსნიდა. ჭიშკართან ტყაპუჭიანი ჯეელი იდგა და ცხვირს იჩიჩქნიდა. სროლის ხმა გაძლიერდა. იქ, ზემოთ, ხან ერთგან ატყდებოდა ჭახაჭუხი, ხან მეორეგან..

- ვასკა, ვასკა, კურტუმი ტუმბას მივახეთქე! - ყვიროდა უმცროსი.

„რა არხეინად სრიალებენ“, - გაიფიქრა გაცეცხლებულმა ნიკოლკამ და ჯეელს ალერსიანი ხმით ჰკითხა: - მითხარით, გეთაყვა, იქ, ზემოთ, რა სროლაა თუ იცით?

ჯეელმა ცხვირიდან თითი გამოიღო, დაფიქრდა და ჩაინიღნია: - ჩვენები ოფიცრებს ხოცავენ.

ნიკოლკამ ჯეელს წარბშეკვრით შეხედა და კოლტის სახელური ჯიბეში ანგარიშმიუცემლად მოსინჯა.

- ოფიცრებს უსწორდებიან, ახია იმათზე! - ბრაზიანად თქვა უფროსმა ბიჭმა. - მთელ ქალაქში სულ რვაასი იყვნენ და ლაზღანდარობის მეტს არაფერს აკეთებდნენ. პეტლიურამ კი მილიონი ჯარი მოიყვანა.

ბიჭი შეტრიალდა და ციგა გაათრია.

*

პატარა სასადილო ოთახსა და აივანს შუა კრემისფერი ფარდა უმაღლესი გაიწია. საათმა ხმა ამოიღო... ტაკ-ტუკ...

- ალექსეი დაბრუნდა? - ჰკითხა ნიკოლკამ ელენას.

- არა, - უპასუხა ელენამ და ატირდა.

*

ბნელა. მთელ ბინაში ბნელა. ლამპა მხოლოდ სამზარეულოში ანთია... მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი ანიუტა ტირის. რა თქმა უნდა, ალექსეი ვასილიევიჩის დარდი ატირებს... ელენას საწოლ ოთახში ღუმელი ანთია. შეშას ცეცხლი გუზგუზით ეკიდება. ღუმლის კარიდან ალის ათინათები მოხტიან და იატაკზე ცეკვავენ. რადგან ალექსეი არსად ჩანს, ელენაც ნამტირალევია, ტაბურეტზე ზის, ლოყა მუშტზე ჩამოუდვია, ნიკოლკა კი ცეცხლის წითელ შუქთან მის ფეხთით ჩამჯდარა და ფეხები მაკრატელივით გაუფარცხავს.

პოლკოვნიკი ბოლბოტუნი... შჩეგლოვებთან დღეს ამბობდნენ, ბოლბოტუნი დიდი მთავარი მიხაილ ალექსანდროვიჩიაო. აქ, ამ ჩაბნელებულ ოთახში, სადაც მხოლოდ ალის ათინათები ელვარებს, სასოწარკვეთილება დამკვიდრებულა. რა აზრი აქვს ტირილს? ტირილით, რა თქმა უნდა ვერაფერს უშველიან. ალექსეი უთუოდ მოკლეს. ყველაფერი ცხადია, იმათ ტყვედ არავინ მიჰყვით. რაკილა შინ არ მოვიდა, მაშ დივიზიონთან ერთად შეიპყრეს და მოკლეს. ყველაზე საშინელი ის არის, რომ პეტლიურას, როგორც ამბობენ, რვაასიათასიანი რჩეული ჯარი ჰყავს. ჩვენ მოგვატყუეს, სასიკვდილოდ გაგვგზავნეს...

საიდან გაჩნდა ეს საშინელი ჯარი? სუსხიან, ლურჯსა და დაბინდულ ჰაერში ყინულოვანი ნისლისაგან თუ იშვა... გაუგებარია... გაუგებარია...

ელენა წამოდგა და ხელი წინ გაიწოდა.

- წყეულიც იყვნენ გერმანელები. წყეულიმც იყვნენ. თუ ღმერთი იმათ არ დასჯის, მაშ სამართალი არ ჰქონია. განა შეიძლება, ამის გამო არ დაისაჯონ? უთუოდ დაისჯებიან.

ისინი ისეთივე სატანჯველში ჩაცვივდებიან, როგორ სატანჯველშიც ჩვენ ჩავყარეს. დიახ, ჩაცვივდებიან.

ჩაცვივდებიანო, ისე ჯიუტად გაიმეორა, თითქოს შეულოცაო. სახესა და კისერზე მეწამული შუქი დასთამაშებდა, თვალები კი მძაფრი სიძულვილით ავსებოდა. ფეხებგაფარჩხვით მჯდომ ნიკოლკას ამ შეძახილმა სასოწარკვეთილება და სევდა მოჰგვარა.

- იქნებ ცოცხალია? - კრთომით იკითხა მან. - ხომ იცი, რაც არ უნდა იყოს, ექიმია... თუნდაც ხელში ჩაუვარდეთ, იქნებ არ მოკლან და ტყვედ წაიყვანონ...

- კატებს დაუწყებენ ჭამას, ერთმანეთს ამოხოცავენ, - ხმამაღლა თქვა ელენამ და ცეცხლს თვითონ მძულვარედ დაემუქრა.

„ეჰ, ეჰ... შეუძლებელია, ბოლბოტუნი დიდი მთავარი იყოს. არც რვაასიათასიანი ჯარი ეყოლებათ და არც მილიონიანი... თუმცა რა იცი. საშინელი დრო დადგა. ტალბერგი ჭკვიანი ყოფილა, დროზე გაასწრო. ალის ენა იატაკზე ცეკვავს. მაგრამ ხომ იყო მშვიდობიანი დროება და მშვენიერი ქვეყნები. მაგალითად, პარიზი და ლუი ქუდზე მიმაგრებული ხატებით, კლოპენ ტრულიეფუც ასეთივე ცეცხლთან მიხობავდა და თბებოდა. ისიც კი, ღატაკი, თავს კარგად გრძნობდა. მაგრამ არსად, არასოდეს არსებულა ისეთი საძაგელი ქვემძრომი, როგორც ეს წითური მეეზოვე ნერონია. რა თქმა უნდა, ყველას ვძულვართ, მაგრამ ის ხომ ნამდვილი ასპიტია! ხელი უკანიდან დამიგრინა“.

*

უცებ ფანჯრებს მიღმა ქვემეხთა გრიალი გაისმა. ნიკოლკა წამოხტა და აწრიალდა.

- გესმის? გესმის? ხომ გესმის? იქნებ გერმანელები არიან? იქნებ მოკავშირეები მოვიდნენ დასახმარებლად? ვინ უნდა იყოს? ქალაქი ხომ უკვე აიღეს და ქვემეხებს თვითონ რაღად დაუშენენ?

ელენამ მკერდზე ხელები მიიღო და უთხრა: - ნიკოლ, სულ ერთია, მაინც არ გაგიშვებ. გემუდარები, ფეხი არ გაადგა გარეთ. ნუ შეიშალე.

- მხოლოდ ანდრეას ეკლესიის მოედანზე ჩავალ, ქვემოთ გადავიხედავ და ყურს მივუგდებ. იქიდან ხომ მთელი პოდოლი მოჩანს.

- კარგი, წადი თუ შეგიძლია, ასეთ დროს მარტო მიმატოვო - წადი.

ნიკოლკა შეცბუნდა.

- კარგი, მაშ მხოლოდ ეზოში გავალ და ყურს იქიდან მივუგდებ.

- მაშ მეც გამოგყვები.

- ლენოჩკა, ალექსეი რომ დაბრუნდეს, სადარბაზოდან ხომ ზარის ხმას ვერ გავიგონებთ.

- ჰო, ვერ გავიგონებთ და შენი ბრალი იქნება.

- კარგი, ლენოჩკა, მამ პატიოსან სიტყვას გაძღვევ, რომ ეზოს იქით ნაბიჯსაც არ გადავდგამ.

- პატიოსან სიტყვას მამღვევ?

- გაძღვევ.

- ჭიშკრის გარეთ არ გახვალ? გორაზე ასვლას არ მოინდომებ? ეზოში იდგები?

- გეფიცები.

- წადი.

*

1918 წლის თოთხმეტ დეკემბერს გაბმით ბარდნიდა და ქალაქი თოვლის საბურველში ეხვეოდა. ქვემეხთა უცნაური, მოულოდნელი გრიალი ღამის ცხრა საათზე ატყდა. სროლამ მხოლოდ თხუთმეტითდე წუთი გასტანა.

ნიკოლკას თოვლი საყელოში უცვიოდა და კისერზე ადნებოდა. დათოვლილ გორაზე ასვლა ეწადა და ცდუნებას ებრძოდა. იქიდან დაინახავდა არა მარტო პოდოლს, არამედ ზემო ქალაქის ნაწილსაც, სემინარიას, მაღალი შენობების განათებული ფანჯრების ასობით რიგს, გორაკებსა და ზედ შეფენილ პატარა სახლებს, რომელთა სარკმლებში ლამპები ციმციმებს. მაგრამ პატიოსანი სიტყვა კაცმა არ უნდა გატეხოს, თორემ ამ ქვეყნად ცხოვრება შეუძლებელი იქნება. ეს სწამდა ნიკოლკას, ყოველ შორეულ, მრისხანე დაქუხებაზე იგი ღმერთს შესთხოვდა: „ღმერთო ინებე...“

მაგრამ ქვემეხთა გრიალი მიწყდა.

„ჩვენი ქვემეხები იყო“, - მწუხარედ გაიფიქრა ნიკოლკამ. ჭიშკრიდან უკან გამობრუნებულმა შჩეგლოვების ფანჯარაში შეიხედა. ფლიგელის ფანჯარაზე თეთრი ფარდა გაწეულიყო და მოჩანდა, მარია პეტროვნა პეტკას როგორ აბანავებდა. შიშველი პეტკა გობში იჯდა და უხმოდ ტიროდა, იმიტომ რომ თვალეებში საპონი ჩასდიოდა. მარია პეტროვნა პეტკას თავზე ღრუბელს აწურავდა. თოვზე თეთრეული ეკიდა და მარია პეტროვნას დიდი ჩრდილი თეთრეულის ზემოთ დაფარფატებდა. ნიკოლკამ გაიფიქრა, შჩეგლოვებთან სიმყუდროვეა და თბილაო, თვითონ კი მაზარა გაღელილი ჰქონდა და სციოდა.

*

ქალაქის ჩრდილოეთით, გარეუბნიდან რვა ვერსზე, მცველისგან მიტოვებულ, ერთიანად თეთრი თოვლით ჩაჩუმქრულ ბუდრუგანაში შტაბს-კაპიტანი იჯდა. მაგიდაზე იდო პურის ყუა, იდგა საველე ტელეფონის ყუთი და ერთი ბეწო, გაჭვარტლული, მუცელგამობერილი, სამხაზიანი ნათურა. ღუმელში ცეცხლი ოდნავლა ბჟუტავდა. ტანმორჩ კაპიტანს გრძელი, წვეტიანი ცხვირი ჰქონდა, დიდსაყელოიანი მაზარა ეცვა, მარცხენა ხელით პურის ყუას ციცქნიდა, მარჯვენით კი ტელეფონის ღილაკებს აწვებოდა, მაგრამ ტელეფონი ხმას არ იღებდა, თითქოს სული ამოხდომიაო.

კაპიტანის ირგვლივ, ხუთ ვერსზე წყვდიადის, ჩაბურული ქარბუქისა და ნამქერების გარდა არაფერი იყო.

ერთი საათიც გავიდა და შტაბს-კაპიტანმა ტელეფონს თავი მიანება. დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე მან ცხვირი აასრუტუნა და რატომღაც ხმამაღლა თქვა: - ჭკუაზე შევირყევი, ისა ჯობს, თავი მოვიკლა.

თითქოს პასუხად ტელეფონი ამღერდა.

- მეექვსე ბატარეა? - იკითხა შორეულმა ხმამ.

- დიახ, დიახ, - უპასუხა სიხარულით გულაჩუყებულმა კაპიტანმა.

შემფოთებული ხმა შორიდან ძალზე მხიარულად და ყრუდ ჟღერდა: - დაუყოვნებლივ მიჯნას ცეცხლი დაუშინეთ... - ყიყინებდა ტელეფონში იდუმალი მოსაუბრე, - გრიგალისებური... - ხმა მიწყდა. - ისეთი შთაბეჭდილება მაქვს... - ხმა ხელახლა მიწყდა.

- დიახ, გისმენთ, გისმენთ, - კბილებს სასოწარკვეთით კრეჭდა და ყურმილში ჩაჰყვიროდა კაპიტანი. კარგა ხანს სიჩუმე იდგა.

- ცეცხლს ვერ დავუშენ, - ჩასძახა ყურმილში კაპიტანმა, მშვენივრად გრძნობდა, რომ სიცარიელეს ელაპარაკებოდა, მაგრამ გაჩუმება არ შეეძლო. - ყველა ჯარისკაცი და სამი პროპორშჩიკი გამეჭვა. ბატარეაზე მარტო დავრჩი. ეს ამბავი პოსტს გადაეცით.

შტაბს-კაპიტანი ერთ საათს კიდევ იჯდა და მერე გარეთ გავიდა. ძალზე ძლიერი ქარბუქი ქროდა. ოთხი პირქუში და საზარელი ქვემეხი თოვლს მიენამქრა და მათ ლულეებსა და საკეტებს უკვე თეთრი ბიბილოები წამოზრდოდა. ცა და დედამიწა თითქოს გაერთიანებულიყო და თოშიანი ქარბუქის ღრიალში კაპიტანი ხელებს ბრძასავით აფათურებდა. ასე ბრძად დიდხანს ეწვალა, სანამ თოვლიან წყვდიადში ხელის ცეცებით არ მოხსნა პირველი საკეტი. ჯერ დააპირა, საკეტი ბუდრუგანის გვერდით ჭაში ჩაეგდო, მერე გადაიფიქრა და ბუდრუგანაში დაბრუნდა. სამჯერ კიდევ გავიდა გარეთ, საკეტები დანარჩენ ქვემეხებსაც მოხსნა და ოთხივე საკეტი იატაკის ქვეშ, სარდაფში დამალა, სადაც კარტოფილი ეყარა, მერე ლამპა ჩააქრო და წყვდიადს შეერია. ორი საათი თოვლს მიაპობდა, სრულიად უჩინარი და ლანდს მიმგვანებული. ქალაქისკენ მიმავალ შარაგზას ასე მიაღწია. შარაგზაზე აქა-იქ ფარნები მქრქალად ენთო. პირველივე ფარანთან იგი ბოხობზე ფუნჯმიმაგრებულმა მხედრებმა ხმლებით აჩეხეს, ჩექმები გაადრეს და საათი მოხსნეს.

ბუდრუგანის დასავლეთით ექვს ვერსზე, მიწურში, ტელეფონის ყურმილში იგივე ხმა გაისმა: - დაუყოვნებლივ მიჯნას ცეცხლი დაუშინეთ. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ მტერმა ჩვენსა და თქვენს შორის გაიარა და ქალაქისკენ გაემართა.

- მისმენთ? მისმენთ? - უპასუხეს მიწურიდან.

- პოსტზე შეიტყვეთ... - და ხაზი გაწყდა.

ყურმილი ისევ აყიყინდა: - უწყვეტი ცეცხლი... ცხენოსანი ჯარისკენ...

ხმა მთლად მიწყდა.

მიწურიდან ტყაპუჭიანი და ფანარმომარჯვებული სამი ოფიცერი და სამი იუნკერი გავიდა. მეოთხე ოფიცერი და ორი იუნკერი ქვემეხებთან იდგნენ ფარნის გვერდით,

რომლის ჩაქრობასაც ქარბუქი ლამობდა. ხუთი წუთის შემდეგ ქვემეხებმა დგანდგარი და სიბნელის ცხრილვა იწყეს, ირგვლივ თხუთმეტი ვერსის მანძილზე მთელი მიდამო გრიალით გააყრუეს და ხმა ალექსეევის აღმართზე № 13 სახლამდე უწიეს...ღმერთო, ინებე...

მხედართა ასეული ქარბუქის ზუზუნში ფარნის უკანა მხარეს, წყვდიადიდან გამოიჭრა და ოთხი ოფიცერი და ყველა იუნკერი ამოხოცა. მიწურში ტელეფონთან დარჩენილმა მეთაურმა ტყვია პირში იხალა.

მეთაურის უკანასკნელი სიტყვები ეს იყო: - შტაბელი არამზადები. კარგად მესმის ბოლშევიკებისა.

*

ღამით ნიკოლკამ თავის პატარა კუთხის ოთახში ზედა ფარანი ანთო და ჯიბის დანით კარზე დიდი ჯვარი ამოკვეთა, ჯვრის ქვემოთ კი ოკრობოკრო ასოებით წააწერა: „პ. ტურსი. 1918 წ. 1 დეკ. დღის ს.“.

„ნაი“ კონსპირაციის გამო ჩამოაცილა იმ შემთხვევისთვის, თუ პეტლიურელები გასაჩხრეკად მოვიდოდნენ.

არ უნდოდა, დაეძინა, რათა ზარის ხმა არ გამოჰპარვოდა, ელენას კედელზე დაუკაკუნა და უთხრა: - შენ დაიძინე, მე ვიფხიზლებ.

ამის თქმისთანავე საწოლზე ტანსაცმლიანი მიწვა და მკვდარივით ჩაეძინა. ელენას კი გათენებამდე თვალი არ მოუხუჭავს და ყური სულ კარისკენ ეჭირა, იქნებ ზარი დაირეკოსო. მაგრამ ზარი არ დარევილა, უფროსი ძმა ალექსეი დაიკარგა.

*

დადლილ, არაქათგამოლეულ კაცს ძილი ესაჭიროება. უკვე თერთმეტი საათია, მაგრამ ნიკოლკას ძილისთვის თავი მაინც ვერ წაურთმევია... უცნაურად კი სძინავს, მართალი რომ ითქვას! ჩექმები აწუხებს, ქამარი ნეკნებს ქვემოთ ჩასჭერია, საყელო სულს უხუთავს, მაჯლაჯუნა მკერდზე დასწოლია და თათები დაუბჯენია.

ნიკოლკა გულადმა გამოტილა, სახე წამოჭარხლებია, ყელიდან სტვენა ამოსდის... სტვენა!.. თოვლია და რაღაც აბლაბუდა... ჰო, ირგვლივ აბლაბუდაა, ეშმაკმა დალახვროს! მთავარია, ამ აბლაბუდას თავი როგორმე დააღწიოს, თორემ ის წყეული იზრდება, იზრდება და სახეზე ებლანდება. ჰოდა, იქნებ ისე შემოებლანდოს, რომ იქიდან თავი ვეღარ დაარწიოს! იქნებ მოახრჩოს კიდეც! აბლაბუდის იქით სპეტაკი თოვლია, ყველგან თოვლი დევს, მთელი ველები დათოვლილია. აი, ამ თოვლზე უნდა გააღწიოს, რაც შეიძლება მალე, რადგან ვიღაცამ თითქოს სადღაც შესძახა: „ნიკოლ!“ ჰოდა, ამ დროს, წარმოგიდგენიათ, საიდანღაც გამოტყვრა მკვირცხლი ჩიტი, აბლაბუდაში გაიხლართა და აჟრიკჟრიკდა... ჟრიკ-ჟრიკ, ჟრიკ-ჟრიკ, ფიუ, ფი-უ! ჟრიკ! ჟრიკ! ფუი ეშმაკს! თვითონ ჩიტი არ ჩანს, მაგრამ სტვენა სადღაც ახლოს გაისმის. ამას გარდა, ვიღაც თავის ბედს უჩივის, და ისევ მოისმის ხმა; „ნიკ! ნიკ! ნიკოლკა!“.

- ეჰ! - წამოიყვირა ნიკოლკამ, აბლაბუდა გაგლიჯა და უცებ წამოჯდა. ტანსაცმელი მთლად დასჭმუჭნოდა, ქამრის ბალთა გვერდზე მოჰქცეოდა, ქერა თმა ყალყზე დასდგომოდა, თითქოს ვიღაც დიდხანს უჩეჩავდაო.

- ვინაა? ვინ ვინ? - იკითხა დაფეთებულმა ნიკოლკამ. ძილიდან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო.

- ვინ, ვინ, ვინ, ვინ, ვინ, ვინ, ვინ, ვინ, ... ფი-ტი! ფუ-უ! ჰიუჰ! - უპასუხა აბლაბუდამ და მწუხარე ხმამ ტირილის კილოთი წარმოთქვა: - დიახ, საყვარელთან ერთად!

დაფეთებული ნიკოლკა კედელს აეკრა და მოჩვენებას მიაშტერდა. მოჩვენებას ყავისფერი ფრენჩი, ყავისფერი გალიფე შარვალი და ჟოკეისნაირი და ყვითელგადანაკეცებიანი ჩექმები ეცვა, მოკლედ შეკრეჭილი თმა, უზომოდ დიდი თავი და ღრმა უბეებში ჩამსხდარი, დანისლული, სევდიანი თვალები ჰქონდა. მოჩვენება, უეჭველია, ახალგაზრდა იყო, მაგრამ უფერული კანი ბებრულად დასჭმუჭნოდა და დაღრეცილი, ყვითელი კბილები მოუჩანდა. მოჩვენებას ხელში შავი ხელსახოცით შემობურული დიდი გალია და გახსნილი ცისფერი წერილი ეჭირა...

„ალბათ ჯერ არ გამღვიძებია“, - მოისაზრა ნიკოლკამ და ხელი გაიქნია, რომ მოჩვენება აბლაბუდასავით გაეგლიჯა, მაგრამ თითები ბადეს ატაკა და ძალზე იტკინა. შავ გალიაში ჩიტი უმაღლესადარეულივით აწიწინდა და სტვენა-ჭახჭახს მოჰყვა.

- ნიკოლკა! - სადღაც შორს გაისმა ელენას შემფოთებული ძახილი.

„უფალო იესო ქრისტე, - გაიფიქრა ნიკოლკამ, - არა, გავიღვიძე, მაგრამ მაშინვე ჰკუიდან შევიშალე. ვიცი, რატომაც შევიშალე - ბრძოლამ გადამძალა. ღმერთო ჩემო! უკვე რაღაც უაზრობას ვხედავ... მაგრამ თითები? ღმერთო!.. ალექსეი არ დაბრუნებულა... ჰო... არ დაბრუნებულა... მოკლეს... ვაი, ვაი, ვაი!“

- საყვარელთან ერთად... იმავე დივანზე, - თქვა მოჩვენებამ მწუხარე ხმით, - მე რომ ლექსებს ვუკითხავდი.

მოჩვენებამ კარისკენ გაიხედა, სადაც ალბათ ვიღაც მსმენელი ეგულეობდა, მაგრამ მერე ნიკოლკას მიაშურა: - დიახ, ალბათ ახლაც იმავე დივანზე სხედან და ერთმანეთს ჰკოცნიან... იმის მერე, რაც სამოცდათხუთმეტი ათასი მანეთის ვექსილებზე ხელი ჯენტლმენურად მოვუწერე. რადგან ჯენტლმენი ვიყავ და სამუდამოდ ჯენტლმენად დავრჩები. დაე, ჰკოცნონ ერთმანეთს!

„ო, ეჰ, ეჰ“, - გაიფიქრა ნიკოლკამ, თვალები დაჭყიტა და ზურგში ცივმა ჟრუანტელმა ჩაურბინა.

- თუმცა მომიტევეთ, - თქვა მოჩვენებამ, რომელიც თანდათან ამოტივტივდა სიზმრისეული ბურანიდან და ნამდვილ, ცოცხალ არსებას დაემგვანა, - თქვენთვის ალბათ ყველაფერი მთლად ნათელი არ არის. მაშინებეთ, ეს წერილი ყოველივეს განგიმარტავთ. მე ჯენტლმენი ვარ და ჩემს შერცხვენას არავის ვუმაღავ.

ამ სიტყვებთან ერთად უცნობმა ნიკოლკას ცისფერი წერილი მიაწოდა.

რეტდასხმულმა ნიკოლკამ გამოართვა და მსხვილი, გარკვეული, მღელვარე ხელით

ნაწერი ტუჩების ცმაცუნით ჩაიკითხა. ნაზ, ლაყვარდოვან ქალაღზე ყოველგვარი თარიღის გარეშე ეწერა: „საყვარელო, საყვარელო, ლენოჩკა! ვიცი თქვენი კეთილი გულის ამბავი და ამიტომ ჩემს ვაჟს პირდაპირ თქვენთან ვაგზავნი ნათესაურად.. თუმცა დეპეშა გამოგიგზავნეთ, მაგრამ საბრალო ბიჭი ყველაფერს თავადაც მოგიყვებათ. ლარიოსიკს დიდი უბედურება დაატყდა. დიდხანს მეშინოდა, რომ ვერ გადაიტანდა. ის ტურფა რუბცოვა, ვისზედაც ლარიოსიკი, როგორც იცით შარშან დაქორწინდა, ნამდვილი გველამუა გამოდგა! გემუდარებით, შეიფაროთ საბრალო ბიჭი და სითბო აჩვენოთ, როგორც გჩვევიათ. სახარჯო თანხას ყოველთვის დროულად გამოგიგზავნით. ლარიოსიკმა ჟიტომირი შეიძულა და არც ვამტყუნებ. მეტს ველარაფერს მოგწერთ. ძალზე ალელვებულები ვარ და თანაც სანიტარული მატარებელი უკვე გადის. ლარიოსიკი ყველაფერს თვითონ მოგიყვებათ. გკოცნით მრავალს, ვკოცნი სერიოჟასაც!“

შემდეგ გაურკვეველი ხელმოწერა ჩანდა.

- მე თან ჩიტი წამოვიყვანე, - თქვა უცნობმა და ამოიოხრა, - ჩიტი ადამიანის საუკეთესო მეგობარია. თუმცა ბევრს მიაჩნია, ჩიტი შინ არ უნდა გააჩერო, მაგრამ იმას მაინც დაბეჯითებით ვიტყვი, რომ ჩიტისგან, ყოველ შემთხვევაში, ბოროტებას არ უნდა მოელოდე.

უკანასკნელი ფრაზა ნიკოლკას ძალიან მოეწონა. იგი აღარაფრის გამორკვევას აღარ ცდილობდა, გაუგებარი წერილით წარბი მორცხვად მოიფხანა და ფეხები საწოლიდან ჩამოუშვა, თან ფიქრობდა: „რა გვარი ხარ-მეთქი, რომ ვკითხო, უზრდელობა იქნება... საკვირველი ამბავია...“

- ეს კანარის ჩიტია? - ჰკითხა მან უცნობს.

- ახლა რანაირი! - უპასუხა აღფრთოვანებულმა უცნობმა. - უბრალო კანარის ჩიტი კი არა, იშვიათი ჯიშისა, თანაც მამალია. ჟიტომირში თხუთმეტი ამისთანა ჩიტი მყავს. დედაჩემთან გადავიყვანე. დედა საჭმელს არ მოაკლებს. ის არამზადა კი ალბათ ყველას კისერს მოუგრებდა. ჩიტები სძულს. ნებას მომცემთ, გალია ჯერჯერობით თქვენს საწერ მაგიდაზე დავდგა?

- დადგით, - უპასუხა ნიკოლკამ, - თქვენ ჟიტომირიდან ჩამოხვედით?

- დიახ, - უპასუხა უცნობმა, - თანაც წარმოიდგინეთ, რა უცნაური რამ მოხდა: მე და თქვენი ძმა ერთდროულად მოვედით.

- რომელი ძმა?

- როგორ თუ რომელი? თქვენი ძმა ჩემთან ერთად მოვიდა, - უპასუხა გაოცებულმა უცნობმა.

- რომელი ძმა? - შესაბრალისად შეჰყვირა ნიკოლკამ, - რომელი ძმა? ჟიტომირიდან?

- თქვენი უფროსი ძმა....

სასტუმრო ოთახიდან აშკარად მოისმა ელენას ძახილი: - ნიკოლკა! ნიკოლკა! ილარიონ ლარიონიჩ! გააღვიძეთ! გააღვიძეთ!

„ჟრიკ! ჟრიკ! ფიუ! ფი-უ!“ - გაბმით ჩაიმღერა ჩიტმა.

ნიკოლკას ცისფერი წერილი ხელიდან გაუვარდა, წიგნების ოთახი ტყვიასავით გაირბინა, სასადილო ოთახში შევარდა და იქ ხელებგაშლილი გაშეშდა.

ალექსეი ტურბინი საათის ქვემოთ, დივანზე გაუნძრევლად იწვა, ვიღაცის სარჩულგამოხეული შავი პალტო და ვიღაცისავე შავი შარვალი ეცვა, გაფითრებულ სახეზე მოლურჯო ფერი დასდებოდა, კრიჭა შეჰკვროდა. ელენა მის გვერდით ფაციფუცობდა, ხალათის ღილები შეჰხსნოდა და შავი წინდები და საცვლების მაქმანი მოუჩანდა. იგი ტურბინს ხან ხელებზე ეჭიდებოდა, ხან მის მკერდზე ღილების შეხსნას ცდილობდა, თან ყვიროდა: - ნიკოლ! ნიკოლ!

სამი წუთის შემდეგ ნიკოლკა ქაქანით არბოდა ალექსეევის აღმართზე, სტუდენტის ქუდი კეფაზე მოჰქცეოდა, რუხი მაზარის კალთებს მიაფრიალებდა. „ვაითუ შინ არ იყოს? - ბუტბუტებდა იგი. - ღმერთო ჩემო, რა უცნაური ვინმეა, ეს ჩიტების მოყვარული! კურიცკის მოყვანა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ეს სრულიად აშკარაა... კატა და კიტი...“ ჩიტი თავში გამაყრუებლად უკაკუნებდა - კიტი, კატა, კიტი, კატა!

ერთი საათის შემდეგ სასადილო ოთახის იატაკზე წითლად შეღებილი წყლით სავსე ტაშტი იდგა, ირგვლივ მარლის წითელი ნაგლეჯები და ჭურჭლის თეთრი ნამსხვრევები იყო მიმოფანტული. ჩიტების მოყვარულს ბუფეტიდან ჭიქის გამოღება უნდოდა, მთელი ჭურჭელი კი ჩამოაზვავა. ახლა ოთახში გარბი-გამორბოდნენ და ჭურჭლის ნამსხვრევებს ღრაჭუნს გაჰქონდა. გაფითრებული ტურბინი ბალიშზე წელანდელივით გულადმა იწვა, მაგრამ სახეზე მოლურჯო ფერი აღარ ედო. გონზე მოვიდა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ წვერწვეტა, სახელოებდაკაპიწებული, ოქროსპენსნიანი ექიმი მისკენ დაიხარა და უთხრა: - გაჩუმდით, კოლეგა...

გაფითრებულმა, თვალეზღაყეტილმა ანიუტამ და თმაგაწეწილმა ოქროსფერმა ელენამ ტურბინს თავი წამოუწიეს და სახელოჩაჭრილი, სისხლითა და წყლით გაჟღენთილი პერანგის გახდა დაუწყეს.

- უფრო ღრმად ჩაჭერით, რაღა დასანანია, - უთხრა მათ წვერწვეტამ.

პერანგი მაკრატლით დაანაკუწეს და ნაჭერ-ნაჭერ გახადეს. ტურბინს გამხდარი, გაყვითლებული სხეული და მხრებამდე ერთიანად შებანდული ხელი გაუშიშვლდა. სახვევის ზემოდან და ქვემოდან ყავრის წვერები ამოჩრილიყო. ნიკოლკა დაჩოქილიყო, ტურბინს ღილებს ფრთხილად უხსნიდა და შარვალს ხდიდა.

- ყველაფერი გახადეთ და ახლავე ლოგინში ჩააწვინეთ, - გაისმა წვერწვეტას ბოხი ხმა. ანიუტა მას ხელებზე ქილით წყალს უსხამდა და საპნის ქაფი ტაშტში ფთილა-ფთილა ცვიოდა. უცნობი განზე იდგა, ალიაქოსა და ფუსფუსში არ ერეოდა და ხან დამწუხრებული დაჰყურებდა დამტვრეულ თევშებს, ხანაც სახეაწითლებული გახედავდა ელენას, რომელსაც ხალათი მთლად მოშილიფებოდა. უცნობს თვალეზღაყეტილთაგან დანამოდა.

სასადილო ოთახიდან თავის კაბინეტში გადაიყვანეს. ახლა კი მასპინძლებს უცნობიც ეხმარებოდა: დაჭრილისთვის ხელები მუხლებქვეშ ამოედო და მისი ფეხები ასე ეჭირა, როცა მიჰყავდათ.

სასტუმრო ოთახში ელენამ ექიმს ფული გაუწოდა. ექიმმა არ გამოართვა.

- ღმერთო ჩემო, ეს როგორ იქნება, - თქვა მან, - ექიმისგან? მთავარი აქ სხვა რამეა. ჰოსპიტალში წაყვანაა საჭირო...

- არ შეიძლება, - მოისმა ტურბინის სუსტი ხმა, - ჰოსპიტალში არ შეიძ...

- გაჩუმდით, კოლეგა, - შეაწყვეტინა ექიმმა, - უთქვენოდაც ყველაფერს მოვაგვარებთ. ჰო, რა თქმა უნდა, თავადაც მესმის... ეშმაკმა უწყის, რა ხდება ახლა ქალაქში... - მან თავი ფანჯრისკენ გაიქნია. - ჰო... მართალს ამბობ, ნამდვილად არ შეიძლება... კარგი, მაშ შინ დარჩეს... ამ საღამოს კიდევ მოვალ.

- სახიფათოა, ექიმო? - ჰკითხა შეშფოთებულმა ელენამ.

ექიმი პარკეტს ჩააცქერდა, თითქოს დიაგნოზი ყვითლად მოელვარე იატაკიდან უნდა ამოიკითხოსო, წვერი მოისრისა და უპასუხა: - ძვალი მთელია... ჰმ... მსხვილი ძარღვები გადარჩენილია. ნერვიც... მაგრამ ალბათ დაუჩირქდება... ჭრილობაში ტყვიას მაზარის ქსოვილის ნაჭრები შეუტანია... ხოლო სიცხე... - ექიმმა ეს ნაკლებად გასაგები სიტყვები თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, მერე ხმას აუწია და დამაჯერებლად თქვა: - ახლა სრული სიმშვიდე სჭირდება... თუ ტკივილები გატანჯავს, მორფს საღამოზე მე თვითონ გავუკეთებ. წვნიანი აჭამეთ... ბულიონი... ბევრს ნუ ილაპარაკებს...

- ექიმო, ექიმო, გეხვეწებით... ალექსეიმ გთხოვთ, არავის უთხრათ...

ექიმი მოიღუშა, ელენას ცერად შეავლო ფიქრიანი მზერა და ჩაიბუტბუტა: - რა თმა უნდა გასაგებია... მაინც ეს როგორ დაემართა?..

ელენამ თავშეკავებით ამოიოხრა და ხელები გამალა.

- კარგი, - ჩაიბუტბუტა ექიმმა და დერეფანში დათვივით გვერდულად გავიდა.

ნაწილი მესამე

12

ტურბინის პატარა საწოლი ოთახის შემინულ აივანზე გამავალ ორ ფანჯარას მუქი ფარდები ჩამოაფარეს. ოთახში ბინდ-ბუნდი ჩამოწვა და ამ ბინდბუნდში ელენას თმა ოქროსფრად გაბრწყინდა. ბალიშზე კი მოთეთრო ლაქად ჩანდა ტურბინის სახე და ყელი. შტეფსელიდან სკამისკენ მავრთული გველივით გაიკლაკნა, თალფაქის ქვემოთ მოვარდისფრო ნათურა აინთო და დღე ღამედ გადააქცია. ტურბინმა ელენას ანიშნა, კარი მიხურეო.

- ანიუტა ახლავე გააფრთხილე, სიტყვა არსად დამრას...

- ვიცი, ვიცი... ალიოშა, ბევრს ნუ ილაპარაკებ...

- თავადაც ვიცი... ხმადაბლა ვლაპარაკობ... ვაითუ ხელი წამიხდეს.

- რას ამბობ ალიოშა... იწექ, გაჩუმდი... იმ ქალის პალტო ჯერ ჩვენთან იყოს?

- ჰო. ჰო. ნიკოლკა წაღებას ნურც იფიქრებს. თორემ ქუჩაში რა ხდება... ხომ გესმის? საერთოდ, თუ ღმერთი გწამს, არსად გაუშვა.

- ღმერთმა უშველოს იმ ქალს, - გულწრფელად და ნაზად თქვა ელენამ. - ტყუილად ამბობენ კეთილი ხალხი ქვეყნად აღარ არისო...

დაჭრილს სახეზე ოდნავ სიწითლემ გადაჰკრა, თვალები დაბალ, თეთრ ჭერს მიაშტერა, მერე ელენას შეხედა და შუბლშეკრულმა უთხრა: - ჰო, ერთი ეს მითხარი, ის თავკომბალა ვინ არის?

ელენა ვარდისფერ შუქში დაიხარა და მხრები შეატოკა.

- იცი რა, შენს მოსვლამდე სულ რაღაც ორი წუთის წინ გამოგვეცხადა. სერიოჟას დისწულია, ჟიტომირელი. გაგონილი ხომ გაქვს სუჟანსკი... ლარიონი... სახელგანთქმული ლარიოსიკი.

- მერე?

- მერე ის, რომ წერილით გვეახლა. რაღაც უბედურებას გადაჰყრია. მოყოლა ის კი იყო დაიწყო და და იმ ქალმა კიდევ შენ მოგიყვანა.

- რა ჩიტი მოუყვანია, ღმერთმა უწყის...

ელენა საწოლისკენ სიცილით გადაიხარა, თვალებში კი შიში ჩასდგომოდა.

- ჩიტს კიდევ რა უშავს!.. უნდა რომ ჩვენთან იცხოვროს. რა ვქნა, აღარ ვიცი.

- იცხოვროს?..

- ჰო, ჰო... ოღონდ გაჩუმდი და ნუ იმოდრავებ, ალიოშა, გეხვეწები... დედამისი წერილში გვემუდარება. ლარიონი ხომ მისი კერპია... მე კი ამ ლარიონისთანა დოყლაპია ჩემს სიცოცხლეში არავინ მინახავს. ჯერ ჩვენთან ფეხი რიგიანად არ შემოუდგამს და მთელი ჭურჭელი დაგვიღეწა, ლურჯი სერვიზი. ორი თევზიდა გადარჩა.

- ჰოო... რა ვიცი, აბა, როგორ მოვიქცეთ...

ვარდისფერ ჩრდილში და-ძმა დიდხანს ჩურჩულებდა. შორს, კარებსა და ფარდებს იქით ყრუდ გაისმოდა ნიკოლკასა და მოულოდნელად მოვლენილი სტუმრის ხმები. ელენა ალექსეის ხელგაწვდილი ეხვეწებოდა, ცოტა ილაპარაკეო.. სასადილო ოთახიდან ხრაშა-ხრუში მოისმოდა - აფორიაქებული ანიუტა ლურჯი სერვისის ნამსხვრევებს გვიდა. ბოლოს ჩურჩულით გადაწყვიტეს: ვინაიდან ახლა ქალაქში ემმაკმა უწყის, რა ამბავი დატრიალდება, და იოლი შესაძლებელია, ოთახების სარეკვიზიციოდაც მოვიდნენ, ვინაიდან ფული არა აქვთ, ლარიოსიკის სარჩენად კი ფულს გამოგზავნიან, - ლარიოსიკი უნდა შემოისახლონ, ოღონდ იმ პირობით, თუ ტურბინთა ცხოვრების წესებს დაემორჩილება. ჩიტის თაობაზე კი ჯერ შეიცადონ; თუ ჩიტის ატანა შეუძლებელი იქნება, მისი მოშორება მოითხოვონ, ხოლო პატრონი დატოვონ. რაც შეეხება სერვიზს, ვინაიდან ელენას, რა თქმა უნდა, ენაც არ მოუბრუნდება და, საერთოდ, ასეთი რამ უზრდელობა და მემჩანობა იქნება - სერვიზი

დავიწყებას უნდა მიეცეს. ლარიოსიკს ადგილს წიგნების ოთახში მიუჩენენ, ზამბარებიან საწოლს და პატარა მაგიდას დაუდგამენ.

ელენა სასადილო ოთახში გავიდა. დამწუხრებული ლარიოსიკი თავგაქინდრული იდგა და ბუფეტს შესცქეროდა, სადაც ახლახან თორმეტი თეფში სვეტად იყო აღმართული. მღვრიე ცისფერი თვალები უაღრეს მწუხარებას გამოხატავდა. ლარიოსიკის პირდაპირ მდგარ ნიკოლკას პირი დაელო და მის ლაპარაკს ისე უსმენდა. თვალები უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით ავსებოდა.

- ჟიტომირში ტყავი არ არის, - ამბობდა დაბნეული ლარიოსიკი, - ხომ გესმით, ისეთი ტყავი, როგორსაც მიჩვეული ვარ, ნამცეციც არსად იშოვება. ჩამოვუარე მეწაღეებს, შევუძახე, ფულს რამდენსაც გინდათ, იმდენს მოგცემთ-მეთქი, მაგრამ არავის აღმოაჩნდა. ჰოდა, სხვა გზა აღარ მქონდა...

ლარიოსიკმა ელენა რომ დაინახა, გაფითრდა, ერთ ადგილას აწრიალდა, თვალები დახარა, რატომღაც ელენას ხალათის ზურმუხტისფერ ფოჩებს დააცქერდა და თქვა: - ელენა ვასილიევნა, ამ წუთას მაღაზიებს ჩამოვუვლი, ნოქრებს შევუძახებ და სერვიზს დღესვე გავაჩენ. აღარ ვიცი, რა გითხრათ, ბოდიში რანაირად მოგიხადოთ. ამ სერვიზის გამო ნამდვილად მოსაკლავი ვარ. იღბალი არაფერში მაქვს, - მიუბრუნდა იგი ნიკოლკას და მერე კვლავ ელენას მიმართა: - ახლავე ჩამოვუვლი მაღაზიებს.

- ძალიან გთხოვთ, მაღაზიებში სიარულს ნუ მოჰყვებით, მით უმეტეს, რომ მაღაზიები, რა თქმა უნდა, დაკეტილი იქნება. ნუთუ არ იცით, ქალაქში რა ხდება?

- როგორ არ ვიცი! - შესძახა ლარიოსიკმა, - მე ხომ სანიტარული მატარებლით ჩამოვედი, როგორც დეპეშით შეიტყობდით.

- რა დეპეშით? - ჰკითხა ელენამ. - ჩვენ დეპეშა არ მიგვიღია.

- რა? - ლარიოსიკმა პირი დაალო. - არ მიგიღიათ? მეც არ გამიკვირდა, - იგი ნიკოლკას მიუბრუნდა, - ისე გაცეხული რომ მიყურებდით... კი მაგრამ... დედაჩემმა ხომ სამოცდასამსიტყვიანი დეპეშა გამოგიგზავნათ.

- ჰმ... ჰმ... სამოცდასამსიტყვიანი! - განცვიფრდა ნიკოლკა. - რა დასანანია. ახლა ხომ დეპეშები ძალზე ცუდად მოდის. უფრო სწორად, სულაც არ მოდის.

- მაშ ახლა რა ვქნათ? - დამწუხრდა ლარიოსიკი. - ნებას მომცემთ, თქვენთან დავრჩე? - მან უმწეოდ მიმოიხედა და თვალებზე უმაღ შეეტყო, რომ ტურბინების ოჯახი ძალიან მოსწონდა და აქედან არსად წასვლას არ ისურვებდა.

- ყველაფერი მოგვარებულია, - უპასუხა ელენამ და თავი მოწყალედ დაუქნია. - ჩვენ თანახმა ვართ. დარჩით და მოეწყვეთ. ხომ ხედავთ, ჩვენს თავს რა უბედურებაა.

ლარიოსიკი უფრო მეტად დამწუხრდა. თვალები ცრემლებმა დაუნისლა.

- ელენა ვასილიევნა! - გრძნობამორევით თქვა მან. - რაც გნებავთ, ის დამავალეთ. რომ იცოდეთ, შემიძლია, ზედიზედ სამი-ოთხი ღამე ვიფხიზლო.

- გმადლობთ, დიდად გმადლობთ.

- ახლა კი, - ლარიოსიკი ნიკოლკას მიუბრუნდა, - თუ შეიძლება მაკრატელი მომეცით.

განცვიფრებისა და ცნობისმოყვარეობისგან აფორიაქებული ნიკოლკა სადღაც გაქრა და მაკრატელი მოარბენინა. ლარიოსიკმა ფრენჩის ღილს ხელი შეავლო, თვალები აახამხამა და კვლავ ნიკოლკას მიუბრუნდა: - თუმცა უკაცრავად, ერთი წუთით თქვენს ოთახში შევიდეთ...

ნიკოლკას ოთახში ლარიოსიკმა ფრენჩი გაიხადა, ძალზე ჭუჭყიანი პერანგი გამოაჩინა, მაკრატელი მოიმარჯვა, ფრენჩის შავად გაპოხილი სარჩული გაარღვია და ფულის სქელი მომწვანო-მოყვითალო დასტა გამოაძვრინა. ეს დასტა სასადილო ოთახში საზეიმოდ შეიტანა, ელენას მაგიდაზე დაუდო და უთხრა: - აი, ელენა ვასილიევნა, ნება მომეცით, ჩემი შესანახი ფული ახლავე მოგართვათ.

- რა გეჩქარებათ, - უთხრა წამოწითლებულმა ელენამ, - მერეც შეგეძლოთ, მოგეცათ...

ლარიოსიკი გულმხურვალედ შეედავა: - არა, არა ელენა ვასილიევნა, გთხოვთ, ახლავე გამომართვათ. რას ბრძანებთ, ასეთი გასაჭირის ჟამს ფული ყოველთვის საჭიროა. ეს ძალიან კარგად ვიცი! მან დასტა გაშალა და იქიდან უცებ ვიღაც ქალის სურათი გადმოვარდა. ლარიოსიკმა სურათს ხელი დასტაცა, ამოიოხრა და ჯიბეში ჩაიდო. - ჯობია, ფული თქვენ გქონდეთ. მე რა იმდენი მჭირდება? ჩემთვის პაპიროსს თუ ვიყიდი და ჩიტისთვის საკენკს...

ელენას ალექსეის ჭრილობა ერთი წუთით დაავიწყდა და თვალები სიამოვნებით გაუბრწყინდა, ისეთი საზრიანი და გონივრული იყო ლარიოსიკის საქციელი.

„არც ისეთი დოყლაპია ყოფილა, როგორც თავდაპირველად მეგონა, - გაიფიქრა ელენამ, - თავაზიანი და პატიოსანია, მაგრამ ცოტა უცნაური ჩანს. სერვიზი კი ძალიან მენანება“.

„ეს რა ტიპია“, - ფიქრობდა ნიკოლკა. ლარიოსიკის სასწაულებრივმა გამოცხადებამ მწუხარე ფიქრები გაუფანტა.

- აქ რვა ათასია, - ამბობდა ლარიოსიკი და ხახვიანი ერბოკვერცხის მსგავს დასტას მაგიდაზე ათამაშებდა, - თუ ცოტაა, ვიანგარიშოთ და ახლავე კიდევ გამოვითხოვ.

- არა, არა, მერე იყოს, - უპასუხა ელენამ. - ახლა კი, აი, რა: - ანიუტას ამ წუთას ვთხოვე, აბაზანა გაგიხუროთ და ახლავე იბანავეთ. მაგრამ ერთი ეს მითხარით, როგორ ჩამოხვედით, აქამდე როგორ მოაღწიეთ? ვერ გამიგია! - ელენამ ფული მოჭმუჭნა და ხალათის ვეებერთელა ჯიბეში ჩაიტენა.

ლარიოსიკს თვალებში შიში ჩაუდგა იმის გახსენებაზე, რაც თავს გადახდა.

- ნამდვილი კომმარი იყო! - შესძახა მან და ხელები მკერდთან კათოლიკე მლოცველივით მიიტანა. - მე ხომ ცხრა დღეა.. არა, უკაცრავად, ათი?.. მოიცათ... კვირა, ჰო, ორშაბათი... თორმეტი დღეა, რაც ჟიტომირიდან მოვდივარ!..

- თორმეტი დღე! - შეჰყვირა ნიკოლკამ. - ხედავ! - რატომღაც საყვედურით შეხედა ელენას.

- დიახ, თერთმეტი... როცა გამოვედი, მატარებელი ჰეტმანისა იყო, გზაზე კი პეტლიურასი გახდა. მივედით ერთ სადგურში, რა ჰქვია, ღმერთო ჩემო, ველარ

ვიხსენებ... თუმცა, სულ ერთია. ჰოდა, იქ, წარმოგიდგენიათ, ჩემი დახვრეტა უნდოდათ. მოვიდნენ ის ფოჩიანი პეტლიურელები...

- ლურჯფოჩიანები?.. - ცნობისწადილით ჰკითხა ნიკოლკამ.

- არა წითელ... ჰო, წითელფოჩიანები... მიყვირიან, ჩამოდი, ახლავე უნდა დაგხვრიტოთო! ეგონათ, ოფიცერი ვიყავი და სანიტარულ მატარებელში ვიმალებოდი. მე კი, უბრალოდ საპროტექციო წერილი მქონდა... დედაჩემისა, ექიმ კურიცკისთან.

- კურიცკისთან? - მრავალმნიშვნელოვნად შესძახა ნიკოლკამ. - ასე, კიტი-კატა... ვიცით.

„კიტი-კატა, კიტი-კატა, - კარის იქით ყრუდ გაეხმიანა ჩიტი.

- დიახ, იმასთან... ჩვენთან ჟიტომირში, მატარებელი იმან ჩამოიყვანა... ღმერთო ჩემო! ვიფიქრე, გათავდა ყველაფერი-მეთქი, და გულში ღმერთს ლოცვა-ვედრება დავუწყე. ჰოდა, იცით? ჩიტმა გადამარჩინა. ვუთხარი, ოფიცერი არა ვარ, მეცნიერი გახლავართ, ფრინველებს ვსწავლობ-მეთქი. ჩიტიც ვაჩვენე... ჰოდა, გესმით, ერთმა ქეჩოში ჩამცხო და თავხედურად მითხრა - მოუსვი აქედან, შე ეშმაკის მეცნიერო! უჰ, ის თავხედი! მოვკლავდი, როგორც ჯენტლმენის წესია, მაგრამ ხომ იცით...

- ელე... - ყრუდ მოისმა ტურბინის საწოლი ოთახიდან. ელენას ლარიოსიკისთვის ყური აღარ უგდია, სწრაფად შეტრიალდა და იქით გაექანა.

*

თხუთმეტ დეკემბერს, კალენდრის მიხედვით, მზე დღის ოთხის ნახევარზე ქრება. ამიტომ საღამოს ბინდი ბინაში უკვე სამ საათზე შემოიჭრა. ელენას სახეზე ისრები სიცოცხლის ყველაზე დაბალ და მტანჯველ ჟამს - ექვსის ნახევარს უჩვენებდა. ორივე ისარი ტუჩების კუთხეში მწუხარე ნაოჭებთან დაეშვა და ქვემოთ, ნიკაპთან შეერთდა. თვალეში სევდა და გასაჭირის შებრძოლების წყურვილი ჩაესახა.

ნიკოლკას სახეზე კი ისრები თერთმეტ საათს და ორმოც წუთს აჩვენებდა - გულის გამსჭვალავ და უაზრო დროს, რადგანაც თავში ყველაფერი დომხალივით არეოდა. ამის მიზეზი კი გახლდათ დიდად მნიშვნელოვანი, იდუმალეზით მოცული სიტყვა „მალო-პროვალნაია...“ - გუშინ იმ გზაჯვარედინზე მომაკვდავმა რომ წარმოთქვა და უახლოეს დღეებში უსათუოდ ახსნა ესაჭიროებოდა. დომხალი იმ ამბავმაც გამოიწვია, რომ ტურბინთა ოჯახს თითქოს ციდან მოევლინა უცნაური და საინტერესო ლარიოსიკი და იმ გარემოებამაც, რომ მოხდა შემზარავი და საგულისხმო ამბავი: პეტლიურამ ქალაქი აიღო. სწორედ, იმ პეტლიურამ და, ხომ გესმით! - სწორედ ეს ქალაქი. რა მოხდა ახლა ამ ქალაქში, ადამიანის გონება, ყველაზე განვითარებულად კი, ვერ მიხვდება და ვერ გამოიცნობს. სრულიად ამკარაა, რომ გუშინ საშინელი უბედურება დატრიალდა - ჩვენებს მოულოდნელად თავს დაესხნენ და ერთიანად ამოხოცეს. მათი სისხლი, უეჭველია, ცას შეჰგოდებს - ეს ერთი. დამნაშავე გენერლები და შტაბელი არამზადები სიკვდილის ღირსნი არიან - ეს მეორე. მაგრამ შიშის გარდა თავს იჩენს მძაფრი ცნობისწადილიც - მაინც რა მოხდება? როგორ იცხოვრებს შვიდასი ათასი კაცი ქალაქში, სადაც ძალაუფლება ხელთა აქვს იდუმალეზით მოცულ პიროვნებას, ვისაც ასეთი შემზარავი და ულაზათო გვარი აქვს

- პეტლიურა? ვინ არის პეტლიურა? რატომ?... ოჰ, თუმცა, ეს ყოველივე სახსენებელიც არ არის უმთავრესთან - იმ სისხლისღვრასთან შედარებით... ეჰ... ეჰ... საშინელებაა, მე თქვენ მოგახსენებთ. მართალია, ზუსტად ცნობილი არაფერია, მაგრამ მიშლაევსკიც და კარჩხანაც ალბათ დაღუპულებად უნდა მიიჩნიონ.

ნიკოლკა გალიპულ და გაზინთულ მაგიდაზე პირფართო დიდი დანით ყინულს ამსხვრევდა. ყინული ჭახანით იმსხვრეოდა, ანდა დანის ქვემოთ გასხლტებოდა და მთელ სამზარეულოში დახტოდა. ნიკოლკას თითები დაუბუჟდა. ვერცხლისფერხუფიანი ბუმტი იქვე იდო.

- მალო... პროვალნაია... - ტუჩებს აცმაცუნებდა ნიკოლკა და გონებაში ხან ნაიტურსის, ხან წითური ნერონის და ხანაც მიშლაევსკის სახე უკრთოდა. როგორც კი ნიკოლკას ფიქრებში მიშლაევსკი გაიელვებდა, გავარვარებულ ქურასთან მოფუსფუსე, მწუხარე ზმანებებით აფორიაქებული ანიუტას სახეზე აშკარად ისახებოდა ხუთის ნახევარი - ჟამი მწუხარებისა და ტანჯვისა. კიდევ ნახავს თუ არა სხვადასხვაფერ თვალებს? გაიგონებს თუ არა რხევით მომავალი მიშლაევსკის ფეხის ხმას და დეზების წკარუნს - ძინ... ძინ...

ელენამ სამზარეულოს კარი შემოაღო.

- ყინული წამოიღე, - უთხრა ნიკოლკას.

- ახლავე, ახლავე, - სწრაფად თქვა ნიკოლკამ, ბუმტს ხუფი მოუჭირა და გაიქცა.

ელენა ახლა ანიუტას მიუბრუნდა: - ანიუტა, გენაცვალე, არავისთან წამოგცდეს, რომ ალექსეი ვასილიევიჩი დაჭრეს. ღმერთმა დაგვიფაროს! თუ შეიტყვეს, რომ იმათ წინააღმდეგ იბრძოდა, ცუდი დღე დაგვადგება.

- რას ამბობთ, ელენა ვასილიევნა, განა არ ვიცი! - ანიუტამ ელენას შემფოთებული, გაფართოებული თვალებით შეხედა, - ქალაქში რა ხდება, ღვთისმშობელო, შენ დაგვიფარე! ბორიჩევზე მივდივარ და რას ვხედავ, ორნი წვანან, ჩექმაგამრობილნი... იქაურობა სისხლითაა მორწყული... ხალხი კი დგას და უყურებს... ვიღაცამ თქვა, ორი ოფიცერი მოკლესო... ისევე ყრიან, თავშიშველნი... მუხლები მომეკვეთა და გამოვიქეცი, კალათა კინაღამ იქ დამრჩა...

ანიუტამ მხრები შემცივნულივით შეარხია, რაღაც გაახსენდა, იმავე წამს ტაფები ხელიდან გაუსხლტა და იატაკზე დაუცვივდა.

- ფრთხილად, ფრთხილად, თუ ღმერთი გწამს! - შეევედრა ხელებგაწვდილი ელენა.

ლარიოსიკის უფერულ სახეზე დღის სამ საათზე უმაღლეს აღტკინებასა და ძალას - ზუსტად თორმეტ საათს გამოხატავდა. ორივე ისარი შუადღის მაჩვენებლად შეწყვილდა, ერთმანეთს შეეწება და მახვილებივით ზეალიმართა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჟიტომირში გადატანილი უბედურების შემდგომ, რამაც ლარიოსიკის ნაზი სული შეძრა, სანიტარული მატარებლით თერთმეტდღიანი საშინელი მგზავრობისა და მძაფრ განცდათა შემდგომ ლარიოსიკს ტურბინების ოჯახი უსაზღვროდ მოსწონდა. რატომ მოსწონდა, ლარიოსიკი ამის ახსნას ჯერ ვერ შეძლებდა, რადგან თავადაც რიგიანად ვერ მიმხვდარიყო.

უაღრეს მოწონებასა და ყურადღებას იმსახურებდა ლამაზი ელენა. ნიკოლკაც ძალიან მოეწონა. უნდოდა, ეს რამით გამოეხატა და, როცა ნიკოლკა ალექსეის ოთახში შერბენა-გამორბენას მორჩა და წიგნების ოთახში ზამბარებიანი ვიწრო საწოლის დადგმა დააპირა, ლარიოსიკმა დრო იხელთა და საწოლის გაშლაში მოეხმარა.

- თქვენ ძალზე წრფელი სახე გაქვთ, კაცს სამეგობროდ რომ განაწყობს, - უთხრა ლარიოსიკმა ნიკოლკას და წრფელ სახეზე ისე დაამტერდა, რომ ვერც კი შეამჩნია, ჟღერიალა საწოლი როგორ გაკეცა და ორ საგდულს შორის ხელი მოაყოლებინა. ნიკოლკამ სიმწრისაგან შეჰყვირა, თუმცა ყრუ ხმით, მაგრამ საკმაოდ ხმამაღლა, ისე რომ ელენამ გაიგონა და ხალათის შრიალით მოირბინა. ნიკოლკა თავს ძალას ატანდა, რომ არ აღრიალებულიყო, მაგრამ თვალებიდან მსხვილი ცრემლები თავისით სცვიოდა. ელენა და ლარიოსიკი დაკვიცილ ავტომატურ საწოლს ჩაეჭიდნენ, აქეთ-იქით ძლივძლივობით გასწიეს და ნიკოლკას ჩალურჯებული ხელი გაუთავისუფლეს. ლარიოსიკი კინაღამ თვითონ ატირდა, როცა მისი დაჩეჩქვილი და ზოლზოლად ჩაწითლებული ხელი დაინახა.

- ღმერთო ჩემო! - თქვა მან და ისედაც დამწუხრებული სახე უფრო დაემანჭა. - ეს რა მემართება?! რანაირი უიღბლო ვარ!.. ძალიან გტკივთ? მომიტევეთ, თუ ღმერთი გწამთ.

ნიკოლკა სამზარეულოსკენ ხმაამოუღებლად გაექანა და ანიუტას ონკანიდან ხელზე ცივი წყლის ნაკადი მიაშვებინა.

მას მერე, რაც ეშმაკურად ნაკეთები საწოლი ღრჭიალით გაიშალა და ისიც აშკარა შეიქნა, რომ ნიკოლკას ხელი არც ისე დაზიანებოდა, ლარიოსიკს კვლავ დაეუფლა საამო და ჩუმი სიხარული, წიგნებმა რომ აღუძრა. მას ჩიტების სიყვარულის გარდა სხვა გატაცებაც გააჩნდა - წიგნები უყვარდა. აქ კი, მრავალთაროიან ღია კარადებში მჭიდრო რიგებად ეწყო ამდენი საუნჯე. ლარიოსიკს ოთხივე კედლიდან ჩამოსცქეროდა მწვანე, წითელი, ყვითელი თუ შავ ყდებში ჩასმული, ოქროსფრად დატვიფრული. საწოლი, რა ხანია, გაიმართა და ლოგინი გაიშალა, საწოლთან მიდგმული სკამის საზურგეზე პირსახოცი იყო გადაკიდებული, ზედ მამაკაცისათვის აუცილებელი ნივთები - სასაპნე, პაპიროსი, ასანთი, საათი ეწყო, მათ შორის კი ირიბად ჩადებული იდუმალი ქალის სურათი მოჩანდა. ლარიოსიკი კვლავ წიგნების ოთახში ტრიალებდა, ხან წიგნებით შემოსალტულ კედლებს უვლიდა გარშემო, ხან ქვედა თაროებთან ჩაცუცქდებოდა და ყდებს ხარბად ათვალიერებდა, არ იცოდა, პირველად რა გამოეღო - „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ თუ 1871 წლის „მოამბე“. ისრები თორმეტზე იდგა.

მაგრამ საღამოს ბინდთან ერთად ბინას მჭმუნვარებაც სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა. ამიტომ საათი თორმეტჯერ არ რეკავდა, ისრები მდუმარედ იდგა და სამგლოვიარო დროშიაში გახვეულ მოელვარე მახვილს წააგავდა.

მიზეზი გლოვისა, მიზეზი სასიცოცხლო საათის ისართა სხვადასხვაობისა იმათ სახეზე, ვინც ბედმა მყარად მიაჯაჭვა ტურბინთა ძველისძველ, მტვრიან, მყუდრო კერას, ვერცხლისწყლის წვრილი სვეტი გახლდათ. სამ საათზე ტურბინის საწოლ ოთახში ეს სვეტი 39,6 აჩვენებდა. ელენა გაფითრდა, თერმომეტრის დაფერთხვა უნდოდა. ტურბინმა თავი შემოაბრუნა, თვალები ძლივს გაახილა, მაგრამ ჯიუტად

მოსთხოვა, მაჩვენეო. ელენამ თერმომეტრი მდუმარედ, უხალისოდ მიაწოდა. ტურბინმა დახედა და გულდამძიმებულმა ღრმად ამოიოხრა.

ხუთ საათზე მას თავზე ცივი, ნაცრისფერი ტომსიკა ედო. ტომსიკაში დაქუცმაცებული ყინული ლღვებოდა. ტურბინს სახე აუვარდისფრდა, თვალები აუელვარდა და ძალზე დაუმშვენდა.

- ოცდაცხრამეტი და ექვსი... კარგია, - ამბობდა იგი და დროდადრო გამშრალ, გაშაშრულ ტუჩებს ილოკავდა. - ასე... ყველაფერი შესაძლოა... მაგრამ პრაქტიკას მაინც დიდი ხნით უნდა... გამოვეთხოვო. ოღონდაც ხელი გადამირჩეს... თორემ უხელოდ რისი მაქნისი ვიქნები...

- ალიოშა, გაჩუმდი, გეთაყვა, - ეხვეწებოდა ელენა, თან მხრებთან საბანს უსწორებდა...

ტურბინი გაჩუმდა და თვალები დახუჭა. ჭრილობის ზემოთ, მარცხენა ილლიიდან დაძრული ცეცხლის ღვარი მთელ სხეულს ედებოდა და უშანთავდა, ხან მთელ გულმკერდს გაუვსებდა და გონებას მიუნისლავდა, თუმცა ფეხები კი უსიამოდ ეყინებოდა. სადამოთი, როცა ყველგან ლამპები აინთო, ხოლო სამთა სადილმა, - ელენას, ნიკოლკას და ლარიოსიკის სადილმა - მდუმარებასა და მღელვარებაში ჩაიარა, ვერცხლის წყლის სვეტი, ვერცხლისფერ, შესქელებულ ბურთულაში ჯადოსნურად რომ წარმოიქმნებოდა და იბერებოდა, მაღლა აცურდა და 0,2 აღმნიშნელ დანაყოფს მიაღწია. მაშინ ვარდისფერ საწოლ ოთახში შემფოთებამ და წუხილმა უცებ გაღლობა იწყო. წუხილი, ნაცრისფერი ბურთივით რომ შეგორდა და საბანზე მოკალათდა, ახლა ყვითელ სიმებად გადაიქცა და, როგორც წყალმცენარეები, ისე გაიბლანდა. პრაქტიკა და მომავლის შიში დავიწყებას მიეცა, რადგან ყველაფერს ეს წყალმცენარეები გადაეფარა. მკერდის მარჯვენა მხარეს ტკივილი ჩაყურდა და მოიბღუნმა. ცეცხლის ღვარს სიცივე შეენაცვლა. მკერდის შიგნით მწველი სანთელი ხან ყინულოვან დანად გადაიქცეოდა და თითქოს ფილტვს უბურღავდა. მაშინ ტურბინი თავს შეატოკებდა, ბუმტს გადააგდებდა და საბნის ქვეშ ღრმად ჩაძვრებოდა. ჭრილობაში ჩაბუდებულ ტკივილს რბილი გარსი შემოეცლებოდა და დაჭრილს ისე ტანჯავდა, რომ იგი მისუსტებული ხმით უნებურად ჩივილს იწყებდა. ხოლო როცა დანა გაუჩინარდებოდა და კვლავ მშანთავ სანთელს უთმობდა ადგილს, მაშინ ცეცხლის ღვარი ეუფლებოდა სხეულს, ზეწრებს, საბნის ქვეშ აღმურს დააგზნებდა და დაჭრილი წყალს ითხოვდა. ბურუსში ხან ნიკოლკას, ხან ელენას, ხან ლარიოსიკის სახე გამოჩნდებოდა. ისინი დაიხრებოდნენ და უსმენდნენ. ყველას თვალები ერთნაირი გახდომოდა, ყველა პირქუშად და მკაცრად იმზირებოდა. ნიკოლკას ისრები ჩამოუდაბლდა და ელენას მსგავსად ზუსტად ექვსის ნახევარზე გაჩერდა. იგი მაღიძალ სასადილო ოთახში გადიოდა, სადაც შუქი იმ საღამოს რატომღაც მქრქალად და მშფოთვარედ ანათებდა, და საათს შესცქეროდა. ტაკრხ... ტაკრხ... ბრაზიანად და გამაფრთხილებლად გაისმოდა საათის ჩახლეჩილი ხმა და ისრები ჯერ ცხრას აჩვენებდა, მერე ცხრასა და თხუთმეტ წუთს, მერე ათის ნახევარს...

- ეჰ, ეჰ, - ოხრავდა ნიკოლკა და სასადილო ოთახიდან შემოსასვლელში გაბრუებული ბუზივით გაბორილდებოდა, ტურბინის საწოლ ოთახს ჩაუვლიდა, სასტუმროში შევიდოდა, იქიდან კაბინეტში შებანცალდებოდა, თეთრ ფარდას გადასწევდა და აივნის კარიდან ქუჩას გადახედავდა... „ვაითუ ექიმი შეშინდეს და არ მოვიდეს...“ - ფიქრობდა იგი. დაქანცული, მიხვეულ-მოხვეული ქუჩა ახლა უფრო უკაცრიელი

ჩანდა, ვიდრე საერთოდ იმ დღეებში, მაგრამ არცთუ ისეთი შემზარავი იყო. მეეტლეთა მარხილები დროდადრო ჭრიალ-ჭრიალით ჩაივლიდა, მაგრამ იშვიათად... ნიკოლკამ გაიფიქრა, ალბათ წასვლა მომიხდებოდა... და თავს იტყებდა, ელენა როგორ დავიყოლიო.

- თერთმეტის ნახევარზე თუ არ მოვიდა, მე თავად წავალ ლარიონ ლარიონოვიჩთან ერთად, შენ კი ალიოშასთან დარჩები... გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს... გაიგე, ზედ გაწერია, იუნკერი რომ ხარ... ლარიოსიკს ალიოშას სამოქალაქო ტანსაცმელს ჩავაცმევთ... ქალთან ერთად რომ იქნება, ხელს არ ახლებენ...

ლარიოსიკი აფუსფუსდა, განაცხადა, მზად ვარ, თავი მსხვერპლად გავიღო და მარტო წავიდეო და სამოქალაქო ტანსაცმლის ჩასაცმელად გავიდა.

დანა სრულიად გაქრა, მაგრამ ცეცხლის ღვარმა უფრო იმპლავრა - ტიფი ღუმელს აგიზგიზებდა და ალმურის ბრიალში უკვე მერამდენედ მოვიდა არც თუ ისე ცხადი და ტურბინთათვის სრულიად უცხო ვიღაცა, ნაცრისფერი ტანსაცმელი რომ ემოსა.

- იცი რა, ის ნაცრისფერი ალბათ ყირამალა გადატრიალდა! - უცებ გარკვევით და მკაცრად თქვა ტურბინმა და ელენას დაკვირვებით დააცქერდა. - სასიამოვნო არ არის... საერთოდაც, ყველა ჩიტი თბილ საკუჭნაოში უნდა შერეკო და იქ ჩაამწყვდიო, სითბოში გონზე მოვლენ.

- რას ამბობ, ალიოშა? - ჰკითხა ტურბინს შეშინებულმა ელენამ, დაიხარა და იგრძნო, ძმის სახიდან ალმური ლოყებზე როგორ შემოენთო. - ჩიტი? რა ჩიტი?

შავი სამოქალაქო ტანსაცმლით შემოსილი ლარიოსიკი კუზიანს დამგვანებოდა, ბეჭები თითქოს გაგანივრებოდა, შარვლის ტოტები ჩექმის ყელეებზე ჩამოეფარებინა. შეშინებული ჩანდა, თვალეებს შესაბრალისად აცეცებდა. საწოლი ოთახიდან ფეხის წვერებზე გავიდა, შემოსასვლელი და სასადილო ოთახი ბორძიკით გაირბინა, წიგნების ოთახიდან ნიკოლკას ოთახში შევიდა, საწერ მაგიდაზე დადებული გალიისკენ ხელების ბრაზიანი ქნევით გაექანა და ზედ შავი ხილაბანდი გადააფარა... მაგრამ სულ ტყუილად გაისარჯა - ჩიტს, რა ხანია, კუთხეში ეძინა, მობღუნძულიყო, ბუმბულის გორგალს დამსგავსებოდა და ღუმდა. არც უწყოდა, ირგვლივ რა გაწამაწიაც იყო. ლარიოსიკმა მჭიდროდ გაიხურა ჯერ წიგნების ოთახის, მერე კი სასადილო ოთახის კარი.

- რა არასასიამოვნოა... ოჰ, რა არასასიამოვნოა, - მოუსვენრად ამბობდა ტურბინი და კუთხეს გასცქეროდა, - ტყუილუბრალოდ შემომაკვდა... მისმინე... - მან საღი ხელი საბნიდან ამოიღო... - უმჯობესია, დაგუძახო და ავუხსნა... ნეტა სულელივით რას წრიალებს?... დანაშაულს რა თქმა უნდა, ჩემს თავზე ვიღებ... ყველაფერი დავკარგეთ, სულელურად დავკარგეთ...

- ჰო, ჰო, - თქვა გულდამძიმებულმა ნიკოლკამ, ხოლო ელენამ თავი ჩაჰკიდა. ტურბინი შეშფოთდა, თავის წამოწევა მოინდომა, მაგრამ მწვავე ტკივილი მოეძალა, დაიკვნესა და მერე ბრაზიანად თქვა: - მაშ თავიდან მომაშორეთ!..

- იქნებ გალია სამზარეულოში გავიტანო? თუმცა ხილაბანდი გადავაფარე და ჩიტი ხმას არ იღებს, - ჩასჩურჩულა ელენას შეშფოთებულმა ლარიოსიკმა.

ელენამ ხელი ჩაიქნია: ეგ რა შუაშიაო... ნიკოლკა სასადილო ოთახში მტკიცე ნაბიჯით გავიდა. თმა აბურძგნოდა. მან ციფერბლატს შეხედა: ათი საათი სრულდებოდა. შემფოთებულმა ანიუტამ კარი შემოაღო და სასადილო ოთახში შემოვიდა.

- ალექსეი ვასილიევიჩი როგორ არის? - ჰკითხა მან ნიკოლკას.

- აბოდებს, - უპასუხა ნიკოლკამ და ღრმად ამოიოხრა.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, - აჩურჩულდა ანიუტა, - ექიმი რატომ არ მოდის?

ნიკოლკამ ანიუტას შეხედა და საწოლ ოთახში დაბრუნდა. მან ტურჩები ელენას ყურთან მიუტანა და ჩურჩულით უთხრა: - თუნდა ამიკრძალო, ექიმის მოსაყვანად მაინც წავალ. თუ შინ არ დამიხვდება, სხვას მოვიყვან. ათი საათია. ქუჩაში სიმშვიდეა.

- თერთმეტის ნახევრამდე მოვუცადოთ, - თავი გააქნია და ჩურჩულით უპასუხა ელენამ, თან მკლავებზე შალი შემოიხვია, - სხვა რომ მოვიყვანოთ, უხერხულია. ვიცი, ის უსათუოდ მოვა.

თერთმეტი საათის დამდეგს ვიწრო საწოლ ოთახში მძიმე, მსხვილი და უაზრო მორტირი შემოგორდა. რა უბედურებაა! აქ ცხოვრება შეუძლებელი იქნება. მორტირმა მთელი ოთახი გაჭედა. მარცხენა ბორბალი საწოლს მიაბჯინა. არა, აქ კაცი ვერ გაძლებს. ჯერ ერთი, ბორბლის მსხვილ მანებს შორის უნდა გაბობლდეს, მერე რკალივით მოიკაკვოს და მეორე, მარჯვენა ბორბალშიც გაძვრეს, თანაც ბარგით. მარცხენა ხელზე კი, ღმერთმა უწყის, რამოდენა ბარგი ჰკიდია, სიმძიმე ხელს მიწისკენ ექაჩება. თოკმა ილღია ლამის ჩაჭრას. არადა, მორტირს თავიდან ვერ მოიშორებ, მთელი ბინა ბრძანების მიხედვით სამორტიროდ იქცა. ვერც მოუსაზრებელმა პოლკოვნიკმა და ვერც ელენამ, ასევე მოუსაზრებელი რომ შეიქნა და ბორბლებიდან იცქირება, ვერა და ვერ მოახერხეს, ქვემეხები აქაურობას მოაშორონ, ანდა სნეული სადმე სხვაგან მაინც გადაიყვანონ, სადაც არსებობა შესაძლებელი იქნება და არც მორტირები იდგება. თვით ბინა ამ წყეული მძიმე და ცივი ურჩხულის წყალობით ფუნდუკს დაემსგავსა. ზარი კარზე მალიმალ რეკავს... ძინ-ძინ, და მოდიან და მოდიან სტუმრები. აგერ ლაპლანდიელივით უცნაური შესახედავი პოლკოვნიკი მალიშევი გამოჩნდა, ყურებიანი ქუდი ახურავს, ოქროსფერი სამხრეები უკეთია და ქაღალდის დასტები მოაქვს. ტურბინმა დაუტატანა და მალიშევი ქვემეხის ლულაში ჩაძვრა. მას აწრიალებული, მოუსაზრებელი და ბრიყვულად გაჯიუტებული ნიკოლკა შეენაცვლა. ნიკოლკა ასმევდა, მაგრამ შადრევნის ცივ ჭავლს კი არა, საძაგელ, თბილ წყალს, რომელსაც ქვაბის გემო დაჰკრავდა.

- ფუჰ... რა უგემურია... მომაშორე, - ბუტბუტებდა ტურბინი.

ნიკოლკას თან ეშინოდა, წარბებს მაღლა სწევდა, და მაინც ჯიუტად, უგერგილოდ იქცეოდა. ელენა არაერთხელ იქცა შავ, უმაქნის ლარიოსიკად, სერიოჟას დისწულად, მერე კი ისევ ოქროსთმიანი ელენას სახე დაუბრუნდა, სნეულს სადღაც შუბლთან თითებს უთათუნებდა, მაგრამ ამით ძალზე მცირე შვებას ანიჭებდა. აქამდე მუდამ თბილსა და მარჯვე ხელებს ელენა ახლა ფოცხივით განივრად, სულელურად ფარჩხავდა, რაც საჭირო არაა, იმას აკეთებს, ცეიხჰაუზის წყეულ სადგომში მყოფ დაჭრილს აწუხებს და სიცოცხლეს უმწარებს. იქნებ ელენას ბრალია ისიც, რომ დაჭრილი ტურბინის სხეული კეტზე წამოაგეს. თანაც ელენა იმ კეტის ბოლოს აწვება... რა დაემართა ელენას?... მის ხელში კეტი ნელა, გულის არევამდე ტრიალებს...

აბა, ცადე ასე ყოფნა, როცა მრავალი კეტი სხეულში გესობა! არა, არა, არა, აუტანელნი არიან! ტურბინი შეეცადა ხმამაღლა დაეყვირა, ძლივს გასაგონად კი შესძახა: - იუღია!

მაგრამ იუღია არ გამოსულა ძველებური ავეჯით მოწყობილი ოთახიდან, სადაც კედელზე ორმოციანი წლების დროინდელი, ოქროსფერი ეპოლეტებით მხრებდამშვენებული კაცის სურათი ეკიდა, ყურად არ უღია სწეულის ძახილი. რუხმა ლანდებმა კი საწოლ ოთახსა და მთელ ბინაში ტურბინებთან ერთად იწყეს ღოღიალი და საბრალო სწეულს მთლად გააწამებდნენ, ჩასუქებული, ოქროსსათვალისანი, ბეჯითი და ძალზე მარჯვე კაცი რომ არ მოსულიყო. როგორც კი იგი საწოლ ოთახში გამოჩნდა, მის პატივსაცემად იქაურობას კიდევ ერთი შუქი - ძველებურ მძიმე და შავ შანდალში ჩამაგრებული სტეარინის მოცახცახე შუქი მიემატა. სანთელი ხან მაგიდაზე ციმციმებდა, ხან ტურბინს უვლიდა გარშემო, ხოლო სანთელზე ზემოთ, კედელზე, ფრთებდაჭრილი ღამურის მსგავსი, ულამაზო ლარიოსიკი დაფარფატებდა. სანთელი გვერდზე იხრებოდა და თეთრი სტეარინი იღვრებოდა. პატარა საწოლი ოთახი იოდის, სპირტის და ეთერის მძიმე სუნით გაიჟღინთა. მაგიდაზე დომხალივით აირია სანთლის შუქზე აელვარებული ნიკელის კოლოფები და საშობაო თოვლივით ხვავად დამდგარი თეატრალური ბამბა. ჩასუქებულმა, ოქროსსათვალისანმა და თბილხელებიანმა ტურბინს საღ ხელში სასწაულმოქმედი ნემსი უჩხვლიტა და რუხმა ლანდებმაც რამდენიმე წუთის შემდეგ სულელური ანცობა შეწყვიტეს. მორტირი აივანზე გაიტანეს, თანაც ფარდაჩამოფარებულ მინაში გააძვრინეს და მისი შავი ლულა ისე შემზარავად აღარ გამოიყურებოდა. სწეულმა თავისუფლად იწყო სუნთქვა, რაკილა უზარმაზარი ბორბალი იქაურობას მოსცილდა და მანებს შორის გაძრომა საჭირო აღარ იყო. სანთელი ჩაქრა და მოუხეშავი, ნახშირივით შავი ლარიონი, ჟიტომირელი ლარიოსიკ სურჟანსკი კედლიდან გაქრა, ხოლო ნიკოლკას სახე უფრო აზრიანი გაუხდა და ისეთი გამაღიზიანებელი სიჯიუტე აღარ ეწერა. იქნებ იმიტომ, ჩასუქებული ოქროსსათვალისანის ხელოვნების იმედმა ისრები გაშალა და წამახულ ნიკაპზე ისე უჯიათად და უსასოოდ აღარ ეკიდა. დრო ექვსის ნახევრიდან უკან, ოცდახუთი წუთისკენ დაიდრა, სასადილო ოთახის საათი კი თუმცა ამას ვერ ეთანხმებოდა, თუმცა ისრებს შეუპოვრად სულ წინ და წინ მიერეკებოდა, მაგრამ ახლა ბებრული ხიხინისა და ბუზლუნის გარეშე მუშაობდა და ძველებურად სუფთა, დარბაისლური ბარიტონით რეკდა - ტაკ-ტუკ! ტაკ-ტუკ! ხოლო კოშკზე, როგორც ლუი XIV მშვენიერ გალთა სათამაშო ციხე-სიმაგრეში, საათი მძლავრად გუგუნებდა - ბუმ-ბუმ!.. შუაღამეა... ისმინეთ... შუაღამეა... ისმინეთ... გუგუნებდა გამაფრთხილებლად და ვიღაცათა ჩუგლუგები ვერცხლის ხმაზე სასიამოვნოდ წკარუნობდა. გუმაგები მიდი-მოდოდნენ და ქვეყნიერებას იცავდნენ, რადგან ციხე-კოშკები, განგაში და იარაღი ადამიანმა თავისდა უნებურად მხოლოდ ერთი მიზნისთვის - ადამიანთა სიმშვიდისა და კერის დასაცავად შექმნა, ამის გულისთვის იბრძვის და, სიმართლე რომ ითქვას, სხვა რამისთვის არც უნდა იბრძოდოს კაცმა.

თავკერძა, ბიწიერი, მაგრამ მომხიბლავი იუღია მხოლოდ მაშინ არის თანახმა, სწეულს გამოეცხადოს, თუ კერა მყუდრო და მშვიდი იქნება, და გამოეცხადა კიდევაც. მისი შავწინდიანი ფეხი და ბეწვისყელიანი ბოტი აგურის მსუბუქ კიბეზე გაკრთა, აჩქარებულ ბაკუნსა და შრიალს კი ზანზალაკების წკარუნით გავოტი გაეპასუხა. იმ ოთახიდან, სადაც საკუთარი დიდებითა და მომხიბლავი, ფერადსამოსიანი ქალების სიახლოვით მთვრალი ლუი XIV ტბის პირას, ლაჟვარდისფერ ბაღში სეირნობდა.

*

შუალამისას ნიკოლკა ფრიად მნიშვნელოვანი და, რა თქმა უნდა, ფრიად დროულ საქმეს შეუდგა. პირველ რიგში სამზარეულოდან ჭუჭყიანი, სველი ძონძი გამოიტანა და საარდამელი დურგლის კედლიდან გაქრა სიტყვები: გაუმარჯოს რუსეთს...

გაუმარჯოს თვითმპყრობელობას!

დასცხე პეტლიურას!

მერე ლარიოსიკის ფიცხელი მონაწილეობით უფრო მნიშვნელოვანი სამუშაოც ჩატარდა. ტურბინის საწერი მაგიდიდან მარჯვედ და უხმაუროდ ამოაძვრინეს ალიოშას ბრაუნინგი, ორი მჭიდე და ვაზნების კოლოფი. ნიკოლკამ ბრაუნინგი შეამოწმა და დარწმუნდა, რომ უფროს მმას შვიდი ვაზნიდან ექვსი სადღაც დაეცალა.

- დახე... - ჩაიჩურჩულა ნიკოლკამ.

რა თქმა უნდა იგი ფიქრადაც არ გაივლებდა, რომ შეიძლებოდა, ლარიოსიკი მოღალატე გამომდგარიყო. პეტლიურას მხარეზე რანაირად იქნება ინტელიგენტი კაცი საერთოდ, მით უმეტეს ჯენტლმენი, რომელიც სამოცდათხუთმეტი ათასი მანეთის ვექსილს ხელს აწერს და სამოცდასამი სიტყვისაგან შემდგარ დეპეშას აგზავნის. ნიკოლკამ და ლარიოსიკმა ნაი-ტურესის კოლტიც და ალიოშას ბრაუნინგიც მანქანის ზეთითა და ნავთით საგულდაგულოდ გაპოხეს. ლარიოსიკმა ნიკოლკას მსგავსად სახელოები დაიკაპიწა. გაპოხილი კოლტი და ბრაუნინგი ვაზნებთან ერთად თუნუქის გრძელსა და მაღალ საკანფეტე კოლოფში ჩააწყვეს. ეს საქმე სწრაფად უნდა მოეთავებინათ, რადგან რევოლუციის მონაწილე ყოველმა წესიერმა კაცმა კარგად იცის, რომ ყოველი ხელისუფლების დროს გასაჩხრეკად ზამთრობით ღამის სამის ნახევრიდან დილის შვიდის თხუთმეტ წუთამდე, ხოლო ზაფხულობით ღამის თორმეტი საათიდან დილის ოთხ საათამდე მოდიან. მაგრამ ლარიოსიკის წყალობით მუშაობა მაინც შეფერხდა. იგი კოლტის სისტემის ათსროლიანი რევოლვერის მოწყობილობას სინჯავდა და სახელურში მჭიდე უკუღმა ჩადო. მის გამოღებას კი კარგა ხნის წვალება და ბლომად ზეთი დასჭირდა. ამას გარდა, მეორე, მოულოდნელ დაბრკოლებასაც გადაეყარნენ. შიგნიდან პარაფინიანი ქაღალდით დაფარული კოლოფი, რაშიც რევოლვერები, ნიკოლკას და ალექსეის სამხრეები, შევრონი და ტახტის მემკვიდრე ალექსეის სურათი ჩადეს, გარედან კი ყველა ნაწიბურზე ელექტრო საიზოლაციო წებოვანი ლენტის ზოლები შემოაკრეს, სარკმელში არა და არ გაეტია.

საქმე კი შემდეგში გახლდათ: სადაც დამალავ, რიგიანად უნდა დამალო!.. ყველა ვასილისასავით სულელი ხომ არ იქნება. ხოლო როგორ უნდა დაემალა, ნიკოლკამ დღისითვე მოისაზრა. №13 სახლის კედელი მეზობელი 11 ნომერი სახლის კედელს თითქმის ზედ ეკვროდა - მათ შორის ერთ არშინზე მეტი არ რჩებოდა. № 13 სახლის კედლიდან ამ მხარეს სამი ფანჯარა გადიოდა - ერთი ნიკოლკას კუთხის ოთახიდან, ორი მეზობელი წიგნების ოთახიდან, სრულიად გამოუსადეგარნი (სინათლე იქიდან მაინც არ შემოდის). ერთი პატარა სარკმელი კი, გისოსაკრული და ჩაშავებული, ქვემოთ, ვასილისას საკუჭნაოდანაც გამოდიოდა, ხოლო მეზობელი № 11 სახლის კედელი მთლად ყრუ იყო. წარმოიდგინეთ ერთი არშინის სიგანის საუცხოო, ბნელი ხვრელი, ქუჩიდან თვალს მორიდებული და ეზოდანაც მიუდგომელი, სადაც

მხოლოდ ბიჭუნები თუ გადაცოცდებოდნენ შემთხვევით. თავად ნიკოლკა ბავშვობაში ყაჩაღობანას თამაშობისას აგურების გროვაზე აბობლებულა, ამ ხვრელში ჩამძვრალა და კარგად ახსოვდა, რომ ცამეტი ნომრის კედელს პალოები თითქმის სახურავამდე მიუყვებოდა. ადრე, როცა თერთმეტი ნომერი სახლი ჯერ არ არსებობდა, ამ პალოებზე ალბათ სახანძრო კიბე იყო დამაგრებული, რომელიც მერე მოხსნეს, პალოები კი დატოვეს. ამ სადამოს ნიკოლკამ სარკმლიდან ხელი გაყო და ორ წამსაც არ უფათურებია, პალო უმაღლ მოძებნა. ყოველივე მარჯვედ და უბრალოდ მოეწყობოდა, სარკმელში რომ გატეულიყო საკანფეტე კოლოფი, რომელსაც ჯვარედინად ჰქონდა გადაჭერილი ყულფგამოკვანძილი, საუცხოო, სამმაგი ეგრეთწოდებული შაქრის კანაფი.

- ცხადია, ფანჯარა უნდა გავაღოთ, - თქვა ნიკოლკამ და ფანჯრის რაფიდან ჩამოვიდა.

ნიკოლკას ჭკუამ და მოსაზრებულობამ ლარიოსიკი დიდი პატივისცემით განმსჭვალა. ისინი ფანჯრის გაღებას შეუდგნენ. ამ კატორღულმა სამუშაომ ნახევარ საათს მაინც გასტანა, რადგან გაჯირჯვებული ჩარჩოები ვერა და ვერ დაიმორჩილეს. ბოლოს, როგორც იქნა, ჯერ ფანჯრის ერთი მხარე გაიღო, მერე მეორე, თანაც ლარიოსიკის მხარეს მინა გრძლად და კლაკნილად გაიბზარა.

- შუქი ჩააქრეთ, - ბრძანება გასცა ნიკოლკამ.

შუქი ჩაქრა და ოთახში საშინელი სუსხი შემოიჭრა. ნიკოლკა კუნაპეტ, ყინულოვან სივრცეში წელამდე გადაძვრა და ზემოთა ყულფი პალოზე ჩამოაბა. კოლოფი ორარშინიან კანაფზე მშვენივრად ჩამოეკიდა. ქუჩიდან დანახვა შეუძლებელია, რადგან ცამეტი ნომრის ბრანდმაუერი ქუჩას ვერტიკალურად კი არა, ირიბად ებჯინება, თანაც სამკერვალო სახელოსნოს ფირნიში მაღლაა ჩამოკიდებული. მხოლოდ მაშინ დაინახავენ, ხვრელში თუ შემოდგრებიან, მაგრამ გაზაფხულამდე ხვრელში არავინ შეძვრება, რადგან ეზოს მხრიდან თოვლის უზარმაზარი ზვინებია მინამქრული, ქუჩის მხარეს კი საუცხოო მესერია. ყველაზე დიდებული კი ის არის, რომ ისე შეუძლიათ შეამოწმონ, ფანჯარა არც გამოაღონ; სარკმლიდან ხელს გაყოფენ და მორჩა: კანაფს სიმივით მოსინჯავენ. დიდებულია.

შუქი კვლა აინთო. ნიკოლკამ ფანჯრის რაფაზე საგოზავი აზილა, ანიუტას შემოდგომიდან რომ მორჩენოდა, და ფანჯარა ხელახლა ამოჰგოზა. თუნდაც რაღაც სასწაულით მაინც იპოვიან, პასუხი მუდამ მზად ექნებათ: „მოგვიტევეთ! ვისია ეს კოლოფი? აჰ, რევოლვერები?.. მემკვიდრე?.. რასა ბრძანებთ, არც არაფერი ვიცი და არც რამე გაგვიგია. ეშმაკმა იცის, ვინ დაკიდა! ალბათ სახურავზე აძვრნენ და იქიდან ჩამოკიდეს. ირგვლივ ცოტა ხალხი კი არ ირევა! დიახ, ასე. ჩვენ მშვიდობიანი ხალხი ვართ. მემკვიდრე რას ჰქვია...“

- ღმერთსა ვფიცავ, უნაკლოდაა გაკეთებული, - თქვა ლარიოსიკმა. უნაკლოდაა, მაშ რა! კოლოფი ხელის გაწვდენაზეა და თან არც ბინაში გაქვს.

*

ღამის სამი საათი შესრულდა. ამაღამ ალბათ არავინ მოვა. დაქანცული, ქუთუთოებ დამძიმებული ელენა სასადილო ოთახში ფეხის წვერებზე გამოვიდა. სამიდან ექვს საათამდე მას ნიკოლკა უნდა შენაცვლებოდა, ხოლო ექვსიდან ცხრამდე - ლარიოსიკი.

ჩურჩულთ ლაპარაკობდნენ.

- მაშ ასე, უნდა ვთქვათ, ტიფი აქვსო, - ჩურჩულებდა ელენა, - იცოდეთ, დღეს ვანდამ უკვე შემოირბინა და იკითხა, ალექსეი ვასილიევიჩს რა დაემართაო. ვუთხარი, შეიძლება ტიფი ჰქონდეს-მეთქი... თვალები ისეთნაირად დააცეცა, მგონი, არ დამიჯერა... ძალიან ჩამეძია - როგორა ხართო, თქვენები სად იყვნენო, ხომ არავინ დაუჭერიათო. ჭრილობაზე კრინტიც არ უნდა დავძრათ.

- აპაპაპა! - ნიკოლკამ ხელებიც კი გაიქნია, - ვასილისასთანა მხდალი კაცი ამქვეყნად არ მოიძებნება! რამე რომ მოხდეს, ვისაც გინდა, იმას ჩაუკაკლავს, ალექსეი რომ დაჭრეს, ოღონდაც თავი დაიძვრინოს.

- არამზადა, - თქვა ლარიოსიკმა, - ეს ხომ სულ მდაბლობაა!

ტურბინი ბურანში ჩაძირულიყო. ნემსის მერე სახე სრულიად დამშვიდებოდა, ნაკვთები გასთხელებოდა და დახვეწოდა. დამამშვიდებელი შხამი სისხლში საგუშაგოდ მიედინებოდა. რუხი ლანდები თავის ნებაზე აღარ დაბრძანდებოდნენ, გაიფანტნენ და თავთავიანთ საქმეზე წავიდ-წამოვიდნენ, ქვემეხებიც იქაურობას საბოლოოდ მოაშორეს. თუ ვინმე, თუნდაც სრულიად უცხო, მაინც შემოვიდოდა, თავი წესიერად ეჭირა, ცდილობდა, იმ საგნებსა და ადამინებს დაკავშირებოდა, ვისაც ტურბინთა ბინაში კანონიერი ადგილი მუდამ ეკუთვნოდა. ერთხელ პოლკოვნიკი მალიშევიც გამოცხადდა, ერთხანს სავარძელში იჯდა, მაგრამ ისე ილიმებოდა, თითქოს ამბობდა, ყველაფერი კარგადაა და კიდევ უკეთესად იქნებაო, მრისხანედ და ავის მომასწავებლად აღარ ბურტყუნებდა და ოთახები ქაღალდებით აღარ გამოუტენია. თუმცა საბუთებს წვავდა, მაგრამ ტურბინის დიპლომისა და დედის სურათისთვის ხელი არ უხლია, თანაც სპირტის სასიამოვნო ლურჯ ალზე წვავდა; სპირტის ალი კი დამამშვიდებელია, რადგან ნემსის ჩხვლეტა მოჰყვება ხოლმე. მაღამ ანჟუს ზარი მალიმალ რეკავდა.

- ძინ... - ამბობდა ტურბინი, რათა სავარძელში მჯდომთათვის ემცნო, ზარი რა ხმაზე რეკავდა. სავარძელში კი მორიგეობით ისხდნენ ხან ნიკოლკა, ხან მონღოლისთვალემა უცნობი (ნემსის ჩხვლეტის მერე გაშმაგებას ვეღარ ბედავდა), ხანაც მწუხარე მაქსიმი, ჭადარა და აცახცახებული... - ძინ... - ალერსიანად ამბობდა დაჭრილი და მოქნილი ჩრდილებისგან მტანჯველ, მოძრავ სურათს ქმნიდა, რომელიც უჩვეულოდ, სასიხარულოდ და მტკივნეულად მთავრდებოდა.

საათი გარბოდა, სასადილო ოთახში ისრები ტრიალებდა და, როცა თეთრ ციფერბლატზე მოკლე და განიერი ისარი ხუთს მიუახლოვდა, ტურბინი ძილბურანში ჩაიძირა. იგი ხანდახან შეტოკდებოდა, მილულულ თვალებს გამოახელდა და გაურკვევლად ბუტბუტებდა: - კიბეზე, კიბეზე, კიბეზე ვერ ავირბენ, ძალა არ მეყოფა, წავიქცევი... იულია კი სწრაფად გარბის... ბოტები... თოვლზე... კვალს დატოვებს... მგლები... ძინ... ძინ!..

13

„ძინ!“ ეს ხმა ტურბინმა უკანასკნელად მაშინ გაიგონა, როცა მაღაზიის უკანა კარიდან გარბოდა, ოდესღაც ვნების აღმძვრელი ნელსურნელების მფრქვეველ, ახლა კი, ვინ იცის, სად გადახვეწილ მაღამ ანჟუს რომ ეკუთვნოდა. ზარის ხმაა. ვიღაცა, ეს წუთია,

მაღაზიაში შემოვიდა. იქნებ მისიანია, ტურბინით გზააბნეული და ჩამორჩენილი, იქნებ უცხო მღევრები არიან. ასეა თუ ისე, მაღაზიაში დაბრუნება არ შეიძლება. ზედმეტი გმირობა იქნება.

გალიპულმა საფეხურებმა ტურბინი ეზოში გაიყვანა. იქ კი აშკარად გაიგონა, რომ სროლა სულ ახლოს, სადღაც მეზობელ ქუჩაზე გაისმოდა, კრემჩატიკისკენ თავქვე, განივრად რომ მიემართებოდა. ვინ იცის, იქნებ მუზეუმთანაც კი ისროდნენ. უმაღვე მიხვდა, რომ ჩაბნელებულ მაღაზიაში მჭმუნვარე ფიქრებს ძალზე ბევრი დრო შეაღია. მაღიშევი სრულიად მართალი იყო, როცა ურჩევდა, იჩქარეო. გული შემფოთებით აუბგერდა.

ტურბინმა მიმოიხედა და ნახა, რომ გრძელი და უსასრულო მაღალი ყვითელი სახლი, მაღამ ანჟუს სამყოფელი, უზარმაზარ ეზოს ებჯინებოდა, რომელიც მეზობელი რკინიგზის სამმართველოს სამფლობელოს დაბალ გალავანამდე გადაჭიმულიყო. ტურბინმა თვალეზი მოჭუტა, ირგვლივ მიმოიხედა, უდაბური ეზო გადასერა და პირდაპირ გალავანს მიადგა. გალავანში კუტიკარი იყო ჩატანებული და, მისდა გასაკვირად, დაკეტილი არ აღმოჩნდა. ამ კუტიკარით სამმართველოს ეზოში გავიდა. სამმართველოს ბრიყვული ხვრელები უსიამოდ იმზირებოდა, აშკარად იგრძნობოდა, რომ მთელი შენობა ცარიელი იყო. თავქვემ მოასვალტებული გზა გადიოდა. ექიმი ამ გზას გაუყვა და ქუჩაზე გავიდა. მისი ფეხის ხმას თალი გუგუნით ბანს აძლევდა. მოპირდაპირე სახლის კომპოზე ძველებური საათი ზუსტად დღის ოთხ საათს უჩვენებდა. ბინდი ნელ-ნელა მოიპარებოდა. ქუჩა მთლად უკაცრიელი იყო. ტურბინმა ქუშად მიმოიხედა და ზემოთ კი არ წავიდა, იქით გაემართა, საითაც თანაგრძნობამ უკარნახა - ქვემოთ, მეჩხერ სკვერში თოვლდაფენილ ოქროს ჭიშკრისკენ. იქიდან მხოლოდ ერთი დაფეთებული, შავპალტოიანი კაცი გამოვლინდა. ტურბინს გვერდით ჩაუქროლა და გაუჩინარდა.

ცარიელი ქუჩა საერთოდ უამურ შთაბეჭდილებას ახდენს. ახლა კი, როცა ტურბინს გულის კოვზთან წინათგრძნობა მწარედ წიწკნიდა, ქუჩა უფრო საძაგელი ეჩვენა. მან შუბლი ბრაზიანად შეიჭმუხნა, რათა გაუბედაობა დაეძლია - სულ ერთია, მაინც ხომ უნდა წასულიყო, შინ ვერ გადაფრინდებოდა, - მაზარის საყელო წამოიწია და ჭიშკრისკენ გასწია.

ახლა მიხვდა, გულის კოვზთან კიდევ რატომ წიწკნიდა - ქვემეხები უეცრად დადუმებულიყო. ბოლო ორი კვირა ქალაქის ირგვლივ მათი გრუხუნი არ წყდებოდა, ახლა კი ცას მყუდროება დაუფლებოდა. სამაგიეროდ, ქალაქში, თანაც სწორედ იქ, ქვემოთ, კრემჩატიკზე, დროდადრო აშკარად გაისმოდა შაშხანების ჭახაჭუხი. ტურბინს ახლა ოქროს ჭიშკართან მარცხნივ უნდა გაეხვია, იქ სოფლის ტაძარს მოჰფარებოდა, თავისი უბნისკენ შესახვევებს ფრთხილად გაჰყოლოდა და ალექსეევის დაღმართამდე მიედწია. ტურბინი ასე რომ მოქცეულიყო, მისი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართებოდა, მაგრამ ასე არ მოქცეულა. ხომ არის ძალა, მთაზე ასულ კაცს უფსკრულში რომ ჩაახედებს... გული სიგრილისკენ... უფსკრულისკენ გაუწევს... ტურბინსაც მუზეუმისკენ გულმა ასევე გაუწია. მოუნდა, აუცილებლად შორიდან მაინც დაენახა, იქ რა ხდებოდა. ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ გვერდზე გაეხვია, ათიოდე ზედმეტი ნაბიჯი გადადგა და ვლადიმირის ქუჩაზე გავიდა. ტურბინს გულმა უმაღ რეჩხი უყო და ძალზე გარკვევით ჩაესმა მაღიშევის ჩურჩული: „გაიქეც!“ ტურბინმა თავი მარჯვნივ შეატრიალა, შორს, მუზეუმისკენ

გაიხედა, თვალი შეასწრო შუბლმოქუფრულ გუმბათებს, თეთრ კედლებს და ვიდაცეების შორს გაელვებულ შავ ლანდებს... მეტის დანახვა ვეღარ მოასწრო.

შორს, სუსხიანი ბურუსით დანისლული კრემჩატიკისკენ დაქანებულ პრორეზნაიას ქუჩაზე მისკენ ჯიქურ მოემართებოდნენ მთელი ქუჩის სიგანეზე გაფანტული რუხმაზარიანი ჯარისკაცები. ისინი სულ ახლოს - ოცდაათიოდე ნაბიჯზე იყვნენ. ერთი შეხედვითვე შეატყობდით, რომ, დიდი ხანია, მორბოდნენ და სირბილით დაქანცულიყვნენ. ტურბინს თვალეზმა კი არა, გულის ანაზდეულმა რეჩხმა ამცნო, აღმართზე პეტლიურელები ამორბიანო.

„მახეში გაები“, - გულის კოვზთან აშკარად გაისმა მალიშვეის ხმა.

მერე რამდენიმე წამი თითქოს გაქრა და ამ დროს რა ხდებოდა, ტურბინს აღარ ახსოვდა. მხოლოდ ვლადიმირის ქუჩაზე იგრძნო, რომ მხრებში თავჩაქინდრულს ფეხები სწრაფად მიაქროლებდა პრორეზნაიას საბედისწერო კუთხესთან, სადაც საკანფეტე „მარკიზა“ იყო.

„ჩქა-რა, ჩქა-რა, ჩქა-რა, ცოტა კიდევ... ცოტა კიდევ...“ - უკაკუნებდა სისხლი საფეთქლებში.

ნეტავ სიჩუმემ ზურგს უკან ცოტა ხანს კიდევ გასტანოს... ნეტავ დანის პირად აქცია, ანდა კედელს ააწება, ჩქა-რა... მაგრამ სიჩუმე დაირღვა, მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო.

- სდექ! - გაისმა ტურბინის გათოშილ ზურგს უკან ჩახლეჩილი ხმა.

„ეჰ“, - გულის კოვზთან თითქოს რაღაც ჩასწყდა.

- სდექ! - მკაცრად გაიმეორეს ზურგს უკან.

ტურბინმა უკან მიიხედა და წამით შეჩერდა კიდეც, რადგან ანცმა აზრმა გაუელვა, თავი მშვიდობიან მოქალაქედ ხომ არ მოვაჩვენო. რა გინდათ, ჩემთვის მივდივარ... თავი გამანებეთო... მდევარი თხუთმეტ ნაბიჯზე იყო და მხრიდან შაშხანას აჩქარებით იხსნიდა. ექიმმა უკან მიიხედა თუ არა, შეამჩნია, რომ მდევარს მონღოლური წვრილი თვალეზი გაოცებისგან გაუფართოვდა. მეორე მდევარი ქუჩის კუთხიდან გამოვარდა და შაშხანის საკეტი ააჩხარუნა. პირველ მდევარს სახეზე განცვიფრება გაუგებარი, ავის მომასწავებელი სიხარულით შეეცვალა.

- ჰეი! შეხე, პეტრო, ოფიცერია, - შეჰყვირა მან ისე, თითქოს მონადირეა და კურდღელი უცაბედად იქვე, გზის პირას წამოუხტაო.

„რაო? საიდან გაიგო?“ - გაუზრიალა ტურბინს თავში, თითქოს ჩაქუჩი ჩაჰკრესო.

მეორე მდევრის შაშხანა პატარა, უზალთუნისოდენა შავ ხვრელად იქცა. მერე ტურბინმა იგრძნო, რომ თავად ისრად გარდაიქმნა და ვლადიმირის ქუჩაზე გაფრინდა, მაგრამ თექის ჩექმები ფეხებს უბორკავდა. - ჩ-ჩახ... - იგრიალა უკან და ზემოთ ჰაერი წივილით გაიპო.

- გაჩერდი! გაჩ... დაიჭირეთ! - კიდევ იქექა შაშხანამ. - ოფიცერი დაიჭირეთ!! - აგუგუნდა და აყიჟინდა მთელი ვლადიმირის ქუჩა. ჭექამ ჰაერი ორჯერ კიდევ გააპო.

საკმარისია, ადამიანი სროლაში მოჰყვებს, რომ უჭკვიანეს მგლად გადაიქცევა, ძალზე სუსტსა და მართლაც დიდ გასაჭირში სრულიად უვარგის ჭკუას ნადირის ბრძნული ინსტიქტი შეენაცვლება. ტურბინმა მალე-პროვალნაიას ქუჩის კუთხეს მიაღწია, თავი მგელივით მიაბრუნა და დაინახა, რომ უკან შავ ხვრელს მრგვალი და მკრთალი ცეცხლი შემოევლო, სირბილს უმატა, მალე-პროვალნაიას შეუხვია და ამ ხუთ წუთში თავისი სიცოცხლის მდინარეებს გეზი მეორედ მკვეთრად უცვალა.

აღლო უკარნახებდა, თავგამოდებით, ჯიუტად მოგდევენ, არ მოგეშვებიან, დაგეწევიან, და როცა დაგეწევიან, აღარაფერი გეშველება, შეჭველად მოგკლავენო. მოკლავდნენ, რადგან გარბოდა, ჯიბეში ერთი საბუთიც არა ჰქონდა, რევოლვერი ედო და რუხი მაზარა ეცვა, მოკლავდნენ იმიტომ, რომ გაქცეულს ერთხელ გაუმართლებს, მეორედ გაუმართლებს, მესამედ კი ტყვია აღარ ასცდება, მოარტყამენ. სწორედ მესამედ, ეს ძველთაგანვე ცნობილია. მაშ მორჩა. ნახევარი წუთიც და თექის ჩექმები უღალატებს. ყოველივე გარდაუვალია და რახან ასეა, შიშმა მთელ სხეულში დაურბინა და ფეხებიდან მიწაში ჩასხლტა. მაგრამ ფეხებიდან გაყინულ წყალს სიშმაგე ამოჰყვა და პირიდან მდულარებასავით გადმოეფრქვია. ტურბინი გარბოდა და თვალებს უკვე მართლაც მგლურად აბრიალებდა. ვლადიმირის ქუჩის კუთხიდან ორი რუხმაზარიანი გამოხტა, შემდეგ მათ მესამეც მიემატა და სამივე შაშხანამ ზედიზედ იელვა. ტურბინმა სირბილი შეანელა, კბილები დაადრჭიალა და მათკენ სამჯერ დაუმიზნებლად ისროლა. მერე ფეხი ისევ ააჩქარა, წინ, წყალსადინარ მილთან, თითქმის კედლის ძირას შავად გამკრთალ მსუბუქ ლანდს თვალი ბუნდოვნად მოჰკრა და იგრძნო, რომ მარცხენა ილიაში ვიღაცა თითქოს ხის ჭანგებით სწვდა, რის გამოც ფეხი აერია და უცნაურად, გვერდულად იწყო რბენა. ერთხელ კიდევ შეტრიალდა უკან, სამი ტყვია აუჩქარებლად გაისროლა და მეექვსე გასროლის შემდეგ თავი მკაცრად შეაჩერა: „მეშვიდეს ჩემთვის შემოვიწახავ. ოქროსთმიანო ელენკა და ნიკოლკა! მორჩა მაწამებენ. სამხრებს ამომკვეთენ. მეშვიდეს ჩემთვის შემოვიწახავ“.

ტურბინი გვერდულად გარბოდა და უცნაურ რაღაცას გრძნობდა: რევოლვერი მარჯვენა ხელში ეჭირა, მარცხენა კი უმძიმდებოდა. ისე კი, ჯობდა გაჩერებულიყო. ჰაერი მაინც აღარ ჰყოფნიდა და ველარაფერს გახდებოდა. ამქვეყნად ყველაზე ფანტასტიკური ქუჩის მოსახვევამდე ტურბინმა მაინც მიაღწია, მოსახვევს მიეფარა, მაგრამ შვება ცოტა ხნით იგრძნო. წინ გაიხედა და იმედი გადაეწურა: ყრულ გაჭიმულა ცხაური, აგერ, უზარმაზარი ჭიშკარი ჩაკეტილია... „მმებო, ძალ-ღონეს რას კარგავთ, ფსკერზე დაემვით“, - გაახსენდა მხიარული და სულელური ანდაზა.

ამ დროს სასწაული მოხდა: მომიჯნავე ბალის ხეთა არმიის წინ აღმართულ, ხავსმოდებულ შავ კედელში სანახევროდ შემალულმა ქალმა ხელები ისე გამოიწოდა, თითქოს მელოდრამის მსახიობიაო, შიშისგან გაფართოებული თვალები დააკვესა და შეჰყვირა: - ოფიცერო! აქეთ! აქეთ! აქეთ...

მხურვალე ჰაერით პირგავსებულმა, აქოშინებულმა ტურბინმა სრიალ-სრიალით ძლივს მიიბრინა ამ მხსნელ ხელებამდე და ფიცრის შავ კედელში ჩატანებული კუტიკარის ვიწრო ჭრილში ჩაყვინთა. უმაღ ყოველივე შეიცვალა. შავტანსაცმლიანი ქალის ხელებმა კუტიკარი კედელს მიაწება და ჩარაზა. ქალის თვალები ტურბინის თვალებს დაუპირისპირდა და ტურბინმა ამ შავ თვალებში ბუნდოვნად ამოიკითხა გაბედულება და მოქმედებისკენ სწრაფვა.

- აქეთ გავიქცეთ, მე მომყევით, - ჩასჩურჩულა ქალმა, შეტრიალდა და აგურით მოკირწყლულ ვიწრო ბილიკზე გაიქცა. ტურბინი ნელი სირბილით მიჰყვა. ხელმარცხნივ ფარდულების კედლებმა გაიელვა და ქალმა გვერდზე შეუხვია. ხელმარჯვნივ თეთრი, ზღაპრული, მრავალიარუსიანი ბალი მოჩანდა, წინ დაბლა მესერი ამოიზიდა. ქალი მეორე კუტიკარში გასხლტა და სულშეხუთული ტურბინიც ფეხდაფეხ მიჰყვა. ქალმა კუტიკარი მიაჯახუნა და ტურბინის თვალწინ საოცრად ლამაზი, შავწინდიანი ფეხი გაკრთა. ქალმა კალთა აიკრიფა და აგურის კიბეზე მსუბუქად აირბინა. ტურბინმა გამახვილებული სმენით შეიგრძნო, რომ მდევერები იქ, სადღაც უკან. ქუჩაში დარჩნენ...ეს-ესაა, მოსახვევში შემოუხვიეს და მას დაემებენ. „გადამარჩენს... გადამარჩენს... - გაიფიქრა ტურბინმა, - მაგრამ, მგონი, ვეღარ მივირბენ... გული ვეღარ გაუძლებს“. უკვე კიბის თავში იყო ასული, როცა მარცხენა მუხლსა და მარცხენა ხელზე ჩაიკეცა. ირგვლივ ყოველივე თითქოს შექანდა. ქალი დაიხარა და ტურბინს მარცხენა ხელში ჩაეჭიდა...

- კიდევ... ცოტა კიდევ! - შესძახა ქალმა, აკანკალებული მარცხენა ხელით მესამე დაბალი კუტიკარი გამოაღო და ხეივანისკენ გაექანა, თანაც ბორძიკით მიმავალ ტურბინს ხელს არ უშვებდა, წინ მიათრევდა. „დახე, რა ლაბირინთია... თითქოს საგანგებოდ მოუწყვიათ“, - ბუნდოვნად გაიფიქრა ტყურბინმა და თეთრად შემოსილ ბაღში აღმოჩნდა. საბედისწერო პროვალნაიდან ახლა უკვე სადღაც შორს და მალლა იყვნენ. გრძნობდა, რომ ქალი წინ ეწეოდა, იმასაც გრძნობდა, რომ მარცხენა გვერდი და ხელი უხურდა, მთელი სხეული კი ეყინებოდა და გათოშილი გული ძლივს უფეთქავდა. „გადამარჩენდა, მაგრამ უკვე მორჩა... მორჩა... ფეხები მისუსტდება...“ - ბუნდოვნად გაკრთა გაუსხლავი იასამნის თოვლით შებურული ბუჩქები, ძველებური, შემინული, დათოვლილი წინკარი, მერე გასაღებმა გაიჩხაკუნა. ქალი სულ მასთან იყო, მარჯვენა გვერდთან. ტურბინმა ძალა მოიკრიბა და ქალს წინკარში შეჰყვა. მერე ერთხელაც გაიჩხაკუნა გასაღებმა და სიბნელეში შევიდნენ, სადაც ძველი ავეჯის სუნი იდგა. ზემოთ, სიბნელეში ნათურა მქრქალად აბჟუტდა და იატაკი მარცხნივ დაქანდა... უცაბედად თვალწინ ჩაისრიალა ცეცხლოვანი არშიით შემოსალტულმა მწვანე მაქმანმა და სრულ წყვდიადში გულმა უმაღლ შვება იგრძნო.

*

მქრქალსა და მოცახცახე შუქზე ოქროსფერი, გაცრეცილი ლურსმნის თავები მოჩანდა. უბეში ცინცხალი სიცივე მიედინებოდა, რის წყალობითაც ჰაერი მატულობს, მარცხენა სახელოში კი დამღუპველი, სველი და უსიცოცხლო სითბოა. „აი, თურმე რა ამბავია. დაჭრილი ვყოფილვარ“. - გაიფიქრა ტურბინმა. მიხვდა, რომ იატაკზე იწვა და თავი რაღაც მაგარსა და მოუხეშავზე მიეხვინა. ოქროსფერი ლურსმნის თავები სკივრისა ყოფილა. სიცივისგან სულის მოთქმა ჭირდა, - თურმე ქალი წყალს ასხურებდა.

- ღვთის გულისთვის, ცოტა ჩაყლაპეთ, ცოტა მოსვით, - ჩაესმა ღუღუნა დაბალი ხმა. - სუნთქავთ? რა უნდა ვქნა?

ჭიქა კბილებს წკარუნით მიეჯახა და ტურბინმა ყინულივით ცივი წყალი ძლივს ჩაყლაპა. ახლა ახლოს დაინახა ქერა თმის კულულები და შავზე შავი თვალები. ჩაცმუცქებულმა ქალმა ჭიქა იატაკზე დადგა, ტურბინს კეფაზე ხელი რბილად ამოსდო და თავი წამოუწია

„გული მიცემს? - გაიფიქრა მან. - მგონი, მოვსულიერდი... იქნებ არც ისე ბევრი სისხლი დამიკარგავს... უნდა გავმაგრდე“. გული უცემდა, მაგრამ ფანცქალით, ხშირ-ხშირად, უსასრულო ძაფზე კვანძებად იხლართებოდა და ტურბინმა სუსტი ხმით თქვა: - არა. ყველაფერი გამაძრეთ და მკლავზე ახლავე რამე შემომიჭირეთ...

ქალი ცდილობდა, მიხვედრილიყო, თვალები გაუფართოვდა, მერე მიხვდა, წამოხტა, კარისკენ გაექანა და თეთრეული გადმოაქოთა.

ტურბინმა ტუჩზე იკბინა და გაიფიქრა: „ჰო, იატაკზე ლაქები არ არის, საბედნიეროდ, ეტყობა, ცოტა სისხლი მდენია“. იგი დაიკლაკნა, ქალის დამხარებით მაზარიდან გამოძვრა და წამოჯდა, თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ ცდილობდა, ამისთვის ყურადღება არ მიექცია. ქალმა ახლა ფრენჩის გახდა დაუწყო.

- მაკრატელი, - თქვა ტურბინმა.

ლაპარაკი უძნელდებოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა. ქალი წამოხტა, მეორე ოთახისკენ გაექნა, გზადაგზა ქურქი გაიძრო, ქუდიც მოიხადა და შავი აბრეშუმის კაბის ფრიალით კარს მიეფარა. უკან როცა დაბრუნდა, კვლავ ჩაცუცქდა და ფრენჩის სახელოს გაჭრას შეუდგა. სისხლით გაჟღენთილსა და გაპოხილ სახელოს მაკრატელი პირს ვერ ჰკიდებდა. ბოლოს სახელო რის ვაი-ვაგლახით გაჭრა და ტურბინს ფრენჩი გახდა. პერანგის გახდა ისე აღარ გასძნელებია. მარცხენა სახელო ერთიანად სისხლით იყო გაჟივებული. ფერდიც მუქ წითლად შეღებილიყო. ახლა კი სისხლმა იატაკზე იწყო წვეთა.

- ნუ გეშინიათ, გაფხრიწეთ...

პერანგი ტურბინს ნაგლეჯ-ნაგლეჯ მოსცილდა. მას სახე გაფითრებოდა, წელამდე გაშიშვლებული, გასისხლიანებული ტანიც ყვითლად მოუჩანდა, ცდილობდა, ეცოცხლა და მეორედ აღარ დაცემულიყო, კბილს კბილზე აჭერდა და მარჯვენა ხელით მარცხენა მხარს ისინჯავდა, მერე კი კბილებში გამოსცრა: - მადლობა ღმერთს... ძვალი მთელია... ბინტი თუ არა გაქვთ, რამეს ჩაახიეთ.

- ბინტი მაქვს, - სუსტად შეჰყვირა გახარებულმა ქალმა. სადღაც წავიდა, მალევე დაბრუნდა, თან პაკეტს ხევდა და თან ამბობდა. - მშველელიც რომ არავინ მყავს... მარტო ვარ...

იგი ისევ ჩაცუცქდა. ტურბინმა ჭრილობას დახედა. მკლავის ზედა ნაწილში, იქ, სადაც მკლავი ტანს უერთდება, პატარა ნახვრეტი მოჩანდა, საიდანაც სისხლი წვრილ ნაკადად მოედინებოდა.

- უკანაც არის? - ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მოკლედ ჰკითხა ქალს ტურბინმა, მილეულ ძალას ინსტინქტურად იზოგავდა.

- არის, - უპასუხა შეშინებულმა ქალმა.

- მალლა მომიჭირეთ... აქ... და გადამარჩენთ.

ტურბინმა ისეთი ტკივილი იგრძნო, არასოდეს რომ არ უგრძენია. მწვანე რგოლები ერთმანეთს გადაეჭდო და წინკარში აცეკვდა. ტურბინმა ქვედა ტუჩზე იკბინა.

ქალმა ბინტი მკლავზე შემოახვია, ტურბინი კბილებითა და მარჯვენა ხელით ეხმარებოდა, ჭრილობის ზემოთ მწველი რგოლი ამგვარად ჩაჭიმეს და სისხლის დენაც უმაღლ შეწყდა...

*

ტურბინი მუხლებზე წამოიწია, ქალს ხელი მხარზე დააყრდნო და ძალაგამოლეული, აკანკალებული ფეხები მისი დახმარებით გამართა. ქალმა მთელი ტანით შეამაგრა და ძალზე დაბალჭერიან, ძველებურ ოთახში გაიყვანა. ირგვლივ დამკვიდრებულ ბინდბუნდში ტურბინი ქუფრ ჩრდილებს ხედავდა. ქალმა რაღაც რბილსა და მტვრიანზე დასვა, მერე ხელი გვერდზე გასწია და ალუბლისფერი ქსოვილით შემობურული ლამპა აანთო. ტურბინმა კედელზე თვალი მოჰკრა ჩარჩოში მოქცეულ ხავერდის სერთუკის ნაყმიან კიდეს და ოქროსფერ ეპოლეტს. ქალი მღელვარებისა და დამაბულობისგან მძიმედ სუნთქავდა. ტურბინისკენ ხელები გაიწოდა და უთხრა; - კონიაკი მაქვს... იქნებ დალიოთ?.. მოგიტანოთ?

- ტურბინმა უპასუხა: - - დაუყოვნებლივ...

და მარჯვენა იდაყვზე დაემხო.

კონიაკმა ტურბინს თითქოს უშველა, ყოველ შემთხვევაში, აფიქრებინა, არ მოგკდები, ხოლო ამ ტკივილს, მხარს რომ მიჯიჯგნის და მიღერღავს, როგორმე გავუძლებო. დაჩოქილმა ქალმა დაჭრილი მკლავი ბინტით შეუხვია, მერე მისი ფეხებისკენ ჩაჩოჩდა და თექის ჩექმები გააძრო. შემდეგ ბალიში და მოტკბო სურნელებით გაჟღენთილი, უცნაური თაიგულებით მოჩითული გრძელი იაპონური ხალათი მოუტანა.

- დაწექით, - უთხრა ტურბინს.

ტურბინი მორჩილად დაწვა. ქალმა ხალათი წაახურა, ხალათის ზემოდან საბანიც დაფარა, ვიწრო ტახტის გვერდით გაჩერდა და სახეზე დააცქერდა.

ტურბინმა უთხრა: - თქვენ... თქვენ ჩინებული ქალი ყოფილხართ, - მცირე დუმილის შემდეგ კი განაგრძო: - ცოტა ხანს ვიწვები, სანამ ძალას მოვიკრებ, მერე ავდგები და შინ წავალ. ცოტა ხანს კიდევ შეგაწუხებთ.

ტურბინს გულში შიში და სასოწარკვეთილება შეეპარა: „ნეტა ელენა როგორ არის? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... ნიკოლკა... რის გულისთვის დაიღუპა ნიკოლკა? ალბათ დაიღუპა...“

ქალმა მდუმარედ მიუთითა დაბალ ფანჯრისკენ, რომელსაც პომპონებიანი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. ტურბინს შორეული სროლის ხმა ახლა გარკვევით მოესმა.

- დარწმუნებული იყავით, როგორც კი აქედან გახვალთ, მაშინვე მოგკლავენ, - უთხრა ქალმა.

- მეშინია... თქვენ... რამე არ... დაგიშავდეთ... უცებ რომ მოვიდნენ... რევოლვერია... სისხლი... იქ, მაზარაში, - ტურბინმა გამშრალი ტუჩები გაილოკა. სისხლის დაკარგვისა და კონიაკისგან ოდნავ თავბრუ ეხვეოდა. ქალს სახეზე შიში გამოეხატა. დაფიქრდა.

- არა. - გულდაჯერებით თქვა მან, - რომ მოეგნოთ, აქამდე მოვიდოდნენ. აქ ისეთი ლაბირინთია, კვალს ვერავინ იპოვის. ჩვენ სამი ბალი ამოვირბინეთ. მაგრამ იქაურობა ახლავე უნდა მოვასუფთავო... ტურბინს წყლის ჭყაპუნი, ტილოს ფლასუნი და კარადების კართა ჯახუნი ესმოდა.

ქალი დაბრუნდა; ბრაუნინგის სახელურზე ორი თითი ჩაეველო და ისე მოჰქონდა, თითქოს ხელსა სწვავსო.

- გატენილია? - ჰკითხა ტურბინს.

ტურბინმა საბნიდან საღი ხელი გამოიღო, დამცველი მოსინჯა და ქალს უთხრა: - თამამად წაიღეთ, ნუ გეშინიათ, ოღონდ ხელი სახელურზე მოჰკიდეთ.

ქალი უკან დაბრუნდა და ტურბინს დარცხვენით უთხრა: - თუ ვინცილობაა, მაინც მოვიდნენ... ჯობია, რეიტუზი გახდილი გქონდეთ... ლოგინში იწვეთ და მე ვიტყვი, ჩემი ქმარია, ავად არის-მეთქი...

ტურბინმა ღილების შეხსნა იწყო, თან შუბლი ეჭმუხნებოდა და სახე ემანჭებოდა. ქალი თამამად მიუახლოვდა, ჩაიჩოქა, საბანქვემ ხელი შეეყო, პაჭანაკებზე ჩაეჭიდა, რეიტუზი ჩაადრო და წაიღო. იგი დიდხანს აღარ ჩანდა. ტურბინი ამ დროს თაღს უცქეროდა. სინამდვილეში ეს ორი ოთახი იყო. ოთახებს ისეთი დაბალი ჭერი ჰქონდა, ტანადი კაცი ფეხის წვერებზე თუ აიწევდა, ჭერამდე ხელს მიაწვდენდა. თაღს იქით, სიღრმეში, ბნელოდა, მაგრამ ძველი პიანინოს გალაქული გვერდი ბუნდად ლაპლაპებდა. კიდევ რაღაც ლაპლაპებდა, მგონი, ფიკუსის ყვავილები. აქ კი, ჩარჩოში, ტურბინი კვლავ ხედავდა ეპოლეტის კიდეს.

ღმერთო ჩემო, რა სიძველეა!.. ეპოლეტები ტურბინს თვალს სტაცებდა. შანდალში ქონის სანთელი მშვიდობიანად ენთო. მშვიდობა იყო, მაგრამ მოისპო. წლები უკან აღარ დაბრუნდება. სიღრმეში დაბალი, პატარა ფანჯრებია, გვერდზეც ფანჯარაა. რა უცნაური სახლია? ეს ქალი მარტოა? ვინ არის? გადაარჩინა...მშვიდობა აღარ არის... იქ ისვრიან...

*

ქალი დაბრუნდა, ერთი იღლია შემა შემოიტანა და ღუმლის გვერდით, კუთხეში, ბრაგუნით დაყარა.

- რას შვრებით? რატომ? - გაჯავრებით ჰკითხა ტურბინმა.

- ისედაც უნდა ამენტო, - უთხრა ქალმა და თვალებში ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გაუელვა, - ღუმელს მე თვითონ ვანთებ...

- მოდით აქ, - წყნარად სთხოვა ტურბინმა, - იცით რა, მადლობა ვერ გადაგიხადეთ იმის გამო, რაც ჩემი გულისთვის... გააკეთეთ... ანდა რით გადაგიხდით? - მან ხელი გაიწოდა და თითებზე მოჰკიდა. ქალი მორჩილად მიუახლოვდა და ტურბინამ გამხდარ ხელზე ორჯერ აკოცა. ქალს სახე მოუღება, თითქოს შემფოთების ჩრდილი ჩამოეცალაო, და თვალები ამ წუთას არაჩვეულებრივად დაუმშვენდა.

- თქვენ რომ არ შემსწრებოდით, - განაგრძო ტურბინმა, - ალბათ მომკლავდნენ...

რა თქმა უნდა, - უპასუხა ქალმა, - რა თქმა უნდა... ისე კი ერთი თქვენ მოკალით...

ტურბინმა თავი წამოწია.

- მე მოვკალი? - ჰკითხა მან და კვლავ სისუსტე იგრძნო, თავბრუ დაეხვა.

- ჰო, - ქალმა ტურბინს თავი კეთილად დაუქნია და შიშითა და ცნობისმოყვარეობით დააცქერდა. - უჰ, რა შიში გამოვცადე... კინაღამ მეც არ მომკლეს. - ქალს შეაჟრჟოლა.

- როგორ თუ მოვკალი?

- დიახ... ისინი კუთხიდან გამოცვივდნენ, თქვენ კი სროლა დაუწყეთ. პირველი მიწაზე დაეხეთქა... შესაძლოა, დაიჭრა... გულადი ყოფილხართ... მეგონა, გული შემიწუხდებოდა. თქვენ გამორბოდით, მერე შეჩერდებოდით, ესროდით და კვლავ გამორბოდით... ალბათ კაპიტანი ხართ?

რატომ გგონიათ, რომ ოფიცერი ვარ? ოფიცერო, რატომ მეძახდით?

ქალმა თვალეზი დააკვესა.

- მეგონება, მამ რა იქნება, როცა ფაფახზე კოკორდა გიკეთიათ. ხიფათთან ასე თამაში როგორ შეიძლება?

- კოკორდა? ოჰ, ღმერთო ჩემო... მე ხომ... - ტურბინს გაახსენდა ზარის წკარუნი, დამტვერილი სარკე... - ყველაფერი მოვიძრე... კოკორდა კი დამვიწყებია!.. მე ოფიცერი არა ვარ, - თქვა მან, - სამხედრო ექიმი გახლავართ... ალექსეი ვასილიევიჩ ტურბინი... თუ შეიძლება, მითხარით, რა გქვიათ?

- იულია ალექსანდროვნა რეისი.

- მარტო რატომ ხართ?

ქალმა თვალეზი მოარიდა და როგორღაც დამაბულად უპასუხა: - ჩემი ქმარი აქ არ არის, წასულია. დედამთილიც წასულია. მარტო ვარ... - ცოტა ხანს დუმდა და მერე დაუმატა: - ცივა... ბრ... ახლავე ღუმელს ავანთებ.

*

ღუმელში შეშა აბრიალდა და ცეცხლთან ერთად თავის საშინელმა ტკივილმაც იმძლავრა. ჭრილობა გაყუჩდა, თავის ტკივილი კი მარცხენა საფეთქლიდან დაიწყო და მერე თხემსა და კეფასაც მოედო. მარცხენა წარბს ზემოთ რომელიღაც ძარღვი შეიკუმშა და საშინელი ტკივილი ყოველ მხარეს წრეებად დაიდრა. იულია ღუმელთან დაჩოქილიყო და მუგუზლებს საჩხრეკით ასწორებდა. ტკივილისგან განაწამები ტურბინი თვალეზს ხან ხუჭავდა, ხან ახელდა. ხედავდა, ქალი თავს უკან როგორ სწევდა და სახეს მხურვალეებისგან თეთრი ხელით იფარავდა. ხედავდა სრულიად გაურკვეველი ფერის თმას - ცეცხლის შუქით დაფერილ ფერფლისფერს თუ ოქროსფერს, ყორნისფერ წარბებსა და შავ თვალეზს. ვერ გაეგო, ლამაზი იყო თუ არა მისი არასწორი პროფილი და კეხიანი ცხვირი, ვერ ამოეკითხა, რა იხატებოდა მის თვალეზში, თითქოს შიში, შემფოთება, ან იქნებ ბიწიერებაც... დიახ, ბიწიერება...

ახლა, როცა ქალი ასე იყო ჩამუხლული და აღმური ელამუნებოდა, ტურბინს თავისი მხსნელი მშვენიერად და მომხიბვლელად ეჩვენებოდა.

*

ღუმელში ცეცხლი, დიდი ხანია, ჩანელდა. მხურვალეა ახლა ტურბინის ხელსა და თავს შემოეგზნო. ვიღაცა კეფაში თითქოს გავარვარებულ ლურსმანს უხრახნიდა და ტვინს უბურღავდა. ღამის სიბნელეში საათი საათს მისდევდა, მხურვალეა კი მატულობდა. „სიცხე მაქვს, - უხმოდ იმეორებდა პირგამშრალი ტურბინი და ცდილობდა, საკუთარი თავისთვის ჩაეგონებინა: „დილას უნდა ავდგე და შინ წავიდე...“ ლურსმანი ტვინს უბურღავდა და ბოლოს და ბოლოს ელენაზე, ნიკოლკაზე, საკუთარ ბინაზე და პეტლიუარზე ფიქრებიც გაბურღა და გაფანტა. ყველაფერი სულ ერთი შეიქნა. პეტურრა... პეტურრა... ოღონდაც ეს ტკივილი მოცილდებოდა.

გვიან ღამით იუღია ბეწვშემოვლებული რბილი ფეხსაცმლით ტურბინთან უხმაუროდ მივიდა და გვერდით ჩამოუჯდა. მერე ტურბინმა ხელი კისერზე კვლავ მოხვია და პატარა ოთახები ძლივძლივობით გაიარა. მანამდე ქალმა გამბედაობა მოიკრიბა და უთხრა: - ადექით, თუ შეგიძლიათ. ნურავითარ ყურადღებას ნუ მომაქცევთ. მე მოგეხმარებით. მერე ისევ დაწექით... მაგრამ თუ არ შეგიძლიათ...

ტურბინმა უპასუხა: - არა, ავდგები... ოღონდ მომეხმარეთ...

ქალმა იგი იღუმალეებით მოცული სახლის პატარა კართან მიიყვანა და უკან ისევ გამოაბრუნა. გათოშილი, კბილებაკაწკაწებული ტურბინი ლოგინში ჩაწვა. გრძნობდა, რომ თავის ტკივილი უყუჩდებოდა.

- გეფიცებით, ამას არასოდეს დავივიწყებ... წადით, დაიძინეთ... - უთხრა მან ქალს.

- გაჩუმდით, მე თავზე ხელს გადაგისვამთ, - უპასუხა ქალმა.

მერე ყრუ და ანჩხლი ტკივილი თავიდან მთლად მოსცილდა: საფეთქლებიდან ქალის სათუთ ხელებს გაუყვა, მის სხეულში გაიარა, ფუმფულა, მტვრიანი ნოხით დაფარულ იატაკში ჩაცურდა და იქ ჩაკვდა. ტკივილის ნაცვლად მთელ სხეულს თანაბარი, გამთანგველი სიმხურვალე დაეუფლა. ტურბინს ხელი გაუბუჟდა და ისე დაუმძიმდა, თითქოს თუჯისა ყოფილიყო, ამიტომ ცდილობდა, ადარ განძრეულიყო, თვალები დახუჭა და სიცხეს მინებდა. რამდენ ხანს იწვა ასე, ვერ იტყოდა: იქნებ ხუთ წუთს, იქნებ მრავალ საათსაც. თანაც ეჩვენებოდა, რომ ცეცხლში ასე წოლა საუკუნოდ შეიძლებოდა. როცა თვალები ნელა გაახილა, რომ გვერდით მჯდომი ქალი არ შეეშინებინა, ადრინდელი სურათი დაინახა: წითელი აბაჟურით დაფარული ნათურა თანაბრად, სუსტად ენთო და იქაურობას მშვიდობიან შუქს ჰფენდა. გვერდით უძინარი ქალის სახე მოჩანდა. მას ტუჩები ბავშვურად, ნაღვლიანად გამოებურცა და ფანჯარას გასცქეროდა. აღმურშემოგზნებული ტურბინი შეტოვდა და მისკენ მიიწია.

- ჩემკენ დაიხარეთ, - უთხრა ქალს გამშრალი, მისუსტებული, გაწვრილებული ხმით. ქალი მისკენ შეტრიალდა, შიშჩამდგარი, ჩრდილმიფენილი თვალები დაეძაბა და ჩაუღრმავდა. ტურბინმა მარჯვენა ხელი კისერზე მოხვია, მიიზიდა და ტუჩებში აკოცა. მოეჩვენა, რომ რაღაც ტკბილსა და ცივს შეეხო. ქალს ტურბინის საქციელი არ გაჰკვირვებია. იგი მხოლოდ დაკვირვებით დააცქერდა სახეზე და მერე თქვა: - ოჰ,

როგორი სიცხე გაქვთ. რა უნდა ვქნათ? ექიმის მოყვანაა საჭირო, მაგრამ რანაირად მოვიყვანო?

- არა, არა, - ჩურჩულით უპასუხა ტურბინმა, - ექიმი საჭირო არ არის. ხვალ ავდგები და შინ წავალ.

- ისე მეშინია, - ჩაიჩურჩულა ქალმა. - ვაითუ ცუდად გახდეთ. მე რას გიშველით. სისხლი აღარ გდით? - იგი ბინტით შეხვეულ ხელს ფრთხილად შეეხო.

- არა, ნუ გეშინიათ, არაფერი მომივა. წადით, დაიძინეთ.

- არ წავალ, - უთხრა ქალმა და თითები ხელზე მოუთათუნა. - სიცხე გაქვთ. - გაიმეორა მან.

ტურბინმა ვედარ მოითმინა, ხელი კვლავ მოხვია და მიიზიდა. იულია არ გასძალიანებია. ტურბინი თავისკენ მანამდე იზიდავდა, სანამ ქალი მთლად არ დაიხარა და მის გვერდით არ დაწვა. თუმცა ტურბინს სხეული სიცხისგან უხურდა, მისი ცხოველმყოფელი სითბო მაინც შეიგრძნო.

- იწექით და ნუ გაინძრევით, - ჩურჩულით უთხრა ქალმა. - მე კი თავზე ხელს გადაგისვამთ.

ქალი გვერდით მიუწვა და ტურბინს მუხლები შეეხო. იგი ხელს საფეთქლიდან თმისკენ უსვამდა და ტურბინი თავს ისე კარგად გრძნობდა, მხოლოდ იმას ნატრობდა, არ დამეძინოსო.

მაგრამ მაინც დაეძინა. ეძინა დიდხანს, წყნარად და ტკბილად. როცა გამოეღვიძა, ნახა, რომ ცხელ მდინარეში ნავით მიცურავდა, ყოველგვარი ტკივილი გაჰყუჩებოდა, ფანჯრის მიღმა ღამე ნელა მკრთალდებოდა და ილეოდა. მარტო იმ სახლს კი არა, მთელ ქვეყნიერებასა და ქალაქს სრული მყუდროება დაუფლებოდა. ფარდიდან სუსტი, მოლურჯო-გამჭვირვალე შუქი იღვრებოდა. გამთბარსა და სევდიან ქალს მის გვერდით ეძინა და ტურბინსაც ჩაეძინა.

*

დილით, ასე ცხრა საათზე, უკაცრიელ მალო-პროვალნაიაზე შემთხვევით ჩავლილ მეეტლეს მარხილში ორი მგზავრი ჩაუჯდა. - ერთი ქალი და ერთი ძალზე ფერმიხდილი კაცი, სამოქალაქო, შავი ტანსაცმელი რომ ემოსა. კაცი ქალს სახელოზე ჩასჭიდებოდა, ქალი კი ცდილობდა, რომ იგი მხრით შეემაგრებინა. ასე მივიდნენ ალექსეევის დაღმართამდე. დაღმართზე ხალხი არ მიდი-მოდოდა. მხოლოდ №13 სახლის შესასვლელთან იდგა მარხილი. მარხილიდან იმ წუთას ჩამომხტარიყო უცნაური სტუმარი, რომელსაც ხელში ჩემოდანი, ბოხჩა და გალია ეჭირა.

14

ისინი გამოჩნდნენ, საიქიოს არავინ გამგზავრებულა. მეორე სადამოსვე გამოჩნდნენ.

„ის არის“, - უთხრა ანიუტას ლარიოსიკის ჩიტივით აფრთხილებულმა გულმა. ტურბინების სამზარეულოს დათოვლილ ფანჯარაზე ეზოდან ფრთხილად დააკაკუნეს. ანიუტა ფანჯარას აეკრა და მოსულს დააკვირდა. ის არის, მაგრამ

ულვაში აღარა აქვს... ის არის... ანიუტამ შავი თმა ორივე ხელით შეისწორა, ჯერ წინკარის, მერე წინკარიდან თოვლით დაფარულ ეზოში გამავალი კარი გააღო და მიშლაევსკი მასთან უჩვეულოდ ახლოს აღმოჩნდა. კრაველისსაყელოიანი სტუდენტური პალტო ეცვა და სტუდენტურივე ქუდი ეხურა... ულვაში გაჰქრობოდა... მაგრამ თვალების ცნობა ჩაბნელებულ წინკარშიც კი მშვენივრად შეიძლებოდა. მარჯვენა თვალი ურალის ფერად ქვასავით მწვანე ნაპერწკლებს აფრქვევდა, მარცხენა თვალი კი შავი ჰქონდა... დადაბლებულიყო კიდეც...

ანიუტამ კარი აკანკალებული ხელით ჩარაზა. ეზო გაუჩინარდა, სამზარეულოდან მომავალი შუქის ზოლები კი იმიტომ გაქრა, რომ მიშლაევსკის პალტოს კალთები ანიუტას შემოეფარა.

- გამარჯობა, ანიუტოჩკა... - გაისმა ძალზე ნაცნობი ჩურჩული, - გაცივდებით... სამზარეულოში არავინ არის, ანიუტა?

- არავინ არის, - რატომღაც ჩურჩულითვე უპასუხა ანიუტამ, თუმცა, არც იცოდა, რას ამბობდა. „მკოცნის, ტუჩები გამიტკბილდა“, - გაიფიქრა ნეტარი გულისლევით და აჩურჩულდა: - ვიქტორ ვიქტოროვიჩ... გამიშვით.... ელენა...

- ელენა რა შუაშია... - ჩასწვდა ანიუტას სმენას ოდეკოლონისა და თამბაქოს სუნად გაჟღენთილი, საყვედურის გამომხატველი ხმა, - რას ამბობთ, ანიუტოჩკა...

- ვიქტორ ვიქტოროვიჩ, გამიშვით, დავიყვირებ, ღმერთს გეფიცებით, - გრძნობით ამბობდა ანიუტა და კისერზე ხელებს ხვევდა, - ჩვენ უბედურება გვეწვია - ალექსეი ვასილიევიჩი დაჭრეს...

მგუდავმა მარწუხებმა უმაღლ მოუშვა.

როგორ თუ დაჭრეს? ნიკოლკა?

- ნიკოლკა უვნებლად გადარჩა, ალექსეი ვასილიევიჩი კი დაჭრეს.

სამზარეულოს კარიდან სინათლის ზოლი შემოიჭრა.

ელენამ სასადილო ოთახში შესული მიშლაევსკი რომ დაინახა, ატირდა და უთხრა: - ვიტკა, ცოცხალი ხარ... მაღლობა ღმერთს... ჩვენ კი... - ტურბინის ოთახის კარისკან სლუკუნით მიუთითა - ორმოცი გრადუსი აქვს... საშიში ჭრილობაა...

- ღმერთო დიდებულო, - თქვა მიშლაევსკიმ და ქუდი ლამის კეფაზე მოიგდო, - სად გადაეყარა? იგი მაგიდასთან მდგარ კაცს მიუბრუნდა, რომელიც ბოთლისა და რაღაც ბრჭყვიალა კოლოფებისკენ დახრილიყო.

- ექიმი ბრძანდებით, გეთაყვა?

- სამწუხაროდ, არა, - გაისმა მწუხარე, მიმქრალი ხმა, - ექიმი არა ვარ, ნება მიბოძეთ გაგეცნოთ: ლარიონ სურჟანსკი.

*

სასტუმრო ოთახიდან შემოსასვლელში გამავალი კარი ჩაკეტილია და ფარდებჩამოფარებულიც, ხმაურმა და ლაპარაკის ხმამ ტურბინთან რომ არ შეაღწიოს.

მისი საწოლი ოთახიდან ახლახან გამოვიდნენ და წავიდნენ წვერწვეტა და ოქროსპენსნიანი კაცი, მეორე - წვერგაპარსული და უფრო ახლაგაზრდა და ბოლოს ჭალარა, მოხუცი და ჭკვიანი პროფესორი, თვით ტურბინის მასწავლებელი, მძიმე ქურქი რომ ეცვა და ბოიარინის ქუდი ეხურა. ისინი ელენამ გააცილა. სახე თითქოს გაჰქვავებოდა. იძახეს, იძახეს, ტიფიო... და აი, ენამ უყვილათ.

ჭრილობას ახლა პარტახტიანი ტიფიც დაერთო...

ვერცხლისწყლის სვეტი ორმოცს უჩვენებს... საწოლ ოთახში მოწითალო მყუდროებაა. სიჩუმეა და სიჩუმეში ბუტბუტი ისმის... დაჭრილი კიბეს ახსენებს... ხანაც ზარის რეკვას ბაძავს... „მინ“...

*

- ხომ კარგად ბრძანდებით, მოწყალეო ხელმწიფევ, - გესლიანად ჩაიჩურჩულა მიშლაევსკიმ და ფეხები გაფარჩხა. სახეწამოჭარხლებული შერვინსკი თვალებს აცეცებდა. შავი კოსტიუმი უნაკლოდ ადგა ტანზე, საუცხოო პერანგზე ბანტი ეკეთა, ლაქის მაღალყელიანი ფეხსაცმელი ეცვა. „კრამსკოის საოპერო სტუდიის მსახიობი“. მოწმობა ჯიბეში ედო. - სამხრეები რატომ არ გიკეთიათ? - განაგრძობდა მიშლაევსკი. - „ვლადიმირის ქუჩაზე რუსული დროშები ფრიალებს... სენეგალელთა ორი დივიზია ოდესის ნავსადგურშია. სერბი კვარტირეებიც ჩამოვიდნენ... ბატონო ოფიცრებო, უკრაინაში გაემგზავრეთ და ნაწილები ჩამოაყალიბეთ“... - უჰ, თქვენი დედის ღმერთი...

- რას შემომიჩნდი?.. - უპასუხა შერვინსკიმ. - რა ჩემი ბრალია?.. მე რა შუაში ვარ?.. თავად კინალამ მომკლეს. შტაბიდან ყველაზე ბოლოს გამოვედი, ზუსტად შუადღისას, როცა პეჩორსკიდან მტრის ჯარისკაცთა მწკრივები გამოჩნდა.

- შენ გმირი ხარ, - უთხრა მიშლაევსკიმ, - მაგრამ იმედია, მისმა ბრწყინვალეობამ მთავარსარდალმა დროზე მოასწრო წასვლა... ისევე როგორც მისმა უგანათლებულესობამ ბატონმა ჰეტმანმა... იმისი დედა...იმედია, ჰეტმანი უხიფათო ადგილას იმყოფება. სამშობლოს მათი სიცოცხლე სჭირდება. მართლა, ხომ ვერ მეტყვი, მაინც სად არიან?

- რად გინდა?

- აი, რად მინდა. - მიშლაევსკიმ მარჯვენა მუშტი მარცხენა ხელისგულს დასცხო. - მისი ბრწყინვალეობა და მისი უგანათლებულესობა ხელში რომ ჩამივარდებოდნენ, ერთს მარცხენა ფეხში ვწვდებოდი, მეორეს მარჯვენაში, დავაყირავებდი და ქვაფენილზე თავს მანამდე ვარტყმევინებდი, სანამ არ მომბეზრდებოდა. თქვენი შტაბელების მთელი ხროვა კი ფეხისადგილში უნდა ჩაახრჩო...

შერვინსკი წამოჭარხლდა.

- ცოტა ფრთხილად, თუ შეიძლება, - წამოიწყო მან, - ნუ ამლაშებ... რომ იცოდე, თავადმა შტაბელებიც მიატოვა. მას მხოლოდ ორი ადიუტანტი გაჰყვა, დანარჩენები კი ბედის ანაბარა დაყარეს.

- იცი, თუ არა, რომ ახლა მუზეუმში ჩვენნიანები მშვიდები სხედან... ათასი კაცი, ტყვიამფრქვევებით... იმათ ხომ პეტლიურელები ბალინჯოებივით ამოჟუჟავენ... იცი, პოლკოვნიკი ნაი როგორ მოკლეს?.. ერთადერთი იყო...

- თავი გამანებე, თუ ხათრი გაქვს!.. - შეჰყვირა ახლა კი მართლა გულმოსულმა შერვინსკიმ. - რა კილოთი მელაპარაკები?.. მეც შენნაირი ოფიცერი ვარ!

- კარგი ახლა, ბატონებო, გეყოფათ, - შუაში ჩაუდგა კარჩხანა მიშლავესკისა და შერვინსკის. - ეს რა უაზრო დავაა. მართლა და მართლა, რას გადაეკიდე ამ კაცს... კმარა, ამ ლაპარაკით არაფერი გამოვა...

- წყნარად, წყნარად, - აჩურჩულდა შეწუხებული ნიკოლკა, - იქ ისმის...

მიშლავესკი შეკრთა, შეიშმუშნა.

- ჰო, კარგი, ბარიტონო, ნუ გაცხარდები... მე ისე გითხარ... თავადაც ხომ გესმის...

- საკმაოდ უცნაურია...

- ბატონებო, თუ შეიძლება, ცოტა ხმადაბლა... - ნიკოლკამ ყურები ცქვიტა და იატაკს ფეხი დაჰკრა. ყველამ ყური მიუგდო. ქვემოდან, ვასილისას ბინიდან რაღაც ხმები ამოდოდა. ყრუდ მოესმათ, ვასილისამ მხიარულად და, ცოტა არ იყოს, ისტერიკულად რომ გაიცინა. ვანდამაც თითქოს სიხარულით ხმამაღლა შესძახა რაღაცა. მერე ჩაჩუმდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კი ვილაცეების ბუბუნი გაიგონეს.

საკვირველი ამბავია. - ჩაფიქრებით თქვა ნიკოლკამ, - ვასილისას სტუმრები ჰყავს... თანაც ასეთ დროს. ნამდვილად მეორედ მოსვლაა.

- კარგი ვინმეა ეგ თქვენი ვასილისა, - კვერი დაუკრა მიშლავესკიმ.

*

ასე შუალამე იქნებოდა, როცა ტურბინს მორფის შემხაკუნების მერე დაეძინა. ელენა მისი საწოლის გვერდით მდგარ სავარძელში მოკალათდა. სასტუმრო ოთახში კი სამხედრო საბჭო შედგა.

გადაწყვიტეს, ღამის გასათევად ყველანი ტურბინებთან დარჩენილიყვნენ. ჯერ ერთი, ღამე სიარული, თუნდაც კარგი საბუთები გქონდეს, ხეირს არ დაგაყრის. მეორე, ელენასთვისაც უკეთესია - ვინ იცის, რა დასჭირდება... მთავარი ის კი არ არის, რომ ასეთ დროს, ჯობია, შინ არ იჯდე და სადმე სტუმრად იყო. ამას გარდა, რაც ყველაზე მთავარია, შინ რა უნდა აკეთონ, აქ კი შეიძლება, ვინტს ჩაუსხდნენ.

- თქვენ თამაშობთ? - ჰკითხა მიშლავესკიმ ლარიოსიკს.

ლარიოსიკი გაწითლდა, დაიმორცხვა და უმაღლ ყველაფერი ჩამოაჭიკჭიკა, ვინტს კი ვთამაშობ, მაგრამ ძალზე უხეიროდ... ოღონდ ისე არ მლანძღოთ, როგორც ჟიტომირში გამოსაღებათა ინსპექტორები მლანძღვდნენ... დიდი უბედურება გადავიტანე, მაგრამ, აქ, ელენა ვასილიევნასთან, სულიერად ვჯანსაღდები, რადგან იგი მართლაცდა განსაკუთრებული ადამიანია, აქ თბილა და სიმყუდროვეა. განსაკუთრებით მომწონს ყველა ფანჯარაზე ჩამოფარებული კრემისფერი ფარდები,

რის წყალობითაც თავს გარე სამყაროსგან მოწყვეტილად ვგრძნობ... ის კი, გარე სამყარო... თავადაც დამეთანხმებით, ბინძური, სისხლიანი და უაზროაო.

- გეთაყვა, თქვენ ლექსებს ხომ არ წერთ? - ჰკითხა ლარიოსიკს მიშლაევსკიმ და დაკვირვებით დააცქერდა.

- ვწერ, - მოკრძალებით თქვა გაწითლებულმა ლარიოსიკმა.

- ჰოო... უკაცრავად, რომ გაგაწყვეტინეთ... მაშ უაზროაო, ამბობთ?... განაგრძეთ, განაგრძეთ, გეთაყვა...

- დიახ, უაზროა, ჩვენი დაკოდილი გულები კი სიმშვიდეს სწორედ ასეთი კრემისფერი ფარდების მიღმა ეძიებენ...

- იცით რა, სიმშვიდეზე თუ მიდგა საქმე, თქვენთან, ჟიტომირში, საქმე როგორაა, არ ვიცი, აქ კი, ქალაქში, ნამდვილად ვერ იპოვით... ჯაგრისი წყალში დაასველე, თორემ ძალიან ამტვერებ. სანთლები გაქვთ? დიდებულისა. რახან ასეა, გამსვლელად ჩაგწერთ... ხუთნი სწორედაც მშვიდად ვითამაშებთ.

- ნიკოლკამ სულ არ იცის თამაში, - ჩაურთო კარჩხანამ.

- რას ამბობთ, ფედიკა. ამას წინათ ღუმელთან ვინ წააგო? რენონსი შენ თვითონ გქონდა. ცილს რატომ მწამებ?

- პეტლიურას ცისფერი წინწკლები...

- დიახ, კაცმა კრემისფერ ფარდებს მიღმა უნდა იცხოვროს. პოეტებს რატომღაც ყველა დასცინის...

- ღმერთო შენ დამიფარე... ჩემი ნათქვამი ცუდად რატომ გაიგეთ? პოეტებთან სადაო არაფერი მაქვს. თუმცა ლექსებს არ ვკითხულობ...

- არც სხვა წიგნების კითხვით იწუხებს თავს. მარტო საარტილერიო წესდება და რომის სამართლის პირველი თხუთმეტი გვერდი აქვს წაკითხული... მეთექვსმეტე გვერდზე ომი დაიწყო და კითხვა მიატოვა...

- ცრუობს, ყურს ნუ უგდებთ... თქვენი სახელი და მამის სახელი ლარიონ ივანოვიჩია?

ლარიოსიკმა უთხრა, ჩემი სახელი და მამის სახელი ლარიონ ლარიონოვიჩია. მაგრამ მთელი თქვენი საზოგადოება ისე მომწონს, ამას ხომ საზოგადოებაც არ ეთქმის, მეგობრული ოჯახია, ძალიან მინდა, უბრალოდ ლარიონი დამიძახოთ, მამის სახელის გარეშე... თუკი, რა თქმა უნდა, ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი ექნებაო.

- ურიგო ყმაწვილი არ ჩანს... - ჩასჩურჩულა სიტყვაძუნწმა კარჩხანამ შერვინსკის.

- ასე იყოს... უფრო დავახლოვდებით... რატომაც არა... ეს კი ცრუობს: უნდა მოგახსენოთ, რომ „ომი და მშვიდობა“ მაქვს წაკითხული... აი, წიგნი მართლა ამას ჰქვია. ბოლომდე წავიკითხე, თანაც სიამოვნებით. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ვიღაც მუდრეგის დაწერილი კი არ გახლავთ, არტილერიის ოფიცერმა დაწერა. ათიანი გაქვთ? მე და თქვენ ერთად ვიქნებით... კარჩხანა და შერვინსკი ერთად... ნიკოლკა შენ გახვალ.

- ოღონდ, ღვთის გულისთვის, არ მლანძლოთ, - როგორღაც ნერვიულად თქვა ლარიოსიკმა.

- კარგი ახლა, მართლა და მართლა, პაპუასები ხომ არ გგონივართ? ეტყობა, ჟიტომირში ძალზე თავაშვებული გამოსაღებთა ინსპექტორები გყოლიათ და იმათ დაუშინებიათ... ჩვენ დარბაისელი ხალხი გახლავართ.

- გული მშვიდად იქონიეთ, გეთაყვა, - უთხრა ლარიოსიკს შერვინსკიმ და მაგიდას მიუჯდა.

- ორი ყვავი... ჰოო... აი, მწერალი, ბატონო ჩემო, გრაფი ლევ ნიკოლაევიჩ ტოლსტოი იყო, არტილერიის პორუჩიკი... აფსუს, სამსახური რომ მიატოვა... პას... უთუოდ გენერლობას მიაღწევდა... თუმცა რა, იმას მამული ჰქონდა... მოწყენილობისგან კაცმა შეიძლება რომანიც წერო... ზამთრობით უსაქმოდ როცა ხარ... მამულის პატრონისთვის ეს იოლი ამბავი გახლავთ. უკოზიროდ ვთამაშობთ...

- სამი აგური, - მოკრძალებით თქვა ლარიოსიკმა.

- პას, - გაეპასუხა კარჩხანა.

- რას ბრძანებთ, თურმე მშვენივრად თამაშობთ. კი არ უნდა გლანძლოთ, უნდა შეგაქოთ... თქვენ თუ სამი აგური გაქვთ, მაშინ მოგახსენებთ, რომ მე ოთხი ყვავი მყავს. თავად მეც ახლა ჩემს მამულში სიამოვნებით გავემგზავრებოდი...

- ოთხი აგური, - უკარნახა ლარიოსიკს ნიკოლკამ, რომელიც მის კარტში იცქირებოდა.

- ოთხი? პას.

- მეც პას.

სტეარინის სანთლების მთრთოლარე შუქზე სახელგანთქმულმა ადელებულმა ლარიოსიკმა კარტი აიმატა. მიშლაევსკიმ მოთამაშეებს თითო-თითო კარტი ისე ჩამოურიგა, თითქოს შაშხანიდან ჰილზებს ყრისო.

- ყმაწვილს ყვავები აქვს, - შესძახა მან და ლარიოსიკი წააქეზა: - ყოჩაღ!

მიშლაევსკის ხელებიდან კარტი ნეკერჩხლის ფოთლებივით უხმოდ მიფრინავდა. შერვინსკი ფაქიზად არიგებდა, კარჩხანა იღბალს ემდუროდა და კარტს მაგიდაზე უხათქუნებდა. ლარიოსიკი ოხრავდა და ისე ნელა არიგებდა, თითქოს პირადობის მოწმობებიო.

- „დედიკო-მამიკო“, ეგეთები გვინახავს. - თქვა კარჩხანამ.

მიშლაევსკი უცებ წამოჭარხლდა. კარტი მაგიდაზე დაახეთქა, ლარიოსიკს თვალები მხეცივით დაუბრიალა და შეჰყვირა: - რა ეშმაკი გინდოდა, ჩემი ქალი რომ გადაჭერი, ლარიონ?

- კარგია, ჰა-ჰა-ჰა, - ნიშნის მოგებით თქვა გახარებულმა კარჩხანამ, - უქალოდ დარჩნენ!..

მწვანე მაგიდის ირგვლივ საშინელი აურზაური ატყდა, სანთლის ენები შექანდა, ნიკოლკა სისინითა და ხელების ქნევით გაექნა კარის მისახურად და ფარდის ჩამოსაფარებლად..

- მეგონა, რომ ფიოდორ ნიკოლაევიჩს პაპა ჰყავდა, - ძლივს ამოდერდა მიმკვდარებულმა ლარიოსიკმა.

- რანაირად გეგონა... - მიშლაევსკი ცდილობდა, არ ეყვირა, სისინებდა და ამის გამო უფრო შემზარავი შესახედავი იყო, - როცა თვითონ აიმატე და მე გომომიგზავნე? ჰა? ეს რა ჯანდაბაა? - მიშლაევსკი ხან ერთისკენ მიტრიალდებოდა, ხან მეორისკენ, - ეს ხომ... ყმაწვილი სიმშვიდეს ეძებს. ჰა? უქალოდ რომ დავრჩით, ეს არის სიმშვიდე? ამ თამაშს ხომ გამოთვლა უნდა! ლექსის წერა კი არ არის, ცოტა ტვინი უნდა გაანძრიო!

- მოიცა, იქნებ კარჩხანამ...

- რა იქნებ?... ასეთი სისულელე გაგონილა? მომიტევეთ, ბატონო ჩემო, ჟიტომირში იქნებ ასე თამაშობენ, მაგრამ ეშმაკმა უწყის, ეს რა ჯანდაბაა!.. ნუ მიწყენთ... მაგრამ ლექსებს თუმცა პუშკინიცა და ლომონოსოვიც წერდნენ, ასეთ ოინს არასოდეს ჩაიდენდნენ... ანდა ნადსონი, მაგალითად.

- წყნარად. რა ამბავია, რა შეუტეი? ასეთი რამ ყველას მოუვა.

- ვიცოდი, რაც მომელოდა, - ალულლულდა ლარიოსიკი, - იღბალი არა მაქვს...

- მოიცა... მოიცა...

ერთბაშად სრული სიჩუმე ჩამოვარდა. შორს, რამდენიმე კარს მიღმა, სამზარეულოში ზარი აწკრიალდა. ყველანი გაიტრუნენ. მერე ქუსლების ბაკუნი გაისმა, კარი გაიღო და ანიუტა გამოჩნდა. შემოსასვლელში ელენას თავი გამოკრთა. მიშლაევსკიმ თითები მაუდზე ააკაკუნა და თქვა: - მგონი, ჯერ, ადრე უნდა იყოს? ჰა?

- ჰო, ადრეა, - უპასუხა ნიკოლკამ, რომელიც ჩხრეკის საქმეთა ყველაზე უკეთეს მცოდნედ ითვლებოდა.

- რა ვქნა, გავალო? - შემფოთებით იკითხა ანიუტამ.

- არა, ანა ტიმოფეევნა, მოიცადეთ, - უპასუხა მიშლაევსკიმ და სავარძლიდან ხვნეშით წამოდგა, - საერთოდ, ახლა მე გავალებ ხოლმე, თქვენ ნულარ შეწუხდებით...

- ერთად წავიდეთ, - უთხრა მას კარჩხანამ.

- მაშ ასე, - თქვა მიშლაევსკიმ და იქ მყოფთ ერთბაშად თვალი ისე შეავლო, თითქოს ოცეულის წინ დგასო, - ჰოო... იქ, მამასადამე, ყველაფერი რიგზეა... ექიმს პარტახტიანი ტიფი სჭირს და ასე შემდეგ. ლენა, შენ და ხარ... შენ კი, კარჩხანავ, შეგიძლია, თავი მედდად გაასალო - სტუდენტად... საწოლ ოთახში გაქანდი... რამე შპრიცი აიღე... ბევრნი ვართ, მაგრამ არა უშავს...

ზარი მოუთმენლად განმეორდა. ანიუტა აკანკალდა და ყველას სახე უფრო მეტად დაუდინჯდა.

- მოესწრება, - თქვა მიშლაევსკიმ და შარვლის უკანა ჯიბიდან სათამაშო დამბაჩის მსგავსი პატარა შავი რევოლვერი ამოიღო.

- ეგ კი ნამეტანია, - თქვა მოლუშულმა შერვინსკიმ, - შენი საქციელი მაოცებს. გიჯობდა, ცოტა მეტი სიფრთხილე გამოგეჩინა. ქუჩაში ასე რანაირად მოდიოდი?

- ჯავრი ნუ გაქვს, - დინჯად და თავაზიანად უთხრა მიშლაევსკიმ, - ყველაფერს მოვაგვარებთ. ნიკოლკა, გამომართვი და უკანა კართან ან სარკმელთან გაჩერდი. თუ პეტლიურელი მთავარანგელოზები იქნებიან, ჩავახველებ და სადმე შემაღე. ოღონდ ისე, რომ მერე იპოვოთ. ძვირფასი რამეა, ვარშავამდე მიტარებია... შენ ყველაფერი რიგზე გაქვს?

- არხეინად იყავით, - მკაცრად და ამაყად უპასუხა ჩხრეკის საქმეთა მცოდნე ნიკოლკამ და რევოლვერი გამოართვა.

- მაშ ასე, - მიშლაევსკიმ შერვინსკის თითი მკერდზე ატაკა და უთხრა: - მომღერალი ხარ, სტუმრად მოსული, - მერე კარჩხანას მიუბრუნდა, - შენ მედიკოსი, - ახლა ნიკოლკას, - შენ ძმა. - ბოლოს ლარიოსიკს, - შენ კი მდგმური-სტუდენტი. პირადობის მოწმობა გაქვს?

- მეფის დროის პასპორტი მაქვს, - უპასუხა გაფითრებულმა ლარიოსიკმა, - ხარკოვური სტუდენტური ბილეთიც.

მეფისა დამალე და სტუდენტურისა აჩვენე.

ლარიოსიკი ჯერ ფარდას გამოედო, მერე კი ოთახიდან გავარდა.

- დანარჩენებს არაფერი უჭირთ, ქალები არიან... - განაგრძობდა მიშლაევსკი, - აბა, მოწმობები ყველასა გაქვთ? ჯიბეში ზედმეტი არაფერი გიდევთ?... ჰეი, ლარიონ!... ჰკითხე ერთი, იარაღი ხომ არა აქვს?

- ჰეი, ლარიონ! - სასადილო ოთახიდან გასძახა ნიკოლკამ, - იარაღი არა გაქვს?

- არა, არა, ღმერთმა დამიფაროს, - საიდანლაც მოისმა ლარიოსიკის ხმა.

ზარი განმეორდა გამძაფრებით, გრძლად, მოუთმენლად.

- ღმერთო, შენ შეგვეწიე, - თქვა მიშლაევსკიმ და კარის გასაღებად გაემართა. კარჩხანა ტურბინის ოთახში შევიდა.

პასიანსს ვშლიდით, - თქვა შერვინსკიმ და სანთლები ჩააქრო.

ტურბინების ბინაში შესვლამდე სამი კარი უნდა გაგველო. ერთი კარი შემოსასვლელიდან კიბეზე გადიოდა, მეორე - მინიანი კარი საკუთრივ ტურბინთა სამფლობელოს მიჯნავდა. მინის კარის ქვემოთ ბნელი და ცივი სადარბაზო შესასვლელი იყო, სადაც ლისოვიჩების კარიც გამოდიოდა.

გაისმა კარების ჯახუნნი და მიშლაევსკიმ ქვემოთ დაიყვირა: - ვინა ხართ?

მან იგრძნო, ზემოთ, ზურგს უკან, კიბეზე, ლანდები როგორ შეირბა. კარს იქით ყრუდ გაისმა: - რამდენი ხანია, ვრეკავ... გალბერგი-ტიურბინა აქ ცხოვრობს?... დეპეშა... გააღეთ...

„ასე“ - თავში გაუელვა მიშლავესკის და ხველებას მოჰყვა. უკან, კიბიდან, ერთი ლანდი გაქრა. მიშლავესკიმ ჭანჭიკი ფრთხილად გახსნა, გასაღები გადაატრიალა და კარი გამოაღო, მაგრამ ჯაჭვი არ აუხსნია.

- დეპეშა მომეცით, - თქვა მან და გვერდულად ისე გაჩერდა, რომ კარი ჩამოჰფარებოდა. ვიღაცამ კარის ჭრილში რუხსახელოიანი ხელი შემოყო და პატარა კონვერტი მოაწოდა. განცვიფრებულმა მიშლავესკიმ ნახა, რომ მართლა დეპეშა მოეტანათ.

- ხელი მოაწერეთ, - გაისმა კარს მიღმა ბრაზიანი ხმა.

მიშლავესკიმ გარეთ სწრაფად გაიხედა და დაინახა, რომ ქუჩაში მხოლოდ ერთი კაცი იდგა.

- ანიუტა, ანიუტა, - მხნედ გასძახა მან ზემოთ, ხველებისგან უმაღლესი განიკურნა. - ფანქარი მომეცით.

ანიუტას მაგივრად კარჩხანამ ჩამოირბინა და ფანქარი მიაწოდა. მიშლავესკიმ კონვერტიდან ქალადის ნაგლეჯი გამოადრო, ზედ წააჯღაბნა; „ტურბ“ და კარჩხანას წასჩურჩულა: - ოცდახუთი მიეცი...

კარი გრიალით დაიხურა...

გაოცებული მიშლავესკი და კარჩხანა ზემოთ ავიდნენ. ყველამ თავი მოიყარა. ელენამ კონვერტი გახსნა და ანგარიშმიუცემლად ხმამაღლა წაიკითხა: „ლარიოსიკს საშინელი უბედურება შეემთხვა წერილი ოპერეტის მსახიობმა ლაპსკიმ“...

- ღმერთო ჩემო, - შესძახა წამოჭარხლებულმა ლარიოსიკმა, - ეს ის დეპეშაა!

- სამოცდასამსიტყვიანი, - შესძახა აღფრთოვანებულმა ნიკოლკამ, - ნახე, მთლად აჭრელებულია.

- ღმერთო ჩემო, - შესძახა ელენამ. - ეს რა დამემართა? ოჰ, მომიტევეთ, ლარიონ... ხმამაღლა კითხვა რომ დავიწყე. ეს დეპეშა სულ დამავიწყდა...

- რა დეპეშაა? - ჰკითხა მიშლავესკიმ.

- ცოლმა მიატოვა, - ყურში ჩასჩურჩულა ნიკოლკამ, - ისეთი სკანდალი ყოფილა...

მინის კარზე ატეხილი საშინელი ბრაგუნის ბინაში ისე შემოიჭრა, თითქოს მთიდან ზვავი ჩამოწვაო. ანიუტამ შეჰკივლა. ელენა გაფითრდა და კედლისკენ გადაქანდა. ბრაგუნის ისეთი შემადრწუნებელი იყო, ისეთი შემზარავი და უაზრო იყო, რომ მიშლავესკისაც კი ფერი ეცვალა. თავადაც გაფითრებულმა შერვინსკიმ ელენას ხელი შეაშველა... ტურბინის საწოლი ოთახიდან კვნესა მოისმა.

- კარი... - შესძახა ელენამ.

მიშლაევსკიმ კიბეზე ჩაირბინა. თავისი სტრატეგიული გეგმა სულ მიავიწყდა. მას სირბილითვე მიჰყვნიენ კარჩხანა, შერვინსკი და შიშისგან გულგახეთქილი ლარიოსიკი.

- ეს უკვე უარესი უნდა იყოს, - ბუტბუტებდა მიშლაევსკი.

მინის კარის მიღმა მხოლოდ ერთი შავი ლანდი შეტოკდა, ბრაგუნი შეწყდა.

- ვინ ხართ? - როგორც ცეიხჰაუზში, ისე დაიგრგვინა მიშლაევსკიმ.

- თუ ღმერთი გწამთ... თუ ღმერთი გწამთ... გააღეთ, ლისოვიჩი ვარ... ლისოვიჩი!! - შეჰყვირა ლანდმა, - ლისოვიჩი ვარ... ლისოვიჩი...

ვასილისა საშინელი შესახედავი იყო... თმა გვერდზე ჩამოსწეწოდა და ვარდისფერი, გამელოტებული კანი მოუჩანდა. ჰალსტუხი გვერდზე მოჰქცევოდა, პიჯაკის კალთები დამტვრეული კარადის კარებივით აქეთ-იქით უფრიალებდა. თვალები მოწამლულივით შეშლოდა და ამღვრეოდა. კიბის ბოლო საფეხურზე ფეხი როგორც კი შედგა, უცებ შექანდა და მიშლაევსკის მკლავებში ჩაუვარდა. მიშლაევსკიმ იგი ძლივძლივობით შეამაგრა, თავად კიბეზე ჩამოჯდა და დაბნეულმა ამოიხავლა: - კარჩხანა! წყალი...

15

ღამის თერთმეტი საათი სრულდებოდა. ტურბინების ქუჩა, ხალხმრავლობას ისედაც რომ ვერ დაიკვებნიდა, იმჟამინდელ არეულობათა გამო ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე დაცარიელდა.

მეჩხერად თოვდა, ფანტელები ფანჯრის მიღმა წყნარად მოფარფატებდა, ხოლო ტროტუართან მდგარი აკაციები, ზაფხულში ტურბინების ფანჯრებს რომ აბნელებდა, თოვლის გვირგვინებით დამძიმებულ ტოტებს სულ უფრო დაბლა და დაბლა ხრიდა.

გულისმომწყვლელი უსიამოვნებანი სადილობისას დაიწყო და მთელმა საღამომაც უხეიროდ და უსიამოდ ჩაიარა. ელექტრომუქი რატომღაც სანახევროდ აბჟუტდა. ვანდამ ვასილისას სადილად ტვინი მოუმზადა. უნდა ითქვას, რომ ტვინი ისედაც უგემურია, ხოლო ვანდას მომზადებული- კიდევ უფრო აუტანელი. ტვინამდე წვნიანი ჰქონდათ, რაშიაც ვანდას ზეთი ჩაესხა. ისე რომ, ვასილისა სუფრიდან მოღუშული წამოდგა, ბოღმამორეულს ასე ეგონა, სულაც არ მისადილიაო.. საღამოთი უამრავი საზრუნავი ჰქონდა და ყველა საზრუნავი უსიამოვნებასა და სატანჯველს უმატებდა. სასადილო ოთახში სასადილო მაგიდა ფეხებაყირავებული იდგა, იატაკზე კი ლებიდ-იურჩიკების დასტა ეგდო.

- სულელი ხარ, - უთხრა ცოლს ვასილისამ.

ვანდას ფერი ეცვალა.

- ხეპრე რომ იყავი, ეს, დიდი ხანია, ვიცოდი, - უთხრა მან ქმარს, - მაგრამ შენმა უსაქციელობამ ბოლო ხანს ჰერკულესის სვეტებს უწია.

ვასილისას საშინლად მოუნდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ცოლისთვის სახეში ისე ელექწა, რომ ბუფეტის კუთხისთვის მიენარცხებინა. მერე კიდევ და კიდევ შემოეკრა,

იქამდე ეცემა, სანამ ეს წყეული გამვალტყავებული არსება ხმას არ ჩაიკმენდდა და თავს დამარცხებულად არ აღიარებდა. ვასილისა ხომ გატანჯულია, ბოლოს და ბოლოს უღელდადგმული ხარივით მუშაობს და ამიტომ მოითხოვს, დიახ, მოითხოვს, რომ ოჯახში დაემორჩილოს. ვასილისამ კბილები გააკრაჭუნა და თავი შეიკავა, რადგან ვანდაზე თავდასხმა არცთუ ისე უხიფათო იყო, როგორც უცხოს ეგონებოდა.

- ისე მოიქეცი, როგორც მე გეუბნები, - კბილებში გამოსცრა ვასილისამ, - გაიგე, რომ შეიძლება, ბუფეტი გამოაცურონ. მაშინ რაღას იზამ? ეს კი თავში არავის მოუვა. ქალაქში ყველა ასე აკეთებს.

ვანდა დამორჩილდა და ორივენი საქმეს შეუდგნენ, მაგიდის შიგნითა მხარეზე ჭიკარტებით ფულის აკვრა დაიწყეს.

მაღე მაგიდა შიგნიდან ისე აფერადდა, აბრეშუმის ჭრელაჭრულა ხალიჩას დაემგვანა.

სახეზე სისხლმოწოლილი ვასილისა კრუსუნით წამოდგა და ფულის ველს თვალი გადაავლო.

- მარჯვედ ვერ არის, - თქვა ვანდამ, - ფული როცა დაგვჭირდება, მაგიდა უნდა გადავაბრუნოთ.

- გადააბრუნებ კიდევაც, წელი არ მოგწყდება, - უპასუხა ხმაჩახრინწულმა ვასილისამ, - ჯობია, მაგიდა გადააბრუნო, ვიდრე ყველაფერი დაკარგო. ვერ გაიგე, ქალაქში რა ამბავია? ესენი ბოლშევიკებზე უარესნი არიან. ამბობენ, გახურებული ჩხრეკაა, ოფიცრებს დაემებენო.

ლამის თორმეტ საათზე ვანდამ სამზარეულოდან სამოვარი შემოიტანა და შუქი მთელ ბინაში ჩააქრო, მერე ბუფეტიდან, პარკით გამხმარი შავი პური და ერთი თავი ობმოდებული გამწვანებული ყველი გამოიღო. მაგიდის ზემოთ ჩამოკიდებულ სამბუდიან ჭაღში მხოლოდ ერთი ნათურა ენთო, იმასაც ძაფები რიგიანად არ ჰქონდა გავარვარებული და ოთახს მოწითალო მკრთალ შუქს ჰფენდა.

ვასილისა ყველსა და ფრანგული ფუნთუშის ნაჭერს ლოღნიდა. მწვანე ყველი კბილის მბურღავი ტკვილივით ისე აღიზიანებდა, ლამის ცრემლები წამოსცვივდა. ყოველ ნაკბეჩზე გულისამრევი ნაფხვენები პირის მაგივრად პიჯაკში და ჰალსტუხს შიგნით ეყრებოდა. ვერ გაეგო, რა ტანჯავდა, და ვანდას წარბშეკვრით უცქეროდა, რომელიც ყბებს გამალეებით ამუშავებდა.

- ამათი ამბავი მაკვირვებს, - თქვა ვანდამ და მზერა ჭერისკენ აღაპყრო, - ყველაფერი ასე როგორ შერჩებათ ხოლმე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთ-ერთს მაინც მოკლავდნენ. არა, ყველანი დაბრუნდნენ და ბინა ახლაც ისევ ოფიცრებით აივსო.

სხვა დროს ვასილისა ვანდას ნათქვამს აინუნშიაც არ ჩააგდებდა, მაგრამ ახლა, დარდით გულდამიმბეზულს, ცოლის სიტყვები აუტანელ უსინდისობად ეჩვენა.

- მე კი შენი ამბავი მაკვირვებს, - უპასუხა ვანდას და თვალეები მოარიდა, რომ ნერვები არ აშლოდა, - მშვენივრად იცი, რომ ისინი სინამდვილეში სწორად მოიქცნენ. ქალაქი ვინმეს ხომ უნდა დაეცვა ამ (ვასილისამ ხმა დაიდაბლა) არამზადებისგან... თან ტყუილად გგონია, რომ ყველაფერი ასე ადვილად შერჩათ... მე მგონი, ალექსეი...

ვანდამ თვალები დააშტერა და თავი დააქნია.

- მე თავადაც მაშინვე ეგ გავიფიქრე... რა თქმა უნდა, დაჭრილია...

- ჰოდა, მაშ სულ ტყუილად გიხარია - შერჩათო...

ვანდამ ტუჩები გაილოკა.

- მე არაფერიც არ მიხარია, მარტო იმას ვამბობ, შერჩათ-მეთქი. აი, ეს კი მაინტერესებს, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ჩვენთან რომ მოვიდნენ და, როგორც საბინაო კომიტეტის თავმჯდომარეს, გკითხონ: თქვენ ზემოთ ვინ ცხოვრობსო? ჰეტმანთან თუ მსახურობდნენო? ნეტა ვიცოდე, რას იტყვი?

ვასილისა მოილუშა და თვალები დაბრიცა.

- ვეტყვი, ექიმია-მეთქი... ბოლოს და ბოლოს, საიდან უნდა ვიცოდე? საიდან?

- საქმეც ეგ არის, საიდან...

ამის თქმა იყო და შემოსასვლელში ზარის ხმაც გაისმა. ვასილისა გაფითრდა, ვანდამ კი მარღვებამომსხდარი კისერი შეატრიალა.

ვასილისა ცხვირის სრუტუნით წამოდგა და თქვა: - იცი რა? იქნებ ტურბინებთან შეგვერბინა და დაგვემახა?

ვანდამ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რადგან ზარი იმავე წუთს განმეორდა.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, - ამოიგმინა გულშექანებულმა ვასილისამ, - არა, უნდა გავიდე.

შეშინებულმა ვანდამ ქმარს შეხედა და უკან გაჰყვა. ბინიდან საერთო დერეფანში გამავალი კარი გააღეს და ვასილისა დერეფანში გავიდა. სიცივემ წამოუბერა. კართან მდგარმა ვანდამ თხელი პირისახე წინ წამოსწია. თვალები გაჰფართოებოდა. მის ზემოთ, მოელვარე ფიალაში, ელექტროზარმა მესამედაც დაიჟღერიალა.

ვასილისას ერთი წამით გაურბინა აზრმა, ტურბინთა ბინის კარზე მიეკაკუნებინა - დერეფანში უმაღ ვილაც გამოვიდოდა და ისე აღარ შეეშინდებოდა, მაგრამ ვერ გაბედა. ვაითუ უთხრან: რას აკაკუნებდი? ჰა? რისა გეშინიაო? ამას გარდა, გულში სუსტი იმედი გაუკრთა, იქნებ ისინი არ იყვნენ და რაღაც სხვა ამბავიაო...

- ვინა... ხარ? - მიკნავლებული ხმით იკითხა კართან მდგარმა ვასილისამ.

უმაღვე გასაღების ჭუჭრუტანიდან ჩახრინწული ხმა შემოიჭრა და ვასილისას მუცელში დაეჯახა, ვანდას თავსზემით კი ზარი კვლავ აჟღერიალდა.

- გააღე, - დაიხრიალა ჭუჭრუტანამ, - შტაბიდან ვართ. ფეხი არ მოიცვალო, თორემ კარს აქედან გესვრით.

- ოჰ, ღმერ... - ამოიგმინა ვანდამ.

ვასილისამ მომჩვარული ხელებით ჭანჭიკი და კაკვი ამოაძრო და ჯაჭვი ისე მოხსნა, თავადაც არ გაუგია.

- მალე! - უხეშად თქვა ჭუჭრუტანამ

ქუჩიდან სიბნელემ ვასილისას ჩამობურთული ცის ლეგა ნაგლეჯით, აკაციის ტოტებითა და თოვლის ფანტელებით შემოხედა. დერეფანში სამი შემოვიდნენ, მაგრამ ვასილისას მოეჩვენა, რომ გაცილებით მეტნი იყვნენ.

- ნება მიბოძეთ, გკითხოთ... რისთვის მოხვედით?

- გასაჩხრეკად, - მგლის ხმაზე უპასუხა წინ მომავალმა და უმაღვე ვასილისასთან მიიჭრა. ვასილისას მოეჩვენა, რომ დერეფანი შეტრიალდა და განათებულ კარში მდგარ ვანდას სახე მეტისმეტად შეპუდრული ჰქონდა.

- მაშინ, მომიტევეთ, გეთაყვა, - ვასილისას ხმა მკრთალად, უღიმღამოდ ჟღერდა, - იქნებ მანდატი გქონდეთ? მე პირადად მშვიდობიანი მცხოვრები გახლავართ... არ ვიცი, ჩემთან რატომ მოხვედით? მე არაფერი მაქვს, - ვასილისას ძალიან უნდოდა, უკრაინულად ეთქვა და კიდევაც თქვა: - ნემა.

- მაგას ჩვენ თვითონ ვნახავთ, - უპასუხა პირველმა კაცმა.

სამივენი ვასილისასკენ დაიდრნენ. დაფეთებული ვასილისა უკან იხევდა, სიზმარეულივით მიაბიჯებდა და მომხდურებსაც თითქოს სიზმარში ხედავდა. რატომღაც ეჩვენა, რომ პირველ კაცს ყოველივე მგლური ჰქონდა: წაწვრილებული სახე, ღრმად ჩამჯდარი პატარა თვალები, რუხი კანი, ბლუჯა-ბლუჯა ჩამოჩეჩილი ულვაშები, დაღარული, ჩაცვივნილი, გამხდარი და გაუპარსავი ლოყები. იგი თვალებს უცნაურად ბრეცდა, ქვეშ-ქვეშ იცქირებოდა. იმ ვიწრო გასასვლელშიც კი შეეტყო, რომ სიარულიც არაადამიანური ჰქონდა, თოვლსა და ბალახზე ძუნძულს მიჩვეული ნადირივით მიაბიჯებდა. საშინელ, არასწორ ენაზე ლაპარაკობდა - რუსული და უკრაინული სიტყვების ნარევეზე - ენაზე, რომელიც ქალაქის იმ მცხოვრებთათვისაა ნაცნობი, ვისაც პოდოლზე, დნეპრის სანაპიროზე უხდება ყოფნა, სადაც ზაფხულობით ნავმისადგომის ჯალამბრები ზუზუნით ტრიალებს და ტანსაცმელჩამომენძილი მტვირთავები ბარჟიდან საზამთროს ეზიდებიან... მგელს თავზე ფაფახი ეხურა და ყაითან შემოვლებული ლურჯი ნაჭერი გვერდზე ჩამოჰფენოდა.

მეორემ - გოლიათური აღნაგობის კაცმა ვასილისას შემოსასვლელი თითქმის ჭერამდე გაჭედა. გოლიათს ქალურად ჩათქვირული ლოყები მხიარულად უღაჟღაჟებდა. ყმაწვილურ სახეზე ჯერ ღინღლიც არ ამოსვლოდა... თავზე ჩრჩილისგან გამოჰქმული ყურებიანი ბოხოხი ეხურა, ბეჭებს რუხი მაზარა უფარავდა, არაბუნებრივად პატარა ფეხებზე ძველისძველი, დაფლეთილი წულები ეცვა.

მესამეს გვერდიდან ჩირქიანი ფუფხებით ჩაჰქმული, ჩაჰყლეტილი ცხვირი და ნაიარევით დამახინჯებული, ნაკერიანი ტუჩი ჰქონდა. თავზე ოფიცრის ძველი, წითელძირიანი ქუდი ეხურა, კოკარდის ნაკვალევი რომ ეტყობოდა, ტანზე ჯარისკაცის ძველებური, ორბორტიანი მუნდირი ემოსა, რომელსაც სპილენძის გამწვანებული ღილები ეკერა, შავი შარვალი სახაზინო, მაღალყელიან, რუხ ფუმფულა წინდებში ჩაეტანებინა, ხოლო ფეხებზე ქალამნები ეცვა. ლამპის შუქისგან სახეზე ორი ფერი გადაჰკრავდა - ცვილისფერი და იისფერი, ხოლო თვალებიდან ტანჯული, ავი მზერა გამოკრთოდა.

- ვნახავთ, ვნახავთ, - გაიმეორა მგელმა, - მანდატიცა გვაქვს.

ეს თქვა, შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო, დაჭმუჭნული ქაღალდი ამოიღო და ვასილისას მიაჩქა. მისი ერთი თვალი ვასილისას ლამის გულში ჩაესო. მეორე ელამმა თვალმა კი შემოსასვლელში მდგარ ზანდუკებს სწრაფად ჩაურბინა: დაჭმუჭნულ ქაღალდზე - ფურცლის მეოთხედზე შტამპი ერტყა: სეჩელთა I-ლი კურსის შტაბი

და ქიმიური ფანქრით მსხვილად, ირიბად, ბატისფეხურად ეწერა: ვბრძანებ, ჩხრეკა ჩაატაროთ ალექსეევის დადმართზე №13 სახლში მცხოვრებ ვასილი ლისოვიჩთან. წინააღმდეგობის გაწევა ისჯება დახვრეტით.

შტანის უფროსი პროცენკო

ადიუტანტი მიკლუნნი

მარცხენა ქვედა კუთხეში გაურკვეველი ლურჯი ბეჭედი იყო დასმული.

სანამ მგელი ქაღალდს უკანვე გამოართმევდა, ვასილისას შპალერის მწვანე თაიგულები თვალებში უთამაშებდა.

- გთხოვთ, მობრძანდეთ, მაგრამ მე არაფერი გამაჩნია, - უთხრა მან მგელს.

მგელმა ჯიბიდან მანქანის ზეთით გაპოხილი შავი ბრაუნინგი ამოიღო და ვასილისას მიაშვირა.

- ვაი, - ხმადაბლა წამოიკივლა ვანდამ.

სახედსახიჩრებულები კაცის ხელში მანქანის ზეთით გაბზინებული, გრძელი კოლტი მკვირცხლად აპრიალდა. ვასილისამ მუხლები ჩახარა, ცოტათი ჩაჯდა და დადაბლდა. ელექტროშუქმა რატომღაც თეთრად და მხიარულად იფეთქა.

- ბინაში ვინ არის? - ჩახრინწული ხმით ჰკითხა მგელმა ვასილისას.

- არავინ, - გათეთრებული ტუჩების ცმაცუნით უპასუხა ვასილისამ, - მე და ჩემი ცოლი ვართ.

მგელი თანამგზავრებს მიუბრუნდა და ხიხინით უთხრა: - აბა, ბიჭებო, გაჩხრიკეთ...ცოტა სწრაფად, დრო არა გვაქვს.

გოლიათმა ზანდუკი პატარა კოლოფივით შეანჯღრია, სახედსახიჩრებულები კი ლუმლისკენ გასხლტა. რევოლვერები გაქრა. სახედსახიჩრებულმა ლუმლის კედელზე მუშტი ააბრაგუნა და სარქველი ჩხაკუნით გამოაღო. შავი კარიდან ძალმილეული სითბო გამოიჭრა.

- იარაღი გაქვთ? - იკითხა მგელმა.

- სინდისს გეფიცებით... რას ბრძანებთ, რა იარაღი...

- არა გვაქვს, - ერთი ამოსუნთქვით დაუმოწმა ქმარს ვანდას ჩრდილმა.

- გირჩევნია თქვა, - თორემ ხომ ნახე, რომ დახვრეტაა? - ჩაგონებით უთხრა მგელმა ვასილისას.

- ღმერთმანი... საიდან მექნება?

კაბინეტში მწვანე ლამპა აანთო და სულის სიღრმემდე აღშფოთებულმა თუჯის ალექსანდრე II-მ სამეულს გადმოხედა. კაბინეტის მწვანე შუქზე ვასილისამ თავის სიცოცხლეში პირველად შეიგრძნო, კაცს როგორ ეწვევა გონების დაკარგვის წინათგრძნობა და საშინელ თავბრუს ახვევს. სამივე პირველ რიგში შპალერის სინჯვას შეუდგა. გოლიათმა წიგნები დასტა-დასტა, მსუბუქად, თამაშ-თამაშით ჩამოყარა და თაროები ერთი მეორეზე დააცარიელა. მერე ექვსივე ხელი კედლებს კაკუნით აუყვავა.. ტუპ, ტუპ... - ყრუდ გაისმოდა კაკუნი კედელზე. ტუკ, - უცებ ამოიძახა სამალავის ფირფიტამ. მგლისებრ თვალებში სიხარულმა იელვა.

- მე რა ვთქვი? - უხმოდ ჩაიჩურჩულა მგელმა.

გოლიათმა სავარძლის ტყავი მძიმე ფეხებით ჩაგლიჯა, თავი კი ლამის ჭერს მიაბჯინა. მისი თითების ქვეშ რაღაც წრიპინით გასკდა. წამიც და გლოიათმა კედლიდან ფირფიტა ამოაძრო. ჯვარედინად ზონარგადაჭერილი ქაღალდის პაკეტი მგელმა ხელში მოიგდო. ვასილისა დაბარბაცდა და კედელს მიეყრდნო. მგელი თავის ქნევას მოჰყვა, დიდხანს აქნევდა ასე და თან სულმომქრალ ვასილისას აცქერდებოდა.

- ეს რა არის, შე დამპალო, - წამოიჩყო მან ცხარეთ, - ეს რა არის? აკი არაფერი გქონდა, შე ძუკნის ნათრევო. გვითხარი, არაფერი მაქვსო, ფული კი კედელში შეგიმალია. ახი არ არის, მოგკლათ?

- რას ამბობთ, - შეჰკვივლა ვამდამ.

ვასილისას უცნაური რაღაც დაემართა; უცებ საშინელი სიცილი აუტყდა. მისი სიცილი იმიტომ იყო საშინელი, რომ ცისფერ თვალებში შიში უხტოდა და მხოლოდ ტუჩები, ცხვირი და ლოყები უცინოდა.

- ბატონებო, მომიტევეთ და, დეკრეტი ხომ არანაირი არ გამოსულა. აქ რაღაც ქაღალდებია ბანკისა და ორიოდ ნივთი... ფული კი ცოტაა... ჩემი მონაგრებულია... ახლა ხომ მეფის ფული მაინც გაუქმებულია...

ვასილისა ლაპარაკობდა და მგელს ისე უყურებდა, თითქოს მისი ხილვა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა.

- ნამდვილად დასაპატიმრებელი ხარ, - დარიგების კილოზე უთხრა მგელმა ვასილისას, პაკეტი შეანჯღრია და დახეული მაზარის უძირო ჯიბეში ჩაიტენა. - აბა, ბიჭებო, უჯრებს მიხედეთ.

თავად ვასილისას მიერ გაღებული უჯრებიდან ამოიშალა ქაღალდის დასტები, დიდი და პატარა ბეჭდები, ბარათები, კალმები, პორტსიგარები. ფურცლები მოეფინა მწვანე ხალიჩას და მაგიდის წითელ მაუდს, სრიალით ცვიოდა იატაკზე.

სახედსახიჩრებულმა კაცმა კალათა გადააბრუნა. სასადილო ოთახში კედლებზე ზერელედ, თითქოს უხალისოდ აკაკუნებდნენ. გოლიათმა ხალიჩა აიტაცა და იატაკზე ფეხები ააბაკუნა, რის გამოც პარკეტს ოკრობოკრო, თითქოს ამომწვარი ნაკვალევი დააჩნდა. შუალამისკენ ელექტრობა გაძლიერდა, მხიარულ შუქს აფრქვევდა და გრამოფონის ყვავილს ალაპლაპებდა. ვასილისა სამეულს ფეხების ფრატუნით დაჰყვებოდა. უდრტვინველი სიმშვიდე დაეუფლა და მისი აზრები თითქოს დალაგებით მიედინებოდა. საწოლი ოთახი უმალ აირდაირია. სარკეებიანი კარადიდან გადმოცვივდა და აკოკოლავდა საბნები, ზეწრები, ყირაზე დადგა ლეიბი.

გოლიათი უცებ შეჩერდა, სახეზე მორცხვი ღიმილი გადაეფინა და საწოლქვეშ შეიხედა. იქიდან ვასილისას, ახალი, მაღალყელიანი გალაკული შევროს ფეხსაცმელი იცქირებოდა. გოლიათმა ჩაიცინა და ვასილისას დარცხვენით შეხედა.

- რა კოხტა წაღებია, - თქვა მან წრიპინა ხმით, - ხომ არ მომერგება?

ვასილისამ ვერც კი მოისაზრა, რა ეპასუხა, რომ გოლიათი დაიხარა და ფეხსაცმელს ხელი ნაზად წაავლო. ვასილისა შეკრთა.

- ეგ შევროსია, ბატონებო, - თქვა მან, - თავადაც არ იცოდა, რას ამბობდა.

მგელი მისკენ შეტრიალდა, ელამი თვალებიდან ღვარძლნარევი მრისხანება გამოუკრთა.

- გაჩუმდი, შე ბაღლინჯო, - უთხრა მან პირქუშად. - გაჩუმდი-მეთქ! - გაიმეორა უცებ გაღიზიანებულმა, - მადლობა გვითხარი, განძის გადამალვისთვის რომ არ მიგახვრიტეთ, როგორც ქურდი და ყაჩაღი. გაჩუმდი, - განაგრძობდა იგი. ერთიანად გადაფითრებულ ვასილისასკენ მიიწევდა და თვალებს მრისხანედ უბრიალებდა. - ქონება მოგიგროვებია, ცხვირ-პირი დაგიმრგვალებია, თვითონ ვარდისფერი ხარ, ღორივით, ამ პატიოსან ხალხს კი რა აცვია, ვერ ხედავ? ვერ ხედავ? ამას ფეხები მოყინული აქვს, დაფლეთილი, შენი გულისთვის სანგრებში სული სძვრებოდა, შენ კი შინ იყავ მოკალათებული, გრამოფონს უკრავდი. უ-უჰ, შენი მშობელი დედა! - თვალებში სურვილმა გაუელვა, ვასილისასთვის ყურის ძირას გაელაწუნებინა და ხელი აექნია.

- რას სჩადიხართ, - შეჰყვირა ვანდამ.

მგელმა ვერ გაბედა, წარმოსადეგი ვასილისასთვის გაერთყა და მხოლოდ მკერდში წაჰკრა მუშტი.

გაფითრებულმა ვასილისამ მწვავე ტკივილი იგრძნო, დაბარბაცდა და გული ჭმუნვით აევსო. „ესეც თქვენი რევოლუცია, - გაურბინა ვარდისფერსა და გასულუქებულ თავში, - დიდებული რამეა. ყველანი უნდა ჩამოეხრჩოთ, მაგრამ ახლა რაღა დროსაა...“

- ვასილკო, ჩაიცვი, - ალერსიანად უთხრა მგელმა გოლიათს.

გოლიათი ზამბარებიან ლეიბზე ჩამოჯდა და დაფლეთილი წულები გაიძრო, მაგრამ ფეხსაცმელი ნაცრისფერი, მაღალყელიან სქელ წინდებზე არ ჩაეტია.

- კაცს წინდები მიეცი, - მკაცრად უთხრა მგელმა ვანდას.

ვანდა ყვითელი კარადის ქვედა უჯრასთან უმაღლესად ჩაცუცქდა და წინდები ამოიღო. გოლიათმა ნაცრისფერი, მაღალყელიანი წინდები გაიძრო, წითელთითებიანი, აქა-იქ შავად მოჭმული ტერფები გამოაჩინა და ახალი წინდები ჩაიცვა. ფეხსაცმელები ძლივს ჩაეტია. მარცხენა ფეხსაცმელის ზონარი ტკაცანით გაწყდა. აღფრთოვანებულმა გოლიათმა ბავშვურად გაიღიმა, ზონრის ნაწყვეტები გადააბა და წამოდგა. უმაღლეს თითქოს რაღაც შეიცვალა ამ უცნაური ხუთი ადამიანის დამაბულ ურთიერთობაში და სისადავემ დაისადგურა. სახედსახიჩრებულმა გოლიათის ფეხებზე მაღალყელიანი ფეხსაცმელი დაინახა თუ არა, პირსაბნის გვერდით, ლურსმანზე

ჩამოკიდებული ვასილისას შარვალი ფიცხლად ჩამოხსნა. მგელმა ვასილისას ექვიანად ერთხელაც შეხედა, ხომ არაფერს იტყვისო, მაგრამ ვასილისა და ვანდა არაფერს ამბობდნენ, ორივეს სახე ერთიანად გაფითრებოდა და თვალები დასჭყეტოდა. საწოლი ოთახი მზა ტანსაცმლის მაღაზიას დაემგვანა. სახედასახიჩრებული კაცი დაფხრეწილ-დამონძილი ზოლიანი ნიფხვის ამარა იდგა და შარვალს სინათლეზე ათვალთვლებდა.

- ძვირფასი რამეა, შევიოტი... - ჩაიდუდუნა მან, ლურჯ სავარძელზე ჩამოჯდა და შარვალი ამოიცვა.

მგელმა ჭუჭყიანი გიმნასტურა ვასილისას ნაცრისფერ პიჯაკზე გადაცვალა, თანაც ზოგიერთი ქალაქი პატრონს დაუბრუნდა და უთხრა: - აქ რაღაც ქალაქდება, ბატონო, გამომართვით, იქნებ გჭირდებათ.

მერე მაგიდიდან გლობუსისნაირი მინის საათი აიღო, რომელსაც მსხვილი და შავი რომაული ციფრები ამშვენებდა, და მაზარა კვლავ ჩაიცვა. საათის წიკწიკი ახლა მაზარის უბიდან მოისმოდა.

- საათი საჭირო რამეა. უსაათოდ კაცი თითქოს უსულოა, - ეუბნებოდა მგელი სახედასახიჩრებულს და ვასილისას სულ უფრო და უფრო უტკბებოდა, - ღამე შეხედავ და გაიგებ, რა დროა, - ძალიან საჭირო რამეა.

მერე ყველანი დაიძრნენ, სასტუმრო ოთახი უკანვე გამოიარეს და კვლავ კაბინეტში შევიდნენ. ვასილისა და ვანდა სამეულს გვერდი-გვერდ მიჰყვებოდნენ. კაბინეტში მგელი თვალების ბრეცით რაღაცაზე ჩაფიქრდა, მერე ვასილისას უთხრა: - ბატონო, ხელწერილი უნდა მომცეთ... (რაღაც ფიქრი არ ასვენებდა და შუბლი გარმონივით ექმუქნებოდა.) - რაო? - ჩაიჩურჩულა ვასილისამ.

- ხელწერილი, რომ ნივთები ჩაგვაბარეთ, - განუმარტა მგელმა, თან იატაკს ჩასცქეროდა.

ვასილისას ლოყები წამოუწითლდა.

- ეს როგორ... მევე... (უნდა ეყვირა: როგორ, მევე მოგცეთ ხელწერილიო?! - მაგრამ ამ სიტყვების ნაცვლად სხვა რამ წარმოთქვა) თქვენ... ხელწერილის მოცემა თქვენგან მეკუთვნის, ასე ვთქვათ...

- ოჰ, მართა ჩაძაღვების ღირსი ყოფილხარ. უუ, შე სისხლისმსმელო... ვიცი, რასაც ფიქრობ. ვიცი. ძალაუფლება შენს ხელში რომ იყოს, მწერებივით ამოგვჟლეტდი. უუ, ვატყობ, რომ შენთან წესიერი ლაპარაკი არ გადის. ბიჭებო, კედელთან მიაყენეთ. ერთი დავახალო...

იგი გაბრაზდა, ვასილისას ყელში სწვდა და კედელზე მიაჭექყა. ვასილისას სახე უმაღლესი ერთიანად აუწითლდა.

- ვაი, - შეჰყვირა შემინებულმა ვანდამ და მგელს ხელში ეცა, - რას სჩადით? მოგვიტევეთ... ვასია, დაწერე, დაწერე...

მგელმა ინჟინერს ხელი უშვა. ვასილისას საყელო, თითქოს ზამზარა გაუწყდაო, გვერდზე ტკაცანით გახტა. ვასილისამ ვერ შეამჩნია, სავარძელში როგორ ჩაჯდა.

ხელები უკანკალებდა. ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია და კალამი მელანში ჩააწო. სიჩუმე ჩამოვარდა და იმ სიჩუმეში გაისმოდა, მგლის ჯიბეში გლობუსი როგორ წიკწიკებდა.

- რა დავწერო, - ჰკითხა მგელს ვასილისამ მილეული, ჩახრინწული ხმით.

- მგელი ჩაფიქრდა, თვალეები აახამხამა.

- დაწერე... სეჩელთა კურენის შტაბის ბრძანებით... ნივთები... ნივთები... შემდეგი რაოდენობით... უვნებლად ჩავაბარე...

- რაოდენ... - ერთი კი ამოიწრიპინა ვასილისამ და უმაღ დადუმდა.

- ...ჩავაბარე ჩხრეკისას... და არავითარი პრეტენზია არა მაქვს. ხელი მოაწერე...

ვასილისამ უკანასკნელი გამბედაობა მოიკრიბა, მგელს თვალი აარიდა და ისე ჰკითხა: - ვის ჩავაბარე?

მგელმა ვასილისას ეჭვით შეხედა, მაგრამ გულისწყრომა დაიოკა და მხოლოდ ამოიოხრა.

- დაწერე: ჩაიბარა... უვნებლად ჩაიბარეს ნემოლიაკამ (იგი ჩაფიქრდა, მერე დასახიჩრებულს შეხედა)... კირპატიმ და ატამანმა გრიგალმა.

ვასილისა ქალღმერთს ბინდგადაკრული თვალეებით დასცქეროდა და იმას წერდა, რასაც მგელი უკარნახებდა. წერა რომ დაამთავრა, ხელმოწერის ნაცვლად „ვასილის“ მიაწერა და ქალღმერთს მგელს გაუწოდა. მან ფურცელი გამოართვა და ნაწერს ჩააცქერდა.

ამ დროს შორს, კიბის თავზე, მინის კარი გაჭახუნდა, ფეხის ხმა გაისმა და მიშლაევსკიმ დაიგრგვინა.

მგელს სახეზე უცებ ნაცრისფერი დაედო, მისი თანამგზავრები აწრიალდნენ.

- ჰა! - ხმამაღლა შეჰყვირა მგელმა, ჯიბიდან ბრაუნინგი ამოიღო და ვასილისას მიაშვირა. ვასილისამ ტანჯულად გაიღიმა.

კართა მიღმა დერეფანში ფეხის ხმა და შემახილი გაისმა. მერე ჭანჭიკი, კაკვი და ჯაჭვი აჩხარუნდა და კარი ჩაიკეტა, დერეფანში ისევ გაირბინა ვიღაცამ და მამაკაცის სიცილი გაისმა. ბოლოს მინის კარი მიიხურა, ზემოთ ამავეალთა ფეხის ხმა მიწყდა და სიჩუმე ჩამოვარდა. სახედსახიჩრებული შემოსასვლელში გავიდა, კართან დაიხარა და მიაყურადა. უკან როცა დაბრუნდა, მგელს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა და ყველანი შემოსასვლელში გალაგდნენ. იქ, შემოსასვლელში, გოლიათმა ვიწრო ფეხსაცმელში თითები შეატოკა და თქვა: - შემცივდება.

მან ვასილისას კალოშები ჩაიცვა.

მგელი ვასილისას მიუბრუნდა და თვალეების ცეცებით ხმადაბლა, დაყვავებით უთხრა: - აი, რას გეტყვით, ბატონო... არსად წამოგცდეთ, რომ თქვენთან ვიყავით, თორემ, თუ ჩვენზე სიტყვას დაძრავთ, ჩვენი ბიჭები დაგხოცავენ. ბინიდან დილაამდე ფეხი არ გადგათ, ამისთვის მკაცრად დაისჯებით...

- ბოდიშს მოგახსენებთ, - მყაყე ხმით თქვა ცხვირჩაჭყლეტილმა.

სახელაჟღაჟა გოლიათს არაფერი უთქვამს, მხოლოდ მორცხვად შეხედა ვასილისას, პრილა კალოშებს კი სიხარულით დააცქერდა. ისინი დერეფანში ვასილისას კარიდან ქუჩაში გასასვლელ კარამდე რატომღაც ფეხისწვერებზე მიდიოდნენ, ჩქარობდნენ და ერთმანეთს ეჯახებოდნენ. აჩხარუნდა საკეტები, გამოჩნდა მოქუფრული ცა; ვასილისამ ჭანჭიკები გაყინული ხელებით ჩაკეტა, თავი უბრუოდა და მოეჩვენა, სიზმარს ვხედავო. უცებ გული გაუჩერდა, მერე კი აჩქარებით დაუწყო ბაგაბუგი. შემოსასვლელში ვანდას ქვითინი გაისმა, იგი ზანდუკზე დაემხო და თავი კედელს მიახალა. სახეზე მსხვილი ცრემლები ჩამოსდიოდა.

- ღმერთო ჩემო! ეს რა ხდება?.. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ვასია... ასე თვალდათვალ. ჩვენს თავს რა ამბავია?..

მის წინ მდგარი ვასილისა ფოთოლივით თრთოდა, სახე დამანჭოდა.

- ვასია, - შესძახა ვანდამ, - იცი რა... ისინი არც შტაბიდან იყვნენ და არც პოლკიდან ვასია! ბანდიტები იყვნენ!

- მე თავადაც, თავადაც მივხვდი, - ბუტბუტებდა ვასილისა, სასოწარკვეთილებისგან აღარ იცოდა, რა ექნა, და მარტო ხელებს შლიდა.

- ღმერთო ჩემო! - შეჰყვირა ვანდამ. - სასწრაფოდ. ამწუთას უნდა გავიქცეთ, ამწუთას განვაცხადოთ, დავაჭერინოთ. დავაჭერინოთ! ღმერთო დიდებულო! ყველაფერი წაიღეს. ყველაფერი! ვინმე მაინც რომ.. ვინმე მაინც... ჰა!.. - იგი აცახცახდა, ზანდუკიდან იატაკზე ჩაცურდა, სახეზე ხელები აიფარა. თმა გაეწეწა და კოფთა ზურგზე გაეხსნა.

- სად განვაცხადოთ, სად?.. - ეკითხებოდა ვასილისა.

- ღმერთო ჩემო, შტაბში, ვარტაში! განცხადება მივიტანოთ. ჩქარა. ეს რა ამბავია?!

ვასილისა ერთ ადგილს ტკეპნიდა, მერე კარისკენ გაექანა, მინის ტიხარს ეცა და ბრაგაბრუგი აუტეხა.

*

შერვინსკისა და ელენას გარდა ყველას ვასილისას ბინაში მოეყარა თავი. გაფითრებული ლარიოსიკი კართან იდგა. ფეხებგაფარჩხულმა მიშლაევსკიმ უცხო სტუმრის დაყრილ, დაფხრეწილ წულებსა და ძველმანებს დახედა და ვასილისას მიუბრუნდა: - მორჩა, ჭირი მოგჭამა. ბანდიტები ყოფილან. ღმერთს მადლობა შესწირეთ, ცოცხლები რომ ხართ. სიმართლე გითხრათ, მიკვირს, ასე იოლად როგორ გადარჩით.

- ღმერთო ჩემო... ეს რა გვიყვეს. - თქვა ვანდამ.

- მემუქრებოდნენ, მოგკლავთო.

- მადლობა თქვით, რომ მუქარა არ შეასრულეს. ასეთ რამეს პირველად ვხედავ.

- სუფთა ნამუშევარია, - ხმადაბლა დაუმოწმა კარჩხანამ.

- ახლა რა უნდა ვქნათ?.. - ჰკითხა მიშლაევსკის სულგამკრთალმა ვასილისამ. - საჩივლელად გავიქცეთ?.. სად გავიქცეთ?.. თუ ღმერთი გწამთ, ვიქტორ ვიქტოროვიჩ, რამე მირჩიეთ.

მიშლაევსკი აჯიყჯიყდა, ჩაფიქრდა.

- არსად ჩივილს არ გირჩევთ, - უთხრა მან, - იმათ ვერ დაიჭერენ. ეს ერთი, - თქვა და გრძელი თითი მოკაკავა, - მეორეც...

- ვასია, არ გახსოვს, რა თქვეს, ჩვენზე სიტყვა არ დაძრათ, თორემ დაგხოცავთო?

- ეს სისულელეა, - მიშლაევსკიმ შუბლი შეჭმუხნა, - არავინ დაგხოცავთ. - მაგრამ, გეუბნებით, იმათ ვეღარ დაიჭერენ, არც ვინმე დაუწყებს დევნას. მეორეც, - მან მეორე თითი მოკაკავა, - ხომ უნდა განაცხადოთ, რომ თქვენგან, როგორც ამბობთ, მეფის ფული წაიღეს... ჰოდა, განაცხადებთ იქ, შტაბი აქვთ თუ რაღაცა, და, ვაითუ, მეორე ჩხრეკა ახლა იმათ მოგიწყონ.

- შესაძლოა, ნამდვილად შესაძლოა, - კვერი დაუკრა ჩხრეკის საქმეთა მცოდნე ნიკოლკამ.

განაწამებმა, გულის წასვლისას წყლით გაზუნზულმა ვასილისამ თავი ჩაქინდრა, წირთხლზე მიყრდნობილი ვანდა ხმადაბლა აზლუქუნდა. ისინი ყველას შეეცოდა. კართან მდგარმა ლარიოსიკმა ღრმად ამოიოხრა და ამღვრეული თვალები დაჭყიტა.

- ასეა, ყველას თავისი გასაჭირი აქვს, - ჩაიჩურჩულა მან.

- რითი იყვნენ შეიარაღებულნი? - იკითხა ნიკოლკამ.

- ღმერთო ჩემო. ორ მათგანს რევოლვერი ეჭირა. მესამეს კი... ვასია, მესამეს არაფერი არ ქონდა?

- რევოლვერი ორს ეჭირა, - მისუსტებული ხმით დაუმოწმა ვასილისამ.

- რანაირი რევოლვერები იყო, არ შეგიძინებიათ? - საქმიანად ჩაეკითხა ნიკოლკა.

- აბა, რა ვიცი, - ამოოხვრით უპასუხა ვასილისამ, - სისტემებისა მე რა გამეგება. ერთი დიდი და შავი იყო, მეორე პატარა და შავი, ძეწკვიანი.

- ძეწკვიანი, - ამოიოხრა ვანდამ.

ნიკოლკამ შუბლი შეჭმუხნა და ვასილისას ჩიტვიტ ცალი თვალით გახედა, ერთხანს იწრიალა მოუსვენრად და მერე კარისკენ ფიცხლად გაქანდა. ლარიოსიკი უკან ჩანჩალით მიჰყვა. მას ჯერ სასადილო ოთახამდეც არ მიეღწია, როცა ნიკოლკას ოთახიდან მინის ზრიალი და ნიკოლკას ყვირილი შემოესმა. ლარიოსიკი იქით გაემშურა. ნიკოლკას ოთახში შუქი კაშკაშებდა. სარკმელს კი უზარმაზარი ხვრელი ხახასავით დაეღო და იქიდან სიცივე იჭრებოდა. ნიკოლკას მინა მუხლით გაემტვრია, როცა სასოწარკვეთილი ჩამოვარდნილიყო ფანჯრის რაფიდან. იგი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

- ნუთუ? - შესძახა ლარიოსიკმა და ხელები აღაპყრო, - ეს ნამდვილი ჯადოქრობაა!

ნიკოლკა ოთახიდან გავარდა. წიგნების ოთახი გაირბინა და სამზარეულოში მყოფ ანიუტას ჩაუქროლა.

- ნიკოლ, ნიკოლ, უქუდოდ სად გარბიხარ? ღმერთო ჩემო, კიდევ ხომ არაფერი მოხდა?.. - შეჰყვირა რეტდასხმულმა ანიუტამ.

ნიკოლკა წინკარიდან ეზოში გაიჭრა. ანიუტამ პირჯვარი გადაიწერა, წინკარში შესასვლელი ჩარაზა, სამზარეულოში შეირბინა და ფანჯარას აეკრა, მაგრამ ნიკოლკა თვალთაგან ანაზღად გაუჩინარდა.

მან უცებ მარცხნივ გაუხვია, ქვემოთ ჩაირბინა და ნამქერთან შეჩერდა, რომელსაც კედლებს შორის დარჩენილი შესასვლელი ჩაეხერგა. ნამქერი სრულიად ხელმიუკარებელი დაუხვდა. „ვერაფერი გამიგია“, - ჩაიბუტბუთა სასოწარკვეთილმა ნიკოლკამ და ნამქერს მამაცურად ეკვეთა. ეგონა, საცაა სული შემეხუთებაო. თოვლს დიდხანს ფხოჭნიდა, იფურთხებოდა და ფრუტუნებდა, ბოლოს ზღუდე გაარღვია, იდუმალ ხვრელში გაძვრა, მთლად თოვლში ამოვლებულმა მალა აიხედა და დაინახა: იქ, სადღაც მისი ოთახის საბედისწერო ფანჯრიდან შუქი გამოდიოდა, პალოების შავი თვალები და მათი წვრილი, მუქი ჩრდილები მოჩანდა, კოლოფი კი არსად იყო.

ნიკოლკას უკანასკნელი იმედილა დარჩა, იქნებ ყულფი გაწყდაო, წამდაუწუმ იჩოქებდა და აგურის ნამტვრევებზე ხელებს აფათურებდა, კოლოფი არსად იყო.

უცებ ნიკოლკას გონება მკაფიო აზრმა გაუნათა: „ჰოო“, - შეჰყვირა და მესრისკენ გაბობლდა, რომელიც ხვრელს ქუჩის მხრიდან ზღუდავდა. მესრამდე მიხობდა და ფიცრებს ხელი წაჰკრა... ორი ფიცარი აქეთ-იქით გაიწია და ბნელი ქუჩისკენ გამავალი ფართო ღრიჭო გამოჩნდა. ყველაფერი გასაგებია... ბანდიტებმა ხვრელში შემოსასვლელად ფიცრები აგლიჯეს, შიგნით შემოვიდნენ, ალბათ უნდოდათ, ვასილისას ბინაში საკუჭნაოდან გადამძვრალიყვნენ, მაგრამ ფანჯარაზე გისოსი დახვდათ აკრული.

ერთიანად თოვლში ამოვლებული ნიკოლკა სამზარეულოში მდუმარედ შევიდა.

- ღმერთო ჩემო, მოიცა, ჩამოგფერთხავ მაინც... - შეჰყვირა ანიუტამ.

- თავი გამანებე, თუ ღმერთი გწამს. - ჩაიბუზღუნა ნიკოლკამ და ოთახში შევიდა, თან გაფიცხებულ ხელებს შარვალზე იწმენდა. - ლარიონ ერთი სიფათში გამილაწუნე, - უთხრა ლარიოსიკს.

ლარიოსიკმა თვალები აახამხამა, მერე დაჰყიტა და ნიკოლკას უთხრა: - რა იყო, ნიკოლკა? სასოწარკვეთილებას რატომ უნდა მიეცე? - იგი ნიკოლკას ზურგზე ხელებს გაუბედავად უსვამდა და სახელოთი თოვლს უბერტყავდა.

- თუნდაც იმაზე არაფერი ვთქვათ, რომ ალიოშა თავს წამაგლეჯს, თუ ღმერთმა ინება და გამოჯანმრთელდა, - განაგრძობდა ნიკოლკა, - მთავარი მაინც ის არის, რომ ნაიტურსის კოლტი წაიღეს... მერჩია, თავად მე მოვეკალი, ღმერთმანი!.. ღმერთმა დამსაჯა იმის გამო, რომ ვასილისას აბუჩად ვიგდებდი. ვასილისაც მეზრალემა, ბანდიტებმა ხომ სწორედ იმ რევოლვერით დააშინეს. თუმცა რა, იმას

ურევოლვეროდაც ცაცხვის ყლორტივით გახვლეპავ... ასეთი კაცია. ეჰ... ეს რა მოხდა. ქალღმერთი აიღე, ლარიონ, ფანჯარაზე ავაწებოთ.

*

ღამით ხვრელში ლურსმნებით, ნაჯახით და ჩაქურით შეიარაღებული ნიკოლკა, მიშლაევსკი და ლარიოსიკი გაძვრნენ. ხვრელი ვიწრო ფიცრებით ამოქოლეს. თავად ნიკოლკა გრძელსა და მსხვილ ლურსმნებს გაშმაგებით აჭედებდა, რომ წვეტები გარეთ გაეყოფინებინა. მოგვიანებით შემინული აივანი სანთლებით გაჩხრიკეს, მერე კი ნიკოლა, მიშლაევსკი და ლარიოსიკი გათოშილი საკუჭნაოდან სხვენზე ავიდნენ, მთელი სხვენი ბრაგაბრუგით დაიარეს, თბილ საკვამურებსა და თეთრეულს შორის წელში მოხრილებმა იძრომიალეს, ჩაქურები ახლა იქ აკაკუნეს და სამერცხლული ამოქოლეს.

ვასილისამ როცა შეიტყო, რომ სხვენის დალაშქვრას აპირებდნენ, განუზომელი ინტერესი გამოიჩინა, ექსპედიციას შეუერთდა. ძელებს შორის თავადაც დაძვრებოდა და მიშლაევსკის ყოველგვარ მოქმედებას უწონებდა...

- რა დასანანია, რომ არ შეგვატყობინეთ. ვანდა მიხაილოვნა უკანა კარიდან უნდა ამოგეზავნათ, - ეუბნებოდა ნიკოლკა ვასილისას, სანთელი დაყირავებოდა და სტეარინი ძირს ეღვენთებოდა.

- არა, ძამიკო, არც მაგრეა, - უთხრა ნიკოლკას მიშლაევსკიმ, - რაკილა ბინაში შემოვიდნენ, ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. რა გგონია, თავს არ დაიცავდნენ? დაიცავდნენ და ეგრე! სანამ ბინაში ცხვირს შეყოფდი, მუცელში ტყვიას დაგაჯახებდნენ. ჰოდა, გამოგასალმებდნენ წუთისოფელს. დიახ, აი, შინ რომ არ შეეშვათ, მაშინ სხვა ამბავი იქნებოდა..

- ვიქტორ ვიქტოროვიჩ, მემუქრებოდნენ, კარს გარედან გესვრიტო, - გულითადად თქვა ვასილისამ.

- არაფრის დიდებით არ გესროდნენ, - უთხრა მიშლაევსკიმ, თან ჩაქურს აბრაგუნებდა, - არაფრის დიდებით. მთელ ქუჩას ხომ არ შეყრიდნენ.

გვიან ღამით კარჩხანა ლისოვიჩების ბინაში ლუი მეთოთხმეტესავით ნებივრობდა. ამას წინ უძლოდა ასეთი საუბარი: - დღეს არავინ მოვა, რას ამბობთ! - ამბობდა მიშლაევსკი.

- არა, არა, არა, - ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს კიბეზე მდგარი ვანდა და ვასილისა, - გეხვეწებით, გთხოვთ, ან თქვენ ანდა ფიოდორ ნიკოლაევიჩი წამოზრძანდით!.. თქვენთვის რა ძნელი ეს არის? ვანდა მიხაილოვნა ჩაის დაგვალევიწებს. კარგ ლოგინს დაგიგებთ. ძალიან გთხოვთ, ხვალაც ჩვენთან დარჩით. მოგეხსენებათ, ბინაში უმამაკაცოდ ყოფნა რა ძნელია!

- ნამდვილად ვერ დავიძინებ, - დაუმოწმა ვანდამ და თივთიკის შალში გაეხვია.

- კონიაკიცა გვაქვს... გადავკრათ, - უცებ მარიფათიანად თქვა ვასილისამ.

- კარჩხანა, გაჰყევი, - უთხა მიშლაევსკიმ კარჩხანას.

ჰოდა, ახლა კარჩხანა ლისოვიჩებთან ნებივრობდა. ტვინი და ზეთით შეზავებული წვნიანი თურმე მხოლოდ იმ უკუღმართი სიძუნწის შედეგი გახლდათ, ვასილისამ თავის ცოლს რომ გადასდო. სინამდვილეში კი ბინის წიაღში უამრავი სიმდიდრე იმალებოდა, რის ასავალ-დასავალიც მხოლოდ ვანდამ იცოდა. სასადილო ოთახში სუფრაზე ხელდახელ გაჩნდა სოკოს მწნილი, ხბოს ხორცი, ალუბლის მურაბა და შუსტოვის ჩინებული კონიაკი. კარჩხანამ ვანდა მიხაილოვნას უთხრა, ჭიქა თქვენთვისაც მოიტანეთო და დაუსხა.

- არ გამივსოთ, არ გამივსოთ, - ყვიროდა ვანდა.

ვასილისა კარჩხანას დაემორჩილა, ხელი განწირულივით ჩაიქნია და ერთი ჭიქა დალია.

- ვასია, არ დაგავიწყდეს, რომ გვენებს, - ნაზად უთხრა ვანდამ.

კარჩხანას ავტორიტეტული განმარტების შემდეგ, კონიაკი არავის ვნებს, სისხლნაკლულებსაც კი რძესთან ერთად ასმევენო, ვასილისამ მეორე ჭიქაც გადაჰკრა, ლოყები აუვარდისფრდა და შუბლი ოფლით დაეცვარა. კარჩხანამ ხუთი ჭიქა დალია და მშვენიერ გუნებაზე დადგა. „ცოტა რომ მოასუქო, არც ისეთი ურიგო შესახედავია“, - ფიქრობდა იგი და ვანდას უყურებდა.

მერე კარჩხანამ ლისოვიჩების ბინის განლაგება შეაქო და ტურბინების ბინასთან დამაკავშირებელი სიგნალიზაციის გეგმაზე გააბა საუბარი: ერთი ზარი სამზარეულოდან უნდა გაიყვანონ, მეორე შემოსასვლელიდან. თუ რამე მოხდება, მაშინვე ტურბინებთან დარეკავენ. ჰოდა, კარის გასაღებად მიშლაევესკი გავა. ეს კი სხვა ამბავი იქნება.

კარჩხანა ბინას ძალიან აქებდა: მყუდროა, ავეჯითაც კარგად არის მოწყობილი, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს, ცივიაო.

დამით ვასილისამ შეშა თავად შემოიტანა და სასტუმრო ოთახში ღუმელი გაახურა. კარჩხანამ ტანთ გაიხადა და ტახტზე დაწვა. ორ ქათქათა ზეწარს შუა თავს განცხრომით გრძნობდა. პერანგზე აჭიმებგადაჭერილი ვასილისა მასთან შევიდა, ტახტის გვერდით სავარძელზე ჩამოჯდა და უთხრა: - იცით, რა, არ მეძინება, ნებას მომცემთ, რომ ცოტა ხანი გესაუბროთ?

ღუმელში ცეცხლი ქრებოდა, ჩამრგვალებული ვასილისა სავარძელში დამშვიდებული იჯდა, ოხრავდა და თან ამბობდა: - ხომ ხედავთ, ფიოდორ ნიკოლაევიჩ, ყველაფერი, რაც წვითა და დაგვით მქონდა შემენილი, ერთ სადამოს ვიღაც არამზადებმა ჩაიჯიბეს... ძალადობის შედეგად... არ გეგონოთ, რევოლუციას უარვეყოფდე, ო, არა, კარგად მესმის ისტორიული მიზეზები, რამაც ყოველივე ეს გამოიწვია.

ვასილისას სახესა და აჭიმების ბალთებზე მეწამული ათინათი დასთამაშებდა. კარჩხანა კონიაკმა საამოდ მოადუნა, თვალები ერეოდა, მაგრამ თავაზიანობის გამო მაინც ცდილობდა, თავი მოეჩვენებინა, თითქოს ყურადღებით უსმენდა...

- მაგრამ თავადაც დამეთანხმებით, ჩვენთან, რუსეთში, უდავოდ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ქვეყანაში, რევოლუცია გადაგვარდა და პუგაჩოვშიჩინად იქცა... ხომ

ხედავთ, რა ხდება. სულ ორი წლის განმავლობაში დავკარგეთ კანონიერების, ადამიანური და მოქალაქეობრივი უფლებების მინიმალური დაცვის ყოველგვარი საყრდენი. ინგლისელები ამბობენ...

- მ-მ... ინგლისელები... ისინი, რა თქმა უნდა, - ჩაიბუტბუტა კარჩხანამ, გრძნობდა, რომ ვასილისას თანდათან რბილი კედლით ემიჯნებოდა.

- აქ კი, როგორც იტყვი, ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეაო, როცა იმისგანაც არა ხარ დაზღვეული, საკუთარ ბინაში, თუნდაც ცხრაკლიტულს იქით არ შემოგეჭრება ისეთი ხროვა, დღეს ჩემთან რომ იყო, და ქონებას არ წაგართმევს. ქონებას ვინ ჩივის, იქნებ სიცოცხლესაც გამოგასალმონ!..

- სიგნალიზაციას და დარაბებს მივაწვეთ, - ძილმორეული ხმით უპასუხა კარჩხანამ, თუმცა, პასუხი, არც თუ მარჯვე გამოუვიდა.

- კი, მაგრამ, ფიოდორ ნიკოლაევიჩ! კი მაგრამ, ჩემო კარგო, საქმე მხოლოდ სიგნალიზაცია არ არის! იმ ნგრევასა და ხრწნას, ახლა ადამიანთა სულებში რომ დაიბუდა, ვერავითარი სიგნალიზაციით ვერ შეაჩერებთ. მომიტევეთ, მაგრამ სიგნალიზაცია კერძო შემთხვევაა. ვთქვათ და, სიგნალიზაცია გაფუჭდა?

- შევაკეთებთ, - უპასუხა ბედნიერმა კარჩხანამ.

მთელ ცხოვრებას სიგნალიზაციაზე და რევოლვერებზე ხომ ვერ ავაგებთ. საქმე ეს არ არის. მე ზოგადად ვამბობ, ასე ვთქვათ, შემთხვევას თუ განვაზოგადებთ. საქმე ის არის, რომ დავკარგეთ, რაც ყველაზე მთავარია - საკუთრების პატივისცემა. ხოლო როცა ეს მოხდება, საქმე მორჩენილია. ჩვენ ახლა დაღუპულნი ვართ. მე ბუნებით ურყევი დემოკრატი ვარ, ხალხის წრიდან გამოსული. მამაჩემი რკინიგზაზე უბრალო ათისთავად მუშაობდა. ყველაფერი, რასაც აქ ხედავთ, და ყველაფერი, რაც დღეს იმ გაიძვერებმა წაგვართვეს, სულ ჩემი მონაგრებულია, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გარჯით შექმნილი. დამიჯერეთ, ძველი რეჟიმის დამცველი არასოდეს ვყოფილვარ, პირიქით, საიდუმლოდ გაგიმჟღავნებთ, რომ კადეტი გახლავართ. მაგრამ ახლა, როცა საკუთარი თვალით ვნახე, ყოველივე ეს რასაც იწვევს, გეფიცებით, შემადრწუნებელი რწმენა დამეუფლა, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია... - კარჩხანას ძილის რბილი საბურველი ირგვლივ სულ უფრო ეხვეოდა და ჩურჩული ამ საბურველს მიღმა ესმოდა... - თვითმპყრობელობას. დიახ... უსასტიკეს დიქტატურას, როგორც კი, შეიძლება, კაცმა წარმოიდგინოს... თვითმპყრობელობას...

„მაგრად გაახურა, - ფიქრობდა ნეტარებამორეული კარჩხანა. - ჰო-ო, თვითმპყრობელობა მაგარი რამეა“. ეჰ-მმ - ჩაილაპარაკა ძილბურანში.

- ოჰ, დუ-დუ-დუ-დუ - ჰაბეას კორპუსი, ოჰ, დუ-დუ-დუ-დუ... ოჰ, დუ-დუ - დუდუნებდა ვიღაც ძილბურანის მიღმა, - ოჰ, დუ-დუ-დუ... ტყუილად ჰგონიათ, რომ ასეთმა ვითარებამ დიდხანს შეიძლება იარსებოს, ოჰ, დუ-დუ-დუ, ამაოდ გაიძახოდნენ, მრავალსა წელსაო. არა! მრავალ წელს ეს ვერ გასტანს, სასაცილოც კი არის იმაზე ფიქრი, რომ...

- ციხე-სიმაგრე ივანგოროდი, - მოულოდნელად გააწყვეტინა ვასილისას აწ განსვენებულმა ფაფახიანმა კომენდანტმა.

- მრავალსა წელსა!

- არდაგანიც და ყარსიც, - დაუმოწმა კარჩხანამ ბურანში.

- მრავალსა წელსა!

შორიდან ვასილისას ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მოკრძალებული სიცილი მოისმა.

მრავალსა წელსა!! -

მხიარულად მღეროდნენ ხმები კარჩხანას თავში.

16

მრავალსა წელსა. მრავალსა წელსა.

მრა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ვალსა წე-ე-ე-ე-ელსა... -

დააგუგუნა ტოლმაშევსკის სახელგანთქმული გუნდის ცხრა ბანმა.

მრა-ვა-ა-ა-ა-ლსა-ა წე-ე-ე-ელსა... -

თითქოს ბროლმა დაიწკრიალო, ისე შემოსძახეს დისკანტებმა.

მრა-ვა-ა-ა-ა-ლსა-ა წე-ე-ე-ელსა...

აიტაცეს სოპრანოებმა და გუნდის მოძახილი გუმბათამდე აიჭრა.

- შეხე, შეხე! თვითონ პეტლიურა...

- შეხე, ივან...

- ოჰ, შე სულელო... პეტლიურა უკვე მოედანზეა...

ქორედებზე ასობით თავი ახუნძლულიყო. ზემოდან მაცქერალნი ერთმანეთს ექჷყყებოდნენ, შავი ფრესკებით მოხატულ ძველისძველ სვეტებს შუა მოქცეული მოაჯირიდან გადმოკიდებულიყვნენ. ხალხი ზიმზიმებდა, ჩოჩქოლებდა, ერთიმეორეს აწვებოდა, ჭყლეტდა. ყველანი მოაჯირისკენ მიიწევდნენ, ცდილობდნენ, ტაძრის წიაღში ჩაეხედათ, მაგრამ ერთმანეთზე მიჯრილ, ყვითელი ვაშლებივით სამ რიგად ჩამწკრივებულ ასობით თავს შორის გაძრომას ვერ ახერხებდნენ. ქვემოთ სულშეხუთული, ათასთავიანი ტალღა ირხეოდა, ტალღის ზემოთ კი ოფლის ბუდი, საკმევლისა და ასობით სანთლის კვამლი, ჯაჭვზე ჩამოკიდებულ მძიმე კანდელთა ჭვარტლი მიილტვოდა, ლეგა-ცისფერი მძიმე ფარდა რგოლებზე ჟღრიალით მიცურავდა და ლითონის მოჩუქურთმებულ, ჩაშავებულსა და ჩაჟამებულ, საუკუნოვან აღსავლის კარს ფარავდა, ისეთსავე ჩაჟამებულს, როგორც მთელი სოფლის ტაძარი იყო. ქორკანდელებში სანთელთა ცეცხლოვანი კუდები ტკაცუნით ირხეოდა, ჰაერი არ ყოფნიდა და აკვამლებულ ძაფებად მაღლა მიიწევდა. სამსხვერპლოს ეკვდერში უჩვეულო ალიაქოთი იდგა. საკურთხევლის გვერდითა კარებიდან გრანიტის გალუულ ფილებზე ცვიოდა ოქროსფერი სამოსელი, ფრიალებდა ოლარები. მუყაოს მრგვალი კოლოფებიდან იისფერ კუნკულებს იღებდნენ. კედლებიდან ჩამოხსნილი დროშები ძირს რხევით ეშვებოდა, სადღაც, ხალხის შუაგულში, მთავარდიაკონ სერებრიაკოვის შემზარავი ბანი გუგუნებდა.

უთავო, უხელებო შესამოსელი, ბრბოს თავზე კუზივით ფარფატებდა, მერე ხალხში ჩაინთქა, შემდეგ დაბამბული ანაფორის ჯერ ერთი სახელო აიჭრა მაღლა, ახლა მეორე. აფრიალდა და გამოინასკვა კუბოკრული თავშლები.

- მამაო, არკადი, ლოყები კარგად აიხვიეთ, საშინელი ყინვაა. ნება მიბოძეთ, მოგეხმართ.

დროშები კარებში დამარცხებულთა აღმებივით დაიხარა, დაიძრა ყავისფერი გუნდი და დაირხა იდუმალი, უმშვენიერესი სიტყვები, კალთები იატაკზე მიცურავდა.

- გზა დაუთმეთ...

- ღმერთო ჩემო, სად მიდიხარ?

- მანკა! გაგჭყლეტენ...

- ვის უგალობენ? (ბანი, ჩურჩულით). უკრაინის სახალხო რესპუბლიკას?

- ეშმაკმა უწყის (ჩურჩულით).

- არ გინდოდა მამაო და ხომ დაგიდგა მამადო.

- ჩუმად...

მრავალსა წელსა!!!

აწკრიალდა გუნდი და ხმა მთელ ტაძარს მოეფინა... ჩასუქებულმა, სახელაჟდაჟა ტოლმაშვესკიმ ცვილის გამდნარი სანთელი ჩააქრო და კამერტონი ჯიბეში ჩაიღო. თავით ფეხამდე ოქროს ყაითნიან ყავისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი გუნდი ჩამავებულ-ჩაჟამებული ქორედებიდან დაეშვა. მოირწეოდა დისკანტების ბაცთმიანი, თითქოს მელოტი თავები, ცხენისთავა ბანებს ხორხები ებურცებოდათ. ყოველი მხრიდან ერთმანეთის ჯგლეთით ზვავივით დაექანა, მორევივით დატრიალდა აჩოჩქოლებული ხალხის შედედებული ტალღა...

ეკვდერებიდან მოცურავდა სტრიქონები, თითქოს კბილის ტკივილის გამო ყბახვეული თავები, დაბნეულად მომზირალი თვალები, მუყაოს პაწაწინა, იისფერი ქუდები. მამა არკადის, საკათედრო ტაძრის წინამძღვარს, ტანმორჩილ, ღონემიხდილ კაცს ფერადი თვლებით მოჭედილი, აბრჭყვიალებული მიტრა რუხი, კუბოკრული თავსაბურავის ზემოდან დაეკოსებინა და ხალხის ნაკადში ფეხების ფლასუნით მიცუხცუხებდა, თვალებში სასოწარკვეთილება ეხატებოდა, წვერი უცანცარებდა.

- ლიტანია იქნება. წამო, ვიტკა.

- წყნარად! სად მიძვრებით? მღვდლები არ გაჭყლიტოთ...

- გზაც იქითა ჰქონიათ.

- მართმადიდებელნო!!! ბავშვი გაჭყლიტეს...

- ვერაფერი გამიგია...

- თუ ვერ გაგიგიათ, მაშ გირჩევნიათ, შინ წახვიდეთ, აქ არაფერი გესაქმებათ...

- ქისა ამაჭრეს!!!

- მომიტევეთ, მაგრამ ეს ხომ სოციალისტები არიან. ასე არ არის? მაშ მღვდლებს რაღა ესაქმებათ?

- ბოდიში.

- მღვდლებს ფული ჩაუჩხრიალე და თუნდაც ტარტაროზს გაუმართავენ წირვას.

- ურიგო არ იქნება, ახლა ბაზარში რომ შევირბინოთ და ურიების დუქნებს დავერიოთ. სწორედ კარგი დროა...

- მე თქვენს ენაზე არ ვლაპარაკობ.

- ქალი გაგუდეს, ქალი გაგუდეს...

-გა-ა-ა-ა... გა-ა-ა-ა...

სვეტების უკნიდან და გვერდიდან, ქორედებიდან ხალხი კარებისკენ მიიწევდა. კიბის საფეხურიდან საფეხურზე ფეხის ჩადგმა უჭირდათ, ერთი მეორეზე მიჭექყილებს გვერდზე შებრუნება, შეტოკება არ შეეძლოთ. ვინ იცის, რომელი საუკუნის ყავისფერი, მსხვილკანჭიანი ტაკიმასხარები კედელთა ძველ ფრესკებზე სტვირს უკრავდნენ და მოცეკვავდნენ. ყველა გასასვლელში შრიალით, გუგუნით მიექანებოდა სანახევროდ გაგუდული, ნახშირორჟანგით, კვამლითა და საკმევლის სუნით გაბრუებული ხალხი. ბრბოში ხან სად და ხან სად გაისმოდა გულშეღონებული ქალების შეკვივლება. შავკაშნიანი ჯიბგირები თავგამოდებით მუშაობდნენ, ადამიანთა ერთიმეორეზე მიწებებულ, დაჯგლეთილ, დაგუნდავებულ სხეულთა შორის გაწაფულ, ვირტუოზულ ხელებს დააცოცებდნენ. გაისმოდა ათასობით ფეხის ღრაჭუნი, ჩურჩული, შარიშური.

- ღმერთო დიდებულო...

- იესო ქრისტე... ღვთისმშობელო დედაო...

- ნეტავი აქ ფეხი არ მომედგა. ეს რა ხდება?

- ჭირმა წაგიღოს, შე სალახანა.

- საათი, ხალხო, ვერცხლის საათი, ძმებო, გუშინ ვიყიდე...

- ჰაიჰარად წაიღეს, ასე ვთქვათ...

- რა ენაზე წირავდნენ, ჩემო კარგო, ვერ გავიგე...

- ღვთის ენაზე, დედილო.

- ახლა სასტიკად აიკრძალება მოსკოვურ ენაზე ლაპარაკი.

- ეს რანაირად შეიძლება? მართლმადიდებლურ, მშობლიურ ენაზე ლაპარაკის უფლება აღარ გვაქვს?

- საყურე მთლიანად ამაგლიჯეს, ნახევარი ყური ჩამომახიეს...

- ბოლშევიკები დაიჭირეთ, ბიჭებო! ჯაშუში! ბოლშევიკების ჯაშუში!
- აქ რუსეთი ნუ გგონიათ, ბატონო ჩემო.
- ოჰ, ღმერთო ჩემო, ფოჩიანები... მარუსია, შეხედე, სირმიანები...
- გული მიწუხს...
- ქალს გული უწუხს.
- გული ყველას უწუხს, დედილო. მთელი ხალხი დიდ გასაჭირშია. თვალი არ ამომთხაროთ, თვალი. ნუ მაწვებით. რამ გაგაცოფათ, თქვე წყეულებო?!
- მოუსვით რუსეთში! მოუსვით უკრაინიდან!
- ივან ივანოვიჩ, ახლა აქ პოლიციის რაზმები რომ გამოჩდეს! გახსოვთ, დღესასწაულებზე რომ იყო ხოლმე... ეჰ. ჰო, ჰო.
- სისხლიანი ნიკოლოზი მომინდომეთ? ვიცით, ყველაფერი ვიცით, თავში რა აზრებიც გიტრიალებთ.
- თუ ღმერთი გწამთ, თავი გამანებეთ, მე ხომ არაფერს გერჩით.
- ღმერთო ჩემო, მალე მაინც გავიდეთ გარეთ... სუფთა ჰაერი ჩავისუნთქოთ...
- ვერ მივაღწევ, მოვკვდები.

მთავარ გასასვლელს ხალხის ტალღა აწვებოდა. გარეთ მიგორავდა, მიქანაობდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, ქუდებს კარგავდა, ჩოჩქოლებდა, პირჯვარს იწერდა. მეორე, გვერდითა გასასვლელიდან, სადაც ორი მინა ხელდახელ გაამტვრიეს, მელიტანიეთა ვერცხლისფერ-ოქროსფერი, გაგუდული, რეტდასხმული გროვა და მომღერალთა გუნდი გაიჭრა. შავ ტალღაში მილივლივებდა ოქროსფერი სამოსელი, ამოზიდული კუნკულები და მიტრები, დროშები მინებიდან დახრილი გამოაძვრინეს, მერე გამართეს და თავაღერილი გააცურეს.

ძალზე ყინავდა. ქალაქს კვამლი ასდიოდა. ტაძრის ეზოში ათასობით ადამიანის ფეხით დატკეპნილ თოვლს ხრამხრუმში გაჰქონდა. სუსხიან ჰაერში გათოშილი ორთქლი იბოლქვებოდა და სამრეკლოსკენ მიიწევდა. მთავარ სამრეკლოზე სოფის ტაძრის მძიმე ზარი გუგუნებდა და ამ საშინელი ზრიალ-დგანდგარის დაფარვას ლამობდა. პატარა ზარები არეულ-დარეულად, გაბმით წკარუნობდა, ერთიმეორეს არ აცლიდა, გეგონებოდათ, ანაფორით თვით სატანა შემოსილა, სამრეკლოში მოკალათებულა და ეს აურზაური თავის შესაქცევად აუტეხავსო. თათართა შემოსევისას საგანგაშო რეკვის მომსწრე მრავალსართულიანი სამრეკლოს შავ ჭრილებში პატარა ზარები ჯაჭვით დაბმული ავი ძაღლებივით აქეთ-იქით აწყდებოდნენ და ღავდავებდნენ. ყინული ხრამუნობდა, ოხშივარი ასდიოდა. სულის მოსათქმელად გარეთ გამოფენილმა ხალხმა ტაძრის ეზო ერთიანად ჩააშავა.

თუმცა საშინლად ყინავდა, ძველი სოფის ტაძრის სამრეკლოსკენ მიმავალი მოკირწყლული ბილიკის გასწვრივ თავშიშველი, თურქულად ფეხმორთხმული ღვთის გლახები უკვე გვერდიგვერდ ჩამწკრივებულიყვნენ და ნიღნიღით

მღეროდნენ. ზოგს მელოტი თავი მწიფე გოგრასავით უპრიალებდა, ზოგს
ნარინჯისფერი თმის ტვერი აბურბგნოდა.

ბრმა მექნარეები გულის გამაწვრილებლად გალობდნენ, ქვეყნიერებას საშინელი
სამსჯავროს მოახლოებას აუწყებდნენ, დახეული ქუდები წინ პირაღმა ეწყობთ და
გაპოხილი მანეთიანები შიგ ფოთლებივით ცვიოდა. ქუდებში დაჭეჭვილი
უზალთუნები მოჩანდა.

ოი, როცა ქვეყნის აღსასრული დადგება, საშინელი სამსჯავრო მაშინ მოახლოვდება...

მრუდყელიანი ყვითელკბილა ბანდურებს საშინელი, გულისმომწყვლელი ხმები
სწყდებოდა, ახრაშუნებულ მიწას სცილდებოდა და მაღლა მიცურავდა.

- ძმებო და დებო, შემხედეთ, რა საპყარი ვარ. გამიკითხეთ. ქრისტეს გულისთვის,
მოიღეთ მოწყალება.

- ფედოსეი პეტროვიჩ, მოედნისკენ გავიქცეთ, თორემ დავიგვიანებთ.

- პარაკლისი იქნება.

- ლიტანიობა.

- პარაკლისი უკრაინის სახალხო არმიის რევოლუციური იარაღისთვის გამარჯვებისა
და ძლევამოსილების მისანიჭებლად.

- უკაცრავად, მაგრამ გამარჯვებისა და ძლევამოსილების მინიჭება რაღად უნდათ?
უკვე გაიმარჯვეს!

- კიდევ გაიმარჯვებენ!

- გაილაშქრებენ.

- საით გაილაშქრებენ?

- მოსკოვისკენ.

- როგორ გაილაშქრებენ?

- როგორ და მშვენივრად!

- ხელი არ მიუწვდებათ.

- რა თქვით? გაიმეორეთ, რა თქვით! ბიჭებო, ყური უგდეთ, რას ამბობს!

- მე არაფერი მითქვამს!

- დაიჭირეთ, დაიჭირეთ, ქურდი დაიჭირეთ!!

- მარუსია, იმ ჭიშკრიდან გავიქცეთ, აქედან ვერ გავალთ. ამბობენ, პეტლიურა
მოედანზეაო. პეტლიურა ვნახოთ.

- სულელო, პეტლიურა ტაძარშია.

- სულელი შენა ხარ. ამბობენ, თეთრ ცხენზე ზისო.

- დიდება პეტლიურას! დიდება უკრაინის სახალხო რესპუბლიკას!!!

„ძინ... ძინ... ძინ... ძინ-ძინ-ძინ... ტირლი-ბომ-ბომ. ძინ-ბომ-ბომ“, - გამმაგებით რეკდნენ ზარები.

- მართმადიდებელი მოქალაქენო, კეთილო ხალხო, შეიწყალეთ ობოლი... ბრმა ხეიბარი...

ფეხებმოკვეთილი, უკანალზე ტყავგამოკერებული შავი კაცი გატკეპნილ თოვლს გაჭყლეტილ ხოჭოსავით ეჭიდებოდა ხელჯაგებით და ხალხის ფეხებშუა მიძვრებოდა. ხეიბრები და საპყრები გალურჯებულ, დაწყლულულ წვივებს აჩენდნენ. თავებს დადამბლავებულებით აცახცახებდნენ, გადატრიალებულ თვალებს თეთრად ალაპლაპებდნენ, რომ თავი ბრმებად მოეჩვენებინათ. წყეული ქნარები ბორბლებით მომაბეზრებლად წრიპინებდნენ, გულის მომკვლელად კვნესოდნენ, ყმოდნენ, მსმენელს ახსენებდნენ, სიდატაკეს, სიცრუეს, უიმედობას, მიყრუებული ველების უბადრუკობას.

- ობოლო, დაბრუნდი, თორემ დაიკარგები...

თმაგაწეწილი, აცახცახებული, ყავარჯნიანი დედაბრები გამვალტყავებულ პერგამენტის ხელებს წინ იშვერდნენ და გაჰკიოდნენ: - ლამაზო! ღმერთმა ჯანმრთელობა მოგცეს!

- ქალბატონო, შეიწყალე უპატრონო დედაბერი.

- საყვარლებო, სანატრელებო, ღმერთი შეგეწევათ...

ტანსაცმელშემოდენძილმა, ბრტყელტერფა დედაბერმა, ხიფთანიანმა ბერიკაცებმა, ყურებიანი ჩაჩები რომ ჩამოეფხატათ, ცხვრის ტყავისქუდიანმა გლეხებმა, სახელაჟდაჟა ქალიშვილებმა, გადამდგარმა მოხელეებმა, შუბლზე კოკარდის მტვრიანი ნაკვალევი რომ აჩნდათ, ფაშგამოგდებულმა ხნიერმა ქალებმა, მკვირცხლმა ბიჭებმა, მაზარიანმა კაზაკებმა, ლურჯი, წითელი, მწვანე, ჟოლოსფერი, ფერადციანი, ყაითნიანი, ოქროსფერი და ვერცხლისფერი საკუბოე ფოჩებით შემკული ქუდეები რომ ეხურათ, ტამრის ეზო შავად დატბორეს, ტამრის კარებიდან კი ტალღა ტალღაზე მოგორავდა და მოგორავდა.

ლიტანიამ ჰაერზე სული მოითქვა, ძალა მოიკრიბა, გასწორდა და გაიმართა; წესსა და რიგზე დალაგდნენ და მწყობრად გაცურდნენ შიშველი თავები, კუბოკრული თავსაფრები, მიტრები და კუნკულები, დიაკონთა გაშლილი ფაფრები, ბერების სკუფიები, მოოქრულ ტარებზე დამაგრებული თავწვეტა ჯვრები, დროშები, რომელზედაც ქრისტე-მაცხოვარი და ყრმიანი ღვთისმშობელი იყო გამოსახული, აცურდა ჩაქიანი, ნაჭედი, ოქროსფერი, ჟოლოსფერი, სლავური ქარგულობით შემკული ფოჩიანი ბაირაღების კალთები.

ეს არც ქუფრი ღრუბელია, ქალაქში გველემაპივით შემოგრაგნილი, არც ყავისფერი, მღვრიე მდინარეები მოედინება ძველთაძველ ქუჩებში... არა, ეს პეტლიურას აურაცხელი მხედრობაა, ძველი სოფლის მოედანზე აღლუმის გასამართავად რომ მიემართება!..

პირველი ლურჯი დივიზია დაიდრა, სუსხიანი ჰაერი საყვირთა ჭექამ გააპო, აზრიალდა მოელვარე თეფშები, ხალხის შავი მდინარე მჭიდრო მწკრივებმა გაარღვია.

მიდიოდნენ ლურჯ ჟუპანებში გამოწყობილი გალიციელები, ლურჯციანი კრაველის ქუდები დარდიმანდულად რომ ჩაეკეცათ. მესაყვირეთა მრავალმწკრივიანი ორკესტრის კვალდაკვალ მიცურავდა გაშიშვლებული ხმლების შუა დახრილი ორი ორფეროვანი ალამი, ხოლო ალმების უკან ქათქათა თანაბარი ხრაშუნით ყოჩაღად მიაბიჯებდნენ ძვირფასი, თუმცა გერმანული მაუდით შემოსილი მეომრების რიგები. პირველ ათასეულს გრძელ შავ ხალათებზე ქამარშემოჭერილი მუზარადიანები მიჰყვებოდნენ. ალუმისკენ აჯაგრული მიემართებოდა ხიშტების ყავისფერი ტევრი.

უსასრულო რიგებად მიაბიჯებდნენ სეჩელ მსროლელთა სამოსგაცრეცილი რუხი პოლკები. ქვეით ჰაიდამაკთა კურენი კურენს მიჰყვებოდა, ხოლო რაზმსა და რაზმს შორის ცხენებს მიაცეკვებდნენ და უნაგირებზე შემართულნი მიირხეოდნენ პოლკების, კურენების, ასეულების ჩაუქი მეთაურები. ამ მრავალფერ მდინარეს მიაცილებდა დაუცხრომელი, ძლევა მოსილი, მოგუგუნე მარში.

ქვეითთა კვალდაკვალ მსუბუქი ჩორთით, უნაგირზე ნელი რხევით ჩაიარეს მხედართა პოლკებმა. აღფრთოვანებულ ხალხს თვალი მოსჭრა დაჭმუჭნულმა, ჩატეხილმა, ლურჯი, მწვანე და წითელი წვეტებითა და ოქროსფერი ფუნჯებით შემკულმა ბოხოხებმა.

მარჯვენა ხელებზე ყულფით ჩაბმული შუბები ნემსებივით ხტოდა. მხედართა მწკრივებს შორის ელავდა მხიარული მოწკრიალე წინწილები, მეთაურთა და მესაყვირეთა ცხენები საყვირთა წივილისგან შმაგდებოდნენ და წინ გასხლტომას ლამობდნენ... ბურთივით მრგვალი, სქელი, მხიარული ბოლბოტუნი კურენს მიუძლოდა, ქონისგან გაპრიალელებული დაბალი შუბლი და სიხარულის გამომხატველი დაბურცული ლოყები სუსხისთვის მიეშვირა. თაფლა ფაშატი ჩასისხლიანებულ თვალებს ბრეცდა, ლაგამს ღრღნიდა, ლაშები აქაფებოდა, ყალყზე დგებოდა და ექვსფუტიან ბოლბოტუნს აჯანჯლარებდა. მოლუნული ხმლის ქარქაშს რაკარუკი გაჰქონდა და პოლკოვნიკი ცხენს აცახცახებულ ფერდებზე დეზებს ოდნავ ურტყამდა.

ზემდეგები და მეთაურები

ჩვენთან არიან, ვით ჩვენი ძმები! -

სიმღერას აგუგუნებდნენ და ცხენებს ჩორთით მიაგელვებდნენ ქოჩორაწიწილი, ჩაუქი ჰაიდამაკები.

ტყვიებით დაცხრილული, ცისფერ-ყვითელი დროშის ფრიალით და გარმონის გრიალით ჩაიარეს მხედართა პოლკებმა, რომელსაც ვეება ცხენზე ამხედრებული, შავგვრემანი, ულვაშაპრეხილი პოლკოვნიკი კოზირ-ლემკო მიუძლოდა. პოლკოვნიკი მოლუმულიყო, თვალებს ბრეცდა და ულაცს გავაზე მათრახს უტყლამუნებდა. პოლკოვნიკს ჰქონდა კიდევ გაშმაგების მიზეზი - ნაი-ტურსის ბათქებმა ნისლიან დილას ბრესტ-ლიტოვსკის ისარზე კოზირის საუკეთესო ოცეულები დაცხრილა და ახლა მოედნისკენ ჩორთით მიემართებოდა პოლკის შეთხელებული რიგები.

კოზირის შემდეგ ფიცხლად ჩაიქროლა ჰეტმან მაზეპას სახელობის შავზღველი მხედრების უვნებლად გადარჩენილმა კურენმა. ცისფერ აბრეშუმზე ოქროსფრად ელავდა სახელი სახელოვანი ჰეტმანისა, ვინც პოლტავასთან იმპერატორი პეტრე კინაღამ დალუპა.

სახლების რუხ და ყვითელ კედლებს ზღვა ხალხი შემოსალტოდა, ტუმბებს აწვებოდა და ზედ მიძვრებოდა, ბიჭები ფარნებზე აცოცებულებდნენ, კადონებზე ჩამომსხდარიყვნენ, სახურავებზე შეფენილიყვნენ, უსტვენდნენ და ყვიროდნენ: - ვაშა! ვაშა!..

- დიდება! დიდება! - იმახდნენ ტროტუარებიდან.

აივნებისა და ფანჯრების მინებს ლავაშებივით აჰკვროდა უამრავი სახე.

მეეტლეები მარხილის კოფოებზე შემდგარიყვნენ და მათრახებს იქნევდნენ.

- ამაზე ამბობენ, ბანდებიაო?.. ესეც შენი ბანდები. ვაშა!

- დიდება! დიდება პეტლიურას! დიდება ჩვენს მამას!

- ვა-შა...

- მანია, შეხედე, შეხედე... აგერ პეტლიურა! შეხედე! სისვ ცხენზე ზის... რა ლამაზია...

- რას ამბობთ, ქალბატონო, ეგ პოლკოვნიკია.

- ოჰ, ნუთუ? მაშ პეტლიურა სადღაა?

- პატლიურა სასახლეშია, ოდესიდან მოსულ ფრანგ ელჩებს ხვდება.

- ბატონო ჩემო, ხომ არ შეიშალებთ? რომელ ელჩებს?

- პეტლიურა, პიოტრ ვასილიევიჩ, ამბობენ (ჩურჩულით), პარიზშიაო, გესმით?

- ესეც თქვენი ბანდები... მილიონიანი ჯარია.

- მაშ პეტლიურა სად არის? გენაცვალეთ, სად არის პეტლიურა? თვალი ერთხელ მაინც მოვკრა.

- პეტლიურა, ქალბატონო, ახლა მოედანზე პარადს იღებს.

- რას ბრძანებთ, პეტლიურა ბერლინში პრეზიდენტს წარსდგომია კავშირის დასამყარებლად.

- რომელ პრეზიდენტს? ბატონო ჩემო, რა პროვოკაციას ავრცელებთ?

- ბერლინელ პრეზიდენტს... რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით.

- ნახეთ? ნახეთ? რა მედიდურია... აგერ, კარეტით რილსკის შესახვევში ჩაიარა. ექვსი ცხენი უბია...

- უკაცრავად, განა ამათ არქიელები სწამთ?

- ვერ გეტყვით, სწამთ, თუ არა სწამთ... მარტო იმას ვამბობ, ჩაიარა-მეთქი. მე ფაქტი გითხარით და თქვენ, როგორც გინდათ, ისე გაიგეთ...

- ფაქტი ის გახლავთ, რომ ახლა მღვდლები სწირავენ...

- მღვდლებს მაგრად უნდა...

- პეტლიურა. პეტლიურა. პეტლიურა. პეტლიურა. პეტლიურა...

მიგრილებდა მძიმე ბორბლები, რახრახებდა ყუთები, მხედართა ათ კურენს არტილერია უსასრულო ნაკადად მიჰყვებოდა. მიათრევდნენ ბლაგვცხვირა, ზორზოხა მორტირებს, მიაგორებდნენ ტანწვრილ ჰაუბიცებს, ყუთებზე მხიარული, ნაპატივები, გამარჯვებული არტილერიისტები ისხდნენ. მედიდურად, წყნარად მიდიოდნენ ამხედრებული მესაზღვრეები. დამაბულნი, კისერწაგრძელებულნი მიაბიჯებდნენ ზორზა, მამდარი, ჯანიანი, გავასქელი ულაყები და გლეხებისგან ჩამორთმეული, ჯაფას ნაჩვევი, ტანმორჩილი, მაკე რწყილების მსგავსი ცხენები. მსუბუქად მიხრიგინებდა სამთო-საცხენოსნო მსუბუქი არტილერია, მიხტოდნენ ჩაუქი მხედრებით გარემოცული პატარა ქვემეხები.

- ეჰ... ეჰ... ესეც შენი თხუთმეტი ათასი... როგორ გვატყუებდნენ. თხუთმეტი... ბანდიტები... გაიხრწნენო... ღმერთო ჩემო, უთვალავნი არიან. კიდევ ბატარეა... კიდევ. კიდევ.

ბრბომ ნიკოლკა ლამის გასრისა, ხან საით მიაგდებდა, ხან საით. მან წვეტიანი ცხვირი სტუდენტური მაზარის საყელოში ჩაიძვრინა, კედლის ნიშში აფოფხდა და ფეხი იქ მოიმარა. ვიღაც თექისჩექმიანი, მხიარული ქალი უკვე ნიშში იყო და ნიკოლკას ხალისიანად უთხრა: - ყმაწვილო, ხელი მომკიდეთ, მე კი აგურს ჩავეჭიდები, თორემ ჩავცვივდებით.

- გმადლობთ, - უგუნებოდ ჩაიდუდუნა ნიკოლკამ შეჭირხლულ საყელოში, - ამ კაკვს ჩავეჭიდები.

- თვით პეტლიურა სად არის? - ენას არ აჩერებდა ყბედი ქალი. - ოჰ, როგორ მინდა, პეტლიურა დავინახო. ამბობენ, ისეთი ლამაზია, ენით არ აიწერებაო.

- ჰო, - გაურკვევლად ჩაიბუხუნა ნიკოლკამ კრაველის საყელოში, - ენით არ აიწერება. „კიდევ ბატარეა... ეშმაკმა დალახვროს... ახლა კი მესმის...“

- ამბობენ, ავტომობილით ჩაიარაო... ხომ არ დაგინახავთ?

- პეტლიურა ვინიცაშია, - ყრუდ, უხალისოდ უპასუხა ნიკოლკამ და ჩექმებში გათოშილი თითები შეატოკა. „რა ეშმაკად არ ჩავიცვი თექის ჩექმები. რანაირი ყინვაა“.

- შეხედე, შეხედე, პეტლიურა.

- ეგ პეტლიურა კი არა, ვარტის უფროსია.

- პეტლიურას რეზიდენცია ბელაია ცერკოვში აქვს. ახლა ბელაია ცერკოვი იქნება დედაქალაქი.

- ქალაქში განა არ მოვლენ, გეთაყვა?

- თავის დროზე მოვლენ.

- ჰო, ჰო, ჰო...

ბუმ. ბუმ. ბუმ... სოფლის მოედანზე თურქული დოლების ყრუ ბაგუნის გაისმოდა, ქუჩაში კი უკვე მობობლავდა და მძიმე კომპებს მოარწევდა ოთხი შემზარავი ჯავშნოსანი. სათოფურებიდან ტყვიამფრქვევის ლულები ოთხივეს მუქარით გამოეყო. მაგრამ სახელაჟღაჟა ენთუზიასტი სტრაშკევიჩი შიგ არ იჯდა. იგი პეჩორსკზე, მარიას პარკში, ჭიშკართან ახლოს უმოძრაოდ გამოტილიყო, სახელაჟღაჟა კი არა, სანთელივით გაყვითლებული. შუბლი გახვრეტილი ჰქონდა. მეორე, პატარა, სისხლშემხმარი ნახვრეტი ყურის ძირას მოუჩანდა. შიშველი ფეხები თოვლში ჩაფლობდა. მინასავით გამჭირვალე თვალები კი ნეკერჩხლის ტოტების ზემოთ, ცისკენ აღეპყრო. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, პარკში კაციშვილი არ ჩანდა, ქუჩაში იშვიათად თუ ჩაივლიდა ვინმე. ძველი სოფლის მხრიდან მუსიკის ხმა იქამდე ვერ აღწევდა და ამიტომ ენთუზიასტს სახე სრულიად დამშვიდებული ჰქონდა.

ჯავშნოსნებმა ბრბო გუგუნით გაარღვიეს და ხალხის მდინარებას იქით გაუყვნენ, სადაც ბოგდან ხმელნიცკი ცის თაღზე შავად აღმართულიყო და კვერთხი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიემართა. დათოვლილ გორებსა და სახლების სახურავებზე ზარის ხმა მდორე ტალღად მილივლივებდა. ხალხის მდინარეში დოლი გუგუნებდა და სიხარულისგან აღგზნებული ბიჭები შავი ბოგდანის ცხენის ფლოქვებისკენ მიძვრებოდნენ. ქუჩებში კი უკვე რახრახითა და ჯაჭვების ჩხარუნით მოდიოდა სატვირთო მანქანები. ზარებზე მდგომებს ტყაპუჭების ქვემოდან ზოლიანი ხამის პერანგები მოუჩანდათ. ქალიშვილებს თავზე ჩალის გვირგვინები ედგათ. ვაჟებს ტყაპუჭების ქვეშ ლურჯი შარვლები ეცვათ. ყველანი მწყობრად, ხმადაბლა მღეროდნენ.

ამ დროს რილსკის შესახვევში ბათქი გაისმა. ხალხი აჩოქოლდა, ქალებმა წივილ-კივილი ატეხეს. ვიღაცა გარბოდა და გაჰკიოდა: - ვაი დედა!

ვიღაცა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, აჩქარებით ყვიროდა ჩახლეწილი ხმით: - ვიცანი! დაიჭირეთ! ოფიცრები არიან. ოფიცრები. ოფიცრები. გუშინ სამხრეები ეკეთათ!

რადის სახელობის მეთე კურენის ოცეულში, რომელიც მოედანზე გასვლის რიგს ელოდა, რამდენიმე მხედარი სასწრაფოდ ჩამოქვეითდა. ისინი ხალხში შეიჭრნენ და ვიღაცას ხელი სტაცეს, ქალები აკივლდნენ. ხელეგაკავებული კაპიტანი პლემკო აკანკალებული ხმით სუსტად ყვიროდა: - მე ოფიცერი არა ვარ. არა ვარ-მეთქი. არა ვარ. რას მერჩით, მე ბანკის მოხელე ვარ.

მის გვერდით კიდევ ვიღაცას ეცნენ. ის ხმას არე იღებდა, გაფითრებულიყო და მომხდურთა ხელებში იკლაკნებოდა.

მერე, თითქოს გახეული ტომრიდან ფეტვი გადმოიბნაო, შესახვევში ერთმანეთის ჯგლეთით გავარდა შიშისგან გონებადაკარგული ხალხი. სრულიად თეთრ, დაცარიელებულ ადგილზე მხოლოდ ერთი შავი ლაქა მოჩანდა - ვიღაცის გადაგდებული ქუდი. შესახვევში ბათქმა იჭექა და სამგზის საკუთარი თავის უარმყოფელი კაპიტანი პლემკო აღლუმების სიყვარულის წერა გახდა. იგი სოფლის

საეკლესიო სახლის ბადთან გულადმა, ხელეგაფარჩხული გაიშოტა, ხოლო მეორე, მდუმარე კაცი მის ფეხებთან ტროტუარისკენ პირმიქცეული დაემხო. მოედნის კუთხეში უმაღლესი თეფშების ჟღარუნის, ხალხი კვლავ მოზვავდა, ორკესტრი ახმიანდა, აზავთდა. გაისმა ძღვევამოსილი ხმა: „ნაბიჯით იარ!“ ფოჩიანი სირმების ელვარებით დაიძრა რადის მხედართა კურენი. რიგი რიგს გაუყვა.

*

გუმბათებს შუა ლეგა ცა მოულოდნელად გაიპო და მღვრიე ბურუსში უცაბედად მზე გამოჩნდა. ამხელა მზე, თანაც ასე სისხლივით წითელი, უკრაინაში ჯერ არავის ენახა. ღრუბლების ფარდის მიღმა მცხრაღად მანათობელმა ბურთმა სისხლისა და ჟუჟლის გრძელი ზოლები ჩამოუშვა. მზემ სისხლისფრად შეღება სოფიის მთავარი გუმბათი, მოედანზე კი ტაძრის უცნაური ჩრდილი გაწვა, ამ ჩრდილში ბოგდანი იისფრად დაიფერა, ხოლო მოზიმზიმე ხალხი უფრო ჩაშავდა, უფრო შედედდა, აჩოჩქოლდა. წელზე ქამარშემოჭერილი რუხტანსაცმლიანები ლოდზე მიყუდებულ კიბეზე მიბობლავდნენ და ცდილობდნენ, შავი გრანიტიდან მომზირალი წარწერა ხიშტებით ჩამოეგლიჯათ. მაგრამ ამაოდ ირჯებოდნენ; ხიშტი გრანიტზე სხლტებოდა და წარწერას ვერას აკლებდა. ამხედრებული ბოგდანი კი გააფთრებით ლამობდა, ბედაური კლდიდან მოეწყვიტა, გაეფრინა და მომხდურებს განრიდებოდა, ცხენს ფლოქვებზე რომ ჩამოჰკიდებოდნენ და ამძიმებდნენ. ბოგდანს განრისხებული სახე წითელი ბურთისკენ აღეპყრო, ხოლო კვერთხი კვლავ შორეთისკენ ჰქონდა მიმართული.

ამ დროს მოგუგუნე, შეგუბებული ხალხის ზემოთ, ბოგდანის პირისპირ, ხელეგმა ვიღაც კაცი ასწიეს და გაყინულ, ჩამოსიპულ შადრევანზე შეაყენეს. კაცს ბეწვისსაყელოიანი შავი პალტო ეცვა და, თუმცა ყინავდა, ქუდი მოეხადა და ხელში ეჭირა. მოედანი კვლავინდებურად გუგუნებდა და ჭიანჭველების ბუდესავით ფუთფუთებდა, მაგრამ სოფიის სამრეკლო უკვე დუმდა, მუსიკა კი ახლა სხვადასხვა მხარეს გათოშილ ქუჩებს მიუყვებოდა, შადრევნის ძირას თავი მოიყარა უზარმაზარმა ბრბომ.

- პეტკა, პეტკა, შადრევანზე ვინ შეაყენეს?..
- მგონი პეტლიურაა.
- პეტლიურა სიტყვას ამბობს...
- რაებს ბოდავთ, ეგ უბრალო ორატორია...
- მარუსია, ორატორი. შეხედე... შეხედე...
- დეკლარაციას აცხადებენ...
- არა, უნივერსალიებს წაიკითხავენ.
- გაუმარჯოს თავისუფალ უკრაინას!

შადრევანზე შემდგარმა კაცმა ათასკაციანი ბრბოს ზემოდან შთაგონებით გაიხედა იქით, სადაც მზის დისკო ნისლის ფარდას თანდათან სცილდებოდა და ჯვრებს

წითლად, მსუყე წითლად აოქროებდა, მერე ხელი აღმართა და ხმამაღლა შესძახა: - დიდება ხალხს!

- პეტლიურა... პეტლიურა.

- პეტლიურა კი არა! აბა, რას ამბობთ?

- პეტლიურა განა შადრევანზე შეხტება?

- პეტლიურა ხარკოვშია.

- პეტლიურა ახლახანს სასახლეში შევიდა ბანკეტზე დასასწრებად...

- ნუ ლაყბობთ, არავითარი ბანკეტი არ გაიმართება.

- დიდება ხალხს! - გაიმეორა შადრევანზე მდგარმა კაცმა და ქერა თმის კულული უმაღლ შუბლზე ჩამოეშალა.

- ჩუმად!

ქერა კაცს ხმა მოუმძლავრდა და გარკვევით გაისმა ფეხების ბაკუნსა და ბრაგუნში, გუგუნსა და ზათქში, დოლების შორეულ ბუბუნში.

- პეტლიურა ნახეთ?

- როგორ არა, ღმერთო ჩემო, ახლახან ვნახე.

- ოჰ, ნეტავი თქვენ. როგორი შესახედავია? რანაირია?

- უღვაში ვილჰელმით მაღლა აქვს აპრეხილი, მუზარადი ახურავს. აგერ ისიც. აგერ, გამოჩნდა. შეხედეთ, შეხედეთ, მარია ფიოდოროვნა, უყურეთ, უყურეთ - მოდის...

- რას მიედ-მოედები! ეგ ქალაქის სახანძრო რაზმის უფროსია.

- ქალბატონო, პეტლიურა ბელგიაშია.

- ბელგიაში რისთვის წავიდა?

- მოკავშირეებთან კავშირის დასამყარებლად.

- ოჰ, არა. პეტლიურა ახლა ესკორტით გაემართა სათათბიროსკენ.

- რისთვის?

- ფიცისთვის...

- უნდა შეჰფიცოს?

- იმან რატომ უნდა შეჰფიცოს? იმას შეჰფიცავენ.

- უმაღლ სიკვდილს ვარჩევ (ჩურჩულით) და არ შევფიცავ...

- თქვენ არც დაგჭირდებათ... ქალებს ხელს არ ახლებენ.

- ურიებს კი დაერევიან, ეს უეჭველია...
- ოფიცრებს ყველას გამოშიგნავენ.
- მემამულეებსაც. ძირს მემამულეები!
- ჩუმად!

ქერა კაცის თვალებიდან საშინელი სევდა და ამასთან ერთად შეუპოვრობაც გამოსჭვიოდა. ხელს მზისკენ იშვერდა.

- მოქალაქენო, ძმებო და ამხანაგებო, - წამოიწყო მან, - ხომ გაიგონეთ, კაზაკები რას მღეროდნენ: მეთაურები ჩვენთან არიან, როგორც ძმებო! ისინი ჩვენთან არიან, ჩვენთან! - კაცმა ქუდი მკერდში ჩაირტყა. ქუდზე წითლად ელავდა უზარმაზარი ბაფთა. - ჩვენთან. რადგან მეთაურები ხალხს ეკუთვნიან, ხალხთან ერთად დაიბადნენ, ხალხთან ერთად დაიხოცებიან. ჩვენთან ერთად თოვლში ითოშებოდნენ ქალაქის ალყისას, ახლა კი, როცა ქალაქი ძლევამოსილად ავიღეთ და წითელი დროშა უკვე აღმართულია იმ შენობებზე...

- ვაშა!
- წითელიო? რა თქვა? ყვითელ-ცისფერი.
- წითელი დროშა ბოლშევიკებისაა.
- ჩუმად! დიდება!
- რა ცუდად ლაპარაკობს უკრაინულად...

- ამხანაგებო! ახლა ჩვენ წინაშე ახალი მიზანია - შევქმნათ და განვამტკიცოთ ახალი, დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ყოველი მშრომელი ელემენტის - მუშებისა და მხენელ-მთესველების საბედნიეროდ, რადგან მხოლოდ მათ აქვთ უფლება, ფლობდნენ ჩვენს მშობლიურ მიწას, რომელიც მათი სისხლითა და ოფლით არის მორწყული.

- მართალია! დიდება!
- გაიგონე? ამხანაგებო. სასწაულია...
- ჩუ-მად.

- ამიტომ, ძვირფასო ამხანაგებო, სახალხო გამარჯვების ამ სასიხარულო ჟამს ფიცი დავდოთ - ორატორს თვალები უბრწყინავდა, ჩამობურული ცისკენ ხელებს სულ უფრო აღგზნებით იწვდიდა და უკრაინულ სიტყვებს სულ უფრო ნაკლებად წარმოთქვამდა, - ფიცი დავდოთ, რომ იარაღს ხელს არ გავუშვებთ, ვიდრე წითელი დროშა - თავისუფლების სიმბოლო - მთელ მსოფლიოში არ იფრიალებს მშრომელთა საბედნიეროდ.

- ვაშა! ვაშა! ვაშა!.. ინტერ...
- ვასკა, ხმა ჩაიკმინდე, ხომ არ შეიშალე?

- შჩურო, რას სჩადით, გაჩუმდით!

- ღმერთმანი, მიხაილ სემიონოვიჩ, თავი ვერ შემიკავებია - აღსდექ... კრულ...

ონეგინისეული შავი ბაკები თახვის ფუმფულა საყელოში ჩაიძალა, მისმა მფლობელმა ბრბოში მომწყვდეული, აღფრთოვანებული მოტოციკლეტისტიკენ გაიხედა და თვალეი შემწოთებით გააელვა: ეს თვალეი საოცრად წააგავდა განსვენებული პრაპორშჩიკის, თოთხმეტი დეკემბრის წინა ღამეს დაღუპული შპოლიანსკის თვალეის. ყვითელხელთათმანიანი ხელი შჩურის ხელს მისწვდა და ჩაეჭიდა...

- კარგი, კარგი, გავჩუმდები, - ბუტბუტებდა შჩური და ქერათმიან კაცს აშტერდებოდა.

ქერა კაცმა კი მღელვარება უკვე დაიოკა, უახლოეს რიგებში მდგარი ხალხის ყურადღება დაიპყრო და ხმამაღლა იძახდა: - გაუმარჯოს მუშათა, გლეხთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოებს, გაუმარჯოს...

მზე უეცრად დაიბინდა, სოფის ტაძარსა და გუმბათებს ჩრდილი დაეფინა; ბოგდანის სახე მკვეთრად გამოიკვეთა, მკვეთრად გამოიკვეთა შადრევანზე მდგარი კაცის სახეც. მოჩანდა, ქერა თმის კულული შუბლთან როგორ უხტოდა.

- გა-ა... გა-ა-ა... - აგუგუნდა ხალხი

- ...მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები. პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით...

- რა? რა? რაო? დიდება!!!

უკანა რიგებში სიმღერა წამოიწყეს, გაისმა რამდენიმე მამაკაცისა და ერთიც წვრილი, წვრიალა ხმა: „როცა მოვკვდე, მე დამმარხეთ...“

- ვა-შა! - ძღევამოსილად შესძახეს მეორეგან. უცებ მესამეგან ხალხი მორევივით დატრიალდა.

- დაიჭირეთ! - დაიჭირეთ! - აყვირდა ვიღაც მამაკაცი, - დაიჭირეთ! პროვოკაციაა! - გაისმოდა მისი ბრაზიანი, თითქოს ტირილნარევი, გაბრაზებული ხმა. - ეგ ბოლშევიკია! მოსკოველი! დაიჭირეთ! გაიგონეთ, რა თქვა...

ვიღაცამ ხელეი ხალხს ზემოთ აღმართა. ორატორი გვერდზე გადაიხარა, ჯერ მისი ფეხეი გაქრა, შემდეგ მუცელი და ბოლოს ქუდჩამოფხატული თავიც გაუჩინარდა.

- დაიჭირეთ! - პირველი კაცის ყვირილს აჰყვა მეორე, წვრილი ხმა. - ეგ ყალბი ორატორია. არ გაუშვათ, ბიჭებო, არ გაუშვათ, მოქალაქენო.

- გა, გა, გა... სდექ? ვინ? ვინ დაიჭირეს? ვინ? აქ რომ არავინ არის?!

წვრილი ხმის პატრონი შადრევნისკენ გაიჭრა, თან ხელეის ისე იქნევდა, თითქოს დიდი, ლიპეიცვა თევზის დაჭერას ცდილობსო. მაგრამ წინ ტყაპუჭიანი, ყურებზე ქუდჩამოფხატული, თავქარიანი შჩური გადაეღობა.

- დაიჭირეთ! - ყვიროდა ისიც, მერე კი უცებ აღრიალდა: - გაჩერდი! ბიჭებო, საათი ამაცალეს.

ვიღაც ქალს ფეხზე დააბიჯეს და იგი საშინელი ხმით აკივლდა

- საათი ვის ააცალეს, სად? ცრუობ - ვერსად გაიქცევი!

წვრილი ხმის პატრონს ერთი კაცი უკნიდან ქამარში ჩაეჭიდა და შეაჩერა. იმავე წუთს მეორემ ბრტყელი, ცივი, გირვანქანახვევრიანი გაშლილი ხელი მოუქნია და ცხვირ-პირში სთხლიშა.

- უჰ! - წამოიყვირა წვრილხმიანმა, მკვდრისფერი დაედო და იგრძნო, რომ თავი გაუშიშვლდა, ქუდი აღარ ეხურა. იმავე წამს სილა მეორეჯერაც ჯოჯობეთური ძალით მოხვდა და ვიღაცა ისე აკივლდა, ლამის ცა ჩამოაქცია: - ეგ არის, ქურდბაცაცა, ჯიბგირი, მამამაღლი. დასცხეთ მაგას!!!

- რას სჩადით?! - აწრიპინდა წვრილხმიანი. - რატომ მცემთ? მე არ ვყოფილვარ! მე არა! მე კი არა, ბოლშევიკია დასაჭერი! ო-ო! - აბღავლდა იგი...

- ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, მარუსია, ჩქარა გავიქცეთ, ეს რა ამბავია?

შადრევანის ძირას ბრბო მორევივით დატრიალდა, თითქოს გაცოფდაო. ვიღაცას სცემდნენ, ვიღაც ბღაოდა, ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა, და, რაც მთავარია, ორატორი გაქრა. ისე სასწაულებრივად, ჯადოსნურად გაუჩინარდა, თითქოს მიწამ პირი უყოო. ვიღაცა მორევიდან გამოსხლტა. თუმცა, არა, ყალბ ორატორს შავი ქუდი ეხურა, ეს კი ფაფახიანი გახლდათ. სამი წუთის შემდეგ კი მორევი თავისით დაწყნარდა, თითქოს არც ყოფილაო, იმიტომ, რომ შადრევანის კიდეზე უკვე ახალი ორატორი შეახტუნეს და მის მოსასმენად ხალხი ყოველი მხრიდან დაიდრა. შადრევანის ირგვლივ მდგარ ბრბოს ახალ-ახალი ფენა ემატებოდა და სულ მცირე, ორი ათასი კაცი მოგროვდა.

*

მოედნიდან მიმავალ ჯარს ცნობისმოყვარე ხალხის ტალღა კვალდაკვალ მიჰყვა, თოვლით გადათეთრებული შესახვევი დაცარიელდა, მხიარულმა შჩურმა ვეღარ მოითმინა და ბადის გვერდით, პირდაპირ ტროტუარზე ჩაჯდა.

- ოჰ, აღარ შემიძლია - აროხროხდა იგი და მუცელზე ხელი იტაცა. ნიაღვარივით მომსკდარ სიცილს ვეღარ იკავებდა, კბილები თეთრად უელავდა. - სიცილისგან სული ამომხდება. იმ უბედურს როგორ სცემდნენ, ღმერთო ჩემო!

- შჩურო, აქ ჯდომისთვის არ გვცალთ, - უთხრა მას თანამგზავრმა, თახვისსაყელოიანმა უცნობმა, გაჭრილი ვაშლივით რომ ჰგავდა განსვენებულ შპოლიანსკის - სახელგანთქმულ პრაპორშჩიკსა და „მაგნიტური ტრიოლეტის“ თავმჯდომარეს.

- ახლავე, ახლავე, - თქვა სიცილისგან დაოსებულმა შჩურმა და წამოდგა.

- მიხაილ სემიონოვიჩ, პაპიროსი მომაწვევინეთ, - უთხრა თახვისსაყელოიანს შჩურის მეორე თანამგზავრმა, მაღალმა, შავპალტოიანმა კაცმა, ფაფახი კეფაზე გადაიწია და

ქერა თმის კულული წარბზე ჩამოეშალა. ისე მძიმედ სუნთქავდა და ქშინავდა, თითქოს იმ სიცივეში სიცხისგან სული ვერ მოუთქვამსო.

- რაო? შიში გაჭამეს? - ალერსიანად ჰკითხა მას უცნობმა, პალტოს კალთა გადაიწია, ოქროს პატარა პორტსიგარი ამოიღო და უმუნდშტუკო გერმანული პაპიროსი შესთავაზა.

ქერათმიანმა ასანთის ალს ხელები მოაფარა, პაპიროსს მოუკიდა, ერთხელ გააბოლა და მერედა თქვა: - უჰ! უჰ!

მერე სამივენი სწრაფად დაიძრნენ, კუთხეში შეუხვიეს და გაუჩინარდნენ.

მოედნიდან შესახვევში სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა ორი სტუდენტი. ერთი ტანმორჩილი იყო, ჩაფსკვნილი, ფაქიზი, რეზინის პრიალა კალოშები ეცვა, მეორე - მაღალი, მხარბეჭიანი - ფარგალივით მორკალულ ფეხებს თითქმის საყენზე აბიჯებდა.

ორივე სტუდენტს პალტოს საყელო ყურებზე ჩამოეფარებინა, ხოლო მაღალს გაპარსული საულვაშეც კი კაშნეში ჩაემალა. არც იყო გასაკვირი - ყინავდა. თითქოს უბრძანესო, ორივემ თავი ერთდროულად შეაბრუნა იქით, სადაც კაპიტან პლეშკოს გვამი ეგდო, ხოლო მეორეს, პირქვე დამხობილს, მუხლები აქეთ-იქით გაეჩაჩხა. სიტყვაც არ დაუძრავთ, გვამებს გვერდზე ისე ჩაუარეს.

მერე, როცა რილსკის შესახვევიდან ჟიტომირის ქუჩაზე შეუხვიეს, მაღალი სტუდენტი დაბალს მიუბრუნდა და ჩახლეწილი ტენორით უთხრა: - ნახე? ნახე-მეთქი, გეკითხები!

ტანმორჩილს პასუხად სიტყვა არ უთქვამს, მაგრამ ისე შეტოკდა და ჩაიღმუვლა, თითქოს უცებ კბილი ასტკივდაო.

- რამდენ ხანსაც არ უნდა ვიცოცხლო, არ დამავიწყდება, - განაგრძობდა მაღალი და განივრად მიაბიჯებდა, - მუდამ მემახსოვრება.

ტანმორჩილი მდუმარედ მისდევდა.

- მაღლობელი ვარ, ჭკუა გვასწავლეს, თუ როდესმე სადმე შემხვდება ის არამზადა... ჰეტმანი... - კაშნეს ქვემოდან სისინი მოისმა, - მე იმას... - მაღალმა საშინელი, სამსართულიანი ლანძღვა აღარ დაამთავრა. ბოლშაია ჟიტომირსკაიას ქუჩაზე როცა გავიდნენ, მათ გზა გადაუღობა ძველი ქალაქის უბნის კომპისკენ მიმავალმა პროცესიამ. პროცესია მოდენიდან პირდაპირ რომ წასულიყო, რა თქმა უნდა, აჯობებდა, მაგრამ ვლადიმირსკაიაზე ჯერაც კავალერია მიედინებოდა, რომელსაც პარადიდან წასვლა ვერ მოესწრო. ამიტომ პროცესიამ სხვათა მსგავსად შორიდან მოუარა.

პროცესიას წინ ბიჭების გუნდი მიუძღოდა. ისინი ზურგშექცევით გარბოდნენ, მოხტოდნენ და ყურთასმენის წამლებად უსტვენდნენ. მათ შემდეგ გადათქერილ ქვაფენილზე პალტომემოხეული, გულგაღელილი, თავშიშველი კაცი მოდიოდა, შიშჩამდგარ თვალებს დაფეთებული აცეცებდა. სახე დასისხლიანებული ჰქონდა, ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა. იგი პირს ფართოდ აღებდა, წვრილი, მაგრამ

მთლად ჩახლენილი ხმით ყვიროდა, რუსულ და უკრაინულ სიტყვებს ერთმანეთში ურევდა.

- ამის ნება არა გაქვთ! მე ცნობილი უკრაინელი პოეტი ვარ. ჩემი გვარი გორბოლაში გახლავთ. მე უკრაინული პოეზიის ანთოლოგია დავწერე. იცოდეთ, რადის თავმჯდომარესთან და მინისტრთან გიჩივლებთ. ეს წარმოუდგენელია!

- დასცხეთ მაგ უსინდისოს, მაგ ჯიბგირს, - ყვიროდნენ ტროტუარებიდან.

სახედასისხლიანებული თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და გამწარებული გაჰკიოდა: - მე ბოლშევიკი პროვოკატორის დაპატიმრება მინდოდა...

- რაო, რაო, რაო?... - მოისმოდა ტროტუარებიდან.

- ვინ მიჰყავთ?

- პეტლიურას მოკვლა სდომებია.

- მართლა?

- ჩვენს მამას ესროლა თურმე ამ მამამაღლმა!

- ეგ ხომ უკრაინელია.

- უკრაინელი კი არა, არამზადაა, - გუგუნებდა ვიღაცის ბანი, - ჯიბეებში დაძვრებოდა.

- ს-იუ, - ზიზღის გამომხატველად უსტვენდნენ ბიჭები.

- რა ამბავია? რა უფლება აქვთ?

- ბოლშევიკი პროვოკატორი დაიჭირეს. ადგილზევე უნდა ჩაამაღლონ ეგ მურდალი.

სახედასისხლიანებულს უკან აღელვებული ხალხი მოსდევდა. მომავალთა შორის ერთს ფაფახზე ოქროსფერსირმიანი ფოჩი მოუჩანდა. ორსაც ხელში შამხანის ლულა უპრიალებდა. ვიღაც კაცი, წელზე ფერადი სარტყელი მჭიდროდ რომ ჰქონდა შემოჭერილი, სახედასისხლიანებულს გვერდზე განიერი ნაბიჯით მოჰყვებოდა და, როცა იგი ძალზე ხმამაღლა აყვირდებოდა, ქეჩოში მუშტს ანგარიშმიუცემლად ჩასცხებდა ხოლმე. მაშინ ბედშავი ტუსადი, თავის შველას ამაოდ რომ ცდილობდა, ჩუმდებოდა და გულმდუღარედ, მაგრამ უხმოდ ქვითინს იწყებდა.

ორმა სტუდენტმა პროცესია გაატარა. როცა ხალხმა ჩაიარა, მაღალმა ტანმორჩილ თანამგზავრს მკლავში ხელი გაუყარა და ღვარძლიანი ხმით აჩურჩულდა: - ახია მაგათზე. ახია. გულს მომეშვა. ერთ რამეს კი გეტყვი, კარჩხანა, ბარაქალა ბოლშევიკებს! გულწრფელად ვამბობ - ბარაქალა! მარიფათიც ასეთი უნდა! ნახე, ორატორი რა მარჯვედ გაატარეს? მამაცები არიან. ამის გამო მომწონან - სიმამაცისთვის, მაგათი რჯულიც არ იყოს.

ტანმორჩილმა ხმადაბლა თქვა: - ახლა თუ არ დავლიე, შეიძლება, თავი ჩამოვიხრჩო!

- ეგ კარგი აზრია, - ხალისიანად აუბა მხარი მაღალმა, - რამდენი გაქვს?

- ორასი.

- მე ას ორმოცდაათი მაქვს. თამარკას შევუაროთ, ლიტრანახევარი მოგვივა.

- დაკეტილია.

- გააღებს.

თანამგზავრებმა ვლადიმირისკაიაზე გაუხვიეს და ორსართულიან სახლს მიადგნენ, რომელზედაც ფირნიში ეკიდა: „საბაყლო“, გვერდით კი „სარდაფი - თამარის ციხე“.

თანამგზავრები საფეხურებს ჩაუყვნიენ და მინის ორმაგ კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

17

ნიკოლკამ მიაღწია სანუკვარ მიზანს, რაზედაც მთელი სამი დღე ფიქრობდა, თუმცაღა ოჯახში საზრუნავ-საწუხარი ისედაც მოზღვავებული იყო, მიზანს, რომელიც თოვლზე განრთხმულის უკანასკნელ, იდუმალეზით მოცულ სიტყვებს უკავშირდებოდა. მიზნის მისაღწევად მან დილითვე, პარადის დაწყებამდე, მთელი ქალაქი შემოირბინა და არანაკლებ ცხრა ბინას მაინც მიაკითხა. ამ სირბილისას გული ბევრჯერ გაუტყდა, იმედი ბევრჯერ დაკარგა, მაგრამ თავს იმხნეებდა და საწადელს მაინც მიაღწია.

ლიტვის ქუჩაზე, ქალაქის განაპირას მდგარ პატარა სახლში მან ლაშქრის მეორე განყოფილების ერთი იუნკერი მოძებნა და მისგან შეიტყო ნაის სახელი, მამის სახელი და მისამართი.

ნიკოლკა ხალხის ბობოქარ ზვირთებს ორი საათი ებრძოდა, სოფლის მოედნის გადაჭრას ცდილობდა. მაგრამ მოედნის მეორე მხარეს გადასვლა შეუძლებელი, მართლაც რომ წარმოუდგენელი იყო. მაშინ გათოშილი ნიკოლკა ისევ უკან, მიხეილის მონასტრისკენ გამობრუნდა და ნახევარი საათი მაინც დაკარგა, რომ ბრბოს ჭანგებისთვის თავი დაეღწია და იქამდე მისულიყო. იქიდან კოსტელნაიას გაუყვა, რათა შორიდან მოევლო და ქვემოთ, კრემჩატიკზე გამსხლტარიყო, მერე ქვემო-ქვემო გზებით შემოევლო და მალე-პრავოლნაიაზე მიეღწია. მაგრამ ესეც შეუძლებელი აღმოჩნდა! კოსტელნაიაზე, ზემოდან ქვემოთ, ისევე, როგორც ყველგან, გველივით მიიკლაკნებოდა პარადზე მიმავალი ჯარების ნაკადი. მაშინ ნიკოლკამ კიდევ უფრო დიდი წრე დაარტყა და უკაცრიელ ვლადიმირის გორაკზე ავიდა. იქ სრულიად მარტო გაუყვა ტერასებსა და ხეივნებს, თოვლის თეთრ კედლებს შორის გარბოდა, წინ მიიწევდა და ხანდახან პატარა მოედნებზე გადიოდა, სადაც არც ისე ბევრი თოვლი იდო. ტერასებიდან გაღმა მთაზე მოჩანდა თოვლის ზღვაში ჩაფლული სამეფო ბაღი, ხოლო შორს, მარცხნივ, თეთრი და მედიდური დნეპრის სანაპიროთა მიღმა, ზამთრის სრულ მყუდროებას მიცემული ჩერნიგოვის უსასრულო სივრცეები.

ირგვლივ მშვიდობა და სრული სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ ნიკოლკას ახლა დასამშვიდეებლად არ ეცალა. იგი თოვლს ებრძოდა, ტერასას ტერასაზე ძლევდა და მხოლოდ ხანდახან თუ შეჩერდებოდა, როცა ალაგ-ალაგ გატკეპნილ თოვლს და ფეხის ნაკვალევს შეამჩნევდა. უკვირდა, მაშ გორაზე ვიღაც ზამთარშიც დახეტილობსო.

ნიკოლკა ბოლო ხეივანს დაუყვა და როცა ჩაივაკა, დაინახა, რომ კრემჩატიკზე ჯარი აღარ მოჩანდა, შვებით ამოისუნთქა და სანუკვარი ადგილისკენ გაემშურა, რომელსაც

ამდენ ხანს დაეძებდა. „მალა-პროვალნაია, 21“, ეს გახლდათ მის მიერ მიკვლეული მისამართი, რომელიც არ ჩაუწერია, მაგრამ გონებაში მტკიცედ ჩაეჭედა.

*

ნიკოლკა ღელავდა და გული უკრთოდა... ვინ ანდა რანაირად უნდა ეკითხა? ვერაფერი მოესაზრებინა... ბაღის პირველ იარუსზე მიყუჟული ფლიგელის კარზე დარეკა. დიდხანს უცდიდა. ბოლოს ფეხის ფრატუნის გაისმა და ჯაჭვზე დამაგრებული კარი ოდნავ გაიღო. პენსნიანი ქალის სახე გამოჩნდა და ბნელი დერეფნიდან მკაცრი ხმა მოისმა: - რა გნებავთ?

- თუ შეიძლება, მითხარით... ნაი-ტურსები აქ ცხოვრობენ?

ქალმა უფრო კუმტად, უფრო უჟმურად გამოიხედა. პენსნეს მინებმა გაიელვა. - აქ ასეთი არავინ ცხოვრობს, - თქვა მან ხმადაბლა.

ნიკოლკა გაწითლდა, შეცბუნდა და დალონდა...

- ეს ხომ მეხუთე ბინაა?

- მეხუთეა, - უხალისოდ და ეჭვიანად უპასუხა ქალმა, - მითხარით, რა გნებავთ?

- მითხრეს, ტურსები აქ ცხოვრობენო...

ქალმა გარეთ გამოიჭყიტა და ბაღს თვალი დაკვირვებით მოავლო, უნდოდა შეეტყო, ნიკოლკას უკან კიდევ იდგა ვინმე თუ არა... ნიკოლკამ მისი ჩამრგვალებული ღაბაბი დაინახა.

- რა საქმე გაქვთ?... მე მითხარით.

ნიკოლკამ ამოიოხრა, მიმოიხედა და უთხრა: - ფელიქს ფელიქსოვიჩის თაობაზე მოვედი... ამბავი მოვიტანე.

ქალს სახე უცებ შეეცვალა და ნიკოლკას თვალების ხამხამით ჰკითხა: - თქვენ ვინა ხართ?

- სტუდენტი.

- აქ მოიცადეთ.

ქალმა კარი დახურა და მისი ფეხის ხმა მიწყდა.

ნახევარი წუთის შემდეგ კარს მიღმა ქუსლების ბაკუნი გაისმა, კარი მთლიანად გაიღო და ნიკოლკა დერეფანში შევიდა. სასტუმრო ოთახიდან შუქი გამოდიოდა. ნიკოლკამ გაარჩია რბილი სავარძლის კიდე, მერე პენსნიანი ქალიც. ნიკოლკამ ქუდი მოიხადა და უმაღლეს მის წინ გამოჩნდა მეორე, გამხდარი, არცთუ მაღალი ქალი, სახეზე წარსული სილამაზის კვალი რომ ეტყობოდა. რაღაც უმნიშვნელო, გაურკვეველი ნიშნებით, საფეთქლებითა თუ თმის ფერით, ნიკოლკა მიხვდა, რომ ეს ქალი ნაის დედა იყო და შეძრწუნდა - რა ექნა, როგორ გაემხილა... ქალმა ჯიქურ შეანათა მოელვარე თვალები და ნიკოლკა უფრო დაიბნა. გვერდით კიდევ ერთი, მგონი, ახლაგაზრდა ქალი გამოჩნდა, ისიც ძალზე ჰგავდა ნაის..

- მითხარით, მალე მითხარით... - ჩაცვივით თქვა დედამ.

ნიკოლკამ ქუდი მოჭმუჭნა, ქალს შეხედა და აბლუყუნდა: - მე... მე...

გამხდარმა ქალმა - ნაის დედამ სტუმარს თვალი შეავლო და ნიკოლკას მოეჩვენა, რომ ამ თვალებში მძულვარება გამოსჭვიოდა. უცებ ქალმა ისე შეჰკვივლა, რომ ნიკოლკას უკან მინიანი კარი აზრიალდა: - ფელიქსი მოკლეს!

ქალმა მუშტები მოკუმშა, ნიკოლკას სახის წინ შემართა და შეჰყვირა: - მოკლეს...ირინა, გესმის? ფელიქსი მოკლეს!

ნიკოლკას შიშისგან თვალთ დაუბნელდა და შეძრწუნებულმა გაიფიქრა: „მე ხომ არაფერი მითქვამს... ღმერთო ჩემო!“ პენსნიანმა სქელმა ქალმა ნიკოლკას უკან კარი უმაღლ მიკეტა, მერე გამხდარ ქალთან სწრაფად, ძალზე სწრაფად მიიღრინა, მხრებზე ხელი მოხვია და აჩქარებით აჩურჩულდა: - დამშვიდდით, მარია ფრანცევნა, დამშვიდდით, ჩემო კარგო... - მერე ნიკოლკასკენ დაიხარა და ჰკითხა: - იქნებ ასე არ არის?... ღმერთო ჩემო... ხმა ამოიღეთ... ნუთუ მართალია?..

ნიკოლკამ სიტყვის დაძვრაც ვერ შეძლო... მხოლოდ განწირულივით გაიხედა წინ და კვლავ სავარძლის კიდე დაინახა.

- დაწყნარდით, მარია ფრანცევნა, დაწყნარდით, ჩემო კარგო... თუ ღმერთი გწამთ... არავინ გაიგონოს... ყველაფერი ღვთის ნებაა... - ბუტბუტებდა სქელი ქალი.

ნაი-ტურსის დედა ჩაიკეცა, თან მოსთქვამდა: - ოთხი წელი! ოთხი წელი! ველი, სულ ველი... ველი!

ნიკოლკას გვერდზე მდგარი ახლაგაზრდა ქალი გაექანა და დედას ხელი შეაშველა. ნიკოლკას უნდოდა, მიხმარებოდა, მაგრამ უცაბედად გულამოსკვნით აქვითინდა და ვერა და ვერ გაჩერდა.

*

ფანჯრებზე ფარდებია ჩამოფარებული, სასტუმრო ოთახში ბინდბუნდი და სიჩუმეა, წამლის საძაგელი სუნი დგას...

ბოლოს სიჩუმე ახლაგაზრდა ქალმა დაარღვია - ნაი-ტურსის დამ. იგი ფანჯრიდან შემოტრიალდა და ნიკოლკასთან მივიდა. ნიკოლკა სავარძლიდან წამოდგა. ქუდი კვლავ ხელში ეჭირა, იმ საშინელ ვითარებაში ვედარსად დადო. ნაი-ტურსის დამ შავი თმის კულული მექანიკურად გაისწორა და ნიკოლკას ხმის კანკალით ჰკითხა: - როგორ დაილუპა?

- იგი გმირულად დაილუპა, - უპასუხა ნიკოლკამ წმინდა, გაუზზარავი ხმით, - დიახ, გმირულად... ყველა იუნკერი დროულად გაყარა, თვითონ კი, - ნიკოლკა თან ყვებოდა და თან ტიროდა, - თვითონ კი დარჩა და ისროდა, გაქცეულებს იფარავდა. მეც კინალამ მასთან ერთად მომკლეს. ტყვიამფრქვევის ცეცხლში მოვეყვივით, - ნიკოლკა თან ლაპარაკობდა და თან ცრემლები ჩამოსდიოდა, - ჩვენ... მხოლოდ ორნი დავრჩით. იგი თან მლანძღავდა, მეძახდა, წადიო, და თანაც ტყვიამფრქვევს ისროდა... ყოველი მხრიდან კავალერია შემოგვერტყა, მახეში მოგვაქციეს, დიახ, ყოველი მხრიდან.

- იქნებ მხოლოდ დაჭრეს?

- არა, - დამაჯერებლად თქვა ნიკოლკამ და თვალები, ცხვირი და პირი ჭუჭყიანი ცხვირსახოცით მოიწმინდა, - არა, მოკლეს. მე თვითონ შევამოწმე. ერთი ტყვია თავში მოხვდა, ერთიც მკერდში.

*

უფრო მეტად ჩამოხნულდა. მეზობელი ოთახიდან ჩამიჩუმი აღარ მოისმოდა, რადგან მარია ფრანცევნა ჩაჩუმდა. სასტუმრო ოთახში კი ერთმანეთთან ახლოს სამნი ისხდნენ და ჩურჩულებდნენ: ნაი-ტურსის და - ირინა, პენსნიეიანი სქელი ქალი - ბინის პატრონი ლიდია პეტროვნა, როგორც შეიტყო ნიკოლკამ, და თვითონ ნიკოლკა.

მე ფული თან არ მაქვს, - ჩურჩულებდა ნიკოლკა, - თუ საჭიროა, ახლავე გავიქცევი ფულის მოსატანად და მერე წავიდეთ.

- ფულს ახლავე მოგცემთ, - ბუბუნებდა ლიდია პეტროვნა, - თუ ღმერთი გწამთ, ფული რა სალაპარაკოა, ოღონდაც იქ რამე გაახერხეთ. ირინა, დედაშენთან სიტყვაც არ დამრა, სად რა რისთვისაა წასვლა საჭირო... აღარ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე...

- მეც წავალ, - ჩურჩულებდა ირინა, - და საქმეს მოვაგვარებთ. თქვენ დედაჩემს უთხარით, ფელიქსი ყაზარმაში წევს და მის სანახავად ნებართვას საჭირო თქო.

- ჰო, ჰო... კარგი... კარგი...

სქელი ქალი მაშინვე გაცუხცუხდა მეზობელ ოთახში და იქიდან მისი ჩურჩული მოისმა: - მარია ფრანცევნა, იწექით, თუ ღმერთი გწამთ, იწექით... ისინი ახლავე წავლენ და ყველაფერს შეიტყობენ. იუნკერმა თქვა, ყაზარმაში წევსო.

- ფიცრებზე?.. - გაისმა მჟღერი და, როგორც ნიკოლკას მოეჩვენა, მძულვარე ხმა.

- რას ამბობთ, მარია ფრანცევნა, სამლოცველოშია, სამლოცველოში...

- იქნებ გზაჯვარედინზე წევს და ძაღლები ჯიჯგნიან.

- ოჰ, მარია ფრანცევნა, რას ამბობთ... დამშვიდდით, გემუდარებით...

- დედაჩემი, ეს სამი დღეა, ჭკუაზე აღარ არის... - აჩურჩულდა ნაი-ტურსის და. ჯიუტი თმის კულუღი ისევ უკან გადაიგდო და ნიკოლკას ზურგს უკან, სადღაც შორს გაიხედა, - თუმცა ახლა ყველაფერი სისულელეა...

- მეც გავყვები იმათ, - გაისმა დედის ხმა მეზობელი ოთახიდან.

ნაი-ტურსის და უმაღლესად წამოხტა და იქით გაიქცა.

- დედა, დედა, შენ ვერ წამოხვალ. ვერ წამოხვალ. იუნკერი აღარ გამოგვყვება, თუ შენ წამოხვალ. ის შეიძლება დააპატიმრონ. იწექი, იწექი, გემუდარებით...

- ოჰ, ირინა, ირინა, ირინა, ირინა, - მოისმა მეზობელ ოთახიდან, - მოკლეს, მოკლეს, შენ კი რას მეუბნები? რას მეუბნები? ირინა... რა ვქნა ახლა, როცა ფელიქსი მოკლეს? მოკლეს... ალბათ თოვლში წევს... აბა, დაფიქრდი... - ქვითინი ისევ მოისმა და საწოლი აჭრაჭუნდა.

- კმარა, მარია ფრანცევნა, კმარა, შე საბრალო, კმარა, უნდა გაუძლო, მოითმინო... - გაისმა სახლის პატრონის ხმა.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, - თქვა ნაი-ტურსის დამ და სასტუმრო ოთახი სწრაფად გაირბინა.

„თუ ვერ ვიპოვეთ, მაშინ რა ვქნათ?“ - გაიფიქრა შეძრწუნებულმა და სასოწარკვეთილმა ნიკოლკამ.

*

თუმცა ყინავდა, იმ საშინელ კართან უკვე იგრძნობოდა შემადრწუნებელი, მქისე სუნი. ნიკოლკა შეჩერდა და ირინას უთხრა: - იქნებ თქვენ აქ მოგეცადათ?.. ჰა?.. თორემ იქ ისეთი სუნი დგას, ვაითუ ცუდად გახდეთ.

ირინამ ჯერ მწვანე კარს შეხედა, მერე ნიკოლკას და მიუგო: - არა, მეც შემოგყვებით.

ნიკოლკამ მძიმე კარის სახელურს ხელი ჩასჭიდა, გამოალო და შიგნით შევიდნენ. პირველად ვერაფერი გაარჩიეს, მერე კი სიბნელეში ცარიელი საკიდების უსასრულო მწკრივები გამოკრთა. მალლა ლამპა ბუუტავდა.

შეშფოთებული ნიკოლკა თანამგზავრისაკენ შეტრიალდა, მაგრამ ის ყოჩაღად მიჰყვებოდა გვერდით, მხოლოდ სახე გაფითრებოდა და წარბები შეეკრა. ნიკოლკას ასევე წარბშეკრული ნაი-ტურსი გაახსენდა. თუმცა ისინი ერთმანეთს მხოლოდ იერით ჰგავდნენ - ნაის უდრეკი, სადა, ვაჟკაციური სახე ჰქონდა, მისი და კი ლამაზი იყო, თანაც რუსული სილამაზე კი არ ჰქონდა, უცხოელს ჰგავდა. საოცარი, საუცხოო ქალიშვილი გახლდათ.

სუნი, რისაც ნიკოლკას ასე ეშინოდა, ყველგან იგრძნობოდა, სუნი სდიოდა იატაკს, კედლებს, ხის საკიდებს. ეს სუნი ისეთი ამაზრზენი იყო, რომ მისი დანახვაც კი შეიძლებოდა. მოგეჩვენებოდათ, კედლები და საკიდები გაპოხილია, წებოვანია და ბზინავს, იატაკიც გაზინთულია, ჰაერი კი შესქელებული და მსუყე, ყველაფერი მძორივით ყარსო. თვით სუნს თუმცაღა ძალზე სწრაფად ეჩვევი, მაგრამ უმჯობესია, თვალი არაფერს შეავლო და არ იფიქრო. რაც მთავარია, არ იფიქრო, თორემ მაშინვე გაიგებ, გულისრევა რასაც ჰქვია. პალტოიანი სტუდენტი წამით გამოჩნდა და გაქრა. საკიდების მარცხნივ კარი ჭრიალით გაიღო და იქიდან ჩექმებიანი კაცი გამოვიდა. ნიკოლკამ შეხედა და თვალი სწრაფად აარიდა, რომ მისი პიჯაკი არ დაენახა. პიჯაკი საკიდებივით ბზინავდა. კაცს ხელებიც უბზინავდა.

- რა გინდათ? - მკაცრად ჰკითხა მან მოსულებს.

- ჩვენ საქმეზე მოვედით, - წამოიწყო ნიკოლკამ, - გამგე გვჭირდება... მოკლული გვინდა ვიპოვოთ. ალბათ აქ არის.

- ვინ არის მოკლული? - ჰკითხა ნიკოლკას კაცმა და კუმტად შეხედა.

სამი დღეა, რაც აქვე ახლოს, ქუჩაზე მოკლეს...

- ჰოო, მაშ ან იუნკერი ყოფილა, ან ოფიცერი... ჰაიდამაკებიც ერია. თქვენ ვის კითხულობთ?

ნიკოლკას შეეშინდა იმის გამხელა, რომ ნაი-ტურსი ოფიცერი იყო, და ასე უპასუხა: - ჰო, ისიც მოკლეს...

- ჰეტმანის მიერ მობილიზებული ოფიცერი იყო, ნაი-ტურსი, - უთხრა კაცს ირინამ და მიუახლოვდა.

იმ კაცისთვის, როგორც ჩანს, სულ ერთი იყო, ნაი-ტურსი ვინ იქნებოდა, ჩაახველა, იატაკზე დააფურთხა, ირინას გახედა და თქვა: - არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მეცადინეობა უკვე დამთავრდა და დარბაზებში აღარავინ არის, სხვა დარაჯები წავიდნენ. მოძებნა ძნელია. ძალიან ძნელი...

ირინა ნაიმ ჩანთა გახსნა, ფული ამოიღო და დარაჯს გაუწოდა. ნიკოლკამ პირი მიაბრუნა, ეშინოდა, პატიოსანი დარაჯი ფულის აღებას ითაკილებსო. მაგრამ დარაჯმა არ ითაკილა...

- გმადლობთ, ქალიშვილო, - თქვა მან და გამოცოცხლდა, - პოვნა შეიძლება, მაგრამ ნებართვაა საჭირო. პროფესორი თუ ნებას დაგრთავთ, გვამის წაღება შეგეძლება.

- პროფესორი სად არის?.. - ჰკითხა ნიკოლკამ.

- აქ ბრძანდება, მაგრამ არ სცალია. რა ვიცი... მოვახსენო?..

- თუ შეიძლება, გეთაყვა, ახლავე მოახსენეთ, - სთხოვა ნიკოლკამ, - მე მოკლულს უმაღვე ვიცნობ.

- კარგი, მოვახსენებ, - თქვა ყარაულმა და ნიკოლკასა და ირინას გაუძღვა. მათ საფეხურები აიარეს და დერეფანში შევიდნენ, სადაც კიდევე უფრო ამაზრზენი სუნი იდგა. დერეფანი გაიარეს და მარცხნივ შეუხვიეს. იქ სუნმა იკლო და შუქმა იმატა, რადგან დერეფანს შემინული სახურავი ჰქონდა.. იქ, მარჯვნივაც და მარცხნივაც, თეთრი კარები მოჩანდა. დარაჯი ერთ კართან შეჩერდა, დააკაკუნა, მერე ქუდი მოიხადა და შევიდა... მდუმარე დერეფანს სახურავიდან შუქი ეფინებოდა, შორეულ კუთხეს კი უკვე ბინდი ეპარებოდა. დარაჯი გამოვიდა და დერეფანში მდგომებს უთხრა: - შებრძანდით.

ნიკოლკა შიგნით შევიდა, ირინა ნაი უკან მიჰყვა... ნიკოლკამ ქუდი მოიხადა და უზარმაზარ ოთახში პირველად გაზინთულ ფარდებზე შავი ლაქები, მაგიდისკენ მიმართული თვალისმომჭრელი შუქის კონა და ამ კონაში შავი წვერი, მოთენთილი, დანაოჭებული სახე და კეხიანი ცხვირი დაინახა, მერე კი, დათრგუნვილმა, კედლები შეათვალიერა. ბინდბუნდში ელვარებდა უსასრულოდ ჩარიგებული კარადები, საიდანაც თითქოს ჩინურ ურჩხულთა მსგავსი შავი და ყვითელი შემზარავი ჯოჯოები იცქირებოდნენ. მოშორებით კი ქურუმით გამოწყობილი, ტყავისწინსაფრიანი, შავხელთათმანიანი კაცი ჩანდა. იგი გრძელ მაგიდაზე დახრილიყო, სადაც ქვემეხებით იდგა ტიტის ფორმის მწვანე თალფაქჩამოფარებული, ნათურის შუქით ოქროსფრად აელვარებული და სარკვებაბზინებული მიკროსკოპები.

- რა გნებავთ? - იკითხა პროფესორმა.

ნიკოლკამ გაიფიქრა, პროფესორი ალბათ ეს წვეროსანი, სახემოთენთილი კაცია, ქურუმით გამოწყობილი კი მისი თანაშემწე იქნებაო.

ნიკოლკამ ჩაახველა. იგი დააკვირდა უცნაურად ჩაზნექილ, მოელვარე ლამპიდან მომდინარე შუქის კონას, თამბაქოსგან გაყვითლებულ თითებს და შემზარავ, საძაგელ საგანს, პროფესორის წინ რომ მოჩანდა - ძარღვებად და ძაფებად ქცეულ ადამიანის კისერსა და ნიკაპს, ზედ ათეულობით მოელვარე კაუჭი და მაკრატელი რომ ჰქონდა ჩასობილ-ჩამოკიდებული.

- ნათესავები ხართ? - ჰკითხა პროფესორმა ოთახში შესულებს ყრუ ხმით, მის მოთენთილ სახესა და წვერს რომ შეესაბამებოდა. მან თავი ასწია და ირინა ნაის, მის ბეწვის ქურქსა და ბოტებს თვალმოწკურული დააცქერდა.

- მე მისი და ვარ, - თქვა ნაიმ, თან ცდილობდა, არ დაეხედა იმისთვის, რაც პროფესორის წინ იდო.

- ხომ ხედავთ, სერგეი ნიკოლაევიჩ, საქმე როგორ ჰქირს. პირველი შემთხვევა კი არ არის... შესაძლოა, ჩენთან არც იყოს. გვამებს შავ მუშათა ყაზარმაშიც ხომ ეზიდებოდნენ?

- შესაძლოა, - უპასუხა მაღალმა კაცმა და რაღაც იარაღი გვერდზე მიაგდო...

- ფიოდორ! - გასძახა დარაჯს პროფესორმა.

*

- არა, თქვენ აქ დარჩით... იქით თქვენი წამოსვლა არ შეიძლება... მე შევალ... - გაუბედავად უთხრა ნიკოლკამ ირინას.

- გული წაგივათ, ქალიშვილო, - დაუმოწმა დარაჯმა, მერე კი დაუმატა, - შეგიძლიათ აქ მოიცადოთ.

ნიკოლკამ დარაჯი განზე გაიხმო, ორი ქაღალდის ფული კიდეც მისცა და სთხოვა, ქალიშვილი სუფთა ტაბურეტზე დასვით. დარაჯი რომელიღაც ოთახში შევიდა, სადაც მწვანე ლამპა და ჩონჩხი იდგა, და იქიდან ტაბურეტი გამოიტანა, თან გაღვივებულ წეკოს აფუილებდა.

- თქვენ მედიკოსი ხომ არა ხართ, ყმაწვილო? მედიკოსები მალე ეჩვევიან, - უთხრა მან ნიკოლკას, დიდი კარი გააღო და ამომრთველს მისწვდა. ჩხაკუნის გაისმა და შემინულ ჭერს ქვემოთ მოთეთრო ბურთი აინთო. ოთახიდან მქისე სუნი გამოდიოდა. მოთუთიებული მაგიდების რიგები თეთრად ელავდა. მაგიდებზე არაფერი ეწყო. სადღაც, ნიჟარაში, წყალი წკაპუნით წვეთავდა. ქვის იატაკი ფეხქვეშ ყრუდ გუგუნებდა. საუკუნოდ ჩაგუბებული სუნით გატანჯული ნიკოლკა ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა და ისე მიაბიჯებდა. ის და დარაჯი მოპირდაპირე კარიდან სრულიად ჩაბნელებულ დერეფანში გავიდნენ, სადაც დარაჯმა პატარა ლამპა აანთო. მერე ცოტახანს კიდეც იარეს. დარაჯმა მძიმე ურდული გადასწია და თუჯის კარი გამოაღო. კვლავ გაისმა ამომრთველის ჩხაკუნის. ნიკოლკას სიცივემ წამოუბერა. კედლებჩამავებული ოთახის კუთხეებში უზარმაზარი ცილინდრები იდგა, რომლებიც ადამიანის სხეულის ნაკუწებით, კანის ნაგლეჯებით, თითებით, დალეწილი ძვლის ნამსხვრევებით პირთამდე იყო გავსებული. ნიკოლკამ პირი მიაბრუნა და ნერწყვი ჩაყლაპა.

- უსუნეთ, ყმაწვილო, - უთხრა მას დარაჯმა.

ნიკოლკამ თვალეები დახუჭა, ცხვირი შუშასთან მიიტანა და ნიშადურის აუტანელი სუნი ხარბად შეიწოვა.

თვალეებმოჭუტული ნიკოლკა ფიოდორის გაღვივებულ ჩიბუხს თითქოს ძილ-ბურანში ხედავდა და აკვამლებული წეკოს გამაბრუებელ სუნსაც გრძნობდა. ფიოდორი ლიფტის ბადესთან ბოქლომს დიდხანს ეჯაჯგურებოდა, ბოლოს გააღო, ნიკოლკასთან ერთად ბაქანზე შედგა და სახელური გადასწია. ბაქანი ჭრიალით დაიძრა ქვემოთ, საიდანაც გამყინავი სიცივე ამოდიოდა. დარაჯი და ნიკოლკა უზარმაზარ საწყობში შევიდნენ. ნიკოლკა ბუნდოვნად ხედავდა იმას, რაც არასოდეს ენახა. ადამიანთა შიშველი სხეულები ერთიმეორეზე შემასავით ეწყო და ისეთი აუტანელი, სულის შემხუთველი სუნი ასდიოდა, ნიკოლკა კინალამ გაიგუდა, თუმცა ნიშადურს სუნავდა. მოჩანდა გაშემებული ფეხები, გაფარჩხული თითები, ქალების გაწეწილი თმა, მათი დაჩქლეთილი, მომჩვარული, ჩალურჯებული მკერდები.

- ახლა მე გვამებს გადავაბრუნებ, თქვენ კი დააკვირდით, - თქვა დარაჯმა და დაიხარა. იგი ერთი ქალის გვამს ფეხზე ჩაეჭიდა. გალიპული გვამი გამოსრიალდა და იატაკზე ბრაგუნით დაეცა. ნიკოლკას ქალი ძალზე ლამაზი, ალქაჯივით ლამაზი ეჩვენა. მიცვალებულს გახელილი თვალეები პირდაპირ ფიოდორისთვის მიემტერებინა, იარა წითელი ლენტვიით შემორტყმოდა. ნიკოლკამ იარას თვალი ძლივს მოაცილა და იქაურობა მოათვალიერა. თავბრუ ეხვეოდა და გონებას უფორიაქებდა ფიქრი, ვაითუ, საჭირო შეიქნას მთელი ამ მრავალფეროვანი, ერთმანეთზე აჩხორილი და შეწებებული სხეულების გადატრიალებაო.

- აღარ არის საჭირო, გაჩერდით, - მისუსტებული ხმით უთხრა მან ფიოდორს და შუშა ჯიბეში ჩაიდო, - აგერ ის არის, ვიპოვე. ზემოთ, აგერ, იქ, ზემოთ.

ფიოდორი მაშინვე იქით გაემართა, თან ცდილობდა, წონასწორობა არ დაეკარგა და იატაკზე ფეხი არ ასხლტომოდა, ნაი-ტურსს თავზე ხელები ჩასჭიდა და მძლავრად დაიქნია. ნაის მუცელზე გულდაღმა ეწვა ბრტყელზურგა, თემოგანიერი ქალი, რომელსაც კეფაზე მინის ნატეხივით მქრქალად უელავდა იაფფასიანი სავარცხელი. ფიოდორმა ქალს თმიდან სავარცხელი მარჯვედ ამოაძრო და წინსაფრის ჯიბეში ჩაიგდო, მერე ნაის იღლიებში ხელები ამოსდო. შტაბელიდან ჩამოსრიალებულ ნაის თავი შეუტოკდა და უკან გადაუქანდა, წამახული, გაუპარსავი ნიკაპი ზეაღმართა, ერთი ხელი დაბლა ჩაუცურდა.

ფიოდორმა ნაი იატაკზე იმ ქალივით კი არ დააგდო, იღლიებში ხელები ფრთხილად ამოსდო, გვერდზე შეატრიალა და სახე ნიკოლკასკენ მიაქცევინა.

- შეხედეთ, ის არის? - ჰკითხა მან ნიკოლკას. - სხვა არ გამოდგეს...

ნიკოლკამ ნაის თვალეებში ჩახედა. მისი გახელილი, შუშისებური თვალეები უაზროდ იცქირებოდა, მარჯვენა ლოყაზე ოდნავ შესამჩნევი სიმწვანე შეჰპარვოდა, ხოლო მკერდსა და მუცელზე სისხლის ფართო მუქი ლაქები გასდღაბნოდა და შეხმობოდა.

- ის არის, - თქვა ნიკოლკამ.

ფიოდორს ნაისთვის ხელი აღარ გაუშვია, ლიფტის ბაქანზე შეაჩოჩა და ნიკოლკას ფეხებთან დააწვინა. გვამმა ხელები გაშალა და ნიკაპი კვლავ ზეაღმართა. ფიოდორი თვითონაც შევიდა შიგნით, სახელური გადმოსწია და ბაქანი ზემოთ წავიდა.

*

იმავ ღამეს სამლოცველოში ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც ნიკოლკას უნდოდა. სინდისი აღარ ქენჯნიდა, მაგრამ კვლავ დაღვრემილ-დანაღვლიანებული ჩანდა. ანატომიური თეატრის შიშველკედლებიან, ჩალამებულ სამლოცველოში შუქი აანთეს. კუთხეში ვიღაც უცნობის კუბოს სახურავი დაახურეს და უსიამო და შემზარავი უცხო მეზობლის ცხედარი ნაის სიმშვიდეს აღარ ურღვევდა. თვით ნაის კუბოში ახლა თითქოს გახარებული, გამხიარულებული იერი ჰქონდა.

კმაყოფილმა და ენად გაკრეფილმა დარაჯებმა ნაი განზანეს. განზანილს უსამხრეებო ფრენჩი ეცვა, შუბლთან გვირგვინად სამი ანთებული სანთელი ედგა და, რაც მთავარია, პერანგის ქვეშ გიორგის ჯვრის ერთარშინიანი, ჭრელი ლენტი ედო, ნიკოლკამ საკუთარი ხელით რომ დააფინა გაყინულ მკერდზე. მოხუცმა დედამ სამი სანთლის ალით განათებული, აცახცახებული თავი ნიკოლკასკენ მიაბრუნა და უთხრა: - გმადლობთ, შვილო.

ნიკოლკა ხელახლა ატირდა. იგი სამლოცველოდან ანატომიური თეატრის დათოვლილ ეზოში გავიდა. ირგვლივ ღამეს დაესადგურებინა, ღამესა და თოვლს, ხოლო ცაზე ჯვრებივით მიმოზნულიყო ვარსკვლავები და თეთრად ჩანდა ირმის ნახტომი.

18

ოცდამეორე დღეს დღისით ტურბინი კვდებოდა. დღე იყო ამღვრეული, თეთრი და ერთიანად გამსჭვალული მოახლოებული შობის ანარეკლით, ორი დღის მერე რომ უნდა დამდგარიყო. ეს ანარეკლი განსაკუთრებით დასტყობოდა სასტუმრო ოთახის იატაკს, რომლის პარკეტი ანიუტას, ნიკოლკასა და ლარიოსიკის ერთობლივი მეცადინეობის შედეგად პრიალებდა. ისინი წინა დღეს პარკეტზე ფეხებს უხმაუროდ აშრიალებდნენ. შობის ანარეკლი დასთამაშებდა ანიუტას ხელით გაკრიალებულ ლამპებსაც. წიწვის სუნი იდგა და მწვანედ ელვარებდა ოთახის კუთხე, სადაც კლავიშებს ზემოთ მოჩანდა თითქოს საუკუნოდ მივიწყებული მრავალფერი ვალენტინი.

გემუდარები, დაი ჩემი...

ასე შუადღისას ტურბინის ოთახიდან ელენა გამოვიდა და არცთუ ისე მტკიცე ნაბიჯით მდუმარედ ჩაიარა სასადილო ოთახში, სადაც კარჩხანა, მიშლაევსკი და ლარიოსიკი ხმაგაკმენდილნი ისხდნენ. სანამ იგი ჩაივლიდა, არც ერთი მათგანი არ განძრეულა, რადგან მისი სახის დანახვისა ეშინოდათ.

ელენა თავის ოთახში შევიდა და კარი მიიხურა. მძიმე ფარდა უმაღლ ჩამოეშვა და შეურხევლად გაჩერდა.

მიშლაევსკი შეტოკდა.

ეჰ, - ხმადაბლა ჩაიხიხინა მან, - მეთაურმა ყველაფერი კარგად მოაგვარა, ალიოშკას ამბავში კი ვერ იმარჯვა...

კარჩხანას და ლარიოსიკს ხმა არ ამოუღიათ; ლარიოსიკმა თვალები აახამხამა და ლოყებზე ლილისფერი ჩრდილები დაეფინა.

- ეჰ... დალახვროს ეშმაკმა, - დაუმატა მიშლაევსკიმ, წამოდგა, ელენას ოთახის კართან რხევა-რხევით მივიდა და შეჩერდა. ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა, მერე შემოტრიალდა, კარჩხანასა და ლარიოსიკს თვალთ კარზე ანიშნა და უთხრა: - ბიჭებო, თვალი გეჭიროთ... თორემ, ხომ იცით...

იგი ერთ ადგილას ტრიალებდა, მერე წიგნების ოთახში გავიდა და იქ მისი ფეხის ხმა მიწყდა. ცოტა ხნის შემდეგ ნიკოლკას ოთახიდან მისი ხმა და კიდევ რაღაც უცნაური წრიპინი მოისმა.

- ნიკოლკა ტირის, - სასოწარკვეთილი ხმით ჩაიჩურჩულა ლარიოსიკმა, ამოიოხრა, ელენას კართან ფეხის წვერებზე მივიდა, დაიხარა, გასაღების ჭუჭრუტანიდან შეიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა.. მერე კარჩხანასკენ უმწეოდა გამოიხედა, თან რაღაცას ანიშნებდა, უხმოდ ეკითხებოდა.

კარჩხანა კართან მივიდა, შეყოყმანდა, მერე ფრჩხილით კარზე რამდენჯერმე მიაკაკუნა და ხმადაბლა შესძახა: - ელენა ვასილიევნა, ელენე ვასილიევნა...

- ეჰ, ნუ გემინიათ, - ყრუდ მოისმა ელენას ხმა კარის იქიდან, - არ შემოხვიდეთ.

კარჩხანა უკან გამობრუნდა და ლარიოსიკიც გამოჰყვა. ისინი კვლავ თავიანთ ადგილზე, საარდამულ ღუმელთან მდგარ სკამებზე დასხდნენ და გაილურსნენ.

ტურბინებს და იმათ, ვინც ტურბინებთან სისხლხორცეულად იყვნენ დაკავშირებულნი, ალექსეის ოთახში არაფერი ესაქმებოდათ. იმ სივიწროვეში მყოფ სამ კაცს მოტრიალება ისედაც უჭირდა. ერთი მათგანი ის ოქროსთვალა დათვი გახლდათ, მეორე, ახლაგაზრდა, წვერგაპარსული და ტანადი, გვარდიელს უფრო რომ ჰგავდა, ვიდრე ექიმს და, ბოლოს, მესამე, ჭაღარა პროფესორი. მის გაწაფულ თვალს არაფერი გამოჰპარვია. თექვსმეტ დეკემბერს, მოსვლისთანავე, ყველაფერს მიხვდა, და ტურბინების ოჯახსაც სავალალო ამბავი ამცნო, ალექსეის ტიფი სჭირსო. ჰოდა, ტიფმა ჭრილობა უმაღლეს მიავიწყა. ერთი საათის წინ პროფესორი ელენასთან ერთად სასტუმრო ოთახში გამოვიდა. ელენას დაჟინებულ შეკითხვაზე, რასაც მისი ამომშრალი თვალები, დაშაშრული ტუჩები და გაწეწილი კულულები გამოხატავდა, პროფესორმა უპასუხა, მცირე იმედიღაა დარჩენილიო. მერე ელენას თვალებში ჩააცქერდა და მისმა უაღრესად გამოცდილმა და ამიტომ ყველას შემბრალებ კაცის მზერამაც დაუმატა, ძალზე მცირეო. ყველამ კარგად იცის, ეს რას ნიშნავს, და ელენამაც იგრძნო: იმედის ნატამალიც არ იყო დარჩენილი, ტურბინს აღარაფერი ეშველებოდა. ამის მერე ელენა ძმის საწოლ ოთახში შევიდა, დიდხანს იდგა, სწეულს სახეზე აცქერდებოდა და თავადაც კარგად მიხვდა, რომ იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. ჭაღარა და გულკეთილი მოხუცის გაწაფული თვალი არ იყო საჭირო იმის შესამჩნევად, რომ ექიმი ალექსეი ტურბინი კვდებოდა.

იგი ჯერ კიდევ სიცხით გათანგული იწვა, მაგრამ ეს უკვე მერყევი, ცვალებადი სიცხე იყო, რომელიც, საცაა, ჩაცხრებოდა. სწეულს სახის ფერი უკვე რაღაც უცნაურად შესცვლოდა, სანთლისფერი გადაჰკვროდა, ცხვირი გასთხელებოდა და განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩენილ კეხზე განწირულების ნიშანი დასჩენოდა.

ელენას ფეხები გაეყინა, ჩირქისა და ქაფურის სუნად გაჟღენთილ, ჩახუთულ საწოლ ოთახში ბუნდოვანმა წუხილმა აიტანა, მაგრამ მალევე გაუარა.

ტურბინს მკერდში თითქოს ქვა ჩასჭედოდა, სტვენით სუნთქავდა, წებოვან ჰაერის ნაკადს დაკრეჭილ კბილებს შორის ისრუტავდა, მაგრამ ჰაერი მკერდში არ ჩადიოდა. დიდი ხანია, გონზე აღარ იყო, ირგვლივ რა ხდებოდა, ვერც ხედავდა და ვერც შეიგრძნობდა. ელენა იდგა და დაჰყურებდა. პროფესორმა ელენას ხელი შეახო და ჩასჩურჩულა: - ელენა ვასილიევნა, თქვენ გადით, ყველაფერს ჩვენ თვითონ გავაკეთებთ.

ელენა დაემორჩილა და ოთახიდან მაშინვე გავიდა. მაგრამ პროფესორს აღარაფერი გაუკეთებია.

მან ხალათი გაიხადა, ზამბის სველი გუნდებით ხელები გაიწმინდა და ტურბინს სახეზე კვლავ დააცქერდა. სნეულს ტუჩებისა და ცხვირის ნაოჭებთან მოლურჯო ჩრდილები კიდევ უფრო ჩამუქებოდა.

პროფესორი წვერგაპარსულს მიუბრუნდა და ყურში ძალზე ხმადებლა ჩასჩურჩულა: - აღარაფერი ეშველება, ექიმო ბორდოვიჩო, ავადმყოფთან თქვენ დარჩით.

- ქაფური? - ჩურჩულით ჰკითხა ბროდოვიჩმა.

- დიახ, დიახ, დიახ, - თითო გრამი?

- არა, - პროფესორმა ფანჯრისკენ გაიხედა და დაფიქრდა, - ერთბაშად სამ-სამი გრამი. ხშირ-ხშირად. - მერე ცოტახანს კიდევ ჩაფიქრდა და დაუმატა: - თუ უბედურება მოხდეს, ტელეფონით შემატყობინეთ, - ეს სიტყვები ძალზე ფრთხილად წაიჩურჩულა, რომ ტურბინის სმენას თუნდაც ბოდვასა და ბურანში არ ჩასწვდომოდა, - კლინიკაში. თუ არა და მაშინვე მოვალ, როგორც კი ლექციას დავამთავრებ.

*

წლიდან წლამდე, რაც კი ტურბინებს თავი ახსოვდათ, ლამპრები მათ ბინაში ოცდაოთხ დეკემბერს დაბინდებისას ინთებოდა, ხოლო საღამოთი, სასტუმრო ოთახში, ნაძვის მწვანე ტოტებს მოციმციმე, თბილი შუქი გააჩირალდებდა. მაგრამ ახლა მზაკვარმა ნატყვიარმა ჭრილობამ და მოხიხინე ტიფმა ყველაფერი აურ-დაურია, ცხოვრების მდინარე და ლამპრების ანთება დააჩქარა. ელენამ სასტუმრო ოთახის კარი მიხურა, საწოლთან მდგარ ტუმბასთან მივიდა, ასანთი აიღო, სკამზე შედგა და მძიმე ჩარჩოში ჩასმული ძველი ხატის წინ ჯაჭვზე ჩამოკიდებული მძიმე ლამპარი აანთო. როცა ალი მომძლავრდა და აკიაფდა, ღვთისმშობელს თვალები და შავგვრემანი პირისახე ალერსიანი გაუხდა, ხოლო გვირგვინი ოქროსფრად შეეფერა. ღვთისმშობლის გვერდზე გადახრილი თავი ელენას ჩამოსცქეროდა. ფანჯრების ორ კვადრატში ჯერაც დეკემბრის თეთრი, იღუმალი დღე იდგა, მოცახცახე ალის ენამ კი ოთახის კუთხეში უკვე შობა ღამე დაამკვიდრა. ელენა სკამიდან ჩამოვიდა, მხრებიდან შალი მოიძრო, ხალიჩის კუთხე გადასწია, პრიალა პარკეტზე დაიჩოქა და თავი აიტაკამდე მდუმარედ დახარა.

სასადილო ოთახში მიშლაევსკიმ გაიარა; ქუთუთოებგათეთრებული ნიკოლკა უკან მიჰყვებოდა. ისინი ტურნბინის ოთახში შევიდნენ.

სასადილო ოთახში დაბრუნებულმა ნიკოლკამ მოსაუბრეებს უთხრა: კვდება... - და ღრმად ჩაისუნთქა.

- იცით რა, - წამოიწყო მიშლაევსკიმ, - მღვდელი ხომ არ მოგვეყვანა? ჰა, ნიკოლ?... მოუნანიებლად ხომ არ უნდა...

- ლენას უნდა ვუთხრათ, - უპასუხა შეშინებულმა ნიკოლკამ, - იმის დაუკითხავად ხომ ვერ მოვიყვანთ! ვაითუ, ლენას რამე დაემართოს...

- ექიმი რას ამბობს? - იკითხა კარჩხანამ.

- რა უნდა თქვას. აქ სათქმელი აღარაფერია, - ჩაიხიხინა მიშლაევსკიმ.

ისინი დიდხანს ჩურჩულებდნენ შეშფოთებულნი. გაფითრებული, გონებადანიშლული ლარიოსიკი ოხრავდა. ექიმ ბროდოვიჩთან კიდევ შევიდნენ. მან შემოსასვლელში გამოიხედა, პაპიროსი გააბოლა და აჩურჩულდა: - ეს აგონიაა. მღვდელი, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, მოიყვანოთ. ჩემთვის სულ ერთია, რადგან ავადმყოფი უგონოდაა და ეგ აღარაფერს ავნებს.

- ყრუ აღსარება...

იჩურჩულეს, იჩურჩულეს, მაგრამ მღვდლის მოყვანა ჯერ ვერ გადაწყვიტეს. ელენას მიუკაკუნეს, მან კარს შიგნიდან ყრუ ხმით უპასუხა: - თავი გამანებეთ, მე თვითონ გამოვალ...

ისინიც კარს მოსცილდნენ.

დაჩოქილი ელენა ღვთისმშობლის ჩაშავებული სახისა და ნათელი თვალების ზემოთ დაკბილულ გვირგვინს ასცქეროდა და ხელებგაწვდილი ჩურჩულებდა: - მფარველო, დედაო, ერთბაშად ბევრი უბედურება მოგვივლინე. ერთ წელიწადში ოჯახს ბოლოს უღებ. რატომ? დედაჩვენი წაიყვანე, ქმარი აღარ მყავს და აღარც მეყოლება, ეს ვიცი. ძალიან კარგად ვიცი. ახლა კი უფროს ძმასაც გვართმევ. რატომ? მე და ნიკოლკას უიმისოდ რა გვეშველება? ნახე, ჩვენს თავს რა ამბავია... მფარველო დედაო, ნუთუ არ შეგვიწყალებ?... იქნებ ცუდი ხალხი ვართ, მაგრამ ასე რატომ გვსჯი?

იგი ისევ დაიხარა, იატაკს შუბლი მხურვალედ შეახო, პირჯვარი გადაიწერა, ხელები კვლავ წინ გაიწოდა და ღვთისმშობლის ხატს შეევედრა: - ყოვლად წმინდაო დედაო, შენი იმედილა მაქვს, შენი. შენს ძეს შეგვავედრე, უფალს შეგვავედრე, რომ სასწაული მოგვივლინოს...

ელენამ აღფხვნებით იწყო ჩურჩული, სიტყვებს ურევდა, მაგრამ მისი ტუჩებიდან ვედრება უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა. იატაკს შუბლით სულ უფრო ხშირად ეხებოდა, ხანდახან თავს გაიქნევდა და სავარცხლიდან თვალებზე ჩამოშლილ კულულს უკანვე გადაიგდებდა. ფანჯრების კვადრატებში დღე მიილია, გაუჩინარდა თეთრი შევარდენიც. დღის სამ საათზე გავოტმა ისე ჩაირაკრაკა, ელენას არც გაუგია. და სრულიად უხმაუროდ მოვიდა ის, ვისაც შეღალადებდა და ვისი გულის მოღობასაც შავგვრემან ღვთისმშობელს ემუდარებოდა. იგი დარღვეული აკლდამის გვერდით გამოჩნდა მკვდრეთით აღმდგარი, სახიერი და ფეხშიშველი. ელენას მკერდი გაუფართოვდა, ლოყები აუფორეჯდა, თვალებში შუქი ჩაელვარა და უცრემლო ტირილით აევსო. შუბლი და ლოყა იატაკს დააბჯინა, მერე ალისკენ ისე

აიმართა, თითქოს სული მაღლა მიელტვისო, მუხლებქვეშ იატაკს ვეღარ გრძნობდა. ალი აბრიალდა, გვირგვინშემოჭდობილი მუქი სახე აშკარად გაცოცხლდა, ხოლო თვალები ელენას სულ ახალ-ახალ სიტყვებს ათქმევინებდა. კართა და სარკმელთა მიღმა სრული მყუდროება სუფევდა, დღე საოცარი სისწრაფით ქუფრდებოდა და ელენას კიდევ მოევლინა ჩვენება - ცის თალის კამკამა შუქი, არნახული, მოწითალო-მოყვითალო ქვიშის ლოდები, ზეთისხილის ხეები, გულში ტაძრის საუკუნოვანი შავი მდუმარება და სიცივე შეეჭრა.

- მფარველო დედაო, - ჩურჩულებდა ცეცხლშემოგზნებული ელენა, - შეგვავედრე, აგერ შენი ძე. ეს ხომ არ გაგიძნელდება. შეგვიბრალე. მოილე მოწყალება... ახლა შენი დღეებია, შენი დღესასწაული. იქნებ შენმა ძემ რამე სიკეთე ქნას. შენც გევედრები, ცოდვები მოგვიტევო. დაე, სერგეი ნუ დაბრუნდება... რაკილა მართმევ, წამართვი, მაგრამ ძმას ასე ნუ დამისჯი, სიკვდილს ნუ მოუვლენ... ყველას სისხლი გვაწევს, მაგრამ ნუ გაგვწირავ, ნუ გაგვწირავ. აგერ შენი ძე, აგერ...

ალი დაიმსხვრა და განიბნა, ერთი სხივი ჯაჭვივით წაგრძელდა და ელენას თვალებს მისწვდა. მან შეშლილი თვალები ალაპყრო და დაინახა, ოქროს საბურველშემოჭდობილმა სახემ ბაგე როგორ გააპო, ხოლო თვალები ისეთი უჩვეულო გაუხდა, რომ შიშმა და დამათრობელმა სიხარულმა ელენას ლამის გული გაუპო. იგი იატაკზე განერთხა და აღარ წამომდგარა.

*

შეშფოთებამ მთელ ბინას ხორშაკი ქარივით ჩაურბინა, ვიღაცამ სასტუმრო ოთახში ფეხის წვერებზე გაირბინა. ვიღაცამ კარი მოფხოჭნა, გაისმა ჩურჩული: ელენა... ელენა... ელენა...“ ელენამ გაყინული, გალიპული შუბლი ხელის ზურგით მოიწმინდა, კულუღი უკან გადაიგდო და წამოდგა. თვალები ბრმასავით გაშეშებოდა, შეშლილივით იცქირებოდა, ლამპით განათებულ კუთხეს აღარ უყურებდა და კარისკენ მიემართებოდა. გული თითქოს ფოლადად ქცეოდა. კარმა მის ნებართვას აღარ დაუცადა, თავისით გაიღო და ფარდაშემოხვეული ნიკოლკა გამოჩნდა. მან ზარდაცემული, დაჭყეტილი თვალები ელენას მიაშტერა, ჰაერი არ ჰყოფნიდა.

- იცი რა, ელენა... ნუ გეშინია... ნუ გეშინია... იქ შედი... მგონი...

*

ექიმ ალექსეი ტურბინს ოფლიანი ხელით დამტვრეულ დაჭყლეტილი სანთლის ფერი ედო, საბნიდან გამვალტყავებული, ფრჩხილებწამოზრდილი ხელები ამოეყარა და წაწვეტებული ნიკაპი ზეაღმართა, სხეული მწებარე ოფლში უცურავდა, ხოლო დამტვრეული, გალიპული მკერდი გაღვლილი პერანგის ქვეშ აუდ-ჩაუდიოდა. მან თავი დაღუნა, ნიკაპი გულისპირზე დაიბჯინა, ჩაყვითლებული კბილები ერთმანეთს ძლივს მოჭვლიჯა და თვალები გამოახილა. ბურუსისა და ბოდვის დაფხრეწილი ფარდა მის თვალებში ჯერ კიდევ ირხეოდა, მაგრამ შავ ნაფლეთებში უკვე შუქი გამოკრთოდა.

- კრიზისია, ბროდოვიჩო. რაო?... გადავრჩები?... ჰა-ა... - თქვა მან მისუსტებული, ჩახლეწილი და გაწვრილებული ხმით.

კარჩხანას აკანკალებულ ხელში ლამპა ეჭირა. მისი შუქი ჩაზნექილ ქვეშაგებს და დასრესილ, ნაოჭებჩამუქებულ ზეწარს ანათებდა.

წვერგაპარსულმა ექიმმა ტურბინის მკლავზე გალეული ხორცი თითებში გაუბედავად მოიქცია და პატარა შპრიცის ნემსი შეარჭო. ექიმს შუბლი წვრილ-წვრილმა წვეთებმა დაუცვარა. იგი აღელვებული და გაოგნებული იყო.

19

პეტურა. ცხოვრებამ მისმა ქალაქში ორმოცდაშვიდ დღეს გასტანა. ტურბინთა თავზე თოვლ-ყინულით შეჯავშნულმა, ფიფქებით შებურვილმა 1919 წლის იანვარმა გადაიქროლა, თებერვალი მოგრიალდა და ქარბუქი დაატრიალა.

ორ თებერვალს ტურბინთა ბინაში შავმა ლანდმა გაიარა; გადაპარსულ თავზე შავი აბრეშუმის ქუდი ეხურა. ეს ლანდი მკვდრეთით აღმდგარი ტურბინი გახლდათ. იგი ძალიან შეიცვალა. სახეზე, ტუჩების კუთხეებში ორი ნაოჭი ალბათ სამუდამოდ დააჩნდა, კანი ცვილისფერი გაუხდა, თვალები ჩაუცვივდა, აღარ უღიმოდა და სამუდამოდ მოელუშა.

სასტუმრო ოთახში ტურბინი ფანჯარას ისევე აეკრა, როგორც ორმოცდაშვიდი დღის წინ, და ყური მიუგდო. ახლაც, როგორც მაშინ, ფანჯრიდან მოციმციმე შუქი, თოვლი - ოპერა „შობა ღამე“ მოჩანდა და რბილად მოისმოდა ქვემეხთა შორეული გრუხუნი. ტურბინმა შუბლი მკაცრად შეჭმუხნა, ჯოხს მთელი სიმძიმით დააწვა და ქუჩას დააკვირდა. იგი ხედავდა, რომ დღემ ჯადოსნურად იმატა, სინათლე მომძლავრდა, თუმცა მინის მიღმა ქარბუქი მძვინვარებდა და მილიონობით ფანტელს ატრიალებდა.

აბრეშუმის ქუდიქვეშ მკაცრი, ცხადი, უსიხარულო ფიქრები ფიქრებს მისდევდა. ტურბინს თითქოს თავი დაუმსუბუქდა, დაუცარიელდა, მხრებზე უცხო კოლოფივით ედგა. ფიქრები თითქოს გარედან მოდიოდა, თანაც იმ თანმიმდევრობით, როგორც თვითონ მოესურვებოდათ.

პეტურა... ამაღამ, დილამდე, მოსახდენი მოხდება, პეტურა აღარ იქნება... იყო კი იგი?... თუ ყველაფერი მესიზმრა? არავინ იცის, შემოწმება შეუძლებელია. ლარიოსიკი ძალზე სასიამოვნო ყმაწვილია. ოჯახში მისი ყოფნა არაფერს აშავებს, პირიქით, საჭიროც კია. მადლობა უნდა ვუთხრა, რომ მივლიდა... შერვინსკი? ეშმაკმა უწყის... შარია ქალების ამბავი. ელენა უსათუოდ გაჰყვებოდა, აუცილებლად... მერე რა არის აქ სასიკეთო? კარგი ხმა რომ აქვს? ხმა კი საუცხოო აქვს, მაგრამ კარგ ხმას, ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება, დაუქორწინებლადაც უსმინო. ხომ ასეა? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს! მაშ რასა აქვს მნიშვნელობა? ჰოი, შერვინსკი ამბობდა, იმათ ფაფახებზე წითელი ვარსკვლავები უკეთიათო... ალბათ საშინელება იქნება ქალაქში. ჰოო... მაშ ამაღამ... მგონი, ქუჩაში ადალი უკვე მოდის... მაგრამ მე მაინც წავალ იქ, დაღამებამდე წავალ... და წავუღებ... ძინ, დაიჭირეთ! მე მკვლელი ვარ. არა, ბრძოლაში მოვკალი. ანდა დავჭერი... ვისთან ცხოვრობს იულია? სად არის მისი ქმარი? ძინ. მალიშევი. სად არის ახლა? მიწამ პირი უყო. მაქსიმი?... ალექსანდრე პირველი?“

ფიქრთა მდინარეა ზარის ხმამ შეწყვიტა. ბინაში ანიუტას გარდა არავინ იყო, ყველანი ქალაქში გასულიყვნენ, რათა საქმეები დაღამებამდე საჩქაროთ მოეთავებინათ.

ანიუტა, თუ ავადმყოფია, შემოუშვი.

- კარგი, ალექსეი ვასილიევიჩი.

ანიუტას კიბეზე ვიღაც ამოჰყვა, შემოსასვლელში თხის ტყავის პალტო გაიხადა და სასტუმრო ოთხში შევიდა.

- მობრძანდით, - უთხრა ტურბინმა.

სავარძლიდან გამხდარი, სახეგაყვითლებული, ნაცრისფერფერენჩიანი კაცი წამოდგა. თვალები ამღვრეული და დამაბული ჰქონდა. თეთრხალათიანმა ტურბინმა გზა დაუთმო და კაბინეტში შეუშვა.

- დაბრძანდით. რით შემიძლია, გემსახუროთ?

- მე სიფილისი მჭირს, - ჩახლეჩილი ხმით უთხრა ტურბინს მოსულმა და ჯიქურ, პირქუშად შეხედა.

- მკურნალობდით?

- ვმკურნალობდი, მაგრამ უხეიროდ და უთავბოლოდ... მკურნალობა ბევრს ვერაფერს მშველოდა.

- ჩემთან ვინ გამოგზავნათ?

- ნიკოლოზ კეთილის ეკლესიის წინამძღვარმა, მამა ალექსანდრემ.

- ვინ?

- მამა ალექსანდრემ.

- რა? განა თქვენ მას იცნობთ?

- მე მას აღსარება ვუთხარი და წმინდა მოხუცის საუბარმა სულიერი შვება მომანიჭა, - თქვა სნეულმა და თვალები ცისკენ აღაჰყრო. - მანამდე ვფიქრობდი, რომ არ უნდა მემკურნალა და მოთმინებით ამეტანა განსაცდელი, რაც ღმერთმა ჩემ მიერ ჩადენილი საშინელი ცოდვის გამო მომივლინა. მაგრამ წინამძღვარმა ჩამაგონა, რომ სწორედ არ ვმსჯელობდი, და მის ნებას დავეყვი.

- მაშასადამე, - თქვა ტურბინმა და ჩაქუჩი დააგდო, - როგორც გეტყობათ, ღვთისმოსავი ყოფილხართ...

- დიახ, მე დღისითაც და ღამითაც ღმერთზე ვფიქრობ და მას ვევედრები, რადგან იგია ერთადერთი სავანე და ნუგეში.

- ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, - უთხრა სნეულს ტურბინმა, თან თვალებში ჩააცქერდა, - თქვენს რწმენას პატივსაცემ, მაგრამ, აი, რას გირჩევთ: მკურნალობის დროს ღმერთზე დაჟინებით ფიქრს თავი უნდა ანებოთ. საქმე ის არის, რომ ეს, შეიძლება, იდეაფიქსად გექცეთ, რაც თქვენს მდგომარეობაში მავნებელია. თქვენ ჰაერი, მოძრაობა და ძილი გჭირდებათ.

- დამდამობით ვლოცულობ.

- არა, ამას თავი უნდა ანებოთ, ლოცვის დრო შეამციროთ. ლოცვა დაგქანცავთ, თქვენ კი აუცილებლად მოსვენება გჭირდებათ.

სნეულმა თვალები მორჩილად დახარა.

იგი ტურბინის წინ შიშველი იდგა და მოთმინებით ელოდა, ექიმი გასინჯვას როდის დაამთავრებდა.

- კოკაინს ეტანებით?

- იმ სისაძაგლეთა და მანკიერებათა შორის, რასაც ვეტანებოდი, ესეც ერია. ახლა თავი მივანებე.

„ემმაკმა იცის ამის თავი... იქნებ თაღლითია და თავს იკატუნებს, თვალი უნდა გვეჭიროს, რომ შემოსასვლელიდან ქუდები არ დაგვეკარგოს“.

ტურბინმა ჩაქუჩის ტარით სნეულის მკერდზე კითხვის ნიშანი შემოხაზა. თეთრი ნიშანი გაწითლდა.

- რელიგიური საკითხებით გატაცებას თავი უნდა ანებოთ. საერთოდაც, ნაკლებად უნდა დაიტვირთოთ ყოველგვარი მძიმე ფიქრებით. ჩაიცვით. ხვალიდან ვერცხლისწყლის შემხაკუნებას დავიწყებთ, ხოლო ერთი კვირის შემდეგ პირველ შესხმას ჩაგიტარებთ.

- კარგი, ექიმო.

- კოკაინს უნდა მოეშვათ. სმასაც. ქალებსაც...

- მე ჩამოვშორდი ქალებსაც და შხამებსაც. ჩამოვშორდი ბოროტ ადამიანებსაც, - ამბობდა სნეული და პერანგის ღილებს იკრავდა. - ჩემი ცხოვრების ბოროტი გენია, ანტიქრისტეს წინამორბედი, სატანის ქალაქში გაემგზავრა.

- ბატონო ჩემო, ასე არ შეიძლება, - ამოიკვნესა ტურბინმა, - მერე ხომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდებით. რომელ ანტიქრისტეზე ლაპარაკობთ?

- მე ვლაპარაკობ ანტიქრისტეს წინამორბედზე, მიხაილ სემიონოვიჩ შპოლიანსკიზე, გველისთვალებიან და შავბაკებიან კაცზე. იგი ანტიქრისტეს სამფლობელოში, მოსკოვში გაემგზავრა, რათა ნიშანი მისცეს და ავსულთა ურდოები ამ ქალაქისკენ დაძრას, მის ბინადართა ცხოვრების განსაკითხავად, როგორც ოდესღაც განკითხულ იქნა სოდომი და გომორი...

- ავსულებად ბოლშევიკები მოიხსენიეთ? გეთანხმებით... მაგრამ ასე მაინც არ შეიძლება... ბრომი უნდა სვათ. დღეში სამჯერ თითო სუფრის კოვზი.

- იგი ახალგაზრდაა, მაგრამ მის გულში იმდენი სისაძაგლე ბუდობს, ათასი წლის სატანა ვერ შეედრება. დიაცებს გარყვნილებისკენ უბიძგებს, ვაჟებს მანკიერებისკენ. და დასცეს, უკვე დასცეს ცოდვილთა ურდოების საომარი საყვირნი, და ველთა ზედა მოჩანს სახე სატანისა, მათ კვალად რომ მოჰყვება.

- ტროცკის გულისხმობთ?

- დიახ, ეგ არის სახელი იმისა, ვისი სახეც სატანამ მიიღო. ხოლო მისი ნამდვილი სახელი ებრაულად არის აბადონი, ბერძნულად კი აპოლიონი, რაიცა წარმწყმედს ნიშნავს.

- სერიოზულად გეუბნებით, თუ ამას არ მოეშვებით, იცოდეთ, რომ... მანია შეგიპყრობთ...

- არა, ექიმო, მე ნორმალური ვარ, ექიმო, თქვენი წმინდა საქმის საფასურად რამდენს იღებთ?

- მომიტევეთ, მაგრამ სიტყვა „წმინდას“ რა ყოველ ნაბიჯზე გაიძახით. ჩემს საქმეში წმინდასა და განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. კურსში იმდენს ვიღებ, რამდენსაც სხვები იღებენ. თუ ჩემთან იმკურნალებთ, ბე დატოვეთ.

- ძალიან კარგი.

სნეულმა ფრენჩის ღილები გაიხსნა.

- იქნებ ფული ცოტა გაქვთ, - უთხრა ტურბინმა და მუხლებთან გაწყალებულ შარვალზე დახედა. „არა, თაღლითი არ არის... არა... მაგრამ უთუოდ შეიძლება“.

- არა, ექიმო, ფულს გამოვნახავ. თქვენ კაცობრიობას შვებას თქვენებურად ანიჭებთ.

- ზოგჯერ ძალზე წარმატებითაც. იცოდეთ, ბრომი წესიერად უნდა სვამთ.

- სრულ შვებას, პატივცემულო ექიმო, მხოლოდ იქ ვეზიარებით, - სნეულმა თეთრ ჭერზე შთაგონებით ანიშნა. - ამჟამად კი ყველას ისეთი განსაცდელი მოგველის, რაც არასოდეს გვიხილავს... და განსაცდელის ჟამი ძალზე მალე დადგება.

- უღრმეს მადლობას მოგახსენებთ. მე ისიც მეყოფა, რაც განვიცადე.

- წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება, ექიმო. ეჰ, არ შეიძლება, - ბუტბუტებდა სნეული შემოსასვლელში და თხის ტყავის პალტოს წვალეებით იცვამდა, - რამეთუ ნათქვამია: მესამემან ანგელოზმან ლანკნაი თვისი დასთხია მდინარეთა ზედა და წყაროთა ზედა წყალთასა და გარდაიქცეს სისხლად.

„ეს სადღაც უკვე გამიგონია... ჰო, რა თქმა უნდა, მღვდელთან ლაპარაკით გული უჯერებია. ერთმანეთს მორგებიან. დიდებულია“.

- დაბეჯითებით გირჩევთ, აპოკალიფსი ნაკლებად იკითხოთ... გიმეორებთ, რომ გავნებთ. კარგად იყავით. ხვალ ექვს საათზე მობრძანდით. ანიუტა, გააცილე, გეთაყვა.

*

- ეს მინდა გაჩუქოთ და უარს ნუ მეტყვით... ჩემი გადარჩენისთვის სახსოვრად რამე მინდა გქონდეთ... განსვენებული დედაჩემის ნაქონი სამაჯურია.

- ნუ შეწუხდებით... რა საჭიროა... არ გამოგართმევთ, - უპასუხა იულიამ ტურბინს, თან ხელით იცილებდა, უძალიანდებოდა.

მაგრამ ტურბინმა მაინც თავისი გაიტანა და ფერმკრთალ მაჯაზე მძიმე, ნაჭედი, მუქი ფერის სამაჯური შეაბა. სამაჯურმა ხელი მეტად დაამშვენა და იულია უფრო ლამაზი გამოჩნდა... საღამოს ბინდშიც კი მოჩანდა, სახე როგორ აუვარდისფრდა.

ტურბინმა ვეღარ მოითმინა, მარჯვენა ხელი იულიას კისერზე მოხვია, მიიზიდა და ლოყაზე რამდენჯერმე აკოცა... დასუსტებული ხელიდან ჯოხი გაუვარდა და მაგიდის ფეხთან ბრაგუნით დაეცა.

- წადით... - ჩურჩულით უთხრა იულიამ, - დროზე წადით... ქუჩაში ალალი მოდის. გაფრთხილდით, არავის გადაეყაროთ.

- მე თქვენ მომწონხართ, - ჩასჩურჩულა ტურბინმა. - ნება მომეცით, კიდევ მოვიდე.

- მოდით...

- მითხარით, მარტო რატომ ხართ და მაგიდაზე ვისი სურათი გიღევთ? შავგვრემანი, ბაკებიანი კაცის.

- ჩემი ბიძაშვილია, - უპასუხა იულიამ და თვალები დახარა.

- რა გვარია?

- რად გინდათ?

- თქვენ მე გადამარჩინეთ... მინდა ვიცოდე.

- მე გადამარჩინეთ და უფლება გაქვთ იცოდეთ? მისი გვარი შპოლიანსკია.

- აქ არის?

- არა, წავიდა... მოსკოვს გაემგზავრა. რა ცნობისმოყვარე ხართ.

ტურბინი რაღაცამ შეაშფოთა. იგი შავ ბაკებსა და შავ თვალებს დიდხანს დასცქეროდა... უსიამო ფიქრი, გულს რომ უწიწკნიდა, მანამდე არ მოსცილდა, ვიდრე „მაგნიტური ტრიოლეტის“ თავმჯდომარის შუბლი და ტუჩები არ შეისწავლა. მაგრამ ეს ფიქრი ბუნდოვანი იყო... წინამორბედი... ის უბედური, თხისტყავიანი კაცი. რა აწუხებს? გულს რა უწიწკნის? რა მისი საქმეა?... ავსულები... ეჰ, სულ ერთია... ოღონდაც აქ კიდევ მოვიდეს, ამ უცნაურ და მყუდრო ბინაში, სადაც ოქროსეპოლეტებიანის სურათია.

- წადით. დროა.

*

- ნიკოლ? შენა ხარ?

საიდუმლოებით მოცული ბაღის ქვედა იარუსზე, მეორე სახლთან, ძმები ერთმანეთს შეეფეთნენ. ნიკოლკა რატომღაც შეკრთა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

- ალიოშა, ნაი-ტურსებთან ვიყავი, - უთხრა ძმას ისეთი ხმით, თითქოს ვაშლის ქურდობისას ღობესთან მიიმწყვდიესო.

- კარგად მოქცეულხარ. ნაი-ტურსს დედა დარჩა?

- დაცა ჰყავს, ალიოშა... საერთოდ.

ტურბინმა ნიკოლკას ცერად გადახედა და აღარ ჩაემია.

ძმებმა ნახევარი გზა მდუმარედ გაიარეს. მერე სიჩუმე ტურბინმა დაარღვია: - ძამიკო, როგორც ჩანს, პეტურამ მე და შენ მალო-პროვალნაიას ქუჩაზე გვიკრა თავი. ჰა? რა გაეწყობა, ვიაროთ. აქედან რა გამოვა, ეს კი არავინ უწყის. ჰა?

ნიკოლკამ ეს იდუმალი ფრაზა უდიდესი ინტერესით მოისმინა და ახლა თვითონ ჰკითხა: - შენც მოინახულე ვინმე, ალიოშა? მალო-პროვალნაიაზე?

- ჰო, - უპასუხა ტურბინმა, პალტოს საყელო წამოიწია, თავი შიგ ჩარგო და შინ მისვლამდე კრინტი აღარ დაუძრავს.

*

იმ ღირსსახსოვარ და ისტორიულ დღეს ტურბინებთან ყველანი ერთად სადილობდნენ. იქ იყვნენ მიშლაევსკი, კარჩხანა და შერვინსკი. ეს იყო პირველი საერთო სუფრა მას შემდეგ, რაც დაჭრილი ტურბინი ჩაწვა. ყველაფერი ძველებურად იყო ერთი ღამის გარდა - სუფრაზე, ვაზაში აღარ ეწყო უკარება, ელვარე ვარდები, რადგან, დიდი ხანია, აღარ არსებობდა მარკიზას განადგურებული საკანფეტე. თავად მარკიზა სადღაც შორეთში გადაიხვეწა, ალბათ იქ, სადაც სავანე ჰპოვა მაძამ ანჟუმ. სუფრასთან მსხდომთაგან სამხრეები აღარავის ეკეთა. სამხრეებიც სადღაც გაუჩინარდა, ფანჯრებს მიღმა ქარბუქში განქარდა.

შერვინსკის ყველანი პირდაღებულნი უსმენდნენ, ანიუტაც კი გამოსულიყო სამზარეულოდან და კარს მიჰყუდებოდა.

- როგორი ვარსკვლავები უკეთიათ? - ეკითხებოდა შერვინსკის მოღუმული მიშლაევსკი.

- კოკარდასავით პატარები, ხუთქიმიანები, - ჰყვებოდა შერვინსკი, - ფაფახებზე. ამბობენ ღრუბელივით მოიგრაგნებიანო... ერთი სიტყვით, შუალამისას აქ იქნებიან...

- საიდან იცი ასე ზუსტად: შუალამისას...

მაგრამ შერვინსკიმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან ზარის ხმა გაისმა და ბინაში ვასილისა შემოვიდა.

ვასილისა მარჯვნივ და მარცხნივ ყველას თავს უკრავდა, ხელს გულთბილად ართმევდა, განსაკუთრებით კარჩხანას მიესალმა ალერსიანად, მერე რანტის ჭრაჭუნით პიანინოსკენ გაემართა. ელენამ გულლიად გაუღიმა და ხელი გაუწოდა. ვასილისა როგორღაც შეკუნტრუშდა და ისე ეამბორა: „ემმაკმა დალახვროს, ვასილისა თითქოს სიმპათიური გახდა იმის მერე, რაც ფული წაართვეს, - გაიფიქრა ნიკოლკამ და ფილოსოფიური მსჯელობა განაგრძო, - იქნებ ფულის ბრალია, თუ კაცი სიმპათიური არ არის. აი, აქ, მაგალითად, ფული არავისა აქვს და ყველა სიმპათიურია“.

ვასილისა ჩაის არ დალევს. არა, მასპინძლებს უღრმეს მადლობას მოახსენებს. ძალიან, ძალიან კარგი. ხე,ხე. მაინც რა მყუდროდ არიან, თუმცა ასეთი საშინელი დროა... ე...

ხე... არა, უღრმეს მადლობას მოახსენებს. ვანდა მიხაილოვნას და ჩამოვიდა სოფლიდან და ვასილისა ახლავე შინ უნდა დაბრუნდეს. აქ იმისთვის შემოვიდა, რომ ელენა ვასილიევნას წერილი მოუტანა. ახლა კართან ყუთი გააღო და იქ დაუხვდა... თავი მოვალედ მიიჩნია, რომ ამოეტანა, კარგად ბრძანდებოდნენ.

ვასილისა გამოთხოვებისასაც შეკუნტრუმდა.

ელენა წერილიანად საწოლ ოთახში გავიდა...

„წერილი უცხოეთიდან? ნუთუ? ხომ არის ისეთი წერილები, კონვერტს მოჰკიდებ თუ არა ხელს, მაშინვე მიხვდები, შიგ რა არის. რანაირად მოაღწია ამ წერილმა? წერილები არასოდეს არ მოდის. ჟიტომირიდანაც კი ქალაქში შემთხვევით თუ ჩამოაღწევს. რა უგუნურად, რა ველურადაა ჩვენში ყველაფერი. თვით შემთხვევაც ხომ მატარებელს მოჰყვება. მაშ, რატომაა, წერილი რომ ვერ მოდის და იკარგება? ამ წერილმა კი მოაღწია, ჯავრი ნუ გაქვს, ასეთი წერილი მოაღწევს, ადრესატს მიაგნებს. ვარ... ვარშავა. ვარშავა. მაგრამ ტალბერგის ხელნაწერი არ არის. გული რა უსიამოდ მიძგერს“.

თუმცა ლამძვას აბაჟური ჰქონდა ჩამოფარებული, ელენამ საწოლ ოთახში თავი ისე უსიამოდ იგრძნო, თითქოს ვიღაცამ ნათურას ფერადი აბრეშუმი მოაძრო და თვალისმომჭრელმა, მჭახე შუქმა ჩაბარგების ქაოსი წარმოქმნაო. ელენას სახე შეეცვალა. მოჩუქურთმებული ჩარჩოდან მომხირალ დედას დაემგვანა. ათრთოლებული ტურების კუთხეებში ზიზღის გამომხატველი ნაოჭები დააჩნდა. გახეული კონვერტიდან ამოდებული ზოლიანი მორუხო ქაღალდის ფურცელი სინათლის ჭავლმა გაანათა.

...ახლად შევიტყვე, რომ ქმარს გაჰყრიხარ. ოსტროუმოვებს სერგეი საელჩოში უნახავთ - თურმე პარიზში მიემგზავრება ჰერცევის ოჯახთან ერთად; ამბობენ, ლიდოჩკა ჰერცს ცოლად ირთავსო; რა უცნაური ამბები ხდება ამ არეულობაში. ვწუხვარ, რომ არ წამოვედი. მებრალებით ყველანი ვინც გლეხუჭების ხელში ჩაცვივდით. აქ გაზეთში წერენ, პეტლიურა ქალაქს უტევსო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გერმანელები ქალაქში არ შემოუშვებენ...

ელენას თავში მექანიკურად გაჰქონდა კაკუნი ნიკოლკას მარშს, კედლებისა და კარის მიღმა რომ გაისმოდა. კარს თავიდან ბოლომდე ლუი XIV ფარავდა. ლუი იცინოდა, ხელი ლენტებშემოხვეულ ჯოხზე დაეხვინა. კარზე ჯოხის სახელურის ბრაგუნის გაისმა და ტურბინის ჯოხის კაკუნ-კაკუნით შემოვიდა. მან დას თვალი ცერად შეავლო, ტუჩი მასავით შეატოკა და ჰკითხა: - ტალბერგისგანაა?

გულდამძიმებული ელენა ხმას არ იღებდა, რცხვენოდა, მაგრამ თავს მალე მოერია და ტურბინს ფურცელი მიუცურა: - ოლიასგანაა... ვარშავიდან...

ტურბინი სტრიქონებს ჩაცივებით დააცქერდა, თავიდან ბოლომდე თვალი სწრაფად ჩაავლო და კვლავ დასაწყისს მიუბრუნდა: „ძვირფასო ლენოჩკა, არ ვიცი, შენამდე მოაღწევს თუ არა...“

ტურბინს სხვადასხვა ფერმა გადაჰკრა - ზაფრანისფერ სახეზე ღაწვები ვარდისფრად აელანდა, ცისფერი თვალები კი ჩაუშავდა.

- რა სიამოვნებით ვთხლემდი სიფათში... - კბილებში გამოსცრა მან.

- ვის? - ჰკითხა ელენამ და ცხვირი აასრუტუნა, რომ თვალეზე მომდგარი ცრემლები შეეკავებინა.

- საკუთარ თავს, - უპასუხა სირცხვილისგან ნირწამხდარმა ტურბინმა, - იმის გამო, მაშინ რომ ვაკოცე.

ელენა უმაღ ატირდა.

- თუ ჩემი ხათრი გაქვს, - განაგრძო ტურბინმა, - ეს აქედან მოაცილე, ჯანდაბამდე გზა ჰქონია, - მან ჯოხის სახელური მაგიდაზე დადგმულ სურათს წაჰკრა. ელენამ სურათი ტურბინს სლუკუნით მიაწოდა. ტურბინმა სერგეი ივანოვიჩის სურათი ჩარჩოდან უმაღ ამოგლიჯა და ნაკუწ-ნაკუწ აქცია. ელენა დედაკაცურად აქვითინდა, მხრები აუცახცახდა, ტურბინს გახამებულ გულისპირზე მიეკრა. ყავისფერ ხატს, რომლის წინ ოქროსფერცხაურიანი ლამპარი ისევ ენთო, ცერად, ძრწოლით გახედა.

„შეგვედრე... პირობა დაგიტქვი... რაღას ვიზამ... ნუ გამირისხდები... ნუ გამირისხდები..., ღვთისმშობელო“, - გაიფიქრა ცრუმორწმუნე ელენამ.

ტურბინი შეშინდა: - ჩუმად, ჰო, ჩუმად... გაიგონებენ, რა საჭიროა?

მაგრამ სასტუმრო ოთახში არაფერი გაუგონიათ. ნიკოლკას თითებქვეშ პიანინო მარშის - „ორთავიანი არწივის“ ბობოქარ ხმებს გაშმაგებით აფრქვევდა. სუფრასთან სიცილი გაისმოდა.

20

დიადი და შემზარავი იყო წელი 1918 ქრისტეს შობიდან, ხოლო 1919 უფრო შემზარავი გახლდათ.

ორ თებერვალს ღამით დნეპრზე დადებული ჯაჭვის ხიდის ყურთან ორი ყმაწვილი ჰაიდამაკი შავპალტოიან კაცს თოვლზე მიათრევდა. კაცს პალტო დახეოდა, ჩალურჯებულ სახეზე სისხლი ზოლზოლად სდიოდა, კურენის მეთაური გვერდზე სირბილით მიჰყვებოდა და თავში ზუმბას ურტყამდა. ყოველ დარტყმაზე თავი აქეთ-იქით ქანაობდა, მაგრამ სახედასისხლიანებული კაცი აღარ ყვიროდა, მხოლოდ ხვნემოდა. ზუმბა მძიმედ, მოწყვეტით ეშვებოდა პალტოს ნაფლეეთებში და ყოველი დარტყმის პასუხად ჩახლეწილი ხმა გაისმოდა: უჰ... ა...

- ოჰ, შე ურია! - ყვიროდა გაშმაგებული კურენის მეთაური, - შტაბელთან მიათრიეთ! დავხვრიტოთ! მე შენ გიჩვენებ, ბნელ კუთხეებში ძრომა როგორ უნდა. მე შენ გიჩვენებ! შტაბელის უკან რას აკეთებდი? ჯაშუშო!..

მაგრამ სახედასისხლიანებული კაცი გააფთრებულ კურენის მეთაურს პასუხს არ ამღევდა. მაშინ კურენის მეთაურმა წინიდან მოურბინა. ჰაიდამაკები აქეთ-იქით გახტნენ, რომ მოქნეული წკეპლისთვის თავი აერიდებინათ. კურენის მეთაურმა ვერ მოზომა და ზუმბამ მსხვერპლს თავზე ელვის სისწრაფით გადაუშხულია.

შავპალტოიანს აღარ ამოუხვნეშია, მხოლოდ რაღაც უცნაური ხმა აღმოხდა... ცალი ხელი შეაბრუნა, თავი გადაიქნია, მუხლებზე გადატრიალდა, გვერდზე დაენარცხა, მეორე ხელი განივრად გაფარჩხა, თითქოს სურდა გატკეპნილი და ნაპატივები მიწა,

რაც შეიძლება, მეტი მოეხვეჭა, ტალახიანი თოვლი მოკრუნჩხული თითებით მოფხოჭნა, მერე ჩამავებულ გუბეში რამდენჯერმე შეტოკდა და გაყუჩდა.

მიწაზე დამხობილს ხიდის ყურთან მდგარი ელექტროფარანი ზუზუნით ჩამოსცქეროდა, ირგვლივ შემოფოთებულ ჰაიდამაკთა ჩრდილები ფარვატებდა, მათი ბოხობების ფოჩები ფრიალებდა, ხოლო მადლა, ჩამავებულ ცაზე, ვარსკვლავები ციმციმებდა.

იმ წუთას, როცა მიწაზე დამხობილს სული ამოხდა, გარეუბნის თავზე, თოშიან ცაში, ვარსკვლავი მარსი უცებ გასკდა, ნაპერწკლები გაყარა და გამაყრუებლად დაიგრგვინა.

ვარსკვლავის კვალდაკვალ, დნეპრის მიღმა, წყვდიადში ჩაძირულმა შორეთმა, მოსკოვისკენ გაჭიმულმა შორეთმა, მძლავრად და გაბმით დაიგუგუნა და უმაღლეს მეთრე ვარსკვლავიც გასკდა, მაგრამ უფრო დაბლა, დათოვლილი სახურავების ახლოს.

ჰაიდამაკების ლურჯი დივიზია ხიდიდან მაშინვე დაიძრა და ქალაქისკენ გაემურა, მერე ქალაქიც გაიარა და სამუდამოდ გადაიკარგა.

ლურჯ დივიზიას მგლური ძუნძულით მიჰყვა კოზირ-ლემკოს კურენი. მიჩაქჩაქებდნენ გათოშილი ცხენები. ჩაიგრიალა რომელიღაცა სამზარეულომ. მერე ყოველივე გაქრა, თითქოს არასდროს არც ყოფილიყო. ხიდის ყურთან დარჩა მხოლოდ შავპალტოიანი ებრაელის გაყინული გვამი, გათელილი თივის ბუღული და ცხენის ჩონჩორიკი.

მხოლოდ გვამი გახლდათ იმის დასტური, რომ პეტურა მითი კი არ იყო, ნამდვილად არსებობდა... ტამ-ტა-ტამ... გიტარა, თურქი... ბრონნიაზე ნაჭედი ფარანი... თოვლზე გაშლილი თმა ქალისა, ნატყვიარები, ღამით ველური ყმული, თოში... დიახ, ნამდვილად არსებობდა.

Он, Гриць, до работы...

В Гриця порваны чоботы...

რატომ არსებობდა? ვერავინ იტყვის. გადაიხდის კი ვინმე სისხლის საზღაურს? არა, არავინ.

თოვლი გადნება, უკრაინული ხასხასა ბალახი ამოვა და მიწას მოაფარდაგებს... ლორთქო ჯეჯილი აბიბინდება... ველ-მინდვრებზე სიცხის ბული ალივლივდება და სისხლის კვალიც აღარსად დარჩება. ჭიაფერ ველებზე სისხლი იაფია და არავინ გამოისყიდის.

არავინ.

*

საარდამული შორენკეცები საღამოთი ისე გაავარვარეს, რომ ღუმელს სითბო შუაღამემდე არ გამოხელებია. საარდამელ დურგალს წარწერები აღარ ამშვენებდა. მხოლოდ ერთი წარწერაღა იყო დარჩენილი: ...ლენ... აიდაზე ბილეთი ავიღე...

სახლი ალექსეევის დაღმართზე, თეთრი გენერლის ქუდიანი სახლი, რა ხანია, ძილს მისცემოდა, ჩამთბარს ტკბილად ეძინა. რული დაბორიალობდა ფარდების მიღმა, ჩრდილებს შორის დაფარფატებდა.

ფანჯრებს გარეთ სულ უფრო ძლევამოსილად იფურჩქნებოდა თოშიანი ღამე და დედამიწაზე მდუმარედ მიცურავდა. ვარსკვლავები ციმციმებდა, იკუმშებოდა, ფართოვდებოდა და ცაზე უჩვეულოდ მაღლა იდგა წითელი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი მარსი.

თბილ ოთახში სიზმრები ჩასახლდა.

ტურბინს თავის საწოლ ოთახში ეძინა და სიზმარი მის თვალებს გაცრეცილი სურათივით დაჰფარფატებდა. ვესტიბიული ირხეოდა და მიცურავდა. იმპერატორი ალექსანდრე I ღუმელში დივიზიონის სიას სწვავდა... იულიამ ჩაიარა, ხელი დაუქნია და გაიცინა, ლანდებმა ყვირილით ჩაირბინეს: „დაიჭირეთ! დაიჭირეთ!“

ლანდები უხმოდ ისროდნენ. ტურბინი გაქცევას ცდილობდა, მაგრამ ფეხები მალო-პროვალნაიას ტროტუარზე მისწებებოდა. ტურბინი ძილში იღუპებოდა. კვნესით გაეღვიძა და სასტუმრო ოთახიდან მიშლავესკის ხვრინვა შემოესმა. წიგნების ოთახში კარჩხანა და ლარიოსიკი წყნარად ფშვინავდნენ. ტურბინმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, გონება მოიკრიბა, სუსტად გაიღიმა და საათს გადასწვდა.

სამი საათი სრულდებოდა.

- ალბათ წავიდნენ... პეტურა... ქალაქში აღარასოდეს იქნება. და კვლავ დაიძინა.

*

ღამე იცრიცებოდა. რიჟრაჟი ახლოვდებოდა. თოვლის საბურველში ჩაფლულ სახლს ეძინა. გატანჯული ვასილისა გათოშილ ლოგინში მოკუნტულიყო და ცივ ზეწრებს დამჭლევებული სხეულით ათბობდა. ვასილისა უაზრო სიზმარს ხედავდა. ვითომ არავითარი რევოლუცია არ მომხდარიყო. ყოველივე სისულელე სიცრუე გამოდგა. სიზმარში ვასილისას უძლური, უნიათო ბედნიერების განცდა ეუფლებოდა. ვითომ ზაფხული იყო. ვასილისამ ბაღა იყიდა და შიგ ბოსტნეული უმაღლესად წამოიზარდა. კვლები მხიარულმა ხვეულებმა დაფარა და ფოთლებიდან შუშა კიტრები იცქირებოდა. ტილოსშარვლიანი ვასილისა ბაღაში იდგა, თვალწარმტაც ჩამავალ მზეს გასცქეროდა და მუცელს იფხანდა...

ვასილისას ახლა ბანდიტების წართმეული მრგვალი, გლობუსისებური საათი ესიზმრა. უნდოდა, საათი დანახებოდა, მაგრამ მზე ისე საამოდ ბრდღიალებდა, რომ ვასილისა სინანულს ვერ ახერხებდა.

ჰოდა, იმ საუცხოო ჟამს ბაღაში ვარდისფერი, ჩამრგვალელებული გოჭები შემოცვივდნენ და შაურიანის მსგავსი დინგებით კვლები უმაღლესად გადაჩიქნეს. მიწა შადრევნებივით ავარდა. ვასილისამ მიწაზე დაგდებულ ჯოხს ხელი წამოავლო და გოჭების გარეკვა დააპირა, მაგრამ მცისვე შეჩერდა. გოჭები საშიშნი გამოდგნენ, ბასრ ეშვებს აელვარებდნენ. ისინი ვასილისასკენ გამოეჩანენ, თანაც მიწიდან ერთ არშინზე ხტებოდნენ, რადგან მუცელში ზამბარები ჰქონდათ. ვასილისამ ძილში შეჰკვივლა.

გოჭებს შავი ფარდა გადაეფარა და ისინი მიწაში ჩაინთქნენ. ვასილისას თვალწინ მისი შავი, ნესტიანი საწოლი ოთახი ამოტივტივდა...

*

ღამე იცრიცებოდა. რულმა ქალაქს გადაუარა, ლეგა ფრინველივით გადაურბინა, ვლადიმირის ჯვარს გვერდი აუარა, დნეპრს გაღმა შედედებულ ღამეში ჩაექანა და რკინიგზის რკალის გასწვრივ გაცურდა, დარნიცას სადგურამდე მისრიალდა და იქ შეყოვნდა. მესამე ლიანდაგზე ჯავშნოსანი იდგა. ბაქნები თვლებამდე რუხ ჯავშანში იყო ჩამჯდარი. ორთქმავალი მრავალწახნაგოვანი შავი ლოდით გაწოლილიყო, მისი მუცლიდან მომდინარე ცეცხლოვანი მანდილი რელსებზე განრთხმულიყო; შორიდან, გეგონებოდათ ორთქმავალს გულ-მუცელი გავარვარებული ნაკვერჩხლებითა აქვს გამოტენილიო. იგი ხმადაბლა, ბრაზიანად შიშინებდა. გვერდებიდან რაღაც წვეთავდა, ბლაგვი დრუნჩი დნეპრისპირა ტყვეებისკენ მდუმარედ მიექცია და თვალებს ხუჭავდა. ბოლო ბაქნიდან კი მოშავო-მოლურჯო ცისკენ აზიდულიყო შალითაჩამოცმული, პირგანიერი, თორმეტი ვერსის იქით, პირდაპირ ღამისმტეხელი ჯვრისკენ მიმიზნებული ლულა.

შემრწუნებული სადგური გარინდულიყო, შუბლზე წყვდიადი ჩამოეფარებინა და, წუხანდელი გრგვინვა-გრილისგან გაოგნებული, ცეცხლოვან, ყვითელ თვალებს აბრიალებდა. თუმცა გათენებას აღარა უკლდა რა, ბაქნებზე ალიაქოთი მაინც არ წყდებოდა. ტელეგრაფის დაბალ, ყვითელ ბარაკში სამი ფანჯარა შუქს გაეჩახჩახებინა და მინებს მიღმა სამი აპარატის განუწყვეტელი კაკუნი გაისმოდა. ყინვა ძვალ-რბილში ატანდა, მაგრამ ბაქნებზე მაინც გარბი-გამორბოდნენ ჯუბაჩიანი, მაზარიანი და შავბუშლატიანი ადამიანები, ჯავშნოსნის მოშორებით და მის უკანაც გაჭიმულიყო თბილანა ვაგონების ძილგამფრთხალი ეშელონები, მალიმალ გაისმოდა კართა გრიალი და გამახილ-გამომახილი.

ჯავშნოსანთან კი, ორთქმავლისა და პირველი ვაგონის რკინით ნაჭედი კორპუსის გვერდით, ქანქარასავით მიდი-მოდოდა გრძელმაზარიანი კაცი. ფეხზე დახეული თექის ჩექმები ეცვა, თავზე წვეტიანი კუნკულა ჩაბალახი ეხურა, ხოლო შამხანა ხელებზე ისე ნაზად გადაეწვინა, როგორც დაქანცული დედა ბავშვს გადაიწვენს ხოლმე. იგი მბჟუტავი ფანრის ქვეშ მიდი-მოდოდა, გვერდით კი მიჰყვებოდა რელსებს შორის თოვლზე გაწოლილი თხელი, წაწვეტებული შავი ჩრდილი და უხმაურო, ჩრდილისავე ხიშტი. კაცი ძალიან დაღლილი იყო და საშინლად, არაადამიანურად გათოშილიყო. მისი გალურჯებული, გაყინული ხელების გაშეშებული თითები სახელოების ნარღვევებში ამაოდ ფათურობდა და შესაფარს დაეძებდა. ორთქლშეყინული ფოჩებით მოარშივებული, კიდებდაბრეცილი ჩაბალახის შიგნით მოჩანდა გაბურძგნული წვერ-ულვაში და გაყინული ტუჩები, დათრთვილული წამწამთა ბლუჯებიდან კი ცისფერი, განაწამები, რულმორეული, მიზნედილი თვალეები იცქირებოდა.

კაცი დინჯად მიდი-მოდოდა, ხიშტი ძირს დაეშვა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა, ყინვაში წამებას, ბოლოს და ბოლოს, თავს როდის დააღწევდა, გამძვინვარებულ მიწას როდის მოშორდებოდა და ვაგონში შევიდოდა, სადაც მიღები ღვთიურ მხურვალეებას აფრქვევდა და ეშელონებს ათბობდა. იქ ვიწრო ფიცარნაგზე მიეგდებოდა, ზედ მიეკვრებოდა, თავის ნებაზე გაიშხლართებოდა. კაცი და ჩრდილი მიდი-მოდოდნენ ჯავშნოსნის მუცელთან გაწოლილი ცეცხლოვანი მანდილიდან

პირველი საბრძოლო ყუთის ჩამუქებულ კედლამდე, იქამდე, სადაც შავად მოჩანდა წარწერა: ჯავშნოსანი „პროლეტარი“.

ჩრდილი ხან გრძელდებოდა, ხან მოიბლუნებოდა და მახინჯდებოდა, მაგრამ წინ მაინც წაწვეტებული თავი მიუძღოდა, თოვლს კი შავი ხიშტი ჩიჩქნიდა. კაცის ზურგს უკან ფარანს მოცისფრო სხივები ჩამოეშვა. ბაქანზე ორი ცისფერი ცივი მთვარე გამაღიზიანებლად ენთო. კაცი თვალეხს აცეცებდა, იქნებ ერთი ბეწო ცეცხლს მაინც მივაგნოო, მაგრამ ვერსად პოულობდა. კბილს კბილზე აჭერდა, ფეხის თითებს ატოკებდა, რათა როგორმე გაეთბო, მაგრამ ამის იმედსაც კარგავდა და მისი მზერა ვარსკვლავებისკენ დაუოკებლად მიისწრაფოდა. ყველაზე კარგად მარსი მოჩანდა, პირდაპირ გარეუბნის თავზე რომ ბრწყინავდა, და ისიც მარსს უცქეროდა. მის თვალთაგან მზერა მილიონობით კილომეტრს იქით მიილტვოდა და წუთითაც არ სცილდებოდა მოწითალო, ცოცხალ ვარსკვლავს. ვარსკვლავი იკუმშებოდა და ფართოვდებოდა, აშკარად ცოცხლობდა და ხუთ ქიმს აჩენდა.. ქანცმილეული კაცი შაშხანის კონდახს ხანდახან თოვლზე დაუშვებდა, შეჩერდებოდა და მყისვე ჩასთვლემდა, თუმცა, ჯავშნოსანის შავი კედელი მის მზერას ძილშიც არ სცილდებოდა, არც სმენას შორდებოდა სადგურიდან მომავალი ხმები. მაგრამ თვალთა წინაშე ახალი ჩვენებანი ჩნდებოდა. ძილში არნახული ცის თალი ამოიზიდებოდა, მთლად წითელი, მოელვარე და ერთიანად ცოცხალი, მოციმციმე მარსებით მოქარგული. კაცის სულს უმაღლეს ბედნიერება ავსებდა. მერე ვიღაც აბჯროსანი უცნობი მხედარი გამოჩნდებოდა და მისკენ ღიმილით გამოემართებოდა. შავი ჯავშნოსანი ძილში თითქოს მთლად გაუჩინარებას აპირებდა და მის ნაცვლად თოვლში ჩაფლული სოფელი - მალიე ჩუგრი ამოტივტივდებოდა. თავად ვითომ ჩუგრის მისასვლელთან იდგა, ხოლო მისკენ თანასოფელი, კარის მეზობელი მოდიოდა.

- ჟილინია?.. - უხმოდ, ტუჩების გაუპობლად ამბობდა კაცის გონება და მკაცრი, მოდარაჯე ხმა მკერდიდან უმაღლეს სიტყვას ამოსძახებდა: - პოსტი... გუშაგო... გაიყინები...

კაცი კი მაშინ თავს ძალას დაატანდა, შაშხანას თოვლიდან აგლეჯდა, მკლავზე გადაიდებდა, შებარბაცდებოდა, ფეხებს აითრევდა და კვლავ სიარულს იწყებდა.

წინ და უკან... წინ და უკან... რულმორეული ზეცის თალი ქრებოდა, მთელი გათოშილი ქვეყნიერება კვლავ ცის ლურჯი აბრეშუმით იმოსებოდა, რომელსაც ქვემეხის შავი, დამღუპველი ხორთუმი ხვრეტდა. ბრდღვიალებდა მოწითალო ვენერა, ხოლო ფანრის ცისფერი მთვარე კაცის მკერდზე დროდადრო პატარა ვარსკვლავს აციმციმებდა და ეს ვარსკვლავიც ხუთქიმიანი იყო.

*

ბორგავდა, ბორგავდა შემფოთებული რული, დნეპრის პირას მიფრინავდა... უსიცოცხლო ნავმისადგომებს გადაუფრინა და პოდოლზე დაეშვა. იქ შუქი, რახანია, ჩამქრალიყო. ყველას ეძინა. მხოლოდ ვოლინსკაიას ქუჩის კუთხეში, ქვიტკირის სამსართულიან შენობაში, ბიბლიოთეკარის ბინაში, იაფფასიანი სასტუმროს იაფფასიანი ნომრის, მსგავს პატარა ოთახში ენთო მინის თალფაქის ქვეშ მოქცეული ლამპა. ლამპასთან ცისფერთვალა რუსაკოვი იჯდა, წინ ყვითელი ტყავის ყდაში ჩასმული მძიმე წიგნი ედო. თვალეხი სტრიქონებს ნელა, საზეიმოდ მიუყვებოდა.

„და ვიხილე მკუდარნი, მდგომარენი წინაშე საყდრისა მის. და წიგნნი განეხუნეს და სხუაი წიგნი განელო, რომელ არს ცხოვრებისაი. და განისაჯნეს მკუდარნი წერილთა მათგან წიგნთა მათ შინა საქმეთაებრ მათთა.

და მოსცა ზღუამან მკუდარნი, რომელნი იყვნეს მას შინა, და სიკვდილმან და ჯოჯოხეთმან მოსცნეს მკუდარნი, რომელნი იყვნეს მათ შორის. და განისაჯა თითოეული საქმეთაებრ თვისთა.

...

და რომელიდაცა არა იპოვა წიგნსა მას ცხოვრებისასა დაწერილ, შთავარდა ტბასა მას ცეცხლისასა.

...

და ვიხილე ცაი ახალი და ქუეყანაი ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაი და პირველი ქუეყანაი წარხდეს, და ზღუაი არღარა არს“.

რუსაკოვი შემადრწუნებელ წიგნს კითხულობდა და მისი გონება წყვიდადში შეჭრილ მოელვარე მახვილს ემგვანებოდა.

სნეულება და სატანჯველი აღარაფრად, არარაობად ეჩვენებოდა. სენი ისე შორდებოდა, როგორც ტყეში დარჩენილ ხმელ ტოტს ქერქი სცილდება ხოლმე. იგი საუკუნეთა ლურჯ, უსასრულო წყვიდადს, ათასწლეულთა დერეფანს ხედავდა. შიშს კი არა, ბრძნულ მორჩილებასა და მოწიწებას გრძნობდა. სულს მშვიდობა დაეუფლა და მშვიდობას ნაზიარები მივიდა შემდეგ სიტყვამდე: „...ცრემლი თვალთაგან მათთა, და სიკვდილი არღარა იყოს, არცა გლოვაი, არცა ღალადებაი, არცა ტკივილი, რამეთუ პირველნი იგი წარხდეს“.

*

მშფოთვარე წყვიდადი გაიპო და ელენასთან პორუჩიკი შერვინსკი შეუშვა. შერვინსკის წამოზიდული თვალეზი თავხედურად უღიმოდა.

მე დემონი ვარ, - თქვა მან და ქუსლი ქუსლს მიარტყა, - ის კი, ტალბერგი, აღარ დაბრუნდება. ჰოდა, გიმღერებთ...

მან ჯიბიდან უზარმაზარი მოვარაყებული ვარსკვლავი ამოიღო და მკერდზე მარცხენა მხარეს დაიბნია. შერვინსკის ირგვლივ სიზმრის ბურუსი დაცურავდა და ბურუსიდან მისი თოჯინასავით აფერადებული სახე გამოჩნდებოდა ხოლმე. იგი გამყინავად მღეროდა, ისე კი არა, როგორც ცხადში: - უნდა ვიცოცხლოთ, ვიცოცხლოთ!!

- სიკვდილი მოვა და დავიხოცებით... - წამოიმღერა ნიკოლკამ და ოთახში შემოვიდა.

ნიკოლკას ხელში გიტარა ეჭირა, მაგრამ ყელი სისხლით ჰქონდა მოსვრილი, თავზე კი ხატებიანი ყვითელი გვირგვინი ედგა. ელენამ უმაღლესი გაიფიქრა, ნიკოლკა მოკვდებაო, გულამოსკვნით აქვითინდა და შუალამისას ყვირილით გაიღვიძა: - ნიკოლკა. ოჰ, ნიკოლკა?

დიდხანს სლუკუნებდა და ღამის დუდუნს უსმენდა.

ღამე კი მდორედ მიცურავდა.

*

და ბოლოს ფლიგელში პეტკა შჩეგლოვმაც ნახა სიზმარი.

პეტკა პატარა იყო და ამიტომ არც ბოლშევიკები აინტერესებდა, არც პეტლიურა და არც დემონი. მან უბრალო და მზის დისკოსავით მხიარული სიზმარი ნახა.

თითქოს პეტკა დიდ, ხასხასა მდელოზე მიდიოდა, ხოლო იმ მდელოზე პეტკაზე დიდი, მოელვარე, ალმასის ბურთი იდო. როცა დიდებს ძილში გაქცევა სურთ, მიწას ეწებებიან, გმინავენ, ბორგავენ, საფლობიდან ფეხების ამოგლეჯას ლამობენ. ბავშვებს კი მარდი, შეუბორკავი ფეხები აქვთ. პეტკამ ალმასის ბურთთან მიირბინა და გახარებულმა, სიცილისგან სულშეხუთულმა, ხელები დასტაცა. ბურთმა პეტკას მოელვარე შხეფები შეაფრქვია. ეს იყო პეტკას მთელი სიზმარი. მას ძილში სიამოვნებისაგან გადაიკისკისა. მის კისკისს ღუმლის კუთხიდან ჭრიჭინა მხიარულად გაეპასუხა. პეტკა სხვა, მსუბუქ და სასიხარულო სიზმრებს ხედავდა. სადღაც ვედროს უკან, ღუმლის თეთრ კუთხესთან ღრიჭოში შემძვრალი ჭრიჭინა კი თავისთვის მღეროდა, მღეროდა და ოჯახში დაბუდებულ მთვლემარე, მობუტბუტე ღამეს აფხიზლებდა.

უკანასკნელი ღამე მომძლავრდა. ნაშუადღევს მძიმე ღვთიური ფარდა, ქვეყნიერებას რომ შემოჰფენოდა, ვარსკვლავებით დაიფარა. თითქოს ამ ღურჯი ფარდის მიღმა, განუზომელ სიმაღლეზე, აღსავლის კართან მწუხრის წირვას იხდიანო. საკურთხეველში ლამპრები აანთეს და მათი შუქი ფარდაზე ჯვრების, ბუჩქების, კვადრატების წყებად გამოკრთა. დნებრს კი გადასცქეროდა ცოდვილი, სისხლით მოსვრილი, დათოვლილი მიწიდან წყვდიადით მოცული სივრცისკენ აღმართული, გაჩირადდებული ვლადიმირის ჯვარი. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს განივი ძელი გამქრალიყო და ვერტიკალურს შეერთებოდა. ამის გამო ჯვარი მრისხანედ მოღერებულ ბასრ მახვილს ემსგავსებოდა.

მაგრამ იგი საშიში არ არის. ყველაფერი გაივლის. ტანჯვა, წამება, სისხლი, შიმშილი, მუსვრა-ჟლეტა განქარდება. მახვილი გაქრება, ვარსკვლავები კი დარჩება, როცა ამქვეყნად ჩრდილებიც აღარ იქნება სხეულთა ჩვენთა და საქმეთა ჩვენთა. ქვეყნიერებაზე ერთი კაციც არ მოიძებნება, ეს რომ არ იცოდეს. მაშ რატომ არ გვინდა, რომ მზერა ჩვენი მათკენ მივაპყროთ? რატომ?

1923-1924 წწ.

ქ. მოსკოვი

[1] უსათუოდ (ფრანგ).

[2] სახელმწიფო ხაზინის ნიშანი. 50 მანეთი, იხმარება საკრედიტო ბილეთების თანაბრად (უკრ).

[3] ყალბი ფულის კეთება ისჯება პატიმრობით (უკრ).

[4] სახელმწიფო ხაზინის დირექტორი ლეზიდ-იურჩიკი (უკრ).

[5] ვის დაღუპვასაც (ღმერთი) მოისურვებს, გონს წაართმევს (ღათ).